დავით გამყრელიძე

ილია ჭავჭავაძე
დიდი ქართველი
სამოციანელი



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1989.

83. 3 Гр 1
გ 193

გასული საუკუნის 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძემ ახალი ეპოქა დაიწყო ქართულ მწერლობაში, ლიტერატურულ კრიტიკაში, პუბლიცისტიკასა და ჟურნალისტიკაში. მშობლიურმა ხალხმა იმთავითვე შეიცნო მასში ახალი ტიპის შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც თავის გარშემო იკრებდა პროგრესულად მოაზროვნე ყველა შემოქმედს. დიდი ილიას გავლენამ ქართულ საზოგადოებრივ აზრზე ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა; იგი გახდა ქართველი ერის ფიქრთა მპყრობელი და მისი ჭეშმარიტი წინამძღოლი, რომელმაც ღირსეულად დაიმსახურა დიდი ქართველი სამოციანელის სახელი.

ნაშრომის მიზანიც სწორედ ისაა, რომ მკითხველს ფართოდ და ყოველმხრივ გააცნოს ილია — როგორც დიდი სამოციანელი. ამ მხრივ წიგნი გარკვეულ დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს, სტუდენტებს და ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორი ბ. ბარდაველიძე
რეცენზენტები: ივ. მჭედლიშვილი
მ. დათუკიშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989

4702170100
Г ———————
M608(06) — 89

ISBN 5—511—00088—4

I. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. პეტერბურგის უნივერსიტეტში. კვლავ სამშობლოში

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...“

ი. ჭავჭავაძე

ქართული საზოგადოებრივი აზრის, კულტურისა და ლიტერატურის განვითარებაში ეპოქალური მნიშვნელობის გარდატეხა მოახდინეს სახელოვანმა სამოციანელებმა, რომლებსაც წინამძღოლად ილია ჭავჭავაძე ჰყავდათ.

ი. ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა გაბედული გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე განსაკუთრებული ხასიათის მოვლენა იყო, რომელმაც აამოძრავა და გამოაცოცხლა ჩვენში საზოგადოებრივი აზრი, რევოლუციური პათოსით გამსჭვალა იგი. სამოციანელთა გამოჩენის შემდეგ აშკარა და გასაგები გახდა, თუ რა საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო უპირველესად, საზოგადოებრივი ცხოვრება რომ წინ წასულიყო და ხალხს თავი დაეღწია მონობისაგან.

ი. ჭავჭავაძე და მის გარშემო მჭიდროდ დარაზმული ახალგაზრდობა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ არა როგორც მხოლოდ მწერლები, პუბლიცისტები, კრიტიკოსები და სხვა, არამედ ამასთანავე როგორც მოწინავე იდეებით შეიარაღებული პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებსაც ერის წინამძღოლობა უნდა ეკისრათ. მათ მთავარ ამოცანას შეადგენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალ ეტაპზე აყვანა, რისთვისაც ისინი მიმართავდნენ ყველა საშუალებას, რომელიც კი ამ მიზნით შეიძლებოდა გამოეყენებინათ მაშინდელ ვითარებაში. ძნელი არაა იმის გათვალისწინებაც, თუ რატომ აირჩიეს მათ ბრძოლის ყველაზე ხელსაყრელ ასპარეზად ლიტერატურა, მწერლობა. რევოლუციურ-დემოკრატიულ აზრს იმ დროს უფრო მეტი გასაქანი სწორედ ლიტერატურის სფეროში შეეძლო ეპოვა, თანაც ამ გზით იგი უფრო მისაწვდომი იქნებოდა ხალხისათვის.

საგანგებო მტკიცებას არ საჭიროებს ის გარემოება, რომ ქართველი სამოციანელები როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატები აღიზარდნენ მშობლიური ლიტერატურის სახელოვან ტრადიციებზე, რომელთაც შემდეგ დიდი წარმატებით ავითარებდნენ. მაგრამ სრულად უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ის დიდი როლი, რაც მათ გონებრივ მომწიფებაში შეასრულა მოწინავე რუსულმა კულტურამ, რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებმა.

ქართველ სამოციანელთა აზროვნება და მოღვაწეობა ძირითადად განპირობებული იყო ეროვნული ლიტერატურის ტრადიციებით (ძისი როგორც მხატვრული თავისებურებებით, ისე იდეური შინაარსით), რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების მიღწევებითა და იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით.

როდესაც ვლაპარაკობთ ქართველ სამოციანელებზე, პირველ ყოვლისა, მხედველობაში გვყავს ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი და ნ. ნიკოლაძე. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი მარტონი იყვნენ. მათთან ერთად ამ სახელოვან პლეადას ამშვენებდნენ ა. ფურცელაძე, კ. ლორთქიფანიძე, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი და სხვები, რომლებმაც მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამოციანელთა საერთო დამსახურებაში.

ი. ჭავჭავაძე და ა. წერეთელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასასრულს. ი. კერესელიძის მიერ განახლებულ „ცისკარში“ დაბეჭდილმა მათმა ლექსებმა თავიდანვე მიიქცია მკითხველის ყურადღება. მართალია, ეს ლექსები გარკვევით ჯერ კიდევ არაფერს ამბობდნენ მათი ავტორების მხატვრულ შესაძლებლობასა და იდეურ მიმართულებაზე, მაგრამ მაინც საკმაოდ ამჟღავნებდნენ ახალგაზრდა შემოქმედთა განსხვავებულ მიმართულებასა და მხატვრულ გემოვნებას.

ის შემოქმედებითი გზა, რომელიც ი. ჭავჭავაძემ და ა. წერეთელმა განვლეს ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, სრულ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ როგორ გამოიყენეს და შეუხამეს მათ ქართული მწერლობის მდიდარ ტრადიციებს რუს რევოლუციონერ-დემოკრატთაგან შეთვისებული იდეები საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისა და გაუმჯობესების თაობაზე.

რაც შეეხება ყველა დანარჩენ სამოციანელს, სამწერლო ასპარეზზე მათ გამოსვლას ბიძგი მისცა ი. ჭავჭავაძის მიერ გაჩაღებულმა იდეურ-ლიტერატურულმა ბრძოლამ, რაც ქართული ლიტერატურის ისტორიაში უკანასკნელ დრომდე ცნობილი იყო „მამათა და შვილთა“ ბრძოლის სახელით. ამ ბრძოლამ არა მარტო ორ მთავარ ბანაკად გაყო იმდროინდელი მოღვაწეები, არამედ სრული გამარჯვება მოუპოვა ი. ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეთ. ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა იმის

გათვალისწინებას, თუ რა გზა განვლო ი. ჭავჭავაძემ როგორც მხატვარმა და მოაზროვნემ ჯერ კიდევ ამ ბრძოლის წინა პერიოდში, როცა მან უკვე გარკვევით ჩამოაყალიბა თავისი სოციალურ-პოლიტიკური და ესთეტიკური შეხედულებანი.

1

ი. ჭავჭავაძე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 50-იანი წლების დასასრულს. მისი შემოქმედების შესწავლას ჩვენ ვიწყებთ 1857 წელს დაწერილი ლექსით „ყვარლის მთებს". ეს ის დრო იყო, როცა ქართულ მწერლობაში შედარებით ყრუ, მაგრამ მაინც შესამჩნევი ბრძოლა მიმდინარეობდა კრიზისის გზაზე დამდგარ რომანტიზმსა და გაბატონებისათვის მებრძოლ კრიტიკულ რეალიზმს შორის.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას ი. ჭავჭავაძე კარგად იცნობდა როგორც ძველ ქართულ მწერლობას, ასევე რომანტიკოსთა შემოქმედებას. იგი იცნობდა აგრეთვე ქართული კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებლის — გ. ერისთავისა და მისი ნიჭიერი მოწაფის ზ. ანტონოვის დრამატურგიას. მაგრამ, ჩანს, ახალგაზრდა პოეტზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ქართველ რომანტიკოსთა პოეზია. ეს გასაგებიცაა. შემოქმედებითი ძიების პროცესში მყოფი პოეტის ყურადღება შეუძლებელია არ მიეპყრო სამშობლოს ბედს — ეროვნულ საკითხს, რაც რომანტიკოსთა შემოქმედების ძირითად თემასა და მთავარ მოტივს წარმოადგენდა, მაშინ როდესაც 40—50-იანი წლების რეალისტებმა ეროვნულ საკითხს თითქმის გვერდი აუარეს.

ი. ჭავჭავაძე როგორც მწერალი ძირითად მიზნად ისახავდა ურთიერთკავშირში და რეალისტური ხედვით გაეშუქებინა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ორი ყველაზე მტკივნეული და აქტუალური საკითხი—ეროვნული და სოციალური. ამით იგი შეძლებდა დაეძლია ის ცალმხრივობა, რომელიც ჩვენში რომანტიკოსთა და 40—50-იანი წლების რეალისტთა შემოქმედებას ახასიათებდა. ი. ჭავჭავაძემ, როგორც ვნახავთ, ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა და ახალი ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტი ფუძემდებელი გახდა.

ლიტერატურის ისტორიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ ვინ არის ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი. ასეთ ფუძემდებლად ზოგი აცხადებს ალ. ჭავჭავაძეს, ზოგი — ნ. ბარათაშვილს, ზოგი — ი. ჭავჭავაძეს, ზოგი — გ. ერისთავს, ზოგიც — ნ. ბარათაშვილს, ი. ჭავჭავაძესა და ა. წერეთელს ერთად. მაგრამ თავისი ეს შეხედულება, სამწუხაროდ, დღემდე მეცნიერულად არავის დაუსაბუთებია.

ცხადია, ალ. ჭავჭავაძემ, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია

რომანტიზმის დამკვიდრება ქართულ ლიტერატურაში, თავის დროზე ახალი მიმართულება მისცა ჩვენს მწერლობას. მაგრამ ალ. ჭავჭავაძეს, რა თქმა უნდა, არ მოუხდენია ისეთი ძირეული გარდატეხა, რომ მის მიერ შემოტანილი სიახლენი, მისი ესთეტიკური იდეალები საფუძვლად დასდებოდა ახალ ქართულ ლიტერატურას. ამ საქმეში მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მხოლოდ.

ნ. ბარათაშვილი, უდავოა, გაცილებით შორს წავიდა ამ მიმართულებით. მან სერიოზული გარდატეხა მოახდინა პოეტური მეტყველების კულტურაში, დიდად წასწია წინ მხატვრული შემოქმედების იდეური მხარე, თვალსაჩინო ღვაწლი დასდო იმას, რომ მწერლობა დაახლოებოდა ცხოვრების სინამდვილეს და ჩამდგარიყო მისი ინტერესების სამსახურში. ნ. ბარათაშვილმა თავის დროზე მკვიდრ და სწორ ნიადაგზე დააყენა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეების ქადაგება ჩვენს მწერლობაში, ამასთან აამაღლა ლიტერატურის როლი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის საქმეში საერთოდ. ამიტომაც რეალიზმის ნაკადი მის პოეზიაში მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა.

მაგრამ იმის გამო, რომ ნ. ბარათაშვილის ცხოვრება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა და ნიჭიერმა პოეტმა ვერ მოასწრო მტკიცედ დამდგარიყო რეალიზმის პოზიციებზე, რასაც იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათიც ხელს უშლიდა, მან ვერ შეძლო სწორი და გარკვეული მიმართულება მიეცა მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის.

ნ. ბარათაშვილმა სხვა ქართველ რომანტიკოსებთან ერთად მხოლოდ ნაწილობრივ მოამზადა საფუძველი ახალი ქართული ლიტერატურისათვის.

იგივე შეიძლება ითქვას 40—50-იანი წლების რეალისტებზეც, კერძოდ, გ. ერისთავზე. მათ მთავარ დამსახურებას შეადგენს ის, რომ ჩვენს ლიტერატურაში დასაბამი მისცეს კრიტიკულ რეალიზმს. მაგრამ მათ მაინც ვერ შეძლეს რეალიზმის როგორც მხატვრული მეთოდის მომარჯვება ლიტერატურის წინაშე მდგომი ყველა არსებითი ამოცანის გადასაწყვეტად. მათი მხატვრული ინტერესი მიპყრობილი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ სოციალური მხარისაკენ. თავისთავად ამას მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა. მაგრამ მათ შემოქმედებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა საიმისოდ, რომ სინამდვილის ამსახველ სარკედ გამხდარიყო.

მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესს რომ აფასებდა, უკვე ღვაწლმოსილი ი. ჭავჭავაძე საგანგებოდ შეჩერდა ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში „მამულის-შვილურ გულისტკივილის“ გამომხატველ ლექსებზე და აღნიშნა: „და თუ ეს ცალკე მაგალითები მოვიყვანეთ მამულის-შვილურ გულის-ტკივილისა მარტო იმისათვის, რომ

ვნახოთ, — მაგისთანა გულის-ტკივილს, მერე სამოციან წლებში ეგრე გაძლიერებულს ჩვენს მწერლობაში, ს ა თ ა ვ ე სადა ჰქონია და მცირე ნაკადულად გამონაწური მერე როგორ გაზრდილა და უმატნია"[1]. გრ. ორბელიანის შესახებ კი ი. ჭავჭავაძე ამბობს: „გრ. ორბელიანი გამგრძობია თ. ალ. ჭავჭავაძის პოეზიისა; და ამას გარდა, თითქმის ერთგვარი დენა მწერლობისა გაამრავალგვარა, წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც."[2] გრ. ორბელიანის ერთ-ერთ დიდ დამსახურებად ი. ჭავჭავაძე თვლის იმას, რომ მან პირველმა „მიგვახედა ჩვენ მიერ დავიწყებულ წარსულს".

ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში ი. ჭავჭავაძე საგანგებო ადგილს უთმობს ნ. ბარათაშვილის პოეზიას. მისი თქმით, ნ. ბარათაშვილი „ერთად-ერთი მწერალია, რომელიც სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალ-გადუწვდენელს სფეროში, საცა ღაღადებაა ყოველგვარ სულისკვეთებისა და ვნებათა ღელვისა"[3]. განსაკუთრებით დიდად აფასებს ი. ჭავჭავაძე ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისას" და „მერანს", რომლებიც მას იტაცებენ ჯანსაღი ეროვნული გრძნობისა და უკეთესი მომავლის ძიების დაუცხრომელი სურვილის გამოხატვით.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე როგორც წინამორბედთა ლიტერატურული ტრადიციების სახელოვანი მემკვიდრე ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების უმთავრეს ღირსებად, გარდა დახვეწილი, ფაქიზი პოეტური კულტურისა, თვლის იმას, რომ მასში გამოხტულია მამულის, სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. ამ გრძნობის გამოხატვა მიაჩნია მას ჩვენი ლიტერატურის იმ ძვირფას შენამატად, რომელიც შემდეგ სამოციანელებმა გააღრმავეს და ეპოქის შესაფერ სიმაღლემდე აიყვანეს.

რაც შეეხება ქართული კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელს გ. ერისთავსა და მის თანამებრძოლს ზ. ანტონოვს, ი. ჭავჭავაძე მათ აფასებს როგორც ჩვენი იმდროინდელი სოციალური ყოფის პირველ ამსახველთ, რეალისტური მწერლობის დამწყებთ.

ი. ჭავჭავაძის თქმით, გ. ერისთავმა „მარტო სიყვარულისა და ტრფობის მორევში მოარული ჩვენი გული და მარტო განლტოლვილ ფიქრებში წასული ჩვენი გონება ჩვენს შინა-ცხოვრებას დააკვირვა, მიახედა; მისი „გაყრა" ამის მაგალითია"[4]. გ. ერისთავის დამსახურებად

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III. 1953, გვ. 209.

[2] იქვე, გვ. 210.

[3] იქვე, გვ. 219.

[4] იქვე, გვ. 224.

თვლის იგი აგრეთვე სატირის შემოტანას ჩვენს მწერლობაში. ამასთან ი. ჭავჭავაძე გ. ერისთავის რეალიზმის შეზღუდულობას ხედავს იმაში, რომ მან მხოლოდ მაღალი წოდების ცხოვრების სურათები წარმოგვიდგინა. მაგრამ იქვე დასძენს, რომ გ. ერისთავის რეალიზმის ეს ხარვეზი შეძლებისდაგვარად შეავსო მისმა მოწაფემ ზ. ანტონოვმა, რომელმაც „მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრება, ავ-კარგიანობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახვა, მისი „მხის დაბნელება", „ხევსურთა ქორწილი", თუ ყოველ ამის სრული სურათი არ არის, მწერლობის ამ მხრივ მიმართულების მაგალითი ხომ არის და არის"[5].

დასახელებულ მწერალთა ნაწარმოებებს გარდა, ი. ჭავჭავაძე დიდად აფასებს რაფიელ ერისთავის იმ ლექსებს, რომლებიც ჯერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნამდე დაიწერა და რომლებშიც გამოცხადებულია ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრა, რაფ. ერისთავის ლექსებში ი. ჭავჭავაძე ხედავს პირველ სიტყვას „სამწედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის".

სამწუხაროდ, ი. ჭავჭავაძის დასახელებული სტატია სრულად არაა მოღწეული. როგორც აღვნიშნეთ, მას აკლია სწორედ ის ადგილი, სადაც მსჯელობა მთავრდებოდა რ. ერისთავზე და მოცემული იყო ლ. არდაზიანისა და დ. ჭონქაძის დახასიათება.

ამის შემდეგ ი. ჭავჭავაძე დაასკვნის: „ამ გზით და ამ ყოფით იზრდებოდა ჩვენი აზრი, თან-თან გაძლიერებული და მატებული, როგორც ვნახეთ. ამ სიგრძე-სიგანით, ამ სიღრმე-სიმაღლით მოაღწია მან სამოციან წლებამდე. თვალ-ნათლად დასანახია, რომ სამოციან წლებში ახალი ხანა დაწყებულ იქმნა"[6] (დაყოფა ჩვენია — დ. გ.).

ამრიგად, ახალი ხანის დასაწყისად ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ი. ჭავჭავაძე 60-იან წლებს თვლის. მაგრამ საინტერესოა ის, თუ რა მიაჩნია მას 60-იანი წლების ქართული მწერლობის ნიშანდობლივ მხარედ.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული" მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა... რაკი „მამულს" ბინა დაედვა ქართველთა გულში, მისმა ცხოველ-მყოფელმა სითბომ და ნათელმა მთელი მრავალგვარობა ჩვენის ცხოვრებისა გაუთვალისწინა თვითეულს მოღვაწეს ცალკე და ყველას ერთად... პროზით თუ ლექსით, ყველა ჰღაღადებდა ადამიანობის დარღვეულ უფლების სახელითა და თვით მოსაქმე ცხოვრების განკარგების წყურვილითა. ამ ეგრეთ-წოდებულ „რეალურმა მიმართულებამ" ჩვენის აზრიანობისამ ჩვენი გონება დააკვირვა ჩვენს მიწიერ ავ-კარგიანობას და სამოციან წლებიდამ დღე-

[5] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 222.
[6] იქვე, გვ. 224.

ვანდლამდე, ამ ოცდაათის წლის მანძილზე ბევრი საყურადღებო ღვაწლი დასდო, ბევრი ნაყოფიერი თესლი დაჰყარა სამერმისოდ"[7].

მაგრამ ყოველივე ეს, ი. ჭავჭავაძის გაგებით, მაინც ერთი მხარე იყო 60-იანი წლების მწერლობისათვის: ამავე პერიოდში თავისი მოწოდების სიმაღლემდე ავიდა აგრეთვე სოციალური მოტივიც.

ი. ჭავჭავაძის თქმით, „სამოციან წლებამდე — ალ. ჭავჭავაძიდამ დაწყებული—ჩვენი პოეზია, თითო-ოროლა მაგალითებს გარდა, ისიც ორმოცდაათიან წლების ბოლო ხანებში, დაჰფუფუნებდა ჩვენის დიდკაცობის გულთა თქმას, თითქო უკადრისობს ამათ გარე რაიმე საგანი უპოვოს პოეზიას. სამოციან წლებმა ამ ვიწროდ შემოღობილს სარბიელს ჩვენის პოეზიისას თავისი ტალღა გაჰკრეს და შემოამტვრიეს ღობეები. ამ ხანაში მოღვაწეებმა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიაც არის ადამიანური გულთა-თქმა; რომ ამ მდაბიოთა გული იგივ ზღვაა, საცა თუ არ მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლხინისა, ძულებისა და სიყვარულისა; რომ ამ მდაბიოთაცა აქვთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები, ოღონდ კი კაცს მადლი ჰქონდეს ამაების დანახვისა, ამაების გამოხატვისა"[8].

ის გარემოება, რომ ქართულმა ლიტერატურამ 60-იან წლებში განვითარების ასეთ დონეს მიაღწია და დაიწყო ახალი ხანა (უფრო სწორად, საფუძველი ჩაეყარა ჭეშმარიტად ახალ ქართულ ლიტერატურას), უნდა აიხსნას არა მხოლოდ ნიჭიერი თაობის (მათ შორის, ი. ჭავჭავაძის) გამოსვლით სამოღვაწეო ასპარეზზე, არამედ უფრო ღრმა ისტორიული პროცესით. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ამ პერიოდში მოხდა ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბება და, ცხადია, ლიტერატურაც ფართო ეროვნული ინტერესების გამომხატველი შეიქნა.

ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბებას თან მოჰყვა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობა. ილია ჭავჭავაძემ როგორც პოეტმა და მოაზროვნემ ყველაზე სრულად წარმოადგინა 60—70-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათი. იგი გახდა „მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უპოპულარესი საზოგადო მოღვაწე"[9].

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება უაღრესად იდეურია. მის მიერ შექმნილი ყოველი მხატვრული სახე ღრმა აზრისა და გარკვეული მიზნის შემცველია. ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესასწავლად აუცილებელი არაა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალების გათვალისწინება: ილიას მხატვრული შემოქმედება ყველაზე უფრო სწორ და სრულ წარმოდგენას იძლევა სამშობლოსათვის თავდადებულ

[7] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 225—226.
[8] იქვე, გვ. 229.
[9] გაზ. „Правда", 1936 წლის 9 სექტემბერი.

ამ ბუმბერაზ მწერალსა და მოაზროვნეზე.

პირველივე ლექსში „ყვარლის მთებს“ ი. ჭავჭავაძემ გარკვევით გამოხატა ღრმა სიყვარული სამშობლოსადმი და ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელსაც იგი ყოველთვის გრძნობდა თავისი ხალხის წინაშე. ხანგრძლივი დროით, უნივერსიტეტში სასწავლად, პეტერბურგს მიმავალი ახალგაზრდა პოეტი თავისი სამშობლოს მომხიბვლელ მთებს მიმართავდა:

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან იელით გაუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, პე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!...
რა-რიგ მიყვარდით, მეგობარნო ჩემ ყმაწვილ ყრმობის,
და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ წუთის-სოფლის,
მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა.
და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელადა?!“

„მომავლის ბედი“ ყრმა პოეტისაგან მოითხოვდა მსხვერპლს — სამშობლოს დროებით დატოვებას და სწავლის მისაღებად ჩრდილოეთში გამგზავრებას. ჩანს, იგი იმთავითვე გრძნობდა, რომ მხოლოდ თავის თავს არ ეკუთვნოდა: მის ცოდნასა და ენერგიას სამშობლოს მომავლის ინტერესები საჭიროებდა. ასეთი ღრმა შეგნებით გაემგზავრა ილია მე-19 საუკუნის ათონში — პეტერბურგის უნივერსიტეტში.

უცხო გარემოსა და მხატვრული ძიების პროცესში მყოფი ი. ჭავჭავაძე ღრმა ტკივილებს განიცდიდა, სანამ იპოვიდა ცხოვრების იდეალს და გაარკვევდა თავის პოეტურ კრედოს. თავდაპირველად იგი თავისუფალი არ იყო რომანტიკული ურვისაგან — წუხდა ადამიანის წარმავლობისა და სისუსტის გამო. ახალგაზრდა პოეტი ადამიანის სიცოცხლეს ანთებულ სანთელს ადარებდა. მისი თქმით, როგორც ანთებული სანთელი, ასევე ადამიანიც თანდათანობით იწვის, იფერფლება და ბოლოს

„მშვენიერ ალის მაგიერ გვრჩება
ერთი მუჭა-ღა გამხმარი მტვერი“.
(„სანთელი“)

თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში ი. ჭავჭავაძე საგრძნობლად ეხმაურება ქართველ რომანტიკოსებს, განსაკუთრებით კი ნ. ბარათაშვილს. შეიძლება ითქვას, რომ მისი პოეტური მომწიფება ნ. ბარათაშვილის ღრმა ფილოსოფიური შინაარსის მქონე პოეზიის გაგებისა და დაძლევის საფუძველზე ხდება. თუ თავდაპირველად ილიასათვის უფრო საინტერესოდ მოჩანს ნ. ბარათაშვილის სევდა-მწუხარების გამომხატველი ლექსები, შემდეგ მასზე გავლენას ახდენენ მხოლოდ ის ლექსები, რომლებშიც პოეტის მებრძოლი სული და უკეთესი მომავლის ძიებაა ჩაქსოვილი.

მსგავსად ნ. ბარათაშვილისა, ი. ჭავჭავაძე თავის პირველ ლექსებში უჩივის არა მარტო იმას, რომ ადამიანის სიცოცხლე ხანმოკლეა, არამედ

იმასაც, რომ ამ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ადამიანის ხვედრი მძიმეა. ჭაბუკ პოეტს უკულმართ ცხოვრებაში ყველაზე მეტად აფიქრებს და აშინებს სულიერი ობლობა და თავისუფლების დაკარგვა.

ლექსში „გაზაფხული“, რომელიც ნ. ბარათაშვილის „სუმბული და მწირისა“ და „სული ობოლის“ აშკარა გამოძახილს წარმოადგენს, ი. ჭავჭავაძე იმ შეხედულებას გამოთქვამს, რომ ბუნებაში ყველაფერი ახლდება, ხელახლა იღვიძებს და ცოცხლდება, მაგრამ ადამიანის „ერთხელ მოკლულ გულს“ ვეღარაფერი ანუგეშებს, ვეღარაფერი ახარებს:

„ყველა ჰყვავდება,
ყველა ახლდება,
რა ახედავს ტკბილ დღეს,
გამოცოცხლდება,
და მარტო გული,
ერთხელ მოკლული,
არც აყვავდება,
არც გაცოცხლდება“.

ლექსში „ჩიტი“, რომელიც ალეგორიული შინაარსისაა, ი. ჭავჭავაძე ხაზს უსვამს თავისუფლების დაკარგვის სიმძიმეს. იგი აღრმავებს და ავითარებს ნ. ბარათაშვილის მიერ ნათქვამს: „რა ხელჰყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული!“ („ბედი ქართლისა“) ამ ლექსში ი. ჭავჭავაძე ჩიტს ასე ალაპარაკებს:

„მინამ ვარ უფლად
ჩემის თავისა.
მხიარულ სტუმრად
ვარ მაისისა,—
და როს ცდუნებით,
ძალდატანებით,
გალიას ჩამსმენ,
მშვიდობით, ველო,
მაშინ აღარ გსტვენ,
საწყალობელო.
დაღონებული.
ფრთებდაშვებული
დავიწყებ ჭკნობას,
სიკვდილის ხმობას...
და, ველო, შენსა
გამღვიძებელსა
შენს ჩიტს პატარას
მალე ნახავ მკვდარს“.

აშკარაა, რომ ი. ჭავჭავაძე აქ იმეორებს ნ. ბარათაშვილის მიერ „სუმბულსა და მწირში“ გამოთქმულ შეხედულებას.

ლექსში „სიმღერა“ ი. ჭავჭავაძე თავის თავს ადარებს პატარა ნავში მჯდომს, რომელსაც მდინარე დიდ ზღვაში მიაქანებს. წარსულითა და აწმყოთი უკმაყოფილო პოეტი, მართალია, ხედავს მომავლის ვარსკვლავს, მაგრამ მაინც აშინებს დიდ ზღვაში შესვლა და მუდარით ამბობს:

„ჰოი, გველრებ, მდინარევ,
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ“.

პოეტის ღაღადისი, ჩანს, არ შეიწყნარა მდინარემ. ამას მოწმობს ლექსი „მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში“, რომელშიც იგი უკვე გველინება როგორც ზღვის ზვირთებთან მებრძოლი თავისი პატარა ნავით. ეს მკაცრი შებრძოლება უნდა დამთავრდეს ან ზღვის, ან პოეტისა და მისი ნავის გამარჯვებით. მართალია, პოეტს აშინებს უდროოდ და-

ღუჯა, ჯერ ხომ არაფერი მირგია ქვეყნისათვისო, მაგრამ იგი მაინც თავისუფალია რომანტიკული უიმედობისაგან და მკითხველს მიმართავს:

„თუ ეგრე წარვხდე, ნუ ატირდები,
მე იმ ცრემლებად არ ვეღირები!"

„ცხოვრების ზღვაში" მარტოდ მცურავ პოეტს უფრო მეტად ის აწუხებს, რომ მისი კვალი „ურგები არ იყოს", ხოლო თუ შთამომავლობას კარგ მაგალითს დაუტოვებს, სიკვდილს არაფრად ჩათვლის. მას სულიერი ნათესაობა აკავშირებს უკვე არა ნ. ბარათაშვილთან—„სული ობოლის" ავტორთან, არამედ ნ. ბარათაშვილთან—„მერანისა" და „ფიქრნი მტკვრის პირას" შემოქმედთან. ამაზე მეტყველებს მისი ლექსი „დაე თუნდ მოვკვდე":

„დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი".

პატრიოტი პოეტი იმაზე ოცნებობს, რომ მის საფლავთან მდგომ საყვარელ ქართველს საფუძველი ჰქონდეს გულწრფელობითა და სიმართლით ჩასძახოს:

„იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!
შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა;
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან—ჩრდილში
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა".

„თვისი ვალის" აღსრულებისათვის მებრძოლ პოეტს ცრემლი მაინც არ აშრება თვალზე და ამ ცრემლის მიზეზია ფიქრი იმაზე — შეძლებს თუ არა აღმოჩნდეს მოწოდების სიმაღლეზე („ბევრი ვიტანჯე", 1858 წ.). ეს ფიქრი ილიას არც მაშინ ასვენებდა, როცა პეტერბურგიდან სამშობლოში ბრუნდებოდა („მგზავრის წერილები").

უკანასკნელი ნაწარმოები, რომელშიც ი. ჭავჭავაძემ რომანტიკოსების, მეტადრე ნ. ბარათაშვილის გავლენა გამოამჟღავნა, იყო ლექსი „ჰო, სად არიან, სიჭაბუკევ, სიტკბონი შენნი". მასში ი. ჭავჭავაძე როგორც ლექსიკითა და პოეტური ინტონაციით, ასევე იდეური გააზრებით ნ. ბარათაშვილის პოეზიიდან ამოდის. ილია ამჯერად უშუალოდ სესხულობს ბარათაშვილისაგან მხატვრულ სახეებს, მხატვრულ ფერებს. მისი ეს ლექსი ჩვენს მეხსიერებაში ძალაუნებურად აღადგენს ნ. ბარათაშვილის ლექსებს: „სულო ბოროტო", „ვპოვე ტაძარი", „ჩემთ მეგობართ".

მაგრამ მხოლოდ ამით როდი ამოიწურება ნ. ბარათაშვილთან და, საერთოდ, ქართველ რომანტიკოსებთან ი. ჭავჭავაძის ურთიერთობა შემოქმედების პირველ პერიოდში. ნ. ბარათაშვილის ლექსების — „ფიქრნი მტკვრის პირას", „მიყვარს თვალები მიბნედილები", „ჩემი ლოცვა", "ჩვილი" — გამოძახილი ისმის ი. ჭავჭავაძის ლექსებში: „მტკვრის პირას", „მეც შავ თვალებს", „ლოცვა", „ნანა"; ხოლო ბარათაშვილის

პოემა „ბედი ქართლისას“ ცალკეული ადგილების გაელენა ატყვია ილიას „ქართველის დედას“, „აჩრდილს“, „რამდენიმე სურათს, ანუ ეპისოდს ყაჩაღის ცხოვრებიდამ“ და სხვ.

ალ. ჭავჭავაძის „მუხაძბაზი ლათაიურის“ მხატვრული ფორმა ი. ჭავჭავაძეს გამოყენებული აქვს ლექსებში: „ლოთის რჩევა“ და „ჩემი თარიარალი“, რომელსაც ახლავს ავტორის შენიშვნა: „ძიბაძვა ალ. ჭავჭავაძისადმი“.

გრ. ორბელიანის „საღამო გამოსალმებისას“ შთაბეჭდილებებითაა დაწერილი აგრეთვე ი. ჭავჭავაძის „ყვარლის მთებს“, ხოლო „აჩრდილის“ ცალკეულ თავებს ატყვია „სადღეგრძელოს“ გაელენა.

ი. ჭავჭავაძის ლექსში „აღლქსანდრე ჭავჭავაძე“ და „ნიკოლოზს ბარათაშვილზედ“ გამოვლინებულია ავტორის დიდი სიყვარული და პატივისცემა სახელოვანი წინამორბედებისადმი.

ნ. ბარათაშვილისა და საერთოდ ქართველ რომანტიკოსთა გაელენა ი. ჭავჭავაძეზე, ცხადია, არ წარმოადგენს ძლიერის გაელენას სუსტზე. მართალია, ი. ჭავჭავაძეს რომანტიკოსთა ძლიერი შეძოქმედების ათვისება და დაძლევა უხდებოდა მხატვრული ძიების პერიოდში მყოფს, მაგრამ მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ყოველთვის ინარჩუნებდა საკუთარ სახეს, პოეტურ ორიგინალურობას. რომანტიკოსთა გაელენა ი. ჭავჭავაძეზე გამოიხატა, უწინარეს ყოვლისა, მათ მიერ შექმნილი მხატვრული ტრადიციების მოხდენილად გამოყენებით და არა მათდამი ბრმა მიმბაძველობით. საერთოდ, ი. ჭავჭავაძე რომანტიკოსებში ყოველთვის ხედავდა სიტყვის ნიჭიერ ოსტატებს. რაც შეეხება რომანტიკოსთა პოეზიის იდეურ-შინაარსობრივ მხარეს, ი. ჭავჭავაძე მის დაძლევას ახერხებს ორ წელიწადზე (1857—1858 წწ.) ნაკლებ დროში. ამ საქმეში, როგორც აღვნიშნეთ, მას ეხმარებოდა თვით ნ. ბარათაშვილის პოეზია, რომელშიც თავიდანვე მკაფიოდ იგრძნობოდა მიდრეკილება რეალისტური რომანტიზმისა და რეალიზმის პრინციპებისადმი.

ამასთან რომანტიკოსების მიმართ სიახლოვეს ი. ჭავჭავაძე ავლენს მხოლოდ იმ ლექსებში, რომლებიც შთაგონებულია საშობლოს ბედზე ზრუნვით ან მიძღვნილია სიყვარულის გრძნობისადმი.

უდავოა,რომ ქართველ რომანტიკოსთა და მათ შორის მეტადრე ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებები პოეტური შთაგონების ერთ-ერთი წყარო იყო ი. ჭავჭავაძისათვის შემოქმედების პირველ პერიოდში. მაგრამ ეს შთაგონება თანდათან იცვლებოდა მისი საბოლოო დაძლევის მიმართულებით.

უკანასკნელ დრომდე სამეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ გავრცელებული იყო ის შეხედულება, რომ ი. ჭავჭავაძე ნ. ბარათაშვილის პოეზიას თითქოს 1860 წლამდე არ იცნობდა. ასეთი შეცდომის წყარო მომდინარეობდა ი. ჭავჭავაძის სტუდენტობის მეგობრის კ. აფხაზის

მოგონების არამართებული კომენტირებიდან. კ. აფხაზი თავის მოგონებაში წერს: „ზაფხულობით ჩვენი ქართველი სტუდენტობა პავლოვსკში ატარებდა დროს და ჩვენც, მე და ილია, ზაფხულობით იქ ვიმყოფებოდით ხოლმე. მახსოვს, ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით და იქ ვეწვიეთ ქალბატონ დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს. ქ. დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხავად ბარათაშვილის ლექსები, რამდენადაც მახსოვს, ბარათაშვილის საკუთარი ხელთნაწერი. ეს ლექსები იყო „ქართლის ბედი" და "მერანი". ვერ წარმოიდგენთ რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ, თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით"[10].

ლიტერატურის ისტორიკოსები დადგენილად მიიჩნევდნენ იმას, რომ აღნიშნული შემთხვევა 1860 წელს მოხდა, და დაასკვნიდნენ: „ილია ჭავჭავაძე პირველად ეცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას ეკატერინე ჭავჭავაძის ოჯახში"[11].

ზოგიერთი მკვლევარი კიდევ უფრო შორს წავიდა და აღნიშნული შემთხვევა გამოაცხადა ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედებით ი. ჭავჭავაძის დაინტერესების საბაბად.

მაგალითად, პროფ. აპ. მახარაძის შეხედულებით, „იმ დიდ სიყვარულს და მზრუნველობას, რომელსაც ილია ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმართ იჩენდა, საფუძველი ისევ ალ. ჭავჭავაძის შთამომავლობამ ჩაუყარა. ეკატერინეს ოჯახში პირველად იგრძნო ილიამ ბარათაშვილის პოეზიის სითბო და მიმზიდველობა"[12].

აღნიშნული მოსაზრების გამო თავის დროზე ჩვენ გარკვევით ვწერდით: „ასეთი დასკვნა სინამდვილეს ეწინააღმდეგება. განა ი. ჭავჭავაძე 1860 წელს ზაფხულში, ეკატერინე ჭავჭავაძის ოჯახში, გაეცნო პირველად ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას? განა ასე გვიან იგრძნო ილიამ „ბარათაშვილის პოეზიის სითბო და მიმზიდველობა?" სხვა თუ არაფერი, ასეთი შეხედულება მაჩვენებელია იმისა, რომ ილიაზე მსჯელობისას ავტორი ანგარიშს არ უწევს... თვით ი ლ ი ა ს ი მ ლ ე ქ ს ე ბ ს, რომლებიც ნათელყოფენ, რომ ილია ჯერ კიდევ ა დ რ ე ი ც ნ ო ბ დ ა, დ ა კ არ გ ად ი ც ნ ო ბ დ ა, ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას. აიღეთ ილია ჭავჭავაძის 1858 წელს დაწერილი „ლოთის რჩევა" და 1859 წელს დაწერილი „ჩემი თარიარალი", რომელსაც საგანგებოდაც კი აწერია: „მიბაძვა ალ. ჭავჭავაძისადმი", და თქვენ დარწმუნდებით, როგორ კარგად იცნობდა ილია თავის

---

[10] „ლიტერატურული მემკვიდრეობა" (კრებული), ტ. I, 1953, გვ. 564.

[11] ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. თხზულებანი, 1945, გვ. 52 (პ. ინგოროყვას შესავალი წერილი).

[12] აპ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. ქართული რომანტიზმი, 1948, გვ. 60.

სახელოვან წინამორბედს. ამასთან, ანგარიში რომ არ გავუწიოთ აღ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის ლექსების დიდ გავრცელებას ხალხში ზეპირი თუ ხელნაწერების გზით, რაც არ შეიძლებოდა ილიასათვისაც არ ყოფილიყო ცნობილი, ის მაინც გავიხსენოთ, რომ „ცისკარში“ ამ დროისათვის უკვე დაბეჭდილი იყო ა. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის საუკეთესო ნაწარმოებები. ხოლო „ცისკარი“ განა ილიასათვის უცნობი იყო?“[13].

ჩვენი შეხედულება მიღებულ და გაზიარებულ იქნა[14]. თუმცა მკვლევარი პ. ინგოროყვა მაინც იმ მოსაზრებისაა, რომ ნ. ბარათაშვილის პოეზია ი. ჭავჭავაძემ ეკ. ჭავჭავაძის ოჯახში გაიცნო პირველად. იგი ემყარება კლავ კ. აფხაზის ცნობას, მაგრამ აღწერილ შემთხვევას ათარიღებს უკვე არა 1860, არამედ 1858 წლით. საბუთი? ყველა იმ საბუთიდან, რომლებიც მას მოჰყავს, საყურადღებოა მხოლოდ ის, რომ ი. ჭავჭავაძის ადრინდელ ლექსებს ატყვია გავლენა ნ. ბარათაშვილის იმ ლექსებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო დაბეჭდილი. მაგრამ პ. ინგოროყვა ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ 1858 წლის ზაფხულამდე დაწერილ ლექსებსაც ატყვია ნ. ბარათაშვილის იმ ლექსების გავლენა, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული. ამასთან 1858 წელს დაწერილ ი. ჭავჭავაძის ლექსებზე გაკეთებული მინაწერები მოწმობენ, რომ ილია მაშინ პავლოვსკში არ ყოფილა.

ერთი სიტყვით, უფრო სავარაუდოა, რომ ი. ჭავჭავაძე 1860 წლის ზაფხულში ესტუმრა ეკ. ჭავჭავაძე-დადიანის ოჯახს. 1860 წლის ზაფხულით დათარიღებულ ილიას ყველა ლექსს მიწერილი აქვს: „პავლოვსკი“. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ილია 1860 წლის 16 ივლისს წერს ლექსს „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, ხოლო 19 ივლისს — „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“, რომელსაც (პირველი ვარიანტი) ასე იწყებს:

„როს წავიკითხე მისი ლექსები,
ვერა რა ვთქვი და განცვიფრებულმა...“

ეს გარემოება უდავოს ხდის, რომ კ. აფხაზი თავის მოგონებაში 1860 წლის ზაფხულში მომხდარ შემთხვევას აღწერს. ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ი. ჭავჭავაძის სტუმრობა ეკ. ჭავჭავაძის ოჯახში მხოლოდ ერთი მისვლით არ ამოიწურებოდა. ილიამ ეკ. ჭავჭავაძისაგან უთუოდ ბევრი რამ საინტერესო მოისმინა ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის შესახებ, ამასთანავე, როგორც ვიცით, გაეცნო მათ ნაწარმოებებს ორი-

---

13 დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი. ქართული რომანტიზმის შესწავლისათვის. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948 №19.

14 ა. თ ო ფ უ რ ი ა. ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი. ჟურნ. „მნათობი“, 1950. №11; პ. ინგოროყვა. ილია ჭავჭავაძე. წიგნში: ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 1, 1951 (შესაკალი წერილი).

.გინალში. ყოველივე ეს კი, ცხადია, ახალგაზრდა პოეტზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა, რაც მან გამოხატა ლექსებში: „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ და „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ი. ჭავჭავაძე ეკ. ჭავჭავაძის ოჯახში 1860 წელს გაეცნო პირველად ნ. ბარათაშვილის თუ ალ. ჭავჭავაძის პოეზიას. ეჭვს გარეშეა, რომ ი. ჭავჭავაძე ქართველ რომანტიკოსთა და, კერძოდ, ნ. ბარათაშვილის პოეზიას გაეცნო ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში. ბიოგრაფიული მასალებიდან ვიცით, რომ ილია გიმნაზიაში ყოფნისას უფრო მეტ დროს ისეთი წიგნების კითხვას ანდომებდა, რომლებიც არ ისწავლებოდა. როგორც მისი ახლო მეგობარი კ. აფხაზი გადმოგვცემს, „მამულისადმი უანგარო სიყვარული პატარაობიდანვე შეჰყვა ილიას, მეტისმეტად უყვარდა ბაასი გლეხკაცებთან, მეტადრე მოხუცებულებთან, ჰკრეფდა და აგროვებდა ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს“[15]. ასეთი ბუნებისა და ინტერესების ახალგაზრდა, რომელიც პატარაობიდანვე ლექსებს წერდა, ნუთუ ნ. ბარათაშვილის ცხოვრებითა და შემოქმედებით არ დაინტერესდებოდა თუნდაც მას შემდეგ, როცა გ. ერისთავმა 1852 წელს „ცისკარში“ (№4)გამოაქვეყნა უდროოდ დაღუპული პოეტის ლექსები: „ბულბული ვარდზედ“, „ჩემი ლოცვა“, „რად ჰყვედრი“, „სულო ბოროტო“ და მისდამი მიძღვნილი საკუთარი ლექსი? და თუ დაინტერესდებოდა, განა ცოტა რამის შეტყობა შეეძლო გიმნაზიის საპატიო მზრუნველის — დიმ. ყიფიანისა და ზედამხედველის—ი. კერესელიძისაგან ან ნ. ბარათაშვილის იმ დროს თბილისში მყოფი ახლო მეგობრებისა და ნაცნობებისაგან?

როგორც აღნიშნული გვაქვს, ი. ჭავჭავაძემ ადვილად შეძლო თავი დაეღწია რომანტიკოსთა სევდიანი განწყობილების გავლენისაგან. მან მალე შეიცნო თავისი პოეტური დანიშნულება და სწორად გაერკვა იმაშიც, თუ რა უნდა მიეღო და გამოეყენებინა წინამორბედთა მხატვრული მემკვიდრეობისაგან. 1858 წლის დასასრულს ილიამ უკვე მტკიცე ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით. ამის თქმის უფლებას იძლევა მისი ლექსი „ქართვლის დედას“, რომელსაც მან ეპიგრაფად წარუმძღვარა ლაიბნიცის ცნობილი სიტყვები: „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. ამ სიტყვების აზრი, შეიძლება ითქვას, ილიამ თავისი მოღვაწეობის პროგრამად გაიხადა. ნიჭიერი პოეტი ღრმად დარწმუნდა იმაში, რომ უკეთესი მომავალი დამოკიდებულია არა წარსულის აჩრდილებზე, არამედ აწმყო ცხოვრების წარმართვაზე. ამიტომაც იგი ხდება არა წარსულის მეხოტბე, არამედ თავისი თანადროული ცხოვრების პირუთვნელი მხატვარი.

---

[15] „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (კრებული), ტ. I, 1953, გვ. 564.

რომანტიკულ პოეზიასთან ანგარიშის გასწორებას წარმოადგენდა ი. ჭავჭავაძის მხნე მოწოდება:

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს"...

(„ქართველის დედას")

ამიტომ პოეტი ქართველ დედას მოუწოდებს აღზარდოს ძლიერი სულის მქონე შვილი, რომელსაც ეყვარება ადამიანები და სამშობლოს „მომავლისათვის ბედთან იბრძოლებს", რათა ქვეყნად სუფევდეს „ძმობა, ერთობა, თავისუფლება". ამ დიდი მცნების სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდა მიაჩნია პოეტს „მომავალი გმირის" გამოჩენის საფუძვლად.

ეროვნული მთლიანობისა და სამშობლოს განთავისუფლების იდეა უფრო სრულად და მტკიცედ ი. ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა ლექსში „ჩემი თარიარალი" (1858 წ.), რომელშიც აშკარად ისმის მოწოდება მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. პატრიოტი პოეტი თანამემამულეთ შთააგონებს სამშობლოს სიყვარულს, ძმობისა და ერთობის მნიშვნელობას. იგი წერს:

„რაგინდ რომ ცარი ჭრინავდეს,
ჩვენის სისხლისთვის გრგვინავდეს,
ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი,
თუ გულში ძმობა ბრწყინავდეს...
თუ ერთობა ჩვენ გვექნება,
მტერი წინ ვერ დაგვიდგება;
ჩვენგანი ქართველის დამთრგუნველს
ან მოჰკლავს, ან შეაკვდება...
ჰე, ძმანო, ვიყვეთ ერთ ბედით,
წინა წავიდეთ გაბედვით,
ჩვენ ცარი ვერას დაგვაკლებს
თვისის ბრმა წინასწარ ხედვით".

(„ჩემი თარიარალი")

სამშობლოს განთავისუფლების იდეა წითელ ზოლად გასდევს ი. ჭავჭავაძის პოეზიას. ამასთან ილია ძველ რუსეთში გარკვევით ხედავდა ორ რუსეთს. ამათგან ერთი იყო მეფე და მისი ბიუროკრატიული აპარატი, ხოლო მეორე — ნამდვილი რუსი ხალხი. ი. ჭავჭავაძეს არასოდეს უქადაგია სეპარატიზმი: თავისი იდეალებისათვის ბრძოლას იგი ყოველთვის რუს ხალხთან მეგობრობას უკავშირებდა, ამასთან მეფის მთავრობის დამხობაში ხედავდა როგორც რუსი ხალხის ბედნიერებას, ასევე თავისი სამშობლოს თავისუფლებას.

ი. ჭავჭავაძეს შეგნებული ჰქონდა, რომ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა მოითხოვდა მტკიცე ერთიანობასა და თავდადებას,

დიდ მსხვერპლს. მისი აზრით, ნამდვილი პატრიოტი სამშობლოს დამთრგუნველს „ან მოჰკლავს, ან შეაკვდება“. ამიტომ პოეტი თანამემამულეთ მიმართავდა:

„ძაშ მოდით ისევ ძმობითა
დრო გავატაროთ შრომითა,
მამულს სიცოცხლე შეუწიროთ
შვილურის ერთგულებითა“.

(„ჩემი თარიარაღი“)

მებრძოლი პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ პოეტს „ქართვლის უბრალო მადლობა ურჩევნის ყოველ დიდებას“ და ყველაზე მაღალ ჯილდოს აყვავებული მამულის ხილვაში ხედავს.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის იდეა და საერთოდ რევოლუციურ-დემოკრატიული მრწამსი ი. ჭავჭავაძეში განსაკუთრებით 1859 წლიდან ძლიერდება, და ეს გასაგებიცაა: სწორედ მაშინ დაიწყო რევოლუციური სიტუაციის აღმავლობა, რასაც არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა სტუდენტ ი. ჭავჭავაძეზე. ამას მოწმობს თუნდაც ლექსი „ნანა“ (1859 წ.), რომელიც მეტად საყურადღებო ნაწარმოებია როგორც თავისი ფორმით, ასევე შინაარსით. ილიამ ვირტუოზულად გამოიყენა ცნობილი ხალხური სასიმღერო ლექსის „ნანას“ მხატვრული ფორმა და შექმნა მეტად ღრმააზროვანი, პატრიოტული იდეით გამთბარი ნაწარმოები.

ლექსი „ნანა“ თავისი შინაარსით წარმოადგენს ქართველი დედის პასუხს პოეტის იმ მოწოდებაზე, რომელიც მან გამოთქვა „ქართვლის დედაში“. პატარა შვილს დედა უმღერის სამშობლოს შესახებ, აცნობს მის წარსულსა და აწმყოს, ავალებს იყოს თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი. დედა იმით იმხნევებს გულს, რომ მისი აღზრდილი ვაჟკაცი შეიგრძნობს სამშობლოს ტკივილებს და ტკბილ ნანას ხმლის ჟღერაზე შეცვლის. მომავალ გმირს დედა მოუწოდებს:

„აინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი მეხად,
ან, ვით შვილი ერთგული,
დააკვდი მამულს მსხვერპლად“.

პატრიოტი დედა შვილს შთააგონებს, რომ „უკვდავი არის შვილი, მამულისთვის მომკვდარი“, რომ ვაჟკაცი გმირულად უნდა შეეწიროს სამშობლოსათვის ბრძოლას და „თავისი სიკვდილით მისი სიკვდილი დათრგუნოს“.

„მას დედის ძეძუ ტკბილი
შესამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დასარგებია!...“

ამ ლექსში ი. ჭავჭავაძემ პირველად გამოხატა პატრიოტი ქართველი დედის სახე. მისი შეხედულებით, მხოლოდ ასეთი დედების წყალობით

შეძლო ქართველმა ხალხმა ხანგრძლივ და უთანასწორო ბრძოლაში დაეცვა სამშობლოს დამოუკიდებლობა. მშობლიური გრძნობა, შვილის სიყვარული, პოეტის თქმით, ქართველი დედის გულს მოსვენებას არ აძლევდა, მაგრამ მისი ჩვილი გული ფოლადდებოდა, როცა მამულის ინტერესები ამას მოითხოვდა:

„დედათა გული ჩვილი.
მამულისთვის მაგრდება,
რად მინდა იგი შვილი,
თუ მისთვის არ მოკვდება!
ვისაც ძე არ შეუკლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას
შვილი არ ჰყვარებია!“

ილიას ამ სულისკვეთების დედა მიაჩნდა იდეალად და არა „ის ვაგლახი დედა“, „კანოელებს“ რომ ზრდიდა. ეს უკანასკნელნი საკუთარ მამულს არას არგებდნენ, მხოლოდ ტირან იმპერატორს იცავდნენ და მის გულს ახარებდნენ. აშიტომ ასეთი ქართველი მებრძოლის ხილვა პოეტში მხოლოდ მწუხარებას იწვევს:

„ესთქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ ხიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამლუპველს ჩრდილოეთსა?“
(„კანოელი“)

პოეტს არ აკმაყოფილებს იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა და ეროვნული თვითშეგნების დონე. ამიტომ მის სულში ზოგჯერ სიცივე მკვიდრდება ხოლმე („დაბნელდა სული“) და, მარტოობაში მყოფი, მძიმე ფიქრებს ეძლევა. მაგრამ იგი ხდება არა უიმედო და პასიური, არამედ უფრო მღელვარე, ბრძოლას უცხადებს უმოქმედობასა და მორჩილებას:

„ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“
(„ელეგია“)

ასე მწარედ ამოიკვნესა სამშობლოს ბედზე დაფიქრებულმა პოეტმა და მისი თვალი, პირველ ყოვლისა, სტუდენტ ახალგაზრდობაზე შეჩერდა. ი. ჭავჭავაძე დიდ იმედს ამყარებდა განათლებასა და განათლებულ ახალგაზრდობაზე; მათგან მოელოდა იგი ხალხში იმ იდეების შუტანას, რომლებისთვისაც თვითონ იბრძოდა.

ი. ჭავჭავაძემ 1860 წელს საგანგებოდ დაწერა „ქართველ სტუდენტების სიმღერა“, რომელშიც ჩამოაყალიბა მათი მიზანი და მოვალეობა. ილიას თქმით, ჩვენი სტუდენტობა იმ სულისკვეთებით იზრდებოდა, რომ ლხინში მოლხინეს გამოადგებოდა, ხოლო ჭირში — მოჭირნეს; დიდს არ გაექცევინებოდა, პატარას კი მხარს მისცემდა; ბოროტს გულდაგულ შეებრძოლებოდა და თაყვანს სცემდა სამართალს; ეცდებოდა წინ წასულიყო, მაგრამ უკან დარჩენილსაც არ გაწირავდა: მან იცოდა,

რომ „შველა უნდა უღონოსა და დავრდომილს“, ამიტომაც ის უანგაროდ მიდიოდა წინ და მხოლოდ მასზე ფიქრობდა, „რომ წინანი უკანასათვის უნდა იქნეს გზად და ხიდად“.

ასეთი ფიქრებითა და გრძნობით გამსჭვალულ სტუდენტებს პოეტი ათქმევინებს:

„მამულისა შვილნი ჩვენც ვართ
და მიტომ გზრდით ჭაბუკ სულსა,
რომ ოდესმე გამოვადგეთ
დაობლებულს ჩვენს მამულსა.
მაგრამ ეხლაც საქმით, სიმხნით
სხვას არც ჩვენ დავუჯარდებით:
ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს,
ეხლაც კი გამოვადგებით.“

„ქართველ სტუდენტების სიმღერაში“ თვით ი. ჭავჭავაძის გრძნობა და მისწრაფებაა ჩაქსოვილი. პოეტი უკვე მომზადებულად გრძნობს თავს იმისათვის, რომ სამშობლოს გამოადგეს, ულონოსა და დავრდომილს დაეხმაროს, ხოლო მტერს პირისპირ შეებრძოლოს.

სამშობლოსა და მშობელი ხალხის სიყვარული, მათი ინტერესების დაცვის იდეა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებას თავიდანვე მიმზიდველს ხდიდა. პოეტს იმთავითვე სწორად ჰქონდა შეგნებული, რომ სამშობლო წმინდა გეოგრაფიული ცნება როდია, რომ სამშობლოში, უპირველეს ყოვლისა, მშობელი ხალხი იგულისხმება.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ი. ჭავჭავაძემ თავი გამოიჩინა როგორც დიდმა პატრიოტმა, თავისუფლებისათვის უშიშარმა მებრძოლმა, მშრომელი ხალხის მესაიდუმლემ და დამცველმა, მჩაგვრელთა დაუძინებელმა მტერმა.

ჯერ კიდევ 1857 წელს დაწერილ ლექსში „ხმა სამარიდამ“ ილია თავისი მძაფრი სატირით თავს დაესხა მშრომელი გლეხობის, ქვრივ-ობლების დაუნდობელ მტრებს — მექრთამე ჩინოვნიკებს და დაუნდობლად ამხილა მათი მახინჯი ბუნება.

ამავე წელს ი. ჭავჭავაძემ დაწერა მოთხრობა „დიამბეგობა“, რომლის შემდგომ ვარიანტს სათაურად მისცა „მარგალიტი ლექში“. მართალია მოთხრობა დაუმთავრებელია, მაგრამ მასში უკვე საკმაოდაა გამოკვეთილი გაიძვერა და მლიქვნელი ჩინოვნიკის ბეჟან კალმახიძის სახე. თავისი კარიერისტული მიზნების განსახორციელებლად იგი კეთილისმყოფელსაც არ ინდობს და, გუშინდელი მაწანწალა, „მცირედით“ როდიღა კმაყოფილდება. ი. ჭავჭავაძემ პირველად აქ გამოამჟღავნა ოსტატობა გმირის ფსიქოლოგიის ჩვენებისა სოციალურ ფონზე. „მარგალიტი ლექში“ შემდეგ საფუძვლად დაედო მის ცნობილ ნაწარმოებს „სარჩობლაზედ“.

სატირით „ხმა სამარიდამ“ და მოთხრობით „დიამბეგობა“ ი. ჭავჭა-

ვაძემ ყურადღება გაამახვილა 40—50-იანი წლების ქართველ რეალისტთა მეტად საინტერესო თემაზე. შემდეგ სატირა პოეტისათვის გახდა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ჟანრი, რომელსაც ოსტატურად იყენებდა გადაგვარებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ი. ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამოჰპარვია ის გარემოება, რომ ქართველი მშრომელი გლეხობა არა მარტო ეროვნულ დამოუკიდებლობას იყო მოკლებული და განიცდიდა კოლონიურ ჩაგვრას, არამედ მონურად ცხოვრობდა სოციალური უთანასწორობის გამოც. ახალგაზრდა პოეტმა ბრძოლა გამოუცხადა ჩაგვრისა და ბოროტების ორივე ფორმას.

ბატონყმურ უღელქვეშ მყოფი გლეხი და გუთანში შებმული ხარი, ილიას თქმით, ერთსა და იმავე მდგომარეობაშია — მათი უღელი ერთნაირად მძიმეა. მართალია, ერთი მეტყველია და მეორე — უტყვი, მაგრამ ამ განსხვავებასაც არაფერი მნიშვნელობა აქვს ბატონყმურ სინამდვილეშიო. თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში „გუთნის-დედა" (1858 წ.) პოეტი გუთნისდედას ასე ასაუბრებს უღელში შებმულ ხართან:

„ნუ დამიღონდი!... შენი უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი;
მეც შენებრ მიწას დაეყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით...
შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?
აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომე აჩეჩოს მარტო მიწანი
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?"

დიახ, ილია ჭავჭავაძის გუთნისდედას მხოლოდ ის გუთანი მოსწონს, რომელიც ძირიანად მოთხრის იმ ბალახს, რომელიც „უშლის თესლსა ამოსვლას". ამ სიტყვებში პოეტის მთელი გულისთქმაა!

ადამიანისა და ხარის შრომა თუ ერთნაირად მძიმეა, სამაგიეროდ ადამიანი კიდევ მეტ მორალურ ტანჯვას განიცდის, რადგან მას, მეტყველს, მეტყველების უფლება არა აქვს და იძულებულია გულშივე ჩაიკლას უსამართლობით მიყენებული ტკივილები. „სიტყვანი გულში მებადებიან, მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან". — ამბობს ილია ჭავჭავაძის გუთნისდედა და უტყვ მეგობარს მიმართავს:

„შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში პკლავს!...
აქ, შენდე, ლაბაო, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი".

ამგვარად, ბატონყმური წყვდიადით მოცულ ეპოქაში ნიჭიერმა პო-

ეტმა მთელი სისასტიკით წარმოადგინა დრომოჭმული სოციალური ურთიერთობის საშინელება. მან თავისი მახვილი სმენა მიაპყრო უუფლებო ყმა გლეხის გულისცემას და ჩასწვდა მის ტკივილებს.

ბატონყმურ მონობაში მყოფი ყმა-გლეხის სახის პარალელურად ი. ჭავჭავაძემ შექმნა მუშის სახეც. ქართულ ლიტერატურაში მუშა პირველად ილიამ შემოიყვანა. ლექსში „მუშა" (1860 წ.) პოეტს, მართალია, არ მოუცია მანქანასთან მიჯაჭვული მუშა, ე. ი. მუშა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ მაინც რელიეფურად გამოკვეთა ბატონყმური უღლის სიმძიმის გამო ქალაქში გადმოხვეწილი მშრომელი, რომელიც ყოველდღიური ლუკმაპურისათვის ყიდდა თავის ფიზიკურ ძალას.

ტვირთქვეშ მოხრილ მუშას პოეტი თანაგრძნობით მიმართავს:

„ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო? სიდამ მოსულხარ?
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ?..
...თუ უნებლიეთ გადმოგტყორცნა მუხთალმა ბედმა,
ან მოგიტაცა სხვა კაცზედა მაცდურ იმედმა?"

ი. ჭავჭავაძე არ ღალატობს სინამდვილეს. იმდროინდელი თბილისისათვის უცხო არ იყო ასეთი ადამიანები და ისინი „მუშებად" იწოდებოდნენ. პოეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბედისაგან უსამართლოდ დაჩაგრულ ადამიანებს ყურადღებას არავინ აქცევდა. მდიდარი კაცის „დროშკა" ხშირად ეჯახებოდა ხოლმე ტვირთქვეშ მოკეცილ მუშებს და გამვლელნი ხარხარით უცქერდნენ ამ სურათს. საბრალო მუშისათვის გასამრჯელოს სრულად მიცემაც კი ენანებოდათ. ბოღმამორეული პოეტი მრავალმეტყველად მიმართავს მუშას:

„შენ უღონო ხარ... და უღონოს კაცი იბრიყვებს,
მდიდარს მეტს მისცემს, შენ კი გროშზედ შეგევაჭრება,
ვისაც არ უჭირს, მას გააძღობს, — და შენ კი გიკლებს,
შენ, რომელსაცა ერთი გროშით დღე გემატება".

კითხულობთ ი. ჭავჭავაძის ლექსებს და თქვენ თვალწინ ცოცხლდებიან ბატონყმური უღლისაგან დაბეჩავებული გლეხები და ქალაქის ქუჩაში მიმავალი, ტვირთისაგან წელში მოხრილი მუშები, რომელთა პატიოსან შუბლსა და ღია მკერდს ოფლი ფარავს.

ი. ჭავჭავაძეში ღრმა ტკივილებს იწვევდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების იმდროინდელი ვითარება. მისი თვალი უკეთესი მომავლისაკენ იყო მიპყრობილი და ეროვნულ თავისუფლებასა და შრომის განთავისუფლებას წინასწარმეტყველებდა.

1859 წლის დამდეგს ი. ჭავჭავაძემ დაასრულა პოემა „აჩრდილი" (პირველი ვარიანტი), რომელიც წარმოადგენს, ერთი მხრივ, პოეტის მიერ ადრე გამოთქმულ შეხედულებათა დაჯამებას და, მეორე მხრივ, მის მომავალ სამოქმედო პროგრამას. უფრო მეტიც, „აჩრდილი" გახდა არა მარტო ი. ჭავჭავაძის, არამედ ახალი ქართული ლიტერატურის საპროგრამო ნაწარმოები საერთოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

„აჩრდილში“ ი. ჭავჭავაძე იძლევა საქართველოს წარსულისა და აწმყოს დახასიათებას, ამასთან ერცლად ჩერდება სამშობლო ქვეყნის მოშავლის გარკვევაზე, ეროვნული გმირის ძიების საკითხზე.

საქართველოს ისტორიული წარსული ი. ჭავჭავაძისათვის, ცხადია, სულ სხვა თვალსაზრისითაა საინტერესო და მნიშვნელოვანი, ვიდრე რომანტიკოსებისათვის. რომანტიკოსები ძირითადად აიდეალებდნენ ძველი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ წყობას და მის აღდგენაზე ოცნებობდნენ. ი. ჭავჭავაძისთვის კი მიუღებელია როგორც ძველი, ასევე მისი თანადროული სოციალურ-პოლიტიკური სისტემა. ისტორიული წარსულიდან ილიას იზიდავს მხოლოდ ხალხის გმირული სული, სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. მისი შეხედულებით, ქართველ ხალხში უკვე აღარ არის ის მხნეობა და მამულისათვის უსაზღვრო სიყვარული, რომლის წყალობითაც საქართველო ინარჩუნებდა თავის ეროვნულ დამოუკიდებლობას. პოეტი მიმართავს სამშობლოს და ამბობს:

„იყო დრო, როცა შენი გულისთვის
თითონ სიკვდილსაც ლხინად ჰხადოდნენ
და თავდადებას მამულისათვის
ერთმანეთს ოძში ეცილებოდნენ.
ეხლა რადაა!.. გაჰქრენ ის დღენი,
გაჰქრა ოგიცა ძალ-გულოვნება
და საკვირველნი მამათ საქმენი
ახლანდელ შენს შვილს არც აგონდება“.

ილია იგონებს ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლებს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და იმ დასკვნამდე მიდის, რომ საქართველოს მსგავსად ეკლიან გზაზე სხვას არ უვლია. ამიტომ ეროვნული სიამაყის გრძნობით ლაპარაკობს იგი ქართველი ხალხის პატრიოტულ გრძნობაზე, მის უტეხ ნებისყოფაზე:

„ორი-ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ღვარეს,
მაგრამ ამაყი თვისი თავი ქვეყანაზედა
არავის წინა საბუდამოდ არ ძოიხარეს“.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მედროშე ი. ჭავჭავაძე ისტორიული წარსულიდან კრებდა ისეთ მაგალითებს, რომლებიც მის თანამედროვეთ აიძულებდათ კრიტიკულად და გონების თვალით შეეხედათ არსებული სინამდვილისათვის.

ი. ჭავჭავაძე უკმაყოფილო იყო თანადროული ცხოვრებით. მისი თქმით, „წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება“, რომლითაც ძველ ქართველს უფლება ჰქონდა ეამაყა. პოეტი ხედავს, რომ მის თანამედროვეთა შორის გამრავლებულან ანგარებით შეპყრობილი ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებთ და დავიწყებიათ სამშობლო და მშობელი ხალხი. ეს სულიერი დაცინება, პოეტის აზრით, პირველ ყოვლისა, საზოგადოების შეძლებულ ნაწილს ატყვია. თანამდებობის პირნი, ვაჭარნი და ეკლესიის მსახურნი სრულიად არ სრუ-

ნავენ ქვეყნის მძიმე მდგომარეობის გამოსწორებისათვის, რადგან ასეთ ვითარებაში უფრო ახერხებენ თავიანთი ბნელი საქმეების მოგვარებას:

„აგერ დიდკაცი დარბაისელი
კმაყოფილების განცხრომაშია
მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი
სასოწარკვეთილ მონებაშია.
მოძმეთა ხსნისთვის თავის-დადება
წმინდა ხვედრია მხოლოდა გმირთა
და მას ვით შესძლებს თავმოყვარება,
რომელიც იმა დიდკაცთა სჭირთა?
ის რად ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
როს მასა შველის მის ბედკრულება?
რად შეებრძვის ის სიბოროტესა,
როს მეოხებით მისით თვით პრჩება?
აგერ ვაჭარიც ცბიერის ღიმით
მოძმეთ ატყუებს, რა ჰყიდის ნივთსა,
და ძმა მის მოკედეს თუნდა შიმშილით,
უნაღვლოდ განვლის ცხოვრების ხიდსა“.

პოეტის გულს სიამოვნებას ვერ ჰგვრის ძველი და ახალი დედაქალაქების — მცხეთისა და თბილისის ნახვაც. მცხეთა — „სავანე გმირთა“, „დედა-ქალაქი ვრცელი აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა“, ხოლო თბილისში ყველა საკუთარი თავისათვის ზრუნავს და ის, „რისთვისაც მამანი იღვწოდნენ უწინ, დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა“.

„გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთავრის ღიმილზე — პატიოსნებას,
და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას“.

ი. ჭავჭავაძეს ყველაზე მეტად ის აღონებს, რომ ხალხი თითქოს შეგუებია თავის მძიმე ხვედრს, აღარ სწამს თავისუფლების კვლავ აღდგენა და „განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული“. პოეტი ცდილობს გამონახოს გზა, რომელიც მის თანამემამულეთ იხსნის უშედეგო ცრემლისა და მწუხარებისაგან:

„ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას
და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული
ჭკუით არ განსჭვრეტს საზოგადო ცხოვრების დენას,
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,
უქმისა დრტვინვით, გულის-წვითა მწარე ცრემლს დაღვრის,
მავრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა,
და იგი ცრემლი ურწმენობის, ეჭვის და ტანჯვის,
პღაღადებს მხოლოდ ძისა შენის უძლურებასა“.

ამგვარად, პოეტი იმ შეხედულებისაა, რომ, სანამ ქართველი ხალხი ღრმად არ გაერკვევა საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათსა და მიმართულებაში, მანამ იგი უძლური იქნება შეცვალოს არსებული მდგომარეობა. ილია ოცნებობს ისეთი გმირი იპოვოს, რომელიც წმინდა მოვა-

ლეობად მიიჩნევს მამულისათვის თავის დადებას. ასეთი გმირის ხსოვნას კი ვეღარავინ წაშლიდა ხალხის მეხსიერებაში და მარად იცოცხლებდა მის სიმღერებში. გმირის მაგალითზე აღიზრდებოდნენ ბავშვები, მისი საქმით სიმხნეს შეიმატებდნენ მოხუცნი. მაგრამ ასეთ გმირს პოეტი ვერ ნახულობს. ამის მიზეზად კი ის მიაჩნია, რომ პატრიოტული გრძნობა, სამშობლოს სიყვარული — „გმირის დამბადი დიდი საგანი" დავიწყებულია, ქართველი ქართველობას გადასდგომია. გულნატკენი პოეტი მრავლისმეტყველად ამბობს:

„ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,
დიდი სამოთხის კუთხე პატარა,
ქედმოღრეკილა ნაღვლით საწყალი,
რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა;
რომ დაგიგდიათ უმწედ, უნუგეშ,
თქვენის სიავით დაწყლულებულა,
თქვენგან გმობილი, — უცხოს კალთის ქვეშ,
ვითა ობოლი, შეფარებულა".

როდესაც ი. ჭავჭავაძე მკაცრად ახასიათებს ქართველობას, ცხადია, მას მხედველობაში ჰყავს მისი პრივილეგიური ნაწილი, რომელიც იყო ცხოვრების ბატონ-პატრონი. მაგრამ პოეტი როდი კმაყოფილდება მათი ზოგადი კრიტიკით: იგი უფრო ღრმად იხედება მოვლენებში და მთელი უბედურების წყაროს გაბატონებულ სოციალურ ურთიერთობაში ხედავს.

დამახასიათებელია, რომ, ი. ჭავჭავაძე მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ერთმანეთისაგან არ თიშავდა ეროვნულსა და სოციალურ საკითხებს. უფრო სწორად, სოციალური საკითხის ილიასეული გადაწყვეტა ყოველთვის უკავშირდებოდა და ემორჩილებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესებს ამა თუ იმ ეტაპზე. ამ გარემოებამ ბოლო დროს ზიანიც კი მიაყენა მის შეხედულებათა განვითარებას სოციალურ სფეროში.

60-იან წლებში ი. ჭავჭავაძე აშკარად ხედავდა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატება ისე შეუძლებელი იყო, თუ ბოლო არ მოეღებოდა ბატონყმურ ურთიერთობას, რომელსაც მონობაში ჰყავდა ხალხის უდიდესი ნაწილი. ამიტომ თავისი პირველი დარტყმები, საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებას რომ ისახავდა მიზნად, ილიამ სწორედ ამ სოციალური ინსტიტუტის მოსპობისაკენ მიმართა. და ეს შემთხვევითი მოვლენა როდი იყო. როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, 40-იან და 60-იან წლებში „უ ვ ე ლ ა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა. ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობა და მისი წინააღმდეგობანი მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ"[16].

[16] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 2, გვ. 628.

„აჩრდილში“ ი. ჭავჭავაძე სწორად და მოურიდებლად ახასიათებს ბატონყმობასა და მებატონეებს. იგი საქვეყნოდ აცხადებს, რომ „ქვა არის ბატონის გული და ვერ დაარბილებს მას შებრალება“. ყმის შრომა, მისი ოფლი და ოფლის ნაყოფი მხოლოდ ბატონის თვალს ახარებს. ამიტომაა, რომ პოეტი ყმა გლეხს ათქმევინებს:

„ვინა შრომობდა და ვინა ჰხლება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!“

ი. ჭავჭავაძე უფრო მეტად იმითაა აღშფოთებული, რომ მებატონეები მშრომელ ხალხში ადამიანურ გრძნობას არ ხედავენ და ყმებს, როგორც ნივთებს, ისე უცქერიან. ყმა გლეხის ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ მას არაფერი ახარებს. თუ ლამაზი და მშვენიერი ასული გაუჩნდა, ეს კიდევ უფრო სამწუხარო ხდება მისთვის, რადგან ან გაუყიდიან, ან ნამუსს ახდიან:

„თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება,—
მონავ, ჩაგრულო, ვითამ შენს გულსა
სასიხარულოდ ეგე ექნება?!
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკლენ შეუბრალებლად
და წრფელსა გულში ღვარძლს ჩაასმიან,
გახდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრევლად“.

; ასეთი სურათის მნახველ მშობელს კი ისღა დარჩება, რომ ასულის ნაცვლად გველის გაჩენა ინატროს.

მიუხედავად ამისა, ი. ჭავჭავაძეს სწამს მშრომელი ხალხის უკეთესი მომავალი. იგი ხედავს, რომ მონობის ბორკილი დასამსხვრევადაა გამზადებული; მას სჯერა ხალხის ძალისა და ესმის მისი რევოლუციური აბობოქრების მნიშვნელობა. პოეტი ამხნევებს შრომის შვილს:

„შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევლად გამზადებულა“.

ი. ჭავჭავაძე პირდაპირ აცხადებს, რომ მომავალი მხოლოდ მშრომელ ხალხს ეკუთვნის და ამ ისტორიულ კანონზომიერებას ვერაფერი შეაჩერებს. მისი თქმით, მეცხრამეტე საუკუნის ვალი სწორედ შრომის განთავისუფლება და ახალი ნერგის აყვავებაა:

„შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
შაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი

შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღუვალების".

ამ სიტყვების თქმა მაშინ შეეძლო მხოლოდ ისტორიული მოვლენების ღრმა მცოდნეს, უცთესი მომავლის ჭეშმარიტ მომღერალს, რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე მტკიცედ მდგომ მოაზროვნეს. სწორედ ამიტომ იქცა „აჩრდილი" არა მარტო ახალგაზრდა ი. ჭავჭავაძის, არამედ მთელი ახალი ქართული ლიტერატურის საპროგრამო ნაწარმოებად იმ პერიოდში.

ი. ჭავჭავაძე აღფრთოვანებული იყო „ძველი წყობის დღე და დღე რღვევით" და შრომის განთავისუფლების მოახლოებით. მშრომელი ხალხის მესაიდუმლე პოეტი ყველა ჩაგრულს მიმართავდა:

„მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,
არც ვის ემონე და არც იმონებ".

პოეტს ღრმად სწამს, რომ დადგება დრო, როცა ხალხთა შორის თანასწორობა დამყარდება და გუთნისდედაც მხიარული გულით იტყვის თავისუფლების სიმღერას.

ჯერ კიდევ 1857—1858 წლებში დაწერილ დაუმთავრებელ მოთხრობა „ცხოვრების გამონაცადი და გამონაფიქრში" ი. ჭავჭავაძემ ყურადღების ცენტრში დააყენა სოციალური უთანასწორობით გამოწვეული ადამიანური ტრაგედია. მწერალმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა ფაქტორი განსაზღვრავდა ადამიანის შომავალს ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში. იგი აღშფოთებული იყო იმით, რომ სოციალური წარმოშობა წარმართავდა ადამიანის მთელ მომავალ ცხოვრებას, რის გამოც „ბევრნი დაძალიან ბევრნიცა სწყევლიან ხოლმე თავის გაჩენის დღესა".

„აჩრდილში", როგორც ვნახეთ, პოეტმა მკაცრად დაგმო სოციალური უთანასწოროზის ნიადაგზე „აღშობენებული ბოროტება და ამ ბოროტების დამცველი ბატონყმური სისტემა". მაგრამ მან მაინც საჭიროდ ჩათვალა უფრო კონკრეტულ ვითარებაში წარმოედგინა ბატონყმური ურთიერთობის სიმახინჯე და ეჩვენებინა მისი მოსპობის საიმედო გზა. ამ მიზნით ი. ჭავჭავაძემ, პირველ ყოვლისა, დაწერა პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ" (1860 წ.).

ი. ჭავჭავაძე დასახელებულ პოემაში იძლევა ბატონყმური ცხოვრების შეუფერავ სურათებს. იგი მთელი დამაჯერებლობით ააშკარავებს იმას, რომ ბატონყმური ურთიერთობა საზოგადოებას ყოფს ორ არათანასწორ ნაწილად. უმცირესობის წარმომადგენლები — მებატონეები აღჭურვილი არიან შეუზღუდველი უფლებებით, მათ თვალში მხოლოდ ნივთის ფასი და მნიშვნელობა აქვს საზოგადოების უდიდეს ნაწილს — მშრომელ ხალხს. ასეთი უფლებები და უზრუნველი ცხოვრება კი მება-

ტონეებს ადამიანურ მორალს აკარგვინებს და სისხლისმწოველ არსებებად აქცევს. პოეტი მათ ადარებს მხეცებს, რომელთაც ადამიანური გული, ცხადია, არ გააჩნიათ.

ძნელი არაა იმის წარმოდგენა, თუ რა რეზონანსი უნდა ჰქონოდა ბატონყმურ საქართველოში ი. ჭავჭავაძის მიერ ნათქვამ სიტყვებს:

„რა გავაგრძელო, თავადის-შვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!“

პოეტი მკითხველს მკაფიოდ უჩვენებს, რომ ყმის ბედნიერება არ შეიძლება ხანგრძლივი იყოს. ამიტომ, „თუ ყმასა გუშინ ბედი ჰქონია, არ იჯერებს, რომ დღესაც ექნება“.

ი. ჭავჭავაძეს აღელვებს მშრომელი ხალხის ასეთი მძიმე ხვედრი, მაგრამ კმაყოფილებას გრძნობს იმით, რომ გლეხობას შეუგნია თავისი მდგომარეობა და ცდილობს გამოსავალი იპოვოს. პოემის ერთ-ერთი მთავარი გმირი ზაქრო მის ბედში მყოფ კაკოს ასე მიმართავს:

„ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი
ყოველთვის, ძამო, არის საფრთხეში,
გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი
ვერა, ვერ გაძლებს ბატონის ხელში...“

ასეთ შეგნებამდე მისულ კაკოსა და ზაქროს სიცოცხლისათვის გამოუსალმებიათ თავიანთი მებატონეები და თავი ტყისათვის შეუფარებიათ. მართალია, მათ დაუტოვებიათ ოჯახი, მშობლიური კუთხე, ახლობელი ადამიანები და უსახლკაროდ, მხეცებივით ტყეში არიან, მაგრამ მაინც უფრო ბედნიერად გრძნობენ თავს. ახალგაცნობილ ზაქროს კაკო ასე უხასიათებს თავის ცხოვრებას:

„მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება
ძუნწი ცხოვრება ეს დასაღონი,
მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი“.

თავისუფალ მკლავსა და „რკინის ძმებს“ — დამბაჩასა და ხმალს კაკო უკვე აღარაფერზე გაცვლის. მას დიდ სიმდიდრედ მიაჩნია ის, რომ მის „სამეფოში არ არის გმობა“, და თუ ორგულებს არ ინდობს, ერთგულებთან ძმობა კარგად იცის.

ი. ჭავჭავაძემ პოემაში მთელი სიმპათიით წარმოადგინა ის გმირები, რომლებმაც იარაღი აღმართეს მებატონეების წინააღმდეგ და უარყვეს მონური ცხოვრება. მაგრამ მხოლოდ ეს როდი შეადგენს ამ პოემის იდეურ ღირსებას. პოეტს მთავარი ყურადღება იმაზე გადააქვს, რომ გვიჩვენოს — კაკო და ზაქრო დიდხანს არ დარჩებიან მარტო, მათ გზას სხვებიც მალე გაჰყვებიან. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, საყურადღებოა კაკოსაკენ მიმავალი ზაქროს შეხვედრა მეურმესთან. მეურმემ, რომელმაც შეიტყო ზაქროს გადაწყვეტილება, შურით წარმოთქვა: „ახ, ნეტავი შენ“, შემდეგ კი „ისევ, უფრო მწუხარედ, თავის სიმღერა დაიღუღუნა“.

ბევრი რამ თქვა ამით პოეტმა! აშკარაა, რომ სხვების გულშიც ბუ-

დობს ის ბოლმა, რომელმაც ზაქროს თოფი ააღებინა; ნიშანდობლივია ისიც, რომ ზაქროს მომავალი ხვედრი უკვე შესაშური გამხდარა.

ი. ჭავჭავაძეს კიდევ უფრო ღრმად უნდა წარმოადგინოს ყმა გლეხობის უკმაყოფილება და მზადყოფნა — ფიზიკურად გაუსწორდეს სულთამხუთავებს. ამ მიზნით იგი პოემაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ლეგენდარულ მეამბოხე გლეხ არსენასადმი ხალხის მოწიწებისა და სიყვარულის ჩვენებას. არსენას თავგადასავალი იზიდავს, ზრდის და ახალისებს ახალგაზრდობას, რომელსაც სურს მიბაძოს მის მაგალითს. თავის თავგადასავალს რომ აცნობს, ზაქრო ასე მიმართავს კაკოს:

„არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.
ეგრეთ გონება ხალისიანი
არსენას ამბით მე მეზრდებოდა;
მიყვარდა მე ის კეთილდღიანი
და არსენობა მენატრებოდა".

თვით კაკოს სახელიც შორს გავარდნილა და „ბავშვმაც კი იცის, ვინ არის კაკო". ზაქროს თქმით, მასზე ლაპარაკობს კაცი და ქალი, ვისაც ენა აქვს, ყველა მას აქებს.

„შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,
გამოქცევიხარ უსამართლობას,
ამბობენ, თურმე გიყვარს გლეხკაცი,
ბარაქალა მაგ გულკეთილობას..."

არსენა და კაკო იდეალურ გმირებად ჰყავს წარმოდგენილი სოციალური ჩაგვრით განაწამებ ხალხს. ეს არაა მცირე მნიშვნელობის მოვლენა. პოეტი აშკარად დგას ბატონყმური სისტემის რევოლუციური გზით მოსპობის მომხრეთა მხარეზე.

ი. ჭავჭავაძე ადამიანის, გმირის მოქალაქეობრივ ღირსებას ხედავს არა იმაში, რომ ბედში მყოფი უყვარდეს, არამედ იმაში, რომ დაჩაგრულს იცავდეს. ამაზე მეტყველებენ ჰუმანიზმით გაჟღენთილი მისი სიტყვები:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!"

მეტად მნიშვნელოვანია პოემის დასასრულიც. თავგადასავლის თხრობის შემდეგ მწუხარე ზაქრო პირქვე დაეცემა და კაკოსაც ნაღველი დაეუფლება. ამ სურათის აღმწერი ავტორი კი ამბობს:

„ამ ორს გულში რა ბალღამიც დუღდა,
წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა".

მართლაცდა, ყველაფერი ნათელია. მკითხველი რწმუნდება, რომ მონური მდგომარეობისაგან ხალხის თავდასაღწევად აუცილებელია ბატონყმური სისტემის მოსპობა. მწერლის იდეური ხედვაც აქეთკენაა მი-

ძართული.

თავისი უკანდავი ნაწარმოებები „გლახის ნაამბობი", „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ" და „კაცია ადამიანი?!" ი. ჭავჭავაძეს ერთი ხელის მოსმით არ შეუქმნია—წლების მანძილზე ამუშავებდა მწერალი მათ სიუჟეტურ ჩონჩხს. ჯერ კიდევ 1859 წლამდე ილიამ დაწერა მოთხრობა „კოლა", რომელიც არ დაუმთავრებია, მაგრამ იგი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც შეიცავს იმ მხატვრულ დეტალებს, რომლებიც მწერალმა შემდეგ ვრცლად წარმოადგინა თავის ტრილოგიაში. ამასთან სანამ ეს უკანასკნელი შეიქმნებოდა, ილიას „კოლა" გადაუმუშავებია, მისი სიუჟეტური ხაზები განუვითარებია, გაუღრმავებია და სათაურიც შეუცვლია („კოლას" ნაცვლად „კაკო" დაურქმევია"). მაგრამ ილია ვერც ამ გადამუშავებულ ვარიანტს დაუკმაყოფილებია და გადაუწყვეტია თავისი მხატვრული ჩანაფიქრი სამ დამოუკიდებელ ნაწარმოებად გადმოეცა,რაც ასე წარმატებით განუხორციელებია. ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, თუ რა დიდ ყურადღებას უთმობდა მწერალი ბატონყმური ურთიერთობის მთელი სიმახინჯის გამოტანას მზის სინათლეზე და შეუნელებელ ბრძოლას ამ ურთიერთობის წინააღმდეგ. ი. ჭავჭავაძის ყველა პროზაული ნაწარმოები, „მგზავრის წერილების" გამოკლებით, სოციალური საკითხისადმი არის მიძღვნილი.

დაუმთავრებელ მოთხრობა „კაკოში" მოცემული სიუჟეტური ხაზების ცალკეულ ნაწარმოებებად დამუშავების გზაზე პირველი ნაბიჯი „გლახის ნაამბობი" იყო. ამიტომაც ავტორი ამ მოთხრობას თავის „პირმშოს" უწოდებდა. „გლახის ნაამბობის" წერა ი. ჭავჭავაძემ 1859 წელს დაიწყო. ამავე წელს დაამთავრა მან მისი პირველი ნაწილის პირველი ვარიანტი, რომელიც შემდეგ კვლავ გადაამუშავა. ნაწარმოების მეორე ნაწილი კი 70-იან წლებში დაწერა. ამიტომ ჩვენ ამჟამად მის შესახებ დაწვრილებით არ ვიმსჯელებთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ პირველი ნაწილის პირველ ვარიანტში უკვე საკმაოდ სრულად გამოითქვა ის იდეა, რომელიც საფუძვლად უძევს ამ ნაწარმოებს. კერძოდ, ილიამ ხაზი გაუსვა იმ ჭეშმარიტებას, რომ ბატონსა და ყმას შორის სიყვარულის ხიდის გადება შეუძლებელია. მან ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ბატონყმურმა ურთიერთობამ არა მარტო მებატონეები გადააგვარა ზნეობრივად, არამედ ზოგიერთი ყმის სულიც გარყვნა (ამ მხრივ საყურადღებოა გიტოს სახე).

ი. ჭავჭავაძემ მაღალი ოსტატობითა და დიდი გემოვნებით განახორციელა „კაკოში" მოცემული პარალელური სიუჟეტური ხაზების გადაჯგუფება და მათი დამუშავება სამ დამოუკიდებელ ნაწარმოებად. კერძოდ, „გლახის ნაამბობში" მწერალმა მთელი სისასტიკითა და დამაჯერებლობით გამოხატა მებატონეთა ზნეობრივი გადაგვარება, „კაცია ადამიანში" — მათი გონებრივი სიღარიბე და დაკნინება, ხოლო „რამ-

დენიმე სურათში“ — ის დიდი ბოღმა და შურისძიების წყურვილი, რომელიც გლეხობაში აუცილებლად უნდა გამოეწვია ასეთ რეგვენ და უხნეო მებატონეთა პარპაშს.

ი. ჭავჭავაძეს, ცხადია, ერთი წუთითაც არ ავიწყდება კოლონიური ჩაგვრის სიმძიმე, მეფის სატრაპთა არაადამიანური დამოკიდებულება ადგილობრივი ხალხის მიმართ. მაგრამ ისტორიის გაკვეთილები პოეტს უფლებას აძლევს თქვას:

„ვერა, ვერ პმართონ ვერსად ერი იმა მპრართველთა,
ვისც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწყნარება“.
(„აჩრდილი“)

აღნიშნულ საკითხს ი. ჭავჭავაძე კლავე დაუბრუნდა და ვრცლად შეეხო პოემა „დედა და შვილში“. ეს პოემა ილიამ უძღვნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობის ჩვენებას. პოემას გაკეთებული აქვს საგანგებო ქვესათაურიც — „სცენა მომავალ ცხოვრებიდამ“. ხოლო შესავალში, რომელიც ავტორის თანამოაზრე მეგობრისადმი მიძღვნას წარმოადგენს, ვკითხულობთ:

„აჰა, იმ დროთგან ერთი სახე ამოღებული,
რომელნიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ,
რომელთ იმედი, ღვთიურ სხივით გაბრწყინებული,
დღესაც გულში გვაქვს მტკიცე რჯულად, ძმაო, მე და შენ.

მყოფადს ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა
და ეს ვიხილე, — მომიტევე მე სითამამე...“

როგორც ვხედავთ, პოეტის მიზანია მომავალი ცხოვრებიდან დაგვიხატოს ის სურათი, რომელიც მას იდეალურად მიაჩნია: კავკასიელ ხალხთა ერთობლივი ამხედრება ეროვნული თავისუფლებისათვის, რასაც ვაჟკაცური სული შთაუბერავს არა მარტო ჭაბუკთათვის, არამედ სნეული დედებისთვისაც.

სიკვდილის პირამდე მისული ქართველი დედა შვილისაგან შეიტყობს დიდი ხნის სანატრელ ამბავს:

„მოვიდა დიდ ხნის სანატრელი, დედავ, ამბავი:
ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა,
მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით აღმომქშინავი,
ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა“.

მოხუც დედას ამის შემდეგ სადარდებლად მხოლოდ ის რჩება, რომ მისი მზე მაშინ ჩადის, როცა მის ხალხს ბედნიერება უახლოვდება და რომ ამ ნეტარ დღეს მარტო ერთადერთი შვილი შეუძლია გაგზავნოს მამულის წმიდათაწმიდა სამსხვერპლოზე:

„მე ვწუხვარ მასზედ, რომ ჩემს მამულს ამ ნეტარს დღესა
მხოლოდღა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი“.

დედისათვის იოლი როდია შვილის სიკვდილი, მამულისა და ძის სიყვარული ერთმანეთს ებრძვის, მაგრამ პატრიოტ დედას კარგად ესმის, რომ იგი არის ქართველის დედაც და უფლება არა აქვს შვილი დაიშუროს მამულისათვის. არც შვილისთვისაა ადვილი სნეული დედის მიტოვება, „მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გმობა“.

პოემა „დედა და შვილი“ ეროვნული თავისუფლების მგზნებარე ჰიმნია. ნაწარმოების მთელი დედააზრი ისაა, რომ თავისუფლებაზე უფრო კეთილშობილური სხვა არაფერია, რომ სამშობლოს სიყვარულზე უფრო ძლიერი გრძნობა არ არსებობს. ამაზე მეტყველებს პოემაში დახატული დედის სახეც. დედა, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელი წუთებიღა დარჩენია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პათოსით აღფრთოვანებული ამბობს:

„თუმცა სიცოცხლე სნეულთათვის წვალება არი,
მაგრამ, პე ღმერთო, გმადლობ, ამ დღეს რომ შემასწარი
და აქამომდე არ მოპკეთე ჩემი ცხოვრება:
ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს,—
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!...
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება!“

ჩაგვრის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ მებრძოლი პოეტი თავისუფლებას აცხადებს საზოგადოებრივი პროგრესის საფუძვლად. თავისუფლებაში ხედავს იგი მშვიდობასა და სიმართლეს, მშრომელთა ნავსაყუდელსა და ჩაგრულთა საფარს:

„თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა“.

მაგრამ პოეტი არც იმას ივიწყებს, რომ თავისუფლებას მტრად ჰყვანან მტარვალნი, რომელთაც არ სურთ მშვიდობა და სამართალი. ისინი მუდამ იმას ცდილობენ, რომ ადამიანთა რაც შეიძლება დიდ ნაწილს მოუსპონ თავისუფალი ცხოვრება. ამიტომაც თავისუფლების მოპოვება უბრძოლველად არ ხერხდება, იგი სისხლსა და მსხვერპლს მოითხოვს:

„თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!
რად არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?“

ასე მსჯელობს ი. ჭავჭავაძის დედა, რომელიც შვილს ბრძოლაში აგზავნის და იცის, რომ უკანასკნელად უცქერის მას.

პატრიოტული გრძნობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეის ის დახასიათება, რომელიც დედისა და შვილის დიალოგში არის მოცემული, ი. ჭავჭავაძემ კიდევ უფრო დამაჯერებელი გახადა ქართველ ჯარისკაცთა სიმღერით, რომელიც დედასა და შვილს ქუჩიდან შემოესმით. ამ სიმღერით აშკარა ხდება, რომ პოემაში გამოყვანილი დედა და შვილი გამონაკლისნი როდი არიან: მათ მსგავსად ფიქრობს და გრძნობს ბევრი სხვაც. ჯარისკაცთა სიმღერაში აშკარად ისმის მოწოდება — ყველამ მოჰკიდოს ხელი იარაღს და სისხლი დაღვაროს მამულისათვის. მათ შეგნებული აქვთ, რომ „თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა“ და „ვაჟკაცის გამომჩენელიც მტერთან გულდაგულ ომია“. ქართველ მებრძოლთა პირით პოეტი ამბობს:

„თავისუფლების მშოვნელი
ამქვეყნად მარტო თოფია,
შინ უღლით გაქნილს მშვიდობას
ომში სისხლის ღვრა სჯობია“.

როგორც ვხედავთ, დრამატულ პოემა „დედა და შვილში“, რომელიც ი. ჭავჭავაძემ თავისი ხალხის მომავალი ცხოვრების ჩვენებას მიუძღვნა, ავტორი მთავარ საკითხად აყენებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის უმაღლეს ეტაპზე აყვანას. მისი საოცნებო იდეალია ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან თავისუფალი საქართველო.

ი. ჭავჭავაძე როგორც მოაზროვნე 60-იან წლებში იმ შეხედულებისაა, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატების წინაპირობას წარმოადგენს დრომოჭმული სოციალური ურთიერთობის — ბატონყმობის გაუქმება: ბატონყმური ურთიერთობით დაბეჩავებულ და გაუნათლებელ ხალხს ნაკლებად შესწევს უნარი იბრძოლოს ეროვნული თავისუფლებისათვის. ამიტომ პირველი რიგის ამოცანაა ბატონყმური სისტემის მოსპობაო. ცხადია, შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა პოეტის განსაკუთრებული ინტერესი ბატონყმური ცხოვრების უარმყოფელ ნაწარმოებთა შექმნისადმი ამ პერიოდში. პოემა „აჩრდილი“, დაუმთავრებელი ესკიზები „კოლა“ თუ „კაკო“ და მათში დასახულ მოტივებზე აგებული ტრილოგია („რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი?!“) სწორედ ამ ინტერესზე მეტყველებენ.

ერთი მხრივ, ბატონყმური ბორკილების დასამსხვრევად გაშხადება და მეორე მხრივ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების აღმავლობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში`ი. ჭავჭავაძეს უნერგავს მშობელი ხალხის ბედნიერი მომავლის ღრმა რწმენას. გარიბალდის გმირული ბრძოლები აღაფრთოვანებს პოეტს და ნატრობს თავის სამშობლოშიც იხილოს ბორკილების მსხვრევა:

„მესმის, მესმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტერევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნველად მონობისა.
აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმოგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში!"

(„მესმის, მესმის")

საყურადღებო დეტალია ისიც, რომ ი. ჭავჭავაძე ფიქრობდა მოხალისედ წასულიყო გარიბალდისთან. მას აინტერესებდა უშუალო მონაწილეობა მიეღო იმ ბრძოლებში, რომლებიც იმედს უსახავდნენ და არწმუნებდნენ თავისი ხალხის უკეთეს მომავალშიც.

ი. ჭავჭავაძის ფიქრები 60-იან წლებში მიპყრობილია ეროვნული თავისუფლებისაკენ, ცარიზმისა და ბატონყმური სისტემის მოსპობისაკენ. სხვაგვარად მას არ წარმოუდგენია სამშობლოს ბედნიერება და აყვავება. მის თვალს ახარებდა გაზაფხულის მიერ გაღვიძებული და გალამაზებული ბუნება, მაგრამ გულში ნაღველი მაინც არ უქრებოდა სამშობლოს მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ხვედრის გამო:

„აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსღა აყვავდები!"

(„გაზაფხული")

სამშობლოსა და მშობელი ხალხის სიყვარული არ ასვენებდა ახალგაზრდა ილიას, რომელმაც თავისი პოეტური დანიშნულება გარკვევით ჩამოაყალიბა ლექსში „პოეტი" (1860 წ.).ამ ლექსში იგი გვაცნობს თავის კეთილშობილურ მიზანს — წინ წარუძღვეს ერს და მასთან იყოს განუყრელად „ჭმუნვასა და სიხარულში". პოეტს არ სურს იმღეროს ვით ფრინველმა, პოეზია მას მხოლოდ ტკბილ ხმათა მუსიკალურ აკორდად როდი მიაჩნია:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა".

ამგვარად, იგი გარკვეულად უპირისპირდება გოეთეს, რომელიც ამბობდა: „მე ვიმღერი, ვით მღერის ფრინველი" („Ich singe, wie der Vogel singt").

პოეტი თავის მუზას მიზნად უსახავს მოსწმინდოს ხალხს ტანჯვის

ცრემლი და იყოს მისი გულის მესაიდუმლე:

„დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული..."

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძემ 60-იანი წლებისათვის ერთი მხრივ, გააღრმავა და განავითარა 40—50-იანი წლების ქართველ რეალისტთა შემოქმედებაში წინა რიგზე წამოწეული სოციალური საკითხი, ხოლო, მეორე მხრივ, ახალი გაგება და ახალი მიმართულება მისცა რომანტიკოსთა პოეზიის ძირითად მოტივს — ეროვნულ მოტივს. მანვე, პირველმა ჩვენს ლიტერატურაში, ჯერ კიდევ შემოქმედების ადრეულ პერიოდში (1857—1860 წწ.) მოგვცა მწერლის მოვალეობისა და ლიტერატურის დანიშნულების რეალისტური გაგება. საერთოდ, ი. ჭავჭავაძემ წარმატებით შეძლო მთელი წინა პერიოდის ჯანსაღი ლიტერატურული ტრადიციების შემოქმედებითი ათვისება და განვითარება ეპოქის მოთხოვნილებათა შესაბამისად.

ის სიღრმე და სიდიადე, რაც ქართულ რომანტიზმს ნ. ბარათაშვილმა შესძინა, ქართულ კრიტიკულ რეალიზმს ი. ჭავჭავაძემ მისცა. ი. ჭავჭავაძემ დაიწყო და განაგრძო იქიდან, სადაც დაამთავრა ნ. ბარათაშვილმა, თანაც განაგრძო ფხიზელი რეალისტური ხედვით და თანადროული ცხოვრების მოთხოვნათა შესატყვისად. ამიტომაა, რომ მათ შორის დიდ სხვაობასთან ერთად დიდი მსგავსებაცაა (ცხადია, შესაფერ ეპოქათა ფონზე). მახვილი გონებითა და ხედვით დაჯილდოებულმა ა. წერეთელმა ადრევე შენიშნა ეს გარემოება და ჯერ კიდევ 1865 წელს თქვა: „ბარათაშვილი და ჭავჭავაძე ერთს ტახტზე სხდომის ღირსნი არიან, ერთგვარი დამსახურება აქვთ ჩვენს ლიტერატურაში, ერთგვარად დაუვიწყარები არიან, ერთის გაუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ; ერთის უმეორესით გაგება ძნელია"[17].

ა. წერეთელს, ბუნებრივია, ყველაზე სწორად ჰქონდა გაგებული ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ხასიათი და მნიშვნელობა. თავისი მოღვაწეობით იგი ყოველთვის მხარში ედგა ი. ჭავჭავაძეს და მასთან ერთად იხვეჭდა დიდი რეალისტი მწერლის სახელს. ამიტომაც ქართველი მკითხველი ერთმანეთისაგან არ აცილებს ამ ორ საყვარელ სახელს: ილიასა და აკაკის, აკაკისა და ილიას!

---

[17] ჟურნ. „ცისკარი", 1865, № 9.

„უნივერსიტეტი ისეთი სასწავლებელია, სადაც ყოველ ახალგაზრდას სწავლის ასპარეზი ეხსნება. ის სრულიადაც არ ჩამოგავს სხვა სასწავლებელს... იქ ყველა მოსწავლემ თვითონ უნდა იშრომოს, გზა ეძიოს, ისწავლოს“.

ნ. ნიკოლაძე

50-იანი წლებიდან ქართველმა ახალგაზრდობამ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს მიაშურა. განსაკუთრებით დიდი იყო ინტერესი პეტერბურგის უნივერსიტეტისადმი, რომელსაც უკვე ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული მთელ იმპერიაში.

რუსეთში სასწავლად მიმავალი ახალგაზრდები უმთავრესად საქართველოს სამხედრო გზით მიემგზავრებოდნენ. ამიტომ მათ მქუხარე და მოუსვენარი თერგის ხეობა უნდა გაევლოთ. ხოლო იმის გამო, რომ უმაღლეს სასწავლებლებში განათლებამიღებულ ახალგაზრდებთან კონსერვატორულად განწყობილი არისტოკრატია საერთოს ბევრს ვერაფერს ნახულობდა, ირონიულად მათ თერგდალეულები და რუსეთუმეები უწოდეს.

ყველა თერგდალეული და რუსეთუმე, ცხადია, ერთი მიმართულებისა არ ყოფილა და ისტორიამაც თერგდალეულთა სახელი დაუმკვიდრა მხოლოდ მათ, რომლებმაც ჭეშმარიტად გაიზიარეს და შეითვისეს რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეები.

„თერგდალეულთა“ ეს ჯგუფი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა 60-იან წლებში. მათი როგორც მწერლების, პუბლიცისტების, კრიტიკოსებისა და, საერთოდ, როგორც მოღვაწეების ჩამოყალიბება მოხდა ძირითადად სტუდენტობის პერიოდში.

1857—1863 წლები, როდესაც თერგდალეულებს უხდებოდათ პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნა, მეტად მნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდება რუსეთისა და ასევე საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. ეს ის პერიოდია, როცა რევოლუციურ-დემოკრატიულმა იდეებმა გააერთიანა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები და აშკარად გამოჩნდა მოწინააღმდეგეთა ბანაკიც, რომელიც იძულებული გახდა მნიშვნელოვან დათმობაზე წასულიყო და გადაესინჯა თავისი პოლიტიკა; როცა გლეხთა აჯანყებებითა და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გავრცელებით შეშინებულმა მეფის მთავრობამ ანტონყმური ურთიერთობის „ზემოდან“ მოსპობა გადაწყვიტა.

ამგვარად, ეს პერიოდი მოიცავს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და რევოლუციური სიტუაციის აღმავლობის ხანასაც.

რევოლუციური სიტუაციის დახასიათებისას ვ. ი. ლენინი წერს:

„როგორია, საერთოდ რომ ითქვას, რევოლუციური სიტუაციის ნიშნები? ჩვენ უეჭველად არ შევცდებით, თუ აღვნიშნავთ შემდეგ სამ მთავარ ნიშანს: 1) შეუძლებლობა გაბატონებული კლასებისთვის — შეინარჩუნონ უცვლელი სახით თავიანთი ბატონობა; „ზედაფენების“ ესა თუ ის კრიზისი, გაბატონებული კლასების პოლიტიკის კრიზისი, რომელიც ქმნის ბზარს, რაშიც ამოხეთქავს ჩაგრული კლასების უკმაყოფილება და აღშფოთება. რევოლუციის დაწყებისათვის ჩვეულებრივ საკმარისი არ არის, რომ „ქვედაფენებს არ უნდოდეთ“ ძველებურად ცხოვრება, არამედ საჭიროა კიდევ, რომ „ზედაფენებს არ შეეძლოთ“ ძველებურად ცხოვრება. 2) ჩაგრული კლასების გაჭირვებისა და უბედურების გაძლიერება ჩვეულებრივზე მეტად. 3) აღნიშნული მიზეზების გამო, მასების აქტივობის მნიშვნელოვნად გადიდება; ისინი „მშვიდობიან“ ეპოქაში მშვიდად აძარცვინებენ თავს, ხოლო მღელვარე ხანაში, როგორც კრიზისის მთელი ვითარება, ისე თვითონ „ზედაფენები“ იწვევენ მათ დამოუკიდებელ ისტორიულ გამოსვლას“[18].

ვ. ი. ლენინის მიერ მოცემული ეს გენიალური დახასიათება აშკარას ხდის, რომ 1859—1861 წლები რუსეთის ისტორიაში იყო რევოლუციური სიტუაციის აღმავლობის წლები. ამ გარემოებას, ცხადია, ხელი შეუწყო მრავალმა ისტორიულმა მოვლენამ, რომლებმაც თავი იჩინა რუსეთსა და ევროპაში. ვ. ი. ლენინი შენიშნავს: „დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლება ევროპაში, მღელვარება პოლონეთში, უკმაყოფილება ფინეთში, პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნა მთელი პრესის და მთელი თავადაზნაურობის მიერ, „კოლოკოლის“ გავრცელება მთელს რუსეთში. ძლიერი ქადაგება ჩერნიშევსკისა, რომელსაც ლეგალური სტატიებითაც კი შეეძლო ნამდვილი რევოლუციონერების აღზრდა, პროკლამაციების გაჩენა, მღელვარება გლეხებისა, რომლებსაც „ძალიან ხშირად“ სამხედრო ძალისა და სისხლისღვრის საშუალებით აიძულებდნენ იმ „დებულების“ მიღებას, რომელიც სულიანხორციანად ფცქვნიდა მათ, აზნაურ მომრიგებელ მოსამართლეთა კოლექტიური უარი ასეთი „დებულების“ გატარებაზე, სტუდენტების არეულობა — ასეთ პირობებში უაღრესად ფრთხილსა და ფხიზელ პოლიტიკოსსაც კი უნდა ეღიარებინა, რომ რევოლუციური აფეთქება სავსებით შესაძლო იყო და გლეხთა აჯანყება მეტად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა“[19].

ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები ნათელყოფენ, თუ რამ განაპირობა ქართველ სამოციანელთა ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ინტერესები და რა ვითარებაში ჩამოყალიბდა მათი სოციალურ-პოლიტიკური და ეს-

---

[18] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 21, გვ. 248.

[19] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 5, გვ. 34—35.

თეტიკური შეხედულებანი.

თერგდალეულებს პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა უხდებოდათ მაშინ, როცა რუსეთის რევოლუციურ მოძრაობას ახალი ძალა და მიმართულება მისცეს რაზნოჩინელებმა; როცა ეს ახალი ძალა პოლიტიკურ-ლიტერატურული მოღვაწეობის არენაზე გამოჩნდა თავისი სახელოვანი ბელადებით — ჩერნიშევსკითა და დობროლიუბოვით, რომელთა ისტორიული მისია ჯერ კიდევ ბელინსკის მიერ იყო მომზადებული.

ბუნებრივია, თერგდალეულთა შეხედულებების პროგრესულობა განისაზღვრებოდა იმით, თუ რა დამოკიდებულებაში იყვნენ ისინი რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებასთან. მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდი იყო. თერგდალეულთა იდეურ მიმართულებას რომ ჩვენს სინამდვილეში შესაფერი ძვრები მოეხდინა, ამისათვის საჭირო იყო ისინი ღრმად ჩასწვდომოდნენ თავიანთი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებებს. სამწუხაროდ, ყველას როდი აღმოაჩნდა იმის უნარი, რომ საფუძვლიანად შეეთვისებინა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეები და სწორად გაეთვალისწინებინა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათიც.

„თერგდალეულთა“ იდეური წინამძღოლი — ი. ჭავჭავაძე პირველი იყო ჩვენს სინამდვილეში, რომელმაც მართებულად გაიაზრა და მტკიცედ ჩამოაყალიბა ქართველი მოღვაწის ამოცანები და დანიშნულება რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრების შუქზე.

ი. ჭავჭავაძემ, პირველ ყოვლისა, სწორად გაიგო თავისი როგორც სტუდენტის დანიშნულება. მან მალე აუღო ალღო უნივერსიტეტის ცხოვრებას და დარწმუნდა, რომ პროფესორთა მიერ წაკითხული ლექციებისა და რეკომენდებული ლიტერატურის შესწავლა ბევრს არაფერს აძლევდა სტუდენტობას. მიუხედავად იმისა, რომ იგი საგნებს წარმატებით აბარებდა, გამოცდებისათვის მხოლოდ სესიების პერიოდში ემზადებოდა. მთელ დანარჩენ დროს კი იგი ახმარდა ისეთი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვას, რომლებსაც გვერდს უვლიდნენ უნივერსიტეტის პროფესორები. მაგრამ უდავოა ისიც, რომ ამ დასკვნამდე მისვლა ილიას გაუადვილეს უნივერსიტეტში მყოფმა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებმა. პეტერბურგის უნივერსიტეტში იყვნენ არაოფიციალური „პროფესორებიც“ — „სოვრემენნიკითა“ და მის მესვეურთა ნაწერებით გატაცებული სტუდენტები, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ ახალგაზრდობაზე.

ქართველ სტუდენტობაზე რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა გავლენა, უწინარეს ყოვლისა, იმით გამოიხატა, რომ მისმა მოწინავე წარმომადგენლებმა მტკიცედ გადაწყვიტეს მთელი თავიანთი ცოდნა და ენერგია სამშობლოს კეთილდღეობისათვის შეეწირათ; რევოლუციურ-

დემოკრატიულმა იდეებმა ისინი მოამზადეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის, და ამ მხრივაც მათ შორის პირველობა კვლავ ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

გარდა იმისა, რომ საფუძვლიანად ეცნობოდა ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და მათ გარშემო დარაზმულ მოაზროვნეთა მოძღვრებას, ი. ჭავჭავაძე დიდ როლს უთმობდა საქართველოს ისტორიის, ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის შესწავლასა და იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათის გაგებას.

ი. ჭავჭავაძეს ცოტა როდი უზრუნია იმისათვის, რომ პეტერბურგში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს ჰქონოდათ ისეთი ბიბლიოთეკა, რომელიც მათ გაუადვილებდათ სამშობლო ქვეყნის ისტორიისა და ლიტერატურის ღრმად შესწავლას. ნ. ნიკოლაძე, რომელიც ილიას სამშობლოში წამოსვლის შემდეგ ჩავიდა პეტერბურგში, იგონებს: „ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ და თავზე ევლებოდნენ მას“[20].

ი. ჭავჭავაძის მოწაფეობისა და სტუდენტობის მეგობრის კ. აფხაზის გადმოცემით, „უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური საგნები აინტერესებდა... მთელი წელიწადი სამოსწავლო საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ სხვა წიგნების კითხვაში იყო გართული, კითხულობდა სხვათა შორის ბევრ ქართულ წიგნებს“[21].

ილია დიდი ინტერესით ეცნობოდა და სწავლობდა რუს და ევროპელ კლასიკოსებს, ითვისებდა მათ მხატვრულ ოსტატობას. ბევრ მის ამხანაგს კი ილიას ასეთი მუშაობა დროის ფლანგვად მიაჩნდა და ახლად ჩასულთ აფრთხილებდნენ არ მიებაძათ მისი მაგალითისათვის. „ჩემს დღეში არ დამავიწყდება, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ის აზრი, რომელიც ერთმა უფროსმა სტუდენტმა... გამოთქვა.., როცა «Современник»-ის კითხვაზე წამესწრო:

— გაიხსენე ჩემი სიტყვაო, — მითხრა, — თუ შენც ისე არ წახდე, როგორც ი. ჭავჭავაძე წახდა. ისიც აქ შილერის, ბაირონის და ვალტერ სკოტის კითხვის მეტს არას შვრებოდა და... ისე წავიდა, რომ კურსი ვერ შეასრულა: უდიპლომოთ წაბრძანდა... აბა ახლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმანო“[22].

ამ სიტყვებიდან კარგად იგრძნობა, რომ ყველა ქართველ სტუდენტს ერთი მიზანი როდი ჰქონდა: ზოგი ფართო ცოდნის დაუფლებისათვის

---

[20] ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. 95.

[21] „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (კრებული), ტ. I, 1935, გვ. 563-564.

[22] ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, ტ. I. გვ. 67.

ათენებდა დამეებს, ზოგიც მაღალი თანამდებობის მიღებაზე ოცნებობდა. მაგრამ ჩვენთვის ამჯერად ისაა საინტერესო, რომ ი. ჭავჭავაძე მხოლოდ ქართველ მწერალთა შემოქმედების შესწავლით არ ყოფილა შემოფარგლული, იგი ასევე მონდომებით სწავლობდა რუს და ევროპელ მწერლებსაც. ამ გარემოებას ისიც ადასტურებს, რომ ილიამ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში თარგმნა პუშკინის, ლერმონტოვის, გოეთეს, შილერის, ბაირონის, ანდრე შენიეს, რიუკერტისა და სხვათა ნაწარმოებები, ხოლო შემდეგ მან ბრწყინვალედ თარგმნა შექსპირისა და ჰაინეს თხზულებანი. ამასთან თავის შემოქმედებაში იგი ხშირად იყენებდა გრიბოედოვის, გოგოლის, ნეკრასოვის, ტურგენევის, ტოლსტოისა და სხვათა მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებსა და მათ გამოთქმებს. 1860 წელს დაწერილ თავის საუკეთესო ლექსს — „მუშას“ ილიამ ეპიგრაფად წარუმძღვარა ნ. ნეკრასოვის სიტყვები:

«В труде проходит жизнь его
И не приносит ничего».

ასევე დიდი პატივისმცემელი იყო ილია ფრანგი და ინგლისელი გამოჩენილი რეალისტებისა.

აღარაფერს ვამბობთ ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის შესახებ, რომელთაც ი. ჭავჭავაძე თავის უშუალო მასწავლებლებად თვლიდა.

არა მარტო ნაწერებით, არამედ თურმე პირადადაც ახლოს იცნობდა სტუდენტი ილია ჭავჭავაძე ნ. ჩერნიშევსკის, რომლის მატერიალისტური ესთეტიკა შემდეგ მან მოხდენილად მოიმარჯვა კონსერვატორთა და ლიბერალთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ცნობილი ქართველი პუბლიცისტი რ. ხომლელი ერთ თავის წერილში საგანგებოდ შენიშნავს, რომ ნ. ჩერნიშევსკის „ჩვენი სტუდენტი ილია დაახლოვებით იცნობდა, როგორც ეს ჩემთვისა და ნ. ხიზანიშვილისათვის უთქვამს“[23].

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველი სტუდენტების დაახლოებას ნ. ჩერნიშევსკის ოჯახთან, რაც შემდეგ განსაკუთრებით განმტკიცდა, დასაწყისი სწორედ ი. ჭავჭავაძემ მისცა. ამას ადასტურებს ნ. ნიკოლაძის „მოგონებანი 60-იან წლებზე“. ნ. ჩერნიშევსკის ოჯახში თავის პირველ სტუმრობას რომ აღწერს, ნ. ნიკოლაძე შენიშნავს: „სტუმრების უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველი სტუდენტები უმაღლესი კურსებიდან“[24]. სტუდენტთა მღელვარების მონაწილე ბ. ღოღობერიძის შესახებ კი მესამე განყოფილების მასალებში ჩაწერილია: «...знаком с Чернышевским...»

ამგვარად, მაღალი კურსის ქართველ სტუდენტებს ნ. ნიკოლაძეზე

[23] გაზ. „შინაური საქმეები“, 1906, № 2.

[24] ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. 121.

ადრე ჰქონიათ მისვლა-მოსვლა ნ. ჩერნიშევსკის ოჯახში. ეს კი ის დროა, როცა ი. ჭავჭავაძე ქართველ სტუდენტთა აღიარებული ავტორიტეტი იყო.

საერთოდ, ი. ჭავჭავაძე სიკვდილამდე უდიდესი პატივისმცემელი დარჩა რუსული მწერლობისა, კერძოდ, დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა.

ი. ჭავჭავაძე ახასიათებს ყირიმის ომის შემდგომ პერიოდს, როცა მას პეტერბურგის უნივერსიტეტში უხდებოდა სწავლა, და წერს: „ახლად თვალახილულმა რუსეთმა, რაღა თქმა უნდა ჯერ თავის თავზედ დაიხედა... ნახა, რომ ზოგიერთი მაცხოვრებელი ძარღვი ჩასწყდომია, ჩირქი ჩასდგომია... შეუდგა მიზეზთა გამოძიებას: რამ იმოქმედა ასეო? ნახა, რომ მისი სნეულების სათავე — თითონ ცხოვრების წყობაა და აგებულება, ერთხელ და ერთხელ შემოღებული და გაუახლებლად დამკვიდრებული. უარჰყო იგი წყობა. უარჰყო ყოველივე, რაც კი იმ წყობას შესწევდა და ხელს უმართავდა. ამ არსებულის უარყოფამ წამოიწია იმ წრიდან, რომელსაც გონებით მცხოვრებს საზოგადოებას ეძახიან (გულისხმობს ინტელიგენციას — დ. გ.), რომელიც ყველგან და ყოველთვის ნუგეშია და იმედი ყოველის ერისა, და რომელიც ცხოვრების წარმატების უღლის თავში პირველი ჩადგება ხოლმე. ის საზოგადოება მთელის თავის ძალღონით მიაწყდა ამ უშველებელ საქმეს უარყოფისას, და ყოველს მის მოქმედებაში ან წუნი ან კიცხვაა დრო-გადასულის ძველისა, ან მოძღვრება და ნატვრა ნელად აკვიატებულის ახლისა. უკეთესნი წარმომადგენელნი ამ საზოგადოებისა — პოეზიაში, მეცნიერებაში თუ პუბლიცისტიკაში — სულ ამ დიდი საქმის მიმდევარნი იყვნენ დაუღალავად... ამ ახალ მიმართულების მესვეური იყო სახელოვანი „სოვრემენნიკი“[25].

ეს სიტყვები ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ იმაზე, თუ როგორი იყო სტუდენტ ილია ჭავჭავაძის შეხედულება იმდროინდელი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ და ვის მიიჩნევდა იგი ახალი აზრისა და მიმართულების მესვეურებად.

ილიას მტკიცე რწმენით, რუსეთის იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება მეტად ჩამორჩენილი იყო, ხოლო ამის მიზეზს არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობა წარმოადგენდა. მაგრამ ხალხმა, მისმა მოწინავე ნაწილმა უკვე იწყო ბრძოლა დრომოჭმული სისტემის წინააღმდეგ. ამ დიად საქმეს კი სათავეში ედგა „სოვრემენნიკი“ და მისი საუკეთესო მოღვაწენი: პოეზიაში — ნ. ნეკრასოვი, მეცნიერებასა და პუბლიცისტიკაში—ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი.

ასეთი შეხედულებისა და რწმენის მქონე ილია, რომელიც უკვე ქმნი-

---

[25] ი. ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, 1927, გვ. 18

და თავის შესანიშნავ მხატვრულ ნაწარმოებებს, იწყებს თანამოაზრეთა შემოკრებას და სჯა-ბაასს მშობელი ქვეყნის მომავლის შესახებ. სწორედ ამ მეგობართა წრეში გაშლილ პაექრობაში მიიღო მან ის წვრთნა, რომელიც აუცილებელი იყო იმდროინდელი ქართველი მოღვაწისათვის.

კ. აფხაზი იგონებს: „ჩვენ, სტუდენტები, ხშირად ვიკრიბებოდით და ვბაასობდით როგორც საზოგადო კითხვებზე, აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულს სამშობლოს მომავალზედ"[26]. ამ შეკრებებში რომ მთავარ როლს ი. ჭავჭავაძე ასრულებდა, ამას ნ. ნიკოლაძის მოგონებაც ადასტურებს, სადაც ვკითხულობთ: პეტერბურგში ახლად ჩასულს, კ. ლორთქიფანიძე სინანულით მეტყოდა ხოლმეო, „სანამ ი. ჭ. (ჭავჭავაძე) იყო აქ, მსჯელობასა და ლაპარაკს... მაინც გაიგონებდა კაცი... მამულის სიყვარულზე. ის წავიდა, და ეხლა რაუზერზე ან გოზეზე თუ გაიგონებ სჯას, მეტზე არაფერზეო..."[27].

ვფიქრობ, ამ შეკრებებზე გამოთქმულ ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს კარგად წარმოგვიდგენს, უპირველეს ყოვლისა, მისივე ლექსი „ქართველ სტუდენტთა სიმღერა" (1860 წ.). ილიას წამოსვლის შემდეგ ქართველ სტუდენტებს შორის შექმნილ ვითარებას ირონიული ფორმით, მაგრამ საკმაოდ სწორად გამოხატავს აკაკი წერეთლის ლექსიც „დედამ რომ შვილი გაზარდოს" (1861 წ.).

როგორც მწერალი და მოაზროვნე ი. ჭავჭავაძე სტუდენტობის წლებში ჩამოყალიბდა. ამიტომ იყო, რომ ისიც განსაკუთრებულად აფასებდა ამ წლებს: „ოთხი წელიწადი იყო, — წერს ილია „მგზავრის წერილებში", — რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასათვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლ-ყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა-ქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა".

განა შეიძლება ამაზე უკეთ დაახასიათოს ვინმემ სტუდენტობის წლების მნიშვნელობა ი. ჭავჭავაძის იდეური ფორმირების საქმეში?

---

[26] „ლიტერატურული მემკვიდრეობა" (კრებული). ტ. I, 1935, გვ. 364.
[27] ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. 63.

ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძეს უნივერსიტეტი არ დაუსრულებია და არც დიპლომი მიუღია. კითხვა ისმის: რატომ დატოვა ილიამ უნივერსიტეტი? არცთუ ისე ძნელად გასარკვევ ამ საკითხს ზოგიერთი მკვლევარი „პრობლემად“ ხდის და სხვადასხვაგვარ „მოსაზრებებს“ გვთავაზობს.

ი. ჭავჭავაძეს, ცხადია, სწავლა არ გასძნელებია, არც მხოლოდ ავადმყოფობას გაუხდია იძულებული სამშობლოში გამომგზავრებულიყო. მთავარი, რამაც მას საქართველოში დაბრუნება გადააწყვეტინა, ეს იყო უნივერსიტეტში შექმნილი ვითარება და თვით ილიას გონებაში მომწიფება იმ აზრისა, რომ მის ცოდნასა და ენერგიას სამშობლო ქვეყნის მომავალი და მშობლიური ლიტერატურის ინტერესები მოითხოვდნენ.

როდესაც ი. ჭავჭავაძემ უნივერსიტეტი დატოვა და საქართველოში გამოემგზავრა, ჟურნალ „ცისკარში“ უკვე იბეჭდებოდა მისი სტატია „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას-ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელიც გახდა საბაბი მწვავე იდეურ-ლიტერატურული ბრძოლისა 60-იან წლებში. ილიამ ადრევე იცოდა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მის სტატიას; იცოდა, რომ მას ცხარე და საპასუხისმგებლო ბრძოლის გადახდა ელოდა. ამიტომ, ბუნებრივია, იგი სამშობლოში გამოემგზავრა. ასეთი გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ უნივერსიტეტში უკვე შეუძლებელი ხდებოდა ნორმალური და ნაყოფიერი მეცადინეობა. თვითონ ილია შენიშნავს: „1861 წელს უკვე მეოთხე კურსზე ვიყავი, მაგრამ გავანებე თავი უნივერსიტეტს მაშინდელი საუნივერსიტეტო არეულობის გამო“. ცხადია, ამ „არეულობაში“ იგი არ გულისხმობს 1861 წლის სექტემბერში გამართულ სტუდენტთა დემონსტრაციებს, ვინაიდან მან უნივერსიტეტი მიატოვა ჯერ კიდევ 1861 წლის გაზაფხულზე (მაისში უკვე საქართველოში იყო).

როგორც ი. ჭავჭავაძის მეგობარი კ. აფხაზი გადმოგვცემს, მან და ილიამ უნივერსიტეტი დატოვეს „ეგრეთწოდებულ „მატრიკულების“ წყალობით, რომელიც შემოღებულ იქნა პეტერბურგის გენ. გუბერნატორის იგნატიევის წყალობით და მეცადინეობით“[28]. მაგრამ, ვიმეორებთ, ეს გარემოება მხოლოდ ხელშემწყობი ფაქტორი იყო იმისათვის, რომ ილიას მტკიცედ გადაეწყვიტა სამშობლოში გამომგზავრება. მთავარი მაინც მის მიერ უკვე დაწყებული იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის ინტერესები იყო.

---

[28] „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (კრებული), ტ. I, 1935, გვ. 564.

II. ი. ჭავჭავაძე და იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე

«Литература у народа, не имеющего политической свободы, — единственная трибуна, с высоты которой он может заставить услышать крик своего негодования и своей совести»[1].

А. И. Герцен

1

60—70-იან წლებში მკაცრი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა გაიშალა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებზე აღზრდილ თერგდალეულებსა და კონსერვატორულ-ლიბერალური[2] ბანაკის წარმომადგენელთა შორის. ბრძოლის საბაბი გახდა ი. ჭავჭავაძის სტატია „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელიც „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა 1861 წლის აპრილში.

ეს სტატია ი. ჭავჭავაძემ 1860 წლის ნოემბერში პეტერბურგში დაწერა და იქიდან გამოუგზავნა „ცისკრის“ რედაქციას. ამ დროს ი. ჭავჭავაძეს „ცისკრის“ მკითხველები უკვე იცნობდნენ როგორც ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს. ჟურნალის რედაქციაც კეთილგანწყობილ ურთიერთობაში იყო თავის პეტერბურგელ თანამშრომელთან და დროდადრო მადლობასაც უცხადებდა ხოლმე კარგი ნაწარმოების მოწოდებისათვის.

თვით ი. ჭავჭავაძეს მეტად უარყოფითი შეხედულება ჰქონდა „ცისკარსა“ და მის მიმართულებაზე. უფრო სწორად, მას სწამდა, რომ „ცისკარს“ არ გააჩნდა ერთი გარკვეული მიმართულება, რის გამოც ვერ ამა-

[1] А. И. Герцен. Полн. собр. соч. и писем, т. VI, 1919, გვ. 350.

[2] ვინაიდან რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეთა წინააღმდეგ ერთად გამოდიოდნენ ფეოდალურ-პატრიარქალური ყოფის დამცველი კონსერვატორი და ლიბერალურად განწყობილი მწერლები, ამიტომ მათ „კონსერვატორულ-ლიბერალურ ბანაკს“ ვუწოდებთ.

რთლებდა ჟურნალის დანიშნულებას. ილიას მოწონება მხოლოდ „მოლაყბის“ სტატიებმა დაიმსახურეს.

ი. ჭავჭავაძე, ბუნებრივია, ვერ ურიგდებოდა იმ გარემოებას, რომ ერთადერთი ქართული ჟურნალი ხელში ჰქონდათ ჩაგდებული კონსერვატორულ და მოკიბერალო პოზიციებზე მდგომ მწერლებს, რომლებიც ჟურნალის ფურცლებს „იცავდნენ“ მათთვის მიუღებელი იდეების მატარებელი ნაწარმოებებისა და წერილებისაგან. და თუ ასეთი რამ მაინც გაიპარებოდა ხოლმე, ისინი მაშინვე თავს ესხმოდნენ ავტორსა და რედაქტორს, იმუქრებოდნენ ჟურნალზე ხელის მოწერის შეწყვეტით და სხვ.

ი. ჭავჭავაძემ იცოდა ყოველივე ეს და შეუფერებლადაც მიაჩნდა „ცისკარში“ მოღვაწეობა, მაგრამ, ვინაიდან სხვა გზა არ ჰქონდა, იძულებული იყო „ცისკრის“ ფურცლებზე გამოექვეყნებინა ლექსები და სტატიები, მკითხველისათვის გაეცნო თავისი მრწამსი და მიმართულება. ამასთან „ცისკრის“ ჩამორჩენილობა თვით „ცისკრის“ ფურცლებსვე უნდა გამოემჟღავნებინა. ამგვარი ვითარება კი ი. ჭავჭავაძისაგან მოითხოვდა პრინციპულ, მაგრამ ფრთხილ მოქმედებას, რათა ჟურნალში ბეჭდვის გზა არ დახშობოდა.

საგანგებო დაკვირვების გარეშეც კი აშკარაა, თუ როგორ მოხერხებულად მოიგო რედაქტორის გული ი. ჭავჭავაძემ თავის პირველ სტატიაში. ამასთან მას ერთი წუთითაც არ უღალატია ჭეშმარიტებისათვის და დათმობაზე არ წასულა. პირიქით რედაქტორის მძიმე მდგომარეობის დახასიათებით მან კიდევ უფრო მკაცრად ამხილა „ცისკრის“ იდეური მესვეურები, რომელთა ხელში იყო ჟურნალის ეკონომიური ბაზაც.

ი. ჭავჭავაძის სტატიას მოჰყვა საპასუხო წერილები და კონსერვატორ-ლიბერალთა ბანაკის წარმომადგენელნი ძალაუნებურად ღია პოლემიკაში ჩაბმული აღმოჩნდნენ: უკან დახევა გვიანღა იყო და მათაც ცხარე ბრძოლა გააჩაღეს ი. ჭავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთაც ეს უნდოდათ, მათ შესაძლებლობა მიეცათ ადვილად გამოემჟღავნებინათ მოწინააღმდეგეთა მისწრაფებანი და მკითხველისათვის ეჩვენებინათ მათი ნამდვილი სახე.

მამაპაპურ მყუდროებას შეჩვეულმა „ცისკრის“ მწერლებმა იგრძნეს,

რომ მათ წინააღმდეგ შემთხვევით და შემთხვევითი ადამიანები კი არ იბრძოდნენ, არამედ საქმე ეხებოდა მკაცრ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლას. მართლაც, ი. ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები მხოლოდ წმინდა ლიტერატურული საკითხებით როდი იფარგლებოდნენ ცისკრელებთან ბრძოლისას. ამიტომ შეცდომას დავუშვებთ, თუ იმ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლას, რომელიც 60—70-იან წლებში გაიშალა, დავახასიათებთ მხოლოდ პოლემიკური სტატიებით, რომლებიც მაშინ პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა. ეს პოლემიკა ანარეკლი იყო მხოლოდ იმ დაპირისპირებისა, რომელიც არსებობდა საერთოდ რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე მდგომ თერგდალეულებსა და კონსერვატორულ-ლიბერალურ ბანაკს შორის აზროვნებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროში.

თერგდალეულთა მიზანს შეადგენდა გარდაექმნათ იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება და მიეცათ მისთვის ახალი მიმართულება. მწერლობასა და ლიტერატურაში ისინი ხედავდნენ იმ პლაცდარმს, რომლის დაუფლებითაც უფრო ადვილად შეძლებდნენ თავიანთი იდეების გავრცელებას. გასული საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეთ იდეური ბრძოლის უკეთესი საშუალება არ გააჩნდათ, ვინემ ეს იყო ლიტერატურა და სამწერლო მოღვაწეობა. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ამ სფეროს დაეპატრონენ, პირველ ყოვლისა, გამოჩენილი რევოლუციონერ-დემოკრატები როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში. ეპოქის ხასიათმა განსაკუთრებული ამოცანები დააყენა ლიტერატურის წინაშე. და რომ მწერლობას შესძლებოდა თავისი მოწოდების სიმაღლეზე ასვლა, ამისათვის იგი უნდა გამხდარიყო ნამდვილად იდეური, ყოფილიყო ჭეშმარიტი სარკე სინამდვილისა.

ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტა ჰქონდა მიზნად ი. ჭავჭავაძეს და მის თანამებრძოლებს, როცა „ცისკრის“ ფურცლებზე თვით ცისკრელთა წინააღმდეგ გაილაშქრეს. მაგრამ ეს, ვიმეორებ, იყო მხოლოდ ნაწილი მათი საბრძოლო პროგრამისა.

რა მიზანს ისახავდა ი. ჭავჭავაძის სტატია „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“ და რა საკითხები დააყენა ავტორმა მასში?

ი. ჭავჭავაძე ისწრაფოდა ქართული ლიტერატურის განვითარება საბოლოოდ გაეთავისუფლებინა კლასიციზმისა და სანტიმენტალიზმის გადმონაშთებისა და კრიზისის გზაზე დამდგარი რომანტიკული პოეზიის გავლენისაგან, რომელიც აფერხებდა ჩვენი მწერლობის წინსვლას, კერძოდ, რეალიზმის გაბატონებას მასში. საგულისხმოა, რომ კლასიციზმი და სანტიმენტალიზმი ილიას სავსებით მართებულად მიაჩნდა ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის უცხო მოვლენად, ხოლო რომანტიზმი — განვლილ ეტაპად.

კრიტიკული რეალიზმის მტკიცე გაბატონებისა და მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დამკვიდრების ინტერესებმა აიძულეს ი. ჭავჭავაძე გამოსულიყო „ცისკარში“ თავისი ცნობილი პირველი სტატიით.

შემთხვევითი არც ის ყოფილა, რომ ი. ჭავჭავაძემ თავისი მსჯელობის უშუალო საგნად აირჩია ი. კოზლოვის „შეშლილის“ რ. ერისთავისეული თარგმანი, რომელიც გამოქვეყნებული იყო „ცისკარში“ (1860 წ., № 10).

ი. ჭავჭავაძე ითვალისწინებდა, რომ ი. კოზლოვის „შეშლილისა“ და სხვა მსგავს ნაწარმოებთა თარგმნა და ერთადერთ ქართულ ჟურნალში მათი მოთავსება 60-იანი წლების ქართული მწერლობის ჩამორჩენილობასა და განვითარების სწორი გზიდან აცდენაზე მეტყველებდა. ილია ხედავდა, თუ რა მიმართულებით სურდათ ქართული ლიტერატურის განვითარება კრიზისის გზაზე მდგარი რომანტიზმის წარმომადგენლებს, რომლებიც ცდილობდნენ მწერლობა მოეწყვიტათ თანადროული ცხოვრებისაგან და უკან ეწეოდნენ მას.

იმისათვის, რომ უფრო ღრმად უჩვენოს „ცისკრისა“ და მის გარშემო დარაზმულ მწერალთა ჩამორჩენილობა, ი. ჭავჭავაძე, პირველ ყოვლისა, მკითხველს აცნობს, თუ ვინ იყო კოზლოვი და რა ადგილი ეჭირა მას რუსული ლიტერატურის ისტორიაში, საჭირო იყო თუ არა მისი თხზულების თარგმნა იმ დროს და სხვ.

ი. ჭავჭავაძის თქმით, „კაზლოვი იყო კარამზინის სკოლის მწერალი“, რომელსაც სულ რამდენიმე ლექსი თუ აქვს „სიამოვნებით წასაკითხავი“. იგი არ ეთანხმება იმ რუს კრიტიკოსებს, რომლებიც კოზლოვში თუნდაც პატარა ტალანტს ხედავდნენ. „თუმცა ზოგიერთნი რუსნი, — ამბობს ი. ჭავჭავაძე,— ხედავენ კაზლოვში რაღაც პატარა ტალანტს, მაგრამ ჩვენ სრულიად არაფერს არ ვხედავთ; და თუ ვხედავთ, პატარას კი არა, ძალიან უპატარესსა, ბეწვის ოდენას, ისიც იმისათვის, რომ ორიოდე ლექსი აქვს, მართლადა ცოტა სიამოვნებით წასაკითხავნი და გრძნობით გამთბარნი. აი, ის ლექსები, რომელნიც ჩვენ საუკეთესოდ მიგვაჩნია: «Вечерний звон», რომელიც ერთ დროს დიდ პატივში იყო, ასე რომ ყოველ რუსის ცოტაოდენ განათლებულს სახლში მღეროდნენ ხოლმე; «На погребение Английского генерала Сира Джона Мура», ესეც თავისი არ არის, ნათარგმნია; მაგრამ კარგი თარგმანიც სასარგებლოა; «Романс Дездемоны»[3], — შექსპირიდან თარგმნილია. ამათ გარდა, იქნება ორი, თუ სამი ლექსი კიდევ გვაჩვენოთ მთელი კაზლოვის თხზულებაში სასიამოვნონი, თორემ დანარჩენი ლექსები ყველგან, თითქმის, დაძაბული, ე. ი. ძალად მოყვანილი გრძნობაა. ძალად მოყვანი-

[3] ი. ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემებში ნაცვლად «Романс Дездемоны» შეცდომით იბეჭდებოდა «Роман Дездемоны».

ლი ცრემლი კი სასაცილოა, საზიზღარი და არა სამწუხარო დასანახავად".

ი. კოზლოვმა, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, სანტიმენტალური ელფერი მისცა თარგმნილ ნაწარმოებებსაც, რის გამოც დაუკარგა ის მიმზიდველობა, რაც მათ ორიგინალში აქვთ. ამის მაგალითად ილია ასახელებს ანდრე შენიედან, მიცკევიჩიდან და ბაირონიდან თარგმნილ ნაწარმოებებს. „ძლივს-ღა იცნობთ, — წერს ი. ჭავჭავაძე, — კაზლოვის ლექსებში იმ შენიეს, რომელმაც წარსულ საუკუნეში თითქმის პირველად დაანახვა ფრანციას, და მის გამო ევროპასაც, ჭეშმარიტი, ნამდვილი პლასტიკა საბერძნეთის მშვენიერებისა... მაგრამ ანდრე შენიეს ლექსები კაზლოვის თარგმანში ისე ბევრნი არ არიან და არც ისე უფერულნი, როგორც სახელოვანი მიცკევიჩის „ყირიმის სონეტები"... ამათ გარდა, სხვა ბევრი პოეტები ალაგ-ალაგ გადმოთარგმნილი ჰყავს, და სხვათა შორის ლორდი ბაირონიცა. ბაირონი უთარგმნია კაზლოვს ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ერთი მთელი პოემაც ამისი, წოდებული «Абидосская невеста», მაგრამ სად არის კაზლოვის თარგმანში ის მეხი სიტყვა, ის საკვირველი ძლიერი სული ბაირონის გენიისა!.. როგორც „Чернец" ისე „Наталия Долгорукая" — ეს ორივ პოემა კაზლოვისა — ბაირონის გავლენისანი არიან; ამ პოემებზედ ეტყობა, რომ კაზლოვი ცდილა ბაირონის გმირებისავით რიღაცის გამოხატვასა, მაგრამ სად შეეძლო კაზლოვის პაწაწა ნიჭსა შთაებერნა კაზლოვის გმირებისათვის ის მორჭმული, მოუდრეკელი სული ბაირონის ხასიათებისა!.. ბაირონის გმირები კაზლოვის ბერისავით არ კნავიან და ჩივიან, რათა ნუგეში სცეს ვინმე; ისინი ისეთი აგებულებისანი არიან, რომ... არ შეეკედლებიან მონასტრის კედლებსა მოსასვენებლად, იმათ სულ მოძრაობა უნდათ... ბაირონის ნაცვლად, რომელსაც ცრემლის მაგიერ მდუღარე ტყვია სცვივა თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ ეპყრა მეხი, იმ ბაირონის ნაცვლად, კაზლოვი შეიქმნა ერთ კარამზინის სხოლის მტირალ და ღრეჭია აშულადა".

ი. ჭავჭავაძე არ უარყოფს არც იმას, რომ ი. კოზლოვი მის თანამედროვე მკითხველთა გარკვეულ წრეში სიმპათიით სარგებლობდა, მაგრამ ამის მიზეზს ილია ხედავს არა პოეტის ტალანტში, არამედ იმდროინდელი მკითხველის ჩამორჩენილობაში. „...მაშინ,—ამბობს ი. ჭავჭავაძე, — რუსეთის საზოგადოება არ იყო ისე ესტეტიკურად... განვითარებული, როგორც პუშკინის შემდეგ და ნამეტნავად ეხლა; იმათ თვის ძალიან საკმაყოფილონი იყვნენ ის სენტიმენტალური, ყალბი გრძნობიანი, მტირალა და წირპლიანი მწერლები, რომლების თავი და თავი, პირველი ბაირახტარი იყო თვით სახელოვანი კარამზინი. ამის „უბედურ ლიზას", რომელიც გადმოთარგმნილი იყო ქართულზედ და დაბეჭდილი ჩვენ „ცისკარში", კითხულობდნენ თვით პუშკინის დროსაც, თუმცა

ეხლა კარგ რუსსა სატანჯავად მიაჩნია მისი წაკითხვა".

ი. ჭავჭავაძის თქმით, რ. ერისთავმა კოზლოვის სუსტ პოემათა შორის უსუსტესი ამოარჩია და თარგმნა. „Чернец"-სა და „Наталия Долгорукая"-ს ერთ დროს მაინც კითხულობდნენ და მოსწონდათ, „შეშლილის" ქება კი ჩვენ არსად შეგვიტყვიაო, — დასძენს ილია.

„შეშლილში", ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ი. კოზლოვმა ვერ მოახერხა ვერც რუსული სინამდვილის ჩვენება და ვერც წრფელი და ბუნებრივი გრძნობის გამოხატვა; მისი გმირები არაფერს ეუბნებიან მკითხველს, გარდა იმისა, რომ ავტორის ნაძალადევ გრძნობასა და მხატვრულ სისუსტეზე მეტყველებენ. „თუმცა „შეშლილის" ქვეშ აწერია რუსული მოთხრობაო, — შენიშნავს ილია, — მაგრამ ამ მოთხრობაში მარტო ენა, ზარი, მარხილი და იეშჩიკი თუ არის რუსული, თორემ სხვა არაფერი... ბევრიც რომ წაიკითხოთ, მაინც ქართველი ვერ გაიცნობს... რუსის სოფლის გოგოსა, იმიტომ, რომ ეს შეშლილი გოგო, თუმცა კოზლოვი ამბობს რუსისააო, მაგრამ რუსის სარაფანიც არ აცვია ზედა; ეგ რაღაც ურუსო რუსია, კაზლოვის ფანტაზიის შვილი, დაარა რუსის ცხოვრებისა. მაგას ვინ ჩივის, რომ პოემის გმირი არ არის რუსი, ერთი ბეწო დრამატიზმი დახელოვნება მაინც იყოს" (დაყოფა ჩვენია — **დ. გ.**).

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე მკაცრ, მაგრამ ობიექტურ შეფასებას აძლევს არა მხოლოდ ი. კოზლოვსა და მის პოეზიას, არამედ სანტიმენტალიზმს საერთოდ. სრულიად სამართლიანად სანტიმენტალიზმს იგი თვლიდა ლიტერატურისათვის უკვე განვლილ ეტაპად. ამიტომ რუსული სანტიმენტალიზმის მამამთავარ კარამზინის ცნობილი მოთხრობის —„საწყალი ლიზას" მიწოდება იმდროინდელი მკითხველისათვის სასჯელის მიცემად მიაჩნია. აღარაფერს ვამბობთ კოზლოვსა და მის „შეშლილზე", რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ, ი. ჭავჭავაძის აზრით, საყურადღებო მოვლენა არ ყოფილა არც თავისი დროისათვის.

ბუნებრივია, რომ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებზე აღზრდილი ი. ჭავჭავაძე ასეთ შეფასებას აძლევს სანტიმენტალიზმს, რომელიც პასიურობისა და მელანქოლიის ნიშნით წარმოადგენდა ყოველივეს.

როგორც სანტიმენტალიზმის, ასევე მისი რუსი წარმომადგენლების —კარამზინისა და კოზლოვის შეფასებისას ი. ჭავჭავაძე ძირითადად ბ. ბელინსკის შეხედულებებს ემყარება, მაგრამ კოზლოვის შემოქმედებას უფრო მკაცრ შეფასებას აძლევს, ვიდრე ბელინსკი, რაც, პირველ ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ი. ჭავჭავაძეს კოზლოვის შემოქმედების დახასიათება უხდება უკვე სამოციან წლებში.

ბ. ბელინსკიც დაბალი შეხედულებისა იყო ი. კოზლოვის შემოქმედების შესახებ. ისტორიის საკუთრებად თვლიდა იგი კარამზინის მოთ-

ხრობებსაც.

ბ. ბელინსკიმ თავის დროზე სპეციალური წერილი უძღვნა ი. კოზლოვის თხზულებათა განხილვას («Собрание стихотворений Ивана Козлова»). აღნიშნულ წერილში ბელინსკი ამბობს: «Слава Козлова была создана его «Чернецом». მაგრამ იგი იქვე შენიშნავს: «Содержание «Чернеца» напоминает собою содержание Байронова «Джяура»; есть общее между ними и в самом изложении. Но это сходство чисто внешнее: „Джяур не отражается в «Чернеце» даже и как солнце в малой капле вод, хотя «Чернец» и есть явное подражание «Джяуру». Причина этого заключается сколько в степени талантов обоих певцов, столько и в разности их духовных натур. «Чернец» полон чувства, насквозь проникнут чувством... Но это чувство только тепло, не глубоко, не сильно, не всеобъемлюще».

ბ. ბელინსკის აზრით კი, „...даже лютое отчаяние, если оно является в форме несокрушимой силы духа, горделиво и презрительно несущей свое несчастие, — в тысячу раз сильнее и обаятельнее действует на нашу душу, чем бессильное смирение, тихо льющее сладкие слезы примирения».

ი. კოზლოვის თარგმანების დახასიათებისას ბ. ბელინსკი წერს: «Перевод «Абидосской невесты» — весьма замечательная попытка: но сжатости, энергии, молниеносных очерков оригинала в нем нет и тени. — Также замечателен перевод и «Крымских сонетов» Мицкевича; но отношение его к оригиналу точно такое же, как и перевод «Абидосской невесты» к ее подлиннику».

ბ. ბელინსკი შედარებით მაღალ შეფასებას აძლევს ი. კოზლოვის ლირიკულ ლექსებს, რომელთა შორის ასახელებს: «На погребение английского генерала Сира Джона Мура», «Вечерний звон», «Романс Дездемоны», «Нас семеро», «К Италии», «На отъезд», «К Тирзе», «Ночь» და სხვ.

რაც შეეხება ბელინსკის შეხედულებას, კერძოდ, „შეშლილსა“ და

მის ადგილზე კოზლოვის შემოქმედებაში, ამის შესახებ სრულ წარმოდგენას იძლევა მისი სიტყვები: «В «Безумной» даже нет никакой истины: — Героиня — немка в овчинном тулупе, а не русская деревенская девка». „შეშლილს", ბელინსკის თქმით, არასოდეს დაუინტერესებია მკითხველი.

ბ. ბელინსკი ი. კოზლოვთან შედარებით, ბუნებრივია, უფრო მაღალ შეფასებას აძლევს ნ. კარამზინის ისტორიულ როლს და თავის „ლიტერატურულ ოცნებებში" შენიშნავს: «Карамзин отметил своим именем эпоху в нашей словесности». მაგრამ კარამზინის მხატვრულ პროზას იგი უკვე დავიწყებულთა და უსარგებლოთა კატეგორიას აკუთვნებს. «Кто виноват, — წერს ბელინსკი, — что как прежде плакали над «Бедною Лизою», так ныне смеются над нею; воля ваша, г. г. поклонники Карамзина, а я скорее соглашусь читать повести барона Брамбеуса, чем «Бедную Лизу» или «Наталью Боярскую дочь»! Другие времена, другие нравы!

...Сочинения Карамзина теряют в наше время много достоинства еще и оттого, что он редко был в них искренен и естественен».

ბ. ბელინსკის თქმით, ნ. კარამზინი «так скоро был забыт, что он едва не пережил своей славы».

ი. ჭავჭავაძეც სწორედ იქიდან გამოდის, რომ ცხოვრება წინ წავიდა და ზნე-ჩვეულებებიც შეიცვალა, რომ დამთავრდა ეპოქა ფრაზეოლოგიისა და წავიდა ის დრო, როცა, ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აზრსა და გრძნობას დაეძებდნენ მაღალფარდოვანი ფრაზისათვის" («Мысль и чувство приискивались для звонкой фразы»). ამიტომ ილიას სრულიად გაუმართლებლად მიაჩნია კარამზინის, კოზლოვის, მარმონტელისა და სხვათა ნაწარმოებების თარგმნა და ბეჭდვა „ცისკარში" იმ დროს, როცა შეგვიძლია ავირჩიოთ ისეთი მწერლები, როგორიც არიან პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი და სხვები. „მართლადა საკვირველია, — ამბობს ილია, — თუ კაცს რუსულიდან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წირპლიანს კაზლოვსა, მერე ნეტავ იმის ცუდ პოემებში უცუდესი მაინც არ ამოერჩია თავად ერისთავს".

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე იბრძვის სანტიმენტალური მიმართულების წინააღმდეგ და მოითხოვს კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებას თავის უფლებებში. ესაა იმის მიზეზი, რომ იგი ერთი წუთითაც ვერ ურიგდება ანტირეალისტურ ტენდენციათა გამოცოცხლებას ლიტერატურაში.

ი. ჭავჭავაძე ახასიათებს სანტიმენტალურ მიმართულებას, კერძოდ, კოზლოვის პოეზიას და წერს: „...თქვენვე გაშინჯეთ, ჩვენო მკითხველო, რა საჭიროა ეხლა ან ჩვენ ლიტერატურისათვის,

ან ხალხისათვის სენტიმენტალურ სხოლის მწერლობის გაცნობა? რამდენიმე წლის წინათ სარდიონ ალექსი-მესხიშვილმა გადმოთარგმნა სენტიმენტალურ სხოლის მწერალი მარმონტელი და ეხლა იმავე სხოლის მწერალი კოზლოვი გადაუთარგმნია თავად ერისთავს. იქნება ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცთომილება?! თუ ამას ფიქრობენ, მაშ ისტორიას აღარა აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, მასთანავე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ... მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ" (დაყოფა ორივეგან ჩვენია — **დ. გ.**).

ი. ჭავჭავაძე გარკვეულად აღნიშნავს, რომ ქართული ლიტერატურისა და ქართველი ხალხისათვის საჭირო აღარ არის სანტიმენტალური მწერლობა, რაც თავის დროზეც უცხო იყო ჩვენი ლიტერატურისათვისო. ამიტომ იგი ილაშქრებს მისი დაგვიანებით და ხელოვნურად შექმნის წინააღმდეგ. მას ღრმად სწამს, რომ ისტორიამ უკვე ჩაიბარა კარამზინების, კოზლოვებისა და მარმონტელების ეპოქა, რომ ახლა არის ეპოქა რეალიზმისა. ილიას სურს ქართველმა მკითხველმა გაიცნოს ის რუსი მწერლები, რომლებიც უკვდავნი არიან, და არა ისინი, რომლებიც თავიანთი სახელების დავიწყებას თვითვე მოესწრნენ.

„ეს გრძელი შესავალი იმიტომ გაუკეთეთ ჩვენს სტატიასა, — წერს ი. ჭავჭავაძე, — რომ თუ, ვინიცობაა, „ცისკრის" მკითხველი ბევრს რასმე ელოდა თავად ერისთავის „შეშლილის" თარგმანისაგან და ვერა ჰპოვა, მაგის მიზეზი თითონ კოზლოვი იყო; მეორე იმისათვის, რომ გვეცნობებინა ჩვენ მკითხველთათვის, რომ მთელი კაზლოვიც რომ გადმოეთარგმნა ვისმე, არა თავად ერისთავსავით უხეიროდ, არამედ ბევრად უკეთესად, მაინც არაფერი არ გამოვიდოდა, უსარგებლო შრომა იქნებოდა, იმიტომ რომ კაზლოვის ლექსები თვით რუსეთში ჩაბარდნენ პატრონსა და ქართველებს რად გვინდა?" (დაყოფა ჩვენია — **დ. გ.**).

ამის შემდეგ ი. ჭავჭავაძე დაწვრილებით იხილავს თარგმანის „ღირსებებს". იგი მთარგმნელს ათავისუფლებს იმისაგან, რომ თარგმანში არაა მოსაწონი მხატვრული სახეები, რადგან ეს არც დედანშიაო, მაგრამ მკაცრად აკრიტიკებს მას ქართული ენისა და ქართული ლექსის დამახინჯებისათვის. ილიას თქმით, რ. ერისთავის „თარგმანი ასეთი რამ არის, რომ შთამომავლობას უნდა გადასცეს კაცმა, რათა გამოუთქმელ სიცუდის მაგალითად სახეში ჰქონდეთ მომავალს მწერლებს".

ი. ჭავჭავაძე აღშფოთებულია იმით, რომ რ. ერისთავმა თავისი უხეი-

რო ენით შეურაცხყო ის ენა, რომელზედაც დაიწერა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის საუკეთესო ლექსები. „გვიკვირს, — წერს ილია, — კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავის დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია! სწორედ უნდა მოგახსენოთ, ამისთანა წერაში არამც თუ იყოს ენის სიყვარული, არმედ ენის სრული უპატიობაა და სიძულვილი. რომ არა გვყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, კიდევ ჰო, რომ გვყვანან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას?“

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ი. ჭავჭავაძე თავის წერილებში ყოველთვის დიდად აფასებს იმ ევროპელ, რუს და ქართველ რომანტიკოსებს, რომლებიც მებრძოლი რომანტიზმის ფრთას ეკუთვნოდნენ. ისინი ილიას იტაცებდნენ მებრძოლი სულით, მოძრაობისა და მოქმედების აპოლოგიით. მაგრამ ამჯერად მას აინტერესებს ქართველ მწერალთა „მშვენიერი ლექსების მშვენიერი ენა“, რომელიც დაუვიწყია რ. ერისთავს.

ი. ჭავჭავაძეს მოჰყავს იმის კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ ამახინჯებდა რ. ერისთავი სიტყვებს რითმისათვის და როგორ უაზროსა ხდიდა მთელ წინადადებებს. ილია მკაცრად ებრძვის იმას, რაც რ. ერისთავს თითქოსდა ბუნებრივად ეჩვენება. აბა, რა კონსტრუქციაა, კითხულობს ილია, „ხელი გავიქნიე, ფეხი“, ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა ხელი და ფეხი გავიქნიე?“ და ამგვარი რამ ხომ შემთხვევითი და გამონაკლისი მოვლენა არ იყო რ. ერისთავის თარგმანისათვის!

ი. ჭავჭავაძეს მოჰყავს ამ თარგმანიდან ისეთი ამონაწერები, რომლებიც აშკარას ხდიან, თუ როგორ ანაცვალა რითმას რ. ერისთავმა ქართული ენის მართლწერა ან რამდენად შეუფერებელ სიტყვებს იყენებს იგი ცალკეული სახეების შესაქმნელად, თანაც ირონიული ტონით შენიშნავს: „აბა, მოდი და ამ უთავბოლოდ აშენებულ სიტყვის ყორეში პოეზიის ვარდი მონახე! ჭინჭარიც არ არის, თორემ ვარდს ვინა ჩივის?“

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, რითმა არ არის ძირითადი კომპონენტი ლექსისათვის — ნიჭიერი პოეტის მიერ დაწერილი თეთრი ლექსი რითმიან ლექსებს არ ჩამოუვარდება. იგი კითხვას სვამს: „განა რითმა რომ არ იყოს, პოეზიაც არ იქნება? აბა, აიღეთ ურითმო ლექსები თავად გრ. ორბელიანისა, თუნდ ბოლონდელი ოქტომბრის „ცისკრის“ „ო... დარდები“; აბა, ყურადღებით წაიკითხეთ,რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსშია! თვალწინ წარმოგიდგებათ ის ჩათუქესანი ტფილისის ქართველი, რომლის ნატვრა და სამოთხე კახური ღვინოა, სიყვარული და ორთაჭალის ბაღები.., რამდენი ნამდვილობა და ჭეშმარიტებაა მის წმინდა ქართულ პოეტურ დარდებში, კენესაში და ნატვრაში!“

ი. ჭავჭავაძე დანაშაულად თვლის, „რითმების რახარუხს“ რომ შეს-

წიროს პოეტმა ნაწარმოების აზრი, თანაც იძლევა პოეზიის ისეთ განსაზღვრას, რომელიც მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპებს ემყარება და უცხოა „ცისკრის“ მწერლებისათვის. ილიას განმარტებით, „პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმულ რითმებისა“ (დაყოფა ჩვენია — დ. გ.).

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძემ თავის სტატიაში არა მარტო მკაცრად დაგმო ის, რაც ჩვენს ლიტერატურაში დრომოჭმული, უვარგისი და განდევნის ღირსი იყო, არამედ მწერლობას მიუთითა განვითარების სწორ გზაზეც, მოგვცა რეალიზმის პრინციპებისა და ლიტერატურის მთავარი დანიშნულების გაგება.

ი. ჭავჭავაძემ გარკვევით აღნიშნა, რომ ლიტერატურის შენამატია მხოლოდ ის, რაც ხალხის საჭიროებას ემსახურება და მის ინტერესებს გამოხატავს; რომ პოეზიას ქმნის არა „რითმების რახარუხი“, არამედ ცხოვრების სინამდვილის მხატვრული ასახვა; რომ პოეზია არის ჭეშმარიტების, ცხოვრების ასახვა სახეების საშუალებებით. ამდენად, ილიას შეხედულებით, პოეტი საკუთარ აზრსა და გრძნობას პირდაპირ კი არ უნდა გვიჩვენებდეს თავის ნაწარმოებში და მთელი სიმძიმე „ზედსართავ სახელებზე“ კი არ უნდა გადაჰქონდეს, არამედ მხატვრული სახეების საშუალებით ძალდაუტანებლად უნდა ახერხებდეს იმის ჩვენებას, რაც მიზნად დაუსახავს. ყოველივე ეს კი მწერლისაგან მოითხოვდა თავის შეხედულებათა ამოსავლად გაეხადა ობიექტური სინამდვილე, საზოგადოებრივი ცხოვრება.

ი. ჭავჭავაძე ილაშქრებს შიშველი ტენდენციისა და რიტორიზმის წინააღმდეგ ლიტერატურაში. იგი ამ მხრივ ერთმანეთს ადარებს ი. კოზლოვის „შეშლილს“ და შექსპირის ტრაგედიებს. კოზლოვის მიერ შეშლილად გამოყვანილი გოგო, ი. ჭავჭავაძის აზრით, „სრულიად შეშლილი არ არის, თუმცა კაზლოვი გვეფიცება, რომ შეშლილიაო; ძალიან კარგ გონებაზედ გახლავსთ, კარგად ლაპარაკობს, კარგადა სჯის... აბა შექსპირის ოფელია აიღეთ, ან კოროლი ლირი და გაშინჯეთ! იქ, თუმცა შექსპირი არ ამბობს, რომ ჭკვიდამ შეშლილები არიანო, მაგრამ მიაყოლეთ გონება იმათ სიტყვებს და მაშინვე გაიგებთ შესაბრალებელს შეშლილ ადამიანის სულის მდგომარეობას; იქ წინასიტყვაობა საჭირო არ არის, რომ შეშლილიაო, საქმიდამა სჩანს ყველაფერი; სიტყვა არის პირდაპირი გამომთქმელი სულის მდგომარეობისა. აბა კაზლოვის თხზულებიდამ ამოფხიკეთ ზედშესრული „შეშლილი“ და მერე გაშინჯეთ სიტყვები შეშლილისა, თუ ჭკვიანად არ გეჩვენოთ“.

ი. ჭავჭავაძემ, რომელიც იბრძოდა ნაძალადევი გრძნობის, ყალბი პათოსისა და შიშველი ტენდენციის წინააღმდეგ ლიტერატურაში, არ დაინდო არც ცნობილი ქართველი პოეტი ჩახრუხაძე. ილიას თქმით, „დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა, მაგრამ არამც თუ

დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელ მოთხრობის ოდენაა, ზედშესრულით დაიწყობა და თითქმის ზედშესრულით თავდება... არც ზარი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედშესრულების რახა-რუხისა! აბა ეხლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვენში! სადაც რუსთაველს, მაგ თითქმის გენიასა ახსენებენ, იქ, გინდათ თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხაძესაც, რომელსაც გვგონია, ფიქრადაც არა ჰქონია ამისთანა დიდების იმედი".

უდავოა, რომ ი. ჭავჭავაძე აჭარბებს ჩახრუხაძის პოეზიის სუსტი მხარეების დახასიათებაში, ღალატობს ისტორიულ თვალსაზრისს, ივიწყებს, რომ ჩახრუხაძე არის მეთორმეტე საუკუნის სახოტბო პოეზიის წარმომადგენელი და მას ბევრი რამ ეპატიება ისეთი, რაც მეცხრამეტე საუკუნის პოეტს აღარ შეჰფერის. მაგრამ ილია ამ შემთხვევაში სახომად იღებს რუსთაველს, ეს კი მას უფლებას აძლევს მკაცრი იყოს ჩახრუხაძის მიმართ.

ი. ჭავჭავაძე ჩახრუხაძეს, პირველ ყოვლისა, იმიტომ იწუნებს, რომ იგი წარმომადგენელია სახოტბო პოეზიისა და თავის ნიჭს ეპითეტების გამონახვას ანდომებს. კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის მებრძოლი კრიტიკოსი ვერ იტანს ყალბ პათოსსა და გაზვიადებულ ქება-დიდებას. რაც მთავარია, ჩახრუხაძის წინააღმდეგ ასეთი გალაშქრებით მას მიზნად ჰქონდა განედევნა თანადროული პოეზიიდან კლასიციზმისათვის დამახასიათებელი რიტორიკულობა. ილიას საჭიროდ მიაჩნდა გარკვეულიყო ის დიდი განსხვავება, რომელიც რუსთაველისა და ჩახრუხაძის მხატვრულ ტრადიციათა შორის არსებობს.

ი. ჭავჭავაძე აყენებს საკითხს მწერლის ავტორიტეტის შესახებ. მისი თქმით, ზოგჯერ დიდი სახელის მოპოვებას ახერხებს ისეთი პოეტი, რომელიც მეტად მცირე ტალანტის მქონეა. ამიტომ „საზოგადოების მიღება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მწერალი ტალანტიანია" (დაყოფა ჩვენია — დ. გ.). ი. ჭავჭავაძეს ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰყავს არა მთელი საზოგადოება, ხალხი, არამედ საზოგადოების მაღალი ნაწილი. მართლაც, ჩახრუხაძეს სახელი ჰქონდა მოპოვებული არისტოკრატიულ წრეებში. რუსთაველისაგან განსხვავებით, იგი არასოდეს ყოფილა ხალხის საერთო საყვარულის საგანი. ილია უდავოდ მართალია, როცა ილაშქრებს ჩახრუხაძის ხაზის წინააღმდეგ ჩვენს ლიტერატურაში და მას პრინციპულად უპირისპირებს რუსთაველურ ტრადიციებს.

არა მარტო რიტორიზმისა და ნაძალადევი გრძნობის გამოხატვის წინააღმდეგ ილაშქრებდა ი. ჭავჭავაძე, არამედ მკაცრ ბრძოლას უცხადებდა აგრეთვე იმ პოეტებს, რომლებიც კმაყოფილებისა და მორჩილების განწყობილებებს ნერგავდნენ მკითხველში. ასეთ პოეტთაგან იგი

ასახელებს თავის თანამედროვე პოეტს დიმ. ბერიევს. ილიას თქმით, დიმ. ბერიევი „გუთნის-დედას აძინებს ხოლმე და ანუგეშებს, რომ ძილზედ უკეთესი არა არის ქვეყანაშიო. — ის კი არ აგონდება ბერიევს, რომ სულ მაგ ტკბილმა მამა-პაპურმა ძილმა დაგვღუპა ჩვენ". ი. ჭავჭავაძეს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს დიმ. ბერიევის ლექსი „გუთნის-დედა", რომელშიც პოეტი ხატავს ბედით კმაყოფილ გუთნისდედას და თვითონაც კმაყოფილი მიმართავს მას:

„ოდესცა პერანგ-საკინძგახსნილი,
შენს გუთანზედა მოგივა ძილი,
აბა გვითხარი, მას რა ჯობია,
დროს უკეთესი რა უშობია?"

ერთ ადგილზე შეჩერებული და ჭაობად ქცეული ცხოვრების წინააღმდეგ მებრძოლი ი. ჭავჭავაძე ვერ ითმენდა ასეთ მოტივს პოეზიაში. მას მხოლოდ მოქმედება და მოძრაობა იტაცებდა, თანაც ისეთი მოქმედება და მოძრაობა, რომელიც შეცვლიდა არსებულს. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ ადრე დაწერილ ლექსში „ელეგია" გულისტკივილით ამბობდა:

„ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი
როსღა გველირსოს ჩვენ გაღვიძება?!.."

ი. ჭავჭავაძემ თავის სტატიაში მთელი გაბედულებით დააყენა საკითხი ენის სიწმინდის დაცვისა და სრულყოფილად დაუფლების აუცილებლობის შესახებ. ი. კოზლოვის „შეშლილის" რ. ერისთავისეული თარგმანი მან მკაცრად დაგმო ცუდი ენის გამოც. „სხვისა არ ვიცით, — ამბობს ილია, — და ჩვენ-კი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ე ნ ა საღვთო რამ არის, ს ა ზ ო გ ა დ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა ა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს" (დაყოფა ჩვენია — დ. გ.).

ი. ჭავჭავაძეს ენა მიაჩნია საზოგადოებრივ, სახალხო საკუთრებად. ამიტომ ენის კანონმდებლადაც ხალხს თვლის და არა კერძო პირებს, თუნდაც მწერლებს. სამწერლობო ენა, ილიას გაგებით, ხალხის მეტყველებას უნდა ეყრდნობოდეს და მით უნდა საზრდოობდეს. როცა ხალხის მეტყველებაში ხდება არსებითი ხასიათის ცვლილება, იგი უნდა აისახოს სამწერლობო ენაშიც. თავისი სტატიის დასაწყისშივე ი. ჭავჭავაძე შენიშვნას აკეთებს, რომ არსებული წესისაგან განსხვავებით იგი არ ხმარობს ასოებს: უ,უ̆,ჱ,ჳ,ჴ. ამასთან დასძენს: „თუ, ვინიცობაა, ეს ენის წინააღმდეგ მიაჩნდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავსცეთ პასუხი და გამოუცხადოთ, რა მიზეზითაც არა ვხმარობთ". და ეს მიზეზი, როგორც შემდეგ ვნახეთ, იყო ის, რომ მათ შესატყვის ბგერებს ხალხი უკვე აღარ გამოთქვამდა.

ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძემ დაიწუნა „ცისკრის" პროდუქციის უდიდესი ნაწილი როგორც შეუფერებელი თემატიკის, ასევე ცუდი ენისა და მხატვრული სისუსტის გამო. ამის შემდეგ, ბუნებრივია, მან საკი-

თხი დასვა საერთოდ ჟურნალისა და მისი რედაქტორის ღირსების შესახებ.

ი. ჭავჭავაძეს საფუძველი ჰქონდა დაესკვნა, რომ ვერც ჟურნალი და ვერც მისი რედაქტორი თავის სიმაღლეზე ვერ იდგნენ, და ამით გაეთავებინა. მაგრამ მას არ სურდა გვერდი აევლო სინამდვილისათვის და არაფერი ეთქვა არსებითი მნიშვნელობის მქონე იმ მიზეზების შესახებ, რომლებიც გადაჯაჭვული იყვნენ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასთან.

„ჩვენ გვრკვირს, — წერს ი. ჭავჭავაძე, — უფ. რედაქტორი როგორ ბეჭდავს „შეშლილსავით“ და უფრო შეშლილ „ზადაჩებსავით“ გამოუსადეგ სტატიებსა? მაგრამ უფ. კერესელიძე გასამტყუნარი არ არი. აბა ნუ დაბეჭდავს და ნახავს, რამდენი ხელის-მომწერი მოაკლდება გულნატკენ ვიღაც „მოზადაჩების“ მეცადინეობით. თუ ხელის-მომწერი არ ეყოლება ჟურნალსა, როგორ იცოცხლებს იგი? ეგრეთ ჯოჯოხეთში არის ხოლმე ყოველი რედაქტორი, რომლის ჟურნალსაც საკუთარი კაპიტალი, ანუ თანხა არა აქვს. გინდა თუ არა, უნდა დამოკიდებული იყო იმ კაცებზედ, რომელნიც წინდაუხედავად, უთავბოლოდ, რაც მოხვდებათ და როგორც მოხვდებათ, ჰბეჭდნიან, რადგანაც იმედი აქვსთ, რომ საბრალო „ცისკარი“, მათგან ფულით დავალებული, ნებით, თუ არა ნებით, ალაგს მისცემს თავის ფურცლებში იმათ გამოუსადეგ სტატიასა. რათ უნდა ვემდუროდეთ უ. რედაქტორს, რომ ჟურნალი არ უვარგა? აბა რა თანხები გაუმართეთ, რომ თავისუფლად ამოერჩია სტატიები და არ ჰშინებოდა წყენისა... კიდევ, მადლობა ღმერთს, რომ „ცისკარი“ მაგ ყოფაშია, ორიოდე თავად ალ. ჭავჭავაძის, თავად ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის ლექსებთან მაინც გაგვაცნო, რომ სხვა არა იყოს-რა. სხვა ახალი პროზაიკები და მოლექსეები, ზოგიერთის გარდა, ღმერთმა შეინახოს“.

ამ სიტყვებით ი. ჭავჭავაძემ თვალნათლივ წარმოადგინა ის გარემო, ის საზოგადოებრივი წრე, რომელიც „ცისკრის“ ხასიათს განსაზღვრავდა. ცხადყო ისიც, რომ ჟურნალს გარკვეული მიმართულება არ ჰქონდა და მის ბედს განაგებდნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც კაპიტალი მოეპოვებოდათ. ამასთან „ცისკრის“ მთავარ დამსახურებად, როგორც ვნახეთ, სტატიაში მიჩნეულია ის, რომ ჟურნალმა მკითხველს წინა პერიოდის გამოჩენილ ქართველ პოეტთა ცოტაოდენი თხზულებანი მაინც გააცნო. საქმე ის იყო, რომ, მცირე გამონაკლისს გარდა, თანამედროვე მწერალთაგან იმედს ვერავინ ამართლებდა. ილიას სიტყვებში ისმის საზოგადოების გაფრთხილებაც იმის შესახებ, რომ, სანამ „ცისკარს“ ხელის მომწერნი არ გაუმრავლდებიან, რედაქტორს გაუძნელდება გამოსცეს წესიერი ჟურნალიო.

ამგვარად, „ცისკრის“ რედაქტორის — ი. კერესელიძის პირადი „გამართლება“ ი. ჭავჭავაძეს ესაჭიროებოდა უფრო მნიშვნელოვან ფაქტო-

რებზე ყურადღების გასამახვილებლად და, ეჭვგარეშეა, თავისი მკაცრი სტატიის დაბეჭდვის უზრუნველსაყოფადაც.

ი. ჭავჭავაძემ მიაღწია თავის მიზანს. „ცისკარში“ მან გამოაქვეყნა ბელინსკისებური პირველი სტატია, რომელიც მრავალმხრივ საყურადღებო იყო და უდავოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ჩვენს ლიტერატურაში.

მართალია, ი. ჭავჭავაძე თავის წერილში შენიშნავს, რომ „ჩვენ სტატიაში ნუ ელოდებით ესტეტიკურ კრიტიკასაო“, მაგრამ ეს იყო ერთგვარი პოლემიკური ხერხი, რათა ეთქვა: „ამ „შეშლილში“ მცირედი საზრდოც არ არის ესტეტიკურ კრიტიკისათვისო“. სინამდვილეში ეს სტატია იყო პირველი ჭეშმარიტი კრიტიკული სტატია, რომელიც საფუძველს უდებდა ახალ სალიტერატურო კრიტიკას ქართულ მწერლობაში.

თავის სტატიაში ი. ჭავჭავაძე ეხება კრიტიკის მნიშვნელობას ლიტერატურის შემდგომი წინსვლის საქმეში და ნატრობს პირუთვნელ კრიტიკოსთა გამოჩენას. „იქნება, — წერს ილია, — თავად ერისთავმა გვიწყინოს ეს პირ-მოუფერებელი სტატია. არა გვგონია. ჩვენ ყველანი ქართულ ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულის-მოყვარე, და არა ის, ვინც მეტის-მეტად დამჟავებული სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების ღვიარება ნახევარი გასწორებაა“.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე გადასწვდა იმ ე. წ. პატრიოტებსაც, რომლებიც სიტყვით „თავს დებდნენ“ სამშობლოსათვის, ხოლო საქმით არაფერს მატებდნენ მას და მხოლოდ პირად სარგებლობაზე ფიქრობდნენ. ილიას ნამდვილ მამულიშვილად და პატრიოტად მიაჩნდა ის, ვინც ნაკლს კი არ მალავდა, არამედ ააშკარავებდა და იბრძოდა მის გამოსასწორებლად.

ბევრი ახალი, საინტერესო და მეტად დამაფიქრებელი შეხედულება და შენიშვნა ამოიკითხა „ცისკრის“ მკითხველმა ი. ჭავჭავაძის სტატიაში, მაგრამ ყველასათვისერთნაირად სასიამოვნო და მისაღები როდი აღმოჩნდა იგი. ესეც იყო ამ სტატიის ერთ-ერთი ღირსება.

„ცისკრის“ იმავე ნომერში დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის ლექსები: „გაზაფხული“, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ და „გახსოვს, ტურფავ“, რომლებიც აღნიშნული სტატიის ერთგვარ შევსებას წარმოადგენდა. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ლექსმა „გაზაფხული“, სადაც პოეტი ნაღვლიანად კითხულობდა:

„აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;

მამულო საყვარელო,
შენ როსღა აუვავდები?"

ი. ჭავჭავაძის სტატიამ და ლექსებმა მოთმინება დააკარგვინა „ცისკრის" „მიმართულების" დამცველ მწერლებს. მათ ძტკიცედ გადაწყვიტეს ერთობლივი „ლაშქრობა" მოეწყოთ „ბელინსკის ტომებით შეიარაღებული სტუდენტის" წინააღმდეგ.

„ცისკრის" მომდევნო ნომერში (1861, №5) გამოქვეყნდა მწერალი ქალის ბ. ჯორჯაძის, ი. კოზლოვის „შეშლილის" მთარგმნელ რ. ერისთავისა და გ. ბარათაშვილის საპასუხო სტატიები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ეხებოდა იმ მთავარ საკითხებს, რომლებიც ი. ჭავჭავაძემ ყურადღების ცენტრში დააყენა. სრულიად შეგნებულად ისინი მხოლოდ და მხოლოდ ორთოგრაფიის საკითხებით შემოიფარგლნენ და ამ მიმართულებით გააჩაღეს დემაგოგიური ბრძოლა ილიას წინააღმდეგ. მათ წარმოუდგენელ თვითნებობად და დანაშაულად ჩაუთვალეს ი. ჭავჭავაძეს ქართული ანბანიდან შვიდი ასოს[4] განდევნისა და სამწერლობო ენის სასაუბრო, ხალხურ ენასთან დაახლოების მოთხოვნა.

ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართულ სტატიათაგან (რომლებიც „ცისკრის" 1861 წლის მე-5 ნომერში გამოქვეყნდა) პირველი მწერალ ქალს ბარბარე ჯორჯაძეს ეკუთვნოდა. ბ. ჯორჯაძეს „ცისკრელთა" შორის თავი მოჰქონდა ქართული ენის ცოდნით. იგი, როგორც ვიცით, ჯერ კიდევ ლ. არდაზიანს გაეკამათა ენის საკითხებზე და მაღალი, საეკლესიო ენის „ავტორიტეტი" დაიცვა. ჩანს, ჟურნალის რედაქცია და კონსერვატიული ბანაკის წარმომადგენლები დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე ამჯერადაც. ისიც მეტად გაცხარებული იწყებს ი. ჭავჭავაძესთან პოლემიკას და სჯერა, რომ სიმართლე ჩემს მხარეზეაო.

ბ. ჯორჯაძის პოზიცია მისი სტატიის დასაწყისშივე გარკვეულია. მან სტატიას ეპიგრაფად წარუმძღვარა საღმრთო წერილიდან ციტირებული სიტყვები, რითაც აშკარა გახდა, რომ მისი შეხედულებანი ენობრივ თუ ლიტერატურულ საკითხებზე სქოლასტიკის ფარგლებს არ სცილდებოდა. მართლაც, მთელი მისი მსჯელობა მხოლოდ სქოლასტიკაა და წარმოადგენს იმის გამოხატულებას, თუ როგორ ჩამორჩნენ ცხოვრების სინამდვილესა და ლიტერატურის საერთო განვითარების დონეს „ცისკრის" რედაქცია და მისი გულშემატკივარი მწერლები.

ბ. ჯორჯაძე არაფერს ამბობს ი. ჭავჭავაძის მიერ დასმული საკვანძო საკითხების შესახებ. მას გადაუწყვეტია ი. ჭავჭავაძესაც მოუძებნოს ენობრივი შეცდომები სტატიასა თუ ლექსებში და ამით „დაამტკიცოს" თავისი უპირატესობა უნივერსიტეტის სტუდენტის მიმართ.

---

[4] მართალია, ი. ჭავჭავაძე თავისი პირველი სტატიის სქოლიოში მხოლოდ ხუთ მოძველებულ ასოს აღნიშნავს, მაგრამ როგორც მისი შემდეგი სტატიიდან („პასუხი") ირკვევა, მას ქარაფული ანბანისათვის შეუფერებლად მიაჩნდა არა ხუთი, არამედ შვიდი ასო.

საერთოდ, ბ. ჯორჯაძე ადვილად „ახერხებს“ ი. ჭავჭავაძის შეხედულებათა „უარყოფას“. „მაღალ სასწავლებელში გაზრდილ“ მკითხველს იგი მიმართავს, რომ, „რადგანაც ჩვენ მოვმდინარეობთ მამაპაპათა ჩვეულებაზედ და უმაღლეს პოეზიას, გინა ფილოსოფიას ვპოვებთ უმეტესად საღმრთო წიგნებში“, სტატიასაც საღმრთო წერილის სიტყვებით ვიწყებო. ამგვარად, ბ. ჯორჯაძე თვითონ აცხადებს, რომ ის, რაც არ უდგება „საღმრთო წიგნებს“, მისთვის მიუღებელი და შეუწყნარებელია. ამიტომ იგი ენის წახდენად თვლის ისეთი ენით წერას, რომელიც განსხვავდება „საღმრთო წიგნების“ ენისაგან.

მთავარი ბრალდება, რომელსაც ბ. ჯორჯაძე ი. ჭავჭავაძეს უყენებს, ესაა „ხელოვნების თეორეტიკის“ უცოდინარობა. „ილია ჭავჭავაძე, — ამბობს იგი, — გაზრდილი გახლავსთ უნივერსიტეტში, სადაცა ასწავლიან მრავალ საგნებს, და, რასაკვირველია, სწავლას მიიღებდა, მაგრამ აი საკვირველი! უპირველესი საგანი არ შეუძინებია და ლიტერატორობს კი. თუ ნებას მოგვცემს, მოვახსენებთ.., რომ ყოვლის მწერლისათვის საჭიროა და აუცილებელი იცოდეს თეორეტიკა, ანუ ჰსწავლა ხელოვნებითის სიტყვიერებისა...“

კითხულობთ ამ სიტყვებს და ფიქრობთ, რომ ბ. ჯორჯაძე ხელოვნების თეორიის ცოდნას მოითხოვს მწერლისაგან. მაგრამ მალე ირკვევა, თუ რა „თეორეტიკაზე“ ლაპარაკობს ჩვენი მწერალი ქალი: ანბანის ხმარების წესებს ეძახის თურმე „ხელოვნების თეორეტიკას“ და მთელი ეს განგაში ამ წესების გარშემო გაუმართავს. ბ. ჯორჯაძე იმ შეხედულებისაა, რომ ძველთაგანვე დაკანონებულია, თუ რომელი სიტყვა როგორ დაიწეროს და რა წესით შეუთანხმდეს წინადადებაში მეორეს, ამიტომ ამ წესებში ცვლილებების შეტანა საჭირო არააო. „ყოველთა ამათ განხილვა, გამოძიება და ახალთა კანონთა დადება, — წერს ბ. ჯორჯაძე, — ჩვენი საქმე არ არის, რადგანაც ყოველი ესე არის მოყვანილი ცნობაში ჩვენზედ ადრე“. მკითხველი მიხვდება, რომ ბ. ჯორჯაძე, პირველ ყოვლისა, აღშფოთებულია ი. ჭავჭავაძის მიერ თავისი სტატიის სქოლიოში გაკეთებული შენიშვნით ზოგიერთი ასოს ზედმეტობის თაობაზე. მას მოჰყავს მაგალითები ამ ასოთა გამოყენების წესის საილუსტრაციოდ და გამარჯვებაში თვითდარწმუნებული შენიშნავს: „თუ რომ უფ. ჭავჭავაძეს ჰსურს ახალის ენის დაბადება, ეს კი არ ვიცით“.

ბ. ჯორჯაძეს სჯერა, რომ ენაში ცვლილებები არ ხდება, რის გამოც უფლება არავის აქვს ცვლილება შეიტანოს დამწერლობაშიც. იგი ფიქრობს, რომ ახალი სამწერლობო ენის დამკვიდრების პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს ვინმეს.

მაგრამ ბ. ჯორჯაძე ტყუვდებოდა. ი. ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ დროთა ვითარებაში ქართულ მეტყველებაში ცვლილებები მოხდა და სამწერლობო ენაშიც შესაფერ ცვლილებათა შეტანა იყო საჭირო. ი. ჭავჭავაძეს არა თუ შესაძლებლად მიაჩნდა სამწერლობო ენის გამარტივე-

ბა, არამედ მტკიცედ მოითხოვდა „სამი სტილის“ თეორიაზე დამყარებული ქართული სალიტერატურო ენის საფუძვლიან გადამუშავებას, სასაუბრო ენის შესატყვისი ახალი სამწერლობო ენის შემოღებას. ამიტომ ამაო იყო ბ. ჯორჯაძის ვარაუდი, რომ მისი მოწინააღმდეგე უარს იტყოდა — ასეთი განზრახვები მე არ გამამჩნიაო, და ამით გამარჯვებაც მწერალ ქალს დარჩებოდა.

ი. ჭავჭავაძემ „ცისკრის“ რედაქციას უსაყვედურა ბარბარიზმებით ენის დანაგვიანების გამო, ბ. ჯორჯაძე კი შეეცადა რედაქცია „გაემართლებინა“ ი. ჭავჭავაძის სტატიაში მსგავსი შემთხვევების მოძებნით. იგი ირონიული ტონით აცხადებს: „ვთხოვთ შეასმინოს ჩემს გაუნათლებელ გონებას მაგ განათლებულმა პატივცემულმა სტუდენტმა, რა მნიშვნელობა აქუს ამ ლექსებს: ესტეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი და სხვანი“.

ბ. ჯორჯაძე ვერ ითვალისწინებს, რომ უცხო სიტყვების შემოტანა დაუშვებელია მხოლოდ მაშინ, როცა მისი შესატყვისი მოპოვება ენას, სხვა შემთხვევაში კი აუცილებელიც არის.

ბ. ჯორჯაძე არ იზიარებს ი. ჭავჭავაძის შეხედულებას, რომ „ცისკარში“ მხოლოდ ორიოდე მწერალი თუ ვარგა, თორემ დანარჩენნი არაფერს მატებენ მწერლობასო. ის ასახელებს დიმიტრი ბაქრაძესა და ლავრენტი არდაზიანს როგორც „ცისკრის“ თანამშრომლებს და ამით „უარყოფს“ ილიას მოსაზრებას, რომ „ჟურნალი არ უვარგა კერესელიძეს“.

ასეთი წესითა და ამგვარი პასუხი გასცა ი. ჭავჭავაძეს „ცისკრის“ „ფალავანმა“ ბ. ჯორჯაძემ, რომელმაც „საღმრთო წერილით“ დაიწყო და „საღმრთო წერილითვე“ დაასრულა თავისი სტატია.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ სამმა პოლემისტმა (ბ. ჯორჯაძემ, რ. ერისთავმა, გ. ბარათაშვილმა) ერთმანეთში გაინაწილეს საკითხები და სხვადასხვა მხრიდან შეუტიეს ი. ჭავჭავაძეს, მაგრამ ეს ფიქრი არ მართლდება. კიდევ უფრო უმწეოა გ. ბარათაშვილის სტატია „წერილი რედაქტორთან“, რომელიც მხოლოდ მოცულობით სჭარბობს ბ. ჯორჯაძის სტატიას (დაბეჭდილია ორ ნაწილად[5]).

წერილის შესავალშივე გ. ბარათაშვილი ძალაუნებურად ამჟღავნებს თავის „მაღალ მომზადებას“. კაცი, რომელსაც მკაცრ პოლემიკაში მონაწილეობის მიღება გადაუწყვეტია და ენის კანონებზე მსჯელობას აპირებს, გულწრფელად აცხადებს, რომ მისი „ცოდნა ქართულს ენაში ნაცვალსახელს აღარ გადასცილებია“. ამასთან სრულ უსუსურობას ამჟღავნებს კრიტიკის როლისა და დანიშნულების გაგებაში. ი. ჭავჭავაძის კრიტიკა ი. კოზლოვის „შეშლილის“ რ. ერისთავისეული თარგმანის შესახებ მას მიაჩნია წვრილმანებისადმი გამოდევნებად და „თავის

[5] ჟურნ. „ცისკარი“, 1861, № 5 და 6.

ძოძის“ მიმართ ჩადენილ არაკეთილსინდისიერ მოქმედებად. რევერანსებსა და ურთიერთხოტბას შეჩვეული გ. ბარათაშვილი ი. ჭავჭავაძის გამოჩენას კრიტიკის არენაზე მოულოდნელ და არასასურველ მოვლენად თვლის. მისი შეხედულებით, ი. ჭავჭავაძემ ყოველგვარი დაფიქრების გარეშე მიწასთან გაასწორა ჩახრუხაძე, დ. ბერიევი, სარდიონ მესხიშვილი და „შეშლილის“ მთარგმნელი — რ. ერისთავი.

გ. ბარათაშვილი ესარჩლება ი. ჭავჭავაძის მიერ „უსამართლოდ გაკიცხულ მწერლებს, მაგრამ თავს არ იწუხებს დამაჯერებელი გახადოს თავისი შეხედულებანი. ჩახრუხაძის დასაცავად მას საკმაოდ მიაჩნია დაიმოწმოს ანტონ კათალიკოსის სიტყვები, რომელთა მიხედვით ჩახრუხაძე რუსთაველზეც მაღლა დგას. იგი ვერ მიმხვდარა, რომ ი. ჭავჭავაძე სწორედ ანტონ კათალიკოსის მიერ დამკვიდრებულ შეხედულებას ებრძვის და ჩახრუხაძის როლის გადაფასებას ახდენს.

მეტად ხელცარიელი ცდილობს გ. ბარათაშვილი რ. ერისთავის დაცვასაც. რაკი უძნელდება მისი გამართლება ქართული ენის დამახინჯების გამო წაყენებულ ბრალდებებში, იგი ი. ჭავჭავაძეს უსაყვედურებს რუს კრიტიკოსთა აზრების გაზიარებას ი. კოზლოვის შესახებ, რითაც, ნაცვლად უარყოფისა, კიდევ უფრო მტკიცეს ხდის ი. ჭავჭავაძის მოსაზრებებს.

გ. ბარათაშვილის თვითმხილება კიდევ უფრო შორს მიდის — ავტორი სრულ უცოდინარობასა და უსუსურობას იჩენს საიმისოდ, რომ გაიგოს და შეაფასოს მხატვრული ნაწარმოები. მადაგახსნილი პოლემისტი, დარწმუნებული იმაში, რომ ი. ჭავჭავაძის სტატია ეს-ესაა გავაცამტვერეო, მისწვდა ი. ჭავჭავაძის ლექსებსაც, მაგრამ, საკბილო რომ ვერაფერი იპოვა, „მამობრივი გულისტკივილით“ აღნიშნა: „გაზაფხულში“ (ი. ჭავჭავაძის ლექსი — **დ. გ.**) პოეტი სულით ნატრობს საყვარელ მამულის აღყვავებას — ნეტავი დაანახა ეხლა საქართველო როგორ მწვანე ხავერდივით ბიბინებს!..“

გ. ბარათაშვილის კრიტიკული ნიჭის დასახასიათებლად, ცხადია, უკეთესი საბუთის ძიება ზედმეტი იქნებოდა, მაგრამ მისი ასეთი კრიტიკული „ალღო“ „ცისკრის“ რედაქციის ღირსებაზეც აშკარად მეტყველებს.

გალახული დამნაშავე ბავშვის მიერ თავის მართლებას მოგვაგონებს რ. ერისთავის სტატიაც, რომელიც მხარს უმშვენებს ბ. ჯორჯაძისა და გ. ბარათაშვილის სტატიებს. მართალია მას სათაურად აქვს „პასუხი თავად ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა“, მაგრამ ამაოდ შეეცდებით იპოვოთ მასში ჭეშმარიტი პასუხი.

რ. ერისთავის თავის მართლება უფრო შებრალების თხოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვინემ საბუთიანი პასუხისას. მაგრამ იგი ზოგჯერ მაინც აღიარებს თავის შეცდომებს, რითაც, ცხადია, უფრო მაღლდება

მკითხველის თვალში, ვინემ შეცდომათა ბავშვური „გამართლებით". რ. ერისთავი მხოლოდ იმაზე ჩივის, რომ მეტად მკაცრი იყო კრიტიკა და ძასთან ერთად კარამზინი, კოზლოვი და ჩახრუხაძეც აღარ დაინდო ი. ჭავჭავაძემ. განსაკუთრებით წუხს კარამზინის გამო და წინ სწევს მის დამსახურებას რუსული მწერლობის წინაშე.

მსგავსად ბ. ჯორჯაძისა, რ. ერისთავიც ვერ ერკვევა, თუ რა შემთხვევაში სესხულობს ერთი ენა მეორე ენისაგან სიტყვებს და რა მნიშვნელობა აქვს ამას ენათა ურთიერთგამდიდრებისათვის.

გ. ბარათაშვილს არც რ. ერისთავი ჩამორჩა მხატვრული თქმების „გაანალიზებაში". მას ვერ გაუგია აზრი ი. ჭავჭავაძის სიტყვებისა — „ჩვენ სულ მამაპაპურმა ტკბილმა ძილმა დაგვღუპაო" და ი'შველიებს ისტორიას წინაპართა დამსახურების ჩვენების მიზნით.

მაგრამ ჭეშმარიტების ინტერესები მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ი. ჭავჭავაძის სტატიის არსი და მნიშვნელობა უფრო მეტად ძაინც რ. ერისთავმა გაიგო. და ეს ალბათ იმიტომ, რომ იგი უშუალოდ იყო კრიტიკის საგანი.

*

ი. ჭავჭავაძე უკვე თბილისში იმყოფებოდა, როცა მისი სტატიის საპასუხო წერილები დაიბეჭდა „ცისკარში". მასაც მალე დაუწერია საპასუხო სტატია („პასუხი") და „ცისკრის" მომდევნო (მეექვსე) ნომერში გამოუქვეყნებია. ჟურნალის რედაქცია მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩაყენა ი. ჭავჭავაძის „პასუხმა". დაბეჭდვაზე უარის თქმა რედაქციის სისუსტესა და შიშს გამოამჟღავნებდა, ხოლო დაბეჭდვის შემთხვევაში „ცისკრის" ფალავანთა და გულშემატკივართა უვიცობა გამოვლინდებოდა. რედაქციამ, ბოლოს, გადაწყვიტა გამოექვეყნებინა ილიას „პასუხი", მაგრამ მხოლოდ შენიშვნების დართვით. მართლაც, ი. ჭავჭავაძის სტატია გამოქვეყნდა შენიშვნებითა და განმარტებებით „შემოსილი".

ი. ჭავჭავაძემ თავის „პასუხს" წარუმძღვარა ბ. ბელინსკის სიტყვები: «Из нашей литературы хотят устроить бальную залу и уже зазывают в нее дам; из наших литераторов хотят сделать светских людей в модных фраках и белых перчатках, энергию хотят заменить вежливостию, чувство—приличием, мысль — модною фразою, изящество — щеголеватостию, критику — комплиментами...»[6]

ნიშანდობლივია, რომ ბ. ბელინსკი ამ სიტყვებს წერს სტატიაში «О критике и литературных мнениях «Московского наблюдателя», როდესაც იგი ეკამათება შევირიოვს მწერლობაში ქალთა გამოჩენისა და ლიტერატურულ ზნეობაზე მათი გავლენის მნიშვნელობის შესახებ. ბ

[6] В. Г. Белинский. Собр. соч. в трех томах, т. I. 1948, გვ. 269.

ბელინსკის ამ სიტყვებით ი. ჭავჭავაძე დასაწყისშივე გასაგებს ხდის სტატიის ძირითად შინაარსსა და თავისი გულისტკივილის მიზეზს.

„ცისკრის“ რედაქციასაც უგრძნია, რომ ი. ჭავჭავაძეს ეპიგრაფად შერჩეული ჰქონდა ბ. ბელინსკის მეტად მახვილი სიტყვები, ამიტომ მისთვის დაურთავს თავისი განმარტება, რომელშიც ვკითხულობთ: „ეს ეპიგრაფი აქ უადგილოა: ეს მიეწერება იმ დროს, როდესაც ბელინსკისაგან მოხსენებული ნაკლულევანებები ზოგიერთის ევროპიის საზოგადოების ზნეობაში იყვნენ და ამ ზნეობებითგან შემოვიდნენ მათ სიტყვიერებაში. პირველი მაგალითი უჩვენა ფრანციამ, რომელსაც ჰბაძავდა თვით რუსეთიცა... ი. ჭავჭავაძე ივიწყებს რა გვარს საზოგადოებისათვის სწერს კრიტიკებსა. ქართველები ჯერ ევროპიისა და რუსეთის განათლებაზედ არა დგანან. უ. ჭავჭავაძე ბელინსკის ჰბაძავს და ბელინსკობა ჩვენში არ გამოდგება. თუმცა ბელინსკი საფუძვლიანი და უპირველესი კრიტიკოსი იყო რუსეთში, მაგრამ, როგორათაც სნეული და ზაფრიანი კაცი, ყოველთვის ილანძღებოდა და ამის მიზეზით იმისი ბაძვა არ არის მოსაწონი, და თვით რუსეთში ეხლა ვინა ჰბაძავს იმასა!?“

რედაქციის გაცხარება, როგორც ვხედავთ, ყოველგვარ ზომას გადასცდა: არა თუ ახალგაზრდა ი. ჭავჭავაძე, არამედ სახელმოხვეჭილი ბელინსკიც შეუფერებლად მოიხსენიეს.

ი. ჭავჭავაძემ თავის „პასუხში“ მიზნად დაისახა, ერთი მხრივ, პასუხი გაეცა თავისი კრიტიკოსებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ. წამოეყენებინა და დაესაბუთებინა ლიტერატურათმცოდნეობის დიდმნიშვნელოვანი ზოგადი საკითხები.

მოწინააღმდეგეთა და მათი სტატიების ღირსებაზე ი. ჭავჭავაძე მკითხველს წარმოდგენას აძლევს პირველივე სტრიქონებით: „ბარაქალა, ჩემო სტატიავ, ბარაქალა! ვისაც თავის დღეში კალამი ხელში არ აუღია, იმასაც ააღებინე; ვისაც მართალი სიტყვა პირდაპირ ნათქვამი თავის დღეში არ გაუგია, იმას მართლის თქმით გული აუმღვრიე; ვისაც „შინიდამ ფეხი კარში არ გამოუდგამს“ და რაღაც ანბანის თეორეტიკის მეტი არა უკითხავს-რა, ისიც-კი აალაპარაკე-თეორეტიკის გარეშე საგანზედ. ბარაქალა, ბარაქალა! სამი სტატია ერთ სტატიაზე, რა ამბავია? ეს ის ამბავია, ჩემო კეთილო მკითხველო, რომ ამ ჩემ მოპირდაპირეთ რიცხვით ჯობნა სურვებიათ და არა თავის სტატიების ღირსებითა... ეგ არაფერი კიდევა, სხვა კრიტიკებიც კიდევ მზადდება თურმე ჩემზედ. სხვანიც რომ ამ საქმს კრიტიკაზედ დაჰმატოდნენ, კარგი იქნებოდა; პირველი — რომ პასუხს ერთად გავსცემდი, მეორე — რომ ეს რამდენიმე კრიტიკა ერთად კაი ზომიერი ლუკმა მაინც გამოვიდოდა, რომ ღირებულიყო ჩასაყლაპავად“[7].

---

[7] ი. ჭავჭავაძის პირველი სტატიის საპასუხოდ, მისი მეორე სტატიის („პასუხი“) გვერდით, მართლაც დაიბეჭდა ყ. ბარათაშვილის სტატიის მეორე ნაწილი და ს. ალექსი-მესხიშვილის „უსტარი ანტიკრიტიკული“ („ცისკარი“, 1861, № 6).

„ცისკრის" რედაქციას ვერც ამ სიტყვების გამო შეუმაგრებია თავი—სარედაქციო შენიშვნაში ვკითხულობთ: „ბელინსკის გავლენა ყოველს სიტყვაში ჰსჩანს... იმ მწერალთა სტატიებში, რომელნიც მას არ ეთანწოონს, უფრო კარგი აზრები სძევს, და უფრო საფუძვლიანად არიან ისინი დაწერილნი. განსაკუთრებით კნ. ბარბარე ჯორჯაძისა".

მაგრამ ეს შენიშვნები ვერ შველით „ცისკრის" პოლემისტებს. თავისი რკინისებური ლოგიკით ი. ჭავჭავაძე აშკარას ხდის მათ სისუსტესა და ჩამორჩენილობას. პირველ ყოვლისა, ილია გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მეტი შესაძლებლობის მქონენი ძიმალულან, ხოლო სუსტები გამოსულან და შეუპოვრად იბრძვიან. ამასთან დაკავშირებით იგი შენიშნავს: „სულელის უბედურობა ის კი არ არის, რომ სულელია, ის არის, რომ თავისთავს ვერ იცნობს და თავისი თავი დიდი რაშა ჰგონია". მართლაც, ი. ჭავჭავაძეს პოლემიკა გაუმართეს კონსერვატორთა ბანაკის შედარებით სუსტმა წარმომადგენლებმა. სხვებმა კი, ძისი ნამდვილი ძალა რომ იგრძნეს, ტაქტიკური სიჩუმე ირჩიეს და არ გამოვიდნენ ბრძოლის ველზე.

ი. ჭავჭავაძე, რომელსაც მხედველობაში აქვს „ცისკარი" და მასში გამოქვეყნებული წერილები, ამბობს: „ხშირად შემხვდება ხოლმე სიტყვები: ლიტერატურა, კრიტიკა, ხელოვნება, სიტყვიერება და სხვა. მაგრამ მხმარებელთ ხმარებულის გაგება არა ჰქონიათ; რომ ჰქონოდათ, დარწმუნებული ვარ, რომა არამც თუ ლიტერატორობას მოჰყვებოდნენ, კალამსაც ხელში არ აიღებდნენ და, თუ აიღებდნენ, მარტო მოკითხვის წიგნების დასაწერად". თავის ამ შეხედულებას ი. ჭავჭავაძე ნათელჰყოფს ბ. ჯორჯაძის სტატიის მაგალითზე. იგი მკითხველს აჩვენებს, თუ როგორ ურევს ერთმანეთში ბ. ჯორჯაძე „ასოთა მოხმარების წესს სიტყვებში" და „ხელოვნების თეორეტიკას". ამასთან დაკავშირებით ილია თვითონ იძლევა ხელოვნების განმარტებას.

„ხელოვნება, — წერს ი. ჭავჭავაძე, — არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოსთქვამენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა — ხმასა, მხატვრობა — ხაზსა, პოეზია — სიტყვასა".

ხელოვნების ამგვარი განმარტებისას, როგორც ვნახავთ, ი. ჭავჭავაძეს ძხედველობაში აქვს ბ. ბელინსკის შეხედულება ამავე საკითხზე.

ი. ჭავჭავაძე გრძნობს, რომ „ცისკრის" მესვეურთ არ ესმით რა არის ხელოვნება და რაა მისი დანიშნულება; ხედავს, რომ ისინი პრიმიტიული და სქოლასტიკური აზრებით „ართობენ" მკითხველს. „ცისკრის"

ასეთ-სავალალო მდგომარეობაში ყოფნის გამო იგი გაკვირვებასაც გამოთქვამს და აღშფოთებასაც გამოხატავს. ბ. ჯორჯაძისა და მის თანამოძმეთა „გაბედულებას" ილია მათი ჩამორჩენილობით ხსნის. „მაშ რისთვის გამობრძანდებიან ხოლმე ამგვარნი პირნი სცენაზედ? — კითხულობს იგი, — რა დაჰკარგვიათ და რას ეძებენ? უბედურობა ჩვენი ეს არის, რომ შევბეჭავთ თუ არა ანბანის თეორეტიკის კანონით უაზრო ლექსებს, გვგონია, რომ ხელოვნებას დიდი რამ შევძინეთო; იმიტომ გვგონია, რომ ჩვენს ლექსში „ა" თავის ალაგს ხმარებულია, „ბ" თავის ალაგსა. თუ „ცისკარი" უვარგისია, კიდევ თქვენგან, ყვავებო ფარშავანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორნის ჩხავილითა!"

„ცისკრის" ფალავნებს ი. ჭავჭავაძე მოაგონებს, რომ ცოდნასა და განათლებასთან ერთად, და კიდევ უფრო მეტად, პოეტს ნიჭი ესაჭიროება. „ეხლა რომ კაცმა სწეროს, — შენიშნავს ილია, — ცოდნისა და განათლების გარდა, ნიჭიც უნდა ჰქონდეს. ცოდნა და განათლება ისე აუცილებელი და საჭირონი არ არიან პოეტისათვის, როგორც ნიჭია საჭირო და აუცილებელი". თავისი ამ დებულების დასამტკიცებლად იგი ასახელებს კოლცოვის მაგალითს:

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე მოწინააღმდეგეებს თვლის არა მარტო გაუნათლებელ, არამედ პოეტურ ნიჭს მოკლებულ ადამიანებადაც. თავის დროზე ბ. ბელინსკი ამბობდა: «Чтоб уметь изображать действительность, мало даже дара творчества: нужен еще разум, чтоб понимать действительность»[8]. ცხადია, ი. ჭავჭავაძე მწერლისაგან მოითხოვს უფრო აუცილებელს — პოეტურ ნიჭს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი თუნდაც ოდნავ უპირისპირდებოდეს ბელინსკის შეხედულებას. ამ შემთხვევაში ილია თავის მოწინააღმდეგეთა მიუტევებელ სისუსტეზე მიუთითებს მხოლოდ. ამასთან, როცა „ცოდნასა და განათლებაზე ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს არა ცხოვრების ცოდნა, არამედ სასწავლებელში მიღებული ცოდნა და განათლება.

ბ. ჯორჯაძემ, გ. ბარათაშვილმა და რ. ერისთავმა თავიანთი სტატიებით დაარწმუნეს ი. ჭავჭავაძე, რომ მათ არ ესმოდათ რა არის კრიტიკა და რაა მისი დანიშნულება. ამიტომ ილია იძულებულია მოაგონოს მათ: „კრიტიკა" — ამის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზედ და არც ძალიან საჭიროა, რომ იყოს, თუმცა უკეთესი იქნებოდა —რომ ყოფილიყო, რადგან ეგ დაგვიმტკიცებდა, რომ ჩვენი მამა-პაპანი მაგ მხრით განვითარებულნი ყოფილან. სადაც სახელია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს. ეს სიტყვა ეხლა მთელ კაცობრიობას ეკუთვნის და ყოველი ხალხი, ცოტაოდენად განათლებული, ხმარობს თავის ენაში;

[8] В. Г. Белинский. Полн. собр. соч., под ред. С. А. Венгерова, т. VIII, გვ. 234.

მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრახისი, რომ ეგ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს. „კრიტიკა“ არის განხილვაც, განჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად“.

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე დიდ ამოცანებს აყენებდა კრიტიკის წინაშე და მთელი სერიოზულობით ჰქონდა წარმოდგენილი კრიტიკოსის პასუხისმგებლობა. იგი უარყოფდა „კრიტიკის“ ცალმხრივ გაგებას და მოითხოვდა კრიტიკას გაერკვია მხატვრული ნაწარმოების უარყოფითი და დადებითი მხარეები, განესაზღვრა მისი მნიშვნელობა ლიტერატურის საერთო საგანძურში.

ილიას „პასუხში“ მკაცრი საყვედური ისმის „ცისკრის“ რედაქციის მიმართ არა მარტო კრიტიკის როლისა და კრიტიკოსის მოვალეობის შეუფასებლობისა და უცოდინარობის გამო, არამედ საერთოდ ლიტერატურისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების არასწორი გაგების გამოც.

ი. ჭავჭავაძე ავითარებს იმ აზრს, რომ ლიტერატურა სინამდვილის მხატვრული ასახვაა და ამიტომ მასში უნდა მოჩანდეს ხალხის ფიქრი და გრძნობა, საზოგადოების განვითარების დონე და ხარისხი. „ცისკრის“ ღირსება-ნაკლოვანების გარკვევასაც იგი სწორედ ამ მოთხოვნის შესაბამისად ახდენს. „ლიტერატურა“ — წერს ილია, — ხალხის ჭკვა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია. ლიტერატურის წარმომადგენელი ჩვენში მარტო „ცისკარია“ ამჟამად. ნუთუ მართლა, რაც „ცისკარში“ იწერება, საქართველოს ხალხის ფიქრია, ჭკუაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუთუ მართლა „ცისკარში“ ჩვენი განვითარებაა, ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუთუ მართლა ეგრე დაეცა რუსთაველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე ჰგრძნობს? მეც მაგასა ვჩივი და ვსტირი, რომ არა, ათასჯერ არა; მეც იმიტომ ესე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბღაჯნის, აღარა ბღაჯნოს, რადგანაც... ამდაბლებენ ჩვენს ენას. მე იმისთვის ვლაპარაკობ ეგრე სასტიკად, პირ-მოუფერებლად, რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც თავის ოთახიდგან ფეხს ნუ გამოდგამენ გარეთ, ლიტერატურაში; ამას ვთხოვთ ხალხის სახელითა, ხალხისვე სახელის დაცვისათვის!..“

ამ სიტყვებით აშკარა ხდება, თუ რა შეხედულებისა იყო ი. ჭავჭავაძე ლიტერატურაზე, ერთადერთ ქართულ ჟურნალ „ცისკარზე“ და რას მოითხოვდა მისგან.

ი. ჭავჭავაძის აზრით, „ცისკარში“ მოთავსებული ლიტერატურული პროდუქცია არ ასახავდა ქართველი ხალხის ფიქრებსა და გრძნობას, მისი განვითარებისა და განათლების დონეს: „ცისკრის“ მწერლები მოწყვეტილი იყვნენ ხალხს და არ იცნობდნენ მის ცხოვრებასა და მისწრაფებებს; მხატვრულად სუსტი ნაწარმოებებით მათ მხოლოდ გა-

აფუჭეს ქართული ენა. ახალგაზრდა პატრიოტი მწერალი ხალხის სახელით მიმართავს „ცისკრის“ მწერლებს, რომ ლიტერატურის უპირველესი მოვალეობა „ხალხის სახელისა“ და ხალხის ინტერესების დაცვაა.

„ცისკარში“, ილიას სამართლიანი თქმით, უნიჭო და უცოდინარი მწერლები მოკალათდნენ. ამიტომ ამ ჟურნალის წყალობით მკითხველის გონება და გემოვნება კი არ ვითარდება, არამედ ეცემაო. „უნიჭო და ამასთან უცოდინარი მწერალი არა მარტო ენას ახდენს, ამასთან გონებას, გემოვნებას, გულს და სულს მკითხველისას“, — წერს ილია.

ი. ჭავჭავაძე იბრძვის ჭეშმარიტად რეალისტური და ხალხური ლიტერატურისათვის. სხვაგვარად მას არც წარმოუდგენია ლიტერატურა, რის გამოც შეურიგებელია ყოველგვარი სხვა გაგებისადმი. მისი ღრმა რწმენით, ის, ვინც ვერ ახერხებს ხალხის ინტერესების დაცვას, მისი ფიქრისა და გრძნობის გამოხატვას, არცაა მწერალი. „ჩვენ, — ამბობს ილია, — ძალიან კარგად გვესმის დამოკიდებულება ხელოვნებისა, პოეზიისა ხალხთა ცხოვრებაზედ... პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს; ამ საფუძველით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო“.

ი. ჭავჭავაძე, ცხადია, არ ბაძავს ცისკრელ პოლემისტებს და უპასუხოდ არ ტოვებს მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს: იგი ყველასათვის გასაგებს ხდის მოწინააღმდეგეთა სტატიებისა და შეხედულებების „ღირსებას“.

ბ. ჯორჯაძის სტატიის ანალიზს ი. ჭავჭავაძე იმის გარკვევით იწყებს, თუ როგორ ესმის მის ავტორს „ხელოვნების თეორეტიკა“. იგი მთელი დამაჯერებლობით ადასტურებს, რომ ბ. ჯორჯაძეს არ შესწევს უნარი იმსჯელოს ხელოვნების საკითხებზე — საამისოდ მას არც ნიჭი აქვს და არც ცოდნა. რაც შეეხება მის მხატვრულ და პუბლიცისტურ მემკვიდრეობას, ილიას შეხედულებით, მათი მოგონება არც კი ღირდა, ავტორს დიდი პრეტენზია რომ არ გამოემჟღავნებინა. ბ. ჯორჯაძისა და საერთოდ „ცისკრის“ პუბლიცისტური წერილების „ღირსების“ საჩვენებლად ი. ჭავჭავაძე ლაპარაკობს „მარხვების ტრაკტაციით“ გატაცებაზე და შენიშნავს: „1860 წ. ნოემბრის ნომერში გახლავსთ კნ. ბ. ჯორჯაძის სტატია, სახელად: „რამდენიმე აზრი ახლანდელს მდგომარეობაზედ“. ამ სახელმა არ მოგატყუოთ, ჩვენო მკითხველნო... მაგ სტატიის სახელს რომ დაუჯეროს კაცმა, იფიქრებს: ან პოლიტიკურ მდგომარეობაზედ იქნება რამდენიმე აზრიო, ან ეკონომიურ მდგომარეობაზედ, ან კიდევ განათლებაზედ; არა, ბატონო, მაგ სტატიაში კნეინა ბრძანებს, მარხვებს არ ინახავენო“. ამით ი. ჭავჭავაძე გარკვევით აყალიბებს პუბლიცისტის ძირითად მოვალეობასაც: წეროს პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე, განათლების საკითხებზე და სხვ.

ბ. ჯორჯაძის ლექსები, ი. ჭავჭავაძის თქმით, ხელოსნობის ნაყოფია

და არა ხელოვნებისა, მათი ბეჭდვით „ცისკრის“ დაკნინება მეღავნდება მხოლოდ. ი. ჭავჭავაძე მიმართავს ბ. ჯორჯაძეს და ამბობს: „მადლობელი იყავით „ცისკრის“ რედაქციისა, რომ თქვენი ლექსები იბეჭდებიან; მადლობელი იყავით, რომ „ცისკარი“ ეგრე ცუდია, რომ ყველაფერს ჰბეჭდავს, თორემ თქვენს ლექსებს დაბეჭდვა არ ეღირსებოდა თავისდღეშია. კიდეც იმიტომ იბრძვით განათლების წინააღმდეგ, კიდეც იმიტომ დასცინით უნივერსიტეტსა, კიდევ იმიტომ ებრძვით იმ კაცს, რომელსაც სულით და გულით სურს „ცისკრის“ კეთილდღეობა“.

როგორც აღნიშნული გვაქვს, ბ. ჯორჯაძე ი. ჭავჭავაძეს უმთავრესად ენის საკითხებში შეედავა. კერძოდ, მან დაუშვებლად მიიჩნია ქართული ანბანიდან იმ შვიდი ასოს ამოღება, რომელთა შესატყვისი ბგერები, ილიას შეხედულებით, ქართველთა მეტყველებაში აღარ ისმოდა. ილია ჭავჭავაძე თავის „პასუხში“ დამაჯერებლად ასაბუთებს, თუ რა მიზეზით აღარ ხმარობდა იგი ამ ასოებს, და მოითხოვს საწინააღმდეგო შეხედულებათა ავტორებმა წარუდგინონ კონკრეტული საბუთები არა ძველი წერილობითი ძეგლებიდან, არამედ ხალხის მეტყველებიდან. „ენას კანონსა თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკა“, — დასძენს იგი.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, „ენა... იზრდება და ვითარდება“, თანაც „ამ ზრდაში იცვლება“. ამიტომ „კანონები, ერთს დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე“. ცხადია, ილიას შესაწყნარებელ საბუთად არ მიაჩნია ის, რომ ესა თუ ის ასო, „რადგანაც ძველ წიგნებში ხმარებულა, იმიტომ ეხლაც უნდა ვიხმაროთ“. ი. ჭავჭავაძე მხარს უჭერს მართლწერის გამარტივებას, როცა ამის საშუალებას თვით ხალხის მეტყველება იძლევა. „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკა“, — ამბობს ილია.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ბ. ჯორჯაძე და მისი თანამოაზრე მწერლები თავიანთი უშინაარსო და უხეირო ნაწარმოებებით ლიტერატურას არას მატებდნენ, ენას კი ახდენდნენ. „აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას მნიშვნელობას“, — მოაგონებდა მათ ილია.

როგორც ცნობილია, ენა, რომელიც ურთიერთობის იარაღია, საზოგადოების ბრძოლისა და განვითარების იარაღიცაა. და გასაგებია, თუ რატომ გახდა სამწერლო ენის საკითხები დავის ერთ-ერთ მთავარ საგნად ი. ჭავჭავაძესა და მის მოწინააღმდეგეთა შორის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ილიას შეხედულებათა სისწორე სამწერლო ენის გამარტივების საკითხში თვით ცხოვრებამ დაადასტურა.

ი. ჭავჭავაძე ეხება „პასუხში“ ბ. ჯორჯაძის შენიშვნებს მისი ლექსების შესახებ და მხოლოდ ერთ შემთხვევაში ეთანხმება მას.

ი. ჭავჭავაძის თქმით, თუ ბ. ჯორჯაძეს მართლაც გულწრფელადა სურს „ცისკრის“ წარმატება, მაშინ არა მარტო პოლემიკაზე უნდა აიღოს

ხელი, არამედ პოეტობაზეც: „ღმერთი, რჯული, დიდ ღვაწლს მხოლოდ მაშინ დასდებს ჩვენს „ცისკარსო“. ი. ჭავჭავაძეს ვერ აუტანია, რომ ბ. ჯორჯაძე ცდილობდა თავისი თანამომძე მწერლების გამხნევებას და სიტყვებს ხარჯავდა მათ სანუგეშებლად.

„...ჩვენი მწერალი ქალი, — ამბობს ილია,—ეპატიჟება თავის მომძეთა მწერალთა (?) და სხვათა შორის თ. რევაზ ერისთავსაც, რომ არ მოაკლონ თავიანთ ნიჭის სხივები დამზრალს „ცისკარს“. მიბრძანდით, მიბრძანდით... და შეადგინეთ კვარტეტი კრილოვისა, თორემ ჩვენ მწერალ ქალს ეშინიან, რომ მარტოკა დარჩება რითმების მბეჭველთა რაზმში... თუ ნიჭი არ გაქვსთ წერისა, ნუ გეშინიანთ, უნიჭოდაც გამოსჩნდებით, როგორც გამოსჩნდა თითონ ჩვენი მწერალი ქალი. თუ ცოდნა არ გაქვსთ, ნურც მაგისი გეშინიანთ, უცოდინარობითაც სახელს დაიგდებთ: ხომ ხედავთ, სწავლასაც დასცინიან, უნივერსიტეტსაც... და უსწავლელობით მოჰკვეხენ! თუ ხელოვნება არ იცით მაგის წამალიც ხელთა აქვს ჩვენ მწერალ ქალს — ანბანთ თეორეტიკა. გზა მშვიდობისა! ჩვენ მწერალ ქალის მომძენო მწერალნო! გზა მშვიდობისა! მოვა დღე კრიტიკის განკითხვისა... მაშინ ბევრიც რომ იძახოთ, დაპატიჟებულები ვიყავითო და ანბანთ თეორეტიკაც ვიცითო, მაინც კიდევ დაუნდობელი სიმართლე კრიტიკისა გაგგზავნით თავის დაუნდობელ ჯოჯოხეთში“.

ი. ჭავჭავაძემ მსჯელობის ღირსადაც არ ჩათვალა გ. ბარათაშვილის სტატია და ეს გასაკვირიც არაა. მას შემდეგ, რაც გ. ბარათაშვილმა ი. ჭავჭავაძის „გაზაფხულში“ ველების ამწვანების სურვილი დაინახა და მეტი არაფერი, მასთან კამათი აღარც ღირდა. „გ. ბარათოვის აზრზედ არა ღირს ლაპარაკი“, რადგან ის „თვითონ თავის თავსვე უწევს კრიტიკას“, — შენიშნავდა ილია.

შედარებით მეტი ყურადღების ღირსად მიიჩნია ი. ჭავჭავაძემ რ. ერისთავის საპასუხო სტატია. ამ სტატიის აზრი, ამბობს ილია, ისაა, რომ თითქოს მე ლანძღვა დამეწეროს და არა კრიტიკაო. ასეთი შეხედულების შექმნას ილია იმ გარემოებას მიაწერს, რომ „ცისკრის“ მოღვაწენი შეჩვეული იყვნენ კომპლიმენტებსა და უსაფუძვლო შექებას. იგი მიუთითებს ცნობილ კრიტიკოსებზე, რომელთა წერილებში კიდევ უფრო მკაცრი ტონი ისმის, მაგრამ მათ შესახებ მაინც ვერ ვიტყვით უსაფუძვლონი არიანო. „აბა, განიხილეთ ბელინსკის სტატიები, — წერს ილია, — სადაც უნიჭო მწერლებზე ლაპარაკობს და სხვათაშორის ბულგარინზედ და ბარონ ბრამბეუსზედ. ლანძღვა ის არის, რომ იტყვი და არას დაამტკიცებ: დაუმტკიცებელი და უსაფუძვლო ქებაც კი ლანძღვაზედ საწყენია პატიოსან კაცისათვის. მე რაც ვსთქვი, ის დავამტკიცე კიდეცა... რომ დავამტკიცე, ამის მოწმედ მომყავს ის ფაქტი, რომ... ჩემი კრიტიკოსები არ არღვევენ არც ერთს ჩემს აზრსა. რაც

დამტკიცებულია, ის მართალია; რაც მართალია, ლანძღვა არ არის".

რ. ერისთავი, მსგავსად ბ. ჯორჯაძისა, ი. ჭავჭავაძეს უცხო სიტყვების ხმარებას უკიჟინებდა. ამის საპასუხოდ ი. ჭავჭავაძე განუმარტავს მათ, რომ არ არის ისეთი ენა, რომელსაც სხვა ენისაგან არაფერი ესესხოს. კერძოდ, მის მიერ ნახმარი სიტყვები (სანტიმენტალიზმი, ორიგინალი, დრამატიზმი და სხვ). თითქმის ყველა კულტურული ხალხის ენაში იხმარება. „თუნდ რომ მე არ ვიხმარო ეგ სიტყვები, — ამბობს ილია,—მაინც კიდევ უთუოდ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარნენ: პოემა, პოეზია, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლოღიკა და სხვანი მრავალნი".

რაც შეეხება რ. ერისთავის საყვედურს თითქოს კარამზინის დამცირების გამო, ი. ჭავჭავაძე ამას გაუგებრობის შედეგად მიიჩნევს. მისი თქმით, შეუძლებელია უარვყოთ კარამზინის დამსახურება რუსული საზოგადოების წინაშე, კერძოდ, მისი ღვაწლი რუსული ენის დამუშავებასა და რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის შესწავლაში. მაგრამ, ამბობს ილია, კარამზინი ქართველებისათვის საინტერესო შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ თავისი მხატვრული შემოქმედებით, რასაც ახლა თვით რუსეთშიც აღარ აფასებენო. ამ საკითხთან დაკავშირებით ი. ჭავჭავაძე გამოთქვამს მეტად საყურადღებო შეხედულებას. „ეს უნდა კარგად იცოდეთ — ამბობს ილია, — რომ ლიტერატორს სხვადასხვა მნიშვნელობა ექნება: აზრით, მიმართულებით და ენის წარმატებით; ესეც კარგად უნდა იცოდეთ, რომ ერთის ხალხის ლიტერატორს მეორე სხვა ხალხისათვის ერთი და იგივე მნიშვნელობა არა აქვს. მწერალს თავის ხალხისათვის ექმნება მნიშვნელობა: აზრით, მიმართულებით, ენის წარმატებით და მოქმედებით... სხვა, უცხო ხალხისათვის კი მარტო თავის აზრით და თავის მიმართულებით". მოწინააღმდეგე, ცხადია, უძლური იყო დაერღვია ილიას ეს ჭეშმარიტი აზრი.

ი. ჭავჭავაძე კიდევ ერთხელ გახაზავს, რომ სანტიმენტალიზმი განვლილი ეტაპია ლიტერატურისათვის, და თუ ქართულ ლიტერატურას თავის დროზე არ გაუვლია იგი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახლა დაუბრუნდეს მას. „რომ სენტიმენტალური მიმართულება, — შენიშნავს ილია, არავისთვის არ არის საჭირო და, სხვათა შორის, ჩვენთვისაც, ამას თქმა აღარ უნდა. მაშასადამე, კარამზინი მაგ მხრით ჩვენთვისაც და რუსებისთვისაც უვარგისია; მეც ეგა ვსთქვი ჩემს აპრილის სტატიაში".

ამრიგად, ი. ჭავჭავაძე თავისი სტატიებით მიზნად ისახავდა ქართული ლიტერატურიდან განედევნა სანტიმენტალიზმის რეციდივები და კრიზისის გზაზე მდგარი რომანტიზმი, სარბიელი მიეცა მხოლოდ კრიტიკული რეალიზმისათვის და დაენერგა მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპები. „ცისკრისა" და მის გარშემო შემოკრებილ მწე-

რალთა ჩამორჩენილობის გამომშეურება მოწინავე ლიტერატურულ შეხედულებათა შუქზე პირველი საიმედო ნაბიჯი იყო ამ მიმართულებით. მაგრამ ცისკრელები ადვილად როდი თმობდნენ პოზიციებს: თავის მხრივ, ისინი ცდილობდნენ ჩაეჩუმებინათ პეტერბურგიდან „შემოჭრილი“ მოწინააღმდეგე და არ მიეცათ მისთვის საშუალება თანამოაზრეები გაეჩინა.

როგორც აღვნიშნეთ, „ცისკრის“ რედაქციამ ადრევე იგრძნო, რომ ი. ჭავჭავაძის „პასუხის“ ძალისა და გავლენის გასაქარწყლებლად არ იკმარებდა ამ სტატიაზე დართული სარედაქციო შენიშვნები. ამიტომ ჟურნალის იმავე ნომერში გამოაქვეყნეს გ. ბარათაშვილის სტატიის გაგრძელება და ს. ალექსი-მესხიშვილის „უსტარი ანტიკრიტიკული“. ერთ-ერთ (ოცდამეოთხე) შენიშვნაში რედაქცია კიდევაც აღნიშნავს, რომ იმას, რაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ გვეთქვა, „სხვების სტატიებიდან ჰსცნობთო“.

გ. ბარათაშვილი ამჯერად ი. ჭავჭავაძის პოეტურ ნაწარმოებთა გარჩევას შესდგომია, გადაუწყვეტია შეეტყო, „თუ რავდენი მისხალი პიიტიკური ნიჭი ძევს მათში“. იგი ჯერ თავისებური ოხუნჯობით „იზიდავს“ მკითხველის ყურადღებას, შემდეგ კი ილიას ლექსებიდან (უმეტესად თარგმნილიდან) მოჰყავს ისეთი ადგილები, სადაც, მისი აზრით, დამახინჯებულია ქართული ენა და პოეტური გემოვნების უქონლობა მჟღავნდება. გ. ბარათაშვილი დროდადრო ი. ჭავჭავაძის ლიტერატურულ შეხედულებათა გაბიაბრუებასაც ცდილობს, მაგრამ მეტად უმწეო მდგომარეობაში აყენებს საკუთარ თავს.

გ. ბარათაშვილს მიზნად აქვს დასახული სამაგიერო მიუზღოს ი. ჭავჭავაძეს რ. ერისთავის ნაცვლად. საკითხების თანამიმდევრობისა და წერის მანერის მხრივ კი თვით ი. ჭავჭავაძეს ბაძავს. ახალგაზრდა მწერალთა მიმართ თავისი „ობიექტური“ დამოკიდებულების დასადასტურებლად გ. ბარათაშვილი ერთმანეთს უპირისპირებს ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ლექსებს და პირველისაგან განსხვავებით მაღალ შეფასებას აძლევს უკანასკნელს. ასეთი ხერხით მას ორი კურდღლის დაჭერა სურს: ჯერ ერთი, თუ ი. ჭავჭავაძემ გრ. ორბელიანი დაუპირისპირა „ცისკრის“ პოეტებს, იგი ა. წერეთელს უპირისპირებს ი. ჭავჭავაძეს; მეორეც, ასეთი გზით ვარაუდობს გათიშვა წარმოშვას ახალგაზრდათა შორის.

თავისი სტატიის დასასრულს გ. ბარათაშვილი ი. ჭავჭავაძეს კვლავ ბელინსკის მიბაძვას უსაყვედურებს და ამბობს: ი. ჭავჭავაძე „შეეშადა პეტერბურგში, როგორათაც დონ-კიხოტი; მარცხენა ხელში იპყრა, ფარის მაგივრათ, ბელინსკის ტომები, მარჯვენაში ლექსიკონი უსწორო სიტყვებისა და ესრეთ დაიარაღებული, გამოილაშქრა საქართველოზე, რათა ძალ და ძალ აეღო დაფნის გვირგვინი“.

მაგრამ ვერც იმას მალავს, რომ მას თბილისშიც ბევრი პატივისმცემელი და თანამოაზრე გამოსჩენია. ი. ჭაუჭავაძეს, მისი თქმით „დიდად უკრავდნენ ტაშს, რომელნიც კრიტიკაში ეძებენ მხოლოდ დაწუნებას", ზოგსაც მის კრიტიკაში უპოვნიაო „ნამდვილი ქართული ენა".

გ. ბარათაშვილი, რომელსაც სურს მკითხველის აშხედრება ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ, „წინასწარმეტყველებს", რომ ი. ჭავჭავაძის სტატიების გამო ბევრი მწერალი ხელს აიღებს „ცისკარში" მოღვაწეობაზეო. ამ შემთხვევაში გ. ბარათაშვილი უდავოდ სწორი იყო. ბევრისათვის მართლაც ძნელი შეიქნა ძველებურად ეწერა „ცისკარში", მაგრამ მკითხველი ამით კიდევ უფრო კმაყოფილი დარჩებოდა.

შედარებით უფრო დარბაისლური თავდაჭერილობა გამოიჩინა და ამასთან დიდაქტიკური ტონი აირჩია ს. ალექსი-მესხიშვილმა, რომელმაც თავისი სტატია თავაზიანი მიმართვით დაიწყო: „ბრწყინვალეო თავადო ილია გრიგორისაო ჭავჭავაძე".

ს. ალექსი-მესხიშვილი დაუფარავად ლაპარაკობს კამათში თავისი ჩაბმის მიზეზზე: ი. ჭავჭავაძე მეც შემეხო და არ მოიწონა ჩემ მიერ მარმონტელის „მეუდაბნოეს" თარგმანიო. ამასთან შასსე მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ი. ჭავჭავაძის ენას. „წრფელით გულით მოგახსენებთ, თავადო ილია, — წერს ს. ალექსი-მესხიშვილი, — ...რო გულმტკივნეულად წავიკითხე მე, ქართველმა, ამ გვარი ქართული ენა განათლებულის და განვითარებულის ქართველისა, იმ ქართველისა, რომელიცა დაღიღინებს საქართველოს მშვენიერით ლექსებით".

ს. ალექსი-მესხიშვილის შეხედულებით, ი. ჭავჭავაძის ლექსების ენა მშვენიერია, როგორც პოეტი ი. ჭავჭავაძე ბრწყინვალეა, მაგრამ კრიტიკულ სტატიებში „ამდაბლებს ქართულს სიტყვიერებას". როგორც ვხედავთ, ს. ალექსი-მესხიშვილის სტატიაში სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებაა გამოთქმული ი. ჭავჭავაძის პოეზიაზე, ვინემ გ. ბარათაშვილის სტატიაში, ჟურნალის იმავე ნომერშია მოთავსებული. ეს გარემოებაც ცისკრელთა დაბნეულობაზე მეტყველებს.

ს. ალექსი-მესხიშვილი ამაოდ არწმუნებდა ი. ჭავჭავაძეს: „რასაკვირველია, კარგად იცით, რო წერა არი სამგვარი: მაღალი, საშუალო და მდაბალიო". ი. ჭავჭავაძე სწორედ ასეთი „თეორიების წინააღმდეგ იბრძოდა და „არავითარ სამგვარ ენას" არ ცნობდა. მას, ცხადია, არ შეეძლო საერთო ენა გამოენახა „სამი სტილის თეორიის" დამცველ ს. ალექსი-მესხიშვილთან, რომელსაც, როგორც ვიცით, ქართულ ენაში გრამატიკული სქესის შემოტანა და აპოსტროფის ხმარების დაკანონებაც კი სურდა.

ს. ალექსი-მესხიშვილი ი. ჭავჭავაძეს ბრალად სდებს „ღრამატიკი-

სა“ და „რიტორიკის“ კანონებისა და წესების დაუცველობას. ამ შემთხვევაში იგი, ასე ვთქვათ, ღია კარებს ამტვრევს. ყველაზე პირველად ეს თვითონ ი. ჭავჭავაძემ განაცხადა და ისიც აღნიშნა, თუ რაზე დაყრდნობით ვარაუდობდა ახალი სამწერლობო ენის შემუშავებას.

მეტად მტკივნეულად განუცდია ს. ალექსი-მესხიშვილს მარმონტელის, კარამზინისა და ჩახრუხაძის ნაკლოვანებათა ილიასეული მხილება, თუმცა არც იმას უარყოფს, რომ გოგოლის, ბელინსკისა და სხვათა დამსახურება გაცილებით უფრო დიდია, ვინემ კარამზინისა და მისი მოწაფეებისა. ამასთანავე იგი თავგამოდებით ამტკიცებს ამ უკანასკნელთა მნიშვნელობას წარსულში, თუმცა იმაზე კი არაფერს ამბობს, რომ ი. ჭავჭავაძეც ასეთ თვალსაზრისს იცავდა, მაგრამ სრულიად ზედმეტად თვლიდა სანტიმენტალური მიმართულების კვლავ გაცოცხლებას.

ს. ალექსი-მესხიშვილის სტატიის გაცნობის შემდეგ ი. ჭავჭავაძეს საჭიროდ მიუჩნევია პასუხი გაეცა მისთვის. „ცისკრის“ 1861 წლის მეათე ნომერში რედაქცია აცხადებს: „თ. ილია ჭავჭავაძისაგან მივიღეთ სტატია „უფ. მესხიევის ანტიკრიტიკული უსტარის პასუხად“, რომლის დაბეჭდვა ვერ მოვახერხეთ ამ ნომერში, — შემდეგ წიგნში უეჭველად დაიბეჭდება“. მიუხედავად ამისა, ი. ჭავჭავაძის აღნიშნული სტატია საერთოდ აღარ დაბეჭდილა; ჩვენამდე მოაღწია სტატიის მხოლოდ შავი ვარიანტის ნაწყვეტებმა.

ი. ჭავჭავაძის ეს სტატია არ დაიბეჭდა იმიტომ, რომ იგი ცენზურამ არ გაუშვა. ცხადია, მისი დაბეჭდვით დაინტერესებული არც რედაქცია იქნებოდა, მაგრამ, გადაწყვეტილი რომ ჰქონია დაბეჭდვა, ეს მტკიცდება იმ შენიშვნებით, რომლებიც რედაქციას საგანგებოდ მოუმზადებია მასზე დასართავად[9].

ი. ჭავჭავაძის ამ სტატიის შესახებ მაინც შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ მოღწეული ნაწყვეტებისა და რედაქციის მიერ მომზადებული შენიშვნების მიხედვით.

ი. ჭავჭავაძე, პირველ ყოვლისა, აკრიტიკებს ს. ალექსი-მესხიშვილის სტატიის მთავარ თეზისს იმის შესახებ, რომ ენა არის სამგვარი: მაღალი, საშუალო და დაბალი. ი. ჭავჭავაძის თქმით, იყო დრო, როცა ფიქრობდნენ, რომ არსებობდა სამგვარი საგანი: მაღალი, საშუალო და დაბალი. ამის შესატყვისად შეიქმნა მცდარი თეორია, რომლის მიხედვით უნდა ყოფილიყო სამგვარი ენა: მაღალი საგნის გამოსახატავად — მაღალი ენა, საშუალო საგნისათვის — საშუალო და დაბლისათვის — დაბალი. მაგრამ, რადგან ქვეყანაზე არ არსებობენ ამგვარად დაყოფილი საგნები, შენიშნავს ილია, არ არსებობს არც სამგვარი ენაო. „სამგვა-

---

[9]. იხ. ა. გაჩეჩილაძე. ბრძოლა კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. „ლიტერატურული ძიებანი“ (კრებული). ტ. IX. 1955.

რად დაყოფა ენისა, — წერს იგი, — ძველი უსაფუძვლობაა, და გთხოვთ ნუღარ გააღვიძებთ კანონს, რომელიც დიდი ხანია რაც დაიმარხა და რომელიც, ვიდრე იყო თვის მოქმედებაში, რკინის სალტესავით ავიწროებდა კაცის მეტყველებასა და აზრს". ი. ჭავჭავაძის თქმით, ლიტერატურის დანიშნულებაა ენის წარმატების უზრუნველყოფა, მისი გამთლიანება და არა მისი დანაწილება და დაყოფა.

მიუხედავად ასეთი განმარტებისა, რედაქცია კვლავ ძველ აზრზე რჩება და თავის შენიშვნაში უპასუხებს: „ამ ხარისხამდინ არ ვიცოდით თქვენი უმეცრება. გირჩევთ წაიკითხოთ სარიტორო და საფილოსოფიო წიგნები და ჩვენი საღმრთო წერილი — მაღალი ენის საცნობად, საშუალო ენისათვის წაიკითხეთ ყარამანიანი, ამირანიანი, ვისრამიანი და სხვები, უმდარესის ენისათვის — საჯეთ თქვენი თხზულებების გამო". მართლაც რომ უმეცრების სიღრმეში იყო შეჭრილი „ცისკრის" რედაქცია: მას უდავო ჭეშმარიტებად მიაჩნდა ის „თეორიები", რომლებსაც დიდი ხანია დრო მოეჭამათ და ისტორიას ჩაბარებოდნენ.

ი. ჭავჭავაძე დარწმუნდა, რომ მისი მოწინააღმდეგენი შეუგნებლად იმეორებდნენ მხოლოდ იმას, რაც სხვებისაგან ადრე სმენოდათ, და უნარი არ ჰქონდათ თავიანთი „დებულებები" ანგარიშგასაწევ საბუთებზე დაყრდნობით დაეცვათ. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ი. ჭავჭავაძე უდავოდ აჭარბებდა ჩახრუხაძის უარყოფითად შეფასებაში, „ცისკრის" პოლემისტებმა მაინც ვერ შეძლეს საფუძვლიანი მოსაზრება დაეპირისპირებინათ მისთვის.

ი. ჭავჭავაძემ უარყო ს. ალექსი-მესხიშვილის შეხედულება სანტიმენტალიზმის ხასიათის შესახებ. მისგან განსხვავებით ილია ფიქრობს, რომ სანტიმენტალიზმისათვის დამახასიათებელია არა „სათუთი მგრძნობელობა", არამედ „ნაძალადევი გრძნობა".

ი. ჭავჭავაძემ ამხილა ს. ალექსი-მესხიშვილის სისუსტე ქართული ენის ცოდნაში. კონკრეტული მაგალითების დამოწმებით ილიამ აშკარა გახადა მის მიერ გამოყენებული სინტაქსური ფორმების არქაულობა.

„ცისკრის" პოლემისტებმა უდავოდ დაიმსახურეს ის, რომ ი. ჭავჭავაძეს ეთქვა: „ჩემი კრიტიკოსების სტატიები ერთ და იგივე ანბანს მაშეორებინებს და მომწყინდა მაგგვარებზე წერა". ილია ხედავდა, რომ მათ ბრძოლა გადაჰქონდათ შედარებით მეორეხარისხოვან და არაარსებით საკითხებზე, თავს არიდებდნენ მის სტატიებში გამოთქმულ ძირითად აზრს. იგი დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო გამოეცა საკუთარი ჟურნალი, რაც შესაძლებლობას მისცემდა არა მარტო კრიტიკული სტატიებით, არამედ თავისი მხატვრული ნაწარმოებებითაც გამოემჟღავნებინა „ცისკრის" მწერალთა ჩამორჩენილობა და საფუძველი შეექმნა ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის.

ი. ჭავჭავაძის ზრუნვამ ახალი ჟურნალის გამოცემისათვის დიდი მი-

თქმა-მოთქმა გამოიწვია კონსერვატორთა და ლიბერალთა წრეებში. „ცისკრის“ ფურცლებზე თანდათან გაისმა ხმა კონსერვატორ-ნიჰილისტებისა ი. ჭავჭავაძის ჟურნალის მოსალოდნელი ბედის შესახებ, რითაც ისინი ცდილობდნენ დაეშინებინათ ახალგაზრდა მწერალი და ხელი აეღებინებინათ გადაწყვეტილებაზე. მაგრამ ამით ილია კიდევ უფრო მეტად რწმუნდებოდა ახალი ჟურნალის გამოცემის აუცილებლობაში.

ცისკრელები იმედს ამყარებდნენ თავიანთ სიმრავლეზე და ფიქრობდნენ, რომ მარტოხელა ილია ჭავჭავაძე იძულებული გახდებოდა თავი მიენებებინა „მჭიდროდ დარაზმულ“ მწერალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამიტომაც სტატიას სტატიაზე აქვეყნებდნენ მის საპასუხოდ.

ბ. ჯორჯაძემ საკმარისად ვერ მიიჩნია ის სტატიები, რომლებიც მან და მისმა თანამოაზრე მწერლებმა გამოაქვეყნეს, და კვლავ მოისურვა საპაექრო მოედანზე გამოსვლა. „ცისკრის“ 1861 წლის მეშვიდე ნომერში რედაქცია ბოდიშს უხდის ბ. ჯორჯაძეს, რომ რაღაც „სამწუხარო მიზეზის“ გამო ვერ მოახერხა დაებეჭდა მისი სტატია, და ჰპირდება, რომ შემდგომ (მერვე) ნომერში უთუოდ დაბეჭდავს. ამასთან რედაქცია იმედს გამოთქვამს: „ამით დაასრულებენ ერთიერთმანეთს შორის სასტიკ ბაასს“.

„ცისკრის“ მომდევნო ნომერშიც, ნაცვლად ბ. ჯორჯაძის სტატიისა, იბეჭდება კვლავ რედაქციის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბ. ჯორჯაძის სტატია საცენზურო კომიტეტში დაიკარგა. „და უკეთუ გსურთ მაინცა და მაინც დაბეჭდვა, გთხოვთ შავი წარმოგზავნოთ და დაიბეჭდება უსათუოდ,“ — მიმართავდა რედაქცია ავტორს.

ამ განცხადებებიდანაც იგრძნობა, რომ რედაქციას აღარა აქვს ი. ჭავჭავაძესთან კამათის ხალისი: დარწმუნდა, რომ პაექრობა ხელს არ აძლევდა მას, და უკან დახევა თუ „მორიგება“ გადაწყვიტა. ეს იგრძნობა ვინმე ბირთვისელის სტატიიდანაც („ცისკარი“, 1861, № 8).

მაგრამ ბ. ჯორჯაძემ ვერ გაიგო რედაქციის განწყობილება — მან მეორედ გაუგზავნა თავისი სტატია რედაქტორს. სტატიას ბ. ჯორჯაძემ სათაურად მისცა „პასუხის პასუხი“ („ცისკარი, 1861, № 9), რითაც ხაზი გაუსვა მის უშუალო დანიშნულებას.

ამგვარად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ი. ჭავჭავაძის „პასუხზე“ დართულ რედაქციის შენიშვნებს, ი. ჭავჭავაძის მეორე სტატიაზე პასუხის გაცემა კვლავ ბ. ჯორჯაძემ იკისრა. მაგრამ იგი ამჯერად კიდევ უფრო აშკარად უვლის გვერდს ი. ჭავჭავაძის მიერ დასმულ და გარკვეულ საკითხებს. ბ. ჯორჯაძე მწუხარებას გამოთქვამს „ცისკრის“ ფურცლებზე ბრძოლის გაჩაღების გამო და იმ აზრისაა, რომ ყოველი ბოროტების წყარო უთანხმოებაა. მისი თქმით, უთანხმოებამ დააუძლურა რომის ძლიერი იმპერია და სპარსეთის სახელმწიფოც. „უთანხმოება, — შენიშნავს ბ. ჯორჯაძე, — არის მიზეზი ყოველის ბოროტისა. უთანხმოება გა-

ასწორებს მთელს ხალხს მიწის პირად და უთანხმოება დასცემს თვით აღყვავებულს და განძლიერებულს სახელმწიფოს". ასეთი „მოძღვრებით" სურს მას „ჭკუა ასწავლოს" ი. ჭავჭავაძეს და ხელი ააღებინოს პოლემიკაზე, თუმცა არც ის სურს შეუტყონ, რომ ეძნელება მასთან კამათი.

ბ. ჯორჯაძე გულწრფელადაა დარწმუნებული, რომ ი. ჭავჭავაძე გამონაკლისია, რომელიც ბ. ჯორჯაძისა და მის თანამოაზრეთა ღვაწლს არაფრად აგდებს. ამიტომაა, რომ საწინააღმდეგო სტატიათა სიმრავლით „გაკვირვებული" ი. ჭავჭავაძეს იგი განმარტებას სთავაზობს: „ერთი კაცი დასცინის ათასს, ათი ათასს, ერთი სიტყვით მრთელს საზოგადოებას და იმათის რიცხვიდამ სამი მაინც არ გამოგცემდა პასუხს?"

როგორც ვხედავთ, ბ. ჯორჯაძე არა მარტო ცისკრელთა, არამედ „მთელი საზოგადოების" სახელით გამოდის. თავის მოწინააღმდეგეს იგი უყენებს შემდეგ ბრალდებებს: 1). ი. ჭავჭავაძე „ამდაბლებს იმ პირთ, რომელნიცა მდგარან მაღალ ხარისხზედ და დღეს სიკვდილისაგან დადუმებულნი ვერ აძლევენ პასუხს"; 2) ი. ჭავჭავაძე აკრიტიკებს „ანბანთ თეორეტიკას" და ვრცლად მსჯელობს ხელოვნებისა და პოეზიის შესახებ, რომლის დროსაც მიჰყვება რუს ავტორებს (იგულისხმება ბელინსკი); 3) ი. ჭავჭავაძის სტატიაში გადაჯგუფებულია საღმრთო წერილის სიტყვები, რის უფლებაც მას არ ჰქონდა; 4) ი. ჭავჭავაძის სტატიაში არა ჩანს „ზრდილობა და ზრდილობიანი ენა"; 5) ი. ჭავჭავაძე „ცისკრის" პოეზიას ამცირებს და ცდილობს „ახალის ჩრდილოეთის პოეზიის" (ე. ი. რეოლუციურ-დემოკრატიული რუსული პოეზიის) მიმართულება შემოიტანოს.

ბ. ჯორჯაძეს განსაკუთრებით ი. ჭავჭავაძის ენობრივი შეხედულებანი აღელვებს. ის ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ ენაში შეიძლება ცვლილებები მოხდეს და დამწერლობაც მის მიხედვით გამარტივდეს. ანტონ კათალიკოსის გრამატიკული კატეგორიების ერთგული დამცველი მწერალი ქალი კვლავ აცხადებს: „ენას, ჩვენს მამაპაპათა დარბაისლურ ენას, არც ამაღლება ეჭირვება, არც დამდაბლება, ჩვენი ენა დიდი ხანია სისრულეშია მოყვანილი, მხოლოდ გზა აბნევია ამ ენას თქვენებრ (იგულისხმება: ი. ჭავჭავაძისებრ — **დ. გ.**) მწერალთ წყალობით".

კონსერვატიზმისა და სქოლასტიზმის მქადაგებელი ბ. ჯორჯაძე საერთოდ ვერ იტანს „ძველ დაწყობილობათა" გადასინჯვას, ახალი იდეებისა და ახალ მისწრაფებათა გავრცელებას საზოგადოებაში. მეტად უარყოფითადაა იგი განწყობილი, კერძოდ, კრიტიკისადმი, რადგან იცის, რომ კრიტიკა ხშირად უარყოფს იმას, რაც ადრე მიღებული ყოფილა. მის თვალში მხოლოდ ძველი ფასობს, მათ შორის ადამიანებიც. ს. ალექსი-მესხიშვილის წერილს რომ ეხება, ბ. ჯორჯაძე კმაყოფილებით შენიშნავს: „აი ძველი კაცი! არა ჰგვანებია..." უნდა თქვას, „ახალგაზრ-

დებსო", მაგრამ თავიდან რომ აიცილოს უნივერსიტეტისა და სტუდენტობისადმი დაცინვის ბრალდება, პირიქით, მოწიწებით ასახელებს ა. წერეთელს და უპირისპირებს მას, მსგავსად გ. ბარათოვისა, ი. ჭავჭავაძეს. „მივხედოთ მაინც იმათ, — ამბობს ბ. ჯორჯაძე, რომელნიც გულდამყარებით იმყოფებიან უნივერსიტეტში და რომელთაგანაც მამული მოელის ბეურს კეთილს, აი თუნდ ავიღოთ, მაგალითად აკაკი წერეთელი".

არც ეს ვარაუდი გაუმართლდა ბ. ჯორჯაძეს. როგორც ვნახავთ, ა. წერეთელი და სხვა სტუდენტებიც ი. ჭავჭავაძის მხარეზე აღმოჩნდნენ, რის გამოც ბ. ჯორჯაძე იძულებული გახდა გაჩუმებულიყო და უკან წაეღო სტატიის დასასრულს ომახიანად წარმოთქმული სიტყვები: „ახლა მშვიდობით და თუ გსურთ კიდევ, მეორედ ნახვამდინ".

თავის სტატიაში ბ. ჯორჯაძე ი. ჭავჭავაძეს შენიშვნას აძლევდა: „ვისაც სასაცილოდ იგდებდით, თქვენი სტატია იმათვე მიუძღვენით". მართლაც, თავის სტატიას („პასუხი") ი. ჭავჭავაძემ ასეთი წარწერა გაუკეთა: „ვუძღვნი თ. ალ. ვახტანგის ძეს ჯ. ორბელიანს და იმ პირთა, ვინც ყურადღება აღირსეს ამ სტატიას".

ცხადია, ი. ჭავჭავაძეს ალ. ორბელიანისადმი პატივისცემა არ აიძულებდა მიეძღვნა მისთვის სტატია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ალ. ორბელიანთან ერთად იგი სტატიას უძღვნის იმათ, რომლებმაც „ყურადღება აღირსეს" მის სტატიას. ამიტომ ასეთი „მიძღვნა" თავისთავად სხვა რამეზე მეტყველებდა. კერძოდ, ი. ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ კონსერვატორ მწერალთა ჯგუფს სწორედ ალ. ორბელიანი ედგა სათავეში და ის აძლევდა „მიმართულებას" ჟურნალსაც. და თუ ალ. ორბელიანი პოლემიკაში არ ჩაება, ეს არა იმიტომ, რომ ი. ჭავჭავაძეს თანაუგრძნობდა, არამედ იმისათვის, რომ მისი მკაცრი კრიტიკა აეცილებინა. ამიტომაა, რომ ი. ჭავჭავაძე თავის სტატიაში წერს: „საკვირველია, რომ ზოგი, ვისაც ღონე და ძალა აქვს, გაიქცევა ხოლმე მოედნიდამ და იმალება ხალხში; ზოგი კი, ვისაც არც ღონე აქვს და არც ძალა, გამოვა და შეუპოვრად დადგება შუა მოედანზე" „ხალხში მიმალულთა" შორის ი. ჭავჭავაძე, პირველ ყოვლისა, ალ. ორბელიანს გულისხმობს.

ალ. ორბელიანი მიხვდა, რასაც ნიშნავდა ი. ჭავჭავაძის მიერ სტატია „პასუხის" მისდამი მიძღვნა. იგი გაერკვა იმაშიც, რომ ი. ჭავჭავაძე იწუნებდა „ცისკრის" მთელ მიმართულებას და არა მარტო „შეშლილის" თარგმანს, რომელიც მხოლოდ მარჯვე მაგალითი იყო იმისათვის, რათა ეჩვენებინა იმდროინდელი ქართული მწერლობის ჩამორჩენილობა და კრიზისის გზაზე დამდგარი რომანტიზმის დრომოჭმულობა. ალ. ორბელიანმა იგრძნო, რომ სიჩუმე საქმეს აღარ შველოდა, და იგი „ცისკრის" ფურცლებზე გამოჩნდა პატარა, მაგრამ მეტად დიპლომატიური ტონით დაწერილი სტატიით „წიგნი რედაქტორთან" („ცისკარი", 1861, № 10).

ალ. ორბელიანი თავის წერილში არ ასახელებს ი. ჭავჭავაძეს, მაგრამ მისი საყვედური, აშკარაა, ილიას ეკუთვნის. „ცისკარი“ ალ. ორბელიანს მიაჩნია ქართველი ხალხის წარმატების მაჩვენებლად, ხოლო მისი მიმართულების უარმყოფელი ი. ჭავჭავაძე — ამ წარმატების შემფერხებლად. მისი თქმით, „თუ ზოგიერთნი... ქართველნი არ უშლიდნენ ქართველი საზოგადოების კეთილმდგომარეობასა, ყოველი ჩვენი საქმე კარგად გამოვა, მაგრამ რა გაეწყობა იმათ სიბრუნდეს. თქვე კაი კაცნო, თქვენი შავი გული თეთრათ შეცვალეთ; გესმით, თეთრად ჩვენს დავრდომილს საზოგადოებაზე, თორემ რისხვა ღვთისა ძნელია...

რას მდგომარეობაზედაცა დგას ახლა ჩვენი „ცისკარი“, ამჟამად ამაზედ მეტს ვერას მოვთხოვთ ამას; რაც შეიძლება, ბევრი კარგი რამ იბეჭდება... საუცხოო ლექსები, სასიამოვნო მოთხრობანი, კარგი სხვადასხვა ამბავნი, მახვილგონიერებითი განხილვანი ანუ კრიტიკანი და სასარგებლო სახლის პატრონობა“.

ი. ჭავჭავაძისაგან შეშფოთებულმა „ცისკრის“ რედაქციამ დასავლეთ საქართველოშიც „მოძებნა“ გულშემატკივარნი.

მკითხველთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ექვთიმე წერეთლის სტატიამ „უფალო რედაქტორო“ („ცისკარი“, 1862, № 2). ე. წერეთელი, მამა შემდეგ სახელოვანი მწერლის გ. წერეთლისა, უცნობი ავტორი იყო საზოგადოებისათვის, მაგრამ ეს სტატია რედაქციასთან ახლო მყოფ და მისი კურსის დამცველ ადამიანად წარმოადგენდა მას. ე. წერეთლის წერილის მთავარი დანიშნულება ის იყო, რომ წარმოედგინა ქუთაისელ მკითხველთა აზრი ი. ჭავჭავაძის სტატიების შესახებ.

ე. წერეთელი რედაქციას აცნობებს, რომ ბევრი ქუთაისელი მკითხველი მომავალი წლიდან ხელს აღარ მოაწერს ჟურნალზე, რადგან ი. ჭავჭავაძე უდიერად იხსენიებს ბ. ჯორჯაძესო. ე. წერეთელს უფრო მეტად ის აშინებს, რომ შეუტყვია, ი. ჭავჭავაძე საკუთარი ჟურნალის გამოცემასაც აპირებსო. „ესეც შევიტყვე ჭორად ქუთაისში, — წერს იგი,— რომ ვითომც ახლა უფ. ჭავჭავაძე აპირებს მეორეს ჟურნალის გამოცემას. უეჭველია ის ჟურნალიც ისე ახალის ენისა იქნება, რა ენისთვისაც გამობრძანდა მწერლობის ასპარეზზედ შარშან, და იმედი ჰქონდეს, რომ ბევრ ხელის მომწერს ჰპოვებს“.

როგორც თვითონ ამბობს, ე. წერეთელს — „საუკუნის მეორე ნახევრის ასაკსა შინა მყოფ კაცს“ — ი. ჭავჭავაძის სტატიების ენა და სტილი „მეხივით ეცემა და სისხლს ურევს“. სამაგიეროდ მას სიამოვნება განუცდია ს. ალექსი-მესხიშვილის სტატიის წაკითხვით. იგი მაღალ შეფასებას აძლევს აგრეთვე ი. ჭავჭავაძის მიერ დაწუნებულ ბ. ჯორჯაძის სტატიას მარხვის შენახვის აუცილებლობის შესახებ.

ანტონ კათალიკოსის აუგად მოხსენიების გამო ხომ მოთმინება დაუკარგავს ჩვენს ახალ პოლემისტს. „ოჰ, ღმერთო, რა მესმის, — გოდებს

ე. წერეთელი, — ქართველი კაცის სასმენელი იმდენად როგორ შეიცვალოს, რომ ანტონ კათალიკოსის მაღალ ნიჭიერს სიტყვაობას სწუნობდეს და რას სახელდობრ: მის წყობილ სიტყვაობას, მის აკროსტიხულობას და მის იამბიკოებას". მაგრამ ე. წერეთელი თითქმის ამის მიზეზსაც პოულობს: „ან რა გასაკვირველია, ვისაც ვოლტერის მოძღვრების თანახმად მარხვა და მეუდაბნოობა არ მოსწონს, იმას არც ანტონის ქმნულება მოეწონება".

ე. წერეთელი ი. ჭავჭავაძეს ურჩევს, რომ ანტონის დამსახურებათა გასათვალისწინებლად ჰკითხოს „იმ მოლექსე რიტორს, რომელსაც თვითონ... აქებს და რომელიც ჭეშმარიტად საქებელ არს". ცხადია, მას მხედველობაში ჰყავს გრ. ორბელიანი — მართლაც დიდად დამფასებელი ანტონის ღვაწლისა. ე. წერეთელი ბოდიშის მოხდასაც კი მოითხოვს ი. ჭავჭავაძისაგან ანტონის სახელის „შეურაცხყოფისათვის". თანაც დარიგებას აძლევს მას — აღარ აწყენინოს ბ. ჯორჯაძეს, რომელიც, მისი თქმით, „დიდად სასარგებლო წევრია „ცისკრისა".

ე. წერეთლის სიმპათია დაუმსახურებია აგრეთვე ალექსანდრე სულხანიშვილს თავისი სტატიით „მეცხრამეტე საუკუნეში მცხოვრებლის ქართველის მხედველობა: თუ რაოდენ დამცირებულ არს ზნეობითი განათლება დასავლეთის ევროპისა შინა". ა. სულხანიშვილის შეხედულებით, ევროპაში დაიწყეს სარწმუნოება, რის გამოც ომებმა და აჯანყებებმა იმატა, ყველგან არეულობა და განხეთქილებაა, ჩვენში კი თანხმობა და მყუდროება სუფევს. ა. სულხანიშვილი მეცნიერებისა და ფილოსოფიის გავრცელებაში წარმატების ნაცვლად ბოროტებას ხედავს. მისი თქმით, „ჭეშმარიტი ფილოსოფია—ესე არს ჰსჯული ქრისტესი".

ასეთი „ბრწყინვალე" სტატიის გაცნობის შემდეგ ე. წერეთელს გადაუწყვეტია გამოიწეროს „ცისკარი", ოღონდ იმ პირობით, რომ ი. ჭავჭავაძე აღარ ითანამშრომლებს მასში.

პირველად და უკანასკნელად გამოჩნდა ე. წერეთელი „ცისკრის" ფურცლებზე, მაგრამ, როგორც ვნახავთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს მისი გაუჩინარება.

2

ი. ჭავჭავაძის პირველი სტატიის გამო გ. ბარათაშვილი შენიშნავდა: „როგორც შევიტყვეთ, თავის სტატია დაბეჭდვამდინ ბევრთათვის წაუკითხებია და ყველას ერთობ მოუწონიათ". აღნიშნული სტატია ი. ჭავჭავაძემ პეტერბურგში დაწერა და იქიდანვე გამოუგზავნა „ცისკრის" რედაქციას. ცხადია, თუ ვინმეს გააცნო მან თავისი სტატია, მხოლოდ და მხოლოდ მეგობარ სტუდენტებს, რომლებიც შემდეგ ფხიზლად ადევნებდნენ თვალს „ცისკრის" ფურცლებზე გამართულ პოლემიკას, თუმცა საკმაო დროის განმავლობაში მაინც არ გამოუთქვამთ თავიანთი შე-

ხედულებანი. როგორც ჩანს, მათ საჭიროდ მიიჩნიეს საფუძვლიანად გაეცნოთ „ცისკრის“ რედაქციისა და მიმართულების დამცველ მწერალთა დამოკიდებულება ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი საკითხებისადმი; თანაც გრძნობდნენ, რომ მათი უფროსი მეგობარი ადვილად უმკლავდებოდა რიცხვით მრავალ, მაგრამ სუსტ მოწინააღმდეგეებს. შესაძლებელია, ისინი საერთოდ არ ჩაბმულიყვნენ კამათში, ცისკრელ პოლემისტებს რომ არ გამოეცხადებინათ — ი. ჭავჭავაძეს თანამოაზრენი არ ჰყვანანო და ილიას გადაწყვეტილება ახალი ჟურნალის გამოცემის შესახებ საზიანოდ არ მიეჩნიათ.

პეტერბურგელი ქართველი სტუდენტები მოთმინებიდან გამოიყვანა ე. წერეთლის სტატიამ და გადაწყვიტეს პასუხი გაეცათ მისთვის და ყველა ცისკრელი პოლემისტისათვის. „ცისკრის“ რედაქტორმა ერთდროულად მიიღო პეტერბურგიდან გამოგზავნილი სამი „ბარათი“. რედაქცია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, როცა ნახა, რომ სამ სტუდენტს ცალ-ცალკე განეხილა „ცისკრის“ საერთო ნაკლოვანებანი და მის ფურცლებზე გაშლილი პოლემიკის ხასიათი. რედაქცია განსაკუთრებით იმ გარემოებამ შეაწუხა, რომ ერთ-ერთი სტატია მის მიერ არაერთგზის ხოტბაშესხმულ აკაკი წერეთელს ეკუთვნოდა.

ნიშანდობლივია, რომ რედაქციამ ერთად გამოაქვეყნა მხოლოდ ორი სტატია („ცისკარი“, 1862, № 4), ა. წერეთლის სტატიის შესახებ კი შენიშვნა გააკეთა: „მესამე კიდევ იყო სტატია ამავე საგანზედ, იმას შემდგომ ნუმერში დავბეჭდავთ“.

პირველ ორ სტატიას ფსევდონიმად ჰქონდა „თერგდალეული“, მესამეს — „მესამე თერგდალეული“. პირველ და მეორე სტატიას დაწერის თარიღად უზის „30 მარტი, 1862 წ.“, ხოლო მესამეს თარიღი არა აქვს, მაგრამ ის გარემოება, რომ რედაქციამ ისინი ერთად მიიღო, იმის მაჩვენებელია, რომ სამივე სტატია ერთდროულად დაიწერა და ერთად გამოიგზავნა. ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ავტორები ერთმანეთთან შეთანხმებული იყვნენ. ა. წერეთელს რომ არ სცოდნოდა პირველი ორი სტატიის შინაარსი და მეტადრე მათი ავტორების ფსევდონიმი, ცხადია, თავის ფსევდონიმად „მესამე თერგდალეულს“ აღარ აირჩევდა.

სხვათა შორის, ერთ დროს შეცდომაც იქნა დაშვებული: ა. წერეთლისად მიიჩნიეს მეორე სტატია, ხოლო „მესამე თერგდალეულად“ გ. წერეთელი გამოაცხადეს[10]. შემდეგ კი თითქოს დადგინდა ამ სტატიათა ავტორების საკითხი: პირველი სტატიის ავტორად მიჩნეულ იქნა კ. ლორთქიფანიძე, მეორე სტატიისად — გ. წერეთელი, ხოლო მესამე სტატიისად — ა. წერეთელი. მაგრამ, როგორც აღნიშნული გვაქვს, უკანას-

[10] იხ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1931, გვ. 397—402 (პროფ. ს. ხ უ ნ დ ა ძ ი ს შენიშვნები).

კნელად გამოითქვა სრულიად საფუძვლიანი ეჭვი გ. წერეთლის ავტორობის შესახებ. მკვლევარ პ. ინგოროყვას შეხედულებით, მეორე სტატია ეკუთვნის არა გ. წერეთელს, არამედ ს. აბაშიძეს[11], რაც ჩვენ სრულიად დამაჯერებლად გვეჩვენება. ყოველ შემთხვევაში, უდავოდ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ იგი არ ეკუთვნის გ. წერეთელს.

პირველ ყოვლისა, ვვარაუდობთ, რომ პეტერბურგში ახალჩასული გ. წერეთელი მამის უაღრესად დამამცირებელ სტატიას არ დაწერდა. ზემოთ აღნიშნული მეორე სტატიის სტილიცა და ენაც აშკარად განსხვავდება გ. წერეთლის ნაწერების, კერძოდ, ერთი წლის შემდეგ ჟურნალ „საქართველოს მოამბეში" გამოქვეყნებული მისი ამ სტატიის („ცისკარს" რა აკაკანებდა?") სტილისა და ენისაგან, რომელშიც ამასთან უბრალოდ ნახსენებიც არ არის არც ეს მეორე სტატია და არც ე. წერეთლის წერილი.

რაც მთავარია, „თერგდალეულის" ფსევდონიმით „ცისკარში" დაბეჭდილი ამ მეორე სტატიის თვით შინაარსი (ე. წერეთლის შეურაცხმყოფელი გამოთქმები და გორისელი წერეთლების დაპირისპირება „მოდინახეს" წერეთლებთან) და მასზე დართული ლექსი (რომელიც უდავოდ ა. წერეთლისაა) უფრო დამაჯერებელს ხდის, რომ იგი ა. წერეთელთან დაბინავებულ ს. აბაშიძეს ეკუთვნის. საგულისხმოა, რომ ს. აბაშიძე ამ პერიოდში საკმაოდ ნაყოფიერი მოღვაწე ჩანს: „ცისკრის" მომდევნო ნომერში (1861, № 5) მას აგრეთვე გამოქვეყნებული აქვს თარგმნილი მოთხრობა, ხოლო „საქართველოს მოამბეში" (1863, № 11) — ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ლოტო". ს. აბაშიძეს იხსენიებს თავის ერთ სტატიაში („სფირიდონისა და თადეოზის ბაასი") სფ. ჩიტორელიძეც (მ. ყიფიანი)[12]. ყოველივე ნათქვამთან ერთად არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ, როგორც პ. ინგოროყვა შენიშნავს, კ. მარქსის სახელობის თბილისის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში დაცულ „ცისკრის" 1862 წლის მეოთხე ნომერში „თერგდალეულის" პირველ სტატიას მიწერილი აქვს „კირილე ლორთქიფანიძე", მეორეს — „აბაშიძე", ხოლო რედაქციის შენიშვნას მესამე სტატიის შესახებ—„აკ. წერეთლისა". როგორც ჩანს, ეს მინაწერები უდავოდ იმდროინდელი მცოდნე კაცის ხელითაა გაკეთებული, თორემ, მესამე წერილი რომ ა. წერეთელს ეკუთვნოდა, ბოლო ხანებამდე არც იყო ცნობილი.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ 1862 წლის ოქტომბერში პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნებული ნ. ნიკოლაძე კ. ლორთქიფანიძეს სწერს: „...გორისელმა შემეხვეწა თქვენთან ბოდიშის მოხდა, რათარ დამიჯერე, ნუ დაწერ სტატიას თქო ექვთი-

[11] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. VII, 1953, გვ. 481—482.

[12] ჟურნ. „საქართველოს მოამბე", 1863, № 5, 6, 7, 8.

მ ე ზ ე. ხომ მისი ბრალი არ ყოფილა. წარმოიდგინე, გორისელს დაუწერია სტატია, რომელშიც გაულანძღია რაფიელ ერისთავი... პოლონოვის ლექსის გადათარგმნისათვის, მერმე მოუყვანია ჭავჭავაძის ლექსი „აყვავებული ველი“ („გაზაფხული“ ÷ დ. გ.) მაგალითად და ანტონის (კათალიკოსის — დ. გ.) და ჩახრუხაძის ლექსები: ვითომ აი ამისთანა ლექსები უნდა წერონო. ჩვენ ვირისთავს (ესე იგი... კერესელიძეს...) ჰკუაში მოსვლია: ამ წიგნს მე გამოვცვლიო... გორისელის სტატიიდან რაფიელის ლანძღვა გამოუშვია, ჭავჭავაძის გინება კი... ჩაუმატებია, და ეს ყოველად უსახო, უგვარო სტატია შეგვხვდა ჩვენ წასაკითხავად. გორისელმა ეხლა სტატია დაწერა, რომელშიც სრულიად ბრალს ადებს კერესელიძეს. მე უთხარი: ჩვენ სრულიად არ მოგვდიოდა ფიქრში თქვენი ლანძღვის დაწერა, რომ თქვენ ჭავჭავაძის ჟურნალი არ გეგინებიათქო. ჩვენ იმ ჟურნალის დიდი იმედი გვაქვს, თქვენ კი ჯერ ჟურნალი არ ჩასახულათქო და კრედიტს უკარგავთქო. გორისელმა ფიცი...(სთქვა), აი, ღმერთი, აი ხატი, არც კი მცოდნია, თუ ჭავჭავაძე ჟურნალის გამოცემას აპირებსო. მაგ სიტყვები „ვიღაც ჭავჭავაძე ჟურნალის გამოცემას აპირებსო“ და სხვანი კერესელიძის ჩამატებული არისო. გორისელმა მთხოვა დრო დამინიშნეო და იმ სტატიის შავს მოვიტან, წაგაკითხებო, თუ იმ სტატიაში რამე სწერია მაგისთანაო, სულ მაგინეთო...“

ცხადია, თუ ნ. ნიკოლაძე საჭიროდ არ თვლიდა ე. წერეთლის შესახებ სტატიის დაწერას და კ. ლორთქიფანიძეს რჩევას აძლევდა ხელი აეღო ასეთ განზრახვაზე, მით უმეტეს მამის შეურაცხმყოფელ სტატიას არ დაწერდა გ. წერეთელი, რომელმაც, ალბათ, ყველაზე უკეთ იცოდა მამის ხასიათი და განწყობილება.

როგორც ვხედავთ, პეტერბურგელ სტუდენტთა მიერ ე. წერეთლის მკაცრი გაკრიტიკება ი. კერესელიძის „ოსტატობას“ გამოუწვევია. ამიტომაც ე. წერეთელს შემდეგ თავი აღარ შეუწუხებია სტუდენტებთან კამათით. რედაქციამ, ცხადია, აღარც მისი განმარტება გამოაქვეყნა, რადგან ეს ჟურნალის ავტორიტეტის სრულ დაცემას გამოიწვევდა.

ამგვარად, ე. წერეთლის სტატიის საბაბით დაწერილი თერგდალეულთა სამი წერილიდან პირველი ეკუთვნის კ. ლორთქიფანიძეს, მეორე — ს. აბაშიძეს, მესამე — ა. წერეთელს.

ნ. ნიკოლაძის მიერ კ. ლორთქიფანიძისათვის მიწერილი წერილიდან ჩანს, თუ რა იყო მთავარი მიზეზი სამი თერგდალეულის ერთად გამოჩენისა. მათ ე. წერეთლის სტატიაში ამოიკითხეს აშკარა გალაშქრება ი. ჭავჭავაძის მიერ ახალი ჟურნალის დაარსების წინააღმდეგ. ამ ჟურნალზე კი, როგორც ნ. ნიკოლაძე ამბობს, ახალგაზრდები დიდ იმედებს ამყარებდნენ. სტატიასთან ერთად გამოგზავნილ ბარათში კ. ლორთქიფანიძე წერს: „...სისხლიანი ნაღველი გადაევლება ხოლმე ჩვენს გულს,

როცა იმისთანა... ცუდ სტატიებს ვამჩნევთ, როგორიც იყო ამ ნომერში უფ. წერეთლის... ისე გავცეცხლდი ამ სტატიის დანახვაზედ, რომ არ შეგვეძლო, რომ არ დაგვეწერა რამე... როგორ გაბედა ამგვარი სტატიის დაწერა, მერე ცხრა თვის გასვლის შემდეგ, მაგრამ ანდაზა იტყვის: „კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირი ვარო“.

თავის სტატიას კ. ლორთქიფანიძე „ცისკრის“ საერთო დახასიათებით იწყებს. მისი თქმით, „ცისკარი“ ამჟამად ფოსტის მაგივრობას ასრულებს მხოლოდ: ვისაც რაიმე ამბის სხვისთვის შეტყობინება მოესურვება, მაშინვე წერილსა სწერს რედაქტორს ჟურნალში გამოსაქვეყნებლად. ასეთ მდგომარეობაში კი „ცისკარი“ უდროოდ დაბერდა და თანაც შიშობს მემკვიდრე არ გამოუჩნდეს. კ. ლორთქიფანიძეს მხედველობაში აქვს „ცისკრის“ რედაქციის უკმაყოფილება ახალი ჟურნალის დაარსებაზე ზრუნვის გამო. „თუ ძმა ებადება და იმისი ეშინია, — წერს იგი, — ტყუილი შიშია. ორივეს ეყოფა საქართველო“.

კ. ლორთქიფანიძემ კარგად შენიშნა ისიც, რომ „ცისკრის“ მწერლებმა ჟურნალი გულის ამრევი ოხუნჯობის სარბიელად გახადეს და უნიჭო ცინიზმით ცდილობდნენ დაეცვათ თავი. „მიბაძეს მოლაყბეს, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — ...მიბაძეს და ყველამ მახვილობა დაიწყო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, უთავბოლოდ“.

ე. წერეთლის სტატიის განხილვაზე რომ გადადის კ. ლორთქიფანიძე მუხლობრივ არჩევს, თუ რა „სიბრძნე“ იქადაგა მან „ცისკრის“ ფურცლებიდან. კ. ლორთქიფანიძის თქმით, „ცისკარს“ სიცოცხლე მხოლოდ მაშინ ეტყობა, როცა მასში „სალაყბო ფურცლები“ ან ი. ჭავჭავაძის სტატიები იბეჭდება. „ჭკვიანი კაცები ამ სტატიების მიზეზით უფრო გამოიწერდნენ „ცისკარს“, ვინემ სხვით“, — შენიშნავს კ. ლორთქიფანიძე საწინააღმდეგო შეხედულების მქონე ე. წერეთლის საყურადღებოდ.

ი. ჭავჭავაძის ყველა კრიტიკოსს, მათ შორის ე. წერეთელს, კ. ლორთქიფანიძე აძლევს მართებულ შენიშვნას — ი. ჭავჭავაძის გასამტყუნებლად თუ ძალა შეგწევდათ, მისი სტატია და რ. ერისთავის მიერ თარგმნილი „შეშლილი“ უნდა გაგერჩიათ და არა ი. ჭავჭავაძის ლექსებს მისცივნოდითო. მაგრამ, ამბობს კ. ლორთქიფანიძე, მათ გადაწყვიტეს „გაღმა შევეცილებით, გამოღმა დაგვრჩებაო“.

კ. ლორთქიფანიძის შეხედულებით, მოხუცებზე მეტად „ახალს მოდგმას უფრო ნება აქვს, რომ მოითხოვოს, რა უფრო არის მისთვის საჭირო“; ხოლო ახალგაზრდებს არ უნდათ არც „დამძაღებული რიტორიკა უფ. მესხიევისა“ და არც „ქადაგებანი“ ალ. სულხანოვისა, რომელიც აფრთხობს საბერძნეთის, რომის და ევროპის მწერლების აჩრდილებს, ბარბაროსულის აზრებით და ენით უბნობს — ჩვენ უფრო განათლებულები ვართ ევროპიელებზედო“.

კ. ლორთქიფანიძე ირონიულად შენიშნავს, რომ ე. წერეთელი დია-

ლექტიკის „დიდ ცოდნას“ ამჟღავნებს, როცა ბ. ჯორჯაძის ნიჭიერების დასამტკიცებელ საბუთად ის მოჰყავს, რომ მასზე უფრო ნიჭიერი ქალი „ცისკარში“ ჯერ არ გამოჩენილაო. ასევე სასაცილოდ მიაჩნია მას ე. წერეთლის შიში ახალი ჟურნალის გამოსვლის შემთხვევაშიც „ცისკრის“ მძიმე ხვედრის შესახებ. მეორე ჟურნალის გამოცემა „ცისკარს“ კი არ დასცემს, არამედ გამოაცოცხლებს, გვექნება ორი სხვადასხვა მიმართულების ჟურნალიო, ამბობს კ. ლორთქიფანიძე და თანაც კითხვას სვამს: განა არასოდეს არ უნდა გვქონდეს ორი ჟურნალი?

ანტონ კათალიკოსის ავტორიტეტის პატივისმცემელთა საყურადღებოდ კ. ლორთქიფანიძე შენიშნავს, რომ ანტონი თავისი დროისათვის განათლებული და „დიდი ჭკუის პატრონი“ იყო, მაგრამ იგი როგორც პოეტი არ ვარგოდა და მის ლექსებში არც აზრია და არც სხვა რაიმე ღირსებაო. კ. ლორთქიფანიძის აზრით, ანტონს არ ჰქონდა არც ესთეტიკური გემოვნება, თორემ რუსთაველზე მაღლა ჩახრუხაძეს როგორ დააყენებდა. კ. ლორთქიფანიძე იზიარებს ი. ჭავჭავაძის შეხედულებას როგორც ჩახრუხაძის, ასევე ანტონის შესახებ.

კ. ლორთქიფანიძეს მხარს უჭერს მეორე „თერგდალეულიც“, რომელმაც თავის სტატიას „რამდენიმე სიტყვა ზემოური იმერელის გორისელის სტატიაზედ“ ეპიგრაფად წარუმძღვარა პუშკინის სიტყვები:

«Поэт! не дорожи любовию народной
Восторженных похвал пройдет минутный шум...»

ს. აბაშიძის აზრით, ე. წერეთელმა დათვური სამსახური გაუწია მის მიერ „შექებულ“ მოხუცსა და მის ნათესავ ქალს, რომელსაც თავის სტატიაში ათქმევინებს — „ვიღაც ჭავჭავაძეო“.

რაც შეეხება იმ ხოტბას, რომელსაც ბ. ჯორჯაძის პოეტურ ნიჭს ე. წერეთელი და სხვები ასხამენ, ს. აბაშიძე მას გაუგებრობად თვლის და დასძენს: „ბ. ჯორჯაძის ლექსების მსგავსი ლექსების შესახებ შეიძლებოდა ვისმეს ქება ეთქვა ერთი საუკუნის წინათ, მაგრამ ახლანდელ დროში კი სასაცილო რამ გასაგონია“.

ს. აბაშიძე კიცხავს ე. წერეთელს მეორე ჟურნალის გამოცემის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის და არწმუნებს, რომ ი. ჭავჭავაძის ჟურნალი სულ მოკლე დროში დიდ წარმატებას მიაღწევს და არც „ცისკარს“ მოაკლდება ხელის მომწერიო.

ს. აბაშიძე იზიარებს ჩახრუხაძისა და ანტონ კათალიკოსის ილიასეულ შეფასებას, ამასთან ე. წერეთელს საკუთარი აზრის უქონლობას უკიჟინებს და კითხვას უსვამს, თუ რა საფუძველი აქვს, როცა ვოლტერს დასცინის, ლესინგს, ბელინსკისა და დობროლიუბოვს რომ იხსენიებს, ს. აბაშიძე ირონიულად შენიშნავს: ვაითუ ამ გვარების თარგმანიც მომთხოვონ „ცისკრის პოლემისტებმაო“.

რაც შეეხება მესამე სტატიას („ახირებული ფურცელი“), იგი ჭეშმა-

რიტად პირველი აკაკისებური ფელეტონია. მახვილი თქმებითა და იუმორისტული ლექსებით გამდიდრებულ სტატიაში ა. წერეთელი მოხერხებულად კენწლავს ი. ჭავჭავაძის უნიჭო მოწინააღმდეგეთ. აკაკის მწარე ენას სიტკბოება ვერ შემატა „ცისკრის" პოლემისტთა კომპლიმენტებმა მისი პოეტური ნიჭის სიდიადის შესახებ. სტატიის შესავალშივე იგი მახვილად დასცინის ბ. ჯორჯაძესა და მის თანამოაზრეთ მათი უხეირო ცინიზმისა და არაფრის მთქმელი ისტორიული ექსკურსების გამო.

„ცისკარი" ა. წერეთლის აზრით, სრულებით ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას; ძნელად თუ დარწმუნდებით იმაშიც, რომ იგი ქართული ჟურნალია. „ცისკარი" მეექვსე წელში ჩადგა, — ამბობს აკაკი, — მაგრამ დღემდე არ ვიცოდი, სადაური ყმაწვილი იყო — რუსის თუ ქართველის". აკაკის ცხადია, მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ „ცისკარში" მეტწილად თარგმნილი ნაწარმოებები იბეჭდებოდა და ადვილად ურიგდებოდნენ ბარბარიზმებსაც. „ძალიან გვეჭირვება ახალი, კარგი ენა",— შენიშნავს აკაკი და ფელეტონში ჩართული სატირული ლექსით კიცხავს იმ ქართველებს, რომლებსაც ქართული ენა და ქართული ჩვეულები დაუვიწყიათ. მისი თქმით, „ნამდვილი ქართველი" საძებარი გახდა, „უსწავლელი სწავლულები" — „საქართველოს ფუჭი ძენი" კი გამრავლდნენ.

ა. წერეთლის შეფასებით, „ცისკარი" არ გამოხატავდა ქართველი ხალხის ინტერესებს და ვერ შეჰქონდა წვლილი ქართული ლიტერატურის საგანძურში; ნაცვლად ცოდნის მიწოდებისა, იგი მკითხველს უხეირო ენით დაწერილი სტატიებით ართობდა. „ცისკარში" გამოქვეყნებული წერილებიდან აკაკისაც მხოლოდ მოლაყბის სტატიები მოსწონს. ე. წერეთლის სტატიის გამოქვეყნება, აკაკის აზრით, ჟურნალის დაცემისა და მისი რედაქციის ყოველმხრივი გაკოტრების გამოხატულებაა, თორემ როგორ შეიძლებოდა ჟურნალის ფურცლებზე ადგილი მისცემოდა იმ ადამიანს, რომელსაც არ ესმის, რა არის პოეზია და „საღმრთო სიტყვა და პოეზია... ერთი ჰგონია".

მესტვირულ კილოზე დაწერილი ლექსით აკაკი სასაცილოდ იღებს ე. წერეთლის გალაშქრებას ილიას წინააღმდეგ, თანაც ე. წერეთელს აფრთხილებს — ბოდიში მოიხადე ი. ჭავჭავაძის წინაშე, თორემ კიდევ ხშირად „შეგამკობ" მსგავსი ლექსებითო.

„ცისკრის" ფურცლებზე გახშირდა „თერგდალეულის" ფსევდონიმით დაწერილი წერილების ბეჭდვა. ჟურნალის რედაქცია და მისი „ცნობილი" პოლემისტები თითქოს შეურიგდნენ დამარცხებას და „ცისკარი" სინამდვილეში მოწინააღმდეგეებს „დაუთმეს".

„ცისკრის" 1862 წლის მეექვსე ნომერში დაიბეჭდა „თერგდალეულის" სტატია „ახალი ამბები", რომელიც კვლავ სამსონ აბაშიძეს უნდა ეკუთვნოდეს. იგი მკითხველს მოუთხრობს იმ „ნასწავლი უსწავლე-

ლების“ შესახებ, რომლებსაც ა. წერეთელმა თავის სტატიაში „ჭრელა-ძეები“ უწოდა, ამასთან რედაქციასა და მკითხველთა გარკვეულ ნაწილს უსაყვედურებს მაღალი ჩინის მქონე ავტორებისადმი ბრმა მორჩილებისა და დაუმსახურებელი პატივისცემის გამო.

ცნობილ ავტორთაგან საერთოდ ვერავინ გაბედა პასუხი გაეცა თერგდალეულებისათვის. სიჩუმე დაარღვია მხოლოდ თომა მაჭავარიანმა, რომელმაც ქუთაისიდან „ცისკარს“ მიაწოდა მეორე თერგდალეულის სტატიის კრიტიკა. თ. მაჭავარიანი იცავს ე. წერეთელსა და მის მიერ წამოყენებულ შეხედულებებს ბ. ჯორჯაძის პოეზიისა და ი. ჭავჭავაძის ენის შესახებ. მისი თქმით, ბ. ჯორჯაძის „ლექსები არიან ჩინებულნი“, ხოლო ი. ჭავჭავაძის ენა — მიუღებელი, თანაც იმედს გამოთქვამს, რომ ი. ჭავჭავაძე თავის ჟურნალს გამოსცემს ბ. ჯორჯაძისა და ს. ალექსი-მესხიშვილის შენიშვნების გათვალისწინებით. თ. მაჭავარიანს ჯერ კიდევ ვერ შეეგნო, რომ, ვის შეხედულებებსაც ის იცავდა, ისინი ბრძოლას უკვე წაგებულად თვლიდნენ.

თერგდალეულებმაც ტონი იცვალეს. შემდგომ დაწერილ სტატიებში ისინი ნაკლებ ადგილს უთმობენ ცალკეულ მწერალთა კრიტიკას და მეტწილად საერთო მნიშვნელობის საკითხებზე წერენ, პირველ ყოვლისა, ახალი ჟურნალის საჭიროებისა და მწერლობის მომავალი ამოცანების შესახებ მსჯელობენ.

ნიშანდობლივია ისიც, რომ თერგდალეულთა მხარეზე აშკარად გადავიდა ბევრი ისეთი მწერალი, რომელთაც „ცისკრის“ რედაქცია თავის მომხრედ თვლიდა, მათ შორის ლ. არდაზიანი, დ. ყიფიანი და სხვები. ლ. არდაზიანმა, როგორც ვიცით, დაწერა სპეციალური სტატია („ახალნი მნათობნი“) ე. წერეთლის შეხედულებათა წინააღმდეგ. მართალია, იგი არ დაბეჭდილა, მაგრამ სამაგიეროდ გამოქვეყნდა ლ. არდაზიანის პუბლიცისტური ნარკვევი „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“[13] და წერილი „ორიოდე სიტყვა შესახებ თერგდალეულის სტატიისა“[14], რომლებშიც ავტორი ი. ჭავჭავაძისა და საერთოდ თერგდალეულთა დამცველად გვევლინება.

ლ. არდაზიანის მიერ ასეთი პოზიციის დაკავება მოულოდნელი არ ყოფილა. რეალისტი მხატვარი თავის ადრეულ წერილებშიც არ იზიარებდა ბ. ჯორჯაძისა და მის თანამოაზრეთა ლიტერატურულ შეხედულებებს. მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ლ. არდაზიანი თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით საგრძნობლად განსხვავდება თერგდალეულებისაგან, რაც მის მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებშიც აშკარად ვლინდება.

---

[13] ჟურნ. „ცისკარი“ 1862, № 7.

[14] ჟურნ. „ცისკარი“, 1863, № 6.

ცხადია, ზომიერებას ვერ იცავს ა. გაჩეჩილაძე 60-იან წლებში გაჩაღებულ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლასთან ლ. არდაზიანის დამოკიდებულების გარკვევისას. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ბრძოლის დამწყებად ა. გაჩეჩილაძე თვლის არა ი. ჭავჭავაძეს, არამედ ლ. არდაზიანს. მისი თქმით, თაობათა შორის ბრძოლის დასაწყისად ი. ჭავჭავაძის პირველი სტატიის გამოქვეყნების მიჩნევა იმით იყო გამოწვეული, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიაში ლ. არდაზიანის ადგილი სწორად არ ჰქონდათ გაგებული[15].

უნდა შევნიშნოთ, რომ ა. გაჩეჩილაძეს გაზვიადებულად აქვს წარმოდგენილი არა მარტო ლ. არდაზიანის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, არამედ საკუთარი დამსახურებაც ამ მწერლის შესწავლის საქმეში. მის მიერ „მიკვლეული“ და „გარკვეული“ მეტწილად მიკვლეულიც იყო და გარკვეულიც.

თაობათა ბრძოლის დასაწყისად ა. გაჩეჩილაძე მიიჩნევს „ცისკრის“ 1859 წლის მეცხრე ნომერში გამოქვეყნებულ ლ. არდაზიანის სტატიას. ამ სტატიის შინაარსისა და მისი ღირსებების შესახებ საკმაოდ დაწვრილებით ვიმსჯელეთ ლ. არდაზიანის მოღვაწეობის დახასიათებისას. ამჟამად მხოლოდ გავიმეორებთ, რომ ლ. არდაზიანმა აღნიშნულ სტატიაში პასუხი გასცა ნ. ბერძენოვს (ბერძენიშვილს) და გამოთქვა უთუოდ საყურადღებო მოსაზრება ქართული პროზის ჩამორჩენის მიზეზების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით მან გაილაშქრა მწერლობაში საეკლესიო ენის დამკვიდრების წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ „გამშვენიერებული პროზა შესაძლებელია მხოლოდ საერო ენაზე, საღმრთო წიგნურის ფორმაზე კი... პროზა იოტის ოდენ ვერ წავა წინა“. ამასთან, მისი შეხედულებით, პოეზიაში უკვე მომხდარი იყო შესაფერი გარდატეხა.

როგორც ცნობილია, ბ. ჯორჯაძემ დაგმო საღმრთო წერილის ენისადმი ლ. არდაზიანის ასეთი დამოკიდებულება, მაგრამ ლ. არდაზიანს მისთვის პასუხი აღარ გაუცია.

ა. გაჩეჩილაძე წერს: „იგი (ლ. არდაზიანი — **დ. გ.**) სამწერლო ენად საერო, ხალხის ენას აღიარებს, იმ ენას, რომელზედაც ლაპარაკობდა ხალხი. უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძეს თავის ცნობილ წერილში — „ორიოდე სიტყვა თავ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“ — რომელიც ლ. არდაზიანის ზემოაღნიშნული წერილის გამოქვეყნებიდან წელიწადნახევრის შემდეგ გამოქვეყნდა, ასეთი რადიკალური შეხედულებები ქართულის სალიტერატურო ენის გახალხურების შესახებ არ გააჩნია“![16].

---

[15] ა. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე. ბრძოლა კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. „ლიტერატურული ძიებანი“ (კრებული), ტ. IX, 1955, გვ. 183.

[16] იქვე, გვ. 184.

ვფიქრობთ, მოყვანილი სიტყვები საგანგებო კომენტარს არ საჭიროებენ — ისინი თვითონ ამჟღავნებენ თავიანთ უმართებულებას.

მეტად არალოგიკურია ავტორის განმარტება ბ. ჯორჯაძისადმი ლ. არდაზიანის პასუხის გაუცემლობის შესახებაც. ა. გაჩეჩილაძის თქმით, ბ. ჯორჯაძემ „მწერლობისათვის" „საღმრთო წერილების" ენის უარყოფა რელიგიის უარყოფად მიიჩნია. ამით, ცხადია, ბ. ჯორჯაძემ ლ. არდაზიანი მაშინდელ კლერიკალურ საზოგადოებას დაუპირისპირა და მას საკმაოდ მძიმე მდგომარეობა შეუქმნა. ამიტომაც გასაგებია, რომ ლ. არდაზიანმა სიჩუმე არჩია და ბარბარე ჯორჯაძისათვის აღარ უპასუხიაო"[17]. ჩვენ არ ვიცით, რატომაა ეს გასაგები ა. გაჩეჩილაძისათვის თუ ლ. არდაზიანმა კლერიკალური წრეების შიშით ხმა ჩაიკმინდა, ეს გარემოება ხომ მის ღირსებაზე არ მეტყველებს. მაშინ რაღა უნდა ექნა ი. ჭავჭავაძეს?

ა. გაჩეჩილაძე კარგ სამსახურს არ უწევს ლ. არდაზიანს, როცა მას ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და სხვა თერგდალეულთა გვერდით აყენებს და ასახელებს ყოველთვის. ძალაუნებურად მოგაგონდებათ ი. ჭავჭავაძის სიტყვები ცისკრელი მწერლების შესახებ: „სადაც რუსთაველს... ახსენებენ, იქ, გინდათ თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხაძესაც". ლ. არდაზიანი სამოციანელთა შეხედულებებამდე არასოდეს ამაღლებულა; თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით იგი დარჩა ბატონყმური ურთიერთობის დამცველთა პოზიციებზე, რის გამოც მას დიდად აფასებდნენ ცისკრელი მწერლები. ამის გაუთვალისწინებლობა კი შეუძლებელია.

მკვლევარი არაზუსტად გადმოსცემს ი. ჭავჭავაძის შემოქმედებითი ევოლუციის ფაქტობრივ მხარესაც. მისი თქმით, ი. ჭავჭავაძეს, როცა მან პირველი სტატია გამოაქვეყნა, რამდენიმე დაბეჭდილ ლექსს გარდა, „მოხაზული ჰქონდა თავისი ცნობილი ნაწარმოებების — „კაკო ყაჩაღის", „გლახის ნაამბობისა" და „კაცია ადამიანის" — ვარიანტები"[18].

პირველ ყოვლისა, ამ დროს ი. ჭავჭავაძეს არა თუ „მოხაზული", არამედ დაწერილი ჰქონდა „გლახის ნაამბობისა" და „კაცია ადამიანის" ადრინდელი ვარიანტები, ხოლო „კაკო ყაჩაღი" — უკვე დასრულებული. გარდა ამისა დაწერილი ჰქონდა „დედა და შვილის" პირველი ვარიანტი და მრავალი ისეთი ლექსი, რომლებიც აშკარად მეტყველებდნენ მისი ავტორის ჭეშმარიტ რეალიზმზე. მკვლევარი მხედველობიდან უშვებს ამ გარემოებას და წერს: „თავის პირველ სტატიაში ილია ჭავჭავაძე, უკვე აყალიბებს კრიტიკული რეალიზმის ზოგიერთ დამახასიათებელ ნიშანს.

---

[17] იქვე, გვ. 187.
[18] იქვე, გვ. 185.

იმ კრიტიკული რეალიზმისას, რომელიც შემდგომ საფუძველი შეიქნა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებისა".

განა მხოლოდ 1861 წლის შემდეგ შეიქნა რეალიზმი ი. ჭავჭავაძის შემოქმედების საფუძვლად? ეს რომ ასე იყოს, მაშინ გამოვიდოდა, რომ ი. ჭავჭავაძე სხვებისაგან მოითხოვდა იმას, რაც ჯერ თვითონაც არ გააჩნდა.

ი. ჭავჭავაძე ჯერ კიდევ იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის დაწყებამდე თავის მხატვრულ ნაწარმოებებს ქმნიდა რეალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. სწორედ ამან აიძულა იგი ბრძოლა გამოეცხადებინა ყოველი ჯურის ანტირეალისტური მიმართულებისათვის.

იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის მსვლელობაში ი. ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრე თერგდალეულებმა გამოამჟღავნეს „ცისკარში" მოკალათებულ მწერალთა იდეური ჩამორჩენილობა და მხატვრული შესაძლებლობის სისუსტე. მაგრამ ეს თერგდალეულთა პროგრამის ერთი მხარე იყო მხოლოდ: მათ უნდა უზრუნველეყოთ აგრეთვე კრიტიკული რეალიზმის საბოლოო გაბატონება ქართულ ლიტერატურაში.

1862 წლის მეორე ნახევარში ი. ჭავჭავაძემ მიზნად დაისახა მოეცა სრული სურათი ჟურნალ „ცისკრის" მწერლობისა, დაწყებული 1857 წლიდან. ამასთან ილიას უფრო სრულად და თეორიული განზოგადებით სურდა წარმოედგინა თავის სტატიებში გამოთქმული შეხედულებები ლიტერატურის დანიშნულებისა და ჟურნალის მოვალეობის შესახებ. ამას მოწმობს ის ექვსი ნაწყვეტი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და ცნობილია შემდეგი საერთო სათაურით: „ცისკარი" 1857 წლიდან 1862 წლამდინა".

ამ ნაწყვეტების მიხედვით ადვილი გასათვალისწინებელია, თუ როგორი სიღრმითა და სისრულით ვარაუდობდა ი. ჭავჭავაძე „ცისკრის" განვლილი გზის შესწავლასა და დახასიათებას. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მისი მიზანი მხოლოდ „ცისკრის" ღირსება-ნაკლოვანებათა შეფასება არ იყო: მას ქართული მწერლობის განვითარების შემდგომი გზებისა და მიმართულების გარკვევა უფრო აინტერესებდა. ამასთან წმინდა ლიტერატურული საკითხების გვერდით ილია დიდ ადგილს უთმობს საზოგადოებრივი ცხოვრების ავკარგიანობაზე მსჯელობას — ლაპარაკობს არა მარტო როგორც მწერალი, არამედ როგორც საზოგადო მოღვაწე საერთოდ.

ი. ჭავჭავაძე, უპირველეს ყოვლისა, მიზანში იღებს საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობას და ამის ობიექტურ მიზეზებს. ქვეყნის პოლიტიკური მართვა-გამგეობისაგან ჩამოცილებამ, ნაციონალურ-კოლონიურმა და სოციალურმა ჩაგვრამ ქართველ ხალხში, ი. ჭავჭავაძის თქმით, ერთგვარი უნდობლობა და გულგატეხილობა დანერგა. ამიტომაა, რომ ხალხი ადვილად არ თანაუგრძნობს ხოლმე იმასაც კი, ვინც

ნამდვილად მის სასარგებლოდ ფიქრობს და მოქმედებს. „კაცმა რომ პატიოსანს და კეთილს საქმეს თავი შესწიროს, ერთი ჩვენგანი არ დაიჯერებს", — ამბობს ილია.

ი. ჭავჭავაძის აზრით, ქართველ ხალხს თითქოს დაეკარგა ის იდეალი, რომელიც საერთო მისწრაფებებსა და საერთო ინტერესებს ბადებს. ამის მიზეზს ილია ისტორიული ჩარხის უკუღმართობაში ხედავს, მაგრამ ბრალს სდებს თვით ხალხსაც, მის განათლებულ ნაწილს. ყველაფერი ავბედობას არ შეიძლება დაბრალდეს, „ბედს თითონ კაცი ჰქმნის და არა ბედი კაცსა",—დასძენს იგი. საზოგადოების ე. წ. მოწინავე ნაწილი არა თუ სიხარულით არ ხვდება სამშობლოს ბედით შეწუხებულ და ხალხის უკეთესი მომავლით დაინტერესებულ თითო-ოროლა პატრიოტს, არამედ დასცინის კიდევაც. „ჩვენ, — წერს ილია, — გულს გაგვიგმირავს ხოლმე ცხოველი სიტყვა, ჩვენის ძმისვე სიკეთე, ჩვენი ძმისვე ჩვენთვის თავგამოდება. პირველი ქვა, რომელიც თავგამოდებულს მოხვდება ხოლმე, ქართველისაგანვე არის გამოტყორცნილი".

ი. ჭავჭავაძემ თვითონ იგემა ასეთი ქვით მიყენებული ჭრილობის ტკივილები. მან გამოცადა, თუ რა მძიმე იყო ხალხის სიკეთისათვის ათრთოლებული გულის დაწყლულება თანამემამულეთა წინდაუხედაობითა და უყურადღებობით.

როდესაც ქართველ ხალხს, მის განათლებულ ნაწილს ი. ჭავჭავაძე საერთო იდეალის დაკარგვას უსაყვედურებს, მას მხედველობაში აქვს სამშობლოს სიყვარული, პატრიოტული გრძნობა. ილიას თქმით, საკმაო დროის განმავლობაში თავისი დიდი მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა „მამულს", მისი გახსენება ქართველი კაცის მეხსიერებაში „სამშობლოს" ცნებას აღარ აღადგენდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით შთაგონებული პატრიოტი მწერალი გულისტკივილით შენიშნავს: „მრავალი წელიწადია, რაც ჩვენს საზოგადოებას ერთი ცოცხალი აზრი, ერთი ფხიზელი გრძნობა არ ჩავარდნია გულში. ასეთნაირად დავნამცეცდით, რომ დიდი სიტყვა „მამულიც" გავანამცეცეთ. მამული ერთობ ჩვენ სამშობლო ქვეყანას კი არ ნიშნავდა, არამედ თვითეულის სოფლის საკუთრებასა".

ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტული გრძნობის გაძლიერება ხალხში, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, პირველი და აუცილებელი საფეხურია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გზაზე. მისი თვალიც აქეთკენაა მიპყრობილი და მზადაა ყველაფერს გაუძლოს, ოღონდ მიზანს მიაღწიოს. ილიას სწამს, რომ ყოველი დიდი საქმე მსხვერპლს ითხოვს საუკეთესო ადამიანებისაგან, რომლებიც საზოგადოებრივს ყოველთვის მაღლა აყენებენ პირადულზე.

არის ხოლმე მომენტები, როცა ხალხი თვითონ გაიცხავს და გულს მოუწამლავს მისთვის თავდადებულ და კეთილმოსურნე მოღვაწეებს, მა-

გრამ ისინი მაინც არ უნდა დაეცნენ სულით. „კარგია,—შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, — თუ ვინმე იმათგანი იმისთანა თამამი გულისაა, რომ ხალხის სიყვარულისათვის ამ საძაგლობას არ დაერიდება და ათას ჭირში და ვაი-ვაგლახში გააპობს მკერდით თავის მოძმეთა ბოროტებასა; მაგრამ მაინც კიდევ ხომ სიკვდილია იმისათვის, როცა ხედავს, რომ ვისთვისაც ჭირშია, ვისთვისაც იბრძვის, ვისთვისაც იტანჯება, ის პირველი ესვრის ქვასა...“

ი. ჭავჭავაძემ კარგად იცის, რომ მშრომელი ხალხი, გლეხობა სულით და გულით პატიოსანი და სამშობლოს მოყვარულია, მაგრამ ხელფეხი შებორკილი აქვს, მისი სულიერი და გონებრივი ღირსებები ბატონყმური უღლის ქვეშ ინთქება და თავის სარბიელს ვერ პოულობს. ამიტომაც ილიას მახვილი სწორედ მაღალი წოდების წინააღმდეგ არის მიმართული. მას ზედმიწევნით აქვს დახასიათებული, თუ რა მძიმეა წოდებრივი არტახებით შებორკილ საზოგადოებაში ცხოვრება შეგნებული და პატრიოტი ადამიანისათვის. „მძიმე საცხოვრებელია, — წერს ილია, — ეს ქვეყანა გონიერი კაცისათვის, რომელიც... სხვაზედაც ფიქრობს, სხვაზედაცა სწუხს. ის ჩვენში ფრთას ვერ გაშლის, სულს ვერ მოიბრუნებს. შევა დიდკაცის სახლში, თუ თითონ დიდი კაცია — პატივი აქვს, ე. ი. კანონიერად გაუღიმებენ, კანონიერად ხელს ჩამოართმევენ, თუ პატარა კაცია, მაშინ წელს გაუშინჯვენ, კარგად იგრიხება თუ არა“. ერთი სიტყვით, პატივი და დიდება აქვს არა იმას, ვინც სულიერი და გონებრივი ღირსებებით მდიდარია, არამედ იმას, „ვინც ორი თუ სამი სტრიქონით თავად-აზნაურობის სიაში წინ არის მოხსენებული“.

ი. ჭავჭავაძე, ცხადია, შეცდომაში ვერ შეჰყავს ალ. ორბელიანის მსგავს „თეორეტიკოსებს“, რომლებიც ქართველ თავადაზნაურთა ცხოვრებას, ბატონყმურ ურთიერთობას საქართველოში რაღაც განსაკუთრებული და პატივსადები თავისებურებებით ახასიათებდნენ. „...დიდკაცობა,—ამბობს ილია, — როგორც სხვაგან, ისე ჩვენში, სწორედ კუბოა, რომელიც გარედამ ხავერდით არის მოსილი და ბუზმენტებით გაბრწყინვებული, მაგრამ ახსენით ის ბუზმენტები და ახადეთ თავი, შიგ ძვლების და სულის და ხორცის გახრწნილების მეტს ვერას დაინახავთ“.

ცხადია, ილია ქართველ თავადაზნაურობაში ვერაფერს ხედავს ისეთს, რაც მოწონებასა და თანაგრძნობას იმსახურებდეს. თავადაზნაურობა, მისი სამართლიანი თქმით, ძვლით, ხორცითა და სულით გახრწნილია. თავად-აზნაურთა „დამსახურებას“ მიაწერს იგი იმასაც, რომ „მამულის“ გაგონებაზე ბევრს უკვე აგონდება არა სამშობლო, არამედ მხოლოდ „თვითეულის სოფლის საკუთრება“.

ი. ჭავჭავაძის აზრით, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე თავის მაღალ მნიშვნელობას ნელ-ნელა იბრუნებს სიტყვა „მამული“, და ამ საქმეში გარკვეული წვლილი მიუძღვის „ცისკარსაც“. „არ იქნება ოთხი-

ხუთი წელიწადი, — ამბობს ილია, — რაც მაგ სასწაულთმოქმედმა სიტყვამ („მამული" — დ. გ.) თავისი დაკარგული მნიშვნელობა ჩვენში ისევ დაიბრუნა. ღმერთმა უშველოს „ცისკარს", ეგ იმისი მეოხება არის. სიტყვა აღვადგინეთ, ჩვენ-კი ველარ აღვდეგით, ველარ ავყევით თანა".

„ცისკრის" დამსახურება ამ მხრივ, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ის იყო, რომ მან მკითხველს გააცნო ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანისა და ზოგიერთი თანამედროვე მწერლის ნაწარმოებნი, ეროვნულ მოტივზე დაწერილი. ამიტომ ამბობს იგი, რომ სიტყვა აღვადგინეთ, მაგრამ ჩვენ ველარ წამოვდექით და ველარ ავყევით.

„ცისკარსა" და ქართველ ხალხს შორის ი. ჭავჭავაძე ვერ ხედავს მჭიდრო ურთიერთობას. ერთადერთი ჟურნალის ასეთ მდგომარეობაში ყოფნა კი მას სავალალო ფაქტად მიაჩნია და სურს გაარკვიოს ამის არსებითი ხასიათის მიზეზები. ილიას თქმით, ჟურნალი ხალხის სიყვარულსა და ინტერესს ვერ იმსახურებს სამ შემთხვევაში: 1) როცა ჟურნალს ვერ მიუგნია, თუ „რა უჭირს საზოგადოებას, ცხოვრებას, რომ იმას უშველოს"; 2) როცა ჟურნალი გატაცებულია ისეთი საკითხებით, რომლებიც ცხოვრებას ჯერ კიდევ არ დაუსვამს დღის წესრიგში; 3) როცა ჟურნალი „უკან დარჩომია ცხოვრებასა: ცხოვრება წინ წასულა და ის კი უკან მისჩანჩალებს, როგორც ფეხმოტეხილი ცხვარი თავის ფარასა. თავის ჩანჩალში ის კოჭლი ჟურნალი არამც თუ არჩევს და ხსნის, რაც თვალწინ უტრიალებს საზოგადოებასა, არამედ თავმოწონებით ჰკრეფს, რაც თვით საზოგადოებას თავის განვითარების გზაზედ გადაუყრია, როგორც უვარგისი და გამოუსადეგი".

ი. ჭავჭავაძე „ცისკარს" ხალხისგან მოწყვეტილ მესამე კატეგორიის ჟურნალთა რიცხვს აკუთვნებს და მკითხველს ჰპირდება, რომ კონკრეტული მაგალითებით დაადასტურებს თავის შეხედულებას. თანაც წინასწარვე აცხადებს, რომ არ დაიშურებს „მის ძაგებას — რაც საძაგელია, მის ქებას — რაც საქებია"... ილიას თქმით, დროა შევიგნოთ, რომ ვინც სიავეს არ ფარავს, მას სხვაზე ნაკლებ არ აინტერესებს სიკეთე; კრიტიკაში ბოროტებას მხოლოდ ის ხედავს, ვინც თვითონ ბოროტია,

ვინც ისე ამოვლებულა ლაფში, რომ არ შეუძლია შეეხოს ვინმეს და არ გასვაროს. „ჩვენ იმითი უფრო გვებრალებიან ეს წამხდარი ხალხი, — წერს ილია, — რომ ბევრი მათგანი ხარისხით, თუ მდგომარეობით, წინწასულები არიან; ჩვენ ურჩევთ იმათ მედიდურობას და გლახა-ამპარტავნობას, რომ თუ თითონ არ ესმით ეს, პატარა დაიხარონ თავიანთი მოუდრეკელი თავი და უბრალო გლეხკაცს მაინც დაუგდონ ყური და მისგან ისწავლონ და აიხილონ დაბრმავებული თვალები". ილია ზრდილობას არ ხედავს პირფერობასა და „პირიდამ თაფლის დენაში". პატიოსანი კაცი იმით არის პატიოსანი, რომ „ეძებს სიმართლეს და ემსახურება ჭეშმარიტებას; ის ცდილობს გამოიჩინოს შეუბრალებლად რაც ცუდია—ცუდად, რაც კარგია-კარგად, პირფერობა და ურცხვი, უალაგო ქება გლახის და მათხოვრის საქმეა და არა ჭეშმარიტების მსახურისა", — შენიშნავს იგი.

„ცისკრის" მოლექსეებს, ი. ჭავჭავაძის შეფასებით, თავი ვერ დაუღწევიათ ძველი მწერლების გავლენისაგან: „...თავისი აზრების მიმართულებით, იდეებით, ძველებსა ჰგვანან", თანაც მეტწილად იმას ითვისებენ, რაც თვით ძველი მწერლების სუსტი მხარე იყოო.

ი. ჭავჭავაძე ძველი მწერლების მთავარ ნაკლად იმას მიიჩნევს, რომ თავისუფალი არ იყვნენ პასიურ განწყობილებათა ქადაგებისაგან, უჩიოდნენ წუთისოფელს, ამაოებად სახავდნენ ამქვეყნიურ ცხოვრებას და თვალები ცისაკენ ჰქონდათ მიპყრობილი. ილიას არც მათი სატრფიალო პოეზია მოსწონს, რადგან ქალი მათ თვალში ან ანგელოზია, ან დემონი. იგი უარყოფით შეფასებას აძლევს აგრეთვე მათ მიერ სუბიექტური პეიზაჟების შემოტანას პოეზიაში. „ბუნება, — ამბობს ილია, — წმინდა სანთელია იმათ ხელში, რასაც უნდა, იმას გამოსახავენ... ის როგორც ობიექტი არ არსებობს იმათთვის" აღმოსავლური პოეზიიდან შემოსულად და უარყოფით მოვლენად მიაჩნია მას პოეტური თქმების გადატვირთვა ფიგურალობითა და ალეგორიებით.

ი. ჭავჭავაძის მართებული თქმით, ჩვენში აღორძინების პერიოდის პირველი პოეტი, რომელმაც სცადა გვერდი აევლო აღმოსავლური პოეზიის დამახასიათებელი ფიგურალობისათვის და ქართულ პოეტურ მეტყველებაში ევროპეიზმი[19] შემოიტანა, დ. გურამიშვილი იყო. ეს გზა შემდეგ განაგრძეს ალ. ჭავჭავაძემ და გრ. ორბელიანმა, მაგრამ „ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა" მაინც ნ. ბარათაშვილი იყო.

ქართული პოეზია, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, ძირითადად ლირიკული პოეზიაა. ჭეშმარიტი პოემა მხოლოდ შ. რუსთაველმა შექმნა, მას შემდეგ კი ამ მიმართულებით საქმე გვაქვს მეტწილად უხეირო მიბაძვებთან.

---

[19] „ევროპეიზმში" ი. ჭავჭავაძე გულისხმობს ისეთ პოეტურ გამოთქმებსა და სახეებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო ევროპული პოეზიისათვის.

ლირიკა, ილიას თქმით, საყურადღებო ჟანრია, მაგრამ უარყოფითი მხარეც აქვს: „საგანი ამგვარ პოეზიის თითონ პოეტის სულის მდგომარეობაა სხვადასხვა შემთხვევებში და გარემოებაში... გარეგანი ბუნება მისთვის არ არსებობს, და თუ არსებობს, იმის ხელში ის წმინდა სანთელსავით ლბილია... იმას გამოსახავს ზედ, რაც თითონ უგრძვნია, და არა იმას, რაც თვით ბუნებაშია, როგორც აუცილებელი თვისება მისი".

ამრიგად, ი. ჭავჭავაძის მხატვრული ინტერესები მიმართულია რეალიზმის როგორც მხატვრული მეთოდისა და როგორც ლიტერატურული მიმართულების დამკვიდრებისა და გაბატონებისაკენ. იგი ბრძოლას უცხადებს არა მარტო ანტირეალისტურ მიმართულებათა რეციდივებს, არამედ საერთოდ ისეთ პოეტურ ფორმებსა და ხერხებს, რომლებიც შედარებით მოუქნელი არიან სინამდვილის რეალისტური ასახვისათვის. შემთხვევითი როდია ის გარემოებაც, რომ ლირიკულ ჟანრთან შედარებით ილია უპირატესობას ანიჭებს ეპიკურ ჟანრს, რომელსაც მეტი შესაძლებლობა აქვს ობიექტური სინამდვილის სრული და ზუსტი სურათის წარმოსადგენად. ი. ჭავჭავაძის გაგებით, ლიტერატურა უნდა იყოს სარკე სინამდვილისა. ამიტომ მწერალი, რომელთანაც დარღვეულია ეს პრინციპი, ღალატობს თავის ძირითად დანიშნულებას.

ასეთივე იდეითაა გამსჭვალული კ. ლორთქიფანიძის სტატიაც „ორიოდე სიტყვა „ცისკარზედ" და ახალის ჟურნალის სარგებლობაზედ" („ცისკარი", 1862, № 9).

კ. ლორთქიფანიძემ ამ სტატიას ეპიგრაფად წარუმძღვარა ა. პუშკინის სიტყვები: **«На холмах Грузии лежит ночная мгла»**. ამით მან წინასწარვე გამოამჟღავნა თავისი დამოკიდებულება ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ.

კ. ლორთქიფანიძის თქმით, ი. კერესელიძის რედაქტორობით განახლებულ „ცისკარზე" საზოგადოება დიდ იმედებს ამყარებდა — ყველა ფიქრობდა, რომ იგი ბევრად ემჯობინებოდა გ. ერისთავის „ცისკარს", მაგრამ ეს იმედი თანდათანობით გაქარწყლდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად კ. ლორთქიფანიძეს ის მიაჩნდა, რომ რედაქტორი დამოუკიდებელი ვერაა, იგი სხვების გავლენის ქვეშაა და თავის ნებაზე ვერაფერს ბეჭდავსო. „ცისკარი" ერთი ღვდლის მაგივრად აღსარებას ეუბნება ათს", — მრავალმეტყველად შენიშნავს სტატიის ავტორი.

უჩვენა თუ არა გზა მწერლობას „ცისკარმა"? — სვამს კითხვას კ. ლორთქიფანიძე და უპასუხებს: „გზა თვითონ არ ჰქონდა, სხვას ვის უჩვენებდა. სხივებს თვითონ მოკლებული, სხვას ვის მოჰფენდა". მხოლოდ და მხოლოდ მოლაყბის სტატიებში გამოკრთოდა ეს „სხივები" და ისიც მალე დააბნელა სქელმა ღრუბელმაო. და რაც უფრო დიდხანს იარსებებს „ცისკარი" „ამ მიმართულებით და იდეებით, თანდათან უარესი გახდება".

„ცისკრის“ დამსახურებას კ. ლორთქიფანიძე ხედავს მხოლოდ იმაში, რომ მან მკითხველს გააცნო დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, დიმ. ყიფიანის „სვიმა“, ი. ჭავჭავაძის სტატიები და ლექსები, მოლაყბის წერილები, ქართველი—ლერმონტოვის — ნ. ბარათაშვილის[20], გრ. ორბელიანისა და რაფ. ერისთავის ლექსები. „თუმცა ყველა ესენი ბრწყინავდნენ ჩვენ ჟურნალში, —შენიშნავს კ. ლორთქიფანიძე, — მაგრამ მათ სხივებს რაღა სიცხოველე ექნებოდა იმ სტატიებთან, როგორიც იყო უფ. სულხანოვისა „ევროპიელების განათლებაზე“ და „ყრმობა და მათ აღზრდაზედ“. თანაც იქვე უმატებს: „უმორჩილესად ვთხოვ უფ. სულხანოვს, არ ეწყინოს ჩემგან აგრე მოხსენება. მისი სტატიების უკეთესი ბევრი არ ყოფილა „ცისკარში“, მაგრამ ეს მაგალითი წარმოდგენილია, როგორც უახლესი“.

„ცისკრის“ ჩამორჩენის მიზეზთა შორის კ. ლორთქიფანიძე ასახელებს კრიტიკისადმი მტრული დამოკიდებულების ტრადიციის დანერგვას. იგი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ დაესხნენ თავს ალ. სავანელი და სხვები ნ. ბერძენოვს (ბერძენიშვილს, როცა მან „ცისკრის“ შესახებ კრიტიკული სტატია გამოაქვეყნა.)

კ. ლორთქიფანიძის შეხედულებით, სხვადასხვა მიზეზების გამო „ცისკარს“ „არ შეუძლია ჭეშმარიტის და ღრმა-ღრმა პოლიტიკურის, ან სოციალურის ახრების გავრცელება“, მაგრამ არც იმას აკეთებს, რის გაკეთებაც შესაძლებელია. რედაქციის დაუდევრობას მიაწერს იგი ისეთი სტატიებისა და მხატვრულ ნაწარმოებთა ბეჭდვას „ცისკარში“, რომლებიც არც ენითა და არც შინაარსით არ იმსახურებდნენ გამოქვეყნებას, და დასძენს: როგორადაც უნდა შემოლეოდა მასალა, ცუდი და სუსტი სტატიები მაინც არ უნდა მიეწოდებინა ჟურნალს მკითხველისთვისო.

„ცისკარს“, კ. ლორთქიფანიძის შეფასებით, არა აქვს მთავარი რამ — საკუთარი მიმართულება. იგი იქცა საპირისპირო შინაარსის მქონე სტატიებისა და ნაწარმოებთა კრებულად, რის გამოც მკითხველს უკარგავს ორიენტაციას. ჟურნალს რომ მოეხერხებინა განთავისუფლებულიყო მისთვის მიუღებელი შინაარსის მქონე სტატიებისაგან ან თუნდაც ცალკე განყოფილება შეექმნა მათთვის, მეტ სარგებლობას მოუტანდა საზოგადოებასო.

ამ მდგომარეობას „ცისკარი“ თავს დააღწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ახალი ჟურნალი გამოიცემაო, დაასკვნის კ. ლორთქიფანიძე. იგი მთელი დამაჯერებლობით ცხადყოფს მეორე ჟურნალის საჭი-

[20] სხვათა შორის, ა. გაჩეჩილაძეს ზემოდასახელებულ წერილში კ. ლორთქიფანიძის სიტყვები — „ჩვენის ლერმონტოვის ნ. ბარათაშვილის“ — გაგებული აქვს როგორც „ლერმონტოვის და ბარათაშვილის“, რაც უბრალო გაუგებრობაა (იხ. კრებული „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. IX, 1955, გვ. 213).

როებასა და მნიშვნელობას ქართული კულტურის შემდგომი აღმავლობის საქმეში. მეორე ჟურნალი მკითხველს იხსნიდაო „უკრიტიკო ორაზროვნებისაგან, რომელიც სუფევს დედისერთა ჟურნალში“.

კ. ლორთქიფანიძე მკითხველს მოაგონებს, რომ ი. ჭავჭავაძის ჟურნალის — „საქართველოს მოამბის“ გამოცემა საჭიროა და სასარგებლო იქნება ხალხისათვის და არა ცალკეული პირებისათვის, მისი გამოსვლის წინააღმდეგ კი მხოლოდ პიროვნებები იბრძვიან. და „თუ ჩვენი საკუთარი ინტერესი არ დაჩუმდება საზოგადო ინტერესის წინ, მაშინ ჩვენს გზასა და კვალს ვერავინ გაიგებს“. თავის სტატიას კ. ლორთქიფანიძე ამთავრებს ი. ჭავჭავაძის ლექსით „გაზაფხული“.

კ. ლორთქიფანიძის სტატიას რედაქციამ ასეთი შენიშვნა გაუკეთა: „ჩვენ თერგდალეულს პასუხს არ ვაძლევთ, რადგანაც მოლაყბემ იკისრა პასუხის მიცემა და ამასთანავე იბეჭდება ამ საგანზედ მოლაყბის შესავალი. უმეტესად იმისათვის არ ვაძლევთ ჩვენ პასუხს, რომ ჩვენი და უფ. მოლაყბის აზრი სრულებით ერთია“.

ცხადია, რედაქციისა და მოლაყბის შეხედულებანი „სრულებით ერთი“ იყო, რადგან „მოლაყბის“ ფსევდონიმით უკვე ი. კერესელიძე წერდა და რომ მაინცდამაინც „სალაყბო ფურცელში“ უნდოდა გაეცა მას პასუხი კ. ლორთქიფანიძისათვის, ეს იმიტომ, რომ „სალაყბო ფურცელი“, ტრადიციის მიხედვით, მკითხველთა შორის მეტი ავტორიტეტით სარგებლობდა. ი. კერესელიძის ასეთი ოინი შეუმჩნეველი არ დარჩენილა. ერთ-ერთ წერილში ნ. ნიკოლაძე კ. ლორთქიფანიძეს სწერს: „სალაყბო ფურცელზე მინდოდა დამეწერა რამე, მაგრამ შენ მანდ არა ხარ... Этого мерзавца, გახსოვდეს, რომ მოლაყბე თვითონ კერესელიძე არის“.

იმედი არ გაუმართლდათ „ცისკრელებს“. ი. ჭავჭავაძემ ბოლოს და ბოლოს მიიღო საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნებართვა.

III. ილია ჭავჭავაძე ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ რედაქტორი. იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის გაბრძელება

ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოსვლით ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში დაიწყო ახალი ეპოქა, — ეპოქა რევოლუციურ-დემოკრატიული პრესისა, რომლის აღმოცენება და განვითარება განპირობებული იყო სამოციანი წლების სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარებით.

„საქართველოს მოამბეს“ უნდა აღესრულებინა დიდი ისტორიული მისია — ქართულ ჟურნალისტიკასა და ლიტერატურაში დაემკვიდრებინა ეპოქის მოწინავე იდეები. ამგვარი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა კი ჟურნალის რედაქტორისა და მის თანამშრომელთა თავდადებულ მოღვაწეობასა და გაბედულ ლიტერატურულ საქმიანობას მოითხოვდა. იმთავითვე აშკარა იყო, რომ „საქართველოს მოამბესა“ და მის რედაქციას დიდი და მძიმე წინააღმდეგობის დაძლევა მოუხდებოდა; კონსერვატორ-ლიბერალთა ბანაკი თავის პოზიციას უბრძოლველად არ დათმობდა, არც მოწინავე იდეების იოლად დამკვიდრება იყო მოსალოდნელი.

ჟურნალის ახალგაზრდა რედაქტორი არა მხოლოდ ითვალისწინებდა ყოველივე ამას, არამედ საგანგებოდ იყო მომზადებული ბრძოლისათვის და, რაც მთავარია, სათანადო ჟურნალისტური სიახლენის დასამკვიდრებლად. ამიტომაც „საქართველოს მოამბემ“, მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, წარმატებით შეძლო თავისი დანიშნულების აღსრულება და გახდა მისაბაძი მაგალითი მთელი შემდგომი პერიოდის ქართული ჟურნალისტიკისათვის.

1. გამოცემის ისტორიიდან

ახალი თაობის პერიოდული ორგანოს გამოცემის აუცილებლობა უდავო გახდა ჯერ კიდევ „ცისკრის“ ფურცლებზე. მტკიცე მიმართულების უქონლობის მიუხედავად, შეუძლებელი იყო „ცისკარს“ სათანადო სამსახური გაეწია როგორც ძველი, ასევე ახალი თაობის ინტერესებისათვის. რაც მთავარია, ახალი თაობის იდეური წინამძღოლი ილია ჭავჭავაძე სულაც არ აპირებდა ამგვარ ჟურნალში თანამშრომლობის გაგრძელებას. რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ერთგულ ახალგაზრდობას, ცხადია, თავისი საკუთარი პერიოდული ორგანო სჭირდებოდა. მის გარეშე მას არ შეეძლო დასახული მიზნისათვის ბრძოლა და წარმატების მიღწევა; საკუთარი პერიოდული ორგანოს გამოცემა აუცილე-

ბელი პირობა იყო მისი გამარჯვებისათვის.

ასეთ ვითარებაში ი. ჭავჭავაძესაც ბევრი აღარ დაუყოვნებია და, 1861 წლის დამლევსვე, ითხოვა ჟურნალ „საქართველოს მოამბის" გამოცემის ნებართვა. კავკასიის საცენზურო კომიტეტმა მოიწონა ი. ჭავჭავაძის მიერ წარდგენილი ჟურნალის პროგრამა, რის შემდეგ, 1862 წლის თებერვალში, „საქართველოს მოამბის" გამოცემის ნებართვას ხელი მოაწერა კავკასიის მეფის ნაცვლის მოვალეობის აღმსრულებელმა და ცნობილმა პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა. ამასთან დაკავშირებით, ეს უკანასკნელი, პეტერბურგში, კავკასიის კომიტეტს ატყობინებდა შემდეგს:

«Кн. Илья Чавчавадзе обратился с просьбою о дозволении ему издавать новый журнал на Грузинском языке под заглавием: «Грузинский Вестник».

Кавказский цензурный комитет, разсмотрев и одобрив представленную программу этого журнала, испрашивает разрешения на издание онаго.

Вследствие сего и на основании 16 и 138 ст. XIV т. Св. Зак. уст. о ценз., разрешив издание в Тифлисе означеннаго Грузинскаго журнала по представленной издателем программе с тем, чтобы в нем не помещалось никаких политических известии и расуждении, я имею честь уведомить об этом в. пр., препровождая при сем и копию с программы.

Программа предполагаемаго к изданию «Грузинскаго Вестника» состоит из семи отделов:

1. Чисто литературный: стихотворения, романы, повести, драматические пьесы и проч. — оригинальныя и переводныя.
2. Исторический: статьи, относящияся до всеобщей и особенности Русской истории и истории края, — оригинальныя и переводныя.
3. Политико-экономический и сельско-хозяйственный.
4. Критика и библиография новых книг и замечательных журнальных статей.
5. Юмористический.
6. Смесь (преимушественно извлечение из русских периодических изданий).
7. Приложения: старинныя Грузинския книги, рукописи и проч.

«Грузинский Вестник» будет выходить ежемесячно книжками от 10 до 15 печатных листов.

Цена за годовое издание, без пересылки и доставки на дом, 10 р. с., с пересылкою 10 р. 50 к. с.»[1]

---

[1] Акты, Собр. Кавк. Археогр. Коммиссией, т. XII, стр. 238.

თავიხ მხრივ კავკასიის კომიტეტის სტატს-სეკრეტარმა ვ. ბუტკოვმა, 1862 წლის 20 მარტს, განათლების მინისტრს გაუგზავნა მიმართვა, რომელშიც წერს: «Г-н исполняющий должность наместника Кавказского сообщает, что князь И л ь я Ч а в ч а в а д з е обратился с просьбою о дозволении ему издавать в Тифлисе новый журнал на грузинском языке под названием: «Грузинский Вестник», и что Кавказский цензурный комитет одобрил представленную князем Чавчавадзе программу этого журнала. Вследствии сего и на основании ст. 16 и 138 уст. О ценз. св. зак. т. XIV. генерал-адьютант князь О р б е л и а н и разрешил издание означеного грузинского журнала, по представленной издателем программе, с тем, чтобы в нем не помещалось никаких политических известий и рассуждений.

Об этом я имею честь уведомить ваше превосходительство, для сведения, препровождая и копию с доставленной князем Орбелиани программы».[2]

ნებართვის მიღების შემდეგ, ჟურნალ „ცისკრის“ 1862 წლის მეათე ნომერში, ილია ჭავჭავაძემ უკვე გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

„მომავალ 1863 წლის იანვრის თვიდან გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. ამ ჟურნალში მთელი წლის განმავლობაში შემოვლენ შემდგომნი ნაწილები:

1. წ მ ი ნ დ ა ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო: ლექსები, მოთხრობები, დრამები, კომედიები, ნამდვილები და ნათარგმნი;

2. ი ს ტ ო რ ი უ ლ ი: საზოგადო ისტორია, განსაკუთრებით ყურადღება მიექცევა საქართველოს და ერთობ კავკასიის ისტორიაზედ;

3. საპოლიტიკო და ს ო ფ ლ ი უ რ ი ე კ ო ნ ო მ ი ა; აქ ვეცდებით გავაცნოთ ჩვენს საზოგადოებას ეს საგნები იმდენად, რამდენადაც დრო და საჭიროება მოითხოვს;

4. კ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა; აქ განირჩევიან უცხო ენებზე დაწერილი თხზულებები და ქართული წიგნები;

5. ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ა მ ბ ა ვ ი;

6. დ ა მ ა ტ ე ბ ა; ამ ნაწილში დაიბეჭდებიან ძველი თხზულებანი, ანუ გამოჩენილნი უცხო ენებიდან თარგმნილი რომანები.

ამ პროგრამას ამჟამად არაფერს ვუმატებთ. რაც შეეხება ჟურნალის ხასიათს და მიმართულებას იმაზედ არაფერს ვიტყვით. ჩვენ ვარჩევთ, რომ თვითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თვითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა. ეს ემჯობინება ყოველ წინასიტყვაობას. ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ. ამისათვის ვიკისრეთ ჟურნალის გამოცემა. სურვილი ჩვე-

[2] ЛОЦИА, фонд К. К. д 69, 1862 г. მოგვყავს პროფ. პ. გუგუშვილის წიგნიდან—„ქართული ჟურნალისტიკა“, 1941, გვ. 303.

ნი გულწრფელია და ჭეშმარიტი, და თუ ღონე შეგვწევს და ცოტათი მაინც აღვასრულეთ ჩვენი სურვილი, ამისაც კმაყოფილი ვიქნებით. ჩვენის მხრით, რასაც კი შევსძლებთ, არას დავზოგავთ, დანარჩენი თვით საზოგადოებაზედ ჰკიდია.

ისტორიული ნაწილის რედაქტორობა იკისრა უფ. ნიკოლოზ ღოღობერიძემ, სხვადასხვა ამბებისა — უფ. დავით ყიფიანმა და საპოლიტიკო და სოფლური ეკონომიისა — უფ. ივანე სერებრიაკოვმა.

ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ თვედათვე გამოვა და სივრცით შვიდ თაბახიდან ათამდე, ანუ 112 გვ. — 160 გვერდამდე; თუ შეგვეძლება ამაზე მეტიც.

ფასი მთელი წლის ნომრებისა შინ გაგზავნით ერთი თუმანი, გაუგზავნელათ ცხრა მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზედ თ. ივანე მუხრანსკის სახლებში № 26“.

პირველ ყოვლისა, თვალში საცემია, რომ, უმაღლეს ინსტანციებში წარდგენილი და მოწონებული პროგრამისაგან განსხვავებით, „ცისკარში“ გამოქვეყნებულ „საქართველოს მოამბის“ პროგრამაში უკვე აღარ იხსენიება იუმორისტული განყოფილება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ცვლილება თვითონ რედაქტორის სურვილით მოხდა. მართლაც, ამ განყოფილების სათანადო დონეზე დაყენება იმ დროისათვის მეტად სარისკო საქმე იყო. საგანგებო ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ საცენზურო კომიტეტმა თავიდანვე და ოფიციალურად მიუთითა რედაქტორს, რომ ჟურნალში არ დაბეჭდილიყო „არავითარი პოლიტიკური ცნობები და მსჯელობანი“.

ნიშანდობლივია, რომ ი. ჭავჭავაძეს საჭიროდ უცვნია თავიდანვე ეცნობებინა მკითხველისათვის, თუ ვინ იქნებოდნენ განყოფილებათა რედაქტორები. ამით მას, ცხადია, იმის ხაზგასმა უნდოდა, რომ ჟურნალი კოლექტიური შრომის ნაყოფი იქნებოდა. ამ გარემოებას მაშინ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა რედაქტორისათვის და საერთოდ — ჟურნალის გამოცემის ორგანიზაციისათვის.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პეტრე უმიკაშვილის შემდეგი სიტყვები: „ილია ჭავჭავაძეს უნდოდა შეეერთებინა რამდენიმე კაცის შრომა ერთად, ისე იმ გვარად, როგორც რუსეთში და ევროპაში შრომობენ ჟურნალ-გაზეთებისათვის. აი, ამისათვის „საქ. მოამბის“ გამოცემის განცხადებაში იყო მოხსენებული, რომ „ისტორიული ნაწილის რედაქტორობა იკისრა უფ. ნიკოლოზ ღოღობერიძემ, სხვადასხვა ამბავისა — უფ. დავით ყიფიანმა და საპოლიტიკო და სოფლიური ეკონომიისა უფ. სერებრიაკოვმაო“. ამ გვარად ჟურნალს გარს მოხვეოდნენ ლიტერატუ-

რის კეთილმოღვაწენი და ერთმანეთის შეწყობით და თანამშრომლობით ლიტერატურა დაეყენებინათ ღირსეულს ხარისხზე".[3]

„საქართველოს მოამბე" უნდა გამოსულიყო როგორც „სალიტერატურო ჟურნალი" (ასეთი რუბრიკითაც გამოდიოდა!), მაგრამ პროგრამიდანვე აშკარა იყო, რომ მისი რედაქტორი ყოველმხრივ შეეცდებოდა ჟურნალის პროფილის გაფართოებას. ამაზე მიანიშნებდა, კერძოდ, ისეთი განყოფილებების შეტანა პროგრამაში, როგორიცაა: „ისტორიული", „პოლიტიკურ-ეკონომიური და სასოფლო-სამეურნეო", „სხვადასხვა ამბავი". როგორც ამაში დავრწმუნდებით, ასეც მოხდა: „საქართველოს მოამბე" იყო არა მხოლოდ „ლიტერატურული ჟურნალი", არამედ „ლიტერატურულ-საზოგადოებრივი" ჟურნალი.

ერთი სიტყვით, იმთავითვე იგრძნობოდა, ერთი მხრივ, დიდი სურვილი ჟურნალის ფართო პროფილით გამოსვლისა, მეორე მხრივ, შესაფერ თანამშრომელთა სიმცირე. ეს უკანასკნელი გარემოება აფიქრებდა რედაქტორსაც, მაგრამ უკან მაინც არ იხევდა. მას, პირველ ყოვლისა, იმედი ჰქონდა საკუთარი თავის, შემდეგ კი — ჯერ კიდევ პეტერბურგში მყოფი თანამოაზრეებისა, რომლებთანაც ის კავშირს ამყარებდა და მოლაპარაკებას აწარმოებდა უშუალოდ და თბილისში მყოფი მეგობრების (ნ. ნიკოლაძე, ი. პოლტორაცკი, ნ. ღოღობერიძე) საშუალებით.

როგორც საიმედო წყაროები მოწმობენ, 1862 წლის ნოემბრის ბოლოსათვის „საქართველოს მოამბეს" უკვე არა ნაკლებ ხუთასი ხელისმომწერი ჰყავდა, რაც ბევრად ჭარბობდა „ცისკრის" ხელისმომწერთა რიცხვს, მაგრამ სტამბას, ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული შრიფტი, რომელიც პიტერში იყო დაკვეთილი. უფრო მეტიც, ამ დროისათვის საკმაოდ მსუბუქი იყო სარედაქციო პორტფელიც. ამიტომ მოულოდნელი არაა, რომ ძალიან ძნელდებოდა „საქართველოს მოამბის" ნომრების დროულად გამოსვლა, თუმცა სერიოზულ დაგვიანებას მაინც არ ჰქონია ადგილი.

რაც მთავარია, ილია ჭავჭავაძემ და მისმა ახალგაზრდა მეგობრებმა შეძლეს არა მარტო „საქართველოს მოამბის" გამოცემისადმი ნიღილისტურად განწყობილი „თეორეტიკოსებისათვის" სათანადო პასუხის გაცემა, არამედ მომავალი ჟურნალისადმი სიმპათური დამოკიდებულების შექმნაც საზოგადოებაში.

„საქართველოს მოამბე" აბეჭდებოდა გაბრიელ მელქუმიანცისა და ამბარცუმ ენფიანჯიანცის სტამბაში, რისთვისაც რედაქცია მათ უხდიდა ათას ექვსას მანეთს. ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა 1863 წლის 7 (19) თებერვალს და მკითხველზე მეტად სასიამოვნო შთაბეჭდი-

[3] პ. უ მ ი კ ა შ ვ ი ლ ი. შეერთებული შრომა. იხ. ჟურნ. „კრებული", 1872, № 8–9, გვ. 272–273.

ლება დასტოვა, როგორც თავისი გაფორმებით, ასევე, და უფრო მეტად, — თავისი შინაარსით. „ტექნიკური გაფორმებით „საქართველოს მოამბე“ წინამორბედ გამოცემებზე შეუდარებლად მაღლა დგას და მომდევნო პერიოდის ქართულ ჟურნალებსაც სჯობს. კორექტორულ შეცდომებსაც, შედარებით, ი შვიათად ვხვდებით და მათი დიდი ნაწილიც გასწორებულია საგანგებოდ ჩართულ ფურცლებზე“.[4]

„საქართველოს მოამბე“ მისი პროგრამით გათვალისწინებული მოცულობით გამოდიოდა, მაგრამ უკანასკნელ ნომრებს დაეტყოთ მასალის სიმცირე და მათი ნაბეჭდ ფორმათა რიცხვიც შემცირდა.

ბევრი იმდროინდელი ჟურნალის მსგავსად, „საქართველოს მოამბის“ ნომრები დაყოფილი იყო ტომებად (თითოეული ტომი მოიცავდა სამ ნომერს) და თავისი სარჩევი ჰქონდა როგორც თითეულ ნომერს, ასევე — ტომს.

„საქართველოს მოამბემ“ სრული ერთი წელი (1963) იარსება გამოვიდა მისი თორმეტი ნომერი და თითქოს ყველასათვის მოულოდნელად დაიხურა. მაგრამ, მიუხედავად მხოლოდ ერთი წლის არსებობისა, საქართველოს მოამბემ თავისი მიმართულების გამოკვეთა და სათქმელის თქმაც მოასწრო; გარკვეულად გამოხატა თავისი დამოკიდებულება ჩვენი იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების არსებითი მნიშვნელობის საკითხთა მიმართ. ამაზე მეტყველებს ნომრების შინაარსზე თვალის გადავლებაც კი.

„საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული მასალა შეიძლება სამ ჯგუფად დავყოთ: ლიტერატურული, პუბლიცისტური, მეცნიერული. ამ დარგების მიხედვით ჟურნალმა მკითხველს მიაწოდა:

1. პ ო ე ზ ი ა: ალ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს „შენი გონების სხივნი“ (№ 4) და „ჭმუნვის მახვილი“ (№ 8), გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს „ლოთური მუხამბაზი“ (№ 2), ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს „შემოღამება მთაწმინდაზედ“ (№ 1), „მაღლი შენს გამჩენს ლამაზო“ (№ 2), გ. ე რ ი ს თ ა ვ ი ს — „თანამეგზაური“ (№ 5); გ ი ო რ გ ი ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს „ჩემი ეპიტაფია“ (№ 12), ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს „ჩემო კალამო...“, „მუშა“ (№ 2) „მას აქეთ რაკი შენდამი ვჰსცენ მე სიყვარული“ (№ 2), „იანიჩარი“, „უსულდგმულო ცხოვრება“, „ციურნი ხმები (№ 3), „მძინარე ქალი“, „პოეტი“ (№ 4), „გუთნის დედა“, „თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“, „ლოცვა“ (№ 6), „ლოცვა აჩრდილისა“ (პოემა „აჩრდილიდან“), „გ. აბხ“... (№ 7), „აჩრდილიდგან“ (№ 8), „სიხარული“, „მტკვრის პირას“ (№ 9), „ერთი მოთხრობის დასაწყისი“ (პოემა „კაკო ყაჩაღიდან“) (№ 10), „ხმა სამარიდამ“ (№ 11); მ. ლ ე რ მ ო ნ ტ ო ვ ი ს „სიზმარი“ (№ 4), ა ნ დ რ ე შ ე ნ ი ე ს „ზღვათა მფლობელის...“ (№ 9) (ორივე ლექსი თარგმნილია ი. ჭავჭავაძის მიერ).

[4] ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, „საქართველოს მოამბე“, 1963, გვ. 28.

2. პროზა: ილია ჭავჭავაძის — „გლახის ნაამბობი“ (№ 1), „კაცია ადამიანი?!“ (№ 4, 5, 6), ივანე ბერიძის — „უცნაური ნიშნობა“ (№ 7, 8, 9), გაბრიელ რატიშვილის — „მცირედი რამ შოთხრობა როსიისა“ (№ 11, 12); მ. ლერმონტოვის — „ჩვენი დროების გმირი“ (№ 10, 11, 12) თარგმანი მიხ. ყიფიანის, ვიქტორ ჰიუგოს — „საბრალონი“ (№ 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12), თარგმანი გიორგი ჩიქოვანისა, უცნობი ავტორის — „ოთხი შეხვედრა“ (№ 3), თარგმანი მიხ. ჩიკვაიძისა.

3. დრამატურგია: გ. ერისთავის პოემა-კომედია „შეშლილი“ (№ 2), სამსონ ბაბაშიძის ვოდევილი „ლოტო“ (№ 11).

4. პუბლიცისტიკა და ლიტერატურული კრიტიკა: ილია ჭავჭავაძის — „საქართველოს მოამბეზედ“ (№ 1), „სხარტულა“ (№ 7); გ. წერეთლის — „ცისკარს რა აკაკანებდა?“ (№ 5); კირ. ლორთქიფანიძის — „ბიძია თონიკეს სტატიის გამო“ (№ 4), „ამაო ამაოთა“ (№ 6), „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა“ (№ 11, 12); მიხეილ ყიფიანის „სვირიდონისა და თადეოზის ბაასი“ (№ 5, 6, 7, 8); დავით ყიფიანის — „სხვადასხვა ამბავი“ (№3, 4, 5); ვახტანგ თულაშვილის — „შინაური მიმოხილვა“ (№ 1); პ. ნაკაშიძის — „სამგზავრო წერილები“ (№ 7); გაბრ. სულხანიშვილის — „შენიშვნა“ (№ 7); დობროლიუბოვის — „მამა ალექსანდრე გავიცი და მისი ქადაგება“ (№ 1); „ბ. ვ„-ს მიერ ნათარგმნი — „სიკვდილით დასჯის ქადაგების საქმე და ამის თაობაზედ ვიქტორ ჰიუგოს წიგნი“ (№ 8). პუბლიცისტიკას უნდა მივაკუთვნოთ, აგრეთვე, სარედაქციო განცხადებებიც.

5. მეცნიერება: სულხან ბარათაშვილის — „საქართველოს ისტორია“ (№ 2, 4, 5, 6, 7); დავით ყიფიანის — „რიგიანი ქართული გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად“ (№ 3); ილია ოქრომჭედლიშვილის — „მოკლე განხილვა სომხური ენის წარმატებისა უკანასკნელს დროს“ (№ 6); პრუდონის — „სიღარიბე როგორც ეკონომიური პრინციპი“ (№ 10); ბასტიას — „მძარცველობის ფიზიოლოგია“ (№ 8) და „ორნაირი სწავლა“ (№ 11); კ. გ. ზალცმანის — „კონრად კიფერი ანუ დარიგება ყმაწვილების კარგად აღზრდისათვის“ (№ 3, 4, 8, 9); კირაკოზ განძაკეცის — „მონღოლების ისტორია“ (№ 8); მაქს. ღაღანიძის (ფსევდონიმია) — „ელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“ (№ 9).

როგორც ვხედავთ „საქართველოს მოამბემ“, ერთი წლის მანძილზე მკითხველს მიაწოდა ძალიან ბევრი და, რაც მთავარია, უაღრესად საინტერესო მხატვრული, პუბლიცისტური და მეცნიერული ნაწარმოები, რომელთა მხატვრულ-შემეცნებით მნიშვნელობაზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

ჟურნალის შინაარსის გაცნობა საშუალებას გვაძლევს; აგრეთვე, სათანადო წარმოდგენა ვიქონიოთ „საქართველოს მოამბის" თანამშრომლებსა და მათ ჟურნალისტურ ინტერესებზე.

როგორც ვხედავთ „საქართველოს მოამბის" ყველაზე მთავარი და ნაყოფიერი ავტორი იყო თვით რედაქტორი, რომელსაც, ზედმეტ-ნაკლებად, მხარში ედგნენ: მიხეილ და დავით ყიფიანები, პ. ნაკაშიძე, ი. ოქრომჭედლიშვილი, ვ. თულაშვილი, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ს. აბაშიძე. და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჟურნალში უხვადაა დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის არა მხოლოდ ორიგინალური თხზულებები, არამედ — მის მიერვე თარგმნილი ბევრი მასალაც, აშკარა გახდება, რომ ჟურნალის მთავარი სიმძიმე აწვა არა მარტო ი. ჭავჭავაძე — რედაქტორს, არამედ ი. ჭავჭავაძე — ავტორსაც.

ასე რომ, ჩვენ არც თუ სავსებით საფუძვლიანად მიგვაჩნია გ. თუმანიშვილის ის შეხედულება, რომლის მიხედვით, «Журнал Чавчавадзе сгруппировал вокруг себя весь цвет грузинской передовой интеллигенции».[5]

სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ისიც თვალში საცემია, რომ „საქართველოს მოამბის" თანამშრომელთა შორის ვერ ვხედავთ აკაკი წერეთელს, რომელიც „ცისკარში" აგრძელებდა თანამშრომლობას. რაც შეეხება ანტ. ფურცელაძეს, იგი როგორც ვიცით, „ცისკრის" ფურცლებიდან აშკარა ბრძოლას აწარმოებდა ი. ჭავჭავაძისა და მისი ჟურნალის წინააღმდეგ. ბევრმაც, სამწუხაროდ, რომელთაც ყველა შესაძლებლობა ჰქონდა აქტიურად ეთანამშრომლათ „საქართველოს მოამბეში", პასიური თანამგრძნობის როლში ყოფნა ამჯობინა.

ილია ჭავჭავაძე — „საქართველოს მოამბის" რედაქტორი მეტად რთულ და მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა. თავისი შთანაფიქრის განხორციელებაში მას გადაულახავ დაბრკოლებას უქმნიდა ოფიციალური ხელისუფლება და მისი ინტერესების დამცველი მკაცრი ცენზურა, რომლის მიზეზითაც მას არ შეეძლო თავისი საკუთარი თხზულებების საერთოდ ან მთლიანად დაბეჭდვა. ამის საილუსტრაციოდ კმარა მისი ბარათი კირილე ლორთქიფანიძისადმი, რომელიც 1863 წლის ბოლოსაა დაწერილი. ცენზურასთან ჭიდილში დაღლილი ილია თავის მეგობარს წერს: „რამდენიმე სურათი ანუ „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან" მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ (საქმე ეხება კრებულ „ჩონგურს", რომელიც კ. ლორთქიფანიძეს პეტერბურგში უნდა გამოეცა — დ. გ.). თუნდა მანდ როგორმე მოახერხო და ნების დართვა აიღო, აქ მთელ წიგნს აგიკრძალავენ, ეს მე ნამდვილად ვიცი. მეც ბევრი ვეცადე აქაურ ცენზურის კომიტეტში, მაგ-

[5] Г. М. Туманов. Характеристики и воспоминания, 1907, кн. III, стр. 182.

რამ ძალიან ამიკრძალეს".[6]

და ეს მაშინ, როცა ცენზურას ოფიციალურად ჰქონდა მიღებული მითითება, რომ არ მორიდებოდა ბატონყმური ინსტიტუტის კრიტიკას. როგორღა უნდა დაბეჭდილიყო „აჩრდილი" და, მით უმეტეს, „მგზავრის წერილები"? ეროვნული თავისუფლების იდეების ქადაგების შესაძლებლობა ხომ მთლიანად გამორიცხული იყო, რაც დღემდე ვერ შეუგნია ზოგიერთ „გულუბრყვილო" ავტორს.[7]

ოფიციალურ ცენზურას მხარში ედგა კიდევ უფრო მეტად საშიში „არაოფიციალური ცენზურა", — კონსერვატორულად განწყობილი ქართველი თავადაზნაურობა, რომლის წარმომადგენლებსაც ისიც კი ვერ მოენელებინათ, რომ „საქართველოს მოამბეს" ეწერა: „გამოიცემის ი. ჭავჭავაძისაგან" და არა — „გამოიცემის თავად ი. ჭავჭავაძისაგან".

ამას დავუმატოთ „ცისკრის" რედაქციის გაუმართლებელი პოზიცია და ტაქტიკაც, რომლის შემდეგ ნათელი გახდება, თუ როგორ პირობებში უხდებოდა გამოსვლა „საქართველოს მოამბეს", რომელსაც სრულიად განსხვავებული მიმართულება და მიზანდასახულება ჰქონდა, ვინემ ყველა ადრინდელ ქართულ ჟურნალსა და გაზეთს.

2. ჟურნალის მიმართულება და დანიშნულება

„ცისკრის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ „საქართველოს მოამბის" პროგრამაში ი. ჭავჭავაძემ საგანგებოდ შეიკავა თავი მომავალი ჟურნალის მიმართულებისა და დანიშნულების დახასიათებისაგან. „ჩვენ ვარჩევთ, — წერდა იგი, — ... თვითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თვითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა". მისი ასეთი პოზიცია კი ყოველმხრივ გამართლებული იყო. იგი მაინც ვერ იტყოდა სრულად და ყველასათვის გასაგებად იმ შთანაფიქრის შესახებ, რომელიც მას — როგორც რედაქტორს ჰქონდა. სანახევროდ თქმას კი უთქმელობა ამჯობინა.

საჭირო ზომიერება და წინდახედულება გამოიჩინა ილ. ჭავჭავაძემ ჟურნალის ეპიგრაფის შერჩევის დროსაც. „საქართველოს მოამბეს" მან ეპიგრაფად წარუმძღვარა „სახარებიდან" მოტანილი სიტყვები: „ხოლო ლელვისაგან ისწავეთ იგავი ესე: რაჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩვიან და გამოვალნ ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლო არს ზაფხული".

ილია ჭავჭავაძეს, ცხადია, შეეძლო უფრო შესატყვისი და უფრო მკაფიო ეპიგრაფი მოენახა თავისი ჟურნალისათვის, მაგრამ იგი თავს იკა-

---

[6] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1961, ტ. X, გვ. 26.
[7] იხ. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1983 წ., № 103, 113.

ვებს სრული ინფორმაციისაგან ჟურნალის ნამდვილ დანიშნულებაზე. ამასთან, ეპიგრაფის შერჩევას „სახარებიდან“ იმ დროისათვის ჰქონდა თავისი გარკვეული მნიშვნელობა, თანაც მასში საკმაოდ გასაგებად იყო მითითებული ახალი დროს მოახლოვებაზე.

ილია ჭავჭავაძემ ამ მიმართულებით კიდევ უფრო მეტი სიფრთხილე და წინდახედულება გამოიჩინა: ჟურნალის პირველი ნომერი გახსნა არა ჟურნალის საპროგრამო წერილით „საქართველოს მოამბეზედ“, და არა ასევე საპროგრამო მისივე ლექსით „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“, არამედ — ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსით „შემოღამება მთაწმიდაზედ“.

რედაქტორის ამგვარი ტაქტი სრულიად არ ვნებდა ჟურნალს, რომლის დანიშნულებაც სავსებით გარკვეულად იყო ჩამოყალიბებული ჟურნალის პირველსავე ნომერში მოთავსებულ მის სტატიაში „საქართველოს მოამბეზედ“ და მისსავე ლექსში „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“.

„საქართველოს მოამბის“ გამოსვლამ ცოტაოდენ დაიგვიანა, რის გამო მის პირველ ნომერში დაბეჭდილია რედაქციის საგანგებო განმარტება („რედაქციისაგან“), რომელშიც ნათქვამია: „უფ. ენფიანჯიანცმა, რომელსაც ჩვენ წერილით შევეკარით, რომ სტამბა უნდა მზათა ჰქონოდა პირველ ნოემბრამდე, ვერ აგვისრულა პირობა. ნოემბრის მაგიერ თორმეტს იანვარს მოუვიდა პეტერბურგიდან ასო და მეორე დღესვე დავიწყეთ ბეჭდვა, ასე ავჩქარდით, რომ შიგა და შიგ კორექტურის შეცდომებიც გამოგვერივა, და „დამატებაც“ თვისაც“ ამ ნომერში თავი უნდა დაგვენებებინა. რაკი პირველმა ნომერშა ასე დაიგვიანა, ცხადია, რომ ამის გამო, დანარჩენი ნომრებიც დაიგვიანებენ. ჩვენ, რასაკვირველია, ვეცდებით, დაკარგული დრო დავიბრუნოთ, რომ რამდენიმე თვის შემდეგ მაინც ჟურნალი თავის დროზე გამოდიოდეს“.

მართლაც, თავისი დაპირების აღსასრულებლად რედაქცია საკმაოდ ბეჯითად იღვწოდა, რის გამო ნომრების საგრძნობი დაგვიანებით გამოსვლას ადგილი არ ჰქონია. რაც მთავარია, ყოველი ნომრის შინაარსი სავსებით შეეფერებოდა ჟურნალის საერთო მიმართულებას და აკმაყოფილებდა მკითხველის გაზრდილ მოთხოვნებსაც.

„საქართველოს მოამბის“ პირველი ნომრის შინაარსი ასეთი იყო:

1. შ ე მ ო ღ ა მ ე ბ ა მ თ ა წ მ ი დ ა ზ ე დ“ (ელეგია) — ნ. ბარათაშვილისა.

2. „ჩ ე მ ო კ ა ლ ა მ ო, ჩ ე მ ო კ ა რ გ ო, რ ა დ გ ვ ი ნ დ ა ტ ა შ ი“ — „XXX“ (ი. ჭავჭავაძის).

3. „მუშა“ — „XXX“ (ი. ჭავჭავაძის).

4. „გ ლ ა ხ ი ს ნ ა ა მ ბ ო ბ ი“ (პირველი ხუთი თავი ჯერ არ დაბოლოვებულ მოთხრობისა), მ. ჯ ი მ შ ე რ ი ძ ე (ი. ჭავჭავაძის).

5. „მამაალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგება“ (დობროლიუბოვის თხზულებიდამ).

6. „საქართველოს მოამბეზედ“ (ი. ჭავჭავაძის).

7. „საქართველოს ისტორია“ (სულხან ბარათაშვილის).

8. სხვადასხვა ამბავი (შინაური მიმოხილვა), ვ. თ.

9. „რედაქციისაგან“.

როგორც ვხედავთ, „საქართველოს მოამბის“ პირველმა ნომერმა გაამართლა მაშინდელი მოლოდინი; იგი უაღრესად საინტერესო და მდიდრული შინაარსისა იყო. თუმცა ისიც აშკარად იგრძნობოდა, რომ ჟურნალის წამყვანი და ძირითადი ავტორი იყო თვით რედაქტორი, რომელსაც არ სურდა ამ გარემოებაზე ყურადღების გამახვილება, რის გამო თავის გვარს არცერთ თავის ნაწარმოებს არ აწერდა (ბეჭდავდა ფსევდონიმებით).

„საქართველოს მოამბის“ შინაარსითა და მიმართულებით დაინტერესებული მკითხველი, ბუნებრივია, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა საპროგრამო სტატიას „საქართველოს მოამბეზედ“, რომელშიც გამოკვეთილად იყო ნათქვამი არა მხოლოდ ამ ჟურნალის დანიშნულებაზე, არამედ — საერთოდ ჟურნალისტიკის მოვალეობაზე. ამის მსგავსი სტატია მანამდე სხვა არ გამოქვეყნებულა. მასში ილია ჭავჭავაძე მოკლედ და ყველასათვის გასაგებად აყალიბებს თავის ლიტერატურულ, სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს. კერძოდ, იგი ეხება ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობას, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების აუცილებლობის საკითხს, ხელოვნებისა და მეცნიერების ურთიერთობასა და მათ დამოკიდებულებას ობიექტურ სინამდვილესთან, ლიტერატურის დანიშნულებას და მის ადგილს საზოგადოების განვითარების პროცესში.

თავისი სტატიით ი. ჭავჭავაძემ წინასწარ მოამზადა ჟურნალის მკითხველი, საიმედოდ შეაიარაღა იგი იმ თეორიული საკითხების ცოდნით, რაც საჭირო იყო ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ სწორ შეხედულებათა შესამუშავებლად. ამიტომ, ვისაც სურს სრული და სწორი წარმოდგენა იქონიოს ი. ჭავჭავაძის როგორც მოაზროვნის შესახებ, მან, მის მხატვრულ ნაწარმოებებთან ერთად, პირველ ყოვლისა, აღნიშნული წერილის მთელი შინაარსი უნდა შეიცნოს. მასში დაჯამებულია ი. ჭავჭავაძის ის შეხედულებანი და იდეები, რომლებიც საფუძვლად უდევს მის მხატვრულ შემოქმედებას. მაგრამ იგი არ წარმოადგენს მათ უბრალო დაჯამებას — ფილოსოფიური შინაარსის საინტერესო დებულებები მასში მოცემულია ლოგიკური მთლიანობით.

თავის წერილს ი. ჭავჭავაძე იმის აღნიშვნით იწყებს, რომ ცხოვრება მუდმივ განვითარებასა და ცვლილებებს განიცდის: „ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს

განახლება ყოველის ფერისა". ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმაზეც, რომ ეს განვითარება და ცვლილებები ცხოვრებაში ცალკეულ ადამიანთა ნება-სურვილზე როდია დამოკიდებული, მას აქვს თავისი ობიექტური კანონები.

ცხოვრების მსვლელობა ი. ჭავჭავაძეს აგონებს მოზარდის ბედს. ცხოვრება „იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება". მაგრამ, ილიას თქმით, ეს „დაჭკნობა" ნიშნავს არა იმას, რომ „მოკვდეს და საუკუნოდ დაიმარხოს... არამედ თავისაგან მოყვანილის ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი... ცხოვრება". რა თანაფარდობაა ძველსა და ახალ ცხოვრებას შორის? ილიას შეხედულებით, „მომდევარი წინადმსვლელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი". იგი ითვალისწინებს იმასაც რომ ამ კანონზომიერი განვითარების გზაზე მოსალოდნელია ზოგჯერ თავი იჩინოს ისეთმა გარემოებამ, „რომელიც მას გზას დაუხლართავს და ზრდას შეაფერხებს, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იქნება: მას, რასაც ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააჭირო და სრესო, მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწასა, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზედ უფრო დაშვენებული და ძლიერი".

ცხოვრება რომ იცვლება, იცვლება, აგრეთვე, „წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია". ამიტომაა, რომ ის, რაც ძველად კაცს შეურყეველ ჭეშმარიტებად ეჩვენებოდა, დღეს შეცდომად მიგვაჩნია და გვიკვირს, როგორ სწამდათ იგი ჭეშმარიტებად. მაგრამ ეს მოხდა არა ჩვენი ნიჭისა და სხვა ღირსების, არამედ ცხოვრების განვითარების წყალობით. „ჩვენ რომ ამ თავ-მოწონებულის გონიერებითაც ვყოფილიყავით, — ამბობს ილია, — და იმდროინდელის კაცის ვითარება და გარემოება გარს შემოგვრტყმოდა, არა მგონია, ავსცდენოდით საზოგადო ცდომილებას, რომელსაც დღეს... დავსცინით".

ერთი სიტყვით, ი. ჭავჭავაძე მტკიცედ დგას იმ შეხედულებაზე, რომ ცნობიერებას ყოფიერება განსაზღვრავს.

ახალი ცხოვრების საწყისები ჯერ კიდევ ძველი ცხოვრების წიაღში იბადება და იზრდება, მაგრამ მისი მიმართულება და ხასიათი გასაგები ხდება შედარებით გვიან. მხოლოდ გენიოსს ძალუძს ამაღლდეს თანადროულ ცხოვრებაზე მაღლა და თავისი შორსმჭვრეტელი გონებით დაგვანახვოს „საგანი ისე, როგორც არის და უნდა იყოს". გენიოსს თვალს ვერ უბნელებს „დროების მტვერი" და გაბედულად იხედება წინ. როგორც ბელადი, იგი წინ მიუძღვის ხალხს და უნათებს გზას თავისი ცოდნით.

ი. ჭავჭავაძეს ღრმად სწამს, რომ გენიოსის გამოჩენა არც შემთხვევით ხდება და არც რაიმე სასწაულმოქმედებასთან არის დაკავშირებული. „ნურავინ ნუ იფიქრებს, — წერს ილია, რომ ჩვენ ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის

დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეს ნაყოფი სრულია, დამწიფებულია. ის თავის ძლიერი მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თვითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგ-მდებარეობასა; მასში არის მთელი აწმყო თავის დროებისა და თესლიც მომავლისა. არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თვითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარებაში".

ამასთან ი. ჭავჭავაძე დიდად აფასებს მოწინავე იდეების, პროგრესული აზრის როლს საზოგადოების განვითარებაში. თუ ცხოვრება ვითარდება, ახალი აზრიც წარმოიშობა, აზრი კი, თუ იგი ჭეშმარიტია, უკვდავია. „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, — აზრისა კი თავის დღეში არა; მის აღმოშობის დროს შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელია". ცხადია, აზრები, შეხედულებები იცვლებიან, მაგრამ ისინი არ იკარგებიან იმ „მარად მყოფ სალაროთა წყალობით, რომელთაც მეცნიერება და ხელოვნება ეწოდებათ".

ი. ჭავჭავაძე უდავოდ გადაჭარბებულად აფასებს მეცნიერებისა და ხელოვნების როლს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნასა და განვითარებაში, მაგრამ მართალი არ არიან ისინი, რომელთა აზრით ილია მთელ იმედს თითქოს მხოლოდ მათზე ამყარებდეს.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ცხოვრების სინამდვილე ორგვარია — ჯანსაღი და არაჯანსაღი, ე. ი. მისაღები და მიუღებელი. თუ ცხოვრება ჯანსაღია, მისი წინ წასვლა და განახლება შეუძლია „ცოდნას", მეცნიერებას, რომელნიც თვით ცხოვრების ნაყოფნი არიან. მაგრამ თუ ცხოვრება „არაჯანმრთელია", მაშინ მის გასაჯანსაღებლად საკმარისი არაა მეცნიერება და ხელოვნება. ამათ მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ მხარში ამოუდგნენ და ძალა შემატონ „ადამიანის გაუთავებელ ნდომას უკეთესობისას".

„ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა" ი. ჭავჭავაძეს მეტად ფართოდ ესმის. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო: ეს იმ მწერლის ნათქვამია, რომელიც „უკეთესობაში", პირველ ყოვლისა, თავისუფლებას გულისხმობს და ისიც იცის, რომ „თავისუფლების მშოვნელი ამქვეყნად მხოლოდ თოფია"; რომელსაც არაერთხელ მოუგონებია თანამემამულეთათვის, რომ „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემი..." (მგზავრის წერილები"). ხოლო თუ რა მიაჩნდა ილიას „მოძრაობად", ეს კარგად ჩანს მისივე ნათქვამიდან: „სიტყვა „რევოლუციამ" არ შეგაშინოს, ჩემო მკითხველო. რევოლუცია იმისათვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს: ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს, დაირიოს და მერე დაიწმინდება ხოლმე".

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, როცა მეცნიერებასა და ხელოვნებას დაემატება „ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა", შეიქმნება „ის ძალა, ის იდუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ

წადეგ! წინ წადეგ!..“ მრავლისმეტყველად დასძენს იქვე ილია: „ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუკარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთესობის ნდომა“.

მუდმივ განვითარებას რომ განიცდის, ცხოვრება ბადებს ახალ-ახალ ნაყოფს, „რომელსაც აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა“; იგი „ძნელად თუ რასმეს ჰქმნის უაზროდ“. „ეს ნაყოფნი“ კი გამომხატველი არიან „ცხოვრების ვითარებისა“. მაგრამ ყველას როდი ძალუძს შეიცნოს და გაერკვეს „ცხოვრების ვითარების აზრსა და მნიშვნელობაში“. მართალია, ხშირად ხალხი გრძნობს მის მნიშვნელობას, მაგრამ მეტწილად — ბუნდოვნად. უფრო სწორად, „გრძნობს იმას და ვერა ჰსცნობს“, და ვერ განარჩევს სხვა მოვლენებისაგან.

მეცნიერება და ხელოვნება, რომლებიც „მუდამ ზედ დასტრიალებდნენ ცხოვრებასა“, მოვალენი არიან გააცნობიერონ ცხოვრებაში მომხდარი „ყოველი ცვლილება“ და გაარკვიონ, „რისთვის არიან იგინი და რანი არიან“. მაგრამ ვერც მეცნიერება და ხელოვნება ახერხებენ ყოველთვის „ცხოვრების მოსავლის ცნობაში მოყვანას“. მართალია, ისინი ბევრ მათგანს ახსნიან და გაგვაგებინებენ, მაგრამ ბევრს კი „ვერ დასდებენ ღირებულ ფასს“, ვერ მიუჩენენ შესაფერ ადგილს.

მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკნი მხოლოდ „ზოგიერთ მასალას ამზადებენ ახალის შენობისათვის“. ისინი შეიცნობენ, რომ დრო იცვლება, ძველმა ცხოვრებამ თავისი ნაყოფი გამოიღო და ახლა „ამ ნაყოფიდამ უნდა გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად“, მაგრამ ყველა მათგანს როდი შესწევს ძალა „გაამაგროს პირველი ქვა ახლის საძირკველში“. ამ მისიას ცხოვრება მხოლოდ გენიოსს ანდობს და, როცა საამისოდ საფუძველი მომზადებულია, გენიოსის გამოჩენაც აღარ იგვიანებს ხოლმე. გენიოსს თვით ცხოვრება ბადებს და აწოვებს თავის მადლიან ძუძუს. გენიოსი იმიტომაა გენიოსი, რომ შეუძლია პასუხი გასცეს ცხოვრების მიერ დასმულ ყველა კითხვაზე, შეიცნოს ჭეშმარიტი მნიშვნელობა ყოველი ფაქტისა. ერთი სიტყვით, ახსნის, გააცნობიერებს იმას, რაც ჩვენ „შორისვე იყო და გვესმოდა“.

მეცნირება და ხელოვნება, „თავის უკეთეს წარმომადგენელთა“ წყალობით, „გენიოსის ახალს აზრზედა, ახსნაზედა დაამყარებენ ხოლმე შემდგომსა გამოკვლევასა და ცნობიერების წინ წაწევასა“.

მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენელთა საშუალებით, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — „ცხოვრებისაგან დაბადებულნი ფაქტები, გენიოსის ჭკვისაგან ახსნილნი და ცნობაში მოყვანილნი, მეცნიერებისაგან მიღებულნი, როგორც კანონნი და ხელთმძღვანელები მომავლისათვის, გადადიან დანარჩენ ხალხშიაც“.

ი. ჭავჭავაძის თქმით, „ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდამ ამოხეთქილი შტო-

ები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისევ ძიწას გადმოჰსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და, როცა მოჰსწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოჰსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ — ცნობიერებაზედ".

ამგვარად, ი. ჭავჭავაძეს სწორად ესმის ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობა. კერძოდ, გათვალისწინებული აქვს ხელოვნების — როგორც ზედნაშენის ფუნქცია, მისი დამოკიდებულება სინამდვილესთან: ხელოვნება — როგორც ზედნაშენი განსაზღვრულია ყოფიერებით, მაგრამ იგი, თავის მხრივ, მოქმედებს ყოფიერებაზე, იგი არ არის ცნობიერების პასიური ფორმა.

მეცნიერება და ხელოვნება, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ემსახურებიან ერთსა და იმავე საქმეს — „აზრის მოძრაობას", გამოთქმითაც ერთსა და იმავეს გამოთქვამენ — „ხალხის აზრსა"; ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განირჩევიან, რომ „სხვადასხვა გზით და სხვადასხვანაირად მოქმედობენ და გამოჰსთქვამენ".

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ცხოვრების განვითარებასა და ხალხის მდგომარეობაში ცვლილებები შეაქვთ მხოლოდ იმ იდეებს, იმ აზრებს, რომლებიც უკვე მიღებული და გაზიარებულია ხალხის მიერ. ხოლო ხალხი მიიღებს მხოლოდ იმას, „რაც ცნობაშია მოყვანილი და დამტკიცებული". „ცნობაში მოყვანა და დამტკიცება" კი მეცნიერებისა და ხელოვნების წყალობით ხდება. მაგრამ მეცნიერებისა და ხელოვნების განკარგულებაში მყოფი საუნჯე ბევრისათვის მიუწვდომელია. მიუწვდომელია არა იმის გამო, რომ „ულირსნი და უღონონი არიან, არამედ ათასი სხვადასხვა ნაირ მიზეზებისა გამო". ამ მიზეზთა შორის ი. ჭავჭავაძე ასახელებს იმას, რომ ხალხის დიდი ნაწილი მოკლებულია სერიოზულ განათლების მიღების შესაძლებლობას. და მაინც, ილიას თქმით, გამოინახა ისეთი საშუალება, რომელიც გახდა „შუამავლად მეცნიერებისა, ერთის მხრით, და ხალხისა და ცხოვრებისა, მეორეს მხრით". ამ ძნელ საქმეს „ასრულებს ყველგან ლიტერატურა".

მაგრამ, ბოლოს, შემჩნეული იქნა ისიც, რომ „ლიტერატურა თუმცა დღე და ღამე მდიდრდება, ივსება... ახალის იდეებითა და აზრებითა, მაგრამ ცხოვრებაში ისე ადვილად არ გადიან იგინი, როგორც საჭიროა". ამის მთავარი მიზეზი კი, ი. ჭავჭავაძის აზრით, ის იყო, რომ „ლიტერატურის ენა დაშორდა ხალხის ენას", რის გამოც ხალხს აღარ შეეძლო გაეგო ის, რასაც კითხულობდა. ხოლო, რასაც „ხალხი ვერ გაიგებდა, მას ცხოვრებაშიც არ შეიტანდა". ამიტომ საჭირო გახდა შექმნილიყო „პოპულარული ლიტერატურა", რომლის მიზანია „გააადვილოს მეცნი-

ერების და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა ყველასათვის". „ამგვარ ლიტერატურას, — ამბობს ილია, — ეკუთვნის ჟურნალიცა, ნამეტნავად ის ჟურნალი, რომელსაც ეძახიან „საზოგადო ჟურნალს" («Общественный журнал»). აი, რა რიგ სამსახურისათვის ვნიშნავთ ჩვენს „საქართველოს მოამბესაც".

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძემ ყველასათვის გასაგებ ენაზე ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებანი ყოფიერებისა და ცნობიერების, ხელოვნებისა და სინამდვილის, მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთობათა შესახებ. ამასთან მან ხაზი გაუსვა ლიტერატურის მაღალ საზოგადოებრივ დანიშნულებას და ჟურნალის როლს ხალხის გათვითცნობიერებაში. ყოველივე ამის საფუძველზე ილია ლოგიკურად მიდის „საქართველოს მოამბის" ამოცანების გარკვევამდე.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ჟურნალ-გაზეთების რიცხვი ამა თუ იმ ქვეყანაში ერთგვარი გამოხატულებაა მეცნიერებისა და ხელოვნების მონაპოვრით ხალხის დაინტერესების დონისა. ჟურნალთა რიცხვი ვერ გამრავლდება იქ, სადაც არ არის აზრთა სხვადასხვაობა და ინტერესთა მრავალფეროვნება, სადაც თვით ცხოვრებას არ მოუმზადებია საამისოდ ნიადაგი. „ყოველი საჭიროება, — შენიშნავს ილია, — ცხოვრებისაგან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ ამ ნამყნობმა იხეიროს და ნაყოფი მოიტანოს".

ამიტომ, ამბობს ი. ჭავჭავაძე, ჟურნალების სიმრავლე არა თუ უნდა ეწყინოს, არამედ სასიხარულო მოვლენად უნდა მიიჩნიოს ყველამ, „ვისაც უანგაროდ უყვარს თავისი ხალხი და იმისი ბედნიერება". „ცისკრის" პოზიციას „საქართველოს მოამბის" გამოსვლასთან დაკავშირებით ი. ჭავჭავაძე ხსნის რედაქციის წინდაუხედაობით და უსაფუძვლო გაბოროტებით.

„საქართველოს მოამბის" დანიშნულების გარკვევისას ი. ჭავჭავაძე აცხადებს: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია".

ი. ჭავჭავაძის თქმით, ჟურნალს არ შეუძლია შეცვალოს ცხოვრების ვითარება და თავისი სურვილისამებრ გარდაქმნას იგი, მაგრამ სასარგებლო და ნამდვილი ჟურნალი ის იქნება, რომელიც სწორად შეიცნობს ცხოვრების მიმართულებას, მის აწმყოსა და მომავალს. „ჩვენ ისე არ გავბრიყვდებით, — ამბობს ილია, — რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვინდომოთ ცხოვრების გატარება. თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესს, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა,—მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზისგახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს" (დაყოფა ჩვენია — დ. გ.).

ცხადია, ი. ჭავჭავაძე იმას არ ვარაუდობს, რომ ჟურნალი უნდა მისჩანჩალებდეს ცხოვრების მოვლენებს, მაგრამ მას ესმის ძალა და ფასი ცხოვრების ობიექტური კანონებისა, რომელთა შეცვლა შეუძლებელია. იგი ჟურნალისაგან მოითხოვს ხმამაღლა ამოიძახოს „ცხოვრების ყრუდ ჩაძახილი". „ამით იმის თქმა არ გვინდა, — შენიშნავს ილია, — რომ ჟურნალი უნდა იყოს უთუოდ დღევანდელი ცხოვრების წრეში მოჯადოებულსავით გაჩერებული, — არა, ყოველ გონიერი ჟურნალის თვალი ხშირად არის მიმართული მომავალისაკენ". აწმყო ცხოვრება არა მარტო იმითაა საინტერესო, რომ მისგან არის განპირობებული ჩვენი ყოველდღიური ყოფა, არამედ უფრო მეტად იმიტომ, რომ მასში არის თესლი მომავლისა. „თუ ჩვენი ჟურნალი [illegible] დღევანდელ ცხოვრების მოქმედება [illegible] ამბობს ილია, — უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხვალისათვისა. რაც შორსა სცემს ჟურნალის თვალი, მით უფრო კარგია..." (დაყოფა ჩვენია — დ. გ.).

ჟურნალის მოვალეობის ამგვარ შეფასებას, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა აქვს ი. ჭავჭავაძის ესთეტიკურ შეხედულებათა გასაგებადაც. ი. ჭავჭავაძე — ჭეშმარიტი წარმომადგენელი კრიტიკული რეალიზმისა — დაინტერესებულია არა მარტო აწმყო ცხოვრების გარკვევითა და ჩვენებით, არამედ მომავალი ცხოვრების ხასიათითაც.

ჟურნალმა, ი. ჭავჭავაძის თქმით, წინ უნდა წაიძღვაროს „მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი". თუ იგი ჩამორჩა მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევებს, მაშინ ვეღარ იქნება თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. „მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა", — დასძენს ილია.

ი. ჭავჭავაძე კონკრეტულად აყალიბებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც იგი მეცნიერებასა და ხელოვნებას უყენებს. „მეცნიერებამ, — წერს ილია, — უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებით ცხოვრების ახსნა და გაგება". „ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, — განაგრძობს იგი, — რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მას მოშხიბლავის კალმით ცხოველად იყოს წარმოდგენილი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენ დავინახოთ... დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგექა ცრემლი მაშივიდესო; დრო ა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგმდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა".

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე აქ განსაზღვრავს რეალისტური ხელოვნებისა და რეალისტი მხატვრის დანიშნულებას, ამასთან მიუთითებს მის

უპირატესობაზე და უარყოფს ხელოვნების რომანტიკულ გაგებას.

თავისი ჟურნალის პირველსავე ნომერში ი. ჭავჭავაძე მკითხველს აფრთხილებს, რომ გადაწყვეტილი აქვს დაუნდობლად ამხილოს „ცხოერების ჭუჭყი“. „ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, — შენიშნავს ილია, — როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ საქვეყნოთ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანასკნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარია“... ილიას თქმით, ბევრნი არიან ისეთები, რომლებიც „ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა...ისინი, უმეცარნი მოყვარენი ჩვენნი, ზედ დაასმენ ხოლმე შეჩვენების...ბეჭედსა მას, ვინც კი ვეღარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომას, ამოჰყოფს თავს, რომ სხვას მაინც უთხრას, ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო“...აქ ჩვენ ადვილად შევიცნობთ „კაცია ადამიანის“.ავტორს, რომელიც სიტყვითა და საქმით იბრძოდა ჭაობად ქცეული ბატონყმური ცხოვრების წინააღმდეგ. მაგრამ, მისი თქმით, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც სწამთ, რომ, „რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო სჩანს გამომთქმელის... ცხარი წადილი გასწორებისა“.

ი.ჭავჭავაძე „საქართველოს მოამბეს“ მიზნად უსახავს შეიტყოს და გაარკვიოს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა, უვარგისი და დრომოჭმული გაკიცხოს, ახალსა და სასარგებლოს გზა გაუხსნას, დაეხმაროს მას, რათა მტკიცედ გაიდგას ფესვები და განვითარდეს. ჟურნალს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ მეცნიერება და ხელოვნება „იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის“; რომ ისინი წინ მიდიან ცხოვრების განვითარების დონის შესატყვისად, მაგრამ, თავის მხრივაც, „წინ მიჰყავთ ცხოვრება“.

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძის სტატია „საქართველოს მოამბეზედ“ უაღრესად საყურადღებო მოვლენა იყო ჩვენი საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში. იგი წარმოადგენდა არა მარტო ამ ჟურნალის, არამედ ქართული კრიტიკული რეალიზმის საბრძოლო პროგრამას საერთოდ. ამდენად, ეს სტატია იყო კრიზისის გზაზე მდგარი რომანტიზმის ესთეტიკური პრინციპებისა და ყოველი ჯურის არქაისტთა და კონსერვატორთა უბადრუკი „თეორიების“ მეცნიერულად დასაბუთებული უარყოფა. ამის შემდეგ „ცისკრის“ პოლემისტებს აღარ შეეძლოთ ძველი მეთოდებით ეწარმოებინათ ბრძოლა ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ, — მათ უკვე იგრძნეს ნამდვილი ძალა და მოშზადება „ბელინსკის ტომებით შეიარაღებული სტუდენტისა“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ი. ჭავჭავაძე კრიტიკულ-პუბლიცისტურ

წერილებში მაშინ გადმოსცემდა ხოლმე თავის ესთეტიკურ შეხედულებებს, როცა მხატვრულ შემოქმედებით პრაქტიკაში უკვე განხორციელებული ჰქონდა შესაბამისი პრინციპები. 1863 წლის დამდეგისათვის, როცა „საქართველოს მოამბე“ გამოვიდა და სტატია „საქართველოს მოამბეზედ“ გამოქვეყნდა, ი. ჭავჭავაძე ავტორი იყო „აჩრდილისა“, „დედა და შვილისა“, „კაკო ყაჩაღისა“, „გლახის ნაამბობისა“, „კაცია ადამიანისა“ და კრიტიკული რეალიზმის პრინციპებით გამსჭვალული ბევრი ლირიკული ლექსისა.

შემთხვევით როდია, რომ „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში საპროგრამო სტატიის („საქართველოს მოამბეზედ“) გვერდით ი. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა ლექსი „ჩემო კალამო“, რომლის ერთი ნაწყვეტი თვით სტატიაშიც გამოიყენა.

„ჩემო კალამო“ თავდადებული და უანგარო პატრიოტი მოღვაწის პოეტური აღსარებაა. მის სტრიქონებში შეიგრძნობა ავტორის მებრძოლი სული და სამშობლოს სიყვარულით ათრთოლებული გულის ძგერა. პოეტი თავის კალამს მიზნად უსახავს არა ტაშის დამსახურებას, არამედ „ბოროტთ საკლავად“ „წმინდა სიტყვის უშიშრად მოფენას ხალხში“, სამშობლოს ერთგულ სამსახურს. ილია წერს:

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა,
და დაე გვძრახონ, — ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი“.

თავის ამ ლექსში პოეტი იმეორებს იმავე შეხედულებას, რაც მან სტატიაში „საქართველოს მოამბეზედ“ გამოთქვა ცხოვრების უარყოფითი მხარეების კრიტიკის აუცილებლობასთან დაკავშირებით. ავტორს სწამს, რომ მას, ცხოვრების პირუთვნელ მსაჯულს, ბევრი თუ მტრულად დაუხვდება, ბევრიც სამართლიანად შეაფასებს:

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!“
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!“

ამგვარად, ჟურნალის პირველსავე ნომერში ი. ჭავჭავაძემ გარკვევით და სრულად წარუდგინა მკითხველს თავისი შეხედულება „საქართველოს მოამბის“ დანიშნულებაზე და, საერთოდ, ჟურნალისტიკას, მწერლობასა და მეცნიერებაზე.

„საქართველოს მოამბის“ დანიშნულებაზე მეტყველებდა მისი პირველი ნომრის შინაარსიც. ის გარემოება, რომ მასში მოთავსებული იყო რედაქტორის კიდევ ორი ისეთი ნაწარმოები, როგორიცაა „მუშა“ „გლახის ნაამბობი“, ნ. ბარათაშვილის — „შემოღამება მთაწმიდაზე“, სულხან ბარათაშვილის — „საქართველოს ისტორია“, ვახტანგ თულაშვილის — საინტერესო შინაური მიმოხილვა („სხვადასხვა ამბა-

ვი") და ნ. ა. დობროლიუბოვის — „მამა ალექსანდრე" გავაცი და მისი ქადაგებანი", აშკარად და საქმით ავლენდა ჟურნალის დანიშნულებას და მიზანდასახულებას. ეს უკანასკნელი კი იმის მაუწყებელი იყო, რომ „საქართველოს მოამბე" ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში იწყებდა ახალ ეპოქას, — ეპოქას რევოლუციურ-დემოკრატიული პრესისას.

როგორც ვიცით „საქართველოს მოამბე" ოფიციალურად იყო „სალიტერატურო ჟურნალი", მაგრამ, ფაქტიურად, იგია ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ტიპის ჟურნალი, რომელმაც თავისი მიმართულების შუქზე წარმოადგინა არა მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა, არამედ — პუბლიცისტიკა და მეცნიერებაც.

3. მხატვრული ლიტერატურა

მხატვრული ლიტერატურა, როგორც თავისი განსაკუთრებული ფორმით, ასევე შინაარსით, დიდ ემოციურ გავლენას ახდენს მკითხველთა ფართო მასებზე. იგი იყო, არის და იქნება განსხვავებული სულიერი საზრდო, რომელსაც მუდამ ინტერესით ელოდება მკითხველი.

ამიტომაც მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდა ყოველთვის სასიამოვნო და უაღრესად საპასუხისმგებლო მოვალეობაა პრესისათვის. რაც მთავარია, მისი მეშვეობით შესაძლებელი ხდებოდა ეზოპეს ენით მაინც ელაპარაკათ მკითხველთან იმ საკითხებსა და იდეებზე, რომელთა შესახებ საუბარს ვერ ახერხებდნენ პუბლიცისტები და მეცნიერები; ცენზურულ არტახებს მხატვრული სიტყვის ოსტატები უფრო ადვილად აღწევდნენ თავს. ეს კი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო, რის გამო მხატვრული ლიტერატურის როლი ჟურნალისტურ მოღვაწეობაში თავისთავად იზრდებოდა. აქედან გამომდინარე ისიც გასაგებია, თუ რატომ დომინანტობს ლიტერატურული ჟურნალები იქ, სადაც სიტყვის თავისუფლება ჯერ კიდევ მიუღწეველია. ამითვე იყო განპირობებული ამგვარ ჟურნალთა სიმრავლე ოქტომბრის რევოლუციამდელ საქართველოშიც.

მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების შერჩევა ეპოქისეული შინაარსისა და ფორმის მიხედვით, მისი დროულად და გამიზნულად მიწოდება მკითხველისათვის ყოველთვის დიდ ეფექტს ახდენდა და სათანადო გაზეთის თუ ჟურნალის რედაქციის ღირსებებზე მეტყველებდა.

„საქართველოს მოამბე" პირველი ქართული პერიოდული ორგანოა, რომელსაც, ამ მხრივაც, პრინციპული პოზიცია ეჭირა და მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების გამოქვეყნებასაც წმინდა ჟურნალისტური მიზნებიდან გამომდინარე უდგებოდა. მართალია, ამის გამო მან შესაფერ ავტორთა რიცხვი ვერ გაზარდა, მაგრამ იდეურად და მხატვრულად

უღირსი მხატვრული ნაწარმოები მაინც არ დაუბეჭდავს. ისიც ნიშანდობლივია, რომ ორიგინალურ, მაგრამ შინაარსითა და ფორმით სუსტ ნაწარმოებთა გამოქვეყნებას ი. ჭავჭავაძე ამჯობინებდა ჟურნალში ადგილი დაეთმო ღირსეული თარგმნილი თხზულებისათვის.

საერთოდ, ი. ჭავჭავაძის ჟურნალისტური მოღვაწეობის შესწავლისა და დახასიათებისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ იგი, პირველ ყოვლისა, მწერალი, — მხატვრული სიტყვის ოსტატი იყო. მან „საქართველოს მოამბის“ გამოცემა იკისრა არა როგორც მორიგი გამოცემის მორიგმა რედაქტორმა, არამედ როგორც მწერალმა და მოღვაწემ, რომელსაც სურდა თავისი იდეების გადმოსაცემად და დასამტკიცებლად ჰქონოდა სათანადო ტრიბუნა. იგი არსებული სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილის წინააღმდეგ მკაცრად განწყობილი მოაზროვნე და მწერალი იყო, რის გამო მასობრივი ბრძოლის იარაღიც ჭირდებოდა. ამგვარი ყველაზე ქმედითი იარაღი კი პერიოდული გამოცემა იყო. ილია ჭავჭავაძემ ისიც კარგად იცოდა, რომ იმდროინდელ ჩვენს სინამდვილეში მოწინავე იდეების ქადაგება ყველაზე მეტად მხატვრული ლიტერატურის წყალობით შეიძლებოდა. ამიტომაც მან, სრულიად ბუნებრივად, შეუთავსა ერთმანეთს სამწერლო და ჟურნალისტური მოღვაწეობა. „საქართველოს მოამბე“ სწორედ ასეთი მოღვაწის რედაქტორობით სულდგმულობდა.

ი. ჭავჭავაძე არ დაელოდა დიპლომის მიღებას და, ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი, საგანგებოდ დაბრუნდა საქართველოში, რათა მაქსიმალურად ესარგებლა იმდროინდელი რევოლუციური სიტუაციით და ფართო მასშტაბის იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა გაეშალა ქართული მწერლობისა და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა და გარდაქმნისათვის. იგი საამისოდ მომზადებული იყო არა მხოლოდ როგორც მწერალი და მოაზროვნე, არამედ — როგორც მომავალი მოღვაწეც ფსიქოლოგიურად. თავისი პირველი სიტყვა ამ მიმართულებით მან ჯერ კიდევ „ცისკრის“ ფურცლებზე სთქვა, მაგრამ იმ რეაქციამ, რომელიც ამ გამოსვლებს მოჰყვა, აშკარა გახადა ისიც, რომ მას საკუთარი ორგანო უნდა ჰქონოდა, და როცა ამასაც მიაღწია, მისთვის უკვე გარკვეული იყო, თუ როგორ უნდა ემოქმედნა.

ილია ჭავჭავაძეს, ამ დროისათვის, სავსებით ჩამოყალიბებული სოციალურ-პოლიტიკური იდეალები და შესაფერი ლიტერატურული მრწამსი ჰქონდა. იგი ძნელი, მაგრამ გადაუდებელი ამოცანების გადაწყვეტის აუცილებლობის წინაშე იდგა: მკაცრი ბრძოლა ქვეყნის სოციალური ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზის — ბატონყმური ინსტიტუტის წინააღმდეგ, თანმიმდევრული და ბეჯითი შრომა ეროვნული თვითშეგნების დასაჩქარებლად და მთელი ერის ვანსაწყობად ეროვნული თავისუფლებისათვის საბრძოლველად. მაგრამ რა გზით და რა საშუალე-

ბებით? ი. ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ ბრძოლის წმინდა ორგანიზაციული ფორმების მოსამარჯვებლად იმდროინდელი ქართველი სასოგადოება მზად არ იყო; საზოგადოებრივ შეგნებაში ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული ეპოქის მოწინავე იდეები და არ იყო ამ იდეებით გატაცებული და შეკავშირებული ადამიანთა ერთობა.

ასეთ ვითარებაში, სრულიად სამართლიანად, ი. ჭავჭავაძე ყველაზე დიდ ნდობას უცხადებდა ღრმა იდეურ ლიტერატურულ და ჟურნალისტურ მოღვაწეობას, რომლისთვისაც პრაქტიკულად ხორცი უნდა შეესხა ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“. ამიტომ იყო, რომ მან ჯერ კიდევ „ცისკრის“ ფურცლებზე დაიწყო მკაცრი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა ქართულ მწერლობაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის, სამწერლო ენის დემოკრატიზაციისათვის და მტკიცე მიმართულების მქონე ჟურნალის დასაარსებლად.

„საქართველოს მოამბის“ შესწავლა თავიდანვე უდავოს ხდის, რომ ჟურნალის წამყვანი თანამშრომელი და მისი მთავარი ავტორი თვით რედაქტორი იყო. ეს გარემოება კი განპირობებული იყო როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზებით: ფართო ფრონტით დაწყებული მკაცრი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა მოითხოვდა წინდახედულ და წინააღმდეგობათაგან განთავისუფლებულ თანმიმდევრულ ქადაგებას მოწინავე იდეებისას. ამ საქმეში კი ი. ჭავჭავაძეს, საქართველოში იმ დროს მყოფ მოღვაწეთაგან, ბევრი ვერავინ გამოადგებოდა; ამ უკანასკნელთა გამოყენებასაც სიფრთხილე და დიდი ობიექტური მიდგომა ესაჭიროებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაწყებულ საქმეს ზიანი უფრო მოელოდა, ვინემ ხელშეწყობა. ი. ჭავჭავაძე — რედაქტორი და ავტორიც სწორედ ამ გარემოებას უწევდა ანგარიშს.

უპირველესი პრობლემები, რომლებიც მხატვრული ლიტერატურის სფეროში უნდა გაერკვია „საქართველოს მოამბეს“, იყო: მწერლისა და მწერლობის დანიშნულება, დამოკიდებულება ქვეყნის სოციალური პრობლემებისადმი და ეროვნული იდეალების ხასიათის რაობა. სამივე ამ მთავარ კითხვაზე ილიამ ამომწურავი პასუხი გასცა და ყველასათვის გასაგები გახადა თავისი შეხედულებები, რომლებიც აშკარად რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსისა იყვნენ. ამასთან შესაფერი ლიტერატურული მასალა მან — როგორც რედაქტორმა მკითხველს მიაწოდა გეგმაზომიერად, მომენტის შესატყვისად და სხვა მასალების შინაარსთა გათვალისწინებით.

მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდას ილია მიზნად უსახავდა კრიტიკული რეალიზმის პრინციპების დამკვიდრებას ჩვენს მწერლობაში და, შესაბამისად, ცხოვრების დღის წესრიგში მდგომ მთავარ კითხვებზე პასუხის გაცემას. „საქართველოს მოამბეს“ უნდა ეზრუნა შესაფერ ნაწარმოებთა შესაქმნელადაც და, ამ მიმართულებით, წმინდა ორგანიზაციული მუშაობისათვის, მაგრამ ამ საკითხის მოგვარება მან ვერ შე-

ძლო ჩვენი მწერლობის მაშინდელი მდგომარეობისა და თავისი ხანმოკლე არსებობის მიზეზით. შექმნილ ვითარებაში ილია ჭავჭავაძემ არჩია ჟურნალს სწორი მიმართულება მიეცა მწერლობისათვის და საერთო გავლენა მოეხდინა მასზე. ამიტომ მთელი სიმძიმე მან დააკისრა თავის ნაწერებს, რომელთა მკითხველისადმი მიწოდებაში მდგომარეობს „საქართველოს მოამბის“ ლიტერატურული განყოფილების მთავარი დამსახურებაც.

„საქართველოს მოამბის“ ყველა ნომერს, გარდა უკანასკნელისა (№ 12), ამშვენებდა ილია ჭავჭავაძის მხატვრული თხზულებები, რომელთა მნიშვნელობა ქართული მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის უაღრესად დიდი და საპროგრამო ხასიათისა იყო. მათი ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით სრული შესწავლა, ცხადია, ლიტერატურის ისტორიკოსთა საქმეა, მაგრამ ჟურნალისტიკის ისტორიკოსსაც აქვს თავისი პოზიცია, ამ ნაწარმოებთა მიმართ, რაც, ძირითადად, იმის გარკვევით შემოიფარგლება, თუ რა შემატეს მათ ქართულ საზოგადოებრივ აზრს და როგორ იმოქმედეს ქართული მწერლობის შემდგომ განვითარებაზე; როგორ და რამდენად პასუხობდნენ ისინი მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების გარკვევის ინტერესებს.

*

„საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული ი. ჭავჭავაძის ლირიკული ლექსების ის ციკლი, რომლითაც მწერალმა მკითხველს გააცნო თავისი შეხედულება მწერლისა და მწერლობის დანიშნულებაზე, დაწერილია 1858—1861 წლებში, მაგრამ ადრე არსად ყოფილა დაბეჭდილი. ამასთან აღნიშნული ლექსები („ლოცვა“ (1858), „ციური ხმები“ (1859), „პოეტი“, „ნიკ. ბარათაშვილზედ“, „უსულდგმულო ცხოვრება“ (1860), „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში“ (1861) მან გამოაქვეყნა არა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, არამედ — ჟურნალის ნომერთა საერთო შინაარსის ინტერესებიდან გამომდინარე* ამიტომაა, რომ მათგან ყველაზე გვიანდელი ლექსი („ჩემო კალამო“...) მოთავსებულია პირველ ნომერში, რომელშიც დაბეჭდილია საპროგრამო წერილი („საქართველოს მოამბეზედ“), რომლის შინაარსს როგორც უკვე ვნახეთ, ავსებს და ამდიდრებს მისი იდეური აზრი.

თავისი შეხედულება მწერლისა და მწერლობის დანიშნულებაზე ილია ჭავჭავაძეს, ჩანს, ჩამოყალიბებული ჰქონდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე და თავის ადრეულ ლირიკულ ლექსებშივე გადმოსცა.

---

* ამის გამო, სამწუხაროდ, ზოგიერთ მათგანზე კვლავ გვიხდება მსჯელობა, თუმცა პირველ თავში მათ შესახებ გვქონდა საუბარი. სხვაგვარად ჟურნალის მნიშვნელობას, ალბათ, ვერ წარმოვაჩენთ.

პირველი, რასაც იგი — როგორც შემოქმედი — ითხოვდა იყო არა სიმდიდრე და არა დიდება, — ეს მას თავისი წმინდა ლოცვის შეურაცხყოფადაც კი მიაჩნდა, — არამედ სულის გაწმენდა და სულიერი ამაღლება, რათა აღჭურვილიყო მოთმინების დიდი უნარით. დიახ, მწერლის ერთ-ერთ უპირველეს თვისებად იგი იმთავითვე მიიჩნევდა სულიერ სისპეტაკესა და მოთმინების უნარს, რომელიც, ცხადია, სრულიადაც არ გულისხმობდა მონურ მორჩილებას.

თავისი ეს სურვილი ასე აქვს გადმოცემული პოეტს:

„მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა!
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგევარ შენ — წინა;
არცა სიმდიდრის, არცა დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხვჰყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მსურს მე განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი
მკრან,
გთხოვდე: „შეუნდე, — არ იციან, ღმერთო, რას იქმან;

/„ლოცვა", 17 ივლისი, 1858 წ. ტიარლევო/

ასეთი მაღალი ჰუმანიზმითა და ამგვარი წინასწარმეტყველური გრძნობით იყო გამთბარი პოეტის ერთ-ერთი ადრინდელი ლექსი, რომელიც პირველად „საქართველოს მოამბის" მეექვსე ნომერში გამოქვეყნდა.

მის ასეთ წმინდა ლოცვასაც თითქოს თავისი შედეგი მოჰქონდა, — ჩამოესმოდა საკვირველი ციური ხმები, რომლებიც სიხარულს უგალობდნენ და ისიც მიწიერის ცოდვილის ხმით უმღეროდა მათ:

„მეც ქვეყნის ხმითა,
ხმით ცოდვილითა,
მათ ვაძლევ ბანსაც
და მშვიდობასა,
აღტაცებასა,
ჰგრძნობს ჩემი გული,
და შევჭვრეტ ცასა
განცვიფრებული.
ციურო ხმებო,
ოჰ, საკვირველებო!"

(„ციური ხმები", 27 მარტი 1859 წ. პეტერბურგი).

ამგვარი განწყობილებისა და შეხედულების პოეტს შეუძლებელია განსაკუთრებული ემოციონალობით არ აღექვა უბადლო ქართველი ლირიკოსის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია, რომელსაც, სრული სახით, სწორედ მაშინ გაეცნო. ამ უშუალო შთაბეჭდილებითაა შთაგონებული

ილიას „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“ (1860 წ.), რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს თვით უდროოდ დაღუპული გენიოსი შემოქმედის სიტყვები: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება, და გზა უგალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

ახალგაზრდა პოეტი, პირველ ყოვლისა, თავის გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ „ულმრთო იყო“ ნ. ბარათაშვილის სიკვდილი, რადგან ბევრი საუნჯე თანა წაიღო, მისი „სიყვარულის სხივ-ქვეშ გაშლილი“ ზღვა გული ჯერ უთქმელი დიდი გრძნობით ჩაესვენა, რის გამო საუკუნოდ დაიკარგა დიდი პოეტის ღრმა ფიქრები. ამიტომაც მისმა სიკვდილმა დააობლა თვით ერი, რომელიც თავისი ნიჭიერი შვილისაგან ელოდა ბევრი რამის თხრობას:

„არა დედ-მამა, — მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!..
ვინღა მოგვითხრას ჩვენი ურვა, ჭირი და ლხენა?
ვაი ჩვენ, თვარემ შენ მით მაინც ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თით მკვდრეთითაც აღგაღგენს შენა“.

ჭეშმარიტი პოეტი, თავისი ხალხის სულისა და ფიქრთა გამომხატველი, ყოველთვის ერს უკვდება, თუმცა იგი მაინც უკვდავი რჩება საკუთარი პოეზიით, — ასეთია ილიას შეხედულება პოეტზე, მის მომადლებულ პოეტურ ნიჭსა და მარადიულ სიცოცხლეზე.

ამავე წელს (1860 წ.) დაწერა ილიამ ლექსი „პოეტი“, რომელშიც სრულად და გარკვევით ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება პოეტსა და მის დანიშნულებაზე ერის ცხოვრებაში. ამგვარი თემა ყოველთვის საგანგებო ყურადღებას იმსახურებდა გამოჩენილი პოეტების შემოქმედებით პრაქტიკაში და არა ერთ მათგანს გამოუთქვამს თავისი აზრი ამ კითხვაზე, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ილიამ მის გაშუქებაში გამოავლინა ორიგინალური მიდგომა და, რაც მთავარია, საგანგებოდ გახაზა პოეტის ბუნებით მომადლებული ნიჭის თავისებურება და მისი ღირსეული გამოყენების მნიშვნელობა ერის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

ილიას შეხედულებით, პოეტი ხალხის რჩეული შვილია, რომელშიც შერწყმულია ზეციური ნიჭი და ერის მოძმისა და წინამძღოლის მაღალი თვისებები. ამიტომ იგი თავისი ხალხის ბედითა და უბედობით უნდა ცხოვრობდეს, მისი ჭმუნვისა და სიხარულის უშუალო მოწმე უნდა იყოს, წინ უნდა მიუძღოდეს ერს. მაგრამ ეს ლექსი თითონ უფრო მეტს ეუბნება მკითხველს, რის გამო ჯობს სრულად გავეცნოთ მას:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არა მარტო ტკბილ ხმებისთვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის
მიწიერი ზეციერსა;
ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარუძღვე წინა ერსა.

დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...

მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა!"

„საქართველოს მოამბის" მეოთხე ნომერში ამ ლექსის გამოქვეყნებას, ცხადია, დიდი და მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ყველასათვის გასაგებად ამჟღავნებდა ავტორის პოეტურ იდეალებს: მის უპირველეს სურვილს — „რომ ერისა მოძმე იყოს ჭმუნვასა და სიხარულში"; პოეზიის სამსახური „არა მარტო ტკბილ ხმებისთვის", არამედ — უმთავრესად იმიტომ, „რომ წარუძღვეს წინა ერსა".

„პოეტის" შექმნამდე ილია სრულიად ლოგიკურად და ბუნებრივად მივიდა, იგი მისი სულიერი აღსარებაა, რომლის ჩამოყალიბებისას, რა თქმა უნდა, პასუხს სცემს სხვების მიერ გამოთქმულ შეხედულებებსაც.

საგულისხმოა, რომ „პოეტი" ავტორს მიუძღვნია ნიკო ღოღობერიძისათვის. ასეთი მიძღვნა კი ეპიგრაფის ერთ-ერთი სახეა, რომელსაც პოეტები იყენებენ როგორც მაშინ, როცა სურთ ხაზი გაუსვან ამა თუ იმ პირთან სულიერ და ინტელექტუალურ სიახლოვეს, ასევე — საწინააღმდეგო შემთხვევაშიც. სწორედ ამგვარ ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე ამ შემთხვევაშიც. ისევე, როგორც მაშინ, როცა ილიამ თავისი ცნობილი სტატია „პასუხი" უძღვნა ალექსანდრე ორბელიანს. როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ღოღობერიძეს საკმაოდ განსხვავებული შეხედულებები ჰქონდათ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. ეს გარემოება კარგად ჩანს ნ. ნიკოლაძის მოგონებიდანაც („სტუდენტობის პირველი დრო"), რომელშიც ვკითხულობთ: ერთხელ ნ. ღოღობერიძე „მოვიდა ჩვენსა და „სოვრემენნიკის" კითხვაზე წამესწრო. ისე გატაცებული ვიყავი ამ კითხვით, რომ მისი შემოსვლა ვერც კი შევნიშნე... დაათვალიერა ყველაფერი, ნახა, რომ მე... „დროს ვკარგავდი", შემობრუნ-

და ჩემს ოთახში, წიგნი გამომართვა და ტკბილათ დარიგება დამიწყო:

— „შენ ამოებში დროს ნუ კარგავ, საქმე გააკეთე, უროკები ისწავლე". — ერთობ უგრძნობი კაცი იყო ეს ჩვენი ნიკო, ერთობ წვრილმანი მიზნის მდევარი, მაგრამ ეს მისი წვრილმანობა შეადგენდა მთელ მის ძალას. თავის დღეში არ დაკარგვია იმას მხედველობიდან მისი მიზანი, და მთელი მისი მეცადინეობა, მთელი მისი ჭკუა და გონება იმაში იხარჯებოდა, რომ ამ მიზნისათვის მიეღწია, მიზანი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ყველანი დაეკმაყოფილებინა, ყველანი მოემადლიერებინა, ავიც და კარგიც, მტერიც და მეგობარიც... ჩვენ სუსტნი ვართ, ამბობდა, წელი უნდა გავიმაგროთ, და მარტო მაშინ შეგვეძლება ვიფიქროთ ხალხის ან მამულის სიკეთეზეო. ეს პროგრამა ერთობ მოხერხებულია ყველასათვის, ვისაც — შჩედრინის ქალწულივით — კაპიტალის შეძენაც სურს და უმანკოების დაცვაც".[8]

არსებითი მაინც ისაა, რომ „პოეტის" გამოქვეყნებით ჟურნალმა „საქართველოს მოამბემ" მკითხველს გააცნო მისი ავტორის უაღრესად საინტერესო შეხედულება პოეტსა და მის დანიშნულებაზე ერის ცხოვრებაში. მისი საშუალებით მკითხველი ჩაწვდა ილიას პოეტურ კრედოს, რომლის მსგავსი მანამდე არავის უქადაგნია.

„პოეტზე" ადრე „საქართველოს მოამბის" მესამე ნომერში, ილიამ გამოაქვეყნა 1860 წელსვე დაწერილი თავისი ლექსი „უსულდგმულო ცხოვრება", რომელსაც უშუალო შეხების წერტილები აქვს „პოეტთან" და მასში გამოთქმულ გარკვეულ შეხედულებას აკონკრეტებს.

პოეტური ნიჭი, ილიას თქმით იგივე „ცის ნიჭი", განსაკუთრებული რამ არის, რომლის ჭეშმარიტ ნაყოფს სიკვდილი არ უწერია; პოეტი მაშინ არის ბედნიერი, როცა კარგი საქმით „აღნიშნავს თავის დროს" და, ამით, სიცოცხლეშივე ეწაფება უკვდავების წყაროს. სულ სხვაა ის უსულდგმულო ცხოვრება, რომელსაც მალე ეღება ბოლო.

„უსულდგმულო ცხოვრება
ცის ნიჭად ნუ გგონია,
იგი მიწის ყოფილა —
რასაც ბოლო ჰქონია!
ცხოვრებას აცისკროვნებს
სული, საქმით მეტყველი,
და ის უბოლო არის
ვით სულის შთამბერველი.
ნეტა ვინც კარგის საქმით
აღნიშნავს თავის დროსა!
ის აქვე ეწაფება
უკვდავების წყაროსა!.."

კარგი საქმით თავისი დროის აღნიშვნაზე ყურადღების გამახვილებით ილია თავის პოეტურ დანიშნულებასაც გახაზავს და საერთო მოწოდებადაც ხდის მას. ამაშია ამ ლექსის დიდი მნიშვნელობაც!

ამგვარად, „საქართველოს მოამბის" ფურცლებზე დაბეჭდილი საკუთარი ლექსების ციკლით ილია ჭავჭავაძემ გარკვევით ჩამოაყალიბა თა-

[8] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1931, გვ. 67, 80.

ვისი შეხედულება პოეტზე და მის ჭეშმარიტ დანიშნულებაზე, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი მწერლობის შემდგომი განვითარებისა და მისი სწორი მიმართულებისათვის.

კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლა უკვე თავის გამარჯვებას ხეიბობდა, რაზეც აშკარად მეტყველებდა ილიას ის თხზულებებიც, რომლებიც „საქართველოს მოამბის" ფურცლებზევე გამოქვეყნდნენ და წარმოადგენდნენ ახალ სიტყვას ჩვენი ხალხის წინაშე მდგომი სოციალური და ეროვნული ხასიათის კითხვებზე.

გასული საუკუნის სამოციანი წლების მნიშვნელობას ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და, შესატყვისად, საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში ზრდის ცნობილი საგლეხო რეფორმა, რომელსაც თავისი მოსამზადებელი წინა პერიოდი ჰქონდა. სწორედ ამ დროს გაძლიერდა ანტიბატონყმური განწყობილება მოწინავე მოაზროვნეთა ნაარზევში, რამაც საერთო სახალხო ყურადღება მიიპყრო. დრომოჭმული ბატონყმური ინსტიტუტის მოსპობის აუცილებლობა თანდათან აშკარა ხდებოდა და მის დაცვას უკვე ოფიციალური ხელისუფლებაც აღარ თვლიდა გამართლებულად, ვინაიდან ურთიერთობა ყმასა და მებატონეს შორის უაღრესად დაიძაბა, რაც საერთო აჯანყების მაუწყებელი იყო. მაგრამ მემამულეთა დიდი უმეტესობა იმედს მაინც არ კარგავდა და ყველა ღონისძიებით ცდილობდა თავისი ძალაუფლების შენარჩუნებას. ამ მხრივ თავი გამოიჩინეს ქართველმა მემამულეებმაც, რომლებიც შეეცადნენ „დაემტკიცებინათ", რომ საქართველოში ბატონყმობა არ ყოფილა და, ამიტომ, საგლეხო რეფორმაც მათ არ უნდა შეხებოდათ. მაგრამ მოწინავე საზოგადოებრივი აზრი აშკარას ხდიდა ამგვარი „თეორიების" უსუსურობას. ამ მიმართულებით კი ყველაზე გაბედულ სიტყვას ამბობდა ჩვენი მწერლობა, რომელმაც აშკარა გახადა ბოროტება და დრომოჭმულობა ბატონყმური ურთიერთობისა საქართველოში.

ჯერ კიდევ „ცისკრის" ფურცლებზე გამოქვეყნებულმა დ. ჭონქაძის „სურამის ციხემ" და ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილმა" მთელი სიცხადით აჩვენეს ბატონყმური ინსტიტუტის მოსპობის აუცილებლობა. მათ გამოქვეყნებამდე კიდევ უფრო ადრე ილია ჭავჭავაძე — მწერალი გატაცებული ყოფილა ამ პრობლემით და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა ბატონყმური ურთიერთობის დასაგმობად და გასაკიცხად. ამაზე მეტყველებს მისი ადრეული მოთხრობები („კოლა", „კაკო"), რომლებითაც ავტორს სურდა განევითარებინა ის აზრი და შეხედულებები, რომლებიც შემდეგ თავისი ტრილოგიით („გლახის ნაამბობი", „კაცია—ადამიანი?!", „კაკო ყაჩაღი") გახადა ცნობილი

ფართო მკითხველისათვის. ამასვე ადასტურებს მისი ლექსი „გუთნის დედა“, რომელიც დაწერილია 1858 წელს.

ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ გამოვიდა მაშინ, როცა საქართველოში ცხარე კამათი წარმოებდა ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობაზე. ამიტომ მას თავისი გარკვეული და გაბედული სიტყვა უნდა ეთქვა ამ საკითხთან დაკავშირებით; მით უმეტეს, რომ ბატონყმური ინსტიტუტის კრიტიკა უკვე ნებადართული იყო თვით ცენზურის მიერ, თუმცა მის აღსრულებას, საქართველოს სინამდვილეში, მაინც დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა.

„საქართველოს მოამბეს“, მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა, არა თუ გვერდი არ აუვლია არსებითი მნიშვნელობისა და მტკივნეული მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პრობლემებისათვის, არამედ გაბედულად გამოთქვამდა თავის აზრს ყველა მათგანის შესახებ, კერძოდ ბატონყმური ინსტიტუტის მოსპობის აუცილებლობაზე.

შემთხვევითი არ ყოფილა, რომ „საქართველოს მოამბის“ პირველსავე ნომერში ილია ჭავჭავაძემ მოათავსა თავისი „გლახის ნაამბობი“ (პირველი ექვსი თავი) და ლექსი „მუშა“. ამით მან გასაგები გახადა, რომ იგი არა მარტო მსჯელობდა ჟურნალის დანიშნულებასა („საქართველოს მოამბეზედ“) და პოეტის მოვალეობაზე („ჩემო კალამო“...), არამედ საქმით პასუხობდა აღძრულ კითხვებს.

„გლახის ნაამბობი“ მებატონეთა ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ი გ ა დ ა გ ვ ა რ ე ბ ი ს ამსახველი მხატვრული ტილოა, რომელიც მკაცრ აღშფოთებას იწვევს მკითხველში ბატონყმური ინსტიტუტის წინააღმდეგ. მაგრამ იგი, სრული სახით, არ გამოქვეყნებულა, რის გამო მთელი მისი იდეური აზრი, ცხადია, შეუცნობელი რჩებოდა მკითხველისათვის. მიუხედავად ამისა, მოთხრობის დაბეჭდილი ნაწილიც, როგორც შინაარსით, ასევე ფორმითაც, ახალი მოვლენა იყო ქართული პროზის ისტორიაში. მასში დიდი ოსტატის ნიჭით იყო მიღწეული შინაარსისა და მხატვრული ფორმის ერთიანობა.

„გლახის ნაამბობის“ პირველი ექვსი თავის სახით „საქართველოს მოამბის“ მკითხველმა გაიცნო დიდი ჰუმანისტი მწერლის შეხედულებები ადამიანსა და ადამიანობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, თანაგრძნობასა და გულგრილობაზე, იმდროინდელი ცხოვრების უკუღმართობასა და არსებული სინამდვილის დასახიჩრებულ ხასიათზე, გაუტანლობასა და დაუნდობლობაზე...

მართლაც, რა უნდა ყოფილიყო ის ცხოვრება, რომელიც გაბრიელის მსგავს ადამიანებს სიცოცხლეშივე მატლებს ასევდა, მშობლიურ კუთხეს ატოვებინებდა და განუკითხავს ხდიდა?

დიახ, „გლახის ნაამბობი“ ღრმად აფიქრებდა მკითხველს თავის ცხოვრებასა და მოქმედებაზე, ადამიანური ღირსების დავიწყებასა და

შეუფერებელ ქმედობაზე. მოთხრობის დასაწყისშივე მწერალი არ მალავს თავის იმ დიდ უკმაყოფილებას, რომელსაც მასში იწვევდა ადამიანის შეუბრალებლობა და გულგრილობა. ამ უკანასკნელს თითქოსდა ცხოველებიც კი გრძნობდნენ, მაგრამ კაცი მაინც თავისას განაგრძობდა.

შეუძლებელია მკითხველი ღრმად არ დაეფიქრებინა მონადირის ტყვიით განგმირული მომაკვდავი ნადირის თვალებში მწერლის მიერ ამოკითხულ სიტყვებს: „ჩემო მკვლელო! ქვეყანა ღვთისა დიდია და ფართო... რად შეგშურდა, რომ მეც, უბოროტოს და მშვიდსა, ამ ღვთის მიუწვდომელ ქვეყანაში ერთი მტკაველი ალაგი მეჭირა?“ მით უმეტეს, რომ ამ სიტყვებს თვითონ მწერალი უმატებს: „ჩვენ თითონ სულიერთა მეუფენი, ჩვენ თითონ ქმნილებათა გვირგვინნი, ჩვენ თითონ ღვთის სახისანი ერთი-ერთმანეთს არ ვუთმობთ იმ ადგილსა“...

და ეს არ იყო შემთხვევით ნათქვამი. აკი გაბრიელიც იმას უჩივის, რომ „ბატონის კაცის შვილი მამისა კი არ არის, ბატონისაა“, „ჩემი გული პირველად ბატონის სახლში გათბა და ამ სითბომჟე ბოლო მომიღო“...

დიახ, „გლახის ნაამბობის“ გამოქვეყნებულ ნაწილში ჯერ კიდევ არ არის გახსნილი მოთხრობის კვანძი, ნაჩვენები არაა ის უფსკრული, რომელიც ბატონსა და ყმას შორის არსებობდა, ის ყოვლად არაადამიანური საქციელი, რომელსაც დათიკოს თავისი შეუზღუდველი უფლებები ჩაადენინებს, მაგრამ ის მაინც აშკარაა, რომ უპატრონოდ და განუკითხავად მიტოვებული გაბრიელი, რომელსაც მატლებიც კი დასევია, მებატონის სახლში მიღებული „სითბოს“ წყალობით გაუბედურებულა.

განა ცოტა რაიმეზე მეტყველებს „გლახის ნაამბობის“ ის პასაჟებიც, სადაც მკითხველი წაიკითხავდა: „კაცი ის არის, ჩემო ძმაო, რომელიც თავის გონების ნამუშევარს, გულის სიკეთეს, ხიდად გასდებს, რომ, თუ არ თითონ, სხვამ მაინც მშვიდობით გაიაროს“; „გონების თვალს არ უნდა მოერიოს ცრემლი. საქმის დანახვა სჯობს ცრემლით თვალის აბმასა“; „სიცოცხლე ჩვენი, ჩემო ძმაო, არც დედისაა, არც მამისა, ქვეყნისა არის. ჯერ ქვეყანა, მერე დედა და მამა. შე რომ ამოდის, ვარსკვლავები მაშინ არა სჩანან“...

„გლახის ნაამბობის“ მკითხველი ყურადღებით უნდა გაცნობოდა მისი ავტორის იმ შეხედულებებსაც, რომლებიც მას მღვდლის პირით აქვს წარმოთქმული „ვეფხისტყაოსნის“ და მისი ავტორის ეპოქის შესახებ. ეს მით უფრო საინტერესო იყო, რომ ყოველივე ეს კარგად არის მომარჯვებული არსებული სინამდვილის დასაგმობად და გასაკიცხად; ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ქართველები მწერლობის თუ ცხოვრების დონით წინ კი არ წავსულვართ, არამედ ბევრად ჩამოვრჩებით მას, რაზეც ადრე ვიყავით.

„ — აი, ძმაო, ეს წიგნი („ვეფხისტყაოსანი“ — დ. გ.) არის ქართველების გულის საუნჯე. რაც კი რამ გვაქვს ჩვენს ენაზედ, ამას ჯერ არა სჯობია - რა. თამარ მეფე ხომ გაგიგონია?

— როგორ არა, ღვთისნიერი რამა ყოფილა.

— ღვთისნიერიო!... რას ამბობ? თუ წელში გამართულა როდესმე ჩვენი ქვეყანა — ეგ იმის მეფობის დროს გაიმართა; მზეს თუ როდისმე საქართველო გაუნათებია და გაუთბია — იმის დროს ყოფილა; სიტყვას თუ ძალა გამოუჩენია, გულსა — სიმტკიცე, მკლავსა სიმაგრე — ეგ დალოცვილის მეფის თამარის მეფობის დროს მომხდარა! ის დედა იყო, ჩვენ შვილები... დრო ყოფილა, ჩემო ძმაო, ქართველობით თავი მოგვწონებია“...

მეტად დამაფიქრებელი სიტყვებია! „დრო ყოფილა... ქართველობით თავი მოგვწონებია“ ხომ იმის თქმას უდრიდა, რომ ახლა ქართველობით თავს ვერავინ მოვიწონებთო. ეს კი ბევრი რამის მთქმელი ფრაზა იყო, რომელსაც დიდი სატირულ-დატვირთვა ჰქონდა. ისიც ნიშანდობლივია, რომ „გლახის ნაამბობის“ ავტორი თამარის ეპოქის იდეალიზაციით კი არ არის დაინტერესებული, არამედ იმაზე მინიშნება აქვს მიზნად, რომ ქართველებს შეუძლიათ უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა, თუკი ამისათვის ისინი გაერთიანდებიან და თავიანთ შესაძლებლობას მაქსიმალურად გამოიყენებენ.

„ვეფხისტყაოსნის“ სიდიდის საჩვენებლადაც ი. ჭავჭავაძე ოსტატურად ესესხება მის ცალკეულ ადგილებს, რომელთაც იმდროინდელი ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ აზრით მეტად საყურადღებო იყო შემდეგი სიტყვების დამოწმება:

— „უნდა კაცი კაცისათვის სიცოცხლისა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“;

— „რასაცა გასცემ შენია, რას არა — დაკარგულია“;

— „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

უდავოა, რომ „საქართველოს მოამბის“ მკითხველმა „გლახის ნაამბობის“ სახით, გაიცნო სოციალური უთანასწორობის დამგმობი და მაღალი ადამიანური ჰუმანიზმით გამთბარი ნაწარმოები, რომლის მსგავსი მას ადრე ქართულ ენაზე არ წაეკითხა.

„გლახის ნაამბობის“ გაგრძელება, მართალია, „საქართველოს მოამბეში“ აღარ დაბეჭდილა, მაგრამ მისმა მკითხველმა სრულად მიიღო და გაიცნო იმავე ავტორის პროზაული შედევრი — „კაცია ადამიანი!?“, რომელიც ჟურნალის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ნომრებში გამოქვეყნდა.

„კაცია ადამიანის“ გამოქვეყნებით კი „საქართველოს მოამბემ“ მკაცრად დაგმო ბატონყმობა საერთოდ, და, კერძოდ საქართველოს სინამდვილეში. ეს ის მაღალმხატვრული პროზაული თხზულებაა, რომლის გაცნობის შემდეგ შეუძლებელია კიდევ საეჭვოდ მიიჩნიოს ვინმემ ფეო-

დალური ყოფის და მისი დასაყრდენი სოციალური ინსტიტუტის — ბატონყმობის მოსპობისა და შეცვლის აუცილებლობა.

„კაცია ადამიანის“ ავტორმა შესაშური მხატვრული ოსტატობითა და სავსებით გარკვეული და გასაგები იდეური კონცეფციის შუქზე აჩვენა, რომ იმ სინამდვილემ, იმ ფორმაციამ და იმ სოციალურმა ინსტიტუტმა, რომელთაც წარმომადგენლებად ჰყავთ ლუარსაბ და დარეჯან თათქარიძეები, დიდი ხანია დრო მოჭამა და ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობის მუხრუჭად იქცა; ცხოვრების ძველმა წესმა დაამონა და დააკნინა არა მხოლოდ ჩაგრულთა ფენები, არამედ გონებრივად დააჩლუნგა და ადამიანური სახე დააკარგვინა თვით გაბატონებულ წოდებასაც; ფეოდალური ყოფა, ბატონყმური სინამდვილე იქცა აშმორებულ გუბედ, რომელიც სუნთქვის საშუალებასაც აღარ აძლევდა ადამიანს.

„კაცია ადამიანი!?“ მკითხველს ღრმად არწმუნებდა არსებული სოციალური სინამდვილის შეცვლისა და გარდაქმნის აუცილებლობაში; ეჭვს აღარ ტოვებდა ბატონყმობის მოსპობის გარდუვალობაში. ამასთან, მასში, სუსტად, მაგრამ მაინც მინიშნებულია იმაზეც, თუ საით მიდის ცხოვრება და ვინ შეცვლის ბედოვლათ მებატონეებს; იგრძნობა ფულის მქონებელთა ყოვლისშემძლე ძალა და მათი მომავალი მოქმედების პერსპექტივებიც. დიახ, სწორედ ფულის წყალობით მოხერხდა დავითს „გაყიდა“ თავისი ღვიძლი ძმა ლუარსაბი. მაგრამ ისიც უდავოა, რომ ილია ჭავჭავაძის მხატვრული ხედვა მიმართულია, ძირითადად, იმ სამყაროსაკენ, რომელიც სტოვებს ცხოვრების სარბიელს და ისტორიის საკუთრება ხდება. რაც შეეხება იმ ცხოვრებას და იმ ადამიანებს, რომლებიც ძველის ადგილზე უნდა დამკვიდრდნენ და ახლებურად გააგრძელონ თავიანთი მისია, მწერალი ან საერთოდ არ გვაცნობს მათ, ანდა მეტად ირიბი მინიშნებით გვახედებს მათზე.

მეურნეობის წარმოების პრიმიტული წესები და ფორმები, მებატონეთა ზნეობრივი და მორალური გადაგვარება („გლახის ნაამბობი“), გონებრივი გამოფიტვა და დაჩლუნგება („კაცია — ადამიანი?!“), ბუნებრივია, აძლიერებდა უკმაყოფილებას სავაჭრო ნივთად გამხდარ ყმებს შორის. და, რაც მთავარია, ეს უკმაყოფილება თანდათან გადაიზარდა ამბოხებაში და ანგარიშსწორებაში („კაკო-ყაჩაღი“), ეს კი აშკარად მეტყველებდა ბატონყმური სინამდვილის მოსპობის გარდუვალობაზე.

„საქართველოს მოამბის“, და მისი რედაქტორის, დიდი დამსახურებაც ბატონყმური სინამდვილის კრიტიკის საქმეში ის იყო, რომ იგი არ დაკმაყოფილებულა „გლახის ნაამბობის“ (პირველი ექვსი თავის) და „კაცია-ადამიანის“ გამოქვეყნებით. ამ მოთხრობებთან ერთად, მან მკითხველს მიაწოდა ილიას პოემა „კაკო ყაჩაღიც“, რომლის დასაწყისი, სათაურით „ერთი მოთხრობის დასაწყისი“, ჟურნალის მეათე ნომერში დაიბეჭდა.

ნიშანდობლივი და საყურადღებო ფაქტია, რომ ილია ჭავჭავაძემ ვერ მოახერხა პოემა „კაკო ყაჩაღის" სრულად დაბეჭდვა „საქართველოს მოამბეში", თუმცა, ამ დროისათვის, იგი სავსებით დასრულებული ჰქონდა. ისიც უეჭველია, რომ პოემის სრული ტექსტის გამოქვეყნებით დაინტერესებული იყო ავტორი და რედაქტორი ილია ჭავჭავაძე. ამას მოწმობს კ. ლორთქიფანიძისადმი პეტერბურგში მიწერილი ილიას წერილიც (ჩვენი აზრით, 1863 წლის ბოლოს), რომელშიც ვკითხულობთ: „რამდენიმე სურათი", ანუ „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან" მე თუმცა დასრულებული მაქვს, მაგრამ არ გიგზავნი, რადგანაც ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ... მე ბევრი ვეცადე ქაურ ცენზურის კომიტეტში, მაგრამ ძალიან ამიკრძალეს. დასაწყისი მაგისი, რაოდენიც „საქართველოს მოამბეშია, თუ გნებავს, დაბეჭდე"[9].

როგორც ვხედავთ, ცენზურა, მიუხედავად იმისა, რომ ნება ჰქონდა მიცემული ბატონყმური ურთიერთობის კრიტიკა არ აეკრძალა, უფლებას მაინც არ იძლეოდა „კაკო ყაჩაღის" მსგავსი შინაარსის ნაწარმოებები დაბეჭდილიყო; იგი მხოლოდ ამ ინტიტუტის მშვიდობიან კრიტიკას თანხმდებოდა. ეს ვითარება იმასაც ნათელს ხდის, თუ რატომ აღარ იჩქარა ილიამ „გლახის ნაამბობის" მეორე ნაწილის დამთავრება: მისი იმ ფორმით გამოქვეყნება, როგორც იგი ავტორს ჰქონდა ჩაფიქრებული, შეუძლებელი იყო. ამით ისიც ნათელი ხდება, რომ „გლახის ნაამბობი" ავტორს ფაქტიურად „დასრულებული" ჰქონია მაშინვე, მაგრამ ქაღალდზე გადატანას არ ჩქარობდა.

„საქართველოს მოამბემ" პოემა „კაკო ყაჩაღის" დასაწყისის გამოქვეყნება შეწყვიტა არსენას დასახასიათებლად წარმოთქმული ზაქროს (მხედარის) სიტყვებით, რომელიც ასე ბოლოვდება: „მისებრი შვილი, ბევრიც ინატროს, ეხლანდელ დედამ ველარ გაზარდოს".

პოემის გამოქვეყნებული ნაწილიც მეტად საყურადღებო შინაარსისაა და მასში გარკვევითაა წარმოდგენილი ანტიბატონყმური იდეა და სოციალური ჩაგვრის მთელი ბოროტება, რომელსაც ყმა გლეხობა საქართველოში იქამდე მიუყვანია, რომ ყველა კაკოსა და ზაქროს ბედს შენატრის, თუმცა მათი ცხოვრება მეტად მძიმეა, — სადაც ულამდებათ, იქ უთენდებათ, მაგრამ, სამაგიეროდ, ჭირიც უადვილდებათ. ამას აშკარად მოწმობს თვით კაკოს სიტყვები:

„მართალია, ძმავ, კაცს მოასწყინდება
ბუნწი ცხოვრება ეს დასაღონი,
მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!"

---

[9] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961, გვ. 21—27

გარკვევით და ხაზგასმითაა ნათქვამი პოემაში იმის თაობაზეც, რომ ამგვარი ცხოვრება არა მხოლოდ თითო-ოროლა ადამიანს, კაკოთა და ზაქროებს, იტაცებთ მხოლოდ, არამედ იგი ყველა ჩაგრულის იდეალად გამხდარა. ამიტომაა, რომ ბავშვმაც კი იცის ვინ არის კაკო, მასზე საუბრობს კაცი და ქალი, ვისაც ენა აქვს ყველა მას აქებს...

თვით ზაქრო ასე მოუთხრობს კაკოს მასთან მისვლის შესახებ:

„შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,
გამოჰქცევიხარ უსამართლობას;
ამბობენ, თურმე გიყვარს გლეხ–კაცი,
ბარაქალა მაგ გულ-კეთილობას!..
რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია,
სიტყვა ის არის კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია.“

ასეთი აზრების და ამგვარი სიტყვების ამოკითხვა „საქართველოს მოამბეში“, ცხადია, ახალი მოვლენა და დიდი მნიშვნელობის ფაქტი იყო მაშინდელი მკითხველისათვის. არანაკლებ დამაფიქრებელი იყო მისთვის თვით მეურმის ფიქრები და განწყობილება, რომელიც, ჩანს, მთელი ყმა-გლეხობის განწყობილებაც იყო. მხედველობაში გვაქვს იმ გამოუთქმელი აზრის ქვეცნობიერად არსებობა მათ თავებში, რის გამოც მეურმე შენატრის ზაქროს ბედს:

„თითქოს შეჰნატრდა იმას მეურმე,
„ა ხ, ნ ე ტ ა ვ ი შ ე ნ!“ წ ა ი დ უ დ უ ნ ა
და გაიქნივა რა თავი მერმე
შ უ რ ი თ, ხარს შოლტი გაუთხლაშუნა
და მერე ისევ უფრო მწუხარედ
თავის სიმღერა დაიღუღუნა!.

დიდი იდეური დატვირთვა ჰქონდა იმ ეპიგრაფსაც, რომელიც „ვეფხისტყაოსნიდან“ აქვს მოტანილი ავტორს:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები:
მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“.

როგორც ვხედავთ, ვერც „საქართველოს მოამბემ“ მოახერხა მკითხველისათვის მიეწოდებინა ისეთი ნაწარმოებნი და ნაწარმოებთა ის თავები, სადაც თოფის ხმა ისმოდა, მაგრამ ილია ჭავჭავაძის გამოქვეყნებული ტრილოგიის („გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“, „კაკო ყაჩაღი“) სახით მან მაინც მკაცრად და გარკვევით გაილაშქრა ბატონყმური ინსტიტუტისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ საერთოდ.

მაგრამ არც მარტო ამ ტრილოგიით ამოუწურავს „საქართველოს მოამბეს“ ამ უაღრესად აქტუალურ პრობლემაზე მსჯელობა და თავისი აზრის გამოთქმა. ამაზე მეტყველებს ილია ჭავჭავაძის ისეთი ლექსების

გამოქვეყნებაც, როგორიცაა „გუთნის დედა“ (1858), „მუშა“ (1860), „ხმა სამარიდამ“ (1857).

„გუთნის დედა“ ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ 1858 წელს დაწერა, მაგრამ „საქართველოს მოამბეში“ (№ 6) გამოქვეყნებისას მას გაუკეთა საბოლოო რედაქცია. როგორც თავისი მხატვრული ფორმით, ასევე თავისი იდეური შინაარსით ეს ლექსი უაღრესად ხალხურია და მეტად იოლად აღსაქმელიც. თვით ეპიგრაფიც („გადი-გამოდი გუთანო, ღირღიტავ, ბანი უთხარო“) ხალხური პოეზიიდანა აქვს ავტორს მოხმობილი.

„გუთნის დედამ“ არა მარტო იმთავითვე მიიქცია ფართო მკითხველის ყურადღება, არამედ შემდეგაც ყოველთვის ესალბუნებოდა ჩაგრული ქართველი გლეხკაცის გულს.

„გუთნის დედით“ ილიამ ხაზი გაუსვა ყმა გლეხის უუფლებობას, მის მძიმე ფიზიკურ შრომასა და არა ნაკლებ მძიმე სულიერ ტანჯვას. რაც მთავარია, უღელში შებმული ლაბასადმი მიმართული გუთნის-დედის ნაღვლიანი სიტყვები გაოცებასა და გაკვირვებას კი არ იწვევდა, რადგან მასში სინამდვილის შეუფერავი სურათი იყო დახატული, არამედ — აღშფოთებას. დიახ, მხოლოდ აღშფოთებას, თუმცა გუთნის-დედა თითქოს შერიგებულია ყოველივეს და აღშფოთებაც არ ეტყობა. ეს უკანასკნელი გარემოებაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ძლიერ პროტესტს იწვევდა არსებული სინამდვილის წინააღმდეგ.

გუთნის-დედის თქმით, ლაბას უღელი სულაც არ არის მის უღელზე უფრო მძიმე; ორივე მაქსიმალურად ხარჯავს ფიზიკურ ძალას და უსიხარულოდ ამთავრებენ არსებობას. მაგრამ ადამიანი კიდევ მეტად იმით არის შეწუხებული, რომ მეტყველი პირუტყვათ გაუხდია მძიმე ცხოვრებას და ადამიანური ღირსებები და პრივილეგიები ზედმეტი ტანჯვის საბაბად გახდომია. რაოდენ მრავალმეტყველია გუთნის-დედის სიტყვები:

„შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?“
„მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დულილის
სიტყვანი გულში შებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან.
შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს!..
აქ, მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი“.

ასეთი შინაარსის ლექსის გამოქვეყნება ჯერ კიდევ ბატონყმურ საქართველოში, ვფიქრობთ, უაღრესად დიდ დამსახურებად უნდა ჩაეთვა-

ლოს ჟურნალ „საქართველოს მოამბეს“ და მის ნიჭიერ რედაქტორს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ის პუბლიცისტური დატვირთვა, რომელიც ამ ლექსს მაშინ ჰქონდა, გაძნელდებოდა რამდენიმე პუბლიცისტური წერილითაც გადმოცემულიყო.

ბატონყმური სინამდვილის უფრო მეტად გაშიშვლება და მისი უფრო დამაჯერებლად დაგმობა, ვინემ ეს „საქართველოს მოამბემ“ მოახერხა ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშების გამოქვეყნებით, თითქმის წარმოუდგენელიც არის. ამით კი უდავო ხდება ის უდიდესი დამსახურება, რომელიც ამ ჟურნალს მიუძღვის ეპოქის ყველაზე მტკივნეული სოციალური პრობლემის გაშუქებისა და გარკვევის საქმეში. მაგრამ შეცდომას დავუშვებდით, თუ ჟურნალის როლს და ილია ჭავჭავაძის ჩვენ მიერ განხილული თხზულებების იდეურ შინაარსს მხოლოდ ბატონყმური ინსტიტუტის წინააღმდეგ მიმართული თუნდაც მკაცრი კრიტიკიდან გამომდინარე შევაფასებდით.

ბატონყმური ინსტიტუტისა და ფეოდალური სოციალური სინამდვილის დაგმობასთან ერთად, ი. ჭავჭავაძის თხზულებათა წყალობით, „საქართველოს მოამბემ“ დაგმო სოციალური ჩაგვრა საერთოდ და მიიჩნია იგი ბოროტებად, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველთვის სათანადო სიმაღლეზე უნდა იდგეს.

ამიტომ შემთხვევითი არ ყოფილა არც ის, რომ „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე, პირველად ჩვენს პრესაში და ჩვენს მწერლობაში საერთოდ, გაისმა ძლიერი და გულში ჩამწვდომი ხმა მუშის დასაცავად.

თემა მუშისა, ქართულ მწერლობაში, პირველად ილია ჭავჭავაძემ გახადა პოეტური მსჯელობის საგნად და 1860 წელს დაწერა ღრმად იდეური და მაღალმხატვრული პოეტური თხზულება „მუშა“, რომლის გულგრილად წაკითხვას დღევანდელი მკითხველიც ვერ ახერხებს. ისიც ნიშანდობლივია, რომ ეს ლექსი ილიამ მოათავსა „საქართველოს მოამბის“ პირველსავე ნომერში, რასაც, შეუძლებელია, საგანგებო ყურადღება არ მიექცია.

ამბობენ, ილია ჭავჭავაძის მიერ დახატული მუშა არ არის ის ჭეშმარიტი მუშა, რომელიც წარმოებასთანაა მიჯაჭვულიო. მართლაც, იგი არაა ამგვარი მუშა, მაგრამ იგი მუშაა იმდენად, რამდენადაც მოკლებულია კერძო საკუთრებას, სოფელსა და სოფლურ ცხოვრებას. იგი ქალაქს შემოკედლებია, რათა თავისი ფიზიკური შრომით დღიური ლუკმა-პური იშოვოს; ის ბოგანოა, რომელიც კურტნის ქვეშ ოფლად იღვრება და თავის უსიხარულო სიცოცხლეს ტვირთქვეშ ატარებს. მას სოფელში აღარ ეცხოვრება, დარჩენილი სიცოცხლე ქალაქურ ყოფასთან ჭიდილში უნდა გაატაროს. ან რად უნდა გრძელი სიცოცხლე, როცა მისგან სასიკეთოს არაფერს ელის?

„აი, ტვირთ-ქვეშა მოკაკულხარ, საბრალოვ, შენა!
ოფლი წურწურით პატიოსან შუბლით გეღვრება,
შეგუბებულის სულის ისმის დაღლილი ქშენა,
მიხვალ, საწყალო, ტომარის ქვეშ მუხლთ გეკეცება!..

ვინ შეგიბრალებს?.. აგერ მოპქრის დიდკაცის დროშკა,
შენს პირდაპირა იგი მორბის დაუდეგნელად,
აგერ წამოგწვდა, დაგეჯახა, — და, როგორც კოკა,
შენ — კერძი ღვთისა — არ დაგინდო დასამსხვრეველად...

შენ გარდიქეცი ტომარითურთ და გამელელ ხალხმა
მაგ შენს ყოფაზედ იწყო უგრძნოდ მაღლა ხარხარი...
რასც მაშინ პგრძნობდი, ყოველი სთქვა მწუხარმა თვალმა:
შენს ღიმილშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი!...

...„შენს სიცოცხლესა დააღამებ ესრეთს შრომაში,
კაცი კაცურად ვერ იცხოვრებ ვერც ერთსა დღესა“...

საგანგებოდ ჭარბად დავესესხეთ ამ ლექსს, ვინაიდან უფრო გარკვევით და უფრო გულში ჩამწვდომად, ვფიქრობ, თვითონ იგი მეტყველებს თავის ღირსებასა და მნიშვნელობაზე.

პოეტმა სავსებით გამოკვეთილად წარმოადგინა არა მხოლოდ მუშა, თავისი ალალი და მძიმე შრომით, არამედ მდიდრებიც — თავიანთი არაადამიანური ფსიქოლოგიით და ხალხი — თავისი გაუმართლებელი გულგრილობით. ლექსის ყოველი პასაჟი არსებული სინამდვილისადმი მტრულად განწყობილი პოეტის პროტესტს გამოხატავს, მის მაღალ და კეთილშობილ ჰუმანიზმს გვაცნობს და, რაც მთავარია, უსამართლო და მიუღებელი ცხოვრების წინააღმდეგ საბრძოლველად განგვაწყობს. და ეს საბრძოლო მოწოდება თუ პირდაპირ არ ისმის ლექსში, ეს მისი ნაკლი კი არა, ღირსებაა, ვინაიდან იგი ამის გარეშეც ძლიერად გვეუფლება და რევოლუციონერ-დემოკრატი პოეტის გულის ცემას ძალუმად გვასმენინებს.

„მუშის“ წყალობით ილია ჭავჭავაძემ და მისმა ჟურნალმა ქართველ ხალხს მძაფრად აგრძნობინა, რომ ალალი და პატიოსანი მშრომელისათვის არსად არის ადგილი მოსვენებული ცხოვრებისათვის; სოფლად — მებატონესთან, თუ ქალაქად — ფულიან ბობოლებთან იგი პირუტყვულ შრომას ეწევა და მოკლებულია ადამიანურ უფლებებს. და ყოველივე ამის მიზეზი სოციალურ უთანასწორობაშია. ილიას მახვილიც მიმართულია არა რომელიმე კონკრეტული ბოროტებისადმი, არამედ — საერთოდ ბოროტებისადმი, — კერძოდ სოციალური ჩაგვრისა და უთანასწორობისადმი, რაც ხალხის უმეტესობას უმცირესობის მონად ხდის და ადამიანურ სახეს აკარგვინებს.

შესაფერ გამოსავალს არსებული სინამდვილის პირობებში ილია, ცხადია, ვერ პოულობს, რადგან ყოველივე ამ უსამართლობასა და ჩაგ-

ვრაზეა აგებული და დამკვიდრებული. ასეთია, კერძოდ, ის პოლიტიკური გარემოც, სახელმწიფო აპარატის სახით, რომელიც თითქოსდა მოწოდებულია კანონიერების დასაცავად. ამიტომ არავის აკვირვებდა, ალბათ, არც ის გულწრფელი აღსარება, რომელსაც ი. ჭავჭავაძე სახელმწიფო მოხელეს — მდივან-ბეგს საიქიოდან ათქმევინებს („ხმა სამარიდამ", 1857).

„ხმა სამარიდამ" დაიბეჭდა „საქართველოს მოამბის" მეთერთმეტე ნომერში და, შეიძლება ითქვას, ამით შეიკრა მთელი ის იდეური რკალი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ სოციალური ჩაგვრისა და სოციალური უთანასწორობის მთელი ბოროტობის გასაშიშვლებლად მოიმარჯვა.

„ხმა სამარიდამ" მძაფრი სატირაა, რომელიც შეუფერავად წარმოგვიდგენს იმდროინდელი სახელმწიფო მოხელეების საქმიანობას და მძაფრად გვაგრძნობინებს, თუ რა დღეში იყო მშრომელი ადამიანი არა მარტო მებატონეებისა და მდიდარი ბობოლების, არამედ „კანონის დამცველ" სახელმწიფო მოხელეთა ხელშიც.

თავისი „მოღვაწეობით" კმაყოფილი მდივანბეგი სამარიდან მოგვითხრობს თავის „საგმირო საქმეებზე":

„სამართალს ფულითა ვჭრიდი,
გროშისათვის კაცს გავყიდდი,
თვით ძმას ორმოს გაეუთხრიდი,
საზრდოს გლეხსა წავართმევდი,
მშიერს, მწყურვალს დავაგდებდი,
თუ შიშილით მოკვდებოდა,
მე ის არ დამნანდებოდა."

მისთვის გაუგებარი ყოფილა ობლის ვედრება და ქვრივ-ოხერთა ხვეწნა-მუდარა. მათი ტირილი სიმღერად მიაჩნდა, რადგან სულ ფულსა და ქრთამზე ფიქრობდა; დროზედ სიბრმავე სცოდნია, „დროზედ თვალის ახილება", გლეხთან ჭკვიანი ყოფილა, „ტუტუცი—ნაჩალნიკთანა", უხმოსთან ხმიანი იყო, „და სუსტი კი ხმიანთანა".

„რაღა გითხრათ? ვიყავ კარგი,
ქვეყნისათვის დიდი მარგი.
არც ვიყავ დიდი, არც მცირე,
ჩემს დღეში ცრუადა ვსწირე;
არც ვიყავ გლეხი, არც ბეგი;
მაშ რა ვიყავ? მდივანბეგი!
და აწ, მეხი გლეხებისა,
ერთგული ყმა ფულებისა"...

ჯერ კიდევ ამ ლექსში ილია ჭავჭავაძემ ყურადღება გაამახვილა იმ უსამართლო მოქმედებაზე, რომელიც ტიპიური იყო სახელმწიფო აპარატის მოხელეთათვის, რომლებიც, თავის მხრივ, მძიმე ექსპლოატაციას უწევდნენ ისედაც დაჩაგრულ გლეხობას. მინიშნებულია იმაზეც, რომ

არც ბატონყმური ინსტიტუტის მოსპობის შემდეგ მოელის მშრომელ ხალხს სანუგეშო ცხოვრება; ახალი მებატონე — ფული და მისი პატრონი, არა ნაკლებ შეუბრალებელი იქნება მის მიმართ. ამ გარემოებაზე მინიშნებითაც ბევრი რამ თქვა დიდმა ილიამ და, მისი შემოქმედებით, პირველმა ჭეშმარიტმა ტრიბუნამ ჟურნალმა „საქართველოს მოამბემ".

შემთხვევითი არ ყოფილა არც ის, რომ ჟურნალმა „საქართველოს მოამბემ" თავისი მეორე ნომერი გახსნა ქართული კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებლის გიორგი ერისთავის კომედია — პოემა „შეშლილით". ეს ფაქტი მართლაც რომ ბევრის მთქმელი და ბევრის მეტყველია!

„საქართველოს მოამბის" პირველი ნომერი იხსნება ნ. ბარათაშვილის ლექსით — „შემოღამება მთაწმინდაზე", ხოლო მეორე ნომერი — გ. ერისთავის „შეშლილით". ამაში, პირველ ყოვლისა, გამოვლენილია ჟურნალის ახალგაზრდა რედაქტორის დამოკიდებულება და დიდი პატივისცემა წინა თაობის გამოჩენილი წარმომადგენლებისადმი, რომელთაგან პირველი — რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენელია, მეორე — კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი: მაგრამ „შეშლილის" დაბეჭდვას სხვა საფუძველიც ჰქონდა. ქართული კრიტიკული რეალიზმის ეს პირმშო ჯერ კიდევ აქტუალურად ეხმაურებოდა სამოციანი წლების ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას, როცა მაღალი წოდების ქალთა გარკვეული ნაწილი არანაკლებად იმსახურებდა იმ გაკიცხვას, რომელიც მან ჯერ კიდევ ორმოციან წლებში დაიმსახურა. ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფულის შემოჭრით გამოწვეული ზნეობრივ-მორალური ხასიათის ცვლილებები ამჯერადაც არანაკლებ იყო შესამჩნევი. ქალთა საზოგადოებაზე მის გავლენას კი ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა, ვინაიდან ქვეყნის უკეთეს მომავალს იგი მჭიდროდ აკავშირებდა ქართველი დედის სულიერ ღირსებებთან. სამოციანი წლები მოკლებული არ ყოფილა არც ბეგლარის მსგავს ადამიანებს, რომლებიც თანდათან ავსებდნენ ზედმეტ ადამიანთა გალერეას.

ამგვარად, „შეშლილის" „საქართველოს მოამბეში" დაბეჭდვით ილია ჭავჭავაძემ არა მხოლოდ დიდი პატივისცემა გამოხატა თავისი სახელოვანი წინამორბედისადმი, არამედ იგი მოაქცია ნაწარმოებთა ამ ციკლში, რომელსაც, როგორც ვნახეთ, მიზნად უსახავდა არსებული სოციალური სინამდვილის წინააღმდეგ და შრომის განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

ილია ჭავჭავაძისა და მისი ჟურნალისათვის რომ აქტუალური ყოფილა „შეშლილში" აღძრული და გაშუქებული მტკივნეული საკითხები ეს იქედანაც დასტურდება, რომ თითქმის ანალოგიური ხასიათის პრობლემისადმია მიძღვნილი სამსონ აბაშიძის ვოდევილი „ლოტო", რომელიც „საქ. მოამბის" მეთერთმეტე ნომერში დაიბეჭდა და მხატვრულად საკმაოდ სუსტია. მაგრამ საქმის ინტერესები მოითხოვდნენ, რომ ჟურ-

ნალს ამგვარ თემაზე დაებეჭდა სხვადასხვა ავტორთა თხზულებები, ამას თავისი გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ძნელი აღარაა სწორად გავითვალისწინოთ და ობიექტურად შევაფასოთ ის განსაკუთრებული როლი, რომელიც ჟურნალმა „საქართველოს მოამბემ“ მის მიერ გამოქვეყნებული მხატვრული თხზულებების წყალობით შეასრულა სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ და შრომის განთავისუფლებისათვის მიმართულ იმ ბრძოლაში, რომელიც გაჩაღდა სამოციანი წლების საქართველოში.

*

სოციალური უთანასწორობის და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა ყველგან და ყოველთვის პროგრესული მოვლენა იყო, მაგრამ გასული საუკუნის სამოციანი წლების საქართველოში იგი მაინც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა. ეროვნულ თავისუფლებას მოკლებული ქართველი ხალხის მომავალი, თვითგამორკვევის უფლებებისათვის მისი ბრძოლის შედეგი არსებითად იყო დამოკიდებული ფეოდალურ-ბატონყმური სინამდვილის მოსპობაზე. აქედან გამომდინარე, აშკარაა, თუ რაოდენ დაინტერესებული უნდა ყოფილიყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მედროშე ი. ჭავჭავაძე იმ სოციალური სინამდვილის შესაცვლელად, რომელიც აფერხებდა ქართველი ხალხის დარაზმვას ეროვნული თავისუფლებისათვის საბრძოლველად. ამიტომაა, რომ ილია, და მისი თანამებრძოლები, თავისი ამ პერიოდის შემოქმედებაში, განსაკუთრებულ ადგილს უთმობენ არსებული სოციალური ყოფის კრიტიკას.

მაგრამ ისინი ერთი წუთითაც არ ივიწყებდნენ უშუალოდ სამშობლო ქვეყნის ეროვნული თავისუფლების იდეალს, პატრიოტული გრძნობის გაღვივების დიდ მნიშვნელობას, ქართველი ხალხის გაერთიანებასა და დარაზმვას დიადი მიზნისათვის. წმინდა სოციალური საკითხების გაშუქება სწორედ ამ მთავარი პრობლემის ინტერესებს ემორჩილებოდა.

ძველი და დიდი ისტორიის მქონე ერის მესვეურთ წარსულიც და აწმყოც თავისებურად კარნახობდათ ებრძოლათ ეროვნული თავისუფლებისათვის, ეროვნული აღორძინებისა და წინსვლისათვის. ამასთან, არსებული პოლიტიკური სინამდვილე უფლებას არ აძლევდა მათ გაბედულად და თავისუფლად გამოეთქვათ თავიანთი აზრი და სრულად გამოეხატათ მშობლიური ხალხის სანუკვარი ოცნება. ამიტომ ისინი სხვადასხვა გზასა და სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდნენ, რათა მინიშნებით მაინც ეთქვათ თავიანთი სათქმელი. ამ მიზნით ისინი ხშირად

მიმართავდნენ ისტორიზმს და აზრის გამოთქმის ალეგორიულ ფორმებს.

სახელოვან ქართველ სამოციანელთა წინამძღოლი, ამ საკითხშიც, ილია ჭავჭავაძე იყო. ამიტომ, ბუნებრივია, მას საგანგებოდ უნდა ეზრუნა, რათა „საქართველოს მოამბეს“ ყველაფერი ისე ეკეთებინა, რომ სწორედ ამ საქმის სამსახურში მდგარიყო.

ჟურნალისა და მისი რედაქტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მიაღწიეს თავიანთ მიზანს და „საქართველოს მოამბე“ იქცა იმ ტრიბუნად, საიდანაც გულში ჩამწვდომად გაისმოდა ჭეშმარიტი პატრიოტული მოწოდებები, რაც მკითხველს უღვიძებდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთებას. ამ კეთილშობილ იდეას ემსახურებოდა ჟურნალში გამოქვეყნებული თითქმის ყველა მასალა, ორიგინალურიც და თარგმნილიც (ბევრიც უშუალოდ ამ კითხვებს პასუხობდა). ისიც უდავოა, რომ, ამ მხრივაც, მთავარ სათქმელს ჟურნალი ილია ჭავჭავაძის მხატვრული თხზულებებით ამბობდა.

იმაზე მითითებაც კი, რომ „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა ილიას ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა ნაწყვეტები პოემა „აჩრდილიდან“ (№7, №8), ლექსები — „მას აქეთ, რაკი შენდამი ვჰსცან მე სიყვარული“ (№ 2), „იანიჩარი“ (№ 3), „გ. აბხ“... (№ 7), „მტკვრის პირას (№9), აშკარას ხდიან, თუ რა როლი შეასრულა ჟურნალმა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის საქმეში.

ამ ნაწარმოებთაგან ჟურნალმა მკითხველს, პირველ ყოვლისა, გააცნო „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“, რომელიც 1861 წელსაა დაწერილი. ლექსის იდეური აზრი ორ გარემოებაზე ამახვილებს მკითხველის ყურადღებას: 1. დიდი ხანია, რაც პოეტი მამულის სიყვარულით ცოცხლობს და მის ბედზე ფიქრში უღამდება ყოველი დღე; 2. სამშობლოს ბედზე დაფიქრებულ პოეტს, თავის მოძმეთა შორის, ვერავინ უპოვნია, რომელსაც თავისი გულისთქმა გაუზიაროს.

რამდენადაც პირველი გარემოება ბუნებრივი და სასიამოვნოა, მეორე — იმდენადვე უცნაური და სამწუხარო. თანაც ისე მკვეთრად და პირდაპირაა ნათქვამი ეს საყვედური, რომ შეუძლებელია ჭეშმარიტი ქართველის გულისათვის ჭრილობა არ მიეყენებინა, მის პატრიოტულ თავმოყვარეობაზე არ ემოქმედა და სულიერი ტკივილით არ დაესაჯა.

ერთი წუთით ვიქცეთ იმდროინდელ ქართველებად და „საქართველოს მოამბეში“ წავიკითხოთ პოეტის ეს ლექსი:

„მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
პოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება...
...მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის,
ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,

რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არის,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განკუზიარო!"

მართალია, პოეტს უკვე ნათქვამი ჰქონდა, „ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაშიო", მაგრამ ამ სიტყვების ავტორს არა მარტო ტაშის იმედი არ უნდა ჰქონოდა, არამედ მკაცრი თავდასხმის მოლოდინში უნდა ყოფილიყო. მით უმეტეს, რომ იგი დაიბეჭდა ცხარე იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის დროს, როცა ქართველი ინტელიგენცია, მისი მწერლობა ორ ბანაკად იყო გაყოფილი. რაც მთავარია, ილია, ამ შემთხვევაში, არ ინდობდა არა მარტო მოწინააღმდეგე ბანაკს, არამედ ქართველ საზოგადოებრიობას საერთოდ. მიუხედავად ამისა, მან გაბედა ამის თქმა, გაბედა იმიტომ, რომ სჯეროდა კარგი გული მაშინვე სცნობდა „ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!" („ჩემო კალამო").

მკაცრი გამოწვევა იყო, მაგრამ ილიას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი „წმინდა სიტყვა უშიშრად მოეფინა ხალხში". მას კი უკან დახევა არ ჩვეოდა! იგი იმ თანამემამულეთა თანაგრძნობის იმედით იყო, რომლებიც, მიუხედავად კანონზომიერი შეშფოთებისა, მაინც სწორად გაუგებდნენ პატრიოტ პოეტს და თვითკრიტიკის გზას დაადგებოდნენ.

მებრძოლი ბუნების პოეტს მტკიცე მოქმედების პრინციპები და გარკვეული დევიზი ჰქონდა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო!" მართალია, ამის გამო მას ბრალად სდებდნენ „ის სიავეს ქართვლისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიყვარულიაო" („ჩემო კალამო"), მაგრამ იგი მაინც ასე არჩევდა და სათანადო საბუთებსაც პოულობდა ამისათვის.

აბა შეხედეთ ქართველ იანიჩარს, რომელიც თავისი ვაჟკაცობით ყველას ყურადღებას იქცევდა და თავისი საქმით კი მხოლოდ უცხოელი „პატრონის" გულს ახარებდა („იანიჩარი", 1860). მისი თანამოძმენი სამშობლოში თავის გამოჩენაზეც არ ფიქრობენ, ის კი უცხოელთაც ანცვიფრებს. პოეტიც აღუფრთოვანებია მის გარეგნობასა და ვაჟკაცურ ბუნებას, მაგრამ...

„ვსთქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ჩრდილოეთსა?"

ეს ლექსი („იანიჩარი"), რომელიც ამჟამად „კანკოელის" სახელითაა ცნობილი, „საქართველოს მოამბის" მესამე ნომერში დაიბეჭდა და მეტად სპეციფიკური პუბლიცისტური დატვირთვა ჰქონდა, სატირის ისარს ტყორცნიდა ვაი პატრიოტებს.

პოეტის ოცნებაა არა იანიჩარ ქართველთა გამრავლება, არამედ დავაჟკაცება ისეთ ყრმათა, რომელთაც „ხალხის სამსახურათ" ექნებათღო-

ნე და იქნებიან თავისი ერის ღირსეული შვილები. იგი მიესალმება გაზრდას მხოლოდ ისეთი ყრმებისას, რომელნიც ქვეყნის სამსახურში დალევენ თვის სიცოცხლეს:

„ღმერთო!.. მოჰმადლე მადლი ზეცისა,
შთაბერე ყრმასა ძლიერი სული,
რათა შეიქმნეს თავის ერისა
მოძმე ერთგული და მოყვარული.

ღმერთო!.. თან სდევდე უსუსურს ბავშსა,
რომ დღენი ისე არ დაელიოს,
მანამ ტანჯვისა ცრემლი თვის ხალხის
ცოტათი მაინც მან არ მოსწმინდოს."
(„გ. აბხ"...)

ი. ჭავჭავაძის ეს ლექსიც „საქართველოს მოამბემ" (№ 7) მიაწოდა მკითხველს, რითაც კიდევ უფრო კარგად გამოიკვეთა ავტორის პატრიოტული იდეალები, მისი სულიერი ტკივილის მიზეზი და ოცნების საგანი.

ჭეშმარიტ რეალისტს და მებრძოლ პატრიოტს ზოგჯერ რომანტიკული წიაღსვლებიც შვენის, რადგან უფრო კარგად გვახედებს თავის აფორიაქებულ სულში. ამიტომაა, რომ სახელოვანი წინამორბედის, დიდი ნიკოლოზ ბარათაშვილის, მსგავსად ისიც მტკვრის პირს მიაშურებს, მაგრამ მასშიც „კვლავ განიღვიძეს ჩვეულთა ფიქრთა" და აღეშალა „დიდის ხნის წყლული". იგი შეეკვნესის მტკვრის ზვირთებს, რადგან „თითქო მათ შთანთქეს ჩვენი წარსული" („მტკვრის პირას", 1859).

ილია ჭავჭავაძეს „ჩვენი წარსული" აფიქრებს არა მარტო იმიტომ, რომ მის დაბრუნებაზე ოცნებობს, არამედ იმიტომ, რომ არსებულის შეცვლასა და უკეთეს მომავალზე ფიქრობს; ნანგრევებზე ახალი ტაძრის აგება სურს.

„წაგშლიან კვალნი, დროო ნეტარო!
მტვრად აღუგვიხარ საუკუნესა...
მისმინე ახა, მისმინე, მტკვარო,
იმ დროთ გადაეც ეს ჩემი კვნესა".
(„მტკვრის პირას")

„საქართველოს მოამბეში" (№9) ამ ლექსის მოთავსებას ჰქონდა თავისი დიდი გამართლება, რადგან უფრო გასაგებს ხდიდა მისი ავტორის პატრიოტული იდეალებისა და შემართების ლაბირინთებს, მისი სულიერი სამყაროს სიმდიდრესა და მთლიანობას, სიწმინდესა და სიფაქიზეს.

ერთ-ერთი პირმშო პოემა „აჩრდილი" ილია ჭავჭავაძის საპროგრამო ნაწარმოებია, რომლის იდეურ შინაარსზეა დაფუძნებული ავტორის ეროვნული და სოციალური იდეალები. იგი გახდა მთელი ახალი ქართული მწერლობის საპროგრამო ნაწარმოებადაც, ამიტომ მისი ნაწილე-

ბის გამოქვეყნებას „საქართველოს მოამბეში“, სათაურით „ლოცვა აჩრდილისა“ (№ 7) და “აჩრდილიდგან“ (№ 8), რა თქმა უნდა, საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა.

„აჩრდილის“ სრულად დაბეჭდვა „საქართველოს მოამბეში“, ცხადია, შეუძლებელი იყო, მაგრამ მისი ორი ბოლო თავისა („ლოცვა აჩრდილისა“) და ოცდამეოთხე თავის („აჩრდილიდგან“) გამოქვეყნებაც ბევრის მთქმელი იყო და არა მხოლოდ მისი ავტორის ეროვნულ კონცეპციაში ახედებდა მკითხველს, არამედ დიდ გავლენას ახდენდა ამ უკანასკნელის სულიერ სამყაროზე და აყალიბებდა მის პატრიოტულ სულისკვეთებას.

„აჩრდილის“ ბოლო ორი თავის გამოქვეყნებით „საქართველოს მოამბემ“ მკითხველს გააცნო ილია ჭავჭავაძის ეროვნული იდეალების კვინტესენცია, რომელიც აჩრდილის ღვთისმშობლისადმი მიმართულ ლოცვაშია გადმოცემული.

მოხუცი (აჩრდილი) ღვთისმშობელს შესთხოვს, ნუ მოაკლებს თვის მეოხებას თვის ტანჯულ ხალხს და საღმთოდ მიიღოს სისხლი, რაც მას უღვრია.

„რაც უტანჯია ამა ხალხსა ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალა დავრდომილსა კვლავ აღდგომისა!
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამა-პაპური ძარღვი, ძალა გადმოეც შვილსა“.

„მოეც ქართველსა ქართვლის ნდობა და სიყვარული
გული გაუხსენ, რომ უყვარდეს თვისი მამული!
ჰოი სახიერო, ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი განუფრთხო ხალხსა!“

პოეტის აზრით, ქართველი ხალხი იმჯერად დავრდომილი იყო, რომელსაც აუცილებლად ესაჭიროებოდა კვლავ აღდგენა, სახელოვან წარსულთ დღეთა განახლება, მამა-პაპური ძარღვისა და ძალის დაბრუნება, რათა ქართველ კაცს ჰქონოდა ქართვლის ნდობა და სიყვარული, ყოფილიყო ჭეშმარიტი პატრიოტი.

რამდენის მთქმელი იყო თუნდაც ის, რომ მოხუცის ვედრებას („ჰოი სახიერო, ცისარტყელა განავლე ცასა, რათა წარღვნისა მოლოდინი განუფრთხო ხალხსა“) მაშინვე უსმინა ღვთისმშობელმა და:

„მყის გადმოეშვა ცისა ლაჟვარდსა
შვიდ ფერიანი სარტყელი ცისა
და მოეფინა ჩემს ქვეყანასა
მახარობელად ტკბილ იმედისა“...

ასე ოპტიმისტურად მთავრდება „აჩრდილი“ — ეპოპეა დიდი პოეტის ეროვნული იდეალებისა, და ამგვარ დასასრულსაც თავისი დიდი იდეუ-

რი ზემოქმედება ჰქონდა.

უაღრესად მნიშვნელოვანი იყო „საქართველოს მოამბის“ მერვე ნომერში გამოქვეყნებული „აჩრდილის“ თავიც, რომელშიც პოეტი მშობელ ხალხს საყვედურობს წინაპართა შემართებისა და პატრიოტული თავდადებისათვის აუცილებელი გრძნობის დაკარგვას, მისი თქმით, თანამედროვე საქართველო და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება მხოლოდ უსიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

„წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება,
მტვრად გარდაქმნილა ახოვანი ოგი ცხოვრება,
აწ იგი თითქოს სხვის დენაში შეყუნებულა...
ხოლო ოდესღაც მოდენილა თვის ფართო გზაზედ,
ბევრჯერ უსაგნოდ, ბევრჯერ აზრით აღელვებულა...
ქართველის ტკივილი ყოველთვის კი სჩნევია მას ზედ“.

ყოველივე ამის გამო პოეტი საყვედურობს თავის ხალხს, რათა გაუღვიძოს სურვილი აღდგენისა და განახლებისა, გაერთიანებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლისა. იგი შეტრფის იმ დღეს, როცა ქართველებში ნახავს „ერთის სულის ძლიერსა ქროლვას“, და „როს ეს ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ - არსებისა, ეხლა გაყრილნი, შეერთდებიან“; „როს იგი ტომნი, ცად მიღწეულ კავკასიისა, ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან“ და ქართველობა სიქადულად როცა ექნება „ქვეყნის წინაშე ყოველ ქართვლის ერთგულსა შვილსა“.

ამგვარად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების ქადაგება „საქართველოს მოამბემ“, ძირითადად, თავისი რედაქტორის პოეტური შემოქმედების გამოქვეყნებით შეძლო. ამასთან საკმაოდ გაბედულად და გასაგებადაც გამოთქვა თავისი შეხედულება ამ ყველაზე უფრო მტკივნეული და აქტუალური პრობლემის შესახებ. მიუხედავად მძიმე ცენზურული ბარიერებისა, მაინც მოახერხა სათანადო კრედოს გამოხატვა და საფუძველი შექმნა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომი აღმავლობისათვის. ეს გარემოება კი უაღრესად მნიშვნელოვანს ხდის „საქართველოს მოამბის“ როლს ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის წინაშე.

*

მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდა „საქართველოს მოამბეს“ მხოლოდ ილია ჭავჭავაძის ნაწერთა გამოქვეყნებით არ დაუმთავრებია. მათი მეოხებით მან, მართალია, თავისი მთავარი სათქმელი თქვა, მკითხველისათვის თავისი იდეური შთანაფიქრის გაზიარებას მიაღწია, მაგრამ მას გვერდი არ აუვლია არც ისეთი ნაწერების დაბეჭდვისათვის, რომელთაც პირდაპირი კავშირი არ

ჰქონიათ მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებთან. ამას ადასტურებს, კერძოდ, ისეთი ლექსების დაბეჭდვა, როგორიცაა ალ. ჭავჭავაძის — „შენი გონების სხივნი“ და „ჭმუნვის მახვილი გულსა მსობია“, გრ. ორბელიანის — „ლოთური მუხამბაზი“, ნ. ბარათაშვილის — „შემოღამება მთაწმიდაზე“ და „მაღლი შენს გამჩენს, ლამაზო“..., გიორგი ორბელიანის — „ჩემი ეპიტაფია“ და თვით ილია ჭავჭავაძის — „მძინარე ქალი“.

გამოჩენილი ქართველი რომანტიკოსების გახსენებასა და მათი ნაწერების მიწოდებას მკითხველისათვის ჰქონდა თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა. პირველ ყოვლისა, მათი ლექსები ჭეშმარიტი პოეზიის ნიმუშებია, რომელთა გაცნობა ყოველთვის სასურველი და სასარგებლოა მკითხველისათვის. ამასთან მათი გამოქვეყნებით ილია ჭავჭავაძემ ხაზი გაუსვა თავის კეთილ დამოკიდებულებას ქართული რომანტიზმისადმი და მისი საუკეთესო წარმომადგენელთა პოეზიისადმი; იმ მჭიდრო კავშირს, რომელიც, მისი აზრით, ქართულ კრიტიკულ რეალიზმსა და ქართულ რომანტიზმს შორის არსებობდა ამ უკანასკნელის უაღრესად ეროვნული ბუნებისა და ცხოვრების სინამდვილესთან ახლო ურთიერთობის გამო.

თვით ის ფაქტიც, რომ „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი ილია ჭავჭავაძემ ნ. ბარათაშვილის ბრწყინვალე ლირიკული ლექსით („შემოღამება მთაწმიდაზე“) გახსნა, თავისთავადაც ბევრს მეტყველებდა. გარდა ამისა, იგი თავისებური წინასიტყვაც იყო ილია ჭავჭავაძის იმ ნაწერებისათვის, რომლის ავტორი ხაზგასმით ჩერდებოდა თავისი ხალხის პატრიოტული გრძნობის შესუსტებაზე, თანამოაზრეთა და თანაშრახველთა სიმცირეზე, ძველი დიდების ჩასვენებასა და საერთო ეროვნული ძარღვის გაწყვეტაზე. „შემოღამება მთაწმიდაზეც“ ხომ თავისი ერის ისტორიული ბედით შეწუხებული და შეშფოთებული რომანტიკოსი პოეტის მძიმე განცდების გადმოცემაა? იგიც ხომ იმიტომ შეტრფის მთაწმიდას, რომ მის ბუნებაში შეიმსუბუქოს „მწუხრი გულისა“ და „დაშთოს აქ ამაოება“?

„მე, შენსა მჭვრეტელს, მავიწყდების საწუთროება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა...ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფთ, რომ დაშთოს აქ ამაოება...
მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკდავნი განგებას ცისას“.

საგანგებო მტკიცებას არ საჭიროებს, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა გენიოსი ლირიკოსის ამ შესანიშნავი ლექსის მიწოდებას მკითხველისათვის როგორც ავტორის გასაცნობად, ასევე თავისთავადაც — როგორც ღირსეულ პოეტურ ქმნილებას.

არც იმის მიხვედრაა ძნელი, თუ რატომ უნდა ყოფილიყო საინტერესო და მახლობელი „გუთნის-დედის“, „მუშის“ და „გლახის ნაამბობის“

ავტორისათვის ნ. ბარათაშვილის ლექსი „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“... რომელიც „საქართველოს მოამბის“ მეორე ნომერში დაიბეჭდა. იგი ჭეშმარიტად ხალხური ნაწარმოებია როგორც შინაარსით, ასევე — ფორმითაც და კარგად მიესადაგება ჟურნალში გამოქვეყნებულ ი. ჭავჭავაძის პოეტურ თხზულებათა საერთო განწყობილებას.

ეს ის ლექსია, რომელშიც ნ. ბარათაშვილმა უშუალოდ მშრომელი ხალხის წარმომადგენლის ფიქრი და განცდა გვაჩვენა, მისი გრძნობის სიწმინდე და სისპეტაკე გვაგრძნობინა. დედისერთა და სოფლელი ყმაწვილი გულწრფელი აღსარებით მიმართავს მომხიბლავ ასულს:

„ყარიბი ვიწმე მოვსულვარ, სოფლისა მუშა საწყალი,
ამხანაგად მყავს ნაბადი, ძმობილად — ბასრი ხანჯალი,
მე სხვა სიმდიდრე რად მინდა? მე შენი გულიც მეყოფის:
მის ფასი კიდეც საუნჯე ცას ქვეშეთ განა იმყოფის?“

ნაბადის ამხანაგისა და ბასრი ხანჯლის ძმობილი სოფლელი ყმაწვილის უანგარო სიყვარულის გრძნობა საინტერესო და მახლობელი უნდა ყოფილიყო „საქართველოს მოამბის“ მკითხველისთვისაც, რაც კარგად შეუნიშნავს მის რედაქტორს.

სიყვარულის თემა, სიყვარულის გრძნობის სიღრმე და სიფაქიზე ყველგან და ყოველთვის აქტუალურია არა მხოლოდ მწერლობისათვის, არამედ ადამიანთა საზოგადოებისათვის საერთოდ. ამდენად მას, ცხადია, გვერდს ვერ აუვლის ვერცერთი ლიტერატურული ჟურნალი, რომელიც მოწოდებულია ადამიანის სულიერი ცხოვრების საჩვენებლად. ამიტომ ამ გრძნობის ნიჭიერი მომღერლების, — ქართველი დიდი რომანტიკოსების სათანადო პოეტური ქმნილებები, ბუნებრივია, დაამშვენებდა ყოველ პერიოდულ გამოცემას, მათ შორის „საქართველოს მოამბესაც“. ამ გარემოებას მშვენივრად აუღო ალღო მისმა ახალგაზრდა რედაქტორმა და თავისი ჟურნალის ფურცლებზე გამოაქვეყნა ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის სატრფიალო ლექსებიც.

ალ. ჭავჭავაძის ლექსი „შენი გონების“ შინაარსი უაღრესად ნიშანდობლივია რომანტიზმის თეორიის მიხედვით. მასში მთელი დამაჯერებლობით და ლოგიკურადაა დასაბუთებული მგრძნობელობის პრიორიტეტი ყველა სხვა ადამიანურ თვისებებთან შედარებით. პოეტი ლამაზ ასულს მიმართავს, რომ მისი გონების სხივნი ისე ბრწყინავენ, რომ სილამაზეც არ ჰქონდეს, მით იმნათობებს, მაგრამ სილამაზეც ისეთი აქვს, რომ მხოლოდ მისი წყალობითაც იმეფებს.

„მაგრამ რა ხელ - პყრი, მარქვი, მაგა ნიჭთა კეთილთა,
თუ გული შენი სიყვარულსა არ მიიკარებს?
მგრძნობელობა პსჯობს ყოველთ თვისებათ, ცით მოვლენილთა,
შვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმარებს“.

სიყვარულის გულწრფელმა მომღერალმა ალ. ჭავჭავაძემ ამ დიდი

გრძნობის ბევრ თვისებაზე გაამახვილა თავისი ყურადღება და ყოველთვის მის ყოვლისშემძლეობას გაუსვა ხაზი. იგი არ მალავს, რომ სატრფოს მოცილების გამო უბედურია და არ შეუძლია ასე ყოფნა. და თუ იმედი არსაიდან ჩანს, უჯობს მისმა სიყვარულმა შეიწიროს:

„არ გესმის ოხვრა, ოხვრის მიზეზო,
სასმენთა კარი ჩემთვის გხშომია!
თუ აწც ვერ გპოვო შენ ჩემს მკურნალად,
ვსცნობ რომე ბედი სრულად მწყრომია;
რისხვამან შენმან სიცოცხლის ძაფი
შესჰსწყვიტოს, რადგან შესაწყდომია!"

(„ჭშუნვის მახვილი").

სიყვარულის ყოვლისშემძლეობას გულწრფელად უმღეროდა გრიგოლ ორბელიანიც, რომელმაც, ამ გრძნობის ფონზე, კარგად წარმოგვიდგინა თბილისელი ყარაჩოხელის სახეც. 1861 წელს მის მიერ დაწერილი ლექსი „ლოთური მუხამბაზი" („გინდ მეძინოს") მკითხველს პირველად „საქართველოს მოამბეშ" (№ 2) გააცნო. ლექსმა იმთავითვე მიიპყრო ყურადღება როგორც თავისი შინაარსით, ასევე — სრულყოფილი პოეტური ფორმითაც, რის გამო იგი ქალაქმა სასიმღეროდ აიტაცა და მასზე შექმნილი სასიამოვნო ჰანგები მარად ისმოდა თბილისის ქუჩებში; თავის სიცოცხლეს აგრძელებს იგი დღესაც.

ამ ლექსისადმი ინტერესს აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ პოეტმა მეტად მოხდენილად გადმოსცა უბრალო თბილისელი მოქალაქის სიყვარული, რომლის სიძლიერე და ბუნებრივობა ყველას თანაგრძნობით განაწყობს სატრფოსადმი ყმასავით ერთგული ყარაჩოხელისადმი. ანდა ვის არ შეშურდება მისი გულწრფელობა და სულიერი სიწმინდე?

„ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის!
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!
მინდა რამ ვსთქვა — შენი სახელი მოდის!
ჩემს გულში რა აშფოთია, რა მოდის?
ერთხელ მაინც მკითხე: „აგრე რათა ხარ?"
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!"

გრ. ორბელიანს შეეძლო სხვა ლექსებითაც დაემშვენებინა „საქართველოს მოამბის" ფურცლები, მაგრამ, შესაძლოა საგანგებოდაც ერიდებოდა მასში აქტიურ თანამშრომლობას; ჟურნალის რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულება არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა.

სიყვარულის თემა არც თვით ილია ჭავჭავაძისათვის ყოფილა უცხო და უინტერესო. ისიც გულწრფელი მომღერალი იყო სიყვარულის მაღალი გრძნობის, მისი სულიერი ზემოქმედებისა და ამმაღლებელი ძალის.

ამიტომ იყო, რომ „საქართველოს მოამბეში“ მან დაბეჭდა თავისი ისეთი ლექსიც, როგორიცაა „მძინარე ქალი“, რომელშიც ხოტბას ასხამს სილამაზის ზემოქმედების ხორციელ ძალას.

„საქართველოს მოამბეში“ (№5) გამოქვეყნდა, აგრეთვე, პავლოვის მიბაძვით დაწერილი გიორგი ერისთავის ლექსი „თანამეგზაური“, რომელსაც ატყვია ნ. ბარათაშვილის პოეზიის გაელენა და მიზნად აქვს გამოხატოს პოეტის გულისტკივილი ადამიანის ცხოვრების ხანმოკლეობისა და ჭაბუკობის წლების სწრაფწარმავლობის გამო. მაგრამ თავისი შინაარსით იგი მაინც არ არის ამოვარდნილი „საქართველოს მოამბის“ პოეზიის გამიდან და წარმოადგენს მოწოდებას ადამიანისადმი—მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი ახალგაზრდობა კეთილი საქმეების საკეთებლად.

„საქართველოს მოამბეში“ (№ 12) დაიბეჭდა იმ დროს ცნობილი პოეტის გიორგი ორბელიანის ლექსიც „ჩემი ეპიტაფია“, რომელიც ყურადღებას ვერ იქცევს ვერც შინაარსით და ვერც ფორმით, მაგრამ მასში მაინც არის ისეთი გამოთქმები, რომლებმაც, ალბათ, რედაქტორს გადააწყვეტინა მისი გამოყენება.

იგივე შეიძლება ითქვას ივანე ბერიძის მოთხრობაზე „უცნაური ნიშნობა“, რომელიც „საქართველოს მოამბის“ მეშვიდე, მერვე და მეცხრე ნომრებში დაიბეჭდა. მისი გამოქვეყნებისას რედაქტორი უდავოდ ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ მკითხველი ყოველთვის ელოდება ე. წ. საკითხავ მასალას, თავისებურად საინტერესო სიუჟეტებს და უცნაურ ამბებსაც კი. ამასთან მოთხრობის შინაარსი გაშლილია თბილისური ყოფის ფონზე და საკმაოდ მკაცრადაა მხილებული ბატონყმური ურთიერთობისა და სახელმწიფო ბიუროკრატული აპარატის სიმახინჯე. საერთოდ კი მისი მოთავსება „კაცია-ადამიანისა“ და “გლახის ნაამბობის“ გვერდით თითქმის გაუმართლებელია. ამ „მოთხრობას არავითარი სისტემა არ გააჩნია. მას არ აქვს მწყობრი სიუჟეტი და იდეურ-მხატვრული ხერხემალი. ეპიზოდები შემთხვევით არის ერთმანეთის გვერდით გაწყობილი, დარღვეულია პროპორცია და ავტორი მოკლებულია დროისა და სივრცის გრძნობას“[10].

*

„საქართველოს მოამბის“ რედაქტორი კარგად გრძნობდა, რომ არსებულ ცენზურულ პირობებში იგი ვერ შეძლებდა ჟურნალი უზრუნველეყო მხოლოდ ორიგინალური მხატვრული თხზულებებით. ამასთან საჭირო იყო მკითხველს გაეცნო არაქართველ ავტორთა ნაწერებიც. ამ მი-

[10] ალ. კალანდაძე „საქართველოს მოამბე“, 1963, გვ. 180.

მართულებით ჟურნალმა საყურადღებო მუშაობა ჩაატარა. საკმარისია ითქვას, რომ მან მოასწრო მკითხველისათვის მიეწოდებინა: ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონი", მ. ლერმონტოვის „ჩვენი დროების გმირი" და ლექსი „სიზმარი", ალ. გრიბოედოვის „უბედური ჭკუისაგან", უცნობი ავტორის მოთხრობა „ოთხი შეხვედრა", ანდრე შენიეს „ზღვათა მფლობელის".

ვ. ჰიუგოს ცნობილი რომანის „საბრალონის" თარგმანი „საქართველოს მოამბის" თერთმეტ ნომერში იბეჭდებოდა /№2—12/ და მისი 241 გვერდი უჭირავს; თარგმანი ეკუთვნის გ. ა. ჩიქოვანს. ჟურნალის გამოცემის შეწყვეტის გამო, ამ რომანის თარგმანის გამოქვეყნება არ დასრულებულა, მაგრამ აშკარაა, რომ „საქართველოს მოამბემ" მას დიდი ადგილი დაუთმო, რაც გამოწვეული იყო, პირველ ყოვლისა, თვით ნაწარმოების ღირსებით და, ამასთან ერთად, სარედაქციო პორტფელის სიღარიბით. ჩანს, ჰიუგოს ეს რომანი საგანგებოდ მოსწონდა ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც ანგარიში არ გაუწია იმ გარემოებას, რომ მისი თარგმანი „ცისკარშიც" იბეჭდებოდა /თუმცა ეს უკანასკნელი აქვეყნებდა გ. დიდებულიძის საკმაოდ სუსტ თარგმანს!/.

ვ. ჰიუგოს რომანის „საბრალონის" გამოქვეყნება არა მხოლოდ იმიტომაა მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ მისი საშუალებით „საქართველოს მოამბის" მკითხველი ეცნობოდა გამოჩენილ ფრანგ მწერალს, არამედ იმითაც, რომ თავისი შინაარსით იგი შეესატყვისებოდა ჟურნალის მიმართულების ინტერესებს.

იგივე შეიძლება ითქვას მ. ლერმონტოვის „ჩვენი დროების გმირზე", რომლის სამი ნაწილის /„ბელა", „მაქსიმ მაქსიმიჩ", „ტამანი"/გამოქვეყნება მოასწრო ჟურნალმა. დიდი რუსი მწერლის ეს ცნობილი ნაწარმოები ქართულად თარგმნა მიხეილ ყიფიანმა. „იმ დროის კვალობაზე, თარგმანი კარგია. „საქართველოს მოამბეში" ამ მოთხრობის დაბეჭდვა, თითქო, პასუხი იყო პეჩორინის შესახებ ზაიცევის ნიღილისტური წერილებისა, რომლებსაც ჩვენშიც აღმოუჩნდა თითო-ოროლა თანამგრძნობი".[11]

საქართველოს მოამბეში" (№ 4) გამოქვეყნდა, აგრეთვე, მ. ლერმონტოვის „სიზმრის" ილია ჭავჭავაძისეული თარგმანი, რომლითაც ჟურნალის მკითხველმა გაიცნო დიდი შემოქმედის პოეტური ნიმუშიც.

ფრიად საყურადღებო ლიტერატურული მოვლენა იყო „საქართველოს მოამბეში" ალ. გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან" თარგმანის გამოქვეყნება. მართალია, ჟურნალს არ დაუბეჭდავს მთელი კომედიის თარგმანი და მხოლოდ მისი ნაწყვეტების გამოქვეყნებით დაკმაყოფილდა, მაგრამ მან ამითაც კარგი საქმე გააკეთა. თარგმანი ეკუთვნის გ. ერის-

[11] ალ. კალანდაძე „საქართველოს მოამბე", 1963, გვ. 187.

თავს, რომელმაც, იმ დროისათვის, დამაკმაყოფილებლად შეძლო ამ ბრწყინვალე კომედიის თარგმნა.

„საქართველოს მოამბეში“ (№ 3) დაიბეჭდა, აგრეთვე, რუსული ენიდან თარგმნილი მოთხრობა „ოთხი შეხვედრა“, რომელსაც დართული აქვს მთარგმნელის მიხ. ჩიკვაიძის შენიშვნებიც. თარგმანი საკმაოდ სუსტია და არც თვითონ მოთხრობა იმსახურებს განსაკუთრებულ ინტერესს.

ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბის“ მკითხველს მიაწოდა ანდრე შენიეს „ხღვათა მფლობელის“ საკუთარი თარგმანიც. ვ. ჰიუგოს შემდეგ ა. შენიე მეორე ფრანგი მწერალია, რომლის ნაწარმოებიც დაბეჭდა ჟურნალმა. დიდი ფრანგი ლირიკოსი ამ ლექსით გვაცნობს თავის პოეტურ ბუნებას, — უანგარობასა და შეუდრეკელ ხასიათს, რაც ი. ჭავჭავაძისთვისაც დამახასიათებელი იყო.

ა. შენიე თავის თავს ადარებს ღამის წყვდიადში ზღვის ტალღებთან შეჭიდებულ გონდოლიერს, რომელიც ბედნიერად მღერის და თავისი სიმღერაც უყვარს; იგი მღერის უანგაროდ, არ ცნობს განკიცხვის შიშს და არც დიდებასა და სახელს ელოდება.

— „მეც მისებრ ვმღერი უანგაროდ, შეუშინებლად,
და ხმანი, ჩემგან მოგონილნი, ხვედრს მიტკბილებენ
ცხოვრების ზღვაზედ, სად გრიგალნი შეუბრალებლად
მშფოთვარე ზვირთთა-ზედა ჩემს ნავს ატრიალებენ“...

ა. შენიეს ეს ლექსი, ცხადია, მეტად მახლობელი უნდა ყოფილიყო ი. ჭავჭავაძის პოეტური სულისათვის, რომელმაც მას დააწერინა „მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში“.

საერთოდ, „საქართველოს მოამბემ“ მკითხველს გააცნო არა მხოლოდ ცნობილი ავტორები, არამედ — მათი ის ნაწარმოებნი, რომელთა შინაარსი პასუხობდა, ან ახლოს იყო, ჟურნალის მიმართულებასა და უშუალო დანიშნულებასთან. ამიტომაც მათ კიდევ უფრო გაამდიდრეს და მრავალფეროვანი გახადეს ის ლიტერატურული მასალა, რომელიც ქართველ შემოქმედთა კალამს ეკუთვნოდა.

ყოველივე ზემოთქმული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ „საქართველოს მოამბემ“ მკითხველს მიაწოდა ღრმად იდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც მეტად უშუალოდ პასუხობდნენ ჟურნალის მიმართულებასა და იმ ამოცანებს, რომლებსაც მას რედაქტორი უსახავდა. ჟურნალმა წარმატებით გადაწყვიტა აქტუალური ეპოქისეული მოვლენების მხატვრული ლიტერატურის საშუალებით გაშუქების პრობლემა. კერძოდ, მან ქართულ მწერლობაში დაამკვიდრა კრიტიკული რეალიზმი და მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპები, მკაცრად დაგმო სოციალური უთანასწორობა და სოციალური ჩაგვრა,

— ყველასათვის ნათელი გახადა ბატონყმური სინამდვილის მოსპობის აუცილებლობა საქართველოში და ქართველ ხალხს წარუდგა სრულად გარკვეული ეროვნული პროგრამით, რომელიც, პირველ ყოვლისა, ეროვნული მთლიანობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას გულისხმობდა.

ისიც აშკარაა, რომ, ამ დიდი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტაში, მთავარი და არსებითი როლი შეასრულეს თვით ილია ჭავჭავაძის მხატვრულმა თხზულებებმა, რომლებიც, ფორმით თუ შინაარსით, ახალ და დიდ ეტაპს ქმნიდნენ ქართულ ლიტერატურაში. ჟურნალს შესაძლებლობა ჰქონდა კიდევ მეტი გაეკეთებინა ამ მიმართულებით, მაგრამ მას საგანგებოდ უხუთავდა სულს ცენზურა, რომელიც მკაცრად კრძალავდა რევოლუციური იდეებისა და განწყობილებების გამომხატველ ნაწარმოებს თუ მის ცალკეულ პასაჟებს.

ჟურნალის რედაქტორსაც ისღა დარჩენოდა, რომ თავისი შთანაფიქრის სრული რეალიზაციისათვის სხვა განყოფილებათა მუშაობის მოხერხებული წარმართვით მიეღწია.

4. პუბლიცისტიკა და ლიტერატურული კრიტიკა

როგორც ვიცით, ილია ჭავჭავაძე თავიდანვე ოფიციალურად იყო გაფრთხილებული, რომ „საქართველოს მოამბეში“ არ მოეთავსებინა პოლიტიკური ინფორმაციისა და პოლიტიკური განსჯის შემცველი სტატიები. ეს გარემოება სრულიად გასაგებს ხდიდა, რომ ჟურნალში ვერ დაიბეჭდებოდა პოლიტიკური შინაარსის პუბლიცისტური წერილები. ამგვარი ხასიათის სტატიებს, ცხადია, ცენზურა არ გაუშვებდა. ასეც მოხდა „საქართველოს მოამბეში“ არ დაბეჭდილა არც ერთი ისეთი ორიგინალური სტატია, რომელსაც წმინდა პოლიტიკური საკითხის გარკვევა ჰქონოდა მიზნად. ამგვარ კითხვებს ჟურნალი, შეძლებისდაგვარად, ეზოპეს ენით, ან არაპირდაპირი გზით პასუხობდა, რისთვისაც, უფრო მეტად შესაფერი მასალის თარგმნას მიმართავდა.

მიუხედავად ამისა, „საქართველოს მოამბემ“ მაინც მოახერხა თავის მკითხველისათვის მიეწოდებინა ისეთი საინტერესო პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც გაბედული მსჯელობა იყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართული კულტურის აქტუალურ საკითხებზე, რომელთა მართებულ გაშუქებას არსებითი ხასიათის მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის ევოლუციისათვის.

ასეთ მასალათა შორის მკითხველის ყურადღება, პირველ ყოვლისა, მიიპყრო ილია ჭავჭავაძის, გიორგი წერეთლის, კირილე ლორთქიფანიძის, დავით ყიფიანის და პეტრე ნაკაშიძის პუბლიცისტურმა გამოსვლებმა.

ამ გამოსვლაში ერთი ბაჭიის მიზანი იყო გაგრძელება იმ იდეურ-ლიტერატურული ბრძოლისა, რომელიც „ცისკრის" ფურცლებზე ილია ჭავჭავაძის „ორიოდე სიტყვის"... გამოქვეყნებით დაიწყო. საქმე ის იყო, რომ „ცისკარი" და მისი მესვეურები მაინც არ ისვენებდნენ. ისინი, თითქოსდა, სიამოვნებით შეხვდნენ „საქართველოს მოამბის" გამოსვლას, მაგრამ, სინამდვილეში, ყოველნაირად ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ მისი მიმართულებისა და ავტორებისათვის. ამიტომ, ცხადია, ვერც „საქართველოს მოამბე" ვერ იქნებოდა გულზე ხელდაკრეფილი და გვერდს ვერ აუვლიდა მტრულ თავდასხმებს, თუმცა, ამჯერად, მას მემარცხენე პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ. და აკრიტიკებდნენ არა კონსერვატორ-ლიბერალთა ბანაკის წარმომადგენლები, — „მამები", არამედ ანტონ ფურცელაძე და მის უკან მდგომი ცისკრელები, რომლებიც ყველაფერზე თანახმა იყვნენ, ოღონდ კი „ცისკარს" შეძლებოდა არსებობა გაეგრძელებინა და თავისი მკითხველი შეენარჩუნებინა.

ამგვარად, „ცისკრისა" და ცისკრელთა კრიტიკა კვლავ აუცილებელი ხდებოდა. ამ კრიტიკას კი „საქართველოს მოამბე" ორი გზით აწარმოებდა: უშუალოდ პოლემიკური სტატიებით და იმ თხზულებებითა და წერილებით, რომლებსაც ის აქვეყნებდა თავისი იდეური კრედოს შესატყვისად.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ის სტატიები, რომლებსაც ჩვენი გამოჩენილი სამოციანელები და მათი თანამებრძოლები აქვეყნებდნენ, ძნელად გასარჩევი არიან როგორც შემოქმედებითი ფორმის, ასევე ჟანრობრივი თავისებურების თვალსაზრისით: ერთი და იგივე სტატია შეიძლება მივიჩნიოთ როგორც პუბლიცისტურ, ასევე ლიტერატურულ-კრიტიკულ და მეცნიერულ სტატიად. და ეს შემთხვევითი არაა. სრულიად გასაგები მიზეზის გამო, ავტორები თავიანთი პუბლიცისტური გამოსვლის მიზნით ხშირად იყენებდნენ ლიტერატურულ თუ წმინდა მეცნიერულ თემატიკას. ამიტომაა, რომ იმდროინდელი ლიტერატურული კრიტიკა და მეცნიერული ხასიათის ნაშრომთა უმრავლესობა იმდენი პუბლიცისტური ელემენტებითაა გამდიდრებული და დატვირთული, რომ ძნელად თუ დაადგენთ მათ შემოქმედებით ფორმას. ხშირად საქმე გვაქვს შებრუნებულ სურათთანაც, მაგრამ ეს ვითარებას არ ცვლის. ფაქტია, რომ არცთუ იშვიათად გვხვდება ისეთი სტატიები, რომლებიც თითქმის ერთნაირად საინტერესოა როგორც კრიტიკის, ასევე პუბლიცისტიკისა და მეცნიერების ისტორიის თვალსაზრისით. ასეთი გარემოება განსაკუთრებით თვალში საცემია სერიოზული პოლემიკის დროს.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ კრიტიკული, პუბლიცისტური და მეცნიერული სტატიების ავტორები იყენებდნენ აზროვნების ერთსა და იმავე ფორმასა და საშუალებას, — ცნებებით აზროვნებას, რაც მათი ნააზრევის მჭიდრო ურთიერთკავშირს კიდევ უფრო აშკარას ხდის.

ლიტერატურულ კრიტიკას ბევრი სხვა საერთოც აქვს პუბლიცისტიკასთან. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ კრიტიკოსი არის ლიტერატურის თემატიკაზე მომუშავე პუბლიცისტი. კრიტიკოსსაც ხომ თანამედროვე ლიტერატურული პროცესების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ადგილისა და როლის გარკვევა აინტერესებს? ძით უშეტეს იმ ეპოქაში, როცა აზრის თავისუფლება შეზღუდულია, კრიტიკოსი ხშირადაა პუბლიცისტის როლში და პირიქით.

ამიტომაა, რომ ჩვენც მთლიანობაში გვინდა განვიხილოთ „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები.

„საქართველოს მოამბის“ პოლემიკურ სტატიათგან დიდი ყურადღება მიიპყრო გიორგი წერეთლის მიერ უაღრესად მოფიქრებულად დაწერილმა სტატიამ — „ცისკარს“ რა აკაკანებდა?!“, რომელიც ამ ჟურნალის მეხუთე ნომერში დაიბეჭდა. ნიშანდობლივი იყო ისიც, რომ, ამ სტატიით, ილია ჭავჭავაძის რაზმში გაბედულად დგებოდა კიდევ ერთი ნიჭიერი თერგდალეული, რომლის ლიტერატურული და საზოგადოებრივი იდეალების რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათი ეჭვს არავისში იწვევდა.

გ. წერეთლის სტატია გამოირჩევა ლიტერატურული მოვლენების განხილვით სპზოგადოებრივ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში. მსგავსად ი. ჭავჭავაძისა, „ცისკრის“ მიმართულების შეფასების საბაბით იგი ეხება სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებს და რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან აშუქებს მათ.

გ. წერეთელი, პირველ ყოვლისა, მოითხოვს, რომ ლიტერატურა იყოს ჭეშმარიტად ხალხური და ასახავდეს აწმყო ცხოვრების ავკარგიანობას უკეთესი მომავლის ინტერესთა შუქზე. ჟურნალი, მისი თქმით, უნდა გამოხატავდეს ხალხის აზრს და გამოთქვამდეს „ხალხის სიტყვას“. ხოლო თუ ჟურნალი არაფერს ამბობს იმაზე, რაც „სტანჯავს ხალხის ცხოვრებას“ და „არ მუსრავს იმ ნაკლულევანებებს, რაც რომ წინ უდგება ცხოვრების კეთილმდგომარეობას, და არ აჩვენებს საზოგადოებას... ჭეშმარიტებებს და კანონებს, რომლებიც ძალითაც ისპობა ეს ნაკლულევანებები, მაშინ ყოველიფერი უნაყოფოა“.

მოლაყბის /ი. კერესელიძის/ საყურადღებოდ გ. წერეთელი შენიშნავს: „ცისკარი“ იმიტომ კი არ არის ცუდი, რომ მასზე ხელს არ აწერენ, არამედ იმიტომ არ აწერენ, რომ ცუდია. ხოლო „ცისკრის“ სიცუდე ისაა, რომ მოწყვეტილია თანადროულ ცხოვრებას, ხალხის ინტერესებს, რეალური სინამდვილის ჭეშმარიტ შეცნობას და გატაცებულია ძველი ცხოვრების აჩრდილებით ან გულუბრყვილო ფანტაზიის სამყაროში ნავარდით. „აგერ ერთი საუკუნეა, — წერს გ. წერეთელი, — სპარსელების და ოსმალებისაგან განვთავისუფლდით; „ცისკრის“ რედაქტორს კი,

როგორც პოეტს, თითქო ერთი საუკუნის განმავლობაში სულ უძინიაო და როდესაც ძილისაგან თვალი გამოუჭყეტია, მოჩვენებია, ვითომც ჩვენ ისევ იმათ ხელში ვართ".

ცხოვრების სინამდვილისაგან დაცილებული ასეთი თხზულებები, გ. წერეთლის აზრით, მკითხველში ვეღარ აღძრავენ ინტერესს და ვერ დააკმაყოფილებენ მის სულიერ მოთხოვნებს. „ჩვენის ფიქრით, — შენიშნავს იგი, — გრძნობა აღიძვრის, როდესაც კაცის გონებაზედ მოქმედებს გარემო მდგომარეობა, როდესაც კაცის გულში აღძრავს რომელიმე აზრს თავად ცხოვრება და გარეგანი ქვეყნის ზემოქმედება".

გ. წერეთლის შეხედულებით, ხალხი არ შეიყვარებს იმ მწერლებს, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში ამოდიან არა რეალური, მრავალფეროვანი ცხოვრებიდან, არამედ „ცრუ გრძნობიდან" და „დამსხვრეული ფანტაზიიდან". ასეთ მწერლებს ხალხი მიუგებს ხოლმე: „ჰაერში ფრენა ჩვენ არას გვარგია.:. როგორც დედამიწის შვილები, ჩვენ მხოლოდ დედამიწაზედა ვართ წელმაგარიო". ასე დაემართა, გ. წერეთლის აზრით, „ცისკრის" მწერლებსაც.

„ცისკრის" რედაქციას, გ. წერეთლის თქმით, მცდარი შეხედულება აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე, მის მსვლელობაზე, რის გამოც სწორად ვერ ითვალისწინებს ვერც ლიტერატურისა და მწერლის დანიშნულებას. „ყოველი მომენტი", რომელსაც წარმატება შეაქვს ცხოვრებაში, შენიშნავს სტატიის ავტორი, არის ხანგრძლივი „ისტორიული ცხოვრების ნაყოფი". ამასთან „თითოეული პირის ცხოვრება იმ გვარად არის შეკავშირებული მთელ საზოგადოების ცხოვრებასთან, რომ არც შეუძლიან მის ზემოქმედებისაგან თავი იხსნას, არც მისგან გაწცალკევდეს და არც მასზედ ამაღლდეს". მაგრამ პიროვნების ღვაწლი ისტორიაში იმით უნდა შეფასდეს, თუ რამდენად სწორად შეიცნო მან თვით ცხოვრების მიერ მოშზადებული მოვლენები და „რა მხრით წარუმართავს ის", რომ მას „შესძლებოდა ცხოვრებისათვის მოეტანა იმდენი კეთილი, რამდენიც მისგან იყო შესაძლო".

გ. წერეთელი, რომელიც ასეთი მრწამსით აფასებს „ცისკრის" ავკარგს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჟურნალმა ვერ გაამართლა თავისი დანიშნულება, ობიექტური თვალით ვერ დააკვირდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათს და ვერ ჩასწვდა მის შინაგან ტკივილებს.

გ. წერეთლის შეხედულებით, ისტორია გვეუბნება, რომ „განათლების გზა მუდამ ყოფილა ავი საკვლევი" და ხანგრძლივი დრო და გონებრივი დაძაბულობა გამხდარა საჭირო, რათა ევროპას მიეღწია ცივილიზაციისათვის. და თუ ევროპაში ადამიანებმა უკვე მიაღწიეს „ბუნებისაგან შებმული მონობის ბორკილის" დამსხვრევას, „კიდევ მადლი... გონიერებას"...

ევროპის ცივილიზაციის შესახებ მსჯელობისას გ. წერეთელი ცდილობს — მკითხველი დააფიქროს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. „მთელი კაცობრიობის ცხოვრება, — წერს ის — ... თავის დავად არც ძველდება და არც წარმავალია; ძველდება მხოლოდ მისგან გამონაკლევი ფორმა, მისგან შემუშავებული საზოგადო წყობილება, რომელიც იმ დროში ამ ცხოვრების მოთხოვნილებას... აკმაყოფილებდა". ცხოვრების განვითარებისა და ადამიანთა გონებრივი ზრდის შესატყვისად „რამდენიმე საუკუნის წინ დაარსებული საზოგადო წყობილება და მისგან მონაპოვარი საშუალებაც ვეღარ აკმაყოფილებს ამ ცხოვრების მოთხოვნილებასა. აშკარაა, რომ საზოგადო ფორმამ განვლო თავისი საუკუნე. დაძველდა და ამის გამო ან სულ უნდა მოისპოს და ან გადაკეთდეს ახლად შემოსულ მოთხოვნილებისამებრ".

როგორც ვხედავთ, გ. წერეთელი გარკვევით და დამაჯერებლად მსჯელობს ძველი საზოგადოებრივი წყობილებისა და მისი ფორმების მოსპობისა და შეცვლის აუცილებლობის შესახებ, თანაც პირდაპირ ლაპარაკობს ამ მხრივ საქართველოს ჩამორჩენასა და ქართული მწერლობის პასიურ როლზე ახლისათვის ბრძოლის საქმეში. გ. წერეთლის გულისტკივილი გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველივე ამას იგი წერს ჯერ კიდევ ბატონყმურ ეპოქაში. მაგრამ გ. წერეთელი პესიმისტურად არ უყურებს სამშობლო ქვეყნის მომავალს. მას სწამს, რომ ადამიანის ცნობიერება განუწყვეტლივ მდიდრდება და ფართოვდება რის გამოც „არც ხალხის ცხოვრება არ დარჩება მუდამ ერთსა და იმავე მდგომარეობაში. აღიძვრის თუ არა ცხოვრებაში იმდენი ძალა, რომ საკმაო იქნება ახალ საშუალების მოსაპოვებლად და ძველი ფორმის გადასაგდებად, იმავე წამს ცხოვრების წინმსვლელობაც დაიძვრის და ა ტ უ დ ე ბ ა გ ა მ წ ა რ ე ბ უ ლ ი ბ რ ძ ო ლ ა ძ ვ ე ლ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ი ს და ა ხ ა ლ მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ი ს შ უ ა" (დაყოფა ჩვენია — დ. გ.)

გ. წერეთელი მკითხველს აგრძნობინებს, რომ საქართველოში გაბატონებული სოციალურ-პოლიტიკური მართვა-გამგეობის ფორმები შეცვლას საჭიროებენ; რომ ეს ფორმები ბევრად უფრო უვარგისნი არიან, ვიდრე ევროპაში მოქმედი შესაფერი ფორმები. მაგრამ იგი არც იმ შეხედულებას იზიარებს, რომ ბრმად და უცვლელად იქნეს გადმოღებული სხვა ხალხთა ცხოვრების მაგალითი. მიბაძვა, გ. წერეთლის თქმით, გარეგნული ფორმის უკრიტიკო გადმოღებას ვერ სცილდება ხოლმე, რის გამოც მას სარგებლობა ვერ მოაქვს მიმბაძველისათვის. საჭიროა ღრმად და დაკვირვებით შევისწავლოთ სხვების მიღწევები, რათა სწორად შევუფარდოთ საკუთარ მდგომარეობას; ის, რაც თავის დროზე და სხვისთვის კარგი იყო, ჩვენთვის ამჟამად შესაძლებელია საზიანოც იყოს.

თავის ამ შეხედულებას გ. წერეთელი ავრცელებს არა მარტო სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაზე, არამედ ეროვნული

მნიშვნელობის ყოველ მოვლენაზეც, მათ შორის ლიტერატურაზე. იგი იმოწმებს ფრანგულ კლასიცისტურ მწერლობას და ამტკიცებს, რომ ფრანგმა კლასიცისტებმა ბრმად გადაიღეს ანტიკური ლიტერატურის მიერ თავის დროზე შემუშავებული მხატვრული ფორმები, რომლებიც უკვე უვარგისი იყო იმდროინდელი საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ასასახავად. ამის გამო, მისი თქმით, კლასიცისტური ლიტერატურა დასცილდა ფრანგი ხალხის ცხოვრებას და არ აღმოაჩნდა უნარი შეემჩნია ის საწყისები, რომლებზეც უნდა დამკვიდრებულიყო საფრანგეთის მომავალი საზოგადოებრივი წყობა. ანტიკური ლიტერატურისადმი მიბაძვით გატაცებული ფრანგული კლასიცისტური მწერლობის ყურადღება, გ. წერეთლის შეხედულებით, შეჩერდა „მხოლოდ ერთ ტურფა და მეტად ტკბილის ენით გამოთქმაზედ და არა თვით მასში მყოფს აზრზედ. მისი პოეტები იწყებდნენ იმნაირად ყეფას, როგორც სოფოკლი, ესხილი, არისტოფანი და სხვა გამოჩენილი საბერძნეთის მწერლები: აღწერდნენ იმგვარ გრძნობებს, როგორებსაც თავის საზოგადოების ნაკლულოვანებები აღძრავდა არისტოფანისა დაევრიპიდის გულში. რასაკვირველია, რომ ამგვარ გზაზედ დამდგარი ლიტერატურა და პოეზია სრულიად უნდა განშორებოდა ხალხის ცხოვრებას: შინაგანის ცხოვრების ელემენტით გაცხოველებული პოეტის სიტყვა უნდა შეცვლილიყო ერთს ყურის მგლეჯელს ცივს ხმაზედ. ლიტერატურამ დაჰკარგა ცხოვრებაში თავისი მნიშვნელობა და, ხალხის ცხოვრებიდგან განშორებულმა, მან ვერ შეძლო მისთვისვე გამოეკვლია გონიერი და საფუძვლიანი დასაწყისები, რომელზედაც მაგრად უნდა დაფუძნებულიყო მომავალი პოლიტიკური წყობილება“ (დაყოფა ყველგან ჩვენია — დ. გ.)

მსგავსად ი. ჭავჭავაძისა, გ. წერეთელი უარყოფითი შეხედულებისაა კლასიციზმის თეორიაზე. იგი განსაკუთრებით მკაცრ ბრძოლას უცხადებს კლასიცისტური მწერლობის დრომოჭმული პრინციპების აღდგენისა და გაცოცხლების ცდებს. ამას კი უშუალო კავშირი ჰქონდა ჩვენი მწერლობის სწორი გზით წარმართვასთან.

გ. წერეთლის აზრით, ლიტერატურას სარგებლობის ნაცვლად ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის მაშინ, „როდესაც ის არ მსახურებს ხალხის ცხოვრებას“ და დროს ატარებს „ფუჭ დეკლამაციაში“. ამასთან მიმბაძველობა განსაკუთრებით მავნებელია ლიტერატურაში, რადგან მიმბაძველი მწერალი, პირველ ყოვლისა, „ხელმძღვანელობს ერთ გარეგან ბრეკალა სახით და ვერ სცნობს მის მართალს მნიშვნელობას, მის შინაგან აზრს, ურომლისოდაც თვით ელვარე ფორმა ფუჭია და მავნებელი“ (დაყოფა ჩვენია — დ. გ.).

გ. წერეთელი, რომელსაც სწორად ესმის შინაარსისა და ფორმის ურთიერთობის საკითხები, იმ შეხედულებისაა, რომ მხატვრული შემოქმედების შინაარსს, ლიტერატურის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, უნდა განაპირობებდეს ხალხის ცხოვრება, განსაკუთრებით მისი აწმყო, და მომავალი. ამასთან ლიტერატურას ყოველთვის უნდა ჰქონდეს შინაარსის შესატყვისი ფორმაც; ფორმას მხოლოდ მაშინ აქვს თავისი მაღალი მნიშვნელობა, როცა იგი შესატყვისი შინაარსის შემცველი და გამომხატველიაო.

შემდეგ გ. წერეთელი გულისტკივილით შენიშნავს, რომ ჩვენს საზოგადოებაში ხშირად მხოლოდ გარეგნული ფორმა ფასდება და არა ნამდვილი ღირსებაო. ვინც ეპოლეტებით არის შემკული, — წერს იგი, — „ჩვენი საზოგადოების ფიქრით, მხოლოდ ის არის კაცური კაცი, ბრძენი და ფილოსოფოსი. ჩვენში კაცის ღვაწლი საზოგადოების წინ და მისი გონიერება იფასვის გარეგან ელვარებით“.

თვითმყოფი და რეალისტური ლიტერატურისათვის მებრძოლი გ. წერეთელი ყოვლად დაუშვებლად მიიჩნევს მიმბაძველობასა და ახალი ცხოვრების შეუფერებელი მხატვრული ფორმების შემოტანას მწერლობაში. „ცისკრის“ ერთ-ერთ სუსტ მხარედ იგი თვლის მის წინდაუხედაობას სწორედ ამ მიმართულებით.

„ცისკარი“, გ. წერეთლის შეხედულებით, არა თუ უკან მისჩანჩალებს ცხოვრებას, არამედ სულ ჩამოსცილებია მას და ყალბი ფანტაზიის ბურუსში ახვევს მკითხველის გონებას. „ჩვენი ბედკრული „ცისკარი“, — წერს იგი, — შვიდი წლის განმავლობაში სულ იმაზე გვატარებინებს დროებას, ან ღამე როგორია, ან დღე რა რიგის სინათლით მოიცავს არე-მარეს, თუ დილა კაცის გულში რა რიგს ტკბილს გრძნობებს აღძრავს, ან თუ საღამო რა რიგის სიმშვენიერით მორთავს ბუნებას და სხვა ამგვარებით... თუ რომ ლამიდა შეტოპვას ცხოვრების მორევში, იმავ წამს ისხამდა ფრთებს ჰაერში გასაფრენად და ჩაუვარდებოდა ენა. ნამდვილის ცხოვრების თვისების მაგივრად, ფანტაზიაში შედგენილ სურათებზედ გვაცქერინებდა; რა საკვირველია, რომ ყველას მალე უნდა მოსწყენოდა ღარიბის ფანტაზიის სურათებით შემკულ ქვეყანაზედ მუდამ ყურება“.

როგორც ვხედავთ, გ. წერეთელი ავითარებს იმავე შეხედულებებს, რაც ი. ჭავჭავაძემ წამოაყენა თავის კრიტიკულ სტატიებში და განსაკუთრებით წერილში „საქართველოს მოამბეზედ“. მსგავსად ი. ჭავჭავაძისა, ცისკრის მწერლებს იგი უსაყვედურებს „ღრუბლებში ფრენას“ და ცხოვრების სინამდვილისაგან მოწყვეტას. მისი თქმით, „ცისკარი“ მეტად ცუდ სამსახურს უწევს მკითხველს, როცა აწვდის იმგვარ „საჭმელებს“ როგორიცაა ი. კერესელიძის, გ. რჩეულიშვილის, გ. ბარათაშვილისა და სხვათა მიერ „საძაგლად გადაკეთებული და... უსირცხვოდ მითვისებული“ ნაწარმოებნი. ამასთან „ცისკრის“ მესვეურთა წყალობით მეტად მნიშვნე-

ლოვან მოვლენებს „ჩაუვლია... სრულიად უნაყოფოდ საზოგადოებისათვის". ყოველივე ამის გამო, დაასკვნის იგი, „ცისკარი" ასე გაშორებულია ცხოვრების მოთხოვნილებაზედ, როგორც ცა მიწაზედ".

„ცისკრის" რედაქციის საყურადღებოდ გ. წერეთელი შენიშნავს, რომ საკმარისი არაა გამოვცეთ ჟურნალი ევროპელთა მსგავსად: საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ისიც, რომ „ევროპაში, ზოგიერთი... მიზეზების მადლობით ადრე ჩავარდა კაცი თავის გონში და მოითხოვა სასტიკ ზოგად წყობილებისაგან დაკარგული უფლება" (დაყოფა ჩვენია — დ. გ.).

ამგვარად გ. წერეთელი „ცისკრის" რედაქციას გასაგები ენით მიუთითებს ჟურნალისა და მწერლობის უახლოეს ამოცანებზე. იგი ფიქრობს, რომ მწერლობა ხალხს უნდა დაეხმაროს დაკარგული უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლაში. ხოლო თუ რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო გ. წერეთლის მიერ საკითხის ამგვარი დაყენება, ამის გასათვალისწინებლად საკმარისია მოვიგონოთ, რომ ქართველი ხალხი მაშინ განიცდიდა არა მარტო ნაციონალურ-კოლონიურ ჩაგვრას, არამედ თავისუფალი არ იყო არც ბატონყმური უღლისაგან.

გ. წერეთლის აზრით, „ცისკრის" რედაქცია ერთმანეთისაგან ვერ არჩევს ჟურნალის დაცემისა და წარმატების მიზეზებს. მაგალითისათვის ჩვენი მწერალი იღებს მოლაყბის (ი. კერესელიძის) სტატიას („ცისკარი", 1862, №10) და ანალიზს უკეთებს მის შეხედულებებს. მოლაყბე „ცისკრის" წარუმატებლობის მიზეზს ხედავს იმ კრიტიკაში, რომელიც იწერება ხოლმე ჟურნალში წარმოდგენილი მასალისა და შეხედულებათა შესახებ. ამ ჯგუფის კრიტიკოსებს მოლაყბე „ქვით მქოლავთ" უწოდებს. გ. წერეთელი, ცხადია, არ ეთანხმება მოლაყბეს დასმული კითხვის ჯერ გადაწყვეტაში და აზრთა სხვადასხვაობას, პირიქით, საზოგადოებისა და მწერლობის ღირსებად თვლის. „საზოგადოების ცხოვრებაში, — ამბობს იგი, — ... მუდამ იპოებიან სხვადასხვა ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი ელემენტები: მაშასადამე, მათში ყოველთვის უნდა სუფევდეს მუდამი ბრძოლა, რადგანაც განსვენება სიკვდილის წესია".

ამგვარად, გ. წერეთელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საზოგადოებაში ყოველთვის არის აზრთა ბრძოლა და რომ ამ ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია აზრის განვითარება. მაგრამ მან ისიც იცის, რომ ხალხი მიიღებს მხოლოდ იმ აზრს, რომელიც უფრო დასაბუთებული და დამაჯერებელია. „საზოგადოებაში, — ამბობს იგი, — ...შედის მუდამ... ის აზრი, რომელიც ყველაზედ ვრცლად, ცხოვლად და საფუძვლიანად დაიცვის, რომელიც ყველაზე უფრო ჭეშმარიტია". ამიტომ, თუ „ცისკარი" სწორ გზას ადგას, მას არ უნდა აშინებდეს აზრთა სხვადასხვაობა და მოწინააღმდეგეთა ყოლაო.

გ. წერეთელი არ იფარგლება „ცისკრის" რედაქციის საყვედურების ულოგიკობის გამომჟღავნებით. იგი კონკრეტულ მაგალითებზე დაყრ-

დნობით ცხადყოფს, თუ რამდენად არასწორ-პოზიციაზე დგას „ცისკარი“ მწერლისა და მწერლობის დანიშნულების გაგების საკითხში.

გ. წერეთელი არჩევს მოლაყბის სტატიას და ამბობს, რომ ავტორმა დასვა მეტად მნიშვნელოვანი კითხვა: „რა არის მწერალი და თვით მწერლობა?“ მართალია, ეს კითხვა არცთუ ისე ახალი და ორიგინალურია, მაგრამ სამაგიეროდ მან ისეთი პასუხი გასცაო „რომლის მსგავსი არა წარმოთქმულა რა არც ლესინგის „ლაოკოონში“ და არც ჰეგელის „ესთეტიკაში“. გ. წერეთელი სასაცილოდ იღებს მოლაყბის შეხედულებას, რომ „მწერალი არის მამა ხალხისა“, მწერალი, გ. წერეთლის თქმით, პირველ ყოვლისა, „იმ ქვეყნის შვილია, სადაც... შრომობს“; იგი შვილია იმ საზოგადოებისა, სადაც დაბადებულა და აღზრდილა. მაშასადამე, მწერალი შვილია თავისი საზოგადოებისა. მაგრამ, თუ ღრმად ჩავწვდებით კითხვას, არც ეს განმარტება აღმოჩნდება სრული და დამაკმაყოფილებელიო, შენიშნავს გ. წერეთელი და განაგრძობს: „მწერალი არის ერთი თავის საზოგადოების წევრთაგანი, ერთი იმ პირთაგანი, რომლების კრებაც შეადგენს საზოგადოებას. ის არის საზოგადოების ტანჯვის და შვების თანამგრძნობელი“. ამიტომ მისი მოვალეობაა „აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკლულოვანებების შესახებ, უჩვენოს იმ გვარი საშუალებები, რომლებიც მისი ფიქრით საუკეთესო არიან ამ ნაკლულოვანებების მოსასპობლად“.

როგორც ვხედავთ, გ. წერეთელი სამართლიანად აკრიტიკებს მოლაყბის /ი. კერესელიძის/ შეხედულებას მწერლის შესახებ /„მწერალი არის მამა ხალხისა“/ და თვითონ იძლევა საკითხის სრულიად სწორ გაგებას. მას ამ საკითხზე გათვალისწინებული აქვს ლესინგისა და ჰეგელის აზრებიც, მაგრამ თავის მსჯელობაში, პირველ ყოვლისა, ბელინსკის მოძღვრებით ხელმძღვანელობს. გ. წერეთელს კარგად ესმის მნიშვნელობა ბელინსკის სიტყვებისა: «Поэт прежде всего — человек, потом гражданин своей земли, сын своего времени»;[12] «Чем выше поэт, тем больше принадлежит он обществу, среди которого родился»...[13]

გ. წერეთელს მეტად უცნაურად, შაგრამ „ცისკრის“ თეორეტიკოს-თათვის“ ნიშანდობლივად, მიაჩნია მოლაყბის /ი. კერესელიძის/ სიტყვები: „რაც რომ ბევრ ფულს მივსცემთ მწერალს, იმდენად უფრო კარგად დასწერსო“. ამის გამო გ. წერეთელი მოხდენილად შენიშნავს: „მართალია, ფული მრავალ თავისუფლებას მისცემდა მწერალს“, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ „მწერალს ფული ჰქმნიდეს“; ეს რომ ასე იყოს, „რატომ როშტილდი არ შექსპირობს“.

ცხადია, ისტორია ბევრს ვერაფერს მოსთხოვდა იმ რედაქტორს, რომელსაც პოეტური ნიჭი და ფულით მიღებული კმაყოფილება ერთმანე-

[12] В. Г. Белинский. Собр. соч. в III томах, т. III, 1948. с. 792.
[13] В. Г. Белинский. Полн. собр. соч., т. IV 1954, с. 502.

თისაგან ვერ გაურჩევია. ამას გრძნობდა „ცისკრის“ პირუთვნელი კრიტიკოსი გ. წერეთელიც, რომელსაც ჟურნალის გამოსწორებაზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩათვალა საზოგადოებისათვის ეჩვენებინა მისი ნამდვილი სახე და „მიმართულება“. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ „ცისკარი“ სიტყვით ხშირად „იცვლიდა“ ხოლმე თავისმიმართულებას, რასაც შეეძლო მკითხველი შეცდომაში შეეყვანა.

როგორც ვიცით, 1862 წლის ბოლოდან „ცისკარს“ მიმართულებას აძლევდა ა. ფურცელაძე, რის გამოც ჟურნალის ფურცლებზე გამოჩნდა ახალი იდეებით შთაგონებული წერილებიც, მაგრამ „ცისკარს“, ფაქტიურად, ძველი გზა მაინც არ უარუყვია. ამიტომაა, რომ გ. წერეთელი შენიშნავს: „ცისკარს“ თუ თავის სიკვდილი არ უნდა, უსათუოდ უნდა დასტოვოს ის გზა, რომელზედაც აქამდის მიდიოდა... სიტყვით დატევება ცოტა არ არის, საქმით კი ჯერ ვერა ვხედავთ (დაყოფა ჩვენია — დ. გ.). გარიბალდის ცხოვრებით და სხვა ამ გვარებით თავს ვერ შეგვიხვევს იმიტომ, რომ მის გვერდში ვხედავთ ამგვარ თხზულებებს, „როგორც „მამისაგან შვილის დარიგება“ (გ. ე. ერისთავისა—დ. გ.), ქერელი ბექას (ანტონ ფურცელაძის ფსევდონიმია — დ. გ.). ბაქიობა და სხვა. ამგვარად „ცისკრის“ გზის გამოცვლა კიდევაც უფრო მავნებელია, რადგანაც ამ გვარებით შეიძლება მკითხველის თვალისაგან დაიფაროს შინაგანი ეშმაკობა“.

გ. წერეთელი არ უარყოფს, რომ „ცისკარში“ გამოქვეყნდა ბევრი საინტერესო ორიგინალური თხზულება. მათ შორის იგი, პირველ ყოვლისა, ასახელებს 50-იანი წლების ქართველ რეალისტთა თხზულებებს: დ. ჭონქაძის „სურამის ციხეს“, ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს“, პლასტიკური გრძნობით მდიდარ რ. ერისთავის ლექსებს, „ხალხური ელემენტით სავსე“ გრ. ორბელიანის ლექსებს, ა. წერეთლისა და ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთ. იგი მიესალმება ისეთ თხზულებათა თარგმანსაც, როგორიცაა შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, (თუმცა „ცისკარს“ აქაც შენიშვნას აძლევს იმის გამო, რომ მას მკითხველი არ მოუმზადებია შექსპირის ნაწარმოებთა შესაფერი გაგებისათვის!). „ევროპული საჭმელები რომ მომიტანო, — ამბობს გ. წერეთელი, — მათი ჭამაც ხომ უნდა მასწავლო როგორ უნდა. შექსპირის დრამების გასაგებად საზოგადოებას იმდენად უნდა ჰქონდეს ესთეტიკური გრძნობა გახსნილი, რომ შეიძლოს მის დრამებში თითქოს ღვთიურის ხელით აღმოხატულის ცხოვრების ჭვრეტა, კაცის გულის ისე ღრმად და ვრცლად გაგება, როგორც ის არის ნაჩვენები მის დრამებში და კომედიებში. აბა, ერთი მითხარით, რამდენ სტატიებში აუწყა საზოგადოებას „ცისკარმა“ ან პოეზიის მნიშვნელობა, ან მისი ისტორიული არსებება და ცვლილება... ან თუ რა არის პლასტიკური გრძნობა, ურომლისოდაც პოეტისაგან არ შეი-

ძლება რეალური ცხოვრების მართლად ჭვრეტა“ (დაყოფა ჩვენია — დ. გ.).

ამგვარად, გ. წერეთელი „ცისკარს“ უსაყვედურებს თეორიული საკითხების, კერძოდ, რეალიზმის პრინციპების გაშუქებისათვის გვერდის ავლას და, ამ მხრივაც, რეალური ვითარებიდან გამოდის.

ი. ჭავჭავაძის ცნობილ წერილებთან ერთად, გ. წერეთლის სტატიამ „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“ დიდი როლი შეასრულა ქართულ მწერლობაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლისა და ანტირეალისტური ტენდენციებისაგან ჩვენი ლიტერატურის განთავისუფლების საქმეში. ამასთან მისი მნიშვნელობა სცილდება წმინდა ლიტერატურულ ფარგლებს და საპატიო ადგილს იჭერს ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში საერთოდ.

*

თავისი წერილებით „საქართველოს მოამბის“ მკითხველის ყურადღება მიიპყრო კირილე ლორთქიფანიძემაც, რომელსაც, როგორც ილია ჭავჭავაძის თანამოაზრესა და თანამებრძოლს, იგი ჯერ კიდევ „ცისკრის“ ფურცლებიდან იცნობდა. ამჯერადაც მკითხველს იგი მოევლინა როგორც კრიტიკოსი და პუბლიცისტი, — პოლემიკური სტატიების ავტორი, რომელიც კვლავ „ცისკარსა“ და ცისკრელთა შეხედულებებს აკრიტიკებდა. ამ მხრივ საყურადღებოა მისი ორი სტატია: „ბიძია თონიკეს სტატიის გამო“ და „ამაო ამაოთა“ (პირველი გამოქვეყნდა ჟურნალის მეოთხე ნომერში, მეორე — მეექვსე ნომერში).

სტატიაში „ბიძია თონიკეს სტატიის გამო“, რომელიც „თერგდალეულის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა, კ. ლორთქიფანიძემ მკაცრად გააკრიტიკა „ცისკრის“ 1862 წლის მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებული ლ. არდაზიანის მხატვრული ნარკვევი „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“, რომელიც გამოქვეყნდა ფსევდონიმით „ბიძია თონიკე“.

ლ. არდაზიანის ეს ნარკვევი უაღრესად საინტერესო ნაწარმოები იყო იმ დროისათვის. მასში მწერალმა საკმაოდ მკაცრად გაკიცხა უსაქმო და ჭორიკანა მოინტელიგენტო ადამიანები, რომლებიც მაშინ, როგორც ჩანს, ბევრი იყვნენ. საგულისხმოა, რომ ავტორმა შექმნა მეტად საყურადღებო სახეები (ურცხვაძე, ახმახი, აკსინია, ველიკოუმოვი, ოსტროუმოვი და სხვ), რომლებშიც მკითხველმა ბევრი თავისი ახლობელი იცნო.

თავის ნარკვევში ლ. არდაზიანი საკმაოდ სიმპათიურად საუბრობს ი. ჭავჭავაძესა და მის გადაწყვეტილებაზე — გამოსცეს ახალი ჟურნალი, „ჟ. უ. ჭავჭავაძე და კერესელიძე ცდილობენ კარგი ჟურნალები გამოსცენ... ორივე უნდა შევიმაგროთ, თორემ თუ ერთ-ერთი იმათგანი დაეცა, — დაეცემა უთუოდ ჩვენი მიზეზით, — მაშინ ქართული ლიტერატურა

წარმატებას ველარ ჰპოვებს", — დასძენს იგი.

კ. ლორთქიფანიძემ, სამწუხაროდ ვერც თუ სწორად აღიქვა ამ ნარკვევის მთელი იდეური ღირებულება, კერძოდ — ავტორის საკმაოდ კეთილი დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძისა და მისი მსგავსი ახალგაზრდებისადმი.

კ. ლორთქიფანიძე აღშფოთებულია „ცისკრისა" და მისი თანამშრომლების პოზიციით. უკმაყოფილოა იმით, რომ ისინი კვლავ აგრძელებენ თავიანთ გაუმართლებელ თავდასხმებს ილია ჭავჭავაძეზე. „ჩვენ გვეგონა, — წერს ის, — რომ ბაასი ილია ჭავჭავაძესთან გათავდა... მაგრამ ჩვენი იმედი ტყუილი გამოდგა: 1862 წ. „ცისკრის" მეორე ნომერში კიდევ გამოჩნდა სტატია ილ. ჭავჭავაძის წინააღმდეგ". მას მხედველობაში აქვს ექვთიმე წერეთლის სტატია, რომელიც, მისი თქმით, არ ყოფილა ყურადღების ღირსი, ვინაიდან მის ავტორს მწერლობაში არაფერი მოეთხოვება, ის მისი პირველი და უკანასკნელი გამოსვლა იყო, თანაც ძველი თაობის წარმომადგენლის, მაგრამ უპასუხოდ მაინც ვერ დარჩებოდა, რადგან არავის ეპატიება ტყუილი საზოგადო საქმეში.

მით უფრო გაუგებარია კ. ლორთქიფანიძისათვის, რომ ამის შემდეგ კიდევ მოუსურვებია ბიძია თონიკეს, ილია ჭავჭავაძისა და ახალგაზრდობის გაკიცხვა, დაუწერია „ტფილისის ტროტუარზედ მოგზაურობა", რომელშიც, მისი თქმით, „ცხადად გამოიხატება თითქმის ყველა უკმაყოფილება, რაცა აქვთ საზოგადოდ ჩვენზედ ჩვენს დედ-მამებს და თანამემამულეებს".

კ. ლორთქიფანიძე ბიძია თონიკეს არ ინდობს ნასწავლი ახალგაზრდობის ხელაღებით კრიტიკისათვის. კერძოდ იმ აზრისათვის, რომელიც მას ასე აქვს გამოთქმული: „არ მიეტევებათ უგაზეთობა ჩვენს ყმაწვილ კაცებს! მაშ რისთვის გავზარდეთ უმაღლეს სასწავლებელში; რათ მოვითმინეთ მრავალი მწუხარება იმათის მოშორებით!... ვინ უგნური იტყვის, რომ ისინი არ იყვნენ მეცნიერნი, მაგრამ რადგანაც უნაყოფოა იმათი მეცნიერება, ამიტომაც ხალხი ამბობს — ფრანტობის მეტი არა უსწავლიათ რაო. ეხლანდელი ყმაწვილი კაცები მიდიან პეტერბურგს, მიიხედვენ — მოიხედვენ, წვერს გამოუშვებენ და წამოვლენ... რა კი აქ ჩამოვლენ, დადიან ტროტუარზედ და ჭეშმარიტების ნატეხებს ეძებენ... თუმცა ილია ჭავჭავაძე ერთი ყმაწვილთაგანი აპირებს ჟურნალის გამოცემას, მაგრამ ვნახოთ, რა ნაყოფს მოგვიტანს მისი ჟურნალი და რამდენს ხელის მომწერს იშოვის თავის ჟურნალის სიკარგით".

ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ამგვარ კრიტიკას მართლაც იმსახურებდა, შაგრამ კ. ლორთქიფანიძის აზრით, „ყოველს ქვეყანაში და საზოგადოებაში, ყოველს გიმნაზიელებში და სტუდენტებში, ერთისა და იმავე ოჯახში კაცები ერთმანეთს არ გვანან ძალიან ხშირად. ამისათვის არ შეიძლება, რომ ერთი და ორი რამ ცუდი გამოდგეს მათში, ყველა ცუდი.

დი იყოს, ერთი მაინც ივარგებს".

კ. ლორთქიფანიძე უდავოდ ზედმეტ სიმკაცრეს იჩენს ბიძია თონიკეს მიმართ, მაგრამ მისი სახით ყველა ცისკრელს და „მამების" ყველა წარმომადგენელს უსწორებს ანგარიშს. იგი შეშფოთებულია იმის გამო, რომ ძველი თაობა სათანადო სიმპათიით არ ეკიდება ახალგაზრდობას და ყოველმხრივ ავიწროებს მას. „თუ ჩვენგანმა რჩევა შეიტანა რისიმე, იტყვიან ჰაერში ციხე-დარბაზს აშენებსო, თუ გითხრეს რაიმე და გაგამტყუნეს, როგორ გამიბედეს გუშინდელმა ბალღებმაო, თუ მოგახსენეს რომ მეხის ტეხის დროს ილია ეტლით არ დახრიგინებსო შენ უღვთოებს დაუძახებ. ანტონ კათალიკოსი თუ პოეტად არ იცვნეს, გეგონება ქართულ ლიტერატურას აგინებენო, არ ყვარებიათ სამშობლოო".

კ. ლორთქიფანიძე მიზეზსაც პოულობს „მამების" ამგვარი ქცევის ასახსნელად. „ამაების მიზეზი, — წერს ის, — ... სულ ის არის, რომ ჯერ ჩვენში არც მამულის სიყვარულია და არც სწავლის"... ამიტომაა, რომ რუტინა მეფობს და სიახლეთა დამკვიდრებას ებრძვის ძველი თაობა. „თუ იმ ხმაზედ დაიმღერა „საქართველოს მოამბემა", როგორც ამდენს ხანს იმღეროდა „ცისკარი" და ცოტათი უფრო სქელი იქნა, ხომ კარგი, თორემ თუ ხმა გამოიცვალა და სისქით მაინცა და მაინც ვერ აჯობა „ცისკარს",... დევნას კაცი ვერ წაუვა, როგორც გადამდებ ჭირს, რადგან შენ, სპასალარი მილიონს ბრძანებლობ და ყმაწვილები მხოლოდ ათნი, თუ ოცნი არიან... მაგრამ, ვაი იმ ხალხს, საცა მიუცილებელი საჭიროა, რომ ამისთანა ჭეშმარიტების ნამტვრევები ილაპარაკონ"...

ილია ჭავჭავაძემ, ალბათ, იგრძნო, რომ ბიძია თონიკე ასეთ მკაცრ პასუხს არ იმსახურებდა, მაგრამ კ. ლორთქიფანიძის ამ სტატიის დაბეჭდვა მაინც გამართლებულად მიაჩნია, რადგან, პირველ ყოვლისა, ვერც მან მოახერხა ახალგაზრდობის სათანადოდ შეფასება, მეორეც, სტატიის ავტორი მთელი „ცისკრის" მისამართით საუბრობდა.

ნიშანდობლივია, რომ ლ. არდაზიანმა მაინც გამოთქვა თავისი გულისტკივილი, გულისტკივილი იმის გამო, რომ მისი ნარკვევი სწორად არ იყო გაგებული კ. ლორთქიფანიძის მიერ; იგი თავისი სიმპათიით, ახალგაზრდობის და, კერძოდ, ილია ჭავჭავაძის მხარეზე იყო. ალექსი ელბაქიძის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ საპასუხო წერილში („ორიოდე სიტყვა შესახებ თერგდალეულის სტატიისა"), რომელიც „ცისკრის" 1863 წლის მეექვსე ნომერში დაიბეჭდა, იგი წერს: „უ. თერგდალეული სრულიად ვერ მიმხვდარა ბიძია თონიკეს აზრსა, რომელიც იმან გამოხატა თავის „მოგზაურობაში ტფილისის ტროტუარზედ"; ამიტომაც შეუგნებლად და შეუსაბამოთ იხსენიებს ავტორსაც... უ. თერგდალეული ფიქრობს... ვითამ ბიძია თონიკე დასცინოდეს უ. ჭავჭავაძეს. ასე შეიძლება იფიქროს მხოლოდ თერგდალეულმა. მიზეზი რომ არა ჰქონდა, საიდამ დაბადა ეს მსგავსი აზრი, მიკვირს ჭეშმარიტად! არა, ნუ იფი-

ქრებათ, უ. თერგდალეულო, რომ უ. ბიძია თოსიკე უ. ჭაუჭავაძეს არ იცნობდეს თქვენზედ უკეთესად... როგორ უყურ ხედაუთ, რომ უ. ბიძია თოსიკე თქვენკენ არის და თქვენ კი — უშმაკებისაკენ".

ლ. არდაზიანის ამგვარ გამოსვლას და ასეთ განცხადებას, ისიც „ცისკრის" ფურცლებზე, მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამჯერად მან პირდაპირ აღიარა, რომ იგი ილია ჭავჭავაძის და მისი თანამოაზრეების მხარვზეა. და ეს გარემოება არც მოულოდნელად გვეჩვენებია ლ. არდაზიანი ქართული კრიტიკული რეალიზმის ერთ-ერთი პირველი და ჭეშმარიტი წარმომადგენელია. ისიც ბუნებრივია, რომ „საქართველოს მოამბეს", კერძოდ კ. ლორთქიფანიძეს, საჭიროდ აღარ დაუნახავს ალექსი ელბაქიძისათვის რაიმე პასუხი გაეცა.

თავისი შემდეგი გამოსვლა, „საქართველოს მოამბის" ფურცლებზე, კ. ლორთქიფანიძემ იოანე ბატონიშვილის „კალმასობის" გამოცემას მიუძღვნა. მისი სტატია „ამაო ამაოთა", რომელიც ჟურნალის მეექვსე ნომერში დაიბეჭდა, ფაქტიურად, წარმოადგენს რეცენზიას ამ გამოცემაზე.

ი. ბატონიშვილის „კალმასობის" ერთი ნაწილი ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ შემთხვევით აღმოაჩინა და თავისი პირველი შთაბეჭდილებები, მის გაცნობასთან დაკავშირებით, გამოაქვეყნა „ცისკრის" 1861 წლის მეოთხე ნომერში. 1862 წელს კი „ცისკრის" რედაქციამ ცალკე წიგნად გამოაქვეყნა „კალმასობის" ურთი ნაწილი, რომელსაც დართული აქვს დიმ. ბაქრაძის წერილი.

როგორც თვითონ ამბობს, კ. ლორთქიფანიძეს გაუცვნია „კალმასობის" ეს გამოცემა და მასზე დართული წერილიც, რომელიც ადრე „ცისკარში" დაიბეჭდა. და, როგორც შენიშნავს, იგი საერთოდ არ მიაქცევდა ყურადღებას ამ თხზულებას, მის შესახებ რომ სიხარულით არ ეხარებინა საზოგადოებისათვის „ცისკარს".

კ. ლორთქიფანიძის შეხედულებით, „კალმასობა" თითქმის არაფრით არ არის საყურადღებო და საინტერესო. „წიგნის ოთხი მეხუთედის მეტი მოუხმარია ავტორს სწავლის ანუ მეცნიერების სხვადასხვა შტოების განსამარტებლად და ერთი მეხუთედზედაც ნაკლები უთავბოლო ლაპარაკისათვის, რომელშიაც გაბოსტვირს ნამცეცი ნაშთი ნაციონალურის ხასიათის და ჩვეულების ბეჭედისა, რომელიც არ შეიძლება არ დააჩნდეს თვით უტალანტო კაცის ნაშრომსაც".

ერთი სიტყვით, კ. ლორთქიფანიძე „კალმასობის" მნიშვნელობასა და ღირებულებაზე მეტად დაბალი წარმოდგენისაა იმის გამო, რომ მასში მეცნიერების სხვა და სხვა დარგების განმარტება ჭარბობს, ხოლო „საშობლოს ხასიათი და ჩვეულება" მხოლოდ გაკვრითაა წარმოდგენილი. მას ვერ აუხსნია ის გარემოება, თუ რატომ ჩურდება საგანგებოდ ავტორი „პოლკების დაწყობილებაზედ, ასტროლოგიასა ანუ ცრუ ყარსკვლავთ-მრიცხველობაზედ", გრამატიკაზე დაივიწყებს პოლიტიკურ, „შათ-

ემატიკურს და ბუნებითს საგნებს". ამასთან „ცუდი ენითაც არის დაწერილი „კალმასობა".

კ. ლორთქიფანიძე საგანგებოდ ჩერდება დიმ. ბაქრაძის წერილზეც, რომელშიც სათანადო შეფასება აქვს მიცემული „კალმასობას". სამწუხაროდ, ვერც ამ წერილის შინაარსს დაურწმუნებია იგი ამ ენციკლოპედიური თხზულების დიდ მნიშვნელობაში და მეტად არაკომპეტენტურად აკრიტიკებს მასში გამოთქმულ შეხედულებებს. ეს კი ზედმეტი კადნიერება იყო კ. ლორთქიფანიძის მხრით, ვინაიდან მან კარგად იცოდა დიმ. ბაქრაძის განსწავლულობა და კეთილსინდისიერება. ასეთმა პოზიციამ კი მეტად კურიოზულ დასკვნებამდე მიიყვანა იგი. მაგალითად, იუმორის საგნად ხდის ის დიმ. ბაქრაძის გულისტკივილს იმის გამო, რომ დღემდე რამდენიმეჯერ არაა გამოცემული „კალმასობა" და დასძენს „ნეტავი ერთჯერაც რისთვის დაბეჭდესო".

თავის წერილს კ. ლორთქიფანიძე, სამწუხაროდ, თითონ უკეთებს რეზიუმეს და ხუთ თეზისად აყალიბებს საკუთარ მსჯელობიდან გამომდინარე დასკვნებს. უნდა აშკარად ითქვას, რომ ხუთივე მათგანი მცდარი და არაობიექტურია.

პეტერბურგიდან გამოგზავნილი ეს სტატია დაბეჭდა „საქართველოს მოამბემ", მაგრამ, ჩანს, გარკვეულ უხერხულობას მაინც გრძნობდა, რის გამო საგანგებო სარედაქციო შენიშვნა გაუკეთა: „ჩვენ სრულიად თანახმანი ვართ ამ სტატიის ავტორთან, მხოლოდ ჩვენა გვგონია, რომ, თუმცა მართალია „კალმასობა" დიდი არაფერია, მაგრამ მაინც იმის დაბეჭდვაში არ არის რა ცუდი, უკეთესი რომ ამოერჩიათ, კარგი იქნებოდა, რაკი ეგ ვერ მოხერხდა, რა ვუყოთ?"

ეჭვი არ არის, რომ ეს შენიშვნა კიდევ უფრო სხვა შინაარსის იქნებოდა, ანდა საერთოდ არ დაიბეჭდებოდა კ. ლორთქიფანიძის სტატია, „კალმასობის" მთლიან ტექსტს რომ გაცნობილი ყოფილიყო ილია ჭავჭავაძე. მაგრამ ამის შესაძლებლობა მაშინ მას არ ჰქონდა. ამითაც უნდა აიხსნას რედაქტორის კომპრომისზე წასვლა! ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თავის სტატიაში კ. ლორთქიფანიძე მსჯელობს ზოგადი მნიშვნელობის ისეთ საკითხებზეც, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი მკითხველისათვის. კერძოდ, იგი საინტერესოდ საუბრობს საგანთა და მოვლენათა დიალექტიკურ ბუნებაზე. „როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ესა და ეს საგანი კარგია მეთქი, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ იმ საგანშიდ ცუდი არა იყოს რა. არა, ჩვენ ვამბობთ მის სიკარგეს მხოლოდ საზოგადოდ, — სრულიად კარგი ქვეყანაზე არაფერია"; ან, როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ამ საგანში ესა და ეს კარგია, ან ცუდი, ამითი ჩვენ არ გვინდა დავამტკიცოთ, რომ საგანი უთუოდ ცუდი არის, ან სრულიად კარგი. ესეც არის, რომ სიკეთე და სიცუდე შეთანასწორებული თვისებები არიან და

როცა ვსჯით რაიმეზედ, სახეში გვაქვს ადგილი და დრო".

„ცისკრისა" და მისი მესვეურების „საქართველოს მოამბისადმი" შეუწერებელი პოზიციის სრულყოფილი გამომზეურება კლავ ილია ჭავჭავაძემ აიღო თავის თავზე. ამის უდავო დადასტურებაა „საქართველოს მოამბის" მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებული მისი „სხარტულა", რომელიც წარმოადგენს „ცისკრის" შესახებ იმ შეხედულების განვითარებას, რომელთაც მკითხველი გაეცნო სტატიებით: „ორიოდე სიტყვა"..., „პასუხი", „საქართველოს მოამბეზედ". მაგრამ, ამჯერად ილია უფრო მკაცრი და უფრო დაუნდობელია, რაც სავსებით ლოგიკური და გასაგებია: „ცისკარმა" არა თუ ვერაფერი ისწავლა და ვერაფერი დაივიწყა, არამედ კიდევ უფრო მცდარ გზას დაადგა და ყველა საშუალებით ცდილობდა სახელი გაეტეხა „საქართველოს მოამბისათვის". ამ მიზნით ცისკრელები და თვით რედაქტორი იმ დათმობაზეც კი წავიდნენ, რომ ჟურნალის ფაქტიური რედაქტორობა ანტონ ფურცელაძეს გადააბარეს. ამ უკანასკნელმაც მთელი თავისი შესაძლებლობა გამოიყენა ამ მიზნის მისაღწევად. ამიტომ, შეიძლება ითქვას, შეიქმნა კურიოზული ვითარება, რომელსაც ზოგიერთის შეცდომაში შეყვანაც კი შეეძლო; საქმე ის იყო, რომ ანტონ ფურცელაძე, საერთოდ, პროგრესული იდეების ერთგული მოღვაწე იყო.

ილია ჭავჭავაძე, ჩანს, თავიდანვე დაბალი წარმოდგენის იყო ანტონ ფურცელაძესა და მის ლიტერატურულ შესაძლებლობაზე, რის გამო არავითარი ზომა არ მიუღია „საქართველოს მოამბესთან" ამ მწერლის დასაახლოებლად. ეს გარემოებაც, ცხადია, გარკვეულად მოქმედებდა მის გადაჭარბებულ პატივმოყვარეობაზე. მით უმეტეს, რომ ი. კერესელიძემ „ცისკარი" მთლად მას გადააბარა, ოღონდაც პოლემიკა ეწარმოებინა ილიასთან და მის ჟურნალთან.

ი. ჭავჭავაძემ, და „საქართველოს მოამბემ" საერთოდ, სწორი გ[illegible] აირჩია; არ აყვა თავიდანვე ანტ. ფურცელაძეს და ყურადღება მთლიანა[illegible] იმაზე გადაიტანა, რომ მკითხველი კმაყოფილი გაეხადა. და როცა უკვე[illegible] ეთქმოდა, აღარც დაუყოვნებია. მაგრამ, ამჯერად, ილიამ „ცისკარი" და მისი გათამამებული პოლემისტი ჩვეულებრივი პასუხის ღირსი აღარ გახადა: მკაცრი ფელეტონის („სხარტულა") წყალობით დამსახურებული დაცინვის ობიექტებად აქცია ისინი. „სხარტულა" ისეა დაწერილ[illegible] რომ მასზე პასუხის გაცემა გამორიცხული იყო, თანაც მკითხველის თვის უკვე ყველაფერი ნათელი და გარკვეული გახდა. მის ავტორს არაფერი დაუტოვებია შეუმჩნეველი და უპასუხოდ. საუბრის ფორმაც ხომ იდეალურად ჰქონდა მოძებნილი და პოლემიკური ოსტატობის მაგალითიც უჩვენა მკითხველს.

ილია ჭავჭავაძემ, ამჯერად, არ ისურვა თავისი სახელით გამოსულიყო საბრძოლო მოედანზე: „სხარტულა“ ხელმოწერილი იყო ინიციალებით „გ. ჩ.“, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ იგი, თითქოს, ეკუთვნოდა „საქართველოს“ მოამბის თანამშრომელს ვ. ჰიუგოს „საბრალონის“ მთარგმნელს გიორგი ჩიქოვანს. ასეთი გზა ილია ჭავჭავაძემ, პირველ ყოვლისა, თავისი ფელეტონის პუბლიცისტური ფორმიდან, — კომპოზიციური თავისებურებიდან, გამომდინარე აირჩია: „სხარტულა“ ისეა დაწერილი, რომ იგი „საქართველოს მოამბის“ რედაქტორისადმი მიმართულ სტატიას წარმოადგენს. ფელეტონის შინაარსიდან და ფორმიდან გამომდინარე, მისი ნამდვილი ავტორი თითქოს ვერავის უნდა გამოეცნო, მაგრამ ის უმაღლესი პოლემიკური ოსტატობა, რომელიც დღევანდელ მკითხველსაც დიდ სიამოვნებას განაცდევინებს, ცხადია, მაინც ამჟღავნებდა ავტორის ვინაობას: თუ არა ილია, მას სხვა ვერ დაწერდა! მაგრამ ეს არც აფიქრებდა ალბათ, ილიას; დასამალი, ფაქტიურად, მას არაფერი ჰქონდა. მხოლოდ ფელეტონისათვის შერჩეული პუბლიცისტური ფორმა აიძულებდა მას არ მოეწერა მასზე თავისი სახელი და გვარი.

„სხარტულას“ ავტორი „საქართველოს მოამბის“ რედაქტორს მიმართავს, რომ მან კარგად იცის რატომ არ უყადრის თავს „ყურმახვილა და ენაჩლუნგ“ ქერელ ბექას (ანტ. ფურცელაძის ფსევდონიმია!) — „დულგულის თოფით შეიარაღებულ „ცისკრის“ მზედარს“; იცის ისიც, რომ „თავზედ ხელაღებული ქერელი ბექა მახეა, რომელსაც ამისთანაებში გაწვრთნილი „ცისკარი“ „მოამბეს“ უგებს“: „თუ, ვინიცობაა, თქვენმა ჟურნალმა ხმა გასცა და ბექასთან ლაპარაკი არ ითაკილა, თითონ „ცისკრის“ პატივცემული რედაქტორი მასხრად აიგდებს თქვენს „მოამბეს“ — „აკი ვამბობდი — დაიძახებს გახარებული რედაქტორი, — აკი ვამბობდი „მოამბეს“ მცირედი დარბაისლობა და თავისი პატივი არა აქვს მეთქი! აბა რომელი დარბაისელი და თავის—თავის პატივისმცემელი კაცი თავს გაუყადრებს და გაელაპარაკება ჩემგან მოწვეულ ქერელს ბექასა!... ძლივს მახეში არ გავაბი ჩვენი „მოამბე“! სახელი და დიდება ჩემს ოსტატობას!“

ამგვარი შესავალითაც უკვე გარკვეული და გამოკვეთილია როგორც „ცისკრის“ რედაქტორის, ასევე — მისი საიმედო და მებრძოლი თანამშრომლის პოზიცია და დამოკიდებულება „საქართველოს მოამბისადმი“; მინიშნებულია იმაზეც, რომ არც ივ. კერესელიძეს მოსწონს ანტ. ფურცელაძე, მაგრამ იყენებს გარკვეული მოსაზრების გამო.

„სხარტულას“ ავტორი ახლა იმ დასკვნამდე მისულა, რომ ზედმეტი მოთმინება საქმეს ავნებს. ამიტომ იგი ასე მიმართავს „საქართველოს მოამბის“ რედაქტორს: „ზომას რომ არ გადააცილონ სიხარული, „ცისკრის“ დარბაისელმა რედაქტორმა და მისმა აიარმა ქარიანმა ბექამ, მე მინდა ისე, ოხუნჯობით, გადავამტვრიო ის ღობე, რომლის იქიდამაც და-

შალულია ბექა და კენჭებს ისვრის და უკვირს კიდეცა — რატომ ამ კენჭებით ქვეყანა არ ირყევაო... ამიტომაც მე ვისურვე ისე, სხარტულა ოხუნჯობით, იმის მეცნიერების წარმოდგენა, იმის მასხრად აგდება"... მისი თქმით, „შეტად კადნიერად კუნტრუშობს საზოგადოების წინაშე" ქერელი ბექა და თავმოწონებით ლაპარაკობს ფილოსოფიაზე, პოეზიაზე, ამერიკაზე თუ საბერძნეთზე; ამის გამო, ზოგიერთ გულუბრყვილო მკითხველს მართლა ბრძენი ჰგონია!

„სხარტულას" ავტორი უფრო შორსაც იხედება. მას უნდა, რომ ქერელი ბექა აიძულოს უფრო მეტად გამოავლინოს თავისი უვიცობა და, ამით, კისერი წაატეხინოს! „ეს სტატია, — დასძენს ის, — უფრო ააყვირებს ბაქია ბექასა და მაშინ სრულიად ის ბექა ჩვენ წინ გადაიშლება, გაკაპასებული მოჰყვება ბოდვას, მითამ და კრიტიკასა წერს — მოჰყვება ბოდვას და ამ ბოდვაში ასეთს მტვერს ააყენებს, რომ თვალები აებმის და ის სახელოვანი „ცისკრის" ფალავანი წამოჰკრავს თავის სტატიასვე ფეხს და ყირაზედ გადაივლის"... მისი თქმით, ქერელი ბექა გონიერებას უკვე გადაჩვეულია, ამიტომ ამ განზრახვას იგი ვერ მიხვდება და მოედანზე გამოვა, დაიწყებს „თოფის სროლას და ჯირითს"; ამ ვარჯიშში კი „სრულის სამკაულით და ხერხით დაენახვება თავის საყვარელ „ცისკრის" მკითხველებს — თავისი პოეტი, თავისი პუბლიცისტი, თავისი კრიტიკოსი, თავისი მოზღაპრე და, ბოლოს, თავისი „თავხედი".

ამგვარი შესავლის შემდეგ იმართება დიალოგი „ცისკრის" რედაქტორსა და მის ბაქია რაინდს — ქერელ ბექას შორის. ბაქია ანგარიშს აბარებს რედაქტორს და იკვეხნის, რომ იერიში მიიტანა „საქართველოს მოამბეზე" „ცისკრის" მარტისა და ივნისის ნომრებში გამოქვეყნებული სტატიებით. თანაც კმაყოფილია იმით, რომ ჯერ მის წინააღმდეგ ხმა არავის ამოუღია. მაგრამ „ცისკრის" რედაქტორს მაინც ძალიან აფიქრებს თერგდალეულთა მოსალოდნელი გამოლაშქრება. „ის წყეული თერგდალეულები შენ არ იცი რა ხალხია! თუ ერთი ხელი შემოგვიბრუნეს, კუდით ქვას გვასროლინებენო", — მიმართავს იგი ბაქიას. ბაქია კი, თავის მხრივ, ამშვიდებს რედაქტორს: „ჩემისთანა კაცს — მოდი ისე გააბრიყვე „მოამბის" მცველები — რომ თავი გაუყადრონ და ხმა გასცენო!" „ცისკრის" რედაქტორი გაკვირვებას გამოთქვამს: „მაშ... დაჩუმდი, თუ ეგეც იციო", მაგრამ ბაქია მაინც არწმუნებს მას, რომ ყველაფერი ეს მათთვის არის სასარგებლო: „ისინი ჩემთან ბრძოლას თაკილობენ და ხმას არ იღებენ... ჩვენ საყვარელ ჟურნალის მკითხველებს კი ჰგონიათ, რომ მე ისინი შევაშინე"... ასეთი განმარტება რედაქტორსაც ჭკუაში უჯდება, მაგრამ მაინც ღელავს: ვაი თუ თავზე ხელი აიღონ თერგდალეულებმა და, შენთან ერთად, მეც მომდგნენო.

„ცისკრის" რედაქტორისა და მისი ბაქიას შემდგომ დიალოგში ოსტატურად და ფაქტობრივად არის ნაჩვენები ის ცოდვები, რაც მათ ჩაუ-

დენიათ „საქართველოს მოამბის“ მიმართ და თავიანთი მკითხველის წინაშე; ნაჩვენებია ის უეცობა თუ თავხედობა, რაც მათ, როგორც მწერლებსა და პუბლიცისტებს მოსვლიათ და საზოგადოებრივი აზრი შეცდომაში შეუყვანიათ.

„ცისკრის“ რედაქტორი თითქოს ინანიებს თავის ცოდვებს და გულნატკენი აღიარებს; „ვაი, რომ როცა ჩვენი ჟურნალი მარტო იყო—ახ, რა ნეტარი დრო იყო! — მაშინ რომ მე პირში ლაგამი ამომედო, ეხლა მე რა მიჭირდა. მაგრამ რა ვიცოდი, რომ ღმერთი ჩემზედ ისე ხელს აიღებდა, რომ „მოამბესაც“ გააჩენდა ჩემდა საუბედუროდ, რომ მცოდნოდა, რაც არ ვიცოდი იმაზედ მე წერას არ დავიწყებდი“...

ბაქია ყველაფერს უიოლებს თავის რედაქტორს, მაგრამ იგი მაინც შეწუხებულია, იცის ოდესღაც ყველაფერს მოკითხავენ. ამიტომაც თავის რაინდს ურჩევს: ფრთხილად იყოს და უფრო ბუნდოვნად წეროს! თანაც მიუთითებს მის წინდაუხედავობაზე ნ. ბარათაშვილის პოეზიის შეფასების საქმეში. ბაქია თავს იმშვიდებს იმით, რომ „ცისკრის“ მკითხველი მაინც ვერაფერს მიმხვდარა, თანაც თავის რედაქტორს მოაგონებს ერთგულ სამსახურს; „გამოგილანძღე თქვენი მტერი თ. გ. ერისთავი, რა ვიცი რაები არ დაუროშე, მითამ მესმის რამე და ვლაპარაკობ, იმასაც მიეწვდი!“ მაგრამ ბოდიშს უხდის იმის გამო, რომ „საქართველოს მოამბის“ ორი თანამშრომელი (ვ. თულაშვილი და გ. ჩიქოვანი) მაინც შეუქია! „რათ აქე? ვინ გეხვეწებოდა! — პასუხობს რედაქტორი, — ჯადო გიყო „მოამბემ“, თუ რა ღმერთი გაგიწყრა? შენ არ იცი, რომ რუსთაველიც რომ საფლავიდან ადგეს და „მოამბეს“ დაეხმაროს, ისიც უნდა ლანძღო?“

ბოლოს მაინც კლავე წაახალისებს თავის ბაქიას რედაქტორი და ლექსსაც უძღვნის.

„სხარტულას“ ავტორი მეტად მოხერხებულად იყენებს ალ. ჭავჭავაძის ლექსის „ვაჰ, დრონი, დრონის“ პოეტურ ფორმას და ივ. კერესელიძეს ასე ათქმევინებს თავის აღსარებას:

„ვაი „ცისკრის“ დრონი, ნაქებნი მტკბარად,
წარილტვნენ, გაჰქრენ სიზმრებრივ ჩქარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად
„ცისკრისა“ გარდა „მოამბეც“ გაჩნდა,
არ გიკვირთ, მხედავთ კვლავაცა სულმდგრად!
მე იგივე ვარ მარად და მარად.
გლახ ბედისაგან ეგრედ დასჯილი
მე ჩემს ბაქიას ვუწოდე ფარად,
მე კი იგივე ვარ მარად და მარად“...

საკმაოდ მოზრდილ ამ ლექსში მოხდენილადაა გაშიშვლებული „ცისკრის“ რედაქტორისა და მისი ბაქიას ჟურნალისტური კრედო და მოქალაქეობრივი უპრინციპობა.

საერთოდ, „სხარტულა“ მეტად მოხერხებული და, ამასთან, ობიექტური მხილება იყო, ერთი მხრივ „ცისკრისა“ და მისი თანამშრომლების შეუფერებელი დამოკიდებულებისა „საქართველოს მოამბისადმი“, მეორე მხრივ, იმ მცდარი მიმართულებისა, რომელსაც ბეჯითად ადგა „ცისკარი“. ამასთან ერთად მასში დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ივ. კერესელიძე და ანტონ ფურცელაძე ვერც თავიანთი სამწერლო ნიჭით და ვერც ჟურნალისტური მოღვაწეობით ვერ იდგნენ იმ სიმაღლეზე, რომ უფლება ჰქონოდათ ერის სახელით ელაპარაკათ და შეძლებოდათ ეპოქის მიერ ჩვენი ხალხის წინაშე დასმულ საკითხებზე პასუხის გაცემა.

სამაგიეროდ „სხარტულამ“ კიდევ ერთხელ ნათელყო, რომ მისი ავტორი ილია ჭავჭავაძე ყოველმხრივ და ყველაფრით შემკული იყო ესაუბრა თავისი ხალხის სახელით და ყოფილიყო მისი უპირველესი იდეური წინამძღოლი; უდავო გახადა ის გარემოება, რომ ილია-მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი — იყო მებრძოლი პუბლიცისტი და შორს მჭვრეტელი ჟურნალისტი, პოლემიკური ოსტატობის ჭეშმარიტი რაინდი, რომელსაც ხელეწიფებოდა საკადრისი მიეზღო თავისი იდეური და ლიტერატურული მოწინააღმდეგეებისათვის. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ „სხარტულა“ პოლემიკური ოსტატობის ბრწყინვალე საქრესტომათიო შედევრია. ისიც ნიშანდობლივია, რომ „სხარტულას“ ავტორს არც ის დაუმალავს, რომ მისი მიზანი იყო ფურცელაძის წარმოჩენა „სხარტულა ოხუნჯობით“, „იმის მასხრად აგდება“, მისი კადნიერი კუნტრუშისათვის წერტილის დასმა. სწორედ ამგვარმა მიზანმა განაპირობა ილიას მისვლა ფელეტონთან და ქართულ პუბლიცისტიკაში ახალი სიტყვის თქმა ამ მიმართულებითაც.

არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ „სხარტულა“ ის ბოლო ყუმბარა იყო, რომელმაც ცისკრელებს საბოლოოდ დაუკარგათ „საქართველოს მოამბესთან“ და, საერთოდ, თერგდალეულებთან კამათის მადა.

გ. წერეთლის სტატიის /„ცისკარს რა აკაკანებდა?“/ გვერდით, „საქართველოს მოამბის“ იმავე ნომერში /№ 5/ ი. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა სფ. ჩიტორელიძის /მიხეილ ყიფიანის/ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“, რომლის ბეჭდვა ჟურნალის შემდეგ ნომრებშიც /№6, 7, 8/ გაგრძელდა.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ მ. ყიფიანს დაუწერია ჯერ კიდევ 1861 წელს, როცა მკაცრი პოლემიკა წარმოებდა ი. ჭავჭავაძესა და „ცისკრის“ მწერლებს შორის, მაგრამ 1863 წლამდე არ გამოუქვეყნებია. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ილიას რედაქტორული ხელი ატყვია „სა-

ქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებულ ყველა მასალას, კერძოდ კი — „სფირიდონისა და თადეოზის ბაასს“.

ი. ჭავჭავაძე ჟურნალის ოთხ ნომერში აქვეყნებდა ამ სტატიას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მასში გამოთქმული შეხედულებანი ემთხვეოდა მომთხოვნი რედაქტორის მოსაზრებებს.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ი. ჭავჭავაძეს უნდა მოსწონებოდა, პირველ ყოვლისა, ყველასათვის გასაგები სტილისა და ენის გამო. როგორც სათაურიდანაც ჩანს, სტატია დაწერილია დიალოგის სახით: ნასწავლი ძმისშვილი სფირიდონი ლიტერატურული საკითხების გარშემო ესაუბრება ბიძას თადეოზს. ამ მხრივ იგი გვაგონებს დიდროს „რამოს ძმისწულს“.

საუბარი ეხება ძირითადად ორ საკითხს — ჟურნალ „ცისკრის“ ავკარგიანობასა და პოეზიის დანიშნულების გაგებას. ერთი სიტყვით, მსჯელობა მიმდინარეობს იმ საკითხების გარშემო, რაც დავის საგნად იყო გამხდარი იმ პერიოდში.

მ. ყიფიანის შეხედულებით, მწერლობამ ბრძოლა უნდა გამოუცხადოს სამწერლო ენის ყველა ჯურის დაშმახინჯებელთ, კერძოდ, ბარბარიზმებით ენის დამნაგვიანებელთ, მაგრამ უცხო სიტყვათა შემოტანის აუცილებლობაც სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული; შეუძლებელია ამა თუ იმ ენამ, თავისი განვითარების მანძილზე საერთოდ, უარი თქვას უცხო სიტყვების მიღებაზე. უცხო სიტყვას უნდა ვებრძოლოთ იმ შემთხვევაში, როცა თვით ჩვენს ენას მოეპოვება მისი ზუსტი ადეკვატი — შესაფერი ცნების გამომხატველი სიტყვა. ასეთი შეხედულების გასამაგრებლად სფირიდონი იშველიებს ბ. ბელინსკის იმ სიტყვებს, რომლებითაც იგი ახასიათებს შიშკოველთა და კარამზინელთა ბრძოლას რუსული ენის საკითხებზე. სამართლიანად შენიშნავს პროფ. ვ. შადური, რომ „ჩიტორელიძე ამტკიცებს ქართული ენის რეფორმის აუცილებლობას და იყენებს ბელინსკის სტატიას — „ასი რუსი ლიტერატორი“. ბელინსკის ეს წერილი ჩიტორელიძეს კარგ მასალას აძლევდა თავისი აზრების დასამტკიცებლად ქართული ენის რეფორმის აუცილებლობის შესახებ“[14].

საყურადღებოა, რომ მ. ყიფიანი ბელინსკის აზრებს სტატიაში თავისი სიტყვით კი არ გადმოსცემს, არამედ პირდაპირ თარგმნის შესაფერ ადგილებს მისი თხზულებიდან და ზოგჯერ გვერდებსაც კი მიუთითებს /გამოცემის აღუნიშნავად/.

თავის მსჯელობას რომ აჯამებს, სფირიდონი თადეოზს განუმარტავს: „რაც ჩვენთვის მიუცილებლად საჭირო არის, უნდა ვიხმაროთ: კარგი ამბავი უცხო ქვეყნისა, კარგი აზრი ჭკვიანი ხალხის ნათქვამი;

[14] ვ. შ ა დ უ რ ი, ბესარიონ ბელინსკი, 1948, გვ. 83—84.

ყოველისფერი ამორჩევით გადმოვიტანოთ ჩვენს ენაზედა, დავაკვირდეთ, გაეშინჯოთ, შევუფარდოთ ჩვენს აქბავსა და ჩვენს აზრსა და აქ შეფარდებით გავიგოთ, რა არის ჩვენში კარგი და რა არის ცუდი".

როგორც ვხედავთ, ეს შეხედულება მთლიანად ემთხვევა ი. ჭავჭავაძის მოსაზრებებს ამავე საკითხზე.

ბიძა-ძმისწულის შემდგომი საუბარი ეხება კრიტიკის საჭიროებასა და დანიშნულებას. სფირიდონი თადეოზს უმტკიცებს, რომ „კრიტიკოსი არის გამრჩევი თხზულებისა..., ცხადად მაჩვენებელი ავისა და კარგისა თხზულებაში..., ის არის დამრიგებელი და მსაჯული". ამის შემდეგ კი სფირიდონი მიმართავს თადეოზს: „რა გამოვა იმ ჟურნალიდგანა, რომელსაც არა ჰყავს კარგი დამრიგებელი, კარგი კრიტიკოსი. ვერც ერთი ჟურნალი უკრიტიკოდ ვერ იცოცხლებს, კრიტიკა არის იმისი გზის მაჩვენებელი, იმისა წინამძღოლი, იმისი სინათლე და დამრიგებელი". იგი იმ შეხედულებისაა, რომ კრიტიკოსი ავტორზე დაბლა არ უნდა იდგეს თავისი ნიჭითა და განათლებით, თორემ მის დარიგებას დიდი მნიშვნელობა არ ექნებაო.

სფირიდონი აფასებს „ცისკრის" მიერ განვლილ გზას და ჩერდება მის არსებით ნაკლოვანებებზე, რაც ერთხელ კიდევ ნათელყოფს „ცისკრის" ი. ჭავჭავაძისეული შეფასების სისწორეს. მ. ყიფიანი, პირველ ყოვლისა, იწუნებს „ცისკრის" ენას, რომელიც, მისი თქმით, ჰჭრელებულია — ერთმანეთშია არეული ძველი და ახალი ენა, რის გამოც იგი ვერ დადის მკითხველამდე. ჟურნალი უნდა ემყარებოდეს სასაუბრო ენას, ვინაიდან „მწიგნობრული ენით დაწერილი, ან იმ ბრეულ უწინდელი და ეხლანდელი ენით დაწერილი ჟურნალი, არასდროს არ შეიქმნება სახალხო ან საზოგადოდ ყველასათვის წასაკითხავი", — ამბობს მ. ყიფიანი.

მ. ყიფიანი ეხება „ცისკარში" გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებს და იმ აზრს ავითარებს, რომ „ცისკრის" ბევრი კრიტიკოსი ერთმანეთისაგან ვერ არჩევს კრიტიკასა და ლანძღვას, თანაც მეტად იოლ საქმედ მიაჩნიათ კრიტიკოსობა. თავისი შეხედულების ნათელსაყოფად იგი ახასიათებს გ. ბარათაშვილისა და ბ. ჯორჯაძის სტატიებს,

მ. ყიფიანი არ იზიარებს იმ შეხედულებას, თითქოს ნაადრევი იყოს „ცისკრის" კრიტიკა: თუ თავიდანვე არ გაითვალისწინა ჟურნალმა თავისი შეცდომები, ბოლომდე ისე დარჩებაო.

მ. ყიფიანი, სრულიად მართებულად, უარყოფით შეფასებას აძლევს „ცისკრის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ ი. კერესელიძის, ი. მამაცაშვილისა და ა. სულხანიშვილის ნაწერებს. მას არ მოსწონს „ცისკარში" დაბეჭდილი თარგმნილი თხზულებებიც. მთარგმნელმა, მისი თქმით, კარგად უნდა იცოდეს ის ენაც, რომლიდანაც თარგმნის, და ის ენაც, რომელზეც თარგმნის, ამასთან „უნდა ჰქონდეს გაწაფულობილი გემო და

განათლებული გონება". და ვინაიდან მთარგმნელი თავისუფალია სათარგმნი მასალის შერჩევაში, მან წაინტერესო ნაწარმოებნი უნდა მიაწოდოს მკითხველს. ხოლო თუ მთარგმნელი კარგად ვერ შეარჩევს სათარგმნ მასალას, რედაქტორი ხომ თავისუფალია აირჩიოს უკეთესი? მაგრამ, როგორც მ. ყიფიანი ამტკიცებს, „ცისკარი" ამ მხრივაც ცუდ მაგალითს იძლეოდა და მკითხველს სთავაზობდა „ძილგრდიანის" მსგავს თარგმნილ თხზულებებს.

მ. ყიფიანის შეხედულებით, საჭიროა ითარგმნოს საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი სხვა ენებიდან; თარგმნით უნდა შეივსოს ის ხარვეზი, რომელიც ისტორიულმა ავბედობამ დატოვა ქართული ლიტერატურის განვითარების გზაზე. მისი თქმით, „ძშვიდობიანობა... არის მიწა, რომელზედაც ამოვა ხოლმე შეცნიერების, სწავლის, ლიტერატურის ხე და ნაყოფი". ქართველებს კი ი შ ვ ი ა თ ა დ ჰქონიათ ძშვიდობიანი ცხოვრება, ხოლო, როცა ჰქონდათ /XI—XII საუკუნეებში/, კიდევაც ისახელეს თავიო.

„ცისკრის" მხატვრული პროდუქციის გათვალისწინება საფუძველს აძლევს მ. ყიფიანს განაცხადოს, რომ „მომეტებულს ნაწილს... ლექსის წერა უფრო უყვარს, პროსა აგრე რიგად არ უყვართ". საერთოდ, მისი თქმით, „დიდი ღირსება არის პოეტობა" და, როგორც სხვა ხალხთა ლიტერატურა გვიჩვენებს, არც ისე მრავალი არიან პოეტები. იგი არკვევს პოეტთა სიმრავლის მიზეზს იმდროინდელ ქართულ ცწერლობაში და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს შედეგი იყო პოეზიაზე არასწორი შეხედულების დამკვიდრებისა. ბევრ მკითხველს „ყოველი ლექსი... პოეზია ჰგონია და დაწერს პოეტს ეძახის", — შენიშნავს კრიტიკოსი.

ამიტომ მ. ყიფიანი იძულებულია თვითონ გაარკვიოს, თუ რა არის პოეზია. მაგრამ თავისი სიტყვებით სჯას ამ საკითხზე იგი ამჯობინებს მკითხველს გააცნოს შესაფერი ადგილები ბ. ბელინსკის თხზულებებიდან. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ი. ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები 60-იან წლებში, პირველ ყოვლისა, ბელინსკის ესთეტიკურ შეხედულებებს ემყარებიან და მის პოპულარიზაციას ეწევიან. მიზეზიც გასაგებია: მათ უხდებოდათ იმავე ამოცანის გადაწყვეტა, რაც რუსული ლიტერატურის სინამდვილეში წარმატებით გადაჭრა ბელინსკიმ.

სფ. ჩიტორელიძის /მ. ყიფიანი/ სტატიის საშუალებით „საქართველოს მოამბემ" ერთხელ კიდევ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება „ცისკრის" ავკარგიანობაზე და მიუთითა იმ ესთეტიკურ პრინციპებზეც, რომლებიც ი. ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლთ ჭეშმარიტად და სახელმძღვანელოდ მიაჩნდათ. სტატიის ავტორი არ მალავდა, რომ ეურდნობოდა ბელინსკისა და გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის შეხედულებებს, ოღონდ ამასთანავე საფუძვლიანად ითვა-

ლისწინებდა ქართული სინამდვილისა და ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასში“ ახალი არაფერი ყოფილა ნათქვამი ილია ჭავჭავაძის სტატიებთან /„ორიოდე სიტყვა...“, „პასუხი“, „საქართველოს მოამბეზედ“/ შედარებით, რომელთაც მკითხველი უკვე იცნობდა. ამიტომ მისი გამოქვეყნება თითქოს არც იყო გამართლებული. მაგრამ მას უფრო სხვა დანიშნულება ჰქონდა. იგი თავისებურად აჯამებდა იმ პოლემიკას, რომელიც ილიასა და ცისკრელებს შორის გაიშალა.

სფირიდონისა და თადეოზის სახით მიხ. ყიფიანმა შექმნა უაღრესად საინტერესო პერსონაჟები, რომელთაც ადვილად გამოსაცნობი პროტოტიპები ჰყავდათ. მათი სახით ერთმანეთს ესაუბრებიან ამ ორი ბანაკის წარმომადგენლები და ყველასათვის გასაგებადაა ჩამოყალიბებული მათი დავის საგანიც და განსხვავებული შეხედულებებიც. ეს გარემოება იმდროინდელი მკითხველისთვისაც იმდენად აშკარა იყო, რომ სფირიდონ ჩიტორელიძეში ყველამ ადვილად ამოიცნო ილია ჭავჭავაძე. გ. წერეთელსაც თავის „მგზავრის წიგნებში“ ჩიტორელიძის სახით ილია ჰყავს გამოყვანილი. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ეს იმის გამო იყო, რომ ფსევდონიმი „სფირიდონ ჩიტორელიძე“ თვითონ ილიას ეკუთვნოდა და ამ ფსევდონიმის გამო „შეარქვეს“ მას ჩიტორელიძე. მაგრამ ფსევდონიმი რომ ამგვარად ვინმეს შერქმეოდა, თითონ ილიას ადრევე შეერქმეოდა „ჯიმშერიძე“ ან „ზუმბერიძე“.

დიახ, მიხ. ყიფიანისა და მისი „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ დიდი ღირსება და მნიშვნელობა ის იყო, რომ სფირიდონ ჩიტორელიძის სახის შექმნით მან ყველას აჩვენა რას ფიქრობდა და რას მოითხოვდა ილია ჭავჭავაძე, რომელსაც „ცისკრელები“ ასე მკაცრად დაესხნენ თავს და ბელინსკის ტომებით შეიარაღებულ დონ-კიხოტად გაჰოაცხადეს. „სფირიდონისა და თადეოზის ბაასმა“ ყველასათვის გასაგები გახადა, რომ არც ბელინსკი ყოფილა რაღაც საშიში მოაზროვნე და არც მისი შეხედულებების ერთგული და პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე. ვფიქრობთ, არც ერთ იმდროინდელ მკითხველს არ გაჰნელებია იმის მიხვედრა, რომ სფირიდონ ჩიტორელიძის სახით მიხ. ყიფიანმა მათ წარუდგინა ილია ჭავჭავაძე თავისი ესთეტიკური კრედოთი. რაც შეეხება თადეოზს — იგი „მამათა“ ბანაკის წარმომადგენელთა განზოგადებული სახეა, მაგრამ მისი მთავარი პროტოტიპი, ვფიქრობთ, ალექსანდრე ორბელიანია. გარდა იმისა, რომ თადეოზი აშკარად ძველი ყოფის ერთგული და მეხოტბეა, მისთვის უცხო არაა ლიბერალურ პოზიციებზე ყოფნაც, — დათმობა და შეგუება, სხვისი გაკიცხვა და საკუთარი თავის გაკილვაც. მისი საუბარი მწერლობაზე, სამწერლო ენაზე, კრიტიკასა და ჟურნალის დანიშნულებაზე სავსებით ემთხვევა ალ. ორბელიანის შეხე-

დულებებს, რომლებიც მან „ცისკრის“ ფურცლებზე გამოთქვა. თავისი ბიოგრაფიული მონაცემებითაც თადეოზი აშკარად გვაგონებს ალ. ორბელიანს. მოვუსმინოთ თვითონ თადეოზს: „ყოველთვის ვკითხულობდით ხოლმე წიგნებსა, როცა—კი გვეცალა: „ვეფხის-ტყაოსანსა“, „ბეჟანიანსა“, „ყარამანიანსა“, „ვისრამიანსა“, „მოურავიანსა“ და სხვებსაცა... კარგა მოზრდილი ვიყავი, როცა შკოლაში მიმაბარეს... და დამაწყებინეს რუსული კითხვა, ქართული წიგნი კი შინ ვისწავლე. შემდგომ სამსახურში ვიყავი ცოტა ხანსა, როგორღაც ვერ შევეჩვიე ჯარში სიარულსა და მასუკან სახლ-კარობას შევუდექი. კარგად კი ვცხოვრობ, რაც შეეფერება ჩემს ხარისხსა, მაგრამ ძნელი ეს არის, რომა სიყმაწვილით სწავლას არა დავდიერა, რადგან შინაურ საქმეში ვიყავ გართული... და ასე ჩამოვრჩით, მეცა და ჩემი ამხანაგებიცა მრავალნი... რასაც გვეტყვიან, მეტი რა ღონეა, უნდა დავიჯეროთ; ჩვენი განმსჯელობა ახლანდელს სწავლაში დამდგარია. აი, ეხლა ამ „ცისკრის“ ჟურნალში ბევრს წავაწყდები ხოლმე ისეთს სიტყვებსა, რომ არ მესმის, ჩვენი უწინდებური რუსული აღარა სჭრის და საშინლადაც მეწყინება ხოლმე, რომა რად უნდათ იმ დალოცვილ მწერლებსა ამდენი რუსული სიტყვები, რო ლაპარაკში და წერაში ხმარობენ? აღარც ჩვენებურ ქართულ ენაზედა სწერენ, მეტადრე ამ წვრილფეხობამ გააჭირა საქმე, ამ ყმაწვილმა ხალხმა... ნახავთ, ვინც მოესწრებით, სანამდისინ მივა ეს ენის აღრეულობა, ბაბილონის გოდოლის აშენება იქნება სწორედ“.

არც იმან უნდა გაგვაკვირვოს, თუ რატომ ალ. ორბელიანი უნდა შეერჩია თადეოზის პროტოტიპად მიხ. ყიფიანს.

მიხ. ყიფიანმა, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძემ, კარგად იცოდა, რომ „ცისკრელთა“ ფაქტიური მესვეური ალ. ორბელიანი იყო; იგი იყო მრჩეველი და დასაყრდენი ყველა კონსერვატორისა და ლიბერალისა. ამიტომაც თავისი „პასუხი“ ილიამ სწორედ ალ. ორბელიანს მიუძღვნა, თუმცა იგი ოფიციალურად არ გარეულა მის საწინააღმდეგო ლაშქრობაში.

ამგვარად, მიხ. ყიფიანმა თავისი „სფირიდონისა და თადეოზის ბაასით“ უდიდესი როლი შეასრულა სამოციან წლებში გაშლილი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის მსვლელობაში; ილია ჭავჭავაძის ესთეტიკურ შეხედულებების დაცვისა და პოპულარიზაციის საქმეში, „საქ. მოამბის“ მაღალი ავტორიტეტისათვის ბრძოლაში. მიხ. ყიფიანი ერთი მათგანი იყო, ვინც ბურჯად ედგა „საქ. მოამბის“ რედაქტორს; არც ილია — „ივერიის“ რედაქტორი დაუვიწყნია მას შემდგომში“[15]. ამიტომაც

[15] როდესაც „ივერიაში“ თანამშრომლობა დაიწყო თავისი ძველი ფსევდონიმით /„სფირიდონ ჩიტორელიძე“/, მიხ. ყიფიანმა ასე დაიწყო თავისი პირველი სტატია: „ჩემო თადეოზ! კარგა ხანია მე შენთან საუბარი შევწყვიტე, მე მაშინ, როდესაც მიცვალებულ „ცისკარსა“ ვკითხულობდით ხოლმე სიხარბითა და სიამოვნებითა, შენ მეტყოდი ხოლმე, ნეტაი ქართული ჟურნალის ბეჭდვა არ შეწყდესო და რაც უნდა სწერონო“...

ნურავის გააკვირვებს სიტყვაძუნწი ილიას ნათქვამი მიხ. ყიფიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით: „მიხეილ ყიფიანი ერთი იმისთანა კაცი იყო, რომელთა მოვლენა და მერე გაცლა დიდხანს სტოვებს ცარიელად მის მიერ დაპყრობილს ადგილსა. როცა უნდათ შეიტყონ, ერი რა ღონისა და ძლიერების პატრონია, ყოველთ უწინარეს იმისთანა კაცებს ჩამოთვლიან, როგორიც მიხეილ ყიფიანი იყო... აი, ვინ დააკლდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერს...“ /„ივერია“, 1891, № 52/.

ისიც ნიშანდობლივია, რომ „საქ. მოამბისა“ და მისი რედაქტორის მიმართ მკაცრად განწყობილი ქერელი ბექაც /ანტ. ფურცელაძე/ იძულებული იყო დადებითი შეფასება მიეცა მიხ. ყიფიანის „სფირიდონისა და თადეოზის ბაასისათვის“.[16] ამასთან დაკავშირებით, იგი არც ლიტერატურული ეთიკის დარღვევას მოერიდა და აშკარად მიუთითა, რომ ფსევდონიმი „სფირიდონ ჩიტორელიძე‘ მიხ. ყიფიანს ეკუთვნოდა. მან კი ამის თაობაზე ყველაფერი კარგად იცოდა, ვინაიდან მიხ. ყიფიანი მისი ახლობელი ადამიანი იყო და, მასთან ერთად, „ცისკარშიც“ თანამშრომლობდა. არც სხვებისათვის ყოფილა საიდუმლო ეს ფსევდონიმი. მიხ. ყიფიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ წერილში, მისი უახლოესი ნათესავი და მეგობარი ნიკოლოზ ყიფიანი წერდა: მიხ. ყიფიანი ბევრს „შრომობდა ქართული მწიგნობრობისათვის და ქართული სასწავლებლებისათვის. ყმაწვილობაში შეადგინა მშვენივრად შემუშავებული არითმეტიკა /ქართულად/, რომლისთვისაც, მეტადრე ტერმინების გადმოთარგმნისათვის ბევრი იღვაწა, აგრეთვე სწერდა ქართული ჟურნალებისათვის და სხვათა შორის „საქართველოს მოამბეში“, რომლის რედაქტორად იყო ილია ჭავჭავაძე, თავის ნაწერებს აწერდა ჩიტორელიძის ფსევდონიმსა“.[17]

რაც მთავარია, თვითონ „ივერიამ“ ყველაფერი გარკვევით სთქვა საქმის ცოდნით დაწერილ ნეკროლოგში: მიხ. ყიფიანმა „1863 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ დაჰბეჭდა წერილები, ჩიტორელიძის სახელით ხელმოწერილი, თარგმნა ლერმონტოვის მოთხრობა „გმირი ჩვენის დროებისა“ და ზოგიერთი წერილები ბელინსკისა... 1886 წლიდამ იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთში მისი წერილები თადეოზთან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა საჭირბოროტო საგნების შესახებ, ზემოთხსენებული ფსევდონიმითვე /„სფირიდონ ჩიტორელიძე“ — დ. გ./ ხელმოწერილნი“ („ივერია“, 1891, № 48).

ამ ამონაწერიდან („1863 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“

---

[16] „ცისკარი“, 1863, № 7.

[17] „კვალი“, 1893, № 15.

დაპბეჭდა... ზოგიერთი წერილები ბელინსკისა...") ისიც გარკვეით ჩანს, რომ მიხ. ყიფიანს ეკუთვნის, აგრეთვე, „საქ. მოამბის" მეცხრე და მეათე ნომრებში „მაქსიმ ღაღანიძის" ფსევდონიმით გამოქვეყნებული „ბელინსკის აზრი შეილების აღზრდაზედ", რომელიც წარმოადგენს შესაფერი ადგილების თარგმანს ბ. ბელინსკის რეცენზიებიდან («Детские сказки дедушки Иринея» В. Одоевского; «Подарок на новый год» Гофмана).

მიხ. ყიფიანის დაინტერესება ამგვარი თემით ბუნებრივი და ლოგიკურია. იგი იყო პედაგოგი, ავტორი პირველი ქართული მათემატიკური სახელმძღვანელოებისა და, ამასთან, მთარგმნელი. გარდა ამისა, როგორც უკვე ვნახეთ, მიხ. ყიფიანი დაინტერესებული და გატაცებული იყო ბელინსკის შეხედულებებით; „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი", თავისი არსით, ბელინსკის ლიტერატურული კრედოს გადმოცემაა თვით მისი სტატიების შესაფერი ადგილების თარგმნის მეშვეობით. ანალოგიური მეთოდითაა, ამჯერადაც, წარმოდგენილი ბ. ბელინსკის შეხედულებები საბავშვო ლიტერატურის შესახებ, ბავშვის ფსიქოლოგიასა და მისი ფანტაზიის განვითარების აუცილებლობაზე.

ისიც საკვირაუდოა, რომ „საქ. მოამბეში" ხელმოუწერლად გამოქვეყნებული ზოგიერთი სხვა ნათარგმნი თხზულების მთარგმნელიც მიხ. ყიფიანი იყო, რის დადგენასაც დამატებითი კვლევა-ძიება ჭირდება.

*

„საქართველოს მოამბე" ყველა შესაძლო საშუალებით ილაშქრებდა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. იგი მკაცრად გმობდა ყოველგვარ ჩაგვრას საერთოდ და იცავდა ადამიანის ბუნებრივ უფლებებს, მოითხოვდა ხალხთა და ადამიანთა თანასწორობის პრინციპთა დამკვიდრებას. მაგრამ, ამ კეთილშობილი მიზნის აღსრულების გზაზე, იგი აწყდებოდა გადაულახავ წინააღმდეგობას ცენზურის მხრივ. ამიტომ ჟურნალის რედაქცია სხვადასხვა ხერხს მიმართავდა მოწინავე იდეების საქადაგებლად. კერძოდ, იგი თარგმნიდა ამგვარი შინაარსის სტატიებს და, ამ გზით, უფრო ადვილად ითანხმებდა ჩვენს ცენზორებს მათ დაბეჭდვაზე. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ისეთი სტატიების თარგმნა და გამოქვეყნება, როგორიცაა ნ. დობროლიუბოვის „მამა ალექსანდრე გავაცცი და მისი ქადაგება" და „ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები და იქაური ტყვეობა", რომელიც კ. ლორთქიფანიძეს უთარგმნია რუსულიდან.

ნ. დობროლიუბოვის სტატიის „მამა ალექსანდრე გავაცცი და მისი ქადაგება" გამოქვეყნება „საქართველოს მოამბის" პირველსავე ნომერში იმით აიხსნება, რომ გავაცცის სიტყვები, მიმართული იტალიელებისად-

მი, თერგდალეულებს შეეძლოთ თითქმის უცვლელად გაემეორებინათ ქართველების მიმართ. ცხადია, თვით, ნ. დობროლიუბოვსაც, როცა ამ სტატიას აქვეყნებდა, მხედველობაში ჰყავდა რუსეთი და რუსი ხალხი, რომელსაც სახალხო რევოლუციისაკენ მოუწოდებდა.

„მამა ალექსანდრე გავაცცი და მისი ქადაგება“ თავისი შინაარსით კიდევ უფრო ახლოს იყო ქართულ სინამდვილესთან. მასში წინაა წამოწეული ეროვნული გაერთიანების იდეა და დაგმობილია კუთხური პარტიკულარიზმი. ამასთან იდეა რესპუბლიკური წყობილების შექმნისა სრულიადაც არ ეწინააღმდეგებოდა ქართველ სამოციანელთა პოლიტიკურ შეხედულებებს. ამიტომაა, რომ რედაქცია საგანგებო კომენტარსაც კი უკეთებს სტატიაში ნახმარ სიტყვებს: „რესპუბლიკა“. „რევოლუცია“. კიდევ უფრო საყურადღებოა ის, რომ იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას „საქართველოს მოამბე“ ადარებს თერგდალეულობას. „დიდმა აღრეულობამ იტალიისამ რაღაც ნაციონალობის, ხალხობის აზრი წამოაყენა წინ, რომლის მოთხოვნილებასაც, მკითხველო, ჭეშმარიტი თერგდალეულობა ეტყობა“, — ვკითხულობთ ჟურნალის მეხუთე ნომერში.

როგორც ვხედავთ, იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და მისი მიზნები სავსებით შეეფერებოდა თერგდალეულთა ინტერესებს. ამით კიდევ ერთხელ აშკარავდება „აჩრდილის“, „დედა და შვილ’სა“ და „მგზავრის წერილების“ ავტორის პოლიტიკური იდეალები 60-იან წლებში.

ფრიად საყურადღებო მოვლენად უნდა მივიჩნიოთ „საქ. მოამბის“ რედაქციის გადაწყვეტილება დაებეჭდა ბიჩერ სტოუს რომანის „ბიძია თომას ქოხის“ თარგმანი, თანაც სათანადო წერილის წამძღვარებით, რათა მკითხველს გაადვილებოდა მისი შინაარსის სათანადოდ აღქმა.

სამწუხაროდ, ჟურნალის გამოცემის შეწყვეტის გამო, ეს მიზანი განუხორციელებელი დარჩა, — ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხი“ აღარ დაბეჭდილა. დღემდე მიუკვლეველია თითონ თარგმანიც, რომელიც, როგორც ჩანს, კ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნოდა, მაგრამ „საქ. მოამბის“ მეთერთმეტე და მეთორმეტე ნომრებში გამოქვეყნდა ის შესავალი წერილი, /„ჩრდილოეთის ამერიკის შეერთებული შტატები და ჰქაური ტყვეობა“/ და შესაფერი რუსული სტატიების თარგმანები, რომლებიც კ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნიან.

აღნიშნული წერილი მრავალმხრივაა საინტერესო. ამიტომ მისი ზოგიერთი პასაჟის გაცნობა ზედმეტი არ იქნება მკითხველისათვის; ამით უფრო სრული წარმოდგენა შეგვექმნება იმის შესახებ, თუ რატომ გადაწყვიტეს ბიჩერ სტოუს ამ რომანის გამოქვეყნება და რა შეხედულებისა იყო ჟურნალის მესვეურები მასში აღძრული და გაშუქებული საკითხების შესახებ.

მი, თერგდალეულებს შეეძლოთ თითქმის უცვლელად გაემეორებინათ.

„დროების დახედვით, — ვკითხულობთ წერილში, — საჭიროდ ვნახეთ წავაკითხოთ „საქართველოს მოამბის“ მკითხველებს ბიჩერ სტოუს რომანი „ბიძია ტომას ქოხი“ ანუ „ტყვეობა ჩრდილოეთის ამერიკაში“. მაგრამ ვიცით ამასთანავე, რომ რომელიმე ნაწილისათვის მკითხველებში საჭიროა წინათვე გავაცნოთ რამოდენამედ ჩრდილოეთის ამერიკის შტატები, მოვახსენოთ გარეგანი და შინაგანი ისტორია ძლიერ მოკლედ. მაინც, ვაჩვენოთ მოკლედვე იქაური პოლიტიკური წყობილება, ტყვეობის ისტორია, მნიშვნელობა, ეხლანდელი მდგომარეობა და, ბოლოს, როგორც დამატება, მიზეზები ეხლანდელის ომისა ჩრდილოეთის ამერიკაში. ძლიერ ადვილი იყო, რომ რაც ამ საგანზედ რამე ვიცოდით ჩვენისავე სიტყვებით გვეამბო, ე. ი. ისე როგორც ჩვენ გვინდოდა; ამ შემთხვევაში იმედი იყო დანაწერი გვარიანი ქართული გამოსულიყო, მაშასადამე უფრო ადვილად გასაგებიც. მაგრამ ჩვენ, სხვადასხვა გარეგანი გარემოებისა გამო, ვარჩიეთ რუსულიდამ ორი სტატიის თითქმის მრთლად გარდმოთარგმნა და რაც ისტორიას შეეხება ისტორიის კურსებიდამ გადმოწერა, სიტყვითი სიტყვად თითქმის... ისტორიული ნაწილი, რომელიც შედის შემდგომ სტატიაში, ჩვენის პაზრით, შენიშვნაა იმ ორის სტატიისა, ჩრდილოეთის ამერიკის შტატების პოლიტიკურს დაწყობილებაზედ და ტყვეობაზედ. მაგრამ ჩვენ ბევრი უცხო ენების სიტყვების ახსნა დაგვჭირდა და ისტორიული ნაწილიც რომ შენიშვნაში დაგვებეჭდა ბევრს ადგილსაც დაიჭერდა და მკითხველსაც შეაწუხებდა, მეტადრე იმისათვის რომ შენიშვნას კიდევ შენიშვნა ექნებოდა. ამიტომაც ამოვუყენეთ ის გვერდით რუსი მწერლების სტატიებს“.

ამის შემდეგ დაბეჭდილია სტატიები: „ჩრდილოეთის ამერიკის შტატების დაფუძნება და იმათი განთავისუფლება ინგლისის მფლობელობისაგან“ და „ამერიკის დემოკრატიის დასაწყისები და ევროპიელების ამერიკაში გადასახლების მიზეზები. — ჩრდილოეთის ამერიკის შტატების პოლიტიკური დაწყობილება“.

მოტანილი ამონაწერი, მართალია, მოზრდილი გამოვიდა, მაგრამ, სამაგიეროდ, იგი თითონ იძლევა პასუხს თითქმის ყველა წამოჭრილ კითხვაზე. პირველ ყოვლისა, მითითებულია იმაზე, რომ ბიჩერ სტოუს „ბიძია თომას ქოხის“ გამოქვეყნება რედაქციას გადაუწყვეტია არა შემთხვევით, არამედ „დროების დახედვით“, ე. ი. შესაფერი სიტუაციის გამო; ჩანს, მასში ხედავდნენ ქართული სინამდვილისა და ქართველი მკითხველისათვის სასარგებლო სჯასა და შეხედულებებს. ამასთან ერთად, კ. ლორთქიფანიძე პირდაპირ აცხადებს, რომ უფრო ადვილი იყო ამ საკითხებზე თითონ ჩვენ გვემსჯელა, „ისე როგორც ჩვენ გვინდოდა“, მაგრამ „სხვადასხვა გარეგანი გარემოების გამო, ვარჩიეთ რუსულიდამ ორი სტატიის თითქმის მრთლად გადმოთარგმნა“ და „რაც ისტორიას შეეხება ისტორიის კურსებიდამ გადმოწერა სიტყვითი სიტყვად თითქმის“.

დიახ, იმის გამო, რომ ცენზორი უფრო ლმობიერი ყოფილიყო, ორიგინალური სტატიის დაწერას ამჯობინებდნენ შესაფერი შინაარსის მქონე რუსული სტატიის თარგმნას. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ რუსეთის იმპერიის პერიფერიებში ცენზურა უფრო მეტ სიმკაცრეს იჩენდა, ვინემ დედაქალაქში.

საგულისხმოა, რომ ამგვარ თარგმნილ სტატიებს რედაქცია თუ მთარგმნელი, უმეტეს შემთხვევაში, სქოლიოში ურთავდა ცალკეული ცნებების განმარტებას, რათა უფრო გასაგები გაეხადათ ის აზრები, რომელთა მკითხველისათვის მიწოდება მთავარ საქმედ მიაჩნდათ. ამიტომაა, რომ კ. ლორთქიფანიძეც საგანგებოდ შენიშნავს: „ჩვენ ბევრი უცხო ცნების სიტყვების ახსნა დაგვჭირდაო". დიახ, მას საგანგებოდ აქვს განმარტებული „პარლამენტი", „დემოკრატია", „ფეოდალური სისტემა", „კომმუნური დაწყობილება", „პრივილეგია" და სხვ. ყველა ეს ცნება განმარტებულია შთამბეჭდავად და მრავალისმეტყველად; შეუძლებელია წამკითხველში მას არ გაუჩნდეს ღრმა დაფიქრება და სასურველი განწყობილება. თვითონ ნათარგმნი სტატიებითაც მკითხველი ბევრ საგულისხმო ფაქტს გაეცნობოდა და, რაც მთავარია, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად აღინთებოდა. ეს სტატიები, როგორც უკვე შენიშნულია, „აშკარად რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების მატარებელია"[18].

შთამბეჭდავი და მრავალისმეტყველია თვით მთარგმნელის მიერ გაკეთებული დასკვნა: „ტყვეობა /ცნება „ტყვეობას" იგი ხმარობს „მონობის" სინონიმად — დ. გ./ დარჩება საუკუნო, განუბანელ ჩირქად ყველაზედ, ვინც კი ამ საქმეში შეწევია როგორმე პლანტატორებს იმ საწყლების გამართლებად, იმათ უღელს ქვეშ რომ დაუკარგავთ კაცობრივი სახე და ყოველი კაცობრივი ნიჭიერება".

ამგვარად, ნ. დობროლიუბოვის „მამა ალექსანდრე გაყაცი და მისი ქადაგების" და კ. ლორთქიფანიძის მიერ ნათარგმნი 'სემოთ განხილული სტატიების გამოქვეყნება იმაში გვარწმუნებენ, რომ „საქართველოს მოამბის" რედაქტორსა და მის თანამშრომელთ ხელეწიფებოდათ სათარგმნად შეერჩიათ ისეთი მასალა, რომელიც კარგად მიესადაგებოდა იმდროინდელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებს, გაჟღენთილი იყო რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით და, ამასთან, მათი დაბეჭდვაც მოსახერხებელი იყო.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ „საქ. მოამბის" რედაქცია შესაფერ მომენტს ვერ იყენებდა პოლიტიკური ჟღერადობის მქონე ორიგინალური წერილების დაბეჭდვისათვის. იგი უაღრესად მობილური იყო ამ მი-

---

[18] პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, 1941. გვ. 377.

მართულებითაც; ამას მოწმობს ურხალში დაბეჭდილი მისაური მისალმება და პეტრე ნაკაშიძის „სამგზავრო წერილები".

პ. ნაკაშიძის „სამგზავრო წერილები" /№ 7/ მიძღვნილია პოლონეთის 1863 წლის აჯანყებისადმი. ამ აჯანყებითა და მისი ბედით, ცხადია, უაღრესად დაინტერესებული იყო პროგრესულად განწყობილი ქართველი საზოგადოებრიობა. მის შედეგებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი მოწინავე მოღვაწეების სამოქმედო პროგრამისათვის. ეროვნული თავისუფლებისათვის შეძლებამ ბრძოლის სათანადო ტაქტიკის შესამუშაებლად. მაგრამ ამ თემაზე წერა მეტად საფრთხილო და სახიფათოც იყო, თან გვერდის ავლაც არ შეიძლებოდა. ამიტომ „საქართველოს მოამბემ", თავის მეშვიდე ნომერში, დაბეჭდა პ. ნაკაშიძის „სამგზავრო წერილები", რომელსაც შეუძლებელია მკითხველის ყურადღება არ მიეპყრო.

პ. ნაკაშიძე რეპორტიორის როლში გველინება: იგი აღწერს და საუბრობს იმაზე, რისი მნახველი და მოწმე თვითონ იყო. ამიერიდან მისი მონათხრობი საგანგებო მნიშვნელობას იძენდა, მით უმეტეს, რომ იგი ჩვენი ხალხისათვის უაღრესად აქტუალურ მოვლენას ეხებოდა.

პოლონეთი და საქართველო, მეფის რუსეთის იმპერიაში, დაახლოებით ერთნაირ ბედს იზიარებდნენ. პოლონელი და ქართველი ხალხისათვის სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა ეროვნული თავისუფლება. კოლონიალური სავგრისაგან თავის დაღწევა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ქართველი პუბლიცისტი დიდი სიმპათიით საუბრობს თავისუფლებისათვის მებრძოლ პოლონელ ხალხზე, მათ ერთიანობასა და თავდადებაზე სამშობლოს ღამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. რაც ძალაარია, იგი, ჩანს, კარგად იცნობდა ამ აჯანყების ბევრ მეთაურს. მოწმე იყო აჯანყების მონაწილეთა პატრიოტული აღტყინების, საუბრობდა ამათთან და აკვირდებოდა მათ ფსიქოლოგიურ განწყობილებას. ამასთან, თავისი „ტურისტული მოგზაურობა" მას ჩაფიქრებული ჰქონია ფართო მასშტაბით: პოლონეთ, გერმანია, საფრანგეთ, იტალიის მოვლით დაბრუნებულიყო საქართველოში. ამგვარ მარშრუტზე ყურადღების გამახვილება იქნებ გარკვეული პუბლიცისტური ხერხიც იყოს, — არ უნდა ხაზი გაესვას პოლონეთში ჩასვლით საგანგებო დაინტერესებას, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ მას იტალიის მონახულებაც აინტერესებს; ამ ქვეყნის ცხოვრებაც ხომ დიდ ყურადღებას იქცევდა მაშინ გარიბალდის ბრძოლების გამო!

მთავარი მაინც ისაა, რომ სათანადო ქვეტექსტების წყალობით, პ. ნაკაშიძე ქართველ მკითხველს არა მარტო კარგად აცნობს პოლონელი ხალხის სულიერ განწყობილებასა და პატრიოტულ სულისკვეთებას, სურს თავისი მონათხრობი მაგალითის უფლებებით აღჭურვოს.

მისი თქმით, კეთილად და თავისუფლად ცხოვრება ყველა ხალხს

სურს, მაგრამ „ხალხიც არის და ხალხიც. ზოგის სურვილი ისეთივე სუსტია და დამჭკნარია, როგორც თვითონ ხალხია გათელილი და წელმოწყვეტილი, ზოგს კი იმდენად შერჩენია კაცობრიული გრძნობა, რომ მისთვის სიცოცხლე და კეთილი ცხოვრება განუყოფელია, ერთი უმეორედ იმისთვის მითამ არც კი ყოფილა. იმისთანა ხალხი კი სულ მუდამა დუღს, ან გულისწადილს აღისრულებს ან არა და იმ წადილს ზედ შეაკვდება. ამისთანა ხალხს ვერაფერი ვერ შეაყენებს!"

ამ მრავლისმეტყველი მსჯელობით, პუბლიცისტი, ცხადია, თავის თანამემამულეებს თავისუფლებისათვის ბრძოლისა და პატრიოტული თავდადებისაკენ მოუწოდებს.

მართალია, ჩვენ შორსა ვართ იმ შეხედულებისაგან, რომ პ. ნაკაშიძის „მგზავრის წერილები" პუბლიცისტური შედევრია თუნდაც იმდროინდელ ქართულ მწერლობაში, მაგრამ მისი აქტუალობა და დიდი ემოციური ზემოქმედების ძალა ეჭვს არ იწვევს. იგი სავსებით პასუხობდა „საქართველოს მოამბის" რედაქტორის ერთვნულ იდეალებს! ისიც აშკარაა, რომ მის სრულად გამოქვეყნებას კიდევ უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეეძლო სამოციანი წლების რევოლუციურ-დემოკრატიული პუბლიცისტიკის სიმკვეთრისათვის.

ყველგან, სადაც დღის წესრიგში დამდგარა რევოლუციური გარდაქმნების აუცილებლობა და რევოლუციურ სიტუაციას თავისი დიდი ზემოქმედება მოუხდენია საზოგადოებრივ აზრზე, მკაცრად დასმულა საკითხი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, ვინაიდან ამ უმძიმეს სასჯელს, პირველ ყოვლისა, რევოლუციონერთა წინააღმდეგ იყენებდნენ. ამიტომ ბრძოლა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, იყო ბრძოლა ხალხის მოწინავე შვილების გადასარჩენად. ამის გამო სრულებით არ გვაკვირვებს „საქართველოს მოამბის" დაინტერესება ამ საკითხით და მის შესახებ ვიქტორ ჰიუგოს შეხედულების გაცნობა მკითხველისათვის.

„საქართველოს მოამბის" მერვე ნომერში დაიბეჭდა წერილი „სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თაობაზედ ვიქტორ ჰიუგოს წიგნი", ისეთი დიდი მწერლისა და მოაზროვნის, როგორიც ვიქტორ ჰიუგო იყო, შეხედულება ადამიანის სიკვდილით დასჯის შესახებ, ცხადია, ყველასათვის საყურადღებო იყო და მას ყველა განსაკუთრებული ინტერესით გაეცნობოდა, მაგრამ „საქართველოს მოამბემ" ჰიუგოს წერილს წინ წარუმძღვარა მთარგმნელის წინასიტყვაც, რომელიც, თავის მხრივ, ბევრზე მეტყველებს.

„რაც კი ევროპაში დიდი სახელმწიფოა, — ვკითხულობთ მასში, — ყოველგან სისხლის რჯულის დებაში, სხვათა სასჯელთა შორის, არის სიკვდილით დასჯაცა, და სამწუხაროდ, ხშირად იხმარება საქმეში. მხოლოდ წვრილი სამთავროები, როგორც მაგალითებრ — ოლდენბურგი და ნასსაუ გერმანიაში, სან მარინო და ტისკანა იტალიაში, ფრიბურის და ნევშატელის კანტონები /ოლქი, მაზრა/ შვეიცარიაში — ესენი არც ერთს დანაშაულობაში სიკვდილით დასჯას სრულიად არა ხმარო-

ბენ. სიკვდილით დასჯის გადაგდებაზე ატეხეს ლაპარაკი ჯერ კიდევ წარსული საუკუნის მეორე ნახევარში — ბეკარიომ, მონტესკიომ და სხვა პუბლიცისტებმა და დღესაც მაგ საგანზედ გაცხარებული ბაასია მწერალთა და სახელმწიფო კაცებ შორის. ეხლა ეგ საქმე იქამდინ არის მიყვანილი, რომ თითქმის დაამტკიცეს, რომ სიკვდილით დასჯა არ თუ საჭიროა და თეორიით შეუწყნარებელია, არამედ გადაწყვეტილად მავნებელია. ჩვენ ამის გამოკვლევას არ გამოუდგებით, ვისაც უნდა დაწვრილებით ამის გასინჯვა, წაიკითხოს გამოჩენილი კრიმინალისტის /სისხლის სამართლის მცოდნე/ მიტერმაიერის თხზულება. ჩვენ ძარტო გაცნობებთ, რომ ჟენევის რესპუბლიკამ /შვეიცარიაში/ ფეხზედ წამოაყენა ეგ საქმე, როცა თავის კონსტიტუციის გადაჩხრეკას შეუდგა. ჟენევის კონსტიტუციის კრებამ, 43 ხმით 5-ის თუ 6-ის წინააღმდეგ, გადაჰწყვიტა, რომ ჟენევის სისხლის რჯულის-დებაში სიკვდილით დასჯა უნდა დარჩეს. მაგრამ, რადგანაც ჯერ კიდევ ეგ საქმე სრულად დაბოლოვებული არ არის და ახლო ხანში ხელახლად უნდა გაისინჯოს, ამის გამო ჟენევის სარევიზიო კომისიის ერთმა წევრმა ვიქტორ ჰიუგოს წიგნი გაუგზავნა და ჰსთხოვა, რომ ამ დიდი საქმის გადაწყვეტაში შემწეობა არ დაიშუროს. ამ კომისიის მწევრთა აი რა პასუხი მოსწერა 17 ნოემბერს 1862 წ. ვიქტორ ჰიუგომ".

და ამ შესავალს მოჰყვება ვ. ჰიუგოს წერილი, რომელშიც იგი ილაშქრებს სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. წერილი იწყება ღრმა თანაგრძნობის გამომხატველი სიტყვებით: „ბატონებო! თქვენ მშვენიერი საქმე დაგიწყვიათ; თქვენი ღვაწლი და ცდა კეთილშობილურია, თქვენი სიტყვები მშვენიერნი არიან. თქვენ გჭირდებათ დახმარება და მე მომიკითხეთ. მადლობელი ვარ. თქვენ მეპატიჟებით და მეც თქვენთან მოვისწრაფი. თქვენ მოგდომებიათ სასახელო ნაბიჯის გადადგმა, თქვენი საზოგადო აგებულების გასწორება...".

როგორც ვხედავთ, „საქართველოს მოამბის" რედაქციამ მკითხველს გააცნო არა მხოლოდ ვიქტორ ჰიუგოს აზრი სიკვდილით დასჯის შესახებ, არა მარტო თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, არამედ რესპუბლიკური მმართველობის ღირსებები საერთოდ; ყოველი საკითხის გადაწყვეტა ბეჯითი განხილვისა და აზრთა შეხლა-შემოხლის შემდეგ ხდება. არჩევითი ორგანოები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან კონსტიტუციის ტექსტის დაზუსტებასა და მის ძალაში შესვლას. ამისათვის არ თაკილობენ არც სხვა ავტორიტეტულ პირთა აზრების შეტყობას.

ვიქტორ ჰიუგოს წერილის თარგმანი და მთარგმნელის წინასიტყვა „საქართველოს მოამბეში" დაბეჭდილია ინიციალებით „ბ. ვ." /ამ ინიციალებით დაბეჭდილია სხვა თარგმნილი სტატიებიც/. სათანადო ცნობების უქონლობის გამო, ძნელია ამ ინიციალების იქეთ რო-

ასეთივე ჩვენი მოღვაწე გამოვიცნოთ, მაგრამ ის კი უდავოა, რომ იგი დაიბეჭდა ილიმთხოვნი რედაქტორის სურვილითა და თანხმობით, იურისპრუდენციაში განსწავლული ილია ჭავჭავაძის სრული თანაგრძნობით. ეს პრობლემა ხომ ბოლომდე აწუხებდა დიდ მწერალსა და მოაზროვნეს?

*

„საქართველოს მოამბის“ პუბლიცისტურ სამყაროში მკითხველს განსაკუთრებით იზიდავდა ე. წ. შინაური მიმოხილვები, რომლებიც ხშირად გამდიდრებული იყო უცხოური ამბებითაც.

როგორც ცნობილია, ამ პუბლიცისტურ ჟანრს ყოველთვის წარმატებით იყენებდა ყოველი რიგიანი პერიოდული ორგანო და დიდ საშსახურს უწევდა თავის მკითხველს საჭირო ინფორმაციის მოწოდებით, ეხმარებოდა მას სწორი სოციალური ორიენტაციის შემუშავებაში.

„საქართველოს მოამბეში“, ამ მიმართულებით, ყურადღებას იქცევს ვახტანგ თულაშვილის „შინაური მიმოხილვა“ /№ 1/, დავით ყიფიანის „სხვა და სხვა ამბავი“ /№ 3, 4, 5/ და, ჟურნალის მეორე ნომერში, ამავე რუბრიკით დაბეჭდილი ე. მაღალაშვილისა და დავით ყიფიანის წერილები.

„საქართველოს მოამბის“ საპროგრამო განცხადებითვე ცნობილი იყო, რომ „სხვა და სხვა ამბავის“ განყოფილების ხელმძღვანელი დავით ყიფიანი იქნებოდა. მართლაც, ამ განყოფილებას იგი წარმატებით უძღვებოდა და ჟურნალის პირველ ხუთ ნომერში სათანადო რუბრიკაც იყო („სხვადასხვა ამბავი“), რომელსაც მეექვსე ნომრიდან, ცენზურის წყალობით, ველარ ვხედავთ. ამის შემდეგ არ დაბეჭდილა არც სხვა რომელიმე წერილი მისი ხელმოწერით. ამ დროიდან დავით ყიფიანი საერთოდ ჩამოცილდა ჟურნალს, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზის გამო. თავდაპირველად კი იგი ჟურნალის ყველაზე ახლო თანამშრომელი და რედაქტორის უახლოესი თანამებრძოლი იყო!

„საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში უნდა დაბეჭდილიყო სწორედ დავით ყიფიანის შინაური მიმოხილვა, მაგრამ იგი ცენზორმა არ გაუშვა. რედაქტორმა ეს ხარვეზი ვახტანგ თულაშვილის „შინაური მიმოხილვით“ შეავსო.

ვ. თულაშვილი, ამ დროისათვის, ცნობილი პიროვნება იყო ქართველი ინტელიგენციის წრეში. მას უკვე იცნობდნენ როგორც ნიჭიერ ახალგაზრდა პედაგოგს და ქართულ ენაზე არითმეტიკის პირველი სახელმძღვანელოს შემდგენელს /მიხ. ყიფიანის თანაავტორობით!/.

ვ. თულაშვილის „შინაური მიმოხილვა“ უშუალოდ იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეხმაურება. ამაშია მისი აქტუალობა, ამით

მიიპყრო მან, უპირველეს ყოვლისა ყურადღება. ამასთან ერთად, მის მიერ დასმული ყოველი საკითხი კრიტიკულად, რევოლუციურ-დემოკრატიული თვალთახედვითაა გაშუქებული. ამიტომ არავინ გაიკვირვებდა, თუ რატომ იყო მისი სტატია ცენზორის მაკრატლით დასერილი და დაჩითული — ძრავალწერტილით.

ვ. თულაშვილის სტატიის შინაარსი განათლებისა და აღზრდის საკითხების ფონზეა გაშლილი, მაგრამ იგი აშკარად სოციალურ-პოლიტიკური ხასიათისაა. სწორედ ამაში ვლინდება პუბლიცისტის ნიჭი და ოსტატობა, რის გამო შინაური ცხოვრების ეპოქის მოწინავე იდეების გადმოცემის საბაბი ხდება მხოლოდ; ყველასათვის მისაწვდომი ცხოვრებისეული ფაქტები და მოვლენები დანახული და შეფასებულია განვითარების ისტორიული კანონზომიერებისა და მიზეზ-შედეგობრივი მიმართების პრინციპებიდან გამომდინარე.

ვ. თულაშვილს მიზნად დაუსახავს თავისი მკითხველი დაეფიქრებინა იმაზე, თუ რა ხასიათისა იყო სწავლა-განათლება მე-19 საუკუნის საქართველოში. ამ საბაბით კი იგი ახასიათებს ამ პერიოდის ქართველ თავად-აზნაურთა საზოგადოებრივ როლს. უფრო სწორად, ამ გზით იგი გარკვეულად მიუთითებს იმაზე, რომ თავადაზნაურულ წოდებას დაუკარგავს თავისი ისტორიული მისია, იგი მთვლემარე მდგომარეობაშია, უკან მიჩანჩალებს ცხოვრებას და საზოგადოებრივი პროგრესის მუხრუჭად გამხდარა.

ვ. თულაშვილის თქმით, ჩვენი თავადაზნაურობის დიდმა ნაწილმა სამხედრო საქსახურს მიაშურა და დაკარგული პრივილეგიების კომპენსაციას ამ გზით მიღებული ჩინ-მედლებით ცდილობს. მაგრამ ყმასა და მამულზეც არ იღებს ხელს და, „ასტავკაში" გამოსვლის შემდეგ მამა-პაპურ საქმიანობას აგრძელებს. მართალია, დრო და დრო, ამ წრის წარმომადგენლებიც, თავის გამოჩენის მიზნით, „ჩოხებში გამოწკეპილნი" და ხმლებჩამოკიდებულნი, დაიარებიან სხვადასხვა თავყრილობაზე მაღალი თანამდებობის მოხელეთა პატივსაცემად, მაგრამ არავითარ როლს აღარ ასრულებენ ქვეყნის ცხოვრებაში. მეორე, უფრო შეძლებული ნაწილი თავადაზნაურობისა კი დაკმაყოფილებულა თავისი ადრინდელი მოღვაწეობით და ახლა შორიდან ადევნებს თვალს საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ამგვარად, ვ. თულაშვილი პერსპექტულს ვეღარაფერს ხედავს ამ ერთ დროს სახელმოხვეჭილი წოდების სიტყვასა და მოქმედებაში. ჩანს, მას სურდა თავისი აზრი გამოეთქვა „რაზნოჩინელებზეც", მაგრამ მასსა და მკითხველს შორის ცენზორი ჩამდგარა თავისი მაკრატლით. მიუხედავად ამისა, იგი ახერხებს იმის თქმას, რომ იმდროინდელი საზოგადოება მხოლოდ მათით არ ამოიწურება, უკვე მოქმედებს „ახალი თაობა", ე. წ. „რუსეთელები", რომელთა შესახებ მსჯელობას იგი, მართალია,

გვპირდება, მაგრამ შემდეგში მას ვეღარ ვხედავთ ჟურნალის ფურცლებზე.

ვ. თულაშვილი საგანგებოდ მსჯელობს იმის თაობაზე, თუ რა გზით და როგორ განათლებას იღებდნენ თავად-აზნაურთა წრიდან გამოსული ახალგაზრდები; რა ამოძრავებდათ მათ განათლების მისაღებად და რისთვის იყენებდნენ მიღებულ ცოდნას. ამ მსჯელობიდან გამომდინარე იმ დასკვნამდე მივყევართ, რომ თავად-აზნაურთა წოდების წარმომადგენელთა დიდი უმრავლესობა განათლებას ღებულობდა სახელმწიფო სამსახურში შესასვლელად და ჩინ-მედლების მისაღებად. ასეთ გზას კი იგი ახალი ცხოვრების ზეგავლენით დადგომია. ისინი ყოველდღიურად ხედავდნენ, რომ მოხელეები „ჰსჩაგრავდნენ არამც მარტო ყოველთვის ხმა გაკმენდილს დაბალ ხალხსა, არამედ თავადებსაც, აზნაურებსაცა, რომელთაც ვერ გაებედნათ სამართლიანი თავისი ჩივილი და დავა დაეწყოთ დამჩაგვრელზედა, რადგან ეგონათ, რომ ძნელათ გამართლდებიან თუნდ რომ დიდი სიმართლეცა ჰქონდეთ. რასაკვირველია, ეს ყოფა ხალხს ანატრებდა ჩინოვნიკობას, რომლის სახელითაც, იმათი ფიქრით, კაცს შეეძლო დაუსჯელად დაეჩაგრა არამთუ დაბალი ხალხი, ყოველთვის მაგ ყოფას შეჩვეული, არამედ იმის თავადაზნაურობაცა".

ვ. თულაშვილი გარკვევით აგრძნობინებს მკითხველს, რომ კოლონიურმა ჩაგვრამ და ახალმა მართვა-გამგეობამ ჩვენი ხალხის, კერძოდ, თავადაზნაურობის ფსიქოლოგია საგრძნობლად შეცვალა; მის იდეალად იქცა ჩინოვნიკობა. „ამ დაწყობილებამ, — შენიშნავს იგი, — მიიყვანა ხალხი იქამდინ, რომა ყველას ელანდებოდა მხოლოდ ისა, რომ მიეღო ჩინი და დაეწყო სამსახური, პირველად იმისთვის, რომ, როგორც კეთილშობილს კეთილშობილთ კრებაში ხმა ქონოდა, მერმე იმისთვის უფრო .რომ განთავისუფლებულიყო ყოველგვარი დაჩაგვრისაგან და უპატიურობისაგან, რომელსაც მიაყენებდა ხოლმე სამსახურის გარეშე მყოფელს კაცსა, როგორც თვით საზოგადოება, ისე მთავრობა".

ამგვარად, ვ. თულაშვილი იმაზეც მიანიშნებს, რომ, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან, სწავლა-განათლების საქმე საქართველოში უფრო გაფართოვდა და წინ წავიდა, ახლა მეტი ახალგაზრდაა დაინტერესებული განათლების მიღებით, მაგრამ მათი მიზანი არცთუ ისე კეთილშობილურია. ისინი ვერაფერს მატებენ ეროვნულ კულტურას, წინ ვერ სწევენ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას. უფრო მეტიც, საზოგადოება არ თანაუგრძნობს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა-განათლება მიღებულთა გარკვეულ ნაწილსაც, ვინაიდან ქედმაღლურად დაჰყურებენ მშობელ ხალხს; დასცინიან კიდევაც ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ არ სურთ გამოიკვლიონ მისი დასნეულების მიზეზი. საქმე იქამდე მივიდა, რომ „საზოგადოებას მათი არ ესმოდა რა და ამათ კიდევ საზოგადოებისა. ასე რომ საზოგადოებამ უყურა, უყურა ამათა და ბოლოს აუშტვინა გულნა-

ტკენად და პირი მოარიდა, როგორც დაუნდობლებს, ურწმუნოებს, გულ-შეუტკივრებს და სხ.“

როგორც ვხედავთ, ვ. თულაშვილმა მკაცრად ამხილა ე. წ. რუსეთუმეები, რომლებმაც მშობლიურ ნიადაგზე ვეღარ იხეირეს; არ ეყოთ ცოდნა და გამოცდილება, რათა პატრიოტულ საქმეებს ჩადგომოდნენ სათავეში და ეროვნული საქმეები ეკეთებიათ. ისინი გარიყა საზოგადოებამ, ჩამოიცილა ცხოვრებამ! ეს კი მეტად მტკივნეულ ფაქტად მიაჩნია ჩვენს პუბლიცისტს, ვინაიდან იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს განათლებას საზოგადოებრივი პროგრესის საქმეში. მისი თქმით, „ვიდრე საზოგადოებაში არ მოხდება განათლებისაგან ფრიად დიდი ცვლილება, რომლის გამოც ძირიანად აღმოიფხვრება სიბნელე, რომლის გასწორება არ შეიძლება მოხდეს დაკერებითა და დაწებებითა — როგორც ძველისა რისამე. — უთუოდ დაძრული შენობა უნდა დაიქცეს სრულიად და ახალი შენობა ამოიყვანოს ახალს და უფრო მკვიდრს საძირკველზედა. ბედნიერია ვინც ერთ აგურს მაინც ჩააგდებს ამ საძირკველში“.

დიახ, ძველი და უკვე საფუძველშერყეული შენობის სრული დანგრევისა და ახალი შენობის მკვიდრ საძირკველზე აგების იდეა აწუხებს და ამოქმედებს „საქართველოს მოამბესა“ და მის პუბლიცისტს. იგი, ამ საქმეში, შორსაა რეფორმისტული ღონისძიებების აპოლოგიისაგან, — დაკერებისა და დაწებების პოლიტიკისაგან, — ძველის რადიკალურად შეცვლას ქადაგებს, მაგრამ გადაჭარბებულად აქვს წარმოდგენილი განათლების როლი ამ მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში. თუმცა ცნება განათლება მას არც თუ ისე ვიწროდ ესმის, — ადამიანთა შეგნების დონისა და გათვითცნობიერების ამაღლებას მოითხოვს, რაც უდავოდ საჭირო იყო „სიბნელის აღმოსაფხვრელად“ და დაწყებული მოძრაობის წინ წასაწევად. იგი ხომ ოპტიმისტურადაა განწყობილი ხალხის ძალისა და მისი მომავლისადმი: „ხალხის ცხოვრება, დღეს იქნება თუ ხვალე, გამოაცხადებს თავის შინაგანს ძალასა და სხვასაც აგრძნობინებს, რომ ეგ ძალა სრულიად არ არის ჯერ კიდევ გამქრალი“.

ამ დიადი საქმის დაჩქარებისა და გამარჯვებისათვის, ვ. თულაშვილის აზრით, დიდი მოვალეობა აკისრია მწერლობას, კერძოდ პუბლიცისტიკას, რომელსაც უნარი შესწევს მკაცრად ამხილოს ყოველივე ბოროტი და ჩამორჩენილი, დრომოჭმული და უვარგისი. მაგრამ დაცინვას და კრიტიკას მხარს უნდა უმაგრებდეს სიმართლე და ჭეშმარიტება; „ვისაც დაცინება სურს, ჭეშმარიტებას არ უნდა გადაუდგეს. მაშინ აქვს დაცინებას ძალა და ღირსება, როცა, ვისაც დასცინიან, მართლად... დასცინიან და დასაცინარიც არის“.

ვ. თულაშვილი თავის შინაურ მიმოხილვაში ახერხებს თანამემამულეთა დასაფიქრებელი შეხედულება გამოთქვას დიდი ერების მიერ პატარა ერების დამონების წინააღმდეგ და ოპტიმისტურად განაწყოს ისი-

ნი ეროვნული თავისუფლების იდეისადმი. მისი თქმით, ძლიერი ერები ყოველთვის მუდმივ ბატონობაზე ფიქრობენ, მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონი „არ დაუკარგავს ხალხს თავის სურვილსა და არ დაუბრკოლებს მოძრაობას".

ამგვარად, ვ. თულაშვილის წერილით „საქართველოს მოამბემ", პირველსავე ნომერში, ხაზგასმით მიუთითა არსებული სინამდვილის შეცვლის აუცილებლობაზე, —.სოციალური სისტემის არსებითად შეცვლის საჭიროებაზე, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაფართოვებაზე, სოციალურ-პოლიტიკური სკეპტიციზმის უსაფუძვლობასა და საზოგადოებრივი განვითარების იმედისმომცემ ობიექტურ კანონებზე.

ამგვარი პუბლიცისტური გამოსვლით კიდევ უფრო სრული და გასაგები გახდა ის მთავარი იდეა, რომლის სამსახურსაც ისახავდა მიზნად „საქართველოს მოამბე" და რომლის წარმოსაჩენადაც იყო შერჩეული მის პირველსავე ნომერში მოთავსებული ყოველი მასალა.

„საქართველოს მოამბის" რედაქტორმა თავიდანვე გაბედულად და ოსტატურად ააჟღერა ჟურნალის პუბლიცისტური კამერტონი! ეს გარემოება იმთავითვე იქნა შენიშნული. ვერც „ცისკრის" რეცენზენტმა ანტ. ფურცელაძემ დაშალა იგი. მისი თქმით, „ვ. თ."-ს მიმოხილვა ჭეშმარიტათ უცხო მოვლინებაა ჩვენს ლიტერატურაში. გაბედვით ვიტყვით, რომ ჩვენს ჟურნალისტიკაში ასე ანალიზიანი, ასე წმინდათ საქმის გამშინჯველი ჩვენი საზოგადო ნაკლებულებისა და იმის მიზეზის დამნახველი ჯერჯერობით არა გამოსულა რა... უფ. ვ. თ.-ს ეტყობა საქმე, ეტყობა რომ ღრმად უდევნებია თვალი ჩვენი საზოგადოებისათვის, იმით მოძრაობისა, მიმართულებისა და აზრისათვის; უძებნია ყოველი საქმისა და ჩანერგილების მიზეზი და არ აუღია კალამი ამ საქმისათვის სხვასავით სუმბუქათა... უფ. ვ. თ. ამ თავის სტატიაში არ უშვებს თითქმის არაფერს შეუნიშნავათ ჩვენს ცხოვრებაში".

ანტ. ფურცელაძე, ცხადია, ცოდავდა, როცა ვ. თულაშვილის ამგვარ წინდახედულ გამოსვლაში ჟურნალის რედაქტორის დამსახურებას არ ხედავდა, თუმცა ამას არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა. ვახტანგ თულაშვილი მანამდეც თბილისში მოღვაწეობდა და „ცისკარსაც" ხომ შეეძლო მისი მიწვევა! „საქ. მოამბის" ფურცლებზე შემთხვევით არ მოხვედრილა მისი სტატია.

მაგრამ ილია ჭავჭავაძეს ახლა ის უფრო აფიქრებდა, რომ კარგ დასაწყისს გაგრძელებაც შესაფერისი ჰქონოდა. ამ მხრივ მოლოდინისათვის არ უღალატნია ჟურნალის მეორე ნომერსაც, რომლის „სხვადასხვა ამბავის "განყოფილებაში რამდენიმე დამოუკიდებელი სიუჟეტი დაიბეჭდა. მათგან ერთი /„სოფლიური ეკონომიის წარმოების გამოფენა ტფილისში 13 ნოემბერს 1862 წ."/ ესტატე მაღალაშვილს ეკუთვნოდა, და-

ნარჩენი — დავით ყიფიანს.

ესტატე მაღალაშვილი ქართველმა მკითხველმა პირველად „ცისკრის“ ფურცლებიდან გაიცნო. ამ ჟურნალის 1861 წლის მეშვიდე ნომერში მან გამოაქვეყნა წერილი რედაქტორისადმი, რომელშიც იგი საზოგადოების ყურადღებას ამახვილებდა ევროპიდან სასოფლო-სამეურნეო იარაღების შემოტანის საჭიროებაზე. ამჯერადაც, „საქართველოს მოამბეში“ /№ 2/, საუბრის თემად მან აირჩია სოფლის მეურნეობის წარმოების გაუმჯობესების აუცილებლობა. ამ მიზნით იგი საკმაოდ მოხერხებულად იყენებს კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების მიერ 1862 წლის ნოემბერში მოწყობილ „სოფლიური ეკონომიის წარმოების გამოფენას“.

თავის წერილში ე. მაღალაშვილი, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით მსჯელობს ამგვარი გამოფენების მნიშვნელობაზე სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში. გამოფენა „ახლო გვაცნობებს ქვეყნის მატერიალურ ღონისძიებას და შეძლებასა“, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განვითარების დონეს, რაც სათანადო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას აძლევს თვით მიწათმოქმედებს, სოფლის მეურნეობის მწარმოებლებს. გამოფენის წყალობით, ეს უკანასკნელნი ერთმანეთს ხვდებიან და აზრთა გაცვლა-გამოცვლით ისინი ღებულობენ „თავისა და მამულის სასარგებლო სწავლასა და გამოცდილებასა“. ამიტომ იგი სასურველად მიიჩნევს ეწყობოდეს ამგვარი მუდმივი გამოფენები, რომლებიც მიწათმოქმედთა შორის დაბადებს და გააძლიერებს კონკურენციის გრძნობას; „უკეთესი კონკურენცია სად იქნება თუ არ გამოფენაში, სადაც იმდენი ხალხი სინჯავს ნაწარმოებსა და ხელობის ხელოვნებას, თუ მიწის გამოსავლის სიკეთე ეროისა დაეტაკება საქვეყნოდ მეორის ხელობის ხელოვნებას, თუ მიწის გამოსავლის სიკეთესა...“.

ამიტომ ე. მაღალაშვილს არ აკმაყოფილებს ქართველ მემამულეთა და მიწათმოქმედთა მონაწილეობა ამ გამოფენაში; მისი თქმით, უფრო მეტი ექსპონანტი გერმანელ კოლონისტთა მიერ იყო წარმოდგენილი. არც თბილისის მაცხოვრებელთა შორის გამოუწვევია შესაფერი რეაქცია გამოფენას, თუმცა მისი საშუალებით ადვილად შეეძლოთ დაენახათ და ეგრძნოთ, თუ როგორი დიდი ბუნებრივი სიმდიდრის პატრონია ჩვენი ქვეყანა.

გამოფენის აღწერა-დახასიათებას ე. მაღალაშვილი იყენებს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის აუცილებლობაზე მსჯელობისათვის და გარკვევით მიუთითებს, რომ „მაშა-პაპური მიწის დამამუშავებლის იარაღით მოსავლის მოყვანა მეტად უსარგებლოა“.

ერთი სიტყვით, ე. მაღალაშვილის არა მხოლოდ უბრალოდ აღწერა

და გააცნო მკითხველს 1862 წლის ნოემბერში მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, არამედ გამოთქვა ბევრი კომპეტენტური შეხედულება და, თავისი რჩევა-დარიგებით, საჭირო პრობლემებზე მიაპყრო მისი ყურადღება. ამაშია, სწორედ ე. მაღალაშვილის წერილის მთავარი ღირსება. სასურველი იყო, ამ მიმართულებით, მას შემდეგაც გაეგრძელებია საუბარი, მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინი არ გამართლდა; მისი ეს გამოსვლა პირველი და უკანასკნელი აღმოჩნდა!

*

საქართველოს მოამბის" პუბლიცისტური გამოსვლების ეფექტურობა ბევრად იყო დავალებული ჟურნალის ერთ-ერთი წამყვანი თანამშრომლის, „სხვადასხვა ამბავის" განყოფილების ხელმძღვანელის დავით ქაიხოსროს ძე ყიფიანის ჟურნალისტური მოღვაწეობით.

პეტერბურგის იურიდიული ფაკულტეტის წარმატებით დამთავრების /1860 წ./ შემდეგ, დ. ყიფიანი სამშობლოში დაბრუნდა. 1862 წელს მან თბილისში დააარსა ვაჟთა კერძო პანსიონი, რომელშიც სწავლება გიმნაზიის პროგრამით მიმდინარეობდა. გარდა ამისა, დ. ყიფიანმა პანსიონში პედაგოგებად მიიწვია უმაღლესი განათლების მქონე პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები და სწავლა-აღზრდის ახალი პედაგოგიური მეთოდებიც დანერგა, რის წყალობით მანაც და მისმა პანსიონმაც დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭეს.

საქართველოში დაბრუნებულ ილია ჭავჭავაძეს მალე დაუმყარებია, თუ აღუდგენია, მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა დ. ყიფიანთან, რომელსაც პეტერბურგის უნივერსიტეტიდანვე იცნობდა. და იცნობდა როგორც ნიჭიერ ახალგაზრდასა და ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ერთგულ მოწაფეს, მათ დიდ პატივისმცემელს. ამიტომაც იგი თავიდანვე იქნა მიწვეული „საქართველოს მოამბის" „სხვადასხვა ამბების" განყოფილების რედაქტორად და მანაც, ეს დიდი ნდობა, წარმატებით გაამართლა. იგი ბეჯითად და ერთგულად ამოუდგა მხარში ჟურნალის ახალგაზრდა რედაქტორს, რომელსაც თანამშრომელთა სიმცირე უდავოდ აწუხებდა.

დავით ყიფიანმა „საქართველოს მოამბის" პირველი ნომრისათვის საგანგებოდ მოამზადა მეტად საინტერესო შინაური მიმოხილვა, მაგრამ ცენზორმა არ გაუშვა; ცენზორის მაკრატლით დასახიჩრებული ეს სტატია შემდეგ ჟურნალის მეოთხე ნომერში დაიბეჭდა.

სამაგიეროდ, „საქართველოს მოამბის" მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ნომრების „სხვადასხვა ამბავის" განყოფილება მთლიანად დავით ყიფიანის მიერაა მომზადებული /გამონაკლისს წარმოადგენს მეორე ნომერში დაბეჭდილი ესტატე მაღალაშვილის ჩვენ მიერ უკვე გაცნობილი წერილი/.

„საქართველოს მოამბის“ მეორე ნომერში „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილებაში შვიდი წერილია მოთავსებული. პირველი, როგორც უკვე ვიცით, ესტატე მაღალაშვილისა იყო, დანარჩენი ექვსი — ხელმოუწერელია. აი მათი სათაურები: „საქართველოს გამოჯნავების გამო“, „ქორწინება ახლო ნათესავთა შორის“, „წინადადება იაროსლავის თავადაზნაურთა ორს საგანზედ“, „გასამართლების რეფორმის გამო“, „მიმინო“, „კოროლი, უფროსი რედაქტორი“.

ჟურნალის მესამე ნომრის „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილებაში მოთავსებული ჩვიდმეტი წერილიც ხელმოუწერელია. მეოთხე და მეხუთე ნომრების „სხვადასხვა ამბავის“ რუბრიკით გამოქვეყნებულ წერილებს კი ხელს აწერს დავით ყიფიანი.

ხელმოუწერელი ეს წერილები ზოგიერთმა მკვლევარმა ილია ჭავჭავაძისეულად მიიჩნია[19], თუმცა მათ ავტორზე მაშინვე გარკვევით იქნა მითითებული „საქართველოს მოამბის“ შესახებ დაწერილ ანტ. ფურცელაძის რეცენზიებში. უფრო მეტიც, ერთ-ერთი მათგანის („მიმინო“) გამო ანტ. ფურცელაძემ დაცინვისა და ირონიის ობიექტადაც კი გახადა დავით ყიფიანი.

ამ წერილების ფონზე დავით ყიფიანი ორმხრივ იქცევს ყურადღებას: როგორც „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილების გამგე და როგორც ავტორი. ორივე შემთხვევაში იგი მოწოდების სიმაღლეზე დგას: სათანადოდ და საინტერესოდ გეგმავს განყოფილებას, ამასთან სასურველ პუბლიცისტურ ნიჭს ავლენს თავის ყოველ წერილში. მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილებას მკითხველისათვის უნდა მიეწოდებინა მრავალფეროვანი და საკითხავად საინტერესო მასალა. ამ მხრივ ყოველი მათგანი, ზედმეტნაკლებად, მართლაც ამართლებს თავის დანიშნულებას. მაგრამ კიდევ უფრო მისასალმებელია ის გარემოება, რომ ამგვარ მასალას იგი გამიზნულად და პროგრესული იდეების საქადაგებლად იყენებს. მათი გაცნობა ეჭვს აღარ ტოვებს, რომ ისინი რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ერთგული პუბლიცისტის ნახელავია. სწორედ ამ კუთხით არიან ისინი უფრო საინტერესო ჟურნალისტიკის ისტორიის თვალსაზრისითაც.

„საქართველოს მოამბის“ მეოთხე ნომერში გამოქვეყნებული „სხვადასხვა ამბავით“, დავით ყიფიანი ქართველ მკითხველს აცნობს საზოგადოების განვითარების ისტორიას საერთოდ და უქმნის გარკვეულ წარმოდგენას მისი ყოველი ეტაპის შესახებ, ევროპის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკების ჩათვლით. მაგრამ სანამ ამ საინტერესო

---

[19] პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, 1941; ა. კენჭოშვილი, ილია ჭავჭავაძე. 1962.

სქემას და მის შესაფერ დახასიათებას გააცნობდა, მან საგანგებოდ გააფრთხილა თავისი მკითხველი, რომ წინასწარვე მომზადებულიყო მისი ნათქვამის გასაგებად. კერძოდ, თავიდანვე გაეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ ავტორს არ შეეძლო პარალელები გაევლო საქართველოს ისტორიის შესაფერ პერიოდებთან და, ამიტომ, თითონ მას მუდამ მხედველობაში ჰყოლოდა ქართველი ხალხი თავისი ცხოვრებით. „ჩვენ რასაც ვიტყვით, მკითხველო, — წერს ის, — დარწმუნებული უნდა იყო, რომ ყოველის ფერში, მეტადრე ლიტერატურაში, ჩვენ ქართველობა გვაქვს მხედველობაში; ამისთვის, გთხოვ, რომ სხვა და სხვა ქვეყნების სხვა და სხვა დროებაში მდგომარეობა, მთელი საზოგადოების თანამედროვე მაცოცხლებელი აზრები რომ წარმოგიდგინო ხოლმე, მოიფიქრე ხოლმე შენ ქვეყანაზე, ქართველობაზე, იმის მდგომარეობაზე... მოიფიქრე ხოლმე და შენ ფიქრებს თავისუფლება ათხოვე და ნუ შეგეშინდება, იმ შენმა თავისუფალმა ფიქრებმა სადამდინაც უნდა მიგიყვანონ...“.

ამგვარად, დ. ყიფიანი სრულიად გარკვევით აფრთხილებს მკითხველს, რომ, ცენზურის გამო, ჟურნალს შესაძლებლობა არ აქვს უშუალოდ საქართველოსა და ქართველი ხალხის ცხოვრებაზე, მის სატკივარზე იმსჯელოს. ამიტომ სხვა ქვეყნებისა და სხვა ხალხთა ცხოვრების შესახებ ნათქვამიდან სათანადო დასკვნები უნდა გააკეთოს მის შესახებ ყოველთვის და, კერძოდ, ამჯერადაც. ამის შემდეგ იწყებს მხოლოდ საუბარს კაცობრიობის განვითარების ისტორიაზე.

დ. ყიფიანი, პირველ ყოვლისა, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ობიექტურ კანონებს ეხება და დასძენს: კაცობრიობა მუდმივ მოქმედებაშია და ამ მოქმედებით მისი ცხოვრება იცვლება, ვითარდება. მაგრამ ამ ცვლილებაში „თუ აზრიანობა, კანონიერება არ არის, ყოველისფერი, რაშიც ეს ცვლილება მოხდება, არ შეიძლება არ განადგურდეს. აზრიანობა, კანონიერება ამკვიდრებს ქვეყნიერების სიცოცხლეს. რაკი ქვეყნიერება ცვლილებაზე და აზრიანობაზეა, ამისგან აუცილებლად წარმომდგარი კანონი — წარმატებაა“.

დავით ყიფიანი ისე აგებს თავის მსჯელობას, რომ მკითხველმა უთუოდ გააკეთოს შესაფერი დასკვნა: საზოგადოებრივი განვითარება მუდმივ წინსვლელობაშია და იგი ემორჩილება ობიექტურ კანონებს.

ვრცლად განიხილავს რა საზოგადოების განვითარების ეტაპებს სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის ფორმების მიხედვით, დ. ყიფიანი ქებით იხსენიებს ძველ ბერძნულ რესპუბლიკას, მაგრამ მისი „დემოკრატიზმის“ ცალმხრივ მხარეებსაც სათანადოდ წამოსწევს. იგი მკაცრად მსჯელობს ფეოდალური ფორმაციის მანკიერებასა დ მისი ერთ-ერთი ძლიერი დასაყრდენის — ქრისტიანული ეკლესიის რეაქციულ როლზე,

რომელსაც, მისი თქმით, ყოველთვის ებრძოდა ჭეშმარიტი სწავლა-განათლება.

ფეოდალური ინსტიტუტების ბოროტმა და შეუწყნარებელმა მოქმედებამ, ხაზს უსვამს დ. ყიფიანი, ხალხის ცოთმინების ფიალა აღავსო და მიიყვანა იმ აზრამდე, რომ დაეწყო ზრუნვა არსებული წეს-წყობილების შესაცვლელად, რაც საფრანგეთის დიდი რევოლუციით დამთავრდა. „მაშინ, — წერს იგი, — განხორციელდა ხალხში ყოველი სნეობის სამოქალაქო სარწმუნოება: პატივისცემა კაცისა და მეტადრე — როგორც სახოგადოების წევრისა“.

ამგვარად, საზოგადოებრივი განვითარების მაღალი ეტაპის გამოხატულებად იგი მიიჩნევს საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას, რომლის შედეგები საერთო ევროპულ მოვლენად იქცნენ. „მაშინ, — განაგრძობს იგი, — წამოდგა თავისუფლება როგორც კაცისა კერძოობით, ისე ხალხისა საზოგადოდ. მას უკანა ამ საუკუნისაგან შედგენილ მოთხოვნილების განხორციელებასა და გავრცელებასა დაადგა კაცი. ამ განხორციელებისა და განვრცელებისათვის ორი დიდად შესანიშნავი აზრი ჩამოდგნენ ამ ჩვენ საუკუნეში: ერთი მოითხოვს საზოგადოებისაგანა და მეტადრე ზოგიერთი კეთილმდგომარე პირებისაგან დიდ განწირულებასა სხვათათვის, რომელთაცა ნაკლები კეთილმდგომარეობა აქვს. ამის განხორციელების სიძნელემა მეორე აზრი დაადგინა, რომელიც გამოირკვია ბუნებითი სწავლისაგან, რომ ყოველი კეთილი წარმატებისათვის ჯერ ხალხში ყოველი კეთილისა, ყოველი სარწმუნოებითი აზრის საჭიროება უნდა დამტკიცდეს, იმისი სარგებლობა უნდა ცხადად წარმოსადგინი იყოს, რომა, როგორც კაცებმა კერძოობით, ისე მთელმა ხალხებმა საზოგადოდ, ცხადად იგრძნონ და უფრო მტკიცედ, გონებიანად, აზრიანად აღსრულებაში მოიყვანონ...

თუ მართლა ჩვენი ქართველობა უკან არის დარჩენილი კაცობრიობის წინამავლობაში ჩვენი დროების ხარისხისაგან, მაშასადამე ნაკლებულებაც ბევრი უნდა ჰქონდეს... ამ ნაკლებულებების ჩვენება, ცხადად წარმოდგენა ლიტერატურის ვალია...“.

მოტანილი ამონაწერი უაღრესად საინტერესო და საყურადღებოა; მასში მოცემულია მთელი სტატიის შინაარსის კვინტესენცია. დ. ყიფიანი იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე დიდ მიღწევად საფრანგეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებას მიიჩნევს. ამ დღიდან, მისი აზრით, განთავისუფლდა როგორც პიროვნება, ასევე — ხალხი; ამიტომ ამ საუკუნის მთავარ მიმართულებად იქცა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის მიღწევათა დამკვიდრება სხვა ხალხთა ცხოვრებაშიც. ამისათვის კი საჭიროა პატრიოტული თავგანწირვა ხალხისა, უპირველეს ყოვლისა, მისი საუკეთესო ნაწილისა—დაჩაგრულთა საკეთილდღეოდ. მაგრამ ამისათვის სა-

ჭიროა, მოწინავე იდეები გასაგები და მიმზიდველნი გახდნენ ხალხისათვის, — იქცნენ მატერიალურ ძალად.

ამგვარი შეხედულების განვითარების შემდეგ, დ. ყიფიანი იმასაც ახერხებს, რომ არა მხოლოდ მინიშნებით, არამედ პირდაპირ უთხრას თავის თანამემამულეთ: ჩვენ ჩამორჩენილი ვართ თანამედროვე საზოგადოებრივი პროგრესის დონისაგან, რაც განპირობებულია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებებით, რომელთა ცხადად ჩვენება და წარმოჩენა ლიტერატურის, მწერლობის ვალია.

როგორც მართებულადაა შენიშნული, „დავ. ყიფიანი მთელი თავისი თანაგრძნობით ბურჟუაზიულ რევოლუციას ამართლებს, როგორც აუცილებელ პირობას ხალხის, ე. ი. გლეხობის განთავისუფლებისა, საყოველთაო მოქალაქეობრივი თავისუფლების დამყარებისა და საერთოდ წოდებრივი პრივილეგიების მოსპობის და „თავისუფალი" შრომისა და სამეურნეო თაოსნობისათვის გზახსნილის დასამყარებლად"[20].

ამგვარი იდეების ქადაგება კი იმდროინდელ საქართველოს სინამდვილეში, როცა ბატონყმური ინსტიტუტი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა არსებობას, ცხადია, მისასალმებელი და პროგრესული მოვლენა იყო. თანაც იგი კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის „საქართველოს მოამბისა" და ახალი თაობის უახლოეს პოლიტიკურ და სოციალურ იდეალებზე.

საგლეხო რეფორმისათვის ბრძოლის დროს დავით ყიფიანმა ხაზგასმით მიუთითა ქართული სოციალური ყოფის ჩამორჩენილობასა და თავისუფალი შრომის იმ ღირსებებზე, რომელთა მიღწევა ბატონყმურ სინამდვილეში შეუძლებელია. იგი ხშირად გმობს ბატონყმურ ურთიერთობას, როგორც განვითარებისა და წინსვლის მუხრუჭს, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს არა მხოლოდ საზოგადოების ჩაგრულ, არამედ — მჩაგვრელ ნაწილზეც. „თავისუფალი შრომა, — წერს ის, — უფრო ნაყოფიერია... მთელ საზოგადოებაში ყოველი და კერძოობითი კაცი უნდა იყოს მშრომელი და მშრომელი თავისუფლათა და, მაშასადამე, ნაყოფიერათაცა. და თუ საზოგადოებაში ყოველი იმისი წევრი ნაყოფიერათა შრომობს, საზოგადოებაც კეთილ მდგომარეობაში შევა". პუბლიცისტი ახერხებს თავისი აზრი გამოთქვას იმ ჩამორჩენილობაზეც, რომელიც, ამ მხრივ, მაშინდელ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას ახასიათებდა.

ნიშანდობლივია, რომ ამ თემას და ამ პრობლემას იგი შემდეგაც უბრუნდება /„საქ. მოამბე", № 5/, რათა კიდევ უფრო გადაჭრით დაუჭიროს მხარი საგლეხო რეფორმების რაც შეიძლება მალე გატარებას, რის წინა აღმდეგაც იყო განწყობილი თავადაზნაურობის მთელი რეაქციული ბანაკი. მაგრამ, ამჯერადაც, მას ცენზურა უფლებას არ აძლევს ისაუბროს თუნდაც იმაზე, რაც ბოლო დროს ოფიციალურად მომხდარა და ჩვენშიც

[20] პ. გუგუშვილი. ქართული ჟურნალისტიკა, 1941, გვ. 361.

უნდა მოხდეს /ცხადია, იგი გულისხმობს ბატონყმობის გადავარდნას რუსეთში!/. ამიტომ მრავლისმეტყველად დასძენს: „ბევრჯერ ჭეშმარიტებით რისამე წარმოდგენა, რისამე მბობა საზოგადოებაში შეუძლებელია“. მაგრამ იგი ხალხსაც, ქართველ საზოგადოებასაც გარკვევით საყვედურობს საზოგადოებრივი მოვლენებისადმი უყურადღებობის გამო, მომხდარი სერიოზული მოვლენების ანალიზისადმი გულგრილობისათვის. „ჩემო ტკბილო, ჩემო მშვიდობიანო ქართველობავ!, — მიმართავს იგი თანამემამულეებს, — შენ შინაურობაში მაინც მიიხედ—მოიხედე! შენს სოფლიურ მდგომარეობას დააშტერდი მაინცა და იგრძნე იმისი ყოვლად წყლული სიღარიბე — სიბილწემდინ ჩაობებული“.

დავით ყიფიანი ძალიან შეწუხებულია საზოგადოებაში აპატიური განწყობილების გაბატონების გამო. სხვაგვარად შეუძლებელიც იყო: აპატია ნიადაგს აცლის ყოველგვარ პროგრესს, შეუძლებელს ხდის წინსვლას, ფრთებს აკვეცს უკეთეს მომავალზე ოცნებას. „თუ, ქართველობავ, თუნდ, სხვათა შორის, ზემოხსენებული ცნობისმოყვარეობის უქონლობის გამო შენი აწმყო მდგომარეობისაგან ბევრს კეთილს არას მოელი, შენს მყობად კეთილ მიმართულებაზე მაინცა ჰფიქრობდე! დაჰხედო მაინც, ნეტავი, შენს შვილებსა, როგორ იზრდებიან, როგორც უნდა გაიზარდნენ, რა გზით არის შესაძლებელი იმათი კეთილი წარმართული აღზრდა, ვისი ვალდებულებაა ეს საქმე, რათ არი ესე უზრუნველათა ამ საქმის აუსრულებლობა ესეთს უღირსობაში...“.

არსებული სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილისადმი უარყოფითად განწყობილი დავით ყიფიანი კიდევ უფრო შორს მიდის. მართალია, მას ცენზურა საშუალებას არ აძლევს აშკარად და თავისუფლად ისაუბროს სამშობლო ქვეყნის სოციალურ და ეროვნულ სატკივარზე, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ქვეტექსტებით თუ რეპლიკების მოშველებით მაინც ახერხებს მისახვედრად მაინც მიანიშნოს არსებითი ხასიათის მოვლენებზე, რომლებიც საზოგადოებრივ ყურადღებას იმსახურებენ. ამის ერთი მაგალითია თუნდაც ის, რომ იგი ერთმანეთს ადარებს თერგდალეულობასა და იტალიაში დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებს. მისი თქმით, „ჩვენ დროში ერთმა დიდმა აღრეულობამ იტალიისამ რაღაცა ნაციონალობის, ხალხობის აზრი წამოაყენა წინა, რომლის მოთხოვნილობასაცა, მკითხველო, ჭეშმარიტი თერგდალეულობა ეტყობა. ყოველს საზოგადო სახალხო აღრეულობასა, საკვირველია, რომ უთუოდ ამგვარი რამე მოსდევს ხოლმე...“.

დაუნდობელი ცენზორები, თავიანთი სიბეცის გამო, ზოგჯერ ვერ ხედავდნენ მას, რაც უთუოდ უნდა დაენახათ, თორემ განა შეიძლებოდა ამგვარი აზრისათვის ვიზის მიცემა? დ. ყიფიანი ხომ დაუფარავად განუმარტავს მკითხველს, რომ თერგდალეულობის მთავარი აზრი და დანიშნულება ეროვნული თავისუფლების მიღწევაა!

მაგრამ, სამწუხაროდ, ცენზურამ მაინც შენიშნა, თუ როგორ პროგრესულ და რადიკალურ იდეებს ქადაგებდა „საქართველოს მოამბე“ დავით ყიფიანის წერილების საშუალებით. აშკარად იგრძნო, რომ „სხვა და სხვა ამბავის“ რუბრიკით ჟურნალი ეწეოდა ოფიციალური ხელისუფლებისათვის მეტად მიუღებელი შეხედულებების პროპაგანდას. იგრძნო და სათანადო ღონისძიებასაც მაშინვე მიმართა: ოფიციალურად აკრძალა ამ განყოფილების არსებობა ჟურნალში! რედაქტორიც მკაცრად იქნა გაფრთხილებული.

ძალა აღმართს ხნავსო! მეექვსე ნომრიდან ველარ ვხედავთ „სხვა და სხვა ამბავს“. მართალია, რედაქტორმა ეს დიდი დანაკლისი ნაწილობრივ მაინც შეავსო ანალოგიური შინაარსის თარგმნილი სტატიებითა და სხვა ხასიათის ორიგინალური თხზულებებით, მაგრამ ჭრილობა მაინც მოუშუშებელი დარჩა. თავის საყვარელ მკითხველს მოსწყდა დავით ყიფიანიც, რომელსაც ბევრი სათქმელი ჰქონდა, და კარგადაც იტყოდა რომ დაცლოდა.

დიახ, ე. თულაშვილისა და დავით ყიფიანის მიერ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილების მებრძოლი პათოსი და ნათლად გარკვეული სამიზნე შეუძლებელია სათანადოდ შეეცვალა „ნეიტრალურ“ თუ შორეული ასოციაციების აღმძვრელ თხზულებებს, თუნდაც ისეთ სამოგზაურო ნარკვევს, როგორიც იყო გაბრიელ რატიშვილის „მცირედი რამ მოთხრობა როსიისა“, რომელიც ბოლო ორ ნომერში დაიბეჭდა.

აღნიშნულ ნარკვევიც ჟურნალს, ცხადია, შემთხვევით არ გამოუქვეყნებია. მას ჰქონდა თავისი შემეცნებითი მნიშვნელობა, უფრო მეტი — პოლიტიკური მხარეც, რომელსაც მკითხველი უსათუოდ შეიცნობდა და შეიგრძნობდა. განა რედაქციამ შემთხვევით დაურთო თავისი შენიშვნა: „ეს წერილი ეკუთვნის თ. გაბრ. რატიშვილს, რომელიც ჩვენ მეფის შვილებს თანახლებია, როცა ისინი გადაუსახლებიათ რუსეთში. რაც უნახავს ტფილისიდამ პეტერბურგამდე, რაც გადახვდომია ყველაფერს გვიამბობს,და ის ნაამბობი უინტერესო არ არის“.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად იმ შევიწროებისა, რომელსაც ჟურნალი აშკარად და დაუფარავად განიცდიდა ცენზურისაგან, რათა პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე შეხედულებები არ ექადაგა, „საქართველოს მოამბემ“, მისმა პუბლიცისტურმა „ფრონტმა“ მაინც შეძლო გარკვევით და გასაგებად ეთქვა მკითხველისათვის თავისი აზრი ქვეყნის სოციალური და ეროვნული პრობლემის შესახებ. და ეთქვა არა უბრალოდ, მოწოდებათა სახით, არამედ განემარტა კიდევაც ისტორიული მაგალითებით თუ თანამედროვე უცხოური ცხოვრების ღირშესანიშნავი მოვლენების სათანადო კომენტირებით.

რაც მთავარია, „საქართველოს მოამბის“ მხატვრულ-ლიტერატურული და პუბლიცისტური თხზულებანი ერთმანეთს ავსებდნენ და აძლი-

დრებდნენ, ურთიერთის მიერ გამოთქმულ აზრებსა და დებულებებს აკონკრეტებდნენ და აღრმავებდნენ. არც ერთი არსებითი ხასიათის წინააღმდეგობა არ შეინიშნება მათში, რაც ჟურნალის მიმართულების წმინდად დაცვასა და რედაქტორის მისაბაძ პრინციპულობაზე მეტყველებს.

მეცნიერება

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად „საქართველოს მოამბე" სალიტერატურო ჟურნალი იყო, ფაქტიურად იგი გახდა არა მხოლოდ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ, არამედ — ლიტერატურულ-საზოგადოებრივ და სამეცნიერო ჟურნალადაც. მისი ასეთი დანიშნულება ი. ჭავჭავაძეს, ცხადია, თავიდანვე ჰქონდა ჩაფიქრებული. ამას ცოცხობს, თუნდაც, ჟურნალის პროგრამაში თავიდანვე გათვალისწინება ისეთი განყოფილებისა, როგორიცაა „ისტორიული" და „საპოლიტიკო და სოფლური ეკონომია". გარდა ამისა, პუბლიცისტიკა, როგორც წესი, შეიცავს ბევრ მეცნიერულ ელემენტს. რაც შეეხება კერძოდ, ი. ჭავჭავაძის პუბლიცისტიკას, იგი, ამ მხრივ, კიდევ უფრო გამორჩეულია. ავიღოთ თუნდაც მისი სტატია „საქართველოს მოამბეზედ"; ძნელი სათქმელია, რომელი ჭარბობს მასში: პუბლიცისტური თუ მეცნიერული სტატიის ნიშან-თვისებები.

„საქართველოს მოამბის" თითქმის ყოველ ნომერში იყო მოთავსებული მეცნიერული ხასიათის სტატია, ანდა თავები მეცნიერული მონოგრაფიებიდან. მათგან ოთხი ორიგინალური, ქართველ ავტორთა ნაშრომია (ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია", დავით ყიფიანის „რიგიანი ქართული გრამატიკის შესამუშავებელ მასალად", ი. ოქროპირიძე-ჭედლიშვილის „მოკლე განხილვა სომხური ენის წარმატებისა უკანასკნელს დროს", ბ. ვ.-ს „კირაკოზ განძაკეცი"), ხოლო ხუთი—ნათარგმნი (მიტჩელის „ზეციური მნათობები", კ. გ. ზალცმანის „კონრად კიფერი ანუ დარიგება ყმაწვილების კარგად აღზრდისათვის", ბასტიას — „მძარცველობის ფიზიოლოგია", მისივე „ორნაირი სწავლა", პრუდონის „სიღარიბე როგორც ეკონომიური პრინციპი").

რაც მთავარია, ყველა ეს ნაშრომი, თავისი შინაარსით, მჭიდრო კავშირშია იმ იდეურ კონცეფციასთან, რომელსაც მკითხველს აწვდიდა ჟურნალი მხატვრული და პუბლიცისტური თხზულებებით; ისინიც იმ მიზნებს ემსახურებიან, რასაც „საქართველოს მოამბე" ქადაგებდა მხატვრული თუ პუბლიცისტური სიტყვით.

ილია ჭავჭავაძეს ყოველთვის თავისი მოღვაწეობის დევიზად მიაჩნდა — „აწმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა"; იგი მუდამ ბეჯითად ცდილობდა გამოერკვია და ეჩვენებინა „რანი ვიყავით

და რანი ვართ". მართალია, მას ვერ იტაცებდა მხოლოდ ომებისა და მეფეების ისტორია, თუკი ხალხი და მისი როლი მიჩქმალული იყო, მაგრამ კარგად იცოდა ისიც, რომ ეს ერთი ხელისდაკვრით არ გაკეთდებოდა. მოღვაწეობის მთელ მანძილზე იგი დარჩა მშობლიური ერის ისტორიით დაინტერესებულ და გატაცებულ მოაზროვნედ. ამ ისტორიიდან იგი ხშირად იშველიებდა ბევრ ისეთ ფაქტსა და მოვლენას, რომლის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის სამსახურში ჩაყენება ადვილად ხერხდებოდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოს ისტორიას ხომ წითელ ზოლად გასდევს ერრვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა! ამიტომაც მან „საქართველოს მოამბის" ფურცლებზე საკმაო ადგილი დაუთმო სულხან ბარათაშვილის რუსულ ენაზე დაწერილი „საქართველოს ისტორიის" თარგმანის გამოქვეყნებას. ეს გამოკვლევა ჟურნალის ხუთ ნომერში /№ 1, 2, 4, 6, 7/ იბეჭდებოდა და მისი ასი გვერდი უჭირავს. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ეს მასალა რედაქციისათვის თვით ავტორს გაუგზავნია. ამის თაობაზე ვ. თულაშვილი გადმოგვცემს: „როდესაც ჩვენმა ახალგაზრდობამ, 1863 წ. დააპირა „საქართველოს მოამბის" გამოცემა, მაშინ ჩვენ მივწერეთ სულ. ბარათაშვილს, რომ მონაწილეობა მიეღო და გამოეგზავნა რამე თავისი თხზულება. იმან მაშინვე გამოგზავნა თავისი პირველი რვეული საქართველოს ისტორიისა და ძალიან ბოდიშსაც ითხოვდა, რომ ქართულად არ არისო დაწერილი და ვეცდები კიდევ სხვა რაიმე შემწეობაც მივცეო ჟურნალს... იმის მეტ, დიმ. ყიფიანის და გიორგი ერისთავის მეტს არავის ძველ-კაცთაგანს შემწეობა არ მიუცია იმ ჟურნალისათვის..."[21] საკვირაუდოა, რომ ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია" თარგმნილია სწორედ ვ. თულაშვილის მიერ. ამ მოსაზრებას არ ეწინააღმდეგება არც თარგმანის ენა და სტილი, არც ის სარედაქციო შენიშვნა, რომელშიც ნათქვამია: „რედაქცია თავის თავზე იღებს, თუ რამე გაუგებარი და უკანონობა არის ამ სტატიის აღნაქვსში, რადგანაც თარგმანი მას ეკუთვნის...". ვ. თულაშვილი, ამ დროს, ჟურნალის რედაქციის წევრი იყო.

სულხან ბარათაშვილის /1821—1866/ „საქართველოს ისტორია" ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში შეფასებულია როგორც თავის დროის საყურადღებო მოვლენა. ამიტომ მის გამოქვეყნებას „საქართველოს მოამბეში" ჰქონდა არა მხოლოდ ეროვნულ-პატრიოტული, არამედ წმინდა მეცნიერული მნიშვნელობაც. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია", 1886 წელს, რუსული ენიდან

---

[21] ვ. თულაშვილი, რამდენიმე სიტყვა თავად სულხან ბარათაშვილზედ (გაზ. „დროება", 1866, № 34). ამ მოგონებიდან ვტყობილობთ იმასაც, რომ „საქ. მოამბესთან" უშუალოდ ყოფილა დაკავშირებული გ. ერისთავიც. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია დიდი დრამატურგის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესასწავლად. ამით ისიც გასაგები ხდება, თუ რატომ ასე მკაცრად იყო განწყობილი მის წინააღმდეგ ანტ. ფურცელაძე.

ფრანგულ ენაზე თარგმნა თბილისში მოღვაწე მურიემ, ხოლო ქართულად კვლავ ითარგმნა ოთხმოცდაათიან წლებში.

ამ საკითხთან დაკავშირებით, გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმ სარედაქციო შენიშვნასაც, რომელიც ამ თარგმანს აქვს დართული „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე: „ჩვენი სამშობლო ისტორია, — ეკითხულობთ მასში, — ისე დამუშავებული არ არის და ისრე ცოტა არის ნაწერი მასზედ, რომ ყოველ შრომას, სადაც კი იქნება ახსნილი რომელიმე კითხვა ხალხის ცხოვრებიდან, რედაქცია მიიღებს დიდი მადლობით“; „ყოველს პატივისცემასთან ამ შრომისადმი ჩვენ ვბედავთ ვსთქვათ, რომ არა ვართ თანახმა ავტორის ზოგიერთ შეხედვაზედ... ჩვენ იმედი გვაქვს თავის დროზედ წარმოვადგინოთ ჩვენი აზრი ამ კითხვაზედ“.

ვინაიდან ეს შენიშვნა, აშკარაა, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის, საინტერესოა იმ მხრივაც, რომ იგი აპირებდა ამ საკითხებზე თავისი შეხედულებების გამოთქმას. მართალია, ილიამ ეს მაშინ ვერ მოახერხა, მაგრამ შემდეგში მან ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ჩვენი ისტორიის რიგ პრობლემურ საკითხებზე.

საქართველოს ისტორიის შესწავლის ინტერესებიდან გამომდინარე ითარგმნა და დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“ /№ 9/ კირაკოზ განძაკეცის „მონღოლების ისტორიაც“.

„საქართველოს მოამბე“ გვერდს ვერ აუვლიდა ქართული ენის შესწავლისა და ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის ძირითადი გრამატიკული კანონების შემუშავების აუცილებლობაზე მსჯელობასაც. და ამ საკითხზე მკითხველის ყურადღების გამახვილება კისრად იღო დავით ყიფიანმა, რომელსაც ამ პრობლემებზე ნამუშევარი და ნაფიქრალი ჰქონდა ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში.

დავით ყიფიანის სტატიამ „რიგიანი ქართული გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად“ /№ 3/ ფართო მკითხველის ყურადღება მიიპყრო და ეს არ ყოფილა მოულოდნელი. ავტორმა პრინციპულად დასვა მთელი რიგი საკითხი ქართული გრამატიკის შემუშავებისა და, საერთოდ, გრამატიკის საჭიროების შესახებ. აშკარად იგრძნობა ისიც, რომ ქართული ენის გრამატიკის მეცნიერულ შესწავლასა და სათანადო კურსის შექმნას დ. ყიფიანი, პირველ ყოვლისა, იმიტომ მოითხოვს, რომ მის გარეშე შეუძლებელი ხდებოდა ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის შემუშავება; ყველა წერდა ისე, როგორც მას სურდა. სამწერლო ენა დანაგვიანებული იყო არა მარტო დიალექტიზმებითა და ბარბარიზმებით, არამედ — კუთხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი გრამატიკული ფორმებით თუ არქაული გამოთქმებით. იგი გრამატიკის შექმნის ისტორიული პრინციპის მომხრეა, მაგრამ გარკვევით აცხადებს, რომ „გრამატიკის დამუშავებისათვის უპირველესი წყარო და საბუთი უნდა იყოს

ხალხის ცოცხალი ენა"; ამ მიზნით იგი მოითხოვს ყველა ქართული დიალექტის სათანადოდ შესწავლასა და გამოყენებას.

სრულიად სამართლიანად, დავით ყიფიანი ქართული ენის ახალი გრამატიკის შექმნის აუცილებლობაზე მსჯელობს არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტური ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ — როგორც ეროვნულ-კულტურული წინსვლისა და განვითარების საჭიროებით განპირობებულ პრობლემაზე. მისი თქმით, „საზოგადოებას, რომელიც არის შეკავშირებული ერთისა და საზოგადოს ენითა და რომელიც ამისი ღონისძიებით საზოგადო ცხოვრების მიდენილება ერთ კვალზე აქვს დაყენებული, ერთი სიტყვით, საზოგადოებას, რომელიც თავის ცხოვრებაში საზოგადოობას გამოიჩენს, ქვიან ხალხი". ერისა და ხალხის ცხოვრებაში მთავარია ერთობა, ხოლო „შემამტკიცებელი და შეურყევლად დამაყუდნებელი არის ერთობა ენისა". ენის ერთობა განაპირობებს ლიტერატურის წარმატებას, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ხალხის ცხოვრებაზე.

დავით ყიფიანმა, მსგავსად ი. ჭავჭავაძისა, პრინციპულად დასვა საკითხი ქართული ალფაბეტიდან იმ ასოების ამოღების შესახებაც, რომელთა შესატყვისი ბგერები უკვე აღარ ისმოდა ქართულ მეტყველებაში. მან მკაცრად გააკრიტიკა ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე გრამატიკის საჭიროებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების გამო. მართალია, დიმ. ბაქრაძემ საპასუხო წერილში /ორიოდე სიტყვა უ. დავით ყიფიანის სტატიაზედ „გრამატიკის შესამუშავებელ მასალებად"/, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში" /1863, № 9/ „ულოღიკოს" ფსევდონიმით, თავი იმართლა იმით, რომ იგი გრამატიკის საჭიროებას უარყოფდა არა საერთოდ, არამედ — ენის შესწავლის საქმეში. მაგრამ ესეც ხომ კურიოზული მოსაზრება იყო! განა გრამატიკას მცირე როლი ენიჭებოდა და ენიჭება ამა თუ იმ ენის შესწავლის საქმეში? ვერც ანტ. ფურცელაძემ ისახელა თავი დ. ყიფიანის სტატიის „განქიქებით"[22]. მისი ირონიისა და დაცინვის უსაფუძვლობა დიდი ხანია უდავო გახადა ისტორიამ.

სხვაგვარად არც შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან ეს სტატია, ბოლოს და ბოლოს, დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის ჟურნალში და, ცხადია, მისივე სურვილითა და თანხმობით. წინააღმდეგ შემთხვევაში მას სარედაქციო შენიშვნა მაინც გაუკეთდებოდა. ილიაზე უკეთესი მცოდნე და ქომაგი კი ქართულ ენას მაშინ არ ჰყოლია.

ქართული ენის მეცნიერული შესწავლით დაინტერესების საქმეს ემსახურებოდა, ფაქტიურად, ილია ოქრომჭედლიშვილის სტატიაც — „მოკლე განხილვა სომხური ენის წარმატებისა უკანასკნელ დროს"

---

[22] „ცისკარი", 1863, № 7.

/№6/. მოძმე სომეხი ხალხის ზრუნვა მშობლიური ენის წარმატებისათვის საუკეთესო მაგალითი იყო ჩვენი მოღვაწეებისთვისაც, თუ როგორ უნდა ეშრომათ ამ მიმართულებით.

„საქართველოს მოამბემ", როგორც პრაქტიკულად (დაბეჭდილი ნაწერების ენითა და სტილით), ასევე ენის მნიშვნელობის საერთო თეორიული პოზიციების გარკვევითა და სათანადო პრობლემების პრინციპული დაყენებით, უაღრესად ქმედითი დახმარება გაუწია ერთიანი სალიტერატურო ქართული ენის ჩამოყალიბებასა და წარმატებას. ეს კი უდიდესი სამსახური იყო ჩვენი მწერლობის წინსვლის საქმისთვისაც.

რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული ჟურნალების მსგავსად, ილია ჭავჭავაძე „საქართველოს მოამბეს" აკისრებდა ფართო შეცნიერული ცოდნის გავრცელების ფუნქციას და ბეჯითადაც იღვწოდა ამ მიზნის მისაღწევად. ამიტომაც იგი დიდ მნიშვნელობას აძლევდა თარგმნასა და გამოქვეყნებას ისეთი ნაშრომებისას, რომელთა ავტორები იყენებენ მსოფლიოში ცნობილი მოაზროვნენი. ამის აშკარა დადასტურებაა ამერიკელი ასტრონომის მიტჩელის, გერმანელი პედაგოგის კ. გ. ხალცმანის, ფრანგი ეკონომისტის ფრედერიკ ბასტიასა და სახელმოხვეჭილი ფრანგი მოაზრეების პ. ჟ. პრუდონის ნაშრომთა გამოქვეყნება. ასეთი და ამდენი მეცნიერული გამოკვლევის დაბეჭდვა ერთი წლის ძანძილზე თავისთავად მეტყველებს რედაქტორისა და მისი ჟურნალის დამოკიდებულებაზე ისეთი წმინდა მეცნიერული პრობლემებისადმი, რომლებსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლოთ იმდროინდელ ქართველ მკითხველთა ერუდირებისათვის.

ქართველ მკითხველს უდავოდ სათანადო ინტერესი უნდა გამოეჩინა, კერძოდ, დიმიტრი ყიფიანის მიერ თარგმნილ მიტჩელის ლექციებისადმი ციური მნათობების შესახებ, რომელიც ჟურნალის მეორე ნომერში დაიბეჭდა. ეს ნაშრომი საინტერესოა იმითაც, რომ „მასში სამყარო" მატერიალისტური თეორიაა მოცემული. ავტორის აზრით, სამყარო უსასრულოა, არსებობს უსასრულო რიცხვი პლანეტებისა, რომლებიც ქმნიან ისეთ სისტემებს, როგორიც ჩვენი მზის სისტემაა და თვით ამ სისტემების რიცხვიც უსასრულოა. დედამიწა სხვა არაფერია, თუ არა ერთი პლანეტთაგანი სხვა პლანეტათა შორის"[23] ასევე საინტერესო უნდა ყოფილიყო ჟურნალის მკითხველისათვის გაცნობა ჟან-ჟაკ რუსოს სკოლის წარმომადგენლის კ. გ. ხალცმანის ნაშრომისა „კონრად კიფერი ანუ დარიგება ყმაწვილების კარგად აღზრდისათვის". ეს ვრცელი ნაშრომი ჟურნალის სამ ნომერში /№ 3, 4, 8/ იბეჭდებოდა, მთარგმნელი კი ჯერ სრულიად ახალგაზრდა ლევან ჯანდიერი /ჯანდიერაშვილი/ იყო.

კიფერის ეს ნაშრომი, პირველ ყოვლისა, საინტერესო იყო აღზრდის

---

[23] ე. გ ა გ ო ი ძ ე, „საქართველოს მოამბე", 1856, გვ. 77.

კომპლექსური მეთოდების გამოყენებისადმი მხარდაჭერით და ბავშვის ჰარმონიული განვითარებისათვის უპირატესობის მიცემით. ნიშანდობლივია ისიც, რომ „საქართველოს მოამბის“ რედაქციაც საგანგებო ინტერესითა და დაკვირვებით გაცნობია ამ ნაშრომს. ამას მოწმობს ის კრიტიკული დამოკიდებულება, რომელსაც იგი იჩენს ავტორის ერთი მოსაზრებისადმი. კერძოდ, კ. გ. ზალცმანის შეხედულებას, რომ მასწავლებელი არასოდეს არ უნდა გავამტყუნოთ მოსწავლეთა წინაშე, რედაქცია უკეთებს ასეთ შენიშვნას: „ამ უკანასკნელი აზრის თანახმა არა ვართ. მართალი ყოველთვის უნდა გამართლდეს, მტყუანი — გამტყუნდეს. სიმართლის გამოძიებაში უფროს-უმცროსობა არ უნდა იყოს: თუ ერთს საქმეში გარეულნი არიან, ოსტატი და შეგირდი, ოსტატი რომ მტყუანი იყოს უნდა გამტყუნდეს, რომ ბავშვს პატარაობითვე ყოველ უფროსის პატივისცემაზედ მაღლად სიმართლის პატივისცემა ჩაისახოს გულში, თორემ მართალი ბავშვი თავის უფროსზედ საჩივლელად მივიდეს და არ გაამართლო, — აქედამ რა უნდა გამოიტანოს ბავშვმა? ისა რომ უფროსთან უმცროსს სიმართლე არ გაუვა. ეს არა მგონია კარგი იყოს“. ცხადია, ეს შენიშვნაც ილია ჭავჭავაძის უნდა იყოს, რაც კიდევ ღრმად გვახედებს მის მორალურ კრედოში.

საერთოდ, „საქართველოს მოამბე“ უხვ მასალას იძლევა იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ დიდ და არსებით მნიშვნელობას აძლევდა იგი ახალგაზრდობის აღზრდის საკითხს და პედაგოგიური ცოდნის გავრცელებას საზოგადოებაში.

„საქართველოს მოამბეს“ უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც პოლიტიკური ეკონომიის საკითხები. მართალია, ამ საკითხებთან დაკავშირებით, მას არაფერი გამოუქვეყნებია მერვე ნომრამდე, მაგრამ მერვე, მეათე და მეთერთმეტე ნომრებში უკვე დაბეჭდა ბასტიასა და პრუდონის ნაშრომები.

ფრედერიკ ბასტიაც და პ. ჟ. პრუდონიც მეცხრამეტე საუკუნის ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტები იყვნენ. მათი ნაშრომები არ წარმოადგენდნენ მეცნიერული მიღწევის უკანასკნელ სიტყვას პოლიტიკურ ეკონომიაში, მაგრამ ბევრი მათი გამონათქვამი და შეხედულება მაინც აშკარა ბრალდებად გაისმოდა იმდროინდელი ჩვენი სოციალური ყოფის მიმართაც. ამიტომ იყო, რომ ბასტიას „მძარცველობის ფიზიოლოგიის“ მთარგმნელმა „ბ. ვ.“-მ ასეთი შენიშვნა დაურთო: „არის ერთი პატარა წიგნი გამოჩენილი ფრანციის ეკონომისა ბასტიასაგან დაწერილი — „ეკონომიური სოფიზმები“. თუმცა მთელი წიგნი ფრიად საგანგებო რამ არის და სასარგებლოცა, როგორც ყველასათვის, ისე ჩვენთვისაც, მაგრამ იქიდამ ამოვიღე მარტო ერთი ნაწილი „მძარცველობის ფიზიოლოგია“, რომელიც უფრო მეტად მოედგმის ჩვენს ცხოვრებას და რომელმაც იქნება გვიშველოს ზოგიერთი რამე გავიგოთ და ამით ჩვენთვის უნაყოფო არ იქნეს“.

ჟურნალის მეთერთმეტე ნომერში დაბეჭდილი ბასტიას „ორნაირი სწავლა“, როგორც მთარგმნელი შენიშნავს, არის „ძარცველობის ფიზიოლოგიის“ გაგრძელება.

მთარგმნელი არ ამბობს, რომ იგი საკუთარი კმაყოფილია ბასტიას ნაშრომით, მაგრამ დარწმუნებულია მის მიერ თარგმნილი თავები სასარგებლო იქნება ქართველი მკითხველისათვის, რაშიც უდაოდ უნდა დავეთანხმოთ. ამ თარგმანით „საქ. მოამბის“ მკითხველი ეცნობოდა ექსპლოატაციის მკაცრ და საფუძვლიან დაგმობას, მონობის, ბატონობისა და ჩაგვრის გაკიცხვას, თავისუფალი შრომის ღირსებებს: შეიტყობდა იმასაც, რომ მონობა არსად არ მოსპობილა „შებატონის ნებაყოფლობით“ ყოველივე ეს საჭირო იყო ჩვენი მკითხველისათვის, მით უმეტეს ამას ქადაგებდა ცნობილი უცხოელი მოაზროვნე. როგორც პროფ. პ. გუგუშვილი ამბობს “ბასტია ამტკიცებს, რომ ბურჟუაზიული კერძო საკუთრება პროგრესული და დემოკრატიულია. არათავისუფალი შრომა საზოგადოებრივი განვითარებისათვის შემზღუდველია, მაშინ როდესაც დაქირავებულ თავისუფალ შრომასა და კაპიტალს შორის არავითარი ანტაგონიზმი არ არსებობს; საჭიროა გზახსნილი მიეცეს თავისუფალ კონკურენციას და თაოსნობას, რათა ცხოვრება თანდათან ჩადგეს პარმონიული ურთიერთობის კალაპოტში. გასაგებია, რომ ბატონყმური საქართველოს პირობებში ამ აზრებს პროგრესული როლი უნდა ეთამაშნა“.[24]

„საქართველოს მოამბისა“ და მისი მკითხველისათვის უდავოდ საინტერესო შეხედულებებს შეიცავდა პრუდონის „სიღარიბე როგორც ეკონომიური პრინციპი“. მართალია, ეს ნაშრომი ნაწილი იყოს ავტორის იმ ცნობილი გამოკვლევის /„სიღატაკის ფილოსოფია“/, რომელიც მარქსმა მკაცრად გააკრიტიკა და წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის კოდექსი უწოდა, მაგრამ ფეოდალური საქართველოს პირობებში, ვიმეორებთ, მასში განვითარებულ წვრილბურჟუაზიულ თეორიებსაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ, რადგან გმობდა სოციალურ ჩაგვრას და თავისუფალი შრომის აპოლოგიას ეწეოდა. ამიტომაც ქართველ სამოციანელთა შორის პრუდონი, გარკვეულ პერიოდში, დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამის უტყუარ საბუთს წარმოადგენს თუნდაც ნიკო ნიკოლაძის უაღრესად საინტერესო სტატია „პ. ჟ. პრუდონი“, რომელიც 1865 წელს გაზეთ „სანკტ—პეტერბურგსკიე ვედომოსტში“ /№ 188/ დაიბეჭდა. ნ. ნიკოლაძემ, დაახასიათა რა პრუდონის ეკონომიური სისტემის სუსტი და მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანი მხარეები, გონებამახვილურად შენიშნა, რომ „ლუი ბლანისა და მის მსგავს მწერალთა სენტიმენტალურობის უქონლობა პრუდონს ფრანგი მკითხვე-

[24] პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, 1941, გვ. 387.

ლის თვალში რაღაც არაჩვეულებრივად უხეშ და, ალბათ, საშინელ შესახედაობას აძლევდა; სიმკვეთრე და უხეში ძალა მისი დებულებებისა ცეცხლს ნავთს ასხამდა და მას უცნაურ შუქს აყენებდა, რაც ბურჟუაზიას რობესპიერისეულად ან მარატისეულად ეჩვენებოდა... მაგრამ ეკონომიური მეცნიერება მაღლიერი უნდა იყოს მისი არა ამ სისტემისათვის, რომელიც არაფერს არ ასწორებდა და არავის შველოდა, არამედ არაპირდაპირი სარგებლობისათვის... იგი, უხეშობით, თუ განგებ, — ეს სულ ერთია, — არ ყოყმანობდა ყველა საგნისათვის ეწოდებინა მისი სახელი და გამოეთქვა ის, რასაც სხვა დამცველები თუ მოწინააღმდეგენი სხვადასხვანაირ სამკაულებით მოსავდნენ"... მისი ამგვარი თვისება მოსწონდა, ალბათ, „საქ. მოამბესაც".

ამგვარად, „საქართველოს მოამბეში" საკმაოდ მდიდრულად იყო წარმოდგენილი წმინდა მეცნიერული შინაარსის მქონე გამოკვლევები და ცალკეული სტატიები, რომლებიც მკითხველის ცოდნას ამდიდრებდნენ მეცნიერების სხვადასხვა სფეროს მიღწევებით. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ,მეცნიერული აზრის პროპაგანდა ჟურნალს მხოლოდ ამ შრომების გამოქვეყნებითა და მათდამი საკუთარი დამოკიდებულების გამომჟღავნებით არ შემოუფარგლავს. ყველასათვის მისაწვდომი და გასაგები ახსნა-განმარტებებით, „საქართველოს მოამბის" პუბლიცისტები და კრიტიკოსები მკითხველს სათანადოდ ათვითცნობიერებდნენ მოწინავე მეცნიერული შეხედულებებით მისთვის საინტერესო თითქმის ყველა საკითხზე.

თავისი არსებობის ერთი წლის მანძილზე „საქართველოს მოამბემ" მოახერხა საჯაროდ ემხილებინა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობის უმთავრესი ფაქტორები, ხაზი გაესვა მათი მოსპობის აუცილებლობისათვის, თანაც ეჩვენებინა გზები არსებული სინამდვილის გარდაქმნისა და შემდგომი განვითარებისათვის. სწორედ ამ გარემოებით იყო განპირობებული მისი უდიდესი დაინტერესება მეცნიერულ მიღწევათა პროპაგანდით. მან აშკარად დაგმო ფეოდალურ-ბატონყმური სოციალური სინამდვილე, წარმოების ფეოდალური წესი, მონური შრომა, ერთის მიერ მეორის ჩაგვრა და ექსპლუატაცია, მოითხოვა ძირდამპალი სოციალური სისტემის სრული მოსპობა და უფრო პროგრესული სოციალური ურთიერთობის ფორმათა დამკვიდრება. ამ მიზნით იგი მიესალმებოდა სასურველ რეფორმებს, მაგრამ სრულებით არ უარყოფდა გარდაქმნის არც რევოლუციურ გზას.

ჩამორჩენილი სოციალური ყოფისადმი ბრძოლის პათოსს კიდევ უფრო აძლიერებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წმინდა იდეები, რომელთა ხორცშესხმა შეუძლებელი იყო ფეოდალურ-ბატონყმური სინამდვილის მოსპობის გარეშე. ჟურნალის თანამშრომლები ხაზგასმით მსჯელობდნენ ეროვნული თავისუფლებისათვის მიღწევის აუცილებლობასა და პროგრესული სოციალურ-პოლიტიკური

სახელმწიფო სისტემის შექმნაზე. ისინი სოლიდარობას უცხადებდნენ და ხოტბას ასხამდნენ გარიბალდის ბრძოლებს იტალიაში და პოლონელი ხალხის ეროვნულ მოძრაობას; პოპულარიზაციას უკეთებდნენ სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ ყველა ეკონომიურ შეხედულებას, სოციალური პროგრესისათვის გამიზნულ ყოველ ღონისძიებას; ფართოდ აცნობდნენ თავიანთ მკითხველს რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა პოლიტიკურ და ესთეტიკურ შეხედულებებს, ექსპლოატაციისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართულ ევროპელ ეკონომისტთა ნააზრევს.

მიზნად ჰქონდათ რა მშობლიური ქვეყნისა და მისი სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილის გარდაქმნა, „საქართველოს მოამბის" თანამშრომლები სისტემატურად მსჯელობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიის, მათ თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოთა სოციალურ-პოლიტიკური სისტემისა და წყობილების, საერთოდ ფილოსოფიისა და პოლიტიკის ისეთ საკითხებზე, რომლებსაც უშუალო კავშირი ჰქონდათ ჩვენი სინამდვილის გაუმჯობესების ინტერესებთან.

„საქართველოს მოამბის" თანამშრომლები ჰქადაგებდნენ მატერიალისტურ თვალსაზრისს სამყაროსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, განვითარებასა და ცვალებადობაზე. აქედან გამომდინარე, ისინი ხაზს უსვამდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის აუცილებლობას განვითარების ობიექტური კანონების შესატყვისად და მკაცრად გმობდნენ დრომოჭმულ თეორიას ცხოვრების უძრაობის შესახებ. ისინი საგანგებოდ მსჯელობდნენ ადამიანთა როლზეც ამ დიად პროცესში და გარკვევით მოითხოვდნენ პიროვნებისა და შრომის თავისუფლებას. ამასთან მათ შეგნებული ჰქონდათ, რომ არც ერთი გაბატონებული კლასი, არც ერთი გაბატონებული წყობილება უბრძოლველად არ დათმობს ძალა-უფლებას. ამიტომ ისინი არ უარყოფდნენ რევოლუციურ გარდაქმნებს. მაგრამ მათი რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა მაინც დამძიმებული იყო გამანათლებლური შეხედულებებით; ისინი ხშირად ქანაობდნენ რევოლუციონურ-დემოკრატიულ და განმანათლებლურ პოზიციებს შორის. ეს იყო იმის მიზეზიც, რომ ხშირად გადაჭარბებულ როლს აკისრებდნენ განათლებას, ცოდნას, მეცნიერებასა და ხელოვნებას. მათ მოწინავე იდეებს ლაქად ამჩნევია ის გულუბრყვილო რწმენაც, რომლის მიხედვით თანასწორობისა და თავისუფლების მიღწევა თითქოს შესაძლებელი ყოფილიყო კერძო საკუთრების პირობებშიც.

მიუხედავად ამგვარი შეზღუდულებისა, „საქართველოს მოამბემ" შეძლო ცხოვრებისა და აზროვნების ყველა სფეროში მოწინავე იდეები დაეპირისპირებინა „ცისკრის" მიერ წლების მანძილზე ნაქადაგები კონსერვატორულ-სქოლასტიკური აზრებისათვის. მას თითქმის არ

დაუტოვებია იმ დროისათვის საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხები ისე, რომ მათ შესახებ მეტ-ნაკლებად, პირდაპირ თუ მინიშნებით, თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვა. იგი „პირველი ქართული ჟურნალია, რომლის ავტორთა ჯგუფმა მიზნად დაისახა პრესის საშუალებით ქართველი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლა, ქართველ საზოგადოებაში მოწინავე რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების დანერგვა და ქართველი ხალხის დაკავშირება მსოფლიო კულტურის მონაპოვრებთან[25].

ი. ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბის“ მიმართულება ძირითადად შემდეგ ამოცანებს დაუმორჩილა: ლიტერატურაში — კრიტიკული რეალიზმის გაბატონებასა და ანტირეალისტური ტენდენციების მოსპობას; ენის საკითხში — სასაუბრო ცოცხალ სამეტყველო ენაზე დაყრდნობით ერთიანი ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებას; სოციალურ საკითხში — ბატონყმური ურთიერთობის მოსპობას; ეროვნულ საკითხში — ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობასა და მტკიცე ეროვნული მთლიანობის განხორციელებას. ყველა ამ საკითხში ი. ჭავჭავაძე და მისი ჟურნალი პრინციპულად უპირისპირდებოდა ფეოდალურ-ბატონყმური ყოფის იდეოლოგებს ლიტერატურასა და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მართალია, ი. ჭავჭავაძეს „საქართველოს მოამბის“ ფურცლებიდან უფრო მეტისა და უფრო მკაცრად თქმა სურდა, მაგრამ არ აძლევდნენ ამის უფლებას: ცენზურა ჯალათივით ადგა თავზე და მოაგონებდა, რომ ჟურნალის გამოცემას იმ პირობით დასთანხმდნენ, «...Чтобы в нем не помещалось никаких политических известий и рассуждений». ამიტომ იყო, რომ ჟურნალი უფრო ხშირად ეზოპეს ენით ლაპარაკობდა.

მოულოდნელი ფინალი

ბევრი უაღრესად საყურადღებო მხატვრული, პუბლიცისტური და მეცნიერული თხზულებისა და სტატიის გამოქვეყნება მოასწრო „საქართველოს მოამბემ“; ბევრი საგულისხმო აზრი და შეხედულება გააცნო და გაუზიარა მან თავის მკითხველს. საერთო აღიარებაც მალე დაიმსახურა: შეიძინა პატივისმცემელთა ფართო წრე და გაიჩინა მოწინააღმდეგენიც. მაგრამ არავინ მოელოდა, რომ 1864 წლიდან იგი აღარ გამოვიდოდა. პირიქით, საზოგადოების განწყობილება და საზოგადოებრივი აზრი ისეთი იყო, რომ ახალი წლიდან „საქართველოს მოამბე“ უფრო ფართოდ გაშლიდა ფრთებს და კიდევ უკეთ გამოაველენდა თავის სახეს. მართალია, კონსერვატორული თავადაზნაურობა და მისი წარმომადგენლები

[25] ვ. გაგოიძე „საქართველოს მოამბე“, 1956, გვ. 185.

ადრევე აცხადებდნენ ხელს არ მოვაწერთ ჟურნალზეო, მაგრამ საგანგაშო არც ეს მუქარა ყოფილა. ნიჭიერი რედაქტორიც ჟურნალის გაუმჯობესებასა და მუშაობის გაფართოებაზე ფიქრობდა, რასაც მისი ოფიციალური განცხადებაც ადასტურებდა. მაგრამ... 1864 წლიდან, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, „საქართველოს მოამბემ“ გამოსვლა შეწყვიტა. ამგვარმა მოულოდნელმა ფინალმა იძთავითვე გაკვირვება და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია! ნამდვილი ვითარების შეცოდნე რედაქტორს კი გარკვევით არაფერი უთქვამს. არაფერი უთქვამს არა მხოლოდ მაშინ, არამედ — შემდეგაც, რაც, თავისთავადაც, მრავლისმეტყველი ფაქტია. რა მოხდა?

ეს კითხვა, როგორც ვთქვით, დაისვა მაშინაც, იგი პასუხს ელოდება დღესაც, მაგრამ მისი ჭეშმარიტად დამაჯერებელი ახსნა ჯერჯერობით მაინც არ გვაქვს. უფრო მეტიც, ზოგიერთი მკვლევარი შეგნებულად უვლის გვერდს ამ კითხვას და საერთოდ არ მსჯელობს მასზე, რადგან თითონ გრძნობს, რომ ვერ მივიდა ლოგიკურ პასუხამდე. არც ჩვენა გვაქვს პრეტენზია ბნელით მოცულ ამ საკითხს საბოლოოდ მოეფინოთ შუქი, მაგრამ შევეცდებით სრულად წარმოვადგინოთ სათანადო მოვლენების ისტორია, რამაც უნდა გაგვიადვილოს ჭეშმარიტებამდე მისვლა...

ზოგიერთი იმდროინდელი მოღვაწის თუ თანამედროვე მკვლევრის აზრით, „საქართველოს მოამბე“ ცენზურის განკარგულებით დაიხურა, მაგრამ ამგვარი შეხედულება არც ერთი დოკუმენტით არ დასტურდება. მთავრობას, და კერძოდ ცენზურას, არასოდეს არ მიუღია ოფიციალური გადაწყვეტილებები ამ ჟურნალის დახურვის თაობაზე.

კრიტიკას ვერ უძლებს ვერც გრ. ყიფშიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, თითქოსდა „საქართველოს მოამბე“ რედაქტორის დაოჯახების მიზეზით დაიხურა. „მკითხველი საზოგადოება, — წერს ის, — დიდის თანაგრძნობით მოეკიდა ახალ ჟურნალს, მაგრამ, სამწუხაროდ, მისმა არსებობამ დიდხანს ვერ გასტანა. ილიას შეუყვარდა გურამიანთ ქალი ოლღა და, თავის საკუთარ საქმეებითა და სამსახურში შესვლის ფიქრით გართულმა, შესწყვიტა მისი ბეჭდვა იმავ წელს, რომელშიაც დაიწყო, ესე იგი 1863 წელს“[26].

უფრო ყურადსაღებია „საქართველოს მოამბის“ მუშაობაში ჩახედული გ. წერეთლისა და პ. უმიკაშვილის მოსაზრებები, რომელთა მიხედვით ჟურნალის დახურვა ილიას გადააწყვეტინა თანამშრომელთა სიმცირემ.[27]

ი. მეუნარგიას თქმით, „საქართველოს მოამბემ“ ახალი სიტყვა გა-

---

[26] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, 1914, გვ. XXX.

[27] გაზეთი „დროება“ 1869, № 19; ჟურნალი „კრებული“, 1872, № 8—9.

აგონა საზოგადოებას, მაგრამ „ახალი სიტყვა ძველებს არ მოეწონათ... ძველ თაობას არ მოსწონდა არც ილიას ჟურნალი და არც ილიას სიტყვები... „საქართველოს მოამბემ“ ზემოთქმული მიზეზების გამო დიდხანს ვერ იცოცხლა. საშუალება რომ შემოაკლდა, ილიამ „საქართველოს მოამბის“ გამოცემას თავი ანება“...[28]

მკვლევარი ალ. კალანდაძე იზიარებს გ. წერეთლის, პ. უმიკაშვილისა და ი. მეუნარგიას მოსაზრებებს და წერს: „საქართველოს მოამბის“ დახურვის ერთ-ერთი მიზეზი ლიტერატურული მასალის ნაკლებობა იყო... მეორე მიზეზს ხელისმომწერთა შემცირება წარმოადგენდა... ამრიგად, „საქართველოს მოამბე“ საზოგადოებრივი ცხოვრების მოუმწიფებლობის შედეგად დაიხურა“[29].

ჩვენი აზრით, ყველა მითითებულმა გარემოებამ თავისი როლი შეასრულა, მაგრამ „საქართველოს მოამბის“ დახურვის მიზეზი უფრო რთულ და დაუძლეველ დაბრკოლებაში უნდა ვეძიოთ.

1861 წელს „ცისკრის“ ფურცლებზე დაწყებულმა იდეურ-ლიტერატურულმა ბრძოლამ აშკარა გახადა, რომ უკვე არსებობდა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე პრინციპულად განსხვავებული შეხედულებების მქონე ორი ბანაკი: ერთი — კონსერვატორულ-ლიბერალური მიმართულებისა, მეორე — რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე მდგომი. ამ უკანასკნელის წარმომადგენლები იყვნენ, უმთავრესად, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში განათლება მიღებული ახალგაზრდები და იმჟამად მოსწავლე სტუდენტობა, რომლებმაც ბრძოლის უნარიც გამოავლინეს და შესაფერი თეორიული მომზადებაც. უდავო გახდა ის გარემოებაც, რომ მათ თანამგრძნობი და პატივისმცემლებიც ბევრი ჰყავდათ არა მხოლოდ უბრალო, მშრომელ ხალხში, რომელთა ინტერესებსაც ისინი იცავდნენ და გამოხატავდნენ, არამედ შემოქმედ და გავლენის მქონე მოღვაწეთა შორისაც. მათმა სიტყვამ და შემართებამ, მართალია, მოწინააღმდეგეთა ბანაკის სასტიკი გაცხარება და რეაქცია გამოიწვია, მაგრამ მხარდამჭერთა და თანამგრძნობთა ხმაც გაისმა და, რაც მთავარია, საზოგადოება ორად გაიყო. ამგვარმა ვითარებამ, ცხადია, ახალ თაობასა და მის ნიჭიერ წინამძღოლს ილია ჭავჭავაძეს მაღალი ეროვნული პასუხისმგებლობა დააკისრა: დაწყებული საქმე უნდა გაეგრძელებიათ. ამისათვის კი, პირველ ყოვლისა, საჭირო იყო ტრიბუნა, რომლის საშუალებითაც მათ შესაძლებლობა ექნებოდათ საზოგადოებისათვის გაეცნოთ მისთვის ჯერ უცნობი, მაგრამ უაღრესად მოწინავე იდეები. უკანდახევა ყოველმხრივ გაუმართლებელი იყო და ეს არც ილიას უფიქრია. იგი დროულად შეუდგა თადარიგს საკუთარი ჟურნალის გამოსა-

---

[28] ი. მ ე უ ნ ა რ გ ი ა, ქართველი მწერლები, 1957, ტ. II, გვ. 28.

[29] ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, საქართველოს მოამბე, 1963, გვ. 319, 320.

ცემად, რასაც, როგორც ვიცით, კიდეცაც მიაღწია.

ახალთაობის სასარგებლოდ მოქმედებდა არა მხოლოდ ჭაშნარიტება, რომელსაც ისინი ემსახურებოდნენ, არამედ დრო და გარემოც. ეს იყო რევოლუციური სიტუაციის აღმავლობის პერიოდი; ეს იყო ორი ფორმაციის სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახების წლები, როცა ძველის სიკვდილი და მისი ახლით შეცვლის აუცილებლობა მხოლოდ ჩამორჩენილთ და გონებაშეზღუდულთ ეეჭვებოდათ. ილია ჭავჭავაძეს ისღა დარჩენოდა, რომ მარჯვედ ესარგებლა შექმნილი ვითარებით, — აღგილობრივი და რუსეთის იმპერიის საერთო მდგომარეობით. მანაც მშვენივრად შენიშნა ყოველივე და კარგადაც გამოიყენა. ერთი შეხედვით იგი უჯარო გენერალი იყო, მაგრამ მაინც გრძნობდა და ხედავდა თანამოაზრეთა მხარდაჭერასა და თანადგომას, რაც იმავე „ცისკრის" ფურცლებიდანაც აშკარა გახდა.

გადაწყვეტილება „საქართველოს მოამბის" გამოცემაზე და მისი შესაფერი პროგრამის შემუშავებაც ამ გარემოებით იყო განპირობებული. ამითვე იყო განპირობებული ოფიციალური ხელისუფლების თანხმობაც მის გამოცემაზე. მთავრობა თითონაც სოციალური რეფორმისა და გარდაქმნების გზას ადგა; ყირიმის ომის შემდეგ სხვა უკეთეს გამოსავალს იგი ვერ ხედავდა. ამიტომ ანტიბატონყმური იდეებით გატაცებული ილია ჭავჭავაძე და მისი ჟურნალი, თავდაპირველად, მისთვის საშიშს არაფერს წარმოადგენდა. ილიამაც, ვიმეორებთ, ამ ვითარებით ისარგებლა და პრაქტიკულად შეუდგა ზრუნვას ჟურნალის გამოსაცემად.

ჟურნალის სათანადო პროგრამა დამტკიცებული იქნა და ოფიციალურადაც გამოქვეყნდა. ახლა დღის წესრიგში დადგა მისი აღსრულება და იმგვარად ხორცშესხმა, როგორც ეს სასურველად მიაჩნდა თვით ილია ჭავჭავაძეს. ილიას კი ფართო და საკუთარი გეგმები ჰქონდა. რაც მთავარია, მას სრულებითაც ვერ აკმაყოფილებდა მხოლოდ და მხოლოდ ანტიფეოდალური და ანტიბატონყმური იდეებით შემოფარგვლა. ყოველივე ეს მისი მიზანდასახულობის ერთი მთავარი მხარეთაგანი იყო, მაგრამ მხოლოდ სოციალური პროგრესით იგი ვერ დაკმაყოფილდებოდა; ის ხომ ეროვნულ თავისუფლებას მოკლებული ხალხის წარმომადგენელი იყო, მისი საბოლოო და სანუკვარი ოცნება ხომ ეროვნული თავისუფლების მიღწევა იყო. ამიტომ მას სათანადოდ უნდა ესარგებლა სოციალური პროგრესისათვის შექმნილი ხელსაყრელი სიტუაციით და პარალელურად ეზრუნა და ეკეთებინა მეორე დიდი საქმე — ფართოდ გაეშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა, რასაც ოფიციალური ხელისუფლება, რა თქმა უნდა, არც ერთ სიტუაციაში არ შეურიგდებოდა. ამ დიდ საშიშროებასა და შესაბამ მძიმე დაბრკოლებებს თავიდანვე გრძნობდა ილია, მაგრამ მათ შესახებ იგი აშკარად ვერაფერს იტყოდა; ამ მიმართულებით ყველაფერი ფარულად და შესაფერი მეთო-

დების მომარჯვებით უნდა გაკეთებულიყო. ასეთ მძიმე საქმეს შეუდგა თეორიულად კარგად მომზადებული და დიდი პატრიოტული აღტყინებით ფრთაშესხმული, მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილების არმქონე ახალგაზრდა რედაქტორი.

ჟურნალის გამოსაცემად წარმართული მუშაობა ორი მთავარი პრობლემის გათვალისწინებასა და მოგვარებას გულისხმობდა: წმინდა საგამომცემლო პირობების უზრუნველყოფას და სათანადო თანამშრომელთა ჯგუფის შექმნას. პირველი პრობლემა ილიამ შედარებით იოლად მოაგვარა: იშოვა სტამბა, ქაღალდი, ხელისმომწერნი. რაც შეეხება საჭირო თანამშრომელთა ჯგუფის შედგენას, უნდა პირდაპირ ითქვას, ილიას იგი გაუძნელდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სიძნელე შექმნა როგორც ობიექტურმა, ასევე — სუბიექტურმა ფაქტორებმა. პირველ ყოვლისა, მდგომარეობას ართულებდა ის გარემოება, რომ ილიას თანამოაზრეთა უმეტესობა, რომელსაც შეეძლო პრაქტიკულად ამოდგომოდა მას მხარში, რუსეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობა იყო. მათთან ყოველდღიური კავშირი, ცხადია, ძნელდებოდა. საქართველოში, კერძოდ თბილისში, მცხოვრები თანამოაზრენი ნაკლებად იყვნენ დაჯილდოებულნი შემოქმედებითი ნიჭით, განსაკუთრებით კი სამწერლო ტალანტით. ამიტომ არსებული შესაძლებლობა, ფაქტიური რეზერვი, ილიას მაქსიმალურად უნდა გამოეყენებინა და შესაფერი ურთიერთობა დაემყარებინა მასთან. მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას რომ საკითხის ეს მხარე მომავალმა რედაქტორმა ვერ მოაგვარა სასურველ დონეზე. მას, რატომღაც თავიდანვე გაუძნელდა საერთო ენის გამონახვა აშკარა თანამოაზრეთა მიმართაც. უფრო მეტიც, თანამშრომელთა შენარჩუნების საქმეც არ იძლევა სასურველ სურათს. ჩანს, მუშაობის ამ მიმართულებით წარმოება უძნელდებოდა უაღრესად პრინციპულ და ნაკლებად მობილური ბუნების რედაქტორს. პირველი დიდი მარცხი, ამ მხრივ, ილიამ მაშინ განიცადა, როცა ვერ მოახერხა აკაკი წერეთლის „საქართველოს მოამბის“ თანამშრომლად გახდომა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ აკაკი წერეთლის მხარში ამოდგომის შემთხვევაში „საქართველოს მოამბე“ გაცილებით მოიგებდა. უფრო მეტიც, თითქმის მოხსნილი იქნებოდა ის მთავარი დაბრკოლება, რომლის გამო მის მომდევნო ნომრებს წინსვლა და გაუმჯობესება აღარ ეტყობოდათ. ეს მით უფრო გულსატკენია, რომ აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე თავიანთი იდეური და პოეტური კრედოთი სრულებით არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ვერც ზოგიერთი სხვა ნიჭიერი თანამოაზრის მიზიდვა და შესაფერი გამოყენება შეძლო ილია ჭავჭავაძემ, რის გამო მთელი სიმძიმე მას დააწვა და ძნელი გახდა ყველაფრისათვის თავის გართმევა. მით უმეტეს, რომ ჟურნალს აშკარად ავიწროებდა ოფიციალური და არაოფიციალური ცენზურა.

ძნელია დღეს უეჭველი სიზუსტით ვთქვათ იმაზეც, თუ რატომ აღარ აღასრულეს თავიანთი დაპირება ნიკოლოზ ღოღობერიძემა და ივანე სერებრიაკოვმა, რომლებიც ოფიციალურად იყვნენ გამოცხადებულნი ჟურნალის სათანადო განყოფილებათა ხელმძღვანელებად. ანდა რატომ მხოლოდ თითო მასალით გამოჩნდნენ ჟურნალის ფურცლებზე ვ. თულაშვილი, ე. მაღალაშვილი, ი. ოქრომჭედლიშვილი, გ. წერეთელი, მიხ. ჩიკვაიძე, დიმ. ყიფიანი, გ. სულხანიშვილი. გაკვირვებას იწვევს ყველაზე აქტიური თანამშრომლის დავით ყიფიანის ჩამოცილებაც ჟურნალის მეექვსე ნომრიდან. მართალია, ამის მთავარი მიზეზი იყო „სხვადასხვა ამბავის“ განყოფილების აკრძალვა ცენზურის მიერ, მაგრამ მისი მონაწილეობა ჟურნალში, ალბათ, შემდეგშიც შეიძლებოდა.

ფაქტია, რომ გარკვეულად გაძნელდა სათანადო ურთიერთობის დამყარება რედაქტორსა და თანამშრომლებს შორის. ამასთან დაკავშირებით, პ. უმიკაშვილი გადმოგვცემს: ილიამ ვერ მოახერხა „საქართველოს მოამბის“ გარშემო დაერაზმა სასურველ თანამშრომელთა წრე; „წრე ვერ შესდგა. ის მწერლები, რომელნიც აღტაცებულის გრძნობით გარს ეხვივნენ პირველს დროში ჟურნალსა, ნელ-ნელა გაიფანტნენ, გავიდნენ ზოგი ადრე, ზოგი გვიან — იმისდაგვარად, აღტაცების ცეცხლი ვის როდის უქრებოდა“...[30]

პ. უმიკაშვილის მიერ დახატული ეს სურათი სინამდვილეს შეეფერება, მაგრამ ახლა ძნელი დასადგენია, თუ რატომ ჩაუქრათ ეს „აღტაცების ცეცხლი“ ამ თანამშრომლებს, თუმცა უმთავრესი მიზეზი მაინც გასაგებია: ერთი მხრივ, არ იყო მატერიალური დაინტერესება, მეორე მხრივ — ცენზურის წყალობით ვერ ხერხდებოდა აზრის სათანადოდ გამოთქმა. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. როგორც ს. მესხი ამბობს, იმის გამო, რომ „საქართველოს მოამბეს“ მოაკლდა თანამშრომლები, „ჟურნალი უკანასკნელ დროს გათხელდა, სტატიები შემსუბუქდნენ. ამის გამო მეორე წელიწადს რომ ეცოცხლა, რასაკვირველია, ხელისმომწერნი მოაკლდებოდნენ, მესამეს, შეიძლება, ისიც აღარ ეყოლებოდა და შემდეგ დაიწუებდა ჭაპანწყვეტით ფორთხვას. ამ ძაღლურ ცხოვრებას „საქართველოს მოამბემ“ ისევ ის ამჯობინა, რომ ერთბაშად მოესპო თავისი თავის არსებობა“.[31]

ეს სიტყვები იმითაცაა საინტერესო, რომ ს. მესხს, ჩანს, „საქართველოს მოამბის“ დახურვა მიაჩნდა არა აუცილებლობით განპირობებულ მოვლენად, არამედ — რედაქტორის წინდახედულებად.

---

[30] ჟურნალი „კრებული“, 1872, № 8—9.

[31] „დროება“, 1869, № 19. ხელმოწერილი მოწინავე სტატია /ტფილისი 8 მაისის“/, საიდანაც ეს ციტატაა მოტანილი, უნდა ეკუთვნოდეს ს. მესხს და არა გ. წერეთელს. ეს უკანასკნელი, ამ დროს, პეტერბურგში იყო და გაზეთს ხელს აწერდა, „დროებითი რედაქტორი ს. მესხი“.

ამგვარად, „საქართველოს მოამბის“ დახურვის საბაბად დღემდე გამოცხადებული არც ერთი მიზეზი არ ყოფილა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე, არც ერთი მათგანი არ ყოფილა ისეთი, რომლის დაძლევა არ შეძლებოდა ილია ჭავჭავაძეს. მართალია, ყოველი მათგანი პრობლემებს უქმნიდა მას, მაგრამ განა შეიძლებოდა ამგვარი წინააღმდეგობები არ შეხვედროდა მაშინდელ რედაქტორს?

ფაქტია, რომ ილიას შეეძლო შეეგროვებინა საჭირო ხელისმომწერთა მინიმალური ოდენობა მაინც. ისიც აშკარაა, რომ თანამშრომელთა შემოკრებაც არ იყო შეუძლებელი, თუკი ამას იგი თითონ მოისურვებდა და მეტ დაინტერესებას თუ „დიპლომატიას“ გამოიჩენდა. რაც მთავარია, მისი ოფიციალური განცხადებებიდან არ ჩანს, რომ ეს პრობლემები მისთვის გადაულახავი იყო. პირიქით, როგორც ეს ჟურნალის ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული სარედაქციო განცხადებიდან ჩანს, იგი ამ დროისათვის ჟურნალის გაუმჯობესებაზე ზრუნავს და მის ძველ პროგრამაში ცვლილებების შეტანა სურს ოფიციალურად. „დიდი ხანია, — ვკითხულობთ ამ განცხადებაში, — უნდა გამოცხადებულიყო კიდეც მომავალი წლისათვის ჩვენს ჟურნალზედ ხელისმოწერა, მაგრამ ჯერ ხანად კიდევაც ვაგვიანებთ. იმიტომ რომ ჟურნალის პროგრამა, მისი გამოსვლის დროს რიგი და თითონ ფორმატი გვინდა გამოვცვალოთ ამის ნების დართვა ვითხოვეთ მთავრობისაგან და მანამ ნება არ მოგვეცემა ხელისმოწერის გამოცხადებას ვერ ვბედავთ“.

ეს განცხადება მრავალმხრივაა საინტერესო. აშკარაა, რომ რედაქტორს ოფიციალურად დაუსვამს საკითხი ჟურნალის პროგრამაში კორექტივის შეტანის შესახებ. როგორც ჩანს, იგი მოითხოვდა პერიოდულობისა და ფორმატის შეცვლას /„მისი გამოსვლის დროს რიგი და თითონ ფორმატი გვინდა გამოვცვალოთო“/. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ზრდიდა ჟურნალის მოცულობას, ცვლიდა მის გარეგნულ ფორმას და, რაც მთავარია, პერიოდულობას; ნაცვლად ყოველი თვისა, ალბათ, ჟურნალი უნდა გამოსულიყო ორ ან სამ თვეში ერთხელ. ამგვარ ცვლილებებს რედაქტორს აშკარად კარნახობდა შექმნილი ვითარება და პრაქტიკული გამოცდილება; ჟურნალის ნომრების სათანადო დონეზე მომზადება და მისი დაუგვიანებლად გამოსვლა მეტ დროს მოითხოვდა.

მთავრობამ არ დააკმაყოფილა რედაქტორის ამგვარი მოთხოვნა. ამიტომ იგი იძულებული იყო ჟურნალის მომდევნო /ნოემბრის/ ნომერში გამოექვეყნებინა ასეთი ვრცელი განცხადება: „წარსულმა დრომა მრავალჯერ დაგვიმტკიცა, რომ რასაც ჩვენ თითონ ვჰსთხოვდით ჩვენს ჟურნალსა, რასაც მისგან მოველოდით — ამას ყველაფერს წინ კედელი დახვდა. რასაკვირველია, ყოველს საქმეს დაბრკოლებაც თან მოსდევს ხოლმე, მაგრამ ჟურნალის სა-

ქმეში ზოგი იმისთანა დაბრკოლებაა, რომელიც უნდა ჰსძლიოს რედაქციამა და რომლის ძლევაც შეიძლება; ზოგი იმისთანაა, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგამოდება უქმია. „დრონი მეფობენო“ ნათქვამია, — ჩვენც ნებით თუ უნებლიეთ გულზედ ხელი უნდა დაგვეკრიფნა.

ხოლო თუმცა გზა გახიდული გვქონდა, მაგრამ გულწრფელად და გაბედვით ვიტყვით, რომ სხვის მოსაწონად არც ერთის ჩვენის გულითადის აზრისათვის არ გვიღალატნია. როგორც გონება ჩვენი ჰსჭრიდა, როგორც გული გვითხრობდა — ისე ვლაპარაკობდით, როგორც შეგვეძლო და კვლავაც ისე მოვიქცევით — თუნდ რომ ამით ჩვენს ჟურნალს ბოლო მოეღოს.

ნაკლულოვანება ჩვენს ჟურნალს, რასაკვირველია, ბევრი ჰქონდა. სირცხვილი იქნებოდა ჩვენთვის, რომ ეგ ნაკლულოვანება დავფაროთ. ეგ მკითხველის და თავის თავის მოტყუება იქნება — და ჩვენ ამაზედ შორს ვართ. ყველაზედ დიდი ნაკლულოვანება ჩვენის ჟურნალისა ის იყო, რომ სხვათა შორის დროების ინტერესი არა ჰქონდა, — ეგ ინტერესია ყოველი ჟურნალის სული, ეგ აცხოვლებს, ეგ აბრუნებინებს მას სულსა. არც ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება, არც ერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრიალებს და რომელიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა, არც თუ ვერ ახსნა ჩვენმა ჟურნალმა, არამედ ვერც კი გაბედა, რომ მიჰკარებოდა, თუმცა ზოგჯერა ჰსცადა. კიდევ იმავე მიზეზით, რომ „დრონი მეფობენო“ ამის გამო ჩვენს ჟურნალს ფერი დააკლდა. „მოამბემ“ შორიდან დაუწყო ტრიალი მას, რაც ახლოდ გასასინჯავი იყო და „ცისკარმაც“ — თავის ჩვეულების წინააღმდეგ — მართალი ჰსთქვა, რომ „მოამბე“ „სბორნიკსა“ ჰგავსო. სხვა ნაკლულოვანება, რომელიც ჩვენის საზოგადოების განათლებულმა ნაწილმა შენიშნა, ზოგი იმისთანაა, რომელიც ყოვლის ახალ დაწყობილის საქმისათვის აუცილებელია, ზოგი კიდევ იმისთანა, რომელიც ჩვენს საკუთარს გამოუცდელობას მიეწერება. დროთა და ჩვენის გამოცდილების შემწეობით შეიძლება, რომ ეგ ნაკლულოვანება აღარ იყოს.

კვლავ იქნება ჩვენს ჟურნალს დარი დაუდგეს და კარგი ნაყოფი მოიტანოს; ამის იმედი მით უფრო არის, რომ ბევრმა აღგვითქვა გულმოდგინე შემწეობა. ღმერთმა ქნას, რომ იმათი სურვილი, ჩვენს სურვილთან ერთად, უნაყოფო არ დარჩეს!

ჟურნალი ისევ თვე და თვე გამოვა იმავე პროგრამით, სი-

ვრცით შვიდ თაბახზედ არა ნაკლები. ფასი რვა მანეთი იქნება შინ გაგზავნით, გაუგზავნელად — შვიდი.

ქალაქ გარედ მცხოვრებთაგანი, ვინც პირდაპირ რედაქციაში გამოგზავნის ფულსა, იმას პირობას მივცემთ, რომ ყველაფერში პასუხისმგებელნი ვიქნებით. თორემ შარშან ბევრს სხვისთვის მიეცა ჟურნალის ფული რედაქციაში გადასაცემათ და ზოგიერთ მათგანს არამც თუ ფული, ხელის მომწერთა სახელებიც დღევანდლამდინ არ მიგვიღია, ზოგმა კიდევ დააგვიანა ფულის გადმოცემა და ამის გამო რედაქციას ბევრი უსამართლო სამდურავი და საყვედური დაედო. რომ ეს ურიგობა აღარ იყოს, ვისაც სურს პირდაპირ რედაქციაში გამოგზავნოს ფული ამ ადრესით:

В редакцию журнала «Грузинский Вестник».

ქალაქში მცხოვრებთა ხელის მოწერა შეუძლიანთ უფ. ტერ-მიქელიანცის წიგნის მაღაზიაში — რომელიც არწრუნის ქარვასლაში არის კაპანაძის პირდაპირ. ფულის მომტანმა საკუთარის ხელით საკუთრად ამისთვის შედგენილს წიგნში უნდა ჩაჰსწეროს თავისი გვარი და ადრესი და ბილეთი, რედაქტორისგან ხელმოწერილი და მისის ბეჭდით დაბეჭდილი, უნდა ჩამოართოს.

ამასაც ვითხოვთ, რომ ყოველი ადრესის გამოცვლაზედ ან ჟურნალის დაგვიანებაზედ, ან სრულიად არ მიღებაზედ, მაშინვე რედაქციას აცნობონ წერილითა, რომ საბუთი გვქონდეს ან ფოშტას მოვჰსთხოვთ, ან წიგნების დამტარებელსა.

ვისაც დღემდე ისევ შარშანდელი ჟურნალის ფასი გამოუგზავნია დანარჩენს ფულს უკანვე ვუგზავნით.

რედაქტორი ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე“.

ამ ვრცელ განცხადებაში ყველაფერია ნათქვამი. ყოველი მკითხველისათვის, მით უმეტეს სპეციალისტისათვის, აშკარაა, რომ მიუხედავად ოფიციალურად მიღებული უარისა შეეცვალა ჟურნალის პერიოდულობის ვადები და ფორმატი, ილია ჭავჭავაძე „საქართველოს მოამბის“ გამოცემაზე ხელს არ იღებდა. პირიქით, იგი ჯერ კიდევ იმას ფიქრობდა, რომ „კვლავ იქნება ჩვენს ჟურნალს დარი დაუდგეს და კარგი ნაყოფი მოიტანოსო“. იმასაც ატყობინებდა მკითხველს, რომ „ბევრმა აღგვითქვა გულმოდგინე შემწეობაო“. ჩანს, ამ მიმართულებითაც მას გარკვეული მუშაობა ჰქონდა ჩატარებული. რედაქტორი იმასაც შეგუებულია, რომ შემდგომშიაც „შორიდან დაუწყოს ტრიალი მას, რაც ახლოდ გასასინჯავია“. მაგრამ იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სხვის მოსაწონად არც ერთს თავის გულითად აზრს არ უღალატებს... თუნდ რომ ამით მის ჟურნალს ბოლო მოეღოს“.

ამ განცხადებიდანაც უდავოდ ჩანს, რომ ილია ჭავჭავაძეს ნათხოვნი

ჰქონდა ჟურნალის პერიოდულობის ვადების შეცვლა. ამიტომაა, რომ უარის მიღების შემდეგ აცხადებს: „ჟურნალი ი ს ე ვ თვე და თვე გამოვაო“.

დიახ, რედაქტორი, ამ მხრივ, ბედს შეურიგდა. იგი იძულებულია დაკმაყოფილდეს ჟურნალის ძველი მუშაობით, თუმცა მის ბევრ ნაკლზე თითონაც ხაზგასმით ლაპარაკობს. მაგრამ არც იმას მალავს, რომ იგი ხელს აიღებს ჟურნალის გამოცემაზე, თუკი აიძულებენ თავისი რწმენის საწინააღმდეგოდ წეროს და ისაუბროს. მხოლოდ ამგვარი ვითარების გამო იტყვის იგი უარს ჟურნალის გამოცემაზე. ისიც აშკარად იგრძნობა, რომ ილიას გადაულახავ პრობლემად არ ესახება არც თანამშრომელთა მიზიდვა და არც ხელისმომწერთა შოვნა.

ყველაფერი ეს ჟურნალის ნოემბრის ნომერში ითქვა. მაშ რა მოხდა, რომ იანვრიდან „საქართველოს მოამბე“ უკვე აღარ გამოდის?

როგორც ვიცით, ცენზურა მძიმე მდგომარეობაში აყენებდა როგორც რედაქტორს, ისე მის ჟურნალს. ყოველ რიგიან სტატიას ან არ აბეჭდვინებდა, ანდა მაკრატლით უკვეცავდა, — თავის ფორმასა და შინაარსს უკარგავდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ სათანადო განყოფილება /„სხვადასხვა ამბავი“/ ცენზურამ სავსებით გააუქმა. ცხადია, ცენზურა, ამ შემთხვევაში, აღმასრულებელ ფუნქციას ასრულებდა, — იგი მითითებას ზემოდან ღებულობდა.

ვერც იდეურად ღირსეული მხატვრული ნაწარმოების დაბეჭდვას ახერხებდა რედაქტორი და ნიჭიერი მწერალი. არა თუ სხვისი, არამედ საკუთარ თხზულებათა გამოქვეყნებაც ვერ შეძლო. ცენზურამ უფლება არ მისცა მას დაებეჭდა „კაკო ყაჩაღი“, „აჩრდილი“, „მგზავრის წერილები“ და სხვ. მიუხედავად ამგვარი მძიმე ვითარებისა, ილია ჭავჭავაძე მაინც ახერხებდა „საქართველოს მოამბე“ სოლიდური და რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი ყოფილიყო. მაგრამ ამას, უმთავრესად, იმის წყალობით აღწევდა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ცოცხლობდა რევოლუციური სიტუაციის სიკეთე, — ბატონყმური ურთიერთობის გაუქმების პერიოდში ჯერ კიდევ ნება დართული იყო პროგრესული სოციალური იდეების ქადაგება. მაგრამ ცივი სუსხი თანდათან უფრო იგრძნობოდა. საგლეხო რეფორმის გატარების შემდეგ, მეფის მთავრობამ კვლავ რეაქცია გააბატონა იმპერიაში და ანგარიშსწორება დაიწყო ყველა პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწესთან. ამიტომ იყო, რომ მან ცოცხლად დამარხა ნ. გ. ჩერნიშევსკი, ნ. ა. დობროლიუბოვმა კი, როგორც ამბობენ, სიკვდილით უშველა თავს. აღარავის აკვირვებდა რევოლუციური ჯგუფებისა და ყოველივე პროგრესული წამოწყებების დარბევა. რეაქცია დაუნდობლად უსწორდებოდა ყველა და ყოველივე არასაიმედოს. ეს ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა პოლონეთის აჯანყებამ, რომელიც სისხლში ჩაახშვეს. პოლიციის ზედამხედველობა დააწე-

სეს ყველა საეჭვო მოღვაწეზე, გახშირდა დაპატიმრებები. მიზანში ამოიღეს კავკასია და კერძოდ საქართველო. იმპერიის ეს განაპირა კუთხე, განსაკუთრებით პოლონეთის აჯანყების შემდეგ, საგანგებო ყურადღების ცენტრში მოექცა. ამიტომაც იყო, რომ მეფისნაცვლად კავკასიაში დანიშნულ იქნა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე.

მოღწეული დოკუმენტები მოწმობენ, რომ პოლიციის საგანგებო ზედამხედველობა დაუწესდა ილია ჭავჭავაძესა და ბევრ სხვა სამოციანელს, რომლებიც ცნობილნი იყვნენ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოწაფეებად და თანამოაზრეებად. ასეთ ვითარებაში, ცხადია, „საქართველოს მოამბის" რედაქტორი საგანგებოდ იქნა გაფრთხილებული და ცენზურასაც საგანგებო დავალება მიეცა მკაცრი კონტროლი დაეწესებინა ჟურნალში გამოსაქვეყნებელ ყოველ მასალაზე.

ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის საიდუმლო მიმოწერა და ოფიციოზის ფურცლებზე /„მოსკოვსკიე ვედომოსტი"/ აშკარად გამოთქმული ცილისწამებაც, რომლის მიზანი იყო მოწინავე ქართველ მოღვაწეთა დასჯა პოლიტიკური საბაბით.

მართალია, ყველაფერი ეს, რაზეც ყურადღების გამახვილება გვსურს, 1865 წლის გაზაფხულზე ხდება, მაგრამ განა საეჭვოა, რომ იგი ადრევე დაწყებული ისტორიაა? ამ დროს საზღვარგარეთ მყოფი ნ. ნიკოლაძე ნ. ოგარიოვისადმი გაგზავნილ 1865 წლის 14 მაისის წერილში წერს: «Нельзя ли будет включить в следующий номер «Колокола» одну интересную новость: Михаил Николаевич, наш юродствующий фельдфебель, спас Россию: он открыл какой-то чудовищный заговор или тайное общество «молодой Грузии и Армении». Можете вообразить себе двух-трех гимназистов, двух бывших студентов, говоривших свободно об освобождении крестьян и независимость Грузии. Их, вероятно расстреляют, в этом нет никакого сомнения, если только их не повесили до сих пор. Мне пишут из Петербурга, что по этому делу приезжал в Петербург нарочный с донесением и ожидались аресты между грузинскими студентами. С тех пор (с II апреля) я не имею никакого письма из Петербурга. Нельзя ли будет придать этой мухе, раздутой Михайлом Николаевичем в слона, прежний вид мухи?»

ნ. ნიკოლაძის მიერ ნ. ოგარიოვისადმი გაგზავნილი წერილების პუბლიკატორ ი. ჩერნიაკის აზრით, «можно заключить, что заметка «Михаилы и Михайла Николаевича», напечатанная в «Смеси» л. 197 от 25 мая 1865 г. (первый женский лист), составлена отчасти на основании сообщения Николадзе»[32]. მაგრამ ჩვენთვის მთავარი,

[32] «Литературное Наследство» 1955, т. 62, стр. 406.

ამჟამად, ის არის, რომ ნ. ნიკოლაძეს, ამ საკითხთან დაკავშირებით, პეტერბურგიდან მიღებული ჰქონია სრულიად ზუსტი ინფორმაცია. რის საფუძველზე ვამბობთ ამას? აი, უტყუარი დოკუმენტიც. თითონ მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის ძე, რომელიც ამ დროს მართლაც საგანგებოდ იყო ჩასული პეტერბურგში, 1865 წლის 3 ივლისს, თბილისელ ამქართა აჯანყებასთან დაკავშირებით, გრ. ორბელიანს წერს: «Подозреваю, что налоги были только предлогом и что чернью руководили лица ею прикрывшиеся... Весьма желательно, чтобы следственная комиссия раскрыла этих лиц»... მაგრამ ამგვარი მინიშნებითაც არ კმაყოფილდება იმპერატორის ძმა და მეფისნაცვალი კავკასიაში. იმავე წლის 19 აგვისტოს, კვლავ გრ. ორბელიანს ატყობინებს: «Я смело убежден, что... В Россию... и Закавказском крае существует партия, правда и малочисленная быть может, но зато дремлющая пользующася весьма для нее благоприятными идеями... В России источником возникновения этой партии были университеты и медикохирургическая, в частности, Военная Академия. В 1861 году, когда были беспорядки в Петербургском и Московском университетах, то многие из кавказских воспитанников были арестованы... Весьма правдоподобно, что эти молодые люди... также перед и во время тифлисских событий распускали ложные толки и старались возбудить народ против правительства...

Сообщу Вам лично и секретно, что происходит в Сибири: там этим летом раскрыт обширный заговор, имевший целью совершенное отделение Сибири от России, создание республики и т. д. Многочисленные аресты были произведены во всех главных городах того края: все эти лица оказались воспитанниками тех заведений, которые я выше назвал»...[33]

ეს საიდუმლო მიმოწერა და საიდუმლო ზედამხედველობაც, ჩანს, ადრევე იყო დაწყებული, კერძოდ, პოლონეთის აჯანყებისა და ნ. გ. ჩერნიშევსკის დაპატიმრების შემდეგ, მაგრამ საქმე იქამდეც მივიდა, რომ ყოველივე ეს ითქვა უკვე საჯაროდ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ ფურცლებიდან, მისი რედაქტორის რეაქციონერ მ. კატკოვის პირით. მისი „განმარტებით“, «между туземною молодежью образовались кружки, в которых в сильном ходу мысль о самостоятельном существовании грузинского, армянского и даже мусульманского царства... нам сообщают за верное, что именно закавка-

[33] წერილები დაცულია ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში. ხელნაწერთა ფონდი № 97 და 100.

зские поляки руководительствуют теми кружками, в которых подрастают Молодая Грузия, Молодая Армения и что в особенности на последнюю направлено внимание польских крамольников».

კომენტარი ზედმეტია! მეფის მთავრობა ბეჯითად ამზადებდა ნიადაგს, რათა დაეპატიმრებინა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ქართველი და სომეხი თანამოაზრენი, რომელთაც განათლება მიღებული ჰქონდათ რუსეთის უნივერსიტეტებში და მოღვაწეობას ეწეოდნენ თავიანთ სამშობლოში. უფრო კონკრეტულად ხელის დადებაც წარმოუდგენელია. ვინ არ მიხვდებოდა, რომ ერთ-ერთ ამგვარ პიროვნებად მათ მხედველობაში ჰყავდათ ილია ჭავჭავაძე? განა შემთხვევით დაუხურეს მას ჟურნალში „სხვადასხვა ამბავის" განყოფილება, განა შემთხვევით შეაწყვეტინეს პ. ნაკაშიძის „სამგზავრო წერილების" გამოქვეყნება, რომელშიც პოლონეთის აჯანყების მიმდინარეობა შუქდებოდა?

მაგრამ ისმება კითხვა: ვინ შეატყობინა ნ. ნიკოლაძეს პეტერბურგიდან ყოველივე ამის თაობაზე? რა თქმა უნდა, ქართველმა სტუდენტებმა. საიდან ჰქონდათ მათ მიღებული ასე საიდუმლო და, ამასთან, სავსებით საიმედო ინფორმაცია? ვფიქრობთ, საქართველოდან და, ადვილად შესაძლებელია, თვით ილია ჭავჭავაძისაგან, რომელიც უდავოდ იყო გაფრთხილებული არაოფიციალურად და საიდუმლოდ; განდობილი ჰქონდა რაც ხდებოდა მის გარშემო და რასაც უპირებდნენ. ჩვენი აზრით, ყველაფერი ეს გრიგოლ ორბელიანის კაცური კაცობით მოხდა. მასვე უნდა ვუმადლოდეთ, რომ ამ მუხანათურ ცდას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. მან არა მარტო ის არ იკადრა, რომ „მისი ხელით მოეკრიფათ ჭინჭარი", არამედ, ჩანს, მეტად პრინციპული როლი ითამაშა ამ შეთითხნილი ვერსიის უარყოფაში!

ისიც უეჭველია, რომ ი. ჭავჭავაძე 1864 წლის დამდეგს ცენზურამ ოფიციალურად გააფრთხილა, რომ არ შეცდილიყო ჟურნალში მოეთავსებინა ისეთი მასალები, რომლებიც მთავრობის პოლიტიკის საწინააღმდეგო შინაარსს შეიცავდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მას საკუთარი რწმენის წინააღმდეგ ეწერა და ებეჭდა. ამის თაობაზე კი, როგორც ვიცით, მან ადრევე განაცხადა: ამას მაინც არ ჩავიდენ, თუნდ ჟურნალის არსებობას ბოლო მოეღოსო!

ამგვარად, ილია ჭავჭავაძეს სხვა გზა აღარ ჰქონდა: მას უნდა შეეწყვიტა „საქართველოს მოამბის" გამოცემა. მაგრამ იგი იმასაც მიხვდა, რომ ჯობდა, დროებით მაინც, საერთოდ გაცლოდა თბილისს, მოწყვეტოდა ლიტერატურულ საქმიანობას და სახელმწიფო სამსახურში შესულიყო.

ასე მოულოდნელად შეწყვიტა არსებობა „საქართველოს მოამბემ", ასე მოულოდნელად დატოვა თბილისი მისმა რედაქტორმა! საზოგადოე-

ბის საყურადღებოდ კი ჟურნალის რედაქტორმა ასეთი განცხადება გააკეთა: „ზოგი ერთის მიზეზისა გამო „საქართველოს მოამბე" დრომდე ვერცარ გამოვა, ამისათვისაც უ. უ. ხელის მომწერთ უცხადებთ, რომ თავიანთი ფული უკანვე მიიღონ. ვისაც ქალაქში მოუწერია ხელი ჩვენს ჟურნალზედა იმათ შეუძლიანთ ფული სრულად მიიღონ უფ. ტერმიქელიანცის წიგნის მაღაზიიდამ, რომელიც უფ. არწრუნის ქარვასლაშია; ვისაც ქალაქ გარეთიდამ გამოუგზავნია, იმათაც თავიანთი ფული პირველსავე ფოშტით მიერთმევა".

ეს განცხადება ილია ჭავჭავაძემ გაზეთ „კავკაზს" გაუგზავნა, მაგრამ „კავკაზის" რედაქციამ, რატომღაც, „ცისკარს" გადაუგზავნა. მანაც 1864 წლის მესამე ნომერში გამოაქვეყნა იგი და არაგულწრფელი ცრემლით „დაიტირა": „დიდადა ვწუხვართ, რომ ასე უდროოდ გამოაკლდა „მოამბე" ამ ჩვენს დაუდგრომელს წუთი სოფელსო".

ყოველივე ამის შემდეგ, ვფიქრობთ, გასაგებია არა მხოლოდ „საქართველოს მოამბის" გამოსვლის მოულოდნელი შეწყვეტის მიზეზი, არამედ ისიც, თუ რატომ არაფერი სთქვა ილია ჭავჭავაძემ მის შესახებ არა მარტო მაშინ, არამედ — საერთოდ.

ეჭვი გარეშეა, რომ ილია ჭავჭავაძისა და მისი ჟურნალის გარშემო შექმნილ ასეთ დაძაბულ ვითარებაში თავისი დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი არა მხოლოდ ოფიციალურ, — არამედ არაოფიციალურ ცენზურასაც. ქართველი რეაქციონერი თავადაზნაურები ყველა ღონეს ხმარობდნენ თავიდან მოეცილებინათ ილია ჭავჭავაძე და მოესპოთ მისი ჟურნალიც. მათ ხომ ილიას არ აპატიეს არც ის, რომ ჟურნალს ეწერა „გამოიცემის ი. ჭავჭავაძისაგან" /და არა „გამოიცემის თავად ი. ჭავჭავაძისაგან"/, არც ის, რომ მან თავისი შემოქმედების თემად გახადა მუშისა და „გლახის" ცხოვრება! ამიტომ იყო, რომ ამ ვითარებას კარგად გაცნობილი ნიკოლოზ ყიფიანი თავის გამოუქვეყნებელ ფელეტონში წერს: «Некоторые из наших князей намерены вести в суд и в палату жалобу на Чавчавадзе за то, что он осмелился унизить этим /„თავადის" მიუთითებლობით — დ. გ.,/ достоинство грузинских князей: «Говорят, что грузинское общество не станет впредь выписывать журнал «Грузинский Вестник», так как, там пишут все о насильщиках тяжестей и о нищих и притом пишут обо всем этом мужицким слогом»[34].

ძნელი მისახვედრი არაა, რომ ასეთი ადამიანები ადვილად განაწყობდნენ ილიას წინააღმდეგ მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძეს, რო-

[34] ციტატები მოგვაქვს პ. რ ა ტ ი ა ნ ი ს სტატიიდან „ქართველი ხალხის რევოლუციურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან", ჟურნალი „მნათობი", 1960, №10.

მელიც 1863 წელს, რუსეთის იმპერიისათვის დაძაბული ვითარების დროს, საგანგებოდ გამოიგზავნა კავკასიაში. სწორედ მაშინ იბეჭდებოდა „საქართველოს მოამბეში“ პოლონეთის აჯანყებისადმი მიძღვნილი პ. ნაკაშიძის ნარკვევი. ცხადია, მანაც მიზანში ამოიღო სწორედ ეს ჟურნალი და არა „ცისკარი“, რომელმაც მის და მისი მეუღლის მობრძანებას საგანგებო დითირამბები უძღვნა. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ილიას დაებეჭდა დ. ბერიევის ლექსი, რომელიც ქართველ ხალხს ულოცავდა მისი უმაღლესობის ჩამობრძანებას და მის მეუღლეს წმინდა ნინოს ადარებდა? შეეძლო, ამის გამო, თავის ჟურნალის ფურცლებზე მკითხველისათვის ეთქვა: „მადლი ზეცისა, ცხადათ ეხედავთ, გადმოგვეფინა, საქართველო აწ ბედნიერს არს და მოელხინა“...?

უსახელო სიცოცხლეს „საქართველოს მოამბემ“ სახელოვანი სიკვდილი არჩია. და არც ამაში მოტყუებულა მისი ნიჭიერი რედაქტორი. „საქართველოს მოამბე“ და მისი ხანმოკლე, მაგრამ უაღრესად ღირსეული, არსებობა მაგალითად იქცა ყველა შემდგომი პერიოდული გამოცემისა და ყველა ჭეშმარიტი მოღვაწისათვის!

ამ მხრივ ნიშანდობლივია ჟურნალ „მნათობში“ /1869, № 1/ დაბეჭდილი ნიკო ინაშვილის საპროგრამო წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „მართალია, რომ „საქართველოს მოამბე“ ერთ წელს შემდეგ მოისპო, მაგრამ ამჟამად საქმე იმაში არ მდგომარეობს. საქმე იმაშია, იყო თუ არა სასარგებლო საზოგადოებისათვის ეს ხანმოკლე მისი სიცოცხლე... ნურას დროს ნუ ვიფიქრებთ, რომ მოხსენებულის ჟურნალის დაცემა იყო მოუცილებელი და უთუოდ და უთუოდ უნდა მომხდარიყო. იმას შეეძლო აქამდისაც თავი დაეჭირა, ამაში ეჭვი არ არის... არ ვიცი რა მიზეზით ჩვენი წინასწარმეტყველნი ჰგონებენ, რომ „საქართველოს მოამბე“ უთუოდ უნდა დაცემულიყო, მაშინ როდესაც „ცისკარი“, ეს... ჟურნალი, — როგორც არის თავს მაგრულობს... დაუვიწყარია ჩვენთვის ის წელიწადი, როდესაც „საქართველოს მოამბე“ გამოვიდა. იმან მოუტანა საზოგადოებას დაუფასებელი სარგებლობა. არ შეიძლება არ მივაგოთ ღირებული ჟურნალის მშვენიერ თვისებებს; იმან გამოიჩინა იმოდენა ნიჭი, იმოდენა გონება, იმოდენა სიმამაცე აზრისა და გონივრული შეხედულებისა, რომ ყოველს გონიერს კაცში მოიპოვებს სრულს თანაგრძნობას და დააღონებს მას მისი ეს მოულოდნელი და ჩქარი მოსპობა. ამ ჟურნალის მადლობით ჩვენ წავიკითხეთ ის, რასაც უიმისოდ უთუოდ ვერ წავიკითხავდით და რომლის მსგავსსაც აქამდისაც ვერასა ვპოულობთ ჩვენს ლიტერატურაში. ჩვენ მაშინ პირველად ვსცანით რა ძალა და მნიშვნელობა აქვს ქართველობისათვის რიგიანს ჟურნალს, პირველად ვიწყეთ სჯა ჩვენს ცხოვრებაზედ და მდგომარეობაზედ...“.

„მნათობის“ მესვეურთ არა მხოლოდ სამაგალითოდ ჰქონდათ „საქა-

რთველოს მოამბის“ მიმართულება და მისი რედაქტორის პრინციპული პოზიცია, არამედ ძალიან აფიქრებდათ ამ ღირსეული ჟურნალის უდროოდ დახურვის მიზეზებიც. „თუმცა ერთი წლისა იყო, — წერდა მ. ქიქოძე, — მაგრამ თავისი მიმართულებით ბევრ რუსეთის დაწინაურებულ ჟურნალებს არ დაუჯარდებოდა. ამ უკანასკნელმა დაგვაფიქრა ჩვენ იმაზედ, თუ რა მიზეზი იყო „მოამბის“ უდროო ბოლოს მიღებისა? იყო რედაქტორი თითონ ამაში დამნაშავე, თუ სხვანი? და „მნათობსაც“ ხომ არ მოელის ასეთი ბოლო?“[35]

როგორც ვიცით, „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ჟურნალი „მნათობი“ პირველი ქართული ლიტერატურული ჟურნალი იყო, რომელიც ჩვენს მკითხველს წარუდგა. და თავის არსებობას იგი სწორედ იმაზე მითითებით იწყებს, რომ მისთვის სამაგალითოა „საქართველოს მოამბე“, მისი შინაარსი და მიმართულება. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ამ ჟურნალს ფართო საზოგადოების დიდი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული; მას ვერ ივიწყებდა ჩვენი მწერლობა, ქართველი მკითხველი.

„დროებამაც“ თავისი არსებობა ხომ იმაზე მითითებით დაიწყო, რომ მის რედაქციას, წინამორბედ გამოცემათაგან, მხოლოდ „საქართველოს მოამბის“ მიმართულება აკმაყოფილებდა? „ქართულს ენაზედ, — წერდა გ. წერეთელი, — ჯერ ჩვენ არა გვაქვს ჟურნალი, რომელსაც კი თავის მნიშვნელობა ესმოდეს. ამ სამის წლის წინ დაწესდა „მოამბე“, კარგის მიმართულებით, მაგრამ, საუბედუროთ, ერთი წლის მეტი იმას არ უცხოვრია“.[36]

არანაკლებ მაღალი შეხედულებისა იყო „საქართველოს მოამბესა“ და მის ამაგზე ქართული კულტურის წინაშე ჟურნალი „კრებულიც“, რომლის ფურცლებიდან პეტრე უმიკაშვილი ყველას საყურადღებოდ აცხადებდა: „მოამბის“ გამოსვლა ჩვენს ლიტერატურაში შესანიშნავ მოვლენად დარჩება სამუდამოდ. მკითხველმა საზოგადოებამ პირველად ნახა და შეიტყო რა არჩევით უნდა იბეჭდებოდეს ნაწერი, რა სიცოცხლე უნდა ეტყობოდეს ნაწერსა და როგორ უნდა ელაპარაკებოდეს მწერალი მკითხველსა. განსხვავება „ცისკარსა“ და „მოამბეში“ დიდი იყო. ერთი თითქმის არაფერს არ აფიქრებინებდა მკითხველსა, უფრო აძინებდა; მეორე კი აფხიზლებდა, სხვადასხვა აზრებს ჰბადებდა მკითხველის თავშია და გასაგონის სიტყვით აგრძნობინებდა გულსა. ილია ჭავჭავაძემ მისცა ამგვარად ახალი მიმართულება ჩვენს ლიტერატურასა. იმის კრიტიკულს სტატიამდინ /იგულისხმება „ორიოდე სიტყვა“... — დ. გ./ არც კი იცოდნენ, რა არის მიმართულება ლიტერატურისა ანუ

[35] ჟურნალი „მნათობი“, 1869, ივლის-აგვისტოს ნომერი.
[36] გაზეთი „დროება“ 1866, № 1.

კაცისა /თვით ამ სიტყის შემოღება, „მიმართულება“, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის/[37].

მაგრამ უფრო სრული და ამომწურავი შეფასება „საქართველოს მოამბეს“ თვით „კრებულის“ ფაქტიურმა რედაქტორმა და გამოჩენილმა ჟურნალისტმა ნიკო ნიკოლაძემ მისცა 1872 წელს. მისი თქმით, „1863 წ. ილია ჭავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა. ვის არ ახსოვს ეს წელიწადი, როცა, ერთის მხრით, ჩვენი ცხოვრება თავის უწინდელ კალაპოტს ცვლიდა და ახალში შესვლას აპირებდა, ან, უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, არ აპირებდა, მაგრამ მაინც უნდა შესულიყო, და როცა, მეორის მხრით, ატყდა სასტიკი ბრძოლა ახალგაზრდობისა — ესე იგი ახალი ცხოვრების, და ძველი კაცობის, ესე იგი ძველს წესს და სჯულს შუა?... რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე; ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეიფარა „ცისკარში“ და ამნაირად იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ცისკარს“ შუა, სჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველს და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში... დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რას ნიშნავდა „საქართველოს მოამბის“ საქმე, მაგრამ არც 1863 წელს იყო ეს დაფარული ვისმესთვის. ყველა გრძნობდა, ყველამ იცოდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ უნდა ჩაედგა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ახალი დროების სული, ეჩვენებინა ახალი გზა, შეექმნა ახალი სასიყვარულო მიზანი, — მამულის, საზოგადოების სიკეთე და ღირსება. ის მწვავი სიტყვებით დაღვიდა და ჰკლავდა ძველი საზოგადოების უმეცრებას და სულგრილობას საზოგადო საქმისათვის და ქადაგებდა საზოგადო საქმისა და სიკეთისათვის შრომას, თავის დადებას. მაშინ, როგორც ეხლა, ყოველ პატიოსან კაცს მიაჩნდა, რომ მისი უპირველესი ვალი იყო იმ სიტყვის გავრცელება და მისი ძლიერების მომატება ახალგაზრდობაში“...[38]

ნ. ნიკოლაძის მიერ ჩამოყალიბებულ ამ უაღრესად საინტერესო და, ჩვენ ვიტყოდით, ყველასათვის სახელმძღვანელო დახასიათებაში სავსებით გარკვევითაა წარმოჩენილი „საქართველოს მოამბის“ ადგილი ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიაში; ნაჩვენებია ისიც, თუ როგორი დიდი ამაგი დასდო თავის ჟურნალსა და მთელი ჩვენი საზოგადოებრივი აზრის განვითარებას ილია ჭავჭავაძემ, რომელიც ახალმა თაობამ იმთავითვე უყოყმანოდ აღიარა თავის წინამძღოლად.

ამგვარად, ყველა საიმედო წყარო და სათანადო დოკუმენტი იმაზე

---

[37] ჟურნალი „კრებული“, 1872, № 8—9. გვ. 271—272.

[38] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, 1963, ტ. 3, გვ. 59—60

მეტყველებს, რომ ილია ჭავჭავაძემ მეტად პრინციპული და დროული გადაწყვეტილება მიიღო: იდეურ დათმობაზე წასვლას თავისი საყვარელი ჟურნალის გამოცემის შეწყვეტა ამჯობინა. ამით მან „საქართველოს მოამბის“ ღირსებაც შეუბღალავი და უმწიკვლო გახადა ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიაში.

IV. ი. ჭავჭავაძე და იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა 70-იან წლებში

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ, ილია ჭავჭავაძემ დატოვა თბილისი და სახელმწიფო სამსახურში შევიდა. იგი ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი დუშეთში მუშაობდა მომრიგებელ მოსამართლედ.

თბილისიდან წასვლის შემდეგ ი. ჭავჭავაძემ დაწერა მოთხრობა „გლეხთა განთავისუფლების პირველდროების სცენები“ /1865 წ./, რომელიც მალე ცალკე წიგნად გამოსცა. მოთხრობაში მთელი უშუალობითაა ნაჩვენები ის უთანხმოება, რომელიც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ჩამოვარდა, ერთი მხრივ, ყოფილ ყმებსა და მებატონეებს, ხოლო, მეორე მხრივ, თვით ძველ მებატონეებს შორის. ნაწარმოების დაწერისას ავტორი, ცხადია, სარგებლობდა თავისი თვალით ნანახი სცენებით, რომელთა მოწმე როგორც მომრიგებელი მოსამართლე, ალბათ, არაერთხელ ყოფილა. მოთხრობის პერსონაჟთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა გლახა ჭრიაშვილი, რომელიც შემდეგ ისეთ ადამიანთა საზოგადო სახელად იქცა, ვინც საუბარში ერთსა და იმავეს იმეორებს და ვერ ახერხებს აზრის მოკლედ გამოთქმას.

დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, 70-იან წლებში, კვლავ აუღერდა ი. ჭავჭავაძის პოეტური ჩანგი. პარიზის კომუნის დაცემის ამბავმა მას ხელში ააღებინა კალამი: 1871 წლის 29 მაისს ილია წერს თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს „1871 წ. 23 მაისი“, რომელსაც ჟურნალ „კრებულში“ აქვეყნებს.

პოეტმა ღრმა მწუხარება განიცადა „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი დიდი დროშის“ ძირს დაცემისა და „ქვეყნის მჩაგრავი ძალის“ გამარჯვების გამო. იგი ხოტბას ასხამს ფრანგ კომუნარებს, რომლებმაც, მისი თქმით, დიდი წამების მშვენიერი გვირგვინი დაიდგეს თავს.

პარიზის კომუნა, ილიას შეხედულებით, იყო ხალხის იდეალების განხორციელება და ისეთი უაღრესად დიდი მოვლენა, რომლის დამარცხებით „კვლავ შეფერხდა ისტორია“:

„ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი
დიდი დროშა დაიშალა...
კელავ ქვეყნისა მჩაგრაე ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა.

კელავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძალნი,
და კელავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი".

ის ფაქტი, რომ პარიზის კომუნაში ი. ჭავჭავაძემ დაინახა მშრომელი ხალხის ჭეშმარიტი მხსნელი და მასში შეიცნო საზოგადოების ისტორიული განვითარების ბრწყინვალე იდეალი, აშკარად მეტყველებს პოეტის მაღალ ჰუმანიზმზე, კეთილშობილ დემოკრატიზმსა და პოლიტიკურ სიმახვილეზე. ნიშანდობლივია ისიც, რომ პარიზის კომუნის დამარცხება პოეტს მიაჩნია ისტორიის მხოლოდ შეფერხებად და სწამს, რომ ამ დიდი საქმისათვის დაღვრილი წმინდა სისხლი თავის ნაყოფს გამოიღებს, რომ მტარვალნი ყოველთვის ვერ შეძლებენ გამარჯვება იზეიმონ.

ეს ლექსი შემთხვევით როდი დაუწერია ი. ჭავჭავაძეს. როგორც ვიცით, შრომის განთავისუფლების და მართვა-გამგეობის ხალხის ხელში გადასვლის იდეას ილიამ ჯერ კიდევ 60-იან წლებში უძღვნა მღელვარე სტრიქონები („აჩრდილი", „დედა და შვილი", „მესმის, მესმის", „ქართველ სტუდენტთა სიმღერა" და სხვა).

მაგრამ ხმის შესახებ, თუ რა მტკიცედ იდგა ი. ჭავჭავაძე რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე არა მარტო 60-იან, არამედ 70-იან წლებშიც, როცა იგი პარიზის კომუნის დაცემის გამო ზემოთ მოყვანილ მღელვარე სტრიქონებს წერდა, მკაფიოდ მეტყველებს მისი შესანიშნავი მოთხრობა „მგზავრის წერილებიც".)

„მგზავრის წერილების" პირველი ვარიანტი ი. ჭავჭავაძემ 1861 წელს დაასრულა. მაგრამ ამ ნაწარმოების იდეური შინაარსისა და მხატვრული ფორმის შესახებ ჩვენ არაფერი გვითქვამს მაშინ, როცა ვახასიათებდით ავტორის მოღვაწეობას 60-იან წლებში. და ეს იმიტომ, რომ მისი დაბეჭდვა ილიას მხოლოდ 1871 წელს („კრებული", № 2 და 5) მოუხერხებია, თანაც მისთვის შესაფერი რედაქცია გაუკეთებია გამოქვეყნების წინ. ამასთან „მგზავრის წერილების" შესწავლას ი. ჭავჭავაძის 70-იან წლებში მოღვაწეობის ფონზე შეუძლია უფრო ღრმად ჩაგვახედოს დიდი მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში და შუქი მოჰფინოს როგორც მის მიერ განვლილ გზას, ასევე საოცნებო იდეალებს; უფრო ნათლად გვიჩვენოს ისიც, რომ „მგზავრის წერილებისა" და „1871 წ. 23 მაისის" ავტორს გარკვეული და ჩამოყალიბებული სოციალურ-პოლიტიკური მრწამსი ჰქონდა.

„მგზავრის წერილები" წარმოადგენს მდიდარი ფანტაზიისა და ჯანსაღი ეროვნული იდეალების მქონე ახალგაზრდა მწერლის სულიერ აღ-

სარებას. ქართველი ხალხის ბედზე ჩაფიქრებული ილია, რომელსაც პეტერბურგის უნივერსიტეტი დაეტოვებინა და სამშობლოში მოისწრაფოდა, სადაც მას მძაფრი იდეურ ლიტერატურული ბრძოლის გადატანა ელოდებოდა, ერთმანეთს უპირისპირებს თავის ოცნებასა და ცხოვრების სინამდვილეს, თანაც კრიტიკულად უდგება საკუთარ შესაძლებლობას.

„მგზავრის წერილების" მკითხველს, პირველ ყოვლისა, თვალში ეცემა ის გარემოება, რომ ავტორს მეტად უარყოფითი შეხედულება აქვს მეფის რუსეთის ეკონომიურ განვითარებასა და მის ბიუროკრატ მოხელეთა ინტელექტუალურ დონეზე. ცხადია, ყოველივე ამის ჩვენებას მისთვის დამოუკიდებელი მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ იდეურ ფონს ქმნის იმისათვის, რომ უფრო სრულად და მუქი ფერებით წარმოადგინოს ქართველი ხალხის მდგომარეობა ნაციონალურ-კოლონიური ჩაგვრის პერიოდში.

მეფის რუსეთის ჩამორჩენილობის სიმბოლოდ მწერალს „პოვოსკა" და მასზე მჯდომი ზანტი, მთვლემარე „იამშჩიკი" ჰყავს გამოყვანილი. ცხადია, შემთხვევითი არც ისაა, რომ „პოვოსკაში" ჩაჯდომისას მას ესაუბრა ფრანგი, რომელიც გაკვირვებულია „პოვოსკით" და ირონიულად ამბობს: თუ მთელი რუსეთი მაგით დადისო, „იმიტომაც შორს არის წასული". ამით მწერალი ხაზს უსვამს ძველი რუსეთის ჩამორჩენილობას ევროპასთან შედარებით. სწორედ ამ ჩამორჩენილი რუსეთის ჭეშმარიტი წარმომადგენელი იყო ის ოფიცერი, რომელიც მწერალს ლარსში გაეცნო. გონებაჩლუნგი ოფიცერი, რომელიც პეტერბურგის ბრწყინვალებას მხოლოდ იზლერის ბაღით ზომავს და ამა თუ იმ ხალხის ცივილიზაციის დონეს გენერლების რიცხვით აფასებს, თავის თავს მწერლად და კულტურის შემომტანად თვლის. თანაც ღმერთს მადლობას სწირავს, რომ „აფიცრობა და ჩინოვნიკობა ბევრი მოდის რუსეთიდან" საქართველოში განათლების შემოსატანად.

ი. ჭავჭავაძე ირონიული ტონით ესაუბრა „განათლებულ" ოფიცერს და მისივე სიტყვებით გასაგებს ხდის, თუ როგორი მოხელეები განაგებდნენ ქართველი ხალხის ბედს. ამასთან მწერალს ლოგიკურად მიჰყავს მკითხველი იქამდე, რომ თავის თავს უთხრას: აი, ვის ემყარება და როგორი „განათლებული" პირების გამრავლებითაა დაინტერესებული მეფის მთავრობა, რომელიც ჩერნიშევსკის მსგავს ადამიანებს სიკვდილსა და განადგურებას უმზადებსო.

ი. ჭავჭავაძეს არც თავის სამშობლოში ეგულება მომზადებული ნიადაგი იმისათვის, რომ გულგახსნილი შეხვდნენ მოწინავე შეხედულებებით აღჭურვილ ადამიანებს. მწერალი გრძნობს, რომ ბევრად არაფრად სიამოვნებთ, როცა ბრუნდებიან რუსეთში განათლებამიღებული ახალგაზრდები. ამიტომაა, რომ იგი მრავლისმეტყველად შენიშნავს:

„თერგის ხიდი ისე გამოვიარე, რომ, არამც თუ წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილებია. მეშინოდა, რომ თერგ-დალეულობა არ დამწამონ მეთქი. თერგ-დალეულები ჩვენს ქართველს კაცს როგორღაც არ ეჭაშნიკება და არ მოსწონს".

მაგრამ ახალგაზრდა პატრიოტის გონებაში ფიქრთა გრეხილები ირეოდნენ და ყველა მათგანი საბოლოოდ ერთ მთავარ კითხვად იკვეთებოდა მის წინაშე: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე.., რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?"

მებრძოლი განწყობილებით გამსჭვალული მწერალი ანალიზს უკეთებს მოსალოდნელობას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ სამშობლო ქვეყანა მოუსმენს მას როგორც თავის სისხლსა და ხორცს, მაგრამ ეჭვი აწუხებს — ვაითუ ვერ შევძლო საქმით ვუპასუხო მის მოთხოვნებსო. „ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? — ამბობს ილია, — იქნება ზურგიც არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა... მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავის გულის-ტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო, რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვას მამულის-შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისთვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ? — ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდეც. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი".

ასეთი ფიქრებით დატვირთულმა მწერალმა შემოაბიჯა სამშობლო ქვეყნის მიწა-წყალზე და იმთავითვე თვალწინ დაუდგა მისი მომხიბლავი ბუნების მთელი მშვენიერება. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ემო-

ციური სიძლიერით უნდა წარმოეთქვა მას ამ დროს გრ. ორბელიანის სიტყვები: „სხვა საქართველო სად არის...“

კავკასიის მაღალი მთების თვალწარმტაცმა პანორამამ მწერალი კიდევ უფრო ღრმად დააფიქრა და თვით ბუნების წიაღშიც საგანთა კონტრასტული განლაგება ამოიკითხა. იგი ერთმანეთს ადარებს დედამიწიდან მხნედ ახიდულ ცივ მყინვარსა და კლდე-ღრეში ღრიალით მიმდინარე თერგს. და რას ეხედავთ?! სილამაზის დიდი თაყვანისმცემელი პოეტი მყინვარზე მეტად თერგს შესტრფის. მისი მღვრიე ტალღები უფრო მოსწონს, ვიდრე მყინვარის მუდამ თოვლიანი შუბლი! მისეზსაც არ მალავს, გულწრფელად ლაპარაკობს ასეთი არჩევანის შესახებ. მყინვარი, მისი თქმით, ერთ ადგილზე დგას, თანაც მოცილებულია ადამიანის ხმას, მიუკარებელია. თერგი კი „სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა... იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურობის ნაცარ-ტუტა“. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ თერგი ერთ ადგილზე არ დგას, იგი სულ მოძრაობაშია. მოძრაობა კი, ილიას თქმით, სიცოცხლისა და წინსვლის აუცილებელი ფაქტორია. „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...“ — ამბობს მწერალი და ამით მკითხველს ახედებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მიუთითებს მისი გარდაქმნის აუცილებლობაზე. თერგი, დასძენს ილია, იმითაა კარგი, რომ მოუსვენარია, თორემ, აბა, ერთი შეჩერდეს, თუ მყრალ გუბედ არ იქცეს და ბაყაყებით არ აივსოსო. მისი აზრით, ასევეა ცხოვრებაც. ამიტომ იყო, რომ „კაცია-ადამიანის“ წინასიტყვაობაში ბატონყმური საქართველო მან ბაყაყებით ავსებულ ჭაობს შეადარა.

მოძრაობისა და მოქმედების აპოლოგეტი ი. ჭავჭავაძე ვერც დაღამებასა და ადამიანთა ფეხის ხმის შეწყვეტას შეგუებია. „ვაი, რა ცარიელია ეს საცხე ქვეყანა უადამიანოდ!.. — ამბობს მწერალი. — არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე!“ ილია შესტრფის დილის რიჟრაჟს — დროს, როცა ყველაფერი იღვიძებს და იწყება „დაუღევარი ფაცაფუცი“. მას სურს თანამემამულეთა შორის იპოვოს ისეთნი, რომლებსაც ძილშიაც არ სძინავთ. „კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. — ამბობს იგი, — მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურობით გულ-აღტყინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვანები“.

მაგრამ, როგორც ვიცით, ასეთი ადამიანები ვერ იპოვა სამშობლოში დაბრუნებულმა ილიამ, რის გამოც მან ნაღვლიანი სიტყვებიც წარმოთქვა („მას აქეთ...“).

სამშობლოში მომავალი ილია კავკასიონზე გადმოსვლისთანავე

დარწმუნდა, რომ მის სიტყვას ხალხი გაიგებდა; იგრძნო, რომ ჩაუმქრალი იყო ის ნაპერწკალნი, რომელთა „ერთ დიდ ცეცხლად შეგროვებაზეც“ ის ოცნებობდა. ამაში დაარწმუნა პატრიოტი მწერალი მოხევე ლელთ ღუნიასთან საუბარმა. ლელთ ღუნიამ მწერალს შესჩივლა, რომ გაუქმდა „ადრინდალ დაწყობაი“, მოისპო ის „ბჭობაი“, რომელსაც ხალხის წარმომადგენლები მართავდნენ ხოლმე და რომლის გადაწყვეტილება შემდეგ სრულდებოდა. მწერალი აქ მინიშნებით ღაპარაკობს მართვაგამგეობის იმ სისტემის უპირატესობაზე, როცა ქვეყანას ხალხის მიერ არჩეული პირები უძღვებოდნენ. მაგრამ ილიამ იცის, რომ ამაზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როცა მიღწეული იქნებოდა ეროვნული დამოუკიდებლობა, რასაც მოკლებული იყო ქართველი ხალხი.

კითხვაზე, თუ რით იყო ძველად უკეთესი ცხოვრება, ლელთ ღუნია მწერალს უპასუხებს: „ადრიდა, ავად თუ კარგად, ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“... მართალია, ის ხედავს, რომ მეფის რუსეთს საქართველოსათვის მტერი მოუცილებია და მშვიდობა სუფევს, მაგრამ მაინც არაა კმაყოფილი: „რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდობას ცარიალ სტვაბაქით... ცარიალ მშვიდობა მიწაჩიც გვეყოფის“. მოხევე უკმაყოფილოა იმით, რომ მტერზე არანაკლებ გვიწიოკებენ ახლა ცოლ-შვილს მოვალე ვაჭრებიო; უკმაყოფილოა იმითაც, რომ ხალხს დაუკარგავს ძველი ზნეობა.

„ჩემმა მოხევემ, — ამბობს ილია, — მე კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი ს ა გ ა მ ო ს ხ ვ ი ს ა დ ა ს ხ ვ ი ს ა... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისის სიტყვით თავისს გულის-ტკივილს მიმახვედრა.

მიგიხვდი, ჩემო მოხევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ — სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?... ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი!...“ (დაყოფა ჩვენია — **დ. გ.**).

როგორც ვხედავთ, „მგზავრის წერილები“ წარმოადგენს ი. ჭავჭავაძის პროგრამულ ნაწარმოებს. მასში ჩამოყალიბებულია მწერლის ეროვნული იდეალები და ადვილად იკითხება დიდი შემოქმედის სულიერი დრამა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისას. რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებზე აღზრდილი მოაზროვნე გაბედულად შემოიჭრა ქართულ სინამდვილეში და თავის თანამემამულეთ გააცნო მოწინავე სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი და მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპები.

შრომის განთავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პატრიოტი, რომელიც საქვეყნოდ აცხადებდა: „თავისუფლების მშოვნელი ამ ქვეყნად მარტო თოფიაო“, „მგზავრის წერილებში“

რევოლუციური გარდაქმნის იდეას აყენებს. „სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! — წერს ილია, — რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქცეს. ღვინო ჯერ უნდა ადულდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ“.

ამის შემდეგ, ცხადია, გაკვირვებას ველარ გამოიწვევს ის ფაქტი, რომ „მგზავრის წერილების“ ავტორმა ლექსი უძღვნა პარიზის კომუნას და თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთადმი ღრმა თანაგრძნობა გამოხატა. აქვე გვინდა დავძინოთ შემდეგი: „მგზავრის წერილებში“ ავტორს სამოცდაათიან წლებში იდეურ-შინაარსობრივი ცვლილებები არ შეუტანია, მისი მხოლოდ მხატვრული დახვეწით დაკმაყოფილდა.

შემთხვევითი არც ისაა, რომ რამდენიმე წლის სიჩუმის შემდეგ ი. ჭავჭავაძე მკითხველს „მგზავრის წერილებით“ წარუდგა. ეს მისი დამსახურებისა და შემოქმედებითი სიმწიფის შესაფერი იყო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცენზურას თუნდაც ნება დაერთო, ილია „მგზავრის წერილებს“ სამოციან წლებში მაინც არ გამოაქვეყნებდა. და ეს იმიტომ, რომ მასში აშკარად მოჩანს მწერლის მდიდარი ბუნება და გაბედული პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც მის იდეურ მოწინააღმდეგეებს შესაძლოა ახალგაზრდულ კაძნიერებად მიეჩნიათ. „მგზავრის წერილების“ გამოქვეყნების სრული უფლება ილიას, მართლაც, სამოცდაათიან წლებში ჰქონდა და მასაც აღარ დაუყოვნებია. ახალი. თაობის იდეურმა წინამძღოლმა მხოლოდ დამსახურებული გამარჯვების შემდეგ გააცნო მკითხველს ის ფიქრები და სულიერი მღელვარება, რომელიც მას მოსვენებას არ აძლევდა მშობლიურ მიწა-წყალზე ფეხის შემოდგმისას.

„მგზავრის წერილებს“ რომ ვკითხულობთ, შეუძლებელია არ მოგვაგონდეს ი. ჭავჭავაძის კალმის პირველი ნაყოფი — ლექსი „ყვარლის მთებს“, რომელშიც პეტერბურგში მიმავალი ჭაბუკი მშობლიურ მთებს ეთხოვებოდა და თავს იმით „იმართლებდა“, რომ „მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადაო“.

„მგზავრის წერილები“ აშკარას ხდის, რომ პოეტი, მართლაც, შესაფერისად მოემზადა სამსხვერპლოდ, და ამ ნაწარმოების გამოქვეყნების დროისათვის ისიც ცნობილი იყო, თუ რა წარმატებით იხდიდა ილია თავის ვალს სამშობლოს წინაშე.

„მგზავრის წერილების“ გამოქვეყნებით ი. ჭავჭავაძემ ერთხელ კიდევ ნათელყო თერგდალეულთა საბრძოლო პროგრამის ღირსება და მნიშვნელობა. „მგზავრის წერილები“ მისი დაწერის დროისათვის ავტორის სამოქმედო პროგრამა იყო, გამოქვეყნებისას კი — ღვაწლმოსილი მოღვაწის შემოქმედებითი ბიოგრაფია. მასში დაყენებულ საკითხთა შუქზე უკვე ყოველმხრივ გასაგები ხდება ილიას მდიდარი მხატვრული და პუბლიცისტური მემკვიდრეობის იდეური საფუძვლები.

„მგზავრის წერილების“ დასაწყისშივე ი. ჭავჭავაძე თავისებურად შენიშნავს: „... ამბობენ: „И дым отечества нам сладок и приятен“. კვამლის სიტკბოებაზედ კი უკაცრავოდ, და სიამოვნებაზედ კი ამას მოგახსენებთ, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, — პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის; მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურობასაც ვერა ვხედავთ“.

მაგრამ თვით ი. ჭავჭავაძისათვის „ამ კვამლს“ თვალები ისე არასოდეს აუბამს, რომ ვერ შეემჩნია და მკაცრად არ დაეგმო ის, რაც, მისი შეხედულებით, ერის ღირსებას არცხვენდა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე უარყოფითად მოქმედებდა. ამის უტყუარი საბუთია მის მიერ 1871 წელს დაწერილი სატირული ლექსებიც: „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“ და „ბედნიერი ერი“.

დასახელებულ ლექსებში ი. ჭავჭავაძემ ერთხელ კიდევ მკვეთრი პირდაპირობით გამოხატა მაღალი წოდების ისტორიული დანაშაული და მისი გადაქცევა ცხოვრების ზედმეტ ბარგად. ამ წოდების მთელი „დამსახურება“, პოეტის შეხედულებით, ისაა, რომ ურთიერთშორის შუღლის გაბატონებისა და ეროვნული ინტერესების დავიწყების გამო მან ქვეყანა ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვამდე მიიყვანა; შემდეგ, ფუქსავატობასა და ბეზღებაში ჩაფლული, ყმებს ტვინსა სწოვდა, ხოლო, როცა ყმებიც განთავისუფლდნენ, მთავრობას ხვეწნა დაუწყო — „Наполеоно“-ბა გვასწავლეო“.

ილიას მახვილი სატირა, ცხადია, მიმართული იყო მაღალი წოდებისა და მის იდეოლოგთა წინააღმდეგ, საერთოდ, ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც არაფრად აგდებდა ეროვნულ გრძნობებს, პატრიოტულ აღტყინებას, ხალხის უკეთეს მომავალზე ზრუნვას.

ი. ჭავჭავაძე არ დაკმაყოფილდა მაღალი წოდების ზოგადი კრიტიკით. მან საჭიროდ დაინახა უფრო კონკრეტულად შეხებოდა ამ წოდების „ავტორიტეტებს“, რომლებიც თავიანთი შემოქმედებით სახელს უტეხდნენ ქართველ ერს და ხელს უშლიდნენ მის კულტურულსა და ეკონომიურ წინსვლას. ამ მიზნით 1871 წლის ბოლოს მან დაწერა ცნობილი ეპიგრამები „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“, რომელთა დაბეჭდვას, ცხადია, ცენზურა არ დასთანხმდებოდა. ამიტომ ავტორმა ისინი ხელნაწერებით გააცნო საზოგადოებას. მაგრამ ისეთი ფართო გავრცელება, როგორიც ამ ეპიგრამებს ხვდათ წილად

შეიძლება ითქვას, არც ერთ დაბეჭდილ ნაწარმოებს არ ჰქონია იმ პერიოდში.

„გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“ გახდნენ საბაბი იმ მკაცრი პოლემიკისა, რომელიც 70-იან წლებში გაიშალა, ერთი მხრივ, გრ. ორბელიანსა და, მეორე მხრივ ი. ჭავჭავაძესა და ა. წერეთელს შორის. სანამ ამ ეპიგრამებსა და მათ მიერ გამოწვეულ პოლემიკას გავეცნობოდეთ, საჭიროა მოვიგონოთ ის მიზეზიც, რამაც მათი დაწერა გამოიწვია.

1871 წელს ქართველ თავადაზნაურობას სტუმრად ეწვია იმპერატორი. გადაწყდა იმპერატორისათვის მიერთმიათ ადრესი და მასშივე აღენიშნათ თავიანთი სათხოვარიც. შექმნილა საგანგებო კომისია, რომელსაც უმსჯელია, თუ რა ეთხოვათ იმპერატორისათვის. კომისიაში ორი აზრი დაპირისპირებია ერთმანეთს: ერთნი მოითხოვდნენ იმპერატორისათვის ეთხოვათ უნივერსიტეტის გახსნა, ხოლო მეორენი კადეტთა კორპუსის დაარსებას არჩევდნენ. პირველ წინადადებას ი. ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი აყენებდნენ, მეორეს — კონსერვატორთა ბანაკის წარმომადგენლები, მეფის მთავრობის ერთგული ჩინოვნიკები. კომისიამ მიიღო ი. ჭავჭავაძის წინადადება, მაგრამ შემდეგ იგი მაინც შეცვალეს და იმპერატორს კადეტთა კორპუსის გახსნა სთხოვეს. ქართველი თავადაზნაურობისა და მისი ინტერესების ერთგულ დამცველთა ასეთ მოქმედებას ილია მეტად აუღელვებია, რის შედეგადაც დაიწერა დასახელებული ეპიგრამები.

ამ ამბავთან დაკავშირებით ა. წერეთელი იგონებს: „1871 წელს ჩამობრძანდა ხელმწიფე საქართველოში; ხალხს უნდა მიერთმია ადრესი და გაეცხადებია, სათხოვარი თუ რამ ექნებოდა. აირჩიეს კომისია ადრესის შესადგენად რვა კაცი; ოთხი ახალთაობიდან: ილია ჭავჭავაძე, თარხნიშვილი (მერე აკადემიკოსი), ბესარიონ ღოღობერიძე და ნ. ნიკოლაძე; ოთხიც ძველიდან — გრ. ორბელიანი, მ. ბირთველიჩი თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე და რევაზ ანდრონიკაშვილი (მარშალი). ახალი თაობა ქვეყნის სურვილისამებრ ითხოვდა უნივერსიტეტს, ან სხვა რამ მაღალ სასწავლებელს, მაგრამ რადგან ამის წინააღმდეგი იყო ბარონ ნიკოლაი, ძველები შეჩერდნენ კადეტის კორპუსზე, რომელიც მაინც უნდა გახსნილიყო. ახალი თაობისა და ქვეყნის სურვილმა ხმის უმეტესობით გაიმარჯვა და ადრესში იყო ნათხოვი უმაღლესი სასწავლებელი. მაგრამ თავმჯდომარემ და ძველებმა, რადგან იმათ ბესარიონ ღოღობერიძეც მიუდგა, გადაასხვაფერეს ადრესი... ამან გამოიწვია უსიამობა ძველის და ახალი თაობის შუა. ილია ჭავჭავაძემ დასწერა ლექსი, სადაც მოიხსენია ძველები. დასტალუღად ამბობდა: „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ამას ფეხებზე ჰკიდია!“ ამ ლექსს უპასუხა გრიგოლ ორბელიანმა... იქ მეტად გალანძღული და შერისხული იყო ახალი თაობა. სხვათა შორის მეც ვიყავი მოხსენებული... და მეც ახალი თაობის სახელით დავს-

წერე „ღენერალი ხარაბუზა“ და გაიმართა უცენზურო მწერლობა. უცენზურო იმიტომ, რომ დიდკაცებს ეხებოდა. აი, ეს ალეგორიებიც: „პატრიოტის აღსარება“, „კოღო-ბუსების პასუხი“ და „დათვი ორ-ბელიანი“ მაშინ დაიწერა“.

ამასვე ადასტურებს ნ. ნიკოლაძეც.

„გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“ შეიცავენ ეპიგრამებს რევაზ ანდრონიკაშვილზე (თავადაზნაურობის მარშალი), გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონზე (სენატორი და სახელმწიფო საბჭოს წევრი), ივანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონზე (გენერალი), პლატონ იოსელიანზე (ისტორიკოსი, არქაისტთა ბანაკის წარმომადგენელი), დიმიტრი ჯორჯაძეზე (კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი), იასე ჭავჭავაძესე (გუბერნიის სამმართველოს წევრი), ბესარიონ ღოღობერიძეზე (ახალი თაობის წარმომადგენელი, რომელიც ბოლოს მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა), გრიგოლ ორბელიანზე (პოეტი, მეფისნაცვლის მოადგილე), მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვზე (თერგის ოლქის უფროსი, შემდეგ გრაფი და მინისტრი), ლევან მელიქიშვილზე (გენერალი, დაღესტნის ოლქის უფროსი), იოსებ დავითის ძე თარხნიშვილზე (გენერალ-ადიუტანტი), მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილზე (პოეტი, ადრესის შემდგენი კომისიის წევრი) და დიმიტრი ყიფიანზე.

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძეს ბევრი აღარავინ დაუტოვებია კონსერვატორთა ბანაკის გამოჩენილ წარმომადგენელთაგან, რომ დამსახურებისამებრ არ მიეზღო. ეპიგრამებში მხოლოდ დ. ყიფიანი არის შედარებით სუსტად გაკენწლილი და ნათქვამია: „მარტო მას, ვგონებ, ქვეყანა ფეხებზედ არა ჰკიდია“. ყველა დანარჩენი პოეტს შეფასებული ჰყავს როგორც პირადი ბედნიერებისათვის ერის ინტერესთა არაფრად ჩამგდებნი და ხალხის კისერზე მსხდომი კარიერისტები, ფლიდები, მლიქვნელები.

ი. ჭავჭავაძის ყოველი ეპიგრამა ერთ და იმავე მხატვრულ ხერხზეა აგებული: ჯერ წარმოდგენილია ეპიგრამის ობიექტის გარეგნული სახე, შემდეგ კი მითითებულია მისი მოქმედების მთავარ ნაკლოვან მხარეებზე. ლაკონიურად დაწერილ ეპიგრამებში ავტორი ადვილად გამოსაცნობს ხდის თითოეულ მათგანს. როგორც გადმოცემები მოწმობენ, ი. ჭავჭავაძის ყოველი ეპიგრამა ხალხმა სწორად და ადვილად გაიგო.

დ. ყიფიანის შემდეგ ი. ჭავჭავაძემ ყველაზე მეტად ისევ გრ. ორბელიანი დაინდო და მის შესახებ დაწერილი ეპიგრამა შედარებით ლმობიერი ეპითეტებით შეამკო. თუმცა, დასასრულ, მაინც თქვა: „მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდია“. შეიძლება ითქვას, რომ გრ. ორბელიანი და ბ. ღოღობერიძე პოეტმა კონტრასტულ ფიგურებად წარმოადგინა. გრ. ორბელიანს იგი უწოდებს „ძველისა და ახლის შუა

შემაერთავ ხიდს", ხოლო ბ. ღოღობერიძეს — „ახლისა და ძველის შუა ჩატეხილ ხიდს".

გავეცნოთ ამ ეპიგრამებს:

„მოხუცია იგი ჯმუხი,
პირად ბადრი, ტანდაბალი,
საქმით წმინდა, გულმხურვალე,
სიტყვატკბილი, ჭკვამაღალი.
ძველთაგანა ეგლა დარჩა
გრძნობით სავსე, გონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თვისი ერი.
ის ძველის და ახლის შუა
შემაერთავი ხიდია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდია".

„ერთი ვინმე შავგერემანი
სუსტია და პირად ხმელი,
დიდებში ბრძნად ქებულია,
ჭკვამოკლე და ენაგრძელი.
დიდთა ქებით გაბერილა,
ვით ავის სენით ტრიკია,
ახლის აღმის კაცი იყო,
ეხლა ქვემძრომი ხვლიკია.
ახლისა და ძველის შუა
ის ჩატეხილი ხიდია,
ამ ტყუილს ბრძენსაც ქვეყანა,
ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია".

(„გამოცანები")

გრ. ორბელიანის ღირსეული გამოსახატავად ი. ჭავჭავაძეს სიძუნწე არ გამოუჩენია თვით ამ ეპიგრამაშიც კი. იგი მას უწოდებს „საქმით წმინდას", „სიტყვატკბილს", „ჭკვამაღალს", „გრძნობით სავსეს", რომელსაც „უყვარს თავისი ერი". მაგრამ, ილიას თქმით, იგი არის „გაუბედავი", რის გამოც ზოგჯერ ეროვნულ საქმესაც ღალატობს.

თუ რამდენად მორიდებულად გაკენწლა ი. ჭავჭავაძემ გრ. ორბელიანი, ამის გასათვალისწინებლად საკმარისი იქნება მოვიგონოთ, რარიგ მკაცრ გამოთქმებს ხმარობს ილია იმავე „გამოცანებში" სხვების მიმართ. სენატორ გ. მუხრან-ბატონს იგი უწოდებს „ჭკვით და გულით მოცვეთილს", კ. მუხრან-ბატონს — „ქვეყნისაგან ლაფდასხმულს, გულმურტალსა და ფლიდს", დ. ჯორჯაძეს — „მელაძუასა" და „მორიელს", მ. ლორის-მელიქოვს — „გრაფობისთვის ერის დამკვლელს" და სხვ.

ი. ჭავჭავაძე არც იმას მალავს, რომ მშობელი ხალხის ღირსებას ბევრი სხვაც არცხვენს, მაგრამ ჩუმად მაინც არიან და ერის გულშემატკივრად არ სახავენ თავს:

„აღწერილთა ჯურის ხალხი
სხვანიც მრავალნი ჰყვაიან,
მაგრამ მე იმათ არ ვსწერ,
რადგანც თვის ქერქში არიან.
დიდთა ნახირში არ ისმის
მათგან არც ერთის ბღავილი,

გველი, ხვლიკი, ლოკოკინა;
იციან, რომ არ ვარგანან
ღ[illegible]ავისთვის სხედან შინა.
ხრიოკა ეგე, ანუ ჯოგი,
საუბედუროდ დიდია;
მათ ყველას ერთად ქვეყანა

თუმცა იმათში ზოგიერთს
ჭირად სჭირს ენის ქავილი.
მათში ბევრი წურბელაა,
შინვე ფეხებზედ პკიდია“.

(„კიდევ გამოცანები“)

ი. ჭავჭავაძემ იცოდა, რომ მისი ეპიგრამებით აღშფოთდებოდნენ ისინი, ვისაც ეს ეპიგრამები შეეხებოდა, და აგრეთვე მათი თანამგრძნობნიც. მაგრამ ეგ სრულიადაც არ მადარდებსო, აცხადებს პოეტი:

„თუ გაწურებით, რა მენაღვლის?!
მე არ მაქვს თქვენი რიდია,
ვით თქვენ ქვეყანა, მეც წყრომა
თქვენი ფეხებზედ მკიდია“.

(„გამოცანები“)

თავისი ეპიგრამები ხალხში გასავრცელებლად ი. ჭავჭავაძეს დავით ერისთავისათვის გადაუცია, მაგრამ ამ საქმეში მას ბევრი სხვაც სიამოვნებით მიშველებია. ახალი თაობის თითქმის ყველა წარმომადგენელი პოპულარიზაციას უწევდა ამ ეპიგრამებს, მაგრამ ყველაზე დიდი პოპულარიზატორი თვით ხალხი აღმოჩნდა, რომელმაც მათში საკუთარი გულისთქმა და აზრები ამოიკითხა.

თუ როგორი სიმწარე განაცდევინა ეპიგრამებმა მათ ადრესატებს, ეს კარგადა ჩანს გრ. ორბელიანის გამოხმაურებიდან. გრ. ორბელიანი, რომელიც ეპიკური სიმშვიდით შეხვდა 60-იან წლებში გაშლილ მკაცრ პოლემიკას და თერგდალეულთა წინააღმდეგ არა თუ არაფერი უთქვამს, არამედ „საქართველოს მოამბის“ დაარსების ნებართვის მიღებაშიც კი დაეხმარა მათ, ი. ჭავჭავაძის ეპიგრამებმა წონასწორობიდან გამოიყვანა.

ი. ჭავჭავაძის „გამოცანებით“ აღშფოთებული გრ. ორბელიანს დაუწერია მეტად მკაცრი პასკვილი — „გამოცანების პასუხი“, რომელიც ავტორს თავიდან ხელნაწერით გაუვრცელებია ხალხში, ხოლო შემდეგ „ცისკარში“ (1874, № 7—8) გამოუქვეყნებია. მაგრამ „ცისკარში“ გამოქვეყნებული ტექსტი ხალხში გავრცელებულ ვარიანტთან შედარებით გავრცობილი და ამასთან შერბილებულია. მართალია, შინაარსობრივი ცვლილება პოეტს მასში ბევრი არაფერი შეუტანია, მაგრამ შეუცვლია ცალკეული შეურაცხმყოფელი სიტყვები.

ახალი თაობის წარმომადგენლებს გრ. ორბელიანი უწოდებს „კოღობუზებს“, „კატის კნუტებს“, „გზადაკარგულებს“, „ცრუ პოეტებს“, „სულით სუსტთ“, „უნიჭოებსა“ და სხვ. ამის მსგავსი ეპითეტები კი, როგორც ვიცით, ი. ჭავჭავაძეს არ გამოუყენებია გრ. ორბელიანის მისამართით.

გრ. ორბელიანის თქმით, ახალი თაობის წარმომადგენლებმა ტყუ-

ილად მოიარეს რუსეთი და უცოდინარნი დაბრუნდნენ, თანაც ეროვნული თვისებები დაკარგეს — აღარ ჰგვანან არც ქართველებს, არც რუსებს, არც ფრანგებსა და ინგლისელებს. მაგრამ არც ამის თქმით კმაყოფილდება გრ. ორბელიანი. იგი თერგდალეულებს ბრალად სდებს ენის წახდენასა და სარწმუნოების დავიწყებას:

„თქვე უსწავლელნო,
ცრუ რუსთაველნო,
რად წაგებილწეთ ენა მდიდარი?
ენა მაღალი,
მის სიღრმე, ძალი,
წახდა უწმინდურს თქვენს ხელში ჯიჯგვით.
მტერობა ენის
არს მტრობა ქეყნის,
ჩირქი რად მოსცხეთ ტაძარსა წმიდას?"

გრ. ორბელიანს თავი ვერ შეუკავებია, რომ არაფერი ეთქვა უშუალოდ ი. ჭავჭავაძეზე — უწოდებს „ლიბერალს", რომელსაც ღმერთი დაეწყებია და მის ნაცვლად გონებას აღმერთებს. მოპაექრე გაუკენწლავად არ ტოვებს ილიას გარეგნულ სახესაც:

„ის ლიბერალი,
ბურთივით მრგვალი,
ზნეობის მცველი ამას ჰქადაგობს:
„ლოცვა რად გვინდა?
ღმერთი რად გვინდა?
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი".

მარამ გრ. ორბელიანი ი. ჭავჭავაძეს უპირისპირდება არა როგორ პიროვნებასა და, თუ გნებავთ, როგორც პოეტსა და მოაზროვნეს, არამედ როგორც ახალი თაობის იდეურ ხელმძღვანელს. ამიტომაა, რომ იგი მისწვდა აგრეთვე მის უახლოეს თანამებრძოლებს — ა. წერეთელს, ნ. ნიკოლაძესა და გ. წერეთელს:

„ყოლო-ბუზები,
ლიბერალები,
ცრუ პოეტები, პატრიოტები:
აკაკიები,
ბაკაკიები,
რიონელები, გოგიტელები"[1].

გრ. ორბელიანმა ვერც ის დამალა, რომ ახალთაობის შესახებ, მართალია, სიტყვით ცუდი აქამდე არაფერი უთქვამს, მაგრამ გულში მაინც სხვა აზრისა იყო:

[1] „რიონელი" ნიკო ნიკოლაძის ფსევდონიმია, „გოგიტელებში" კი გიორგი წერეთელს გულისხმობს (რადგან გიორგის იმერეთში შინაურულად გოგიტელასაც ეძახიან).

„თქვენში ვტრიალებ,
თქვენში ვღრიალებ,
გულით კი ვწუხვარ თქვენს უნიჭობას".

გრ. ორბელიანს, როგორც ჩანს, მალე ჩავარდნია ხელთ ი. ჭავჭავაძის „გამოცანები" და მაშინვე დაუწერია თავისი „გამოცანების პასუხი". ამას მოწმობს ი. ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი", რომელიც 1872 წლის 28 იანვარს არის დაწერილი („გამოცანები" დაწერილია 1871 წლის 7 დეკემბერს).

ი. ჭავჭავაძის „პასუხის პასუხის" საგანია გრ. ორბელიანის ლექსის ჩვენ მიერ განხილული პირველი ვარიანტის ტექსტი. ილია თანამიმდევრობით სცემს პასუხს გრ. ორბელიანის ლექსში წამოყენებულ ბრალდებებს, ამასთან იგი ლაპარაკობს არა მარტო თავისი, არამედ მთელი ახალთაობის სახელით.

გრ. ორბელიანის ირონიულ კითხვას — „სიდგანა კნავითო?" — ი. ჭავჭავაძე უპასუხებს:

„იქიდამ ვკნავით,
სად თქვენის მადლით
ხაფანგებ-ქვეშე დამწყდეული ვართ".

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე გრ. ორბელიანსა და მის თანამოაზრეთ ბრალად სდებს იმდროინდელი მკაცრი პოლიტიკური რეჟიმის შექმნაში მონაწილეობას.

მართალია, მიმართავს ი. ჭავჭავაძე გრ. ორბელიანსა და მის თაობას, — ჩვენ მოვიარეთ რუსეთი, მაგრამ თქვენსავით არ მოქცეულვართ და

„ჩვენი ქვეყანა,
მკვდარი თქვენგანა,
თქვენებრ ჩინებზე არ გაგვიცვლია".

არც ლიბერალობა და პატრიოტობა გაგვიხდია სალანძღავ სიტყვადო, შენიშნავს ილია და განაგრძობს: თქვენგან განსხვავებით, ადამიანთა ღირსებას ჩვენ ჩინებით არ ვზომავთ, არც სარწმუნოებასა და ფარისეველობას ვურევთ ერთმანეთშიო.

ძველ თაობას ი. ჭავჭავაძე ბრალად სდებს „ღარიბთა ერთობისათვის" ძირის გამოთხრას, უქმად ყოფნას, ბეზღებას, თვალთმაქცობას, მძარცველობას, ორპირობას, ფარისეველობას, საკუთარი ენისა და ხალხის გმობას. „ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოსო", — დასძენს ი. ჭავჭავაძე და უშუალოდ გრ. ორბელიანს გაესიტყვება:

„ვინა ყრიხართო,
ეირები ხართო, —
მაგ თქვენს ზრდილობას ვით ეკადრება?
მაგრამ შოთამ სთქვა,

რაც კოკაში სდგა,
იგივე თურმე წარმოსდინდება“.

ი. ჭავჭავაძე გრ. ორბელიანს უპასუხებს იმ კონკრეტულ ბრალდებებზეც, რაც მან ილიასა და მთელ ახალთაობას წაუყენა სარწმუნოების უარყოფისა და ენის წახდენის შესახებ.

ახალთაობასო, მიმართავს იგი გრ. ორბელიანს, მხოლოდ იმაში მიუძღვის „ბრალი“, რომ

„ღმერთი მზაკვრობის
და თვალთმაქცობის,
ღმერთი უქმობის უარუყვია,
ღმერთი ხარბობის
და მძარცველობის
თქვენთა მსგავსთათვის მას დაუთმია.
ხოლო გვწამს ღმერთი,
უქმთა წარმწყმედი.
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,
ღმერთი ტანჯულთა,
ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი“.

რაც შეეხება ბრალდებას ენის წახდენის შესახებ, ი. ჭავჭავაძე მთელი დამაჯერებლობით ცხადყოფს ძველი თაობის გულგრილ დამოკიდებულებას მშობლიური ენისადმი. უფრო მეტიც, ილიას თქმით, ძველი თაობის ბედოვლათობის წყალობით ქართული ენა თითქმის ოფიციალურად აიკრძალა:

„მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის —
მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა,
მაგრამა გმობა,
ენისა მტრობა
ბრალად ვის დავდვათ, ჩვენა თუ თქვენა?
ეხლა რომ ბღავით
თქვენ არ იყავით
ენის პატრონად ჩვენზედ უწინა?!
ჩვენ ბუძუს ეწოვდით,
როცა თქვენ ჰგმობდით
ენას და ხალხსაც — გარეთ თუ შინა.
ის არ ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა
ბრძანებით დასთმეთ აღმოსაკვეთად?!
შიშით არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად“.

ძველმა თაობამ, ილიას თქმით, ქართულ ენას „მკვდრის სუდარა გა-

დააფარა“ და ამის შემდეგ იგი ახალმა თაობამ მიიღო გასაცოცხლებლად. შესაძლოა, ქართული ენის ხმარებისას არც ეს თაობა იყოს უცოდველი, მაგრამ იგი იბრძვის თავისი შეცდომების გამოსასწორებლადო.

„თქვენგან გმობილი,
თქვენგნით ლტოლვილი
ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შევაფარეთ;
კარგად თუ ავად,
ჩვენ მას ვინახავთ
და მის სიკვდილით არ გაგახარებთ.
გვიან თუ მალე,
დღესა თუ ხვალე,
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება,
მაგრამ კი თქვენი
მრუდე საქმენი
ისევ ისევე მრუდედ დარჩება“.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძემ თავის „გამოცანებში“, „კიდევ გამოცანებსა“ და „პასუხის პასუხში“ მთელი სიგრძე-სიგანით დააყენა და გააშუქა ის საკითხები და ის მიზეზები, რომლებიც საფუძვლად ედო მკვეთრ უთანხმოებას თერგდალეულებსა და კონსერვატორულ-ლიბერალურ ბანაკს შორის, რაც აშკარად გამოვლინდა მათ სამწერლო თუ პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

ცხადია, ყველა ის საყვედური, რომლებიც ი. ჭავჭავაძის მიერ ძველი თაობის მიმართ არის გამოთქმული, გრ. ორბელიანს არ შეეხება ან ნაწილობრივ შეეხება მხოლოდ. მაგრამ ი. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანს შორის გაშლილმა პოლემიკამ ფართო ხასიათი მიიღო. ილიამ დაინახა, რომ გრ. ორბელიანი მას ეკამათებოდა ყველა იმ პირის სახელით, რომლებიც თავიანთი აზროვნებითა და მოქმედებით თერგდალეულებს ებრძოდნენ. ამიტომ ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ როგორც მეთაური მეთაურს. ამას გრძნობდნენ მათი თანამოაზრენიც და, თავის მხრივ, ზურგს უმაგრებდნენ თავიანთ მეთაურებს.

*

ძველი თაობის წარმომადგენელთა კონსერვატორული და რეაქციული შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლა 70-იან წლებში მხოლოდ გრ. ორბელიანთან პოლემიკით არ ამოიწურება. ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი და სხვები თავიანთი მხატვრული ნაწარმოებებითა და პუბლიცისტური წერილებით მკაცრად უპირისპირდებოდნენ ყველა იმათ, ვინც ივიწყებდა თავის პატრიოტულ მოვალეობას და ჩირქს სცხებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესებს.

ფართო მასშტაბით გაჩაღებული ამ ბრძოლის ერთ-ერთი საყურადღებო მომენტი იყო აგრეთვე სამოციანელთა სახელოვანი წარმომადგენლების გალაშქრება ჩვენთვის უკვე ცნობილი გ. მუხრანსკის (მუხრან-ბატონის) რეაქციული თეორიის წინააღმდეგ, რომელიც მან გამოთქვა 1872 წელს გამოცემულ თავის ბროშურაში „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц».

გ. მუხრანსკი თავის წიგნში „ამტკიცებდა“ მცირე ერების დიდ ერებში გათქვეფისა და პატარა ერების ენათა მოსპობის აუცილებლობას. ცხადია, მისი ასეთი რეაქციული თეორიის მიზანი იყო ხელი შეეწყო ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკისათვის და მახვილი ჩაეცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის.

ი. ჭავჭავაძე, რომელმაც თავის ეპიგრამებში გ. მუხრანსკის „ჭკვით და გულით მოცვეთილი“ უწოდა, ძალიან აუღელვებია მის ასეთ თავხედურ გამოსვლას საჯაროდ, ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით. გ. მუხრანსკის დასახელებული ბროშურის გამოცემასთან დაკავშირებით, 1872 წლის აგვისტოს ბოლოს, ილია დუშეთიდან წერილსა სწერს პ. უმიკაშვილს და თან უგზავნის ლექსს „რჩევა“, რომელიც წარმოადგენს პასუხს გ. მუხრანსკისადმი.

ი. ჭავჭავაძის ლექსი „რჩევა“ გამოქვეყნდა „დროებაში“ (1872, № 35). აღნიშნული ლექსი შემთხვევით დაიბეჭდა: ცენზურა ვერ მიხვდა, რომ იგი დაწერილი იყო სენატორსა და მეფისნაცვლის საბჭოს წევრ გ. მუხრანსკიზე. მაგრამ გ. მუხრანსკის ბროშურის ფხიზელ წამკითხველს არ შეიძლებოდა ადვილად არ ეცნო ილიას „ხოტბის“ ობიექტი.

ი. ჭავჭავაძე თავის ლექსში მკაცრი ირონიული ტონით „ურჩევს“ მეგობარს, რომ, თუ სურს იგემოს „ამა ქვეყნისა შვებანი“, მაშინ მან „დიდთა საფერად“ უნდა მომართოს თავისი ენა და მიიღოს ბრძენი კაცის სახე, ამასთან მათ საამებლად უნდა დაიწყოს ასეთი ქადაგება: „წესია, რომ დიდმა ყლაპოს პატარაო“. ამისათვის მას, ცხადია, „დიდნი“ საბუთს არ მოსთხოვენ, ხოლო „პატარებს ჯანი გავარდეს“. პირფერობისა და მონური ქცევის გარეშე „მაღლა აცოცვა“ შეუძლებელიაო, მიმართავს პოეტი მეგობარს და დასძენს: ამას იმიტომ გირჩევ, რომ „ჩვენ გვყავს ერთი მეგობარი, რომელიცა ამგვარ ქცევით ჩვენში ბედნიერი არი“.

„დროების“ იმავე ნომერში გამოქვეყნდა გაზეთის რედაქტორის ს. მესხის კრიტიკული წერილი გ. მუხრანსკის ბროშურაზე, რაც კიდევ უფრო აშკარას ხდიდა ი. ჭავჭავაძის ლექსის შინაარსს.

ამგვარად, 70-იან წლებში, როცა ცხარე ბრძოლა და პოლემიკა იყო გამართული კონსერვატორულ-ლიბერალური ბანაკისა და პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენელთა შორის, პარალელურად კამათი წარმოებდა თვით „ახალი თაობის“ შიგნითაც. მაგრამ ეს

კამათი სულ სხვა ხასიათს ატარებდა. მას საერთო არაფერი ჰქონდა კონსერვატორულ-რეაქციული „თეორიების“ დამცველთა წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლასთან, რომლის დროსაც „ახალი თაობა“ მონოლითური იყო.

60—70-იან წლებში გაშლილი მძაფრი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის უშუალო გავლენით ვითარდებოდა მხატვრული ლიტერატურა და საზოგადოებრივი აზრი ჩვენში. კერძოდ, კრიტიკული რეალიზმის საბოლოო გაბატონება ქართულ ლიტერატურაში ამ ბრძოლასთანაა დაკავშირებული. კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა ესთეტიკური შეხედულებებისა და მხატვრული შემოქმედების ღრმა შესწავლა უდავოს ხდის ამ დებულების ჭეშმარიტებას. ამიტომ აღნიშნული ბრძოლის საფუძვლიანი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სრული და მართებული წარმოდგენა ვიქონიოთ კრიტიკული რეალიზმის ხასიათსა და მისი ფორმირების ისტორიაზე ქართულ ლიტერატურაში.

ჩვენ მიერ უკვე განხილული ის პოლემიკა, რომელიც ფართოდ იყო გაჩაღებული რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღსრდილ და ამ იდეებისათვის მებრძოლ სამოციანელთა და ბატონყმურ-თავადაზნაურული ყოფის დამცველ კონსერვატორ-ლიბერალთა შორის, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია „მამათა და შვილთა“ ბრძოლის სახელით.

ტერმინი „მამები და შვილები“ ტრადიციულად დაკანონდა თვით „მამების“ წყალობით. ბუნებრივია, რომ მათთვის ხელსაყრელი იყო მკაცრი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის მონათვლა „მამათა და შვილთა“ ბრძოლის სახელით. მაგრამ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის დონისათვის, ვფიქრობთ, შეუფერებელია აღნიშნული ტერმინის კვლავ ძალაში დატოვება. მართალია, მთავარია არა ესა თუ ის ტერმინი თავისთავად, არამედ ის აზრი, რომელიც მასში იგულისხმება, მაგრამ, როცა ტერმინი ხელს უშლის ამ აზრის სწორ გაგებას, მაშინ მისი ხმარება გაუმართლებელია.

როცა ვლაპარაკობთ, „მამათა და შვილთა ბრძოლაო“, ნებით თუ უნებლიეთ იმას ვადასტურებთ, რომ ეს ბრძოლა თითქოს მიმდინარეობდა ერთი კლასის ინტერესთა ფარგლებში. ეს კი სრულიად ეწინააღმდეგება საქმის ნამდვილ შინაარსს და ჩქმალავს მთავარსა და არსებითს. აღნიშნული ტერმინი სხვა მხრივაც ვერ ამართლებს თავის თავს. ცნობილია, რომ „მამათა“ ბანაკი არ შედგებოდა მხოლოდ ძველი თაობის წარმომადგენლებისაგან, ისევე როგორც „შვილების“ პოზიციასაც არ იზიარებდა ახალი თაობის ყველა წარმომადგენელი. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა

მხედველობაში ი. ჭავჭავაძეს, როცა მთელი სიმძაფრით გაილაშქრა ტერმინის „ძველი და ახალი თაობის“ წინააღმდეგ.

ი. ჭავჭავაძე საგანგებოდ შენიშნავს: „რა საწყაო ვიხმაროთ, რომ ან ერთს მივუწყათ ახლობა, ან მეორეს ძველობა? ჰასაკი და წლოვანება? ეგ ხომ მტკნარი ბავშვობა იქნება! ან კიდევ ის, რომ ერთი გუშინ მოვიდა და მეორე დღეს მოდის? არც ხომ ეს იქნება საკადრისი ჭკვათამყოფელის მკვლევარისათვის! მაშ სხვა რა ვიხერხოთ, რომ ერთის ჯურის საზოგადო სარბიელზე მომქმედი კაცი გავარჩიოთ მეორისაგან?

...საზოგადო სარბიელი მოედანია საზოგადო ცხოვრებისა, რომელიც ამ შემთხვევაში სხვა არა არის-რა, გარდა აზრთა და საქმეთა ერთმანეთთან ბრძოლისა ცხოვრებისავე ესე თუ ისე მოსაწყობად და მისამართავად; იმიტომ, რომ ყოველი აზრი, ყოველი საქმე... ისე არ იჩენს თავს, რომ ან ყოფილს აზრს, ან საქმეს წინ არ შეეხალოს და ომი არ გადაუხადოს ადგილის დასაჭერად.

ყოველს ამისთანა აზრს, თუ საქმეს, სხვა ბევრ ძარღვთან ერთად, ერთი უმთავრესი ძარღვი ცა აქვს, რომელიც, ვითარცა უაღრესი და თვასაჩინო ნიშანიცნობისა, ხდება საბუთად სახელწოდებისა“[2] (დაყოფა ყველგან ჩვენია — დ. გ.).

ი. ჭავჭაძე იქვე დასძენს, რომ, „რადგანაც ყოველს საზოგადო აზრს, თუ საქმეს, ამყოლი, მოსარჩლე და მოძღვარი, ბერიცა ჰყავს და ერიც, ჭაბუკიც და მხცოვანიც, ახალიც და ძველიც, გუშინდელიც და დღევანდელიც, ერთსა და იმავე დროს, ამიტომაც ვერც ერთი და ვერც მეორე, ვერც ძველი და ვერც ახალი, ვერ მიაკერებს რომელსამე აზრს, თუ საქმეს,.. თავისს სახელსა; პირიქით, თითონ აზრი, ან საქმე, აკისრებს ხოლმე თავისს სახელს თავის ამყოლსა და გამძღოლსა“[3](დაყოფა ჩვენია — დ. გ.).

ილია პირდაპირ აცხადებს, რომ „ამისთანა სიტყვები, როგორც ძველი და ახალი თაობა, ცარიელი და ფუყე სახელებია და დროა თავისს პატრონს ჩაჰბარდეს და, საიდამაც მოსულან, იქ წავიდნენ[4].

ვფიქრობთ, ი. ჭავჭავაძის ეს ნათქვამი კომენტარს არ საჭიროებს. მასში მთელი დამაჯერებლობითაა ნაჩვენები, რომ გასული საუკუნის 60—70-იან წლებში გაშლილი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის ხასიათის გადმოსაცემად უმწეო და არაზუსტია ისეთი ტერმინი, როგორიცაა „ძველი და ახალი თაობის ბრძოლა“, ცხადია, კიდევ უფრო უხეირო ტერმინია „მამათა და შვილთა ბრძოლა“.

ი. ჭავჭავაძემ მიუთითა იმაზეც, თუ როგორი ტერმინებით უნდა შეიცვალოს ასეთი „ცალიერი და ფუყე სახელები“. მისი უდავოდ სამარ-

[2] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 198.
[3] იქვე, გვ. 199.
[4] იქვე, გვ. 199—200.

თლიანი შეხედულებით, მათ მაგივრად უნდა გამოვძებნოთ კონკრეტული და ზუსტი ტერმინები, როგორიცაა, სხვა შემთხვევაში, მაგალითად, „რესპუბლიკელი“, „იდეალისტი“, „რეალისტი“, „ლიბერალი“, „კონსერვატორი“ და სხვ., ე. ი. ისეთი ტერმინი, რომელიც წარმოაჩენს საქმის თუ აზრის „უმთავრეს ძარღვს“.

და თუ ამ მხრივ შევხედავთ ტერმინებს: „მამები და შვილები“, „ძველი და ახალი თაობა“, აშკარა გახდება მათი მთელი უსაფუძვლობა, რაც ხშირად გაუგებრობა და აღრევა შეაქვს ისტორიული სინამდვილის სწორ გაგებაში. ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი მკვლევარი მოხერხებულად სარგებლობს ამ არაზუსტი ტერმინებით, რათა „გაასაღოს“ თავისი მცდარი შეხედულება.

სადავო არაა, რომ იმ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლაში, რომელიც 60-70-იან წლებში გაიშალა, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ კონსერვატორულ-ლიბერალური ბანაკი და რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე მდგომ მოღვაწეთა ჯგუფი, რომელსაც მხარს უჭერდნენ დემოკრატიულად განწყობილი მოაზროვნეები. ამიტომაც ამ ბრძოლას უნდა ეწოდოს ბრძოლა კონსერვატორულ-ლიბერალურ და რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმართულებებს შორის. საკუთრივ ლიტერატურული ბრძოლის თვალსაზრისით კი იგი წარმოადგენდა უკანასკნელ შეჯახებას კრიზისის გზაზე დამდგარ რომანტიზმსა და გაბატონების პროცესში მყოფ კრიტიკულ რეალიზმს შორის[5].

[5] ჩვენ მიერ კარგა ხნის წინათ გამოთქმული ეს შეხედულება (იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1955, № 17) უკვე გაზიარებულია მკვლევართა უმეტესობის მიერ.

V. ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული შეხედულებები რეალიზმის თეორიის შუქზე

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“

ი. ჭავჭავაძე

ქართველ სამოციანელთა ლიტერატურული შეხედულებების შესწავლას რეალიზმის თეორიის შუქზე დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მათი მხატვრული შემოქმედების გასაგებად, ასევე ქართული კრიტიკული რეალიზმის თავისებურებათა გასათვალისწინებლად.

40—50-იანი წლების ქართველ რეალისტებს, როგორც აღვნიშნეთ, არ დაუტოვებიათ საკმაო ოდენობის კრიტიკული ლიტერატურა თავიანთ ესთეტიკურ შეხედულებათა შესახებ. ამ ხარვეზის ამოვსება მკვლევარს მათი მხატვრული შემოქმედების საერთო ანალიზის საფუძველზე უხდება. სულ სხვა ვითარება გვაქვს სამოციანელებზე მსჯელობისათვის. მდიდარ მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად, თერგდალეულებმა დაგვიტოვეს მრავალმხრივ საყურადღებო წერილები და სტატიები, რომელთა უშუალო დანიშნულება იყო მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დასაბუთება და დანერგვა ქართულ მწერლობაში.

მიუხედავად ამისა, სამოციანელთა კრიტიკული და ისტორიულ-ლიტერატურული შეხედულებების შესწავლა სერიოზული კვლევის საგნად დიდხანს მაინც არ გამხდარა. მათ ცალკეულ გამონათქვამთა ციტირებას სხვა პრობლემების შესწავლასთან დაკავშირებით და თერგდალეულთა ესთეტიკის შესახებ დეკლარაციულ მსჯელობას, ცხადია, არ შეეძლო სრული წარმოდგენა მოეცა აღნიშნულ საკითხზე.

ქართველ სამოციანელთა ესთეტიკური შეხედულებანი განპირობებულია მათი თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრებით, ქართული ლიტერატურის განვითარების დონითა და რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ესთეტიკური მოძღვრებით.

თერგდალეულთა იდეური წინამძღოლი ი. ჭავჭავაძე თვითონ აღნი-

შნავს ამ გარემოებას, როცა ამბობს: თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და ღიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ—მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითოეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორს წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო. ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითოეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია". ოღონდ, ილიას მართებული შეხედულებით, „ამ ზემოქმედებამ რუსულის ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამრიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის. ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია...

ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვით, რომ ზოგნი ჩვენში, რუსული ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გაწურთვნილნი, ასე ბრმად ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზედმოქმედებას. ამათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე არ შეუთვისებიათ, ან უარუყვიათ ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო ამას არ დასჯერებიან: იმავ კრიტიკით და გამოძიებით მხარ-დამხარ ასდევნებიან ამ ლიტერატურის წინსვლასა, წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანაზედ"[1]

როგორც ვხედავთ, თერგდალეულთა მომზადებაში ი. ჭავჭავაძე უაღრესად დიდ როლს აკუთვნებს იმ გავლენას, რომელიც მათზე რუსულმა მწერლობამ და მოწინავე რუსმა მოაზროვნეებმა მოახდინეს, ამასთან ილია გარკვევით ლაპარაკობს, რომ თავიანთი ისტორიული მისია შეასრულეს მხოლოდ იმ ქართველმა მოღვაწეებმა, რომლებმაც ბრმად კი არ განიცადეს ეს გავლენა და სხვათა აზრების ტყვე კი არ გახდნენ, არამედ კრიტიკულად და შემოქმედებითად აითვისეს რუსული

[1] ი. ჭავჭავაძე. თხზ,. ტ. II, 1941, გვ. 607—608

მწერლობისა და მეცნიერების მიღწევები. ამ შემთხვევაში ი. ჭავჭავაძეს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა რუს მასწავლებელთა შეხედულებანი გაიზიარეს და გამოიყენეს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართული მწერლობის ვითარების შესატყვისად.

თერგდალეულთა დამსახურებად ი. ჭავჭავაძეს მიაჩნია არა მარტო ის, რომ მათ დაიწყეს საკუთარ ქვეყანაში „ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ნ ა თ ე ლ ი ა ზ რ ე ბ ი ს“ გავრცელება, არამედ განსაკუთრებით ის, რომ მათ „ხელი მიჰყვეს ს ა კ უ თ ა რ ი ვ ი თ ა რ ე ბ ი ს“ გამორკვევას, კერძოდ, „ეროვნული ვითარების გაცნობას“ (დაყოფა ორივეგან ჩვენია—დ. გ.). „ამ ნათელის აზრების მიხედვით ჩაუკვირდა“ თერგდალეულთა თაობა „ჩვენს ცხოვრებას, აღმოაჩინა ზოგი იმისი ღირსება-ნაკლოვანება და ამით აღძრა იმ დრომდე მიძინებული საზოგადო აზრი. ვინც თვალხილული იყო და ყურთა სმენა ჰქონდა, ყველამ შეიგნო, თუ რა იყო მიზეზი ჩვენის დაქვეითებისა, რა იყო ხელ-ჩასაჭიდებელი და საზრუნავი. ასე თუ ისე საზოგადოებამ ცოტათი მაინც იგრძნო, რამდენად საჭიროა საკუთარის ვითარების გამორკვევა და შეგნება“.[2]

ი. ჭავჭავაძე და საერთოდ თერგდალეულები, ცხადია, არ ცდებოდნენ, როცა ასე იქცეოდნენ. ადგილობრივი ვითარების ღრმა შესწავლითა და გათვალისწინების გარეშე მათ არ შეეძლოთ შესაფერი ამაგი დაედოთ თავიანთი ხალხისათვის, ვერ გახდებოდნენ ნამდვილი ეროვნული მოღვაწეები. ამ მიმართულებითაც მათ გზას უჩვენებდნენ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები.

სტატიაში „რუსული ლიტერატურის გოგოლის პერიოდის ნარკვევები“ ნ. ჩერნიშევსკი წერდა: „სიმართლე ყოველთვის სიმართლეა, მაგრამ ყოველგვარი სიმართლე როდია ყველგან და ყოველთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი და ერთნაირად როდი შეუძლია ყურადღების აღძვრა: თვითეულ საუკუნეს, თვითეულ ხალხს თავისი მოთხოვნილებები აქვს; ის, რაც გერმანელს აინტერესებს, ხშირად სრულიადაც არ არის საინტერესო ფრანგისათვის ან რუსისათვის, იმიტომ რომ პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს მისი ცხოვრების მოთხოვნილებებთან. უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რაც ჩვენ საზოგადოებას ჩვენს დროში ესაჭიროება“[3].

ნ. ჩერნიშევსკის მიერ მოხდენილად გამოთქმული ამ ჭეშმარიტების არსის ღრმა შეცნობა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში მისი ხორცშესხმა ქართველ სამოციანელთა ერთ-ერთი დიდი ღირსება და დამსახურებაა.

მრავალი საერთო ნიშნის მიუხედავად, რუსი და ქართველი ხალხე-

---

[2] ი ქ ვ ე, გვ.178.

[3] ნ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი. რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1945, გვ.546.

ბის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ვითარება იმ დროისათვის განსხვავებასაც აშკარად ამყღავნებდა. ჯერ ერთი, რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველო მოკლებული იყო ეროვნულ თავისუფლებას, სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. მეორეც, ბურჟუაზიული განვითარების თვალსაზრისით საქართველო საგრძნობლად ჩამორჩებოდა რუსეთს. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ როგორც რუს, ასევე ქართველ ხალხს ჰქონდა თავისი საკუთარი, თვითმყოფი, მდიდარი ტრადიციების მქონე ლიტერატურა და კულტურა. ბუნებრივია, ყოველივე ეს თავისებურ გავლენას ახდენდა თითოეული ამ ქვეყნის მოღვაწეებზე.

ამიტომაა, რომ ქართველ სამოციანელთა ესთეტიკაში იმ საერთო მატერიალისტურ პრინციპებთან ერთად, რაც უშუალოდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებიდან მომდინარეობს, ყურადღება გამახვილებულია იმ მომენტებზეც, რომლებიც უშუალოდ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებებითაა ნაკარნახევი.

ჩვენს მიზანს ამჯერად არ შეადგენს ქართველ სამოციანელთა ესთეტიკის სრული და ყოველმხრივი შესწავლა. ჩვენ გვინდა დავკმაყოფილდეთ მათ ესთეტიკაში რეალიზმის თეორიისათვის საინტერესო ცალკეულ საკითხთა გადაწყვეტის ჩვენებით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თერგდალეულთა შეხედულებანი ამ მხრივ ისე ახლოს არიან და ავსებენ ერთმანეთს, რომ შეიძლებოდა თითოეული ავტორის მიხედვით მათზე ცალ-ცალკე არც კი შევჩერებულიყავით, მაგრამ ისტორიული სურათის უფრო მკაფიოდ წარმოსაჩენად ვამჯობინეთ სხვა გზას დავსდგომოდით. მოკლედ მაინც მიმოგვეხილა ის შეხედულებები, რომლებსაც რეალიზმის ძირითადი პრინციპების შესახებ გამოთქვამდნენ და მხატვრულ შემოქმედებით პრაქტიკაში ახორციელებდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი.

1

მატერიალისტური ესთეტიკის პირველი ჭეშმარიტი ფუძემდებელი ქართულ ლიტერატურაში ი. ჭავჭავაძე იყო. კრიტიკული რეალიზმის განმტკიცებისათვის თავდადებულმა მებრძოლმა ილიამ, ერთი მხრივ, თავისი უკვდავი მხატვრული შემოქმედებით, ხოლო, მეორე მხრივ, კრიტიკული და ისტორიულ-ლიტერატურულ შეხედულებათა შემცველი სტატიებითა და წერილებით შექმნა მტკიცე საფუძველი ახალი ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის.

ი. ჭავჭავაძის ესთეტიკა არის ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატისა და განმანათლებლის ესთეტიკა, რომელიც ემყარება მატერიალისტურ პრინციპებს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მის ესთეტიკაში მთავარ ადგილს იჭერს რეალიზმის თეორიის ძირითადი საკითხების

დასაბუთება და მათი პროპაგანდა.

ი. ჭავჭავაძემ ქართულ ლიტერატურაში პირველმა მოგვცა რეალიზმის როგორც მხატვრული მეთოდისა და როგორც ლიტერატურული მიმართულების თეორიული დასაბუთება და გვიჩვენა მისი ჩამოყალიბების ისტორიული კანონზომიერებანი.

ი. ჭავჭავაძეს ჩვენს სინამდვილეში მოუხდა იმავე როლის შესრულება, რაც რუსულ ლიტერატურაში შეასრულეს გოგოლმა და ნეკრასოვმა, ბელინსკიმ და გერცენმა. ესოდენ რთული და მძიმე ამოცანის წარმატებით გადაჭრაში მას, ცხადია, პირველ ყოვლისა, თვით ამ დიდ რუს შემოქმედთა ნამოღვაწარი ეხმარებოდა. ილიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ღრმად ჩასწვდა მშობელი ხალხის ისტორიული და თანამედროვე ცხოვრების არსს, დაუცხრომლად ზრუნავდა თავისი ქვეყნის უკეთესი მერმისისათვის, გამოიჩინა მახვილი ალღო იმისა, რომ ეპოქის მოწინავე იდეები შესაფერისად დაეკავშირებინა ადგილობრივი პირობებისათვის.

სწორადაა შენიშნული, რომ „ი. ჭავჭავაძემ ფორმალურად და გარეგნულად როდი განიცადა თავისი დიდი მასწავლებლის ზეგავლენა. იგი ღრმად განიმსჭვალა მათი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით და 60—70-იან წლებში ენერგიულად ქადაგებდა ამ იდეებს, იყენებდა და ავითარებდა მათ საქართველოს კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში"[4].

ი. ჭავჭავაძე არის, ერთი მხრივ, ყველაზე ღირსეული მემკვიდრე წინა ეპოქების პროგრესული ქართული აზრისა და ლიტერატურული ტრადიციებისა, ხოლო, მეორე მხრივ, ფუძემდებელი ახალი ქართული ლიტერატურისა. ამ დიდი მოღვაწის სახელთან დაკავშირებულია მისი თანადროული და მომდევნო პერიოდის ჭეშმარიტად ეროვნული მწერლობის განვითარება. ამიტომ მის შესახებ მთელი უფლებით შეიძლება გავიმეოროთ ის სიტყვები, რომლებითაც ბ. ბელინსკიმ ა. პუშკინი დაახასიათა. «Писать о Пушкине,—ამბობს ბელინსკი, — значит писать о целой русской литературе; ибо как прежние писатели русские объясняют Пушкина, так Пушкин объясняет последовавших за ним писателей»[5].

ი. ჭავჭავაძემ ადრევე გაითვალისწინა შემდეგი გარემოება: სწორად რომ გაეგოთ როგორც თვითონ მისი, ისე რეალისტური მიმართულების სხვა ქართველ მწერალთა ნაწარმოებები და მკითხველ საზოგადოებაზე მათ შესაფერი ზეგავლენა მოეხდინათ, ამისათვის საჭირო იყო იმ მხატვრული პრინციპების თეორიული დასაბუთება, რომლებიც საფუძვლად ედო მათ შემოქმედებას.

---

[4] ა. ქ უ თ ე ლ ი ა. ილია ჭავჭავაძე — რევოლუციური დემოკრატი. ჟურნ. „მნათობი", 1954, № 9.

[5] В. Г. Б е л и н с к и й. Собр. соч., т. III, 1911, стр. 41.

ი. ჭავჭავაძეს თავისი შეხედულება უნდა გამოეთქვა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ლიტერატურის არსი და დანიშნულება, ხელოვნება და სინამდვილე, ხელოვნება და მეცნიერება, ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება, მხატვრული ასახვის თავისებურება, ენა და ლიტერატურა, ლიტერატურის ხალხურობის პრობლემა და სხვ.

თავის პირველ კრიტიკულ წერილში „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“ ი. ჭავჭავაძემ აღნიშნა, რომ გრ. ორბელიანის მუხამბაზები, მიუხედავად იმისა, რომ თეთრი ლექსითაა დაწერილი, განუზომლად უფრო მაღლა დგას „ცისკრის“ მწერალთა პოეზიაზე. და ეს იმიტომ, რომ გრ. ორბელიანის მუხამბაზებში ნათლად იგრძნობა „ნამდვილობა და ჭეშმარიტება“ თბილისელ ყარაჩოღელთა ნატვრისა და ფიქრებისა. ამასთან დაკავშირებით ილია პირველად იძლევა პოეზიის განმარტებას, იგი წერს: „პოეზია განსახოვნებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა“.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, პოეზიის არსი და დანიშნულება ცხოვრების სინამდვილის, ჭეშმარიტების ასახვაა, რასაც პოეტი მხატვრული სახეების საშუალებით ახორციელებს. ცხადია, ეს გაგება შეეხებოდა არა მარტო პოეზიას, არამედ ლიტერატურასა და ხელოვნებას საერთოდ (საქმე ისაა, რომ ტერმინ „პოეზიას“ ი. ჭავჭავაძე ხშირად მეტად ფართო მნიშვნელობით იყენებდა, კერძოდ, „ლიტერატურის“ სინონიმადაც).

უდავოა, რომ პოეზიის განსაზღვრის დროს ი. ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა თავისი დიდი მასწავლებლის ბ. ბელინსკის შეხედულებით. სტატიაში „ხელოვნების იდეა“ ბ. ბელინსკიმ ჯერ კიდევ 1841 წელს ცხადყო, რომ „ხელოვნება არის უ შ უ ა ლ ო ჭვრეტა ჭეშმარიტებისა, ანუ სახეებით აზროვნება“[6]. ეს იყო ჭეშმარიტად ახალი გაგება ხელოვნებისა, რომელსაც სერიოზული გარდატეხა უნდა მოჰყოლოდა ხელოვნების თეორიასა და ლიტერატურულ კრიტიკაში. მაგრამ ბ. ბელინსკი გრძნობდა იმასაც, რომ ბევრს უცნაურადაც კი მოეჩვენებოდა ხელოვნების ამგვარი განსაზღვრა. ამიტომ იყო, რომ სახელოვანი კრიტიკოსი იქვე შენიშნავდა: „ეს განსაზღვრა ჯერ კიდევ პირველად იხმარება რუსულ ენაზე, და მას ვერ იპოვნით ვერც ერთ რუსულ ესთეტიკაში, პიიტიკაში ანუ ეგრეთ წოდებულ სიტყვიერების თეორიაში, — და ამიტომ, იმისათვის, რომ ეს განსაზღვრა უცნაურად, უხიაგად და ყალბად არ მოეჩვენოთ, ვისაც იგი პირველად ესმის, ჩვენ უაღრესად დაწერილებით უნდა განვმარტოთ ყველა წარმოდგენა, რომელთაც შეიცავს ჩვენი ეს სრულიად ახალი განსაზღვრა ხელოვნებისა“.

ბ. ბელინსკიმ, მართლაც, დამაჯერებლად განმარტა ხელოვნების

[6] ბ. გ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი. რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1948, გვ. 307.

სპეციფიკა, მაგრამ მისი ეს წერილი („ხელოვნების იდეა") 1862 წლამდე არ გამოქვეყნებულა და ი. ჭავჭავაძეს, ცხადია, არ შეეძლო სცოდნოდა იგი, როცა ზემოხსენებულ სტატიას წერდა 1860 წელს, ოღონდ ეს შეხედულება ბ. ბელინსკის ადრეც ჰქონდა გატარებული თავის წერილებში და შემდეგაც არაერთხელ დაბრუნებია მას.

ფონვიზინის თხზულებათა სრული კრებულისა და ზაგოსკინის „იური მილოსლავსკის" შესახებ ჯერ კიდევ 1838 წელს დაწერილ რეცენზიაში ბ. ბელინსკი შენიშნავდა, რომ «поэзия есть мышление в образах», «чувство есть непосредственное созерцание истины», ხოლო ა. გრიბოედოვის კომედიის „ვაი ჭკუისაგან" შესახებ მომდევნო, 1839 წელს დაწერილ წერილში ბ. ბელინსკი ამბობდა: «Предмет поэзии есть действительность или истина в явлении». შემდგომში (1843 წ.) ბ. ბელინსკიმ კიდევ უფრო დააზუსტა პოეზიის გაგება და აღნიშნა: «Поэзия есть творческое воспроизведение действительности, как возможности»[7].

ცხადია, ი. ჭავჭავაძემ სწორად და ღრმად შეითვისა პოეზიის ის გაგება, რომელიც ლიტერატურათმცოდნეობაში ბ. ბელინსკიმ დაამკვიდრა. მაგრამ ილია არა მარტო იმით იყო დაინტერესებული, რომ ქართველი მკითხველისათვის გაეცნო პოეზიის ბელინსკისეული განმარტება, არამედ იმითაც, რომ ქართული პოეზია აეყვანა ამ გაგების სიმაღლემდე. ამიტომაც თავის წერილებში ი. ჭავჭავაძე გვევლინება ხოლმე არა როგორც მხოლოდ ლიტერატურის თეორეტიკოსი, არამედ როგორც კრიტიკოსი და ისტორიკოსი.

ი. ჭავჭავაძემ ბ. ბელინსკის შეხედულებებზე დაყრდნობით პირველმა ქართულ ლიტერატურაში მოგვცა ხელოვნებისა და მისი სხვადასხვა დარგების დანიშნულებისა და თავისებურებათა განმარტებაც. ილიას თქმით, „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სხვა სახეში გამოსთქვამდნენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა — ხმასა, მხატვრობა — ხაზსა, პოეზია — სიტყვასა"[8].

ი. ჭავჭავაძე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ხელოვნების ყველა დარგი, საბოლოო ჯამში, სახეებით აზროვნებას მიმართავს და რომ განსხვავებას მათ შორის ამ სახეების შესაქმნელად საჭირო „მასალის" სხვადასხვაობა იწვევს მხოლოდ. ამიტომ ხელოვანის წარმატებას გამოსახატავი ობიექტის შერჩევასთან ერთად სახეების შექმნის ოსტატობა განაპირობებს. ილია ითვალისწინებს იმ გარემოება-

[7] В. Г. Белинский. Полн. собр. соч., под ред. С. А. Венгерова, т. VIII, стр. 234.

[8] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული. ტ. III, 1953, გვ. 30.

საც, რომ ცხოვრების სინამდვილის სრულყოფილად ასახვის თვალსაზრისით ხელოვნების სხვა დარგთაგან ყველაზე მეტი შესაძლებლობა ლიტერატურას აქვს, რომელიც ამასთანავე უფრო მისაწვდომია მასებისათვის.

როდესაც ი. ჭავჭავაძე ამბობს: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა," ცხადია, იგი გულისხმობს იმ „იდეასა და აზრს", რომელსაც შემოქმედში ბადებს უშუალოდ ცხოვრების სინამდვილე, საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკა. რომ ეს ასეა, ამის ნათესაყოფად საკმარისია გავეცნოთ მის შეხედულებას ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის შესახებ.

ი. ჭავჭავაძეს სწორად აქვს გაგებული ობიექტური სინამდვილისა და ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულება, ხელოვნების როგორც ზედნაშენური კატეგორიის ბუნება და მისი მიმართება ბაზისთან. „...ცხოვრება ძირია, — ამბობს ილია, — ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან, როგორც მიწიდგან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და, როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები — მეცნიერება და ხელოვნება -- ისხამენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და, როცა მოჰსწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ — ცნობიერებაზედ"[9].

აშკარაა, რომ ი. ჭავჭავაძეს ხელოვნება არ მიაჩნია პასიურ ზედნაშენურ კატეგორიად. მას შეცნობილი აქვს ცხოვრებაზე მისი აქტიური ზემოქმედების უნარიც. მეცნიერება და ხელოვნება, ამბობს ილია, „იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის... იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრება"[10].

ამგვარად, ხელოვნების არსებობა და დანიშნულება, ი. ჭავჭავაძის გაგებით, განპირობებულია ცხოვრების სინამდვილით. ხელოვნება ამ სინამდვილის გარკვეული ნაწილია. მას მოეთხოვება ასახოს სინამდვილე, ამასთან აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი გაუმჯობესებისა და გარდაქმნისათვის ბრძოლაში. მაგრამ ასეთი რთული ამოცანის გადაწყვეტას ადამიანთა აზროვნება მარტო ხელოვნებას როდი აკისრებს— ხელოვნებას აქ მხარში უდგას მეცნიერება.

ხელოვნებისა და მეცნიერების მიზანი და დანიშნულება, ი. ჭავჭავა-

---

[9] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული. ტ. III. 1953, გვ. 62—63
[10] იქვე, გვ. 71

ძის შეხედულებით, საბოლოო ჯამში, ერთნაირია: შეიცნონ და ასახონ ობიექტური სინამდვილე, ცხოვრება და ამის საფუძველზე გარკვეული წვლილი შეიტანონ მის გარდაქმნაში.

„მეცნიერებას და ხელოვნებას, — წერს ი. ჭავჭავაძე, — ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა... მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ჭეშმარიტებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედა... ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვრება გარდმოიცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ“[11] (დაყოფა ჩვენია — დ. გ.).

ი. ჭავჭავაძეს, რომელსაც კარგად ესმის ის განსხვავებაც, რაც მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის არსებობს, შეგნებული აქვს, რომ ეს განსხვავება ძირითადად მათ შინაარსში კი არაა, არამედ ამ შინაარსის დამუშავების ხერხებსა და საშუალებებშია.

„ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფლიო, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა, პოეზია კი ხატებითა და სურათითა... თუ პოეტი მეცნიერებას არ მოიწვევს, მარტო ცარიელი ნიჭი ვერ უთარგმნის ამ წიგნსა“[12] (დაყოფა ჩვენია — დ. გ.).

როგორც ჩანს, მეცნიერებისა და ხელოვნების განსხვავებას ი. ჭავჭავაძე მათ შინაარსში კი არ ხედავს, არამედ იმ საშუალებებში, რომელთა წყალობით ისინი ახერხებენ ამ შინაარსის ახსნასა და გადმოცემას. მეცნიერება და ხელოვნება „ორივ ერთ და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთ და იგივეს გამოსთქვამენ: ხალხის აზრსა, და თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვა-ნაირად მოქმედობენ და გამოსთქვამენ“[13], — დასძენს ილია.

მაგრამ, როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე ყურადღებას ამახვილებს იმასაც, რომ მეცნიერება და ხელოვნება არა მარტო სხვადასხვა გზითა და სხვადასხვა საშუალებებით მოქმედებენ ადამიანზე, არამედ სხვადასხვა კუთხითა და სხვადასხვა განზრცობილობით წარმოადგენენ იმ შინაარსს, რომელიც საერთოა მათთვის. ამასთან მეცნიერება უფრო ძნელი მისაწვდომია, ვინემ ხელოვნება. აშკარაა ისიც, რომ ხელოვნების წარმატების საქმეში ი. ჭავჭავაძე მეტად სერიოზულ როლს აკუთვნებს

[11] იქვე, გვ. 68.
[12] იქვე, გვ. 92.
[13] იქვე, გვ. 63.

მეცნიერების დონეს. ამიტომაა, რომ მწერლისაგან იგი მოითხოვს ცოდნით შეიარაღებას. ილიას აზრით, მხოლოდ „ცარიელი ნიჭი“ ვერ მისცემს მწერალს შესაძლებლობას აღმოჩნდეს მოწოდების სიმაღლეზე; მწერლისათვის ნიჭი აფრაა და მეცნიერება — საჭეო.[14]

უფრო მეტიც. ი. ჭავჭავაძე ფიქრობს, რომ ლიტერატურული მოღვაწეობა ყველაზე დიდ ერუდიციას, ბეჯით შრომასა და ფხიზელ ხედვას მოითხოვს. „ლიტერატურული მოღვაწეობა, — წერს ილია, — ბუნებითად იმისთანა რამ არის, რომ დღე-მუდამ უკან დევნა უნდა, დღე-მუდამ მის სფერაში ტრიალი, დღე-მუდამ ფიქრსა და ტვინის მოძრაობაში უნდა იყოს მიმდევარი კაცი... არ არის, ჩვენის ფიქრით, სხვა იმისთანა საგანი და მოღვაწეობა, რომ ასეთი ხანგრძლივი და საფუძვლიანი მომზადება უნდოდეს წინათვე, როგორც ლიტერატურა და ლიტერატორობაა“[15].

ძნელი არ არის შევამჩნიოთ, თუ რაოდენი ნათესაობა აქვს ი. ჭავჭავაძის ამ შეხედულებებს ბ. ბელინსკის მიერ ამავე საკითხებზე გამოთქმულ აზრებთან.

წერილში «Взгляды на русскую литературу 1847 года» ბ. ბელინსკი ეხება მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთობის საკითხს და შენიშნავს:«Видят, что искусство и наука не одно и то же, а не видят, что их различие вовсе не в содержании, а только в способе обрабатывать данное содержание. Философ говорит силлогизмами, поэт — образами и картинами, а говорят оба они одно и то же. Политико-эконом, вооружаясь статистическими числами, д о к а з ы в а е т, действуя на ум своих читателей или слушателей, что положение такого-то класса в обществе много улучшилось или много ухудшилось вследствие таких-то и таких-то причин. Поэт, вооружаясь живым и ярким изображением действительности, п о к а з ы в а е т в верной картине, действуя на фантазию своих читателей, что положение такого-то класса в обществе действительно много улучшилось или ухудшилось от каких-то причин. Один д о к а з ы в а е т, другой п о к а з ы в а е т, и оба у б е ж д а ю т, только один логическими доводами, другой — картинами. Но первого слушают и понимают немногие, другого—все.., ни наука не может заменить искусства, ни искусство — науки.

რაც შეეხება მწერლის მიერ მეცნიერული ცოდნის დაუფლების აუცილებლობას, ამ საკითხზე ბ. ბელინსკი ამბობს: «Было время, когда все твердили о том, что поэту нужны только талант и вдохновение,

[14] იქვე, გვ. 91.
[15] იქვე, გვ. 83—84.

что он учен без науки, всезнающ без учения; что он сам себе судья и закон...

Такое воззрение на поэта господствовало у нас в эпоху так называемого романтизма блаженной памяти...

Теперь не то: все кричат о необходимости знания для поэта, об идеях, о направлении, о сочувствии к современной действительности»[16].

მსგავსად რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა, ი. ჭავჭავაძეს არ სურს გააზვიადოს ხელოვნებისა და ლიტერატურის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საქმეში. მას სწორად აქვს გათვალისწინებული ის ურთიერთობა, რაც ხალხის ცხოვრებასა და ლიტერატურას შორის არსებობს. ილიას აზრით, რაც არ არის სინამდვილეში ან რის არსებობაც მომსადებული არ არის თვით საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ, ის არც ხელოვნებასა და ლიტერატურაში შეიძლება იყოს.

„ჩვენ, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — ძალიან კარგად გვესმის დამოკიდებულება ხელოვნებისა, პოეზიისა ხალხთა ცხოვრებაზედ... პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს; ამ საფუძველით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო. ჯერ უნდა ხალხმა დაიმუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეანძრიოს თავის უკუდავების ძარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებითა და მერე თავისთავად, უთქვენ-ბრძანებლოდ ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებასა... დიდს გენიას დიდი საზრდოც უნდა მისცეს ჩვენმა ცხოვრებამა"[17].

ამგვარად, მწერალი ხალხის შვილია, საზოგადოების წევრია და თავის შემოქმედებაში გამოხატავს იმას, რაც უკვე იგრძნობა ხალხში, საზოგადოებაში, რაც თვითონ ცხოვრებამ დაბადა. ამიტომ ლიტერატურის განვითარების ხარისხი ბევრ რამეს ლაპარაკობს თვით ხალხის განვითარების დონეზე. „ლიტერატურა — ხალხის ჭკვა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხია"[18] — დასძენს ილია.

ი. ჭავჭავაძემ ამ შემთხვევაშიც არ ეწინააღმდეგება რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა შეხედულებებს. ნ. ჩერნიშევსკის თქმით, «... состоянием литературы определяется состояние общества, от которого всегда оно зависит».

ხალხის ფიქრს, გრძნობასა და აზრს, ცხადია, ყოველი მწერალი ან ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები ერთი და იმავე სი-

---

[16] В. Г. Белинский. Полн. собр. соч., под ред. С. А. Венгерова, т. X, стр. 293.

[17] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 45.

[18] იქვე, გვ. 37.

ძლიერითა და სიმახვილით ვერ გამოხატავენ. მაგრამ მათ შორის თავის დროზე ჩნდებიან ხოლმე გენიოსი შემოქმედნი, რომლებიც ღრმად ჩასწვდებიან ცხოვრების მოთხოვნებს, თავიანთი ძლიერი მხრებით ამოიტანენ იმას, რაც თვით ცხოვრებაშია, და ამასთან წინ და შორს გაიხედავენ. ასეთ შემოქმედთა ნააზრევში გამოჩნდება „მთელი აწმყო... და თესლიც მომავლისა“. ამიტომ მხოლოდ ისინი ხდებიან ახალი ეტაპების ფუძემდებელნი ლიტერატურის განვითარებაში, სხვები კი მათ მიერ გაკვალული გზითა და მათ მიერ ნაჩვენები მიმართულებით მიდიან.

როგორც ვიცით, ი. ჭავჭავაძეს არც გენიოსი შემოქმედი მიაჩნია „ციდან ჩამოსულად“. გენიოსი მისი შეხედულებით, გარკვეული დროის ნაყოფია ისევე, როგორც სხვები, მაგრამ იგი უფრო „სრული, დამწიფებულია“. გენიოსის დანიშნულებასა და დამსახურებას შეადგენს ის, რომ სწორად გაითვალისწინოს ცხოვრების განვითარების ტენდენციები და თავისი სიტყვითა და საქმით ხელი შეუწყოს მის გაძლიერებასა და შესაფერი მიმართულებით წარმართვას. „თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, — ამბობს ილია, — მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფხენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს“[19].

ამ შემთხვევაშიც ი. ჭავჭავაძე ავითარებს ბ. ბელინსკის შეხედულებებს. ბელინსკის თქმით, «Никто не может быть выше века и страны, никакой поэт не усвоит себе содержания, не приготовленного и не выработанного историей». მაგრამ ბ. ბელინსკი, ცხადია, ითვალისწინებდა გენიოს შემოქმედთა როლსა და მნიშვნელობას საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. «Что в народе бессознательно живет как возможность, — амбобс иги, — то в гении является как осуществление, как действительность. Народ относится к своим великим людям, как почва к растениям, которых производит она»[20].

შემოქმედის გენიოსობას, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, უმთავრესად წყვეტს ის, თუ რა სისრულით მონახავს იგი აწმყო ცხოვრებაში „მომავლის თესლს“, რომელიც უთუოდ არის მასში. მაგრამ „მომავლის თესლის“ ძიება აწმყო ცხოვრებაში არა მარტო გენიოსის დანიშნულებაა, არამედ ყველა შემოქმედისა საერთოდ.

ასეთია ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი ხელოვნებასა და ლიტერატურაზე, ასეთ ამოცანებს უყენებს იგი მათ. აწმყო ცხოვრების „მარგალიტისა და ლაფის“ გამომშეურება და „მომავლის თესლის“ განვითარებისათვის ხელის შეწყობა — აი, ილიას აზრით, ჭეშმარიტი ლიტერატურის მთავარი დანიშნულება.

---

[19] იქვე, გვ. 66—67.

[20] В. Г. Белинский. Полн. собр. соч., т. VI, გვ. 308.

ავისა და კარგის ჩვენება, ი. ჭავჭავაძის თქმით, ერთნაირად საჭირო და სასარგებლოა უკეთესი მომავლის ინტერესებისათვის. ამიტომ სრულებითაც არ უნდა გვეშინოდეს და არ უნდა ვერიდებოდეთ იმის მხილებას, რაც ჩვენში ცუდია, რაც ხელს უშლის წინსვლას. „ოღონდ ხელოვნება არ გადასცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეცნიერება—ჭეშმარიტებასა, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარავებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხავია და ცუდი. დაე ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები, და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლექი თან ამოჰყვება, რა უყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენი ცხოვრების სასახელოდ“[21],—წერს ილია.

მაგრამ ი. ჭავჭავაძე ხედავდა, რომ ამ მხრივ ქართულ ლიტერატურაში გასული საუკუნის 60-იან წლებში ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე როდი იყო. მწერალთა საგრძნობი ნაწილი გაურბოდა ცხოვრების პირუთვნელ ასახვას, ერიდებოდა ბატონყმური სისტემის უმსგავსობათა კრიტიკას, შორს იდგა ეროვნული ინტერესებისაგან და ცრუ ოცნებათა სამყაროში „დანავარდობდა“.

ი. ჭავჭავაძე ქართველ მწერლობას მოუწოდებდა ბრძოლა გამოეცხადებინათ ცრუ რომანტიკული პათოსისათვის, უსარგებლო და უმიზნო „შტვენისათვის“ მოუწოდებდა არ აჰყოლოდნენ ზოგიერთებს, ვინც ჯიუტად მისდევდა ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, დროგადასული ხელოვნების პრინციპებს. „დაე... ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა, — ამბობს ილია, — ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალები და ბულბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს... დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“.., მთვარის ხვეწნასა, რომ ჩემს საყვარელს უთხარიო... დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეჭასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მომივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა...“[22]

როდესაც ი. ჭავჭავაძე ამბობს — დაე, ზოგიერთმა პოეტმა „ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა,.. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვსო“, გასაგებია, რომ უარყოფს თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომელსაც უპირისპირებს საზოგადო-

[21] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 70.

[22] იქვე, გვ. 68

ებრივი ცხოვრების სამსახურში ხელოვნების ჩადგომის ამოცანებს.

სწორედ ამ ამოცანების პროპაგანდას მიუძღვნა ი. ჭავჭავაძემ თავისი კრიტიკა 60—70-იან წლებში გაშლილი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის პერიოდში და ქართული მწერლობა გაათავისუფლა დეკადენტური რომანტიზმის ბურუსისაგან.

ესთეტიკური გრძნობის მნიშვნელობასა და თავისებურებებზე მსჯელობისას ი. ჭავჭავაძემ გამოთქვა მეტად საინტერესო მოსაზრება მშვენიერის შესახებ ცხოვრებასა და ხელოვნებაში, რაც მჭიდროდ დაუკავშირა რეალისტური ასახვის პრინციპებსა და ამოცანებს. მისი შეხედულებით, ის, რის ნახვაც ბუნებასა და ცხოვრებაში ზიზღსა და უსიამოვნებას გვგვრის, ხელოვნების ქმნილებებსა და ლიტერატურული ნაწარმოებებში, ოსტატურად განსახიერებული, ესთეტიკურ სიამოვნებას განგვაცდევინებს. მაგრამ, შენიშნავს ილია, ამით როდი ამოიწურება მისი გავლენის სიღრმე და ამით როდი მთავრდება ჩვენი განცდების არე: ხელოვნების ქმნილებებში განსახიერებულმა საგანმა, მოვლენამ, რომელმაც ესთეტიკური სიტკბოება განგვაცდევინა, შესაძლებელია ჩვენში გამოიწვიოს აღშფოთება და ზიზღი, ცხოვრების მსგავსი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის პათოსი, და ეს იმიტომ, რომ ხელოვნებისა და ლიტერატურის ქმნილებები ჩვენზე მოქმედებენ როგორც ასახული მოვლენების შინაარსით, ასევე ხელოვანის მიერ ამ შინაარსის ოსტატურად გადმოცემისათვის გამონახული ფორმებითაც. ეს უკანასკნელი ჩვენში ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს მაშინაც კი, როცა შინაარსი სრულიად საწინააღმდეგო განცდებს აღგვიძრავსო.

ესთეტიკური გრძნობა, ამბობს ი. ჭავჭავაძე, „უზენაესს სიტკბოებას ეძებს ყველგან, სიცილი იქნება, თუ ტირილი, ბოროტი იქნება, თუ კეთილი. ამ გრძნობისათვის ზარდამცემი ბოროტებაც ისეთივე მშვენიერებაა, როგორც გულწამტაცი კეთილი... სისხლის-მსმელი, კაცის-მკვლელი მაკბეტის ცოლი ისეთივე მშვენიერებაა ხელოვნების თვალით და ესტეტიურის გრძნობის შეხედულობით, როგორიც გულკეთილი, გულწრფელი და კეთილმომქმედი კორდელია. თუმცა ერთი გძულს და მეორე გიყვარს, მაგრამ აქ ძულებაც და სიყვარულიც ერთსა და იმავე საგანზეა მიმართული, ერთსა და იმავე ძარღვს ადამიანის გულისას სძრავს, ერთი — ბოროტის უარყოფის გზით და მეორე — სათნოების დამტკიცებითა“[23].

როგორც ვხედავთ, ხელოვნებისა და ლიტერატურის ქმნილებანი ესთეტიკურ გრძნობას იწვევენ არა მათ მიერ ასახულის უარყოფითი ან დადებითი ნიშნების მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენად სწორად და ღრმად წარმოგვიდგენენ და განგვაცდევინებენ ამ ნიშნებს.

---

[23] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული. ტ. III. 1953, გვ. 118 -119.

ისაშასადამე, შემოქმედის ოსტატობასა და მდიდარ ფანტაზიას ჩვენ აღვიქვამთ მის მიერ ასახულის შინაარსთან და ფორმასთან ერთად.

აქედან ი. ჭავჭავაძე იმ შეხედულებას ავითარებს, რომ მწერლის მხატვრული გამარჯვებისათვის მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ ცხოვრების რომელ მხარეზე, რომელ მოვლენაზე შეაჩერებს ჩვენს ყურადღებას—სასიამოვნოზე თუ საძწუხაროზე, არამედ იმას, ღალატობს თუ არა სინამდვილეს. მაგრამ ეს მაინც ერთი მხარეა. გარდა იმისა, რომ სინამდვილეს არ უნდა ღალატობდეს, მწერალს მოეთხოვება ისიც, რომ შესაფერისად განარჩევდეს ძირითადსა და შემთხვევით მოვლენებს, ჰქონდეს ზომიერების გრძნობა.

„განა ყველა სიცილი საგანია ხელოვნებისა! — წერს ილია. — სიცილიც არის და სიცილიცა... ბევრი რამ არის ქვეყანაზედ სასაცილო, მაგრამ ესტეტიკური გრძნობა ყველა სიცილს ვერ შეიწყნარებს... სიცილი თავის დღეში არ უნდა გარდიქმნას ლაზღანდარობად და ტირილი კიდევ — უგემურ კნავილად"[24].

ხელოვნებისა და ლიტერატურის სპეციფიკის შუქზე ი. ჭავჭავაძე გასაგებს ხდის მწერლის დანიშნულებასა და იმ დიდ პასუხისმგებლობასაც, რაც მას ხალხის წინაშე აკისრია.

„პოეზია, — ამბობს ილია, — საგრძნობელია და არა საცნობელი... პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცია"[25]. მაგრამ იგი არც იმას ივიწყებს, რომ ეს „მადლი" ბევრს ავალებს პოეტს: „პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივე რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის..."[26]

პოეტის ღირსების მთავარ განმსაზღვრელად ი. ჭავჭავაძეს ეროვნული კულტურის წინაშე დამსახურება მიაჩნია. პოეტისაგან იგი მოითხოვს, პირველ ყოვლისა, იყოს თავისი ხალხის, თავისი ერის ღირსეული შვილი; შეგნებული ჰქონდეს სამშობლო ქვეყნის ტკივილები და სიხარული, იყოს მისი გულის მესაიდუმლე და სულიერ ღირსებათა მემატიანე. ილიას თქმით, ის პოეტი, რომელშიც არ იგრძნობა ეროვნული ღირსებებით შემკობილი შემოქმედი, ინტერესსა და სიყვარულს ვერ იმსახურებს არა მარტო თავის ხალხში, არამედ საერთოდ. შემოქმედების ღრმა ეროვნული ხასიათი სრულებით არ გამორიცხავს ზოგადსაკაცობრიო იდეალებს: რაც უფრო ეროვნულია პოეტი, მით უფრო მეტისა და საინტერესო სიტყვის მთქმელია ყველასათვისო.

„პოეტის სიტყვა, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — იგი ხელთუქმნელი საგანძურია, საცა ერი ჰპოვებს ხოლმე თვისს უკეთესს ნააზრს და ნაგრძნობს, თვისს უკეთესს სულთასწრაფვას, თვისს იმედს და სასოებას,

[24] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული. ტ. III. 1953, გვ. 120.
[25] იქვე, გვ. 90—91.
[26] იქვე, გვ. 250.

თვისს თავმოსაწონებელს გულთა ძვრას, თვისს ჭირსა და ლხინსა, თვისის ენის და მეტყველების სიკეკლუცე-მშვენიერებას და ერთობ თვისს სულიერს საუნჯეს, იმ საუნჯეს, როლითაც ერი ერობს, ადამიანი ადამიანობს"[27]

აი, როგორი პოეტი და როგორი შემოქმედი ეხატება ი. ჭავჭავაძეს იდეალურად. თვითონაც თავისი მოღვაწეობის მთელ მანძილზე ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა.

ქართველი ხალხის გმირული ისტორიული წარსულისა და მისი აწმყოს რეალისტური ასახვა, ბრძოლა მისი უკეთესი მომავლისათვის— ასეთია არსი იმ მოთხოვნებისა, რომლებსაც ი. ჭავჭავაძე ქართული მწერლობის წინაშე აყენებდა.

შრომისმოყვარე და დოვლათის შემქმნელი ხალხი! — აი, ვისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით იყო დაინტერესებული დიდი პატრიოტი და ნიჭიერი შემოქმედი. და როცა ხედავდა, რომ ხალხის როლი შესაფერისად არ იყო ნაჩვენები ისტორიულ ქრონიკებსა თუ მხატვრულ ნაწარმოებებში, ი. ჭავჭავაძე აღშფოთებას ვეღარ მალავდა ხოლმე. არაერთხელ გამოუთქვამს მას თავისი უკმაყოფილება „ქართლის ცხოვრების" გამო, არაერთხელ უსაყვედურებია მეისტორიისათვის, რომელიც ხალხის დამსახურებას მეფეებსა და ცალკეულ გმირებს მიაწერდა.

პოემა „აჩრდილზე" მუშაობისას ი. ჭავჭავაძე დ. ერისთავს შესჩიოდა: „ამ „აჩრდილმა" ტყავი გამაძრო. ისტორიულს ნაწილზედ... შევდეგ და ერთი ნაბიჯი წინ ვეღარ წავდგი. არ ვიცი რა ვქნა! ვამბობ ამ „აჩრდილს" თავი დავანებო-მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს, მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს".

ასეთივე შეხედულებას გამოთქვამს ი. ჭავჭავაძე წერილში „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ". „ჩვენის შიდა ცხოვრების ისტორია, — ამბობს იგი, — ჯერ ფარდა-აუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია"[28].

ი. ჭავჭავაძე თავის ესთეტიკაში საგრძნობ ადგილს უთმობს ერის ისტორიული წარსულის გამოხატვისა და გაშუქების მნიშვნელობაზე მსჯელობას. მაგრამ, ცხადია, იგი სულ სხვა ამოცანებს უსახავს ისტორიულ თემატიკას მწერლობაში, ვინემ მას რომანტიკოსები უსახავდნენ.

---

[27] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. VII, 1927, გვ. 98—99.

[28] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, 1927, გვ. 201.

ისტორიული მოვლენების მომარჯვებას ილია უკავშირებს არა წარსულის იდეალიზაციას, არამედ აწმყო ვითარების შესწავლის ინტერესებს. „ისტორია,—მისი თქმით, — სხვა რაა, თუ არ გამორკვევა, თუ არ ახსნა აწმყოსი წარსულისაგან"[29].

ი. ჭავჭავაძე ავითარებს იმ აზრს, რომ თანადროული ცხოვრების ღრმად შესწავლის ინტერესები მოითხოვენ ისტორიის საფუძვლიან გაგებას, რომ ისტორიული მოვლენები უნდა მოვიშველიოთ აწმყო ვითარების ახასხნელად და მომავალი ცხოვრების გასათვალისწინებლად. ამიტომაც ილია მკაცრი ტონით შენიშნავს: „ერის დაცემა... მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს"[30].

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს იმაზეც, თუ რა მიმართულებით უნდა გამოიყენოს მწერლობამ ისტორიული სინამდვილე. მისი შეხედულებით, „დიდ-ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის"[31]. ამგვარად, მწერლობამ უნდა ისარგებლოს სწორედ იმ ისტორიული ფაქტებით, რომლებიც ადამიანებს მოქმედებისათვის შთააგონებენ და გმირულ სულს შთაბერავენ. ასეთ მიზანს ისახავდა ი. ჭავჭავაძე თვითონაც, როცა პოემა „დიმიტრი თავდადებულს" წერდა.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ი. ჭავჭავაძისათვის როგორც მხატვრისათვის სრულიად არაა დამახასიათებელი ისტორიული თემატიკით გატაცება. მას ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ მწერალს, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვება თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვა, თანამედროვე ადამიანთა სულიერი სამყაროსა და იდეალების ჩვენება.

როგორ აფასებდა ი. ჭავჭავაძე იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას და რა ამოცანებს აყენებდა მწერლობის წინაშე მისი ასახვისა და გაშუქებისათვის?

სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, ჩვენ კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ი. ჭავჭავაძეს თავის ესთეტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბება უხდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში, „როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი"[32].

ი. ჭავჭავაძე ჩვენი ცხოვრების სწორედ ამ საინტერესო პერიოდში

---

[29] იქვე, გვ.26.

[30] იქვე, გვ. 207.

[31] იქვე, გვ. 208.

[32] ი. ბ. სტალინი. თხზ., ტ. 2, გვ. 218.

ქმნიდა თავის მხატვრულ ნაწარმოებებს და იბრძოდა მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დამკვიდრებისათვის. ამიტომ გასაგებია, რომ ყველაზე მთავარ საკითხად მას ეროვნული საკითხი მიაჩნდა; მისი სიტყვა და საქმე განპირობებული იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ამოცანებით. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას უთმობდა სამშობლო ქვეყნის წარსულისა და აწმყო ვითარების მართებულად ასახვას ლიტერატურაში.

საქართველოს ისტორიული წარსული ი. ჭავჭავაძეს იტაცებდა ხალხის მტკიცე ნებისყოფით, გმირული სულითა და მაღალი პატრიოტული გრძნობით, რამაც უზრუნველყო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნება მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე. მაგრამ ილია არც იმას მალავდა, რომ ფეოდალურმა შუღლმა, განხეთქილებამ და ქვეყნის სამთავროებად დანაწილებამ შესაძლებლობა მისცა მტერს დიდი ზიანი მოეყენებინა ქართველი ხალხისათვის და, ბოლოს, ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებაც შეუძლებელი გაეხადა.

„ჩვენი უბედურება, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამ სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. ამ დარღვევამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა... ბევრმა სახელოვანმა მეფემ დალია ამაზედ თავისი სიცოცხლე, ბევრმა თავგამოდებულმა მამულისშვილმა დაანთხია ამისათვის სისხლი, მაგრამ გარედამ მტერმა და შიგნით უკეთურთა ბზარვამ... იმოდენა ჯაფა, სისხლის ღვრა, თავგანწირვა, — ამაოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძლურებულს ქვეყანასა“[33].

ი. ჭავჭავაძეს სწორად ჰქონდა გათვალისწინებული საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობაც. „ამ სახსოვარი დღიდან, — წერს ილია, — საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა... დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწუნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრის ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილზე... დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის უშიშარის ცხოვრებისა სისხლდაუთხეველ...“[34].

მაგრამ ი. ჭავჭავაძეს ღრმად ჰქონდა შეგნებული ის საშიშროებაც, რაც ჩვენს ქვეყანას მოელოდა კოლონიურ-ნაციონალური ჩაგვრის პირობებში. ამიტომ მთელი მისი ინტერესები მიმართული იყო იქითკენ, რომ ქართველ ხალხს შეენარჩუნებინა და კიდევ უფრო აემაღლებინა თავისი ეროვხული მეობა, ამასთან გაეძლიერებინა ბრძოლა ეროვნული

[33] ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. VI, 1927, გვ. 93.

[34] ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. V, 1927, გვ. 234—235.

თავისუფლებისათვის, რასაც იგი რუს ხალხთან მეგობრობისა და ცარიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის იდეას უკავშირებდა.

თერგდალეულთა მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ დამსახურებად ი. ჭავჭავაძეს სწორედ ის მიაჩნდა, რომ მან „ჩვენ საერთო, საყოველთაო სურვილი გაგვიახლა, საერთო გულის-ტკივილი ჩაგვისახა, ჩვენის თავის იმედი მოგვცა და... გამოგვაფხიზლა“[35]. სამოღვაწეო ასპარეზზე სამოციანელთა გამოსვლის შემდეგ, შენიშნავს ი. ჭავჭავაძე, „თანდათან ძლიერდება საკუთარის წარსულისა და აწმყოს შესწავლა, რომლის მნიშვნელობას ვერავინ ვერ უარჰყოფს, რადგანაც ის მწერლობა უქმი და მკვდრად შობილია, რომელსაც საძირკვლად საკუთარის ვითარების შესწავლა არ დაუდვია“[36].

როდესაც ი. ჭავჭავაძე მწერლობის წინაშე „საკუთარის ვითარების“ შესწავლის ამოცანას აყენებდა, მას, ცხადია, საქართველოს ეროვნულ მდგომარეობასთან ერთად მხედველობაში ჰქონია მისი სოციალური ვითარებაც.

ი. ჭავჭავაძეს მოუგვარებლად და შემდგომი ბრძოლის საგნად მიაჩნდა არა მარტო ეროვნული, არამედ სოციალური საკითხიც. მისი თქმით, „მეცხრამეტე საუკუნემ სოციალური წყობილების იდეალად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასების წარსამატებლად“[37].

მაგრამ ი. ჭავჭავაძე უკმაყოფილო იყო იმით, რომ ამ საუკუნემ შეძლო მხოლოდ მოსაწონი იდეალის წამოყენება, თუმცა მისი გადაწყვეტა კი ვერ მოახერხა. ეს საკითხი, ილიას შეხედულებით, მეოცე საუკუნემ უნდა გადაწყვიტოს. „დღეს,—ამბობს იგი, — ღარიბსა და მდიდარს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალ საუკუნეს“[38].

ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია ი. ჭავჭავაძის შეხედულება იმის შესახებ, თუ რა ასპექტით უნდა შეისწავლოს და ასახოს ლიტერატურამ ქვეყნის წარსული და აწმყო ვითარება. ეს საკითხი კი მის ესთეტიკურ შეხედულებებში ერთ-ერთი მთავარი საკითხია.

ი. ჭავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ლიტერატურას ასაზრდოებს საზოგადოება“[39], რომ შესაფერი მკითხველის გარეშე აზრი ეკარგება

---

[35] ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. VI, 1927, გვ. 95.

[36] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 311—312.

[37] ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. VI, 1927, გვ. 7.

[38] იქვე, გვ. 8.

[39] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 84.

მწერლის მოღვაწეობას. მაგრამ მკითხველთა წრის გაფართოება და მისი მომზადება შემთხვევით არ ხდება. ამისათვის საჭიროა ხალხი იმდენად გათვითცნობიერდეს, რომ, „როგორც პურის საჭიროებას ჰგრძნობს ხორცისათვის, ისეც ლიტერატურა მიიჩნიოს სულისა და გულისათვის"[40].

მაგრამ როდის მიიჩნევს ხალხი ლიტერატურას თავის სულიერ საზრდოდ? ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ლიტერატურაში ხალხი მაშინ დაინახავს თავის სულიერ საზრდოს, როცა იგი ხალხური იქნება; ხოლო ხალხური მაშინ იქნება, როცა მოახერხებს ამ ხალხის წარსული და აწმყო ცხოვრების ღრმად ასახვას, მის განსაკუთრებულ და დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ჩვენებას. ამიტომ ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილება არა მარტო ხალხურია, არამედ ეროვნულიცო.

ლიტერატურის ხალხურობისა და ეროვნულობის საკითხებზე მსჯელობისას ი. ჭავჭავაძე ძირითადად ბ. ბელინსკის შეხედულებებს ემყარებოდა. ხოლო ბელინსკი, როგორც ცნობილია, ამ საკითხებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. «Что такое, народность в литературе?» — სვამდა კითხვას ბელინსკი და მოხდენილად განმარტავდა მას: «Отражение индивидуальности, характерности народа, выражение духа внутренней и внешней его жизни, со всеми ее типическими оттенками, красками и родимыми пятнами...[41] ამასთან ბელინსკი შენიშნავდა: «Но чтобы литература и для своего народа была выражением его сознания, его интеллектуальной жизни, — необходимо, чтобы она была в тесной связи с его историею и могла служить объяснением ей, необходимо, чтобы она развилась органически и имела свою историю»[42].

ბ. ბელინსკი ამასთანავე ერთმანეთისაგან არ თიშავდა ხელოვანის ხალხურობასა და ეროვნულობას. მისი თქმით, «Истинный художник народен и национален без усилия; он чувствует национальность прежде всего в самом себе и потому невольно налагает ее печать на свои произведения»[43].

ცხადია, როგორც ბ. ბელინსკის, ასევე ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა, რომ მხატვრული ნაწარმოების ხალხურობის საკითხს წყვეტს არა მარტო შინაარსი, არამედ ფორმაც; რომ ლიტერატურა უნდა გაძღსახავდეს და ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს და ამასთან ერთად გასაგები და მისაწვდომი იყოს ხალხისათვის.

---

[40] იქვე, გვ. 84—85.

[41] В. Г. Белинский. Полн. собр. соч., изд. АН СССР, т. II, გვ. 23.

[42] В. Г. Белинский. Собр. соч. в трех томах, т. II, 1948, გვ. 110.

[43] В. Г. Белинский. Полн. собр. соч., под ред. С. А. Венгерова, т. VI, გვ. 305.

ამიტომ იყო, რომ ი. ჭავჭავაძის როგორც მწერლისა და მოაზროვნის წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დადგა ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის საკითხი. ანტონ კათალიკოსის გრამატიკული კატეგორიების გაბატონების გამო ქართული ენის განვითარების შეფერხების აშკარა საფრთხე ილიამ თავიდანვე ჯეროვნად გაითვალისწინა. თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში იგი ყოველთვის დიდ ადგილს უთმობდა ქართული ენის საკითხებს, ლიტერატურისა და ენის ურთიერთობის პრობლემას.

ქართული ენის განვითარების ისტორიაში ი. ჭავჭავაძეს, პირველ ყოვლისა, სურდა ამოეკითხა თავისი ხალხის ისტორია და მისი გონებრივი ზრდის ევოლუცია. ილიას თქმით, „ენა... ყველაზედ სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის", რადგან „ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა"[44]

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, „ერთობა ენისა მოასწავებს ერთობას კულტურისას"[45]. უფრო მეტიც, ენა მას მიაჩნდა ერის მთავარ განმსაზღვრელ ნიშნად. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ უთმობდა იგი ესოდენ დიდ ყურადღებას ქართული სალიტერატურო ენის საკითხებს ქართველი ხალხის კონსოლიდაციისა და თანამედროვე ერად ჩამოყალიბების ეპოქაში.

ი. ჭავჭავაძეს კარგად ესმოდა, რომ ენა „საზოგადო საკუთრებაა"[46] და ამიტომ „უნიჭო და ამასთან უცოდინარი მწერალი არა მარტო ენას ახდენს, ამასთან გონებას, გემოვნებას, გულს და სულს მკითხველისას".[47] სამაგიეროდ „ნიჭიერი მწერალიც იმისთვის არის სასარგებლო ენისათვის, რომ თავის თხზულებაში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს ხოლმე"[48].

ი. ჭავჭავაძის თქმით, „ხალხია ენის კანონის დამდები"[49] და არა მწერალი ან რაიმე „თეორეტიკა", მაგრამ ენის შემდგომი განვითარებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ დამოკიდებულებაში იქნება სამწერლობო ენა სასაუბრო ენასთან.

ქართული ენის სიწმინდის დაცვისა და განვითარების საკითხს ი. ჭავჭავაძე მტკიცედ უკავშირებდა ეროვნული თვითმყოფობისა და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას. ამიტომ იყო, რომ მას, ერთი მხრივ, თავისი მხატვრული შემოქმედებით სინათლეზე გამოჰქონდა ქართული ენის სიმდიდრე და ღირსება, ხოლო, მეორე მხრივ, მკაცრ ბრძო-

---

[44] ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. V, 1927, გვ. 19.
[45] იქვე.
[46] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 27.
[47] იქვე, გვ. 38.
[48] იქვე, გვ. 43.
[49] იქვე.

ლას უცხადებდა ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკასა და იმ ადგილობრივ ლაქიებს, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ხელს უწყობდნენ ამ პოლიტიკის განხორციელებას, რითაც საფრთხეს უქმნიდნენ მშობლიური ენის შენარჩუნებას. ი. ჭავჭავაძე ამ მხრივაც მაღალი წოდების წარმომადგენლებს, მეტადრე ბობოლა ჩინოვნიკებს სდებდა ბრალს.

ამასთან დაკავშირებით თავის ერთ წერილში ი. ჭავჭავაძე გულნატკენი შენიშნავდა: „ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს... ჩვენი ეგრეთწოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხვინოდ, თაკილობს თავის დედა-ენით ლაპარაკსა. ნათქვამია, თევზი თავიდამ აყროლდებაო, სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენც, ჩვენს ეგრეთწოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დავაკვირდებით“[50].

მაგრამ ჩვენთვის ამჟამად უფრო მეტად საინტერესო ის არის, რომ სამწერლობო ენის საკითხს ი. ჭავჭავაძე სისხლხორცეულად უკავშირებდა რეალისტური ასახვის ამოცანებსა და პრინციპებს.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, მწერალი, რომელიც ხალხის მეტყველებას კარგად არ არის გაცნობილი და ვერც მდიდარ ხალხურ შემოქმედებას ფლობს, ღრმად ვერ ჩასწვდება ხალხის გულისთქმას, მის ფიქრსა და ნატვრას.

ჩვენამდე მოღწეულია ბევრი უტყუარი მასალა, რომელიც აშკარას ხდის, თუ რაოდენი ყურადღებით ეცნობოდა თვითონ ი. ჭავჭავაძე გლეხთა ცხოვრებას და როგორი ინტერესით სწავლობდა ხალხურ შემოქმედებას. სხვებსაც, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა მწერლებს, ილია ურჩევდა უშუალოდ გასცნობოდნენ ხალხის ჭირ-ვარამს, მის მდიდარ ფანტაზიას, სხარტ და ბრძნულ გამოთქმებს.

ხალხის ცხოვრების, ხალხის ზნე-ჩვეულებებისა და მდიდარი ხალხური შემოქმედების გაცნობა და შესწავლა, ი. ჭავჭავაძის აზრით, დიდად ეხმარება მწერალს შექმნას ჭეშმარიტად რეალისტური ნაწარმოები. ამ მიმართულებით ი. ჭავჭავაძემ თვითონ მისცა მაგალითი ჩვენს მწერლობას. მისი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებები ნიმუშია იმისა, თუ რანაირი ოსტატობით შეიძლება გამოიყენოს მწერალმა ხალხური სიბრძნე, ხალხის ნიჭისა და ფანტაზიის პირმშო — ხალხური ზეპირსიტყვიერება.

ი. ჭავჭავაძე მაგალითს იძლეოდა როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შემგროვებელიც. მას ჩაუწერია და გამოუქვეყნებია მრავალი ხალხური ლექსი, თქმულება, ანდაზა და სხვ.

ი. ჭავჭავაძეს ხალხური ზეპირსიტყვიერება იტაცებდა არა მარტო მოხდენილი თქმებით, ენის სისადავითა და ბუნებრივი სახეებით, არამედ მდიდარი შინაარსითაც. მისი დახმარებით იგი ეცნობოდა და ითვა-

---

[50] ი. ჭავჭავაძე. თხზ., ტ. VI, 1927, გვ. 45.

ლისწინებდა იმას, რის შესახებაც ხშირად დუმდნენ მატიანენი; მასში იგი კითხულობდა ხალხის თავგადასავალს, მის წარსულსა და აწმყოს. ერთი სიტყვით, მისი საშუალებით ილიას უადვილდებოდა დაენახა ხალხი როგორც ისტორიის შემოქმედი. როგორც დოვლათის შემქმნელი ძალა.

ი. ჭავჭავაძე ხალხურ ზეპირსიტყვიერებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მარჯვედ იყენებდა ხალხის გმირული სულის გასაცნობად და იმ სოციალური უკუღმართობის გასათვალისწინებლად, რომელსაც ხალხის ჩაგვრის ანგარიშზე უარსებია ისტორიულად.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ხალხურ შემოქმედებას როგორც ისტორიულ წყაროს ი. ჭავჭავაძე სიფრთხილით უდგებოდა. იგი მოითხოვდა, რომ ხალხის ცხოვრება შესწავლილი ყოფილიყო ყოველმხრივ და ჰარმონიულად, რათა შეცდომისათვის ნაკლები საფუძველი დარჩენილიყო. „პოეზია, და მეტადრე სახალხო პოეზია, — ამბობს ილია, — უფრო ფანტაზიის ნაყოფია და ფანტაზია კიდევ მაგრე-რიგად არ ეწყობა და არ ემორჩილება ზნეობით კანონის მოთხოვნილებას. ხშირად მდაბიო ხალხი, გატაცებული ფანტაზიის აღმაფრენით, დამღერის და დაჰხარის ისეთს საგანს და მოვლენას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება ცხოვრების სიკეთესა და ცრუმორწმუნეობაზედ არის აშენებული. რასაკვირველია, მარტო პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საჭიროებაზედ და იმის მოთხოვნილებაზედ შეცდომა იქნება... თუ ამ... შეცდომის თავიდამ აცილება გვსურს, პოეტურ შეხედულობის გარდა ხალხის სხვა შეხედულობას და მსჯელობასაც ყური უნდა ვათხოვოთ... ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ; იმის ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ“[51].

ხალხური შემოქმედებისადმი ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულებას რომ ახასიათებს, პროფ. ქს. სიხარულიძე სამართლიანად შენიშნავს: „გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ხალხური შემოქმედების შეკრება-შესწავლისა და გავრცელების ინიციატორთა შორის ერთი პირველთაგანი ილია ჭავჭავაძე იყო. განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანი მოღვაწე ხალხურ შემოქმედებას თვლიდა როგორც ქართველი ხალხის აღორძინების, ცხოვრების წინსვლისათვის ბრძოლის, ახალი აზრის გამოჭედვისა და განვითარების ერთ უმთავრეს იარაღად. მისი მდიდარი მხატვრული შემოქმედება, ღრმად გააზრებული წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ფელეტონები და სხვადასხვა გარემოებათა გამო წარმოთქმული სიტყვები ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ღრმად ჩასწვდა მწერალი ხალხურ შემოქმედებას. პოეტი მაღალ შეფასე-

[51] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზ., ტ. V, 1927, გვ. 249—250.

ბას აძლევდა მშრომელი ხალხის შემოქმედებითს უნარს: იგი აფასებდა ხალხურ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრულ მხარეს და მოხდენილად იყენებდა ცხოვრების განახლებისათვის ბრძოლის, მოძრაობისა და შრომის ქადაგების საშუალებად"[52].

ზემოთ თავის ადგილას აღნიშნული გვაქვს, თუ რა მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა ი. ჭავჭავაძემ კლასიციზმის, სანტიმენტალიზმისა და რეაქციული რომანტიზმის რეციდივებს 50-იანი წლების დასასრულის ქართულ მწერლობაში.

მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპთა ერთგული და ნიჭიერი დამცველი ი. ჭავჭავაძე ყოველთვის დამაჯერებლად განმარტავდა, თუ რა ზიანი მოჰქონდა ჩვენი ლიტერატურისათვის ყალბი პათეტიკური ტონით წერას, ნაძალადევი გრძნობისა და არაბუნებრივი სიტუაციების შემოტანას, წარსულის აჩრდილებით გატაცებასა და თანამედროვე ცხოვრებისაგან მოწყვეტას.

ი. ჭავჭავაძემ ცხადყო ისიც, რომ ქართულ ლიტერატურას განვითარების საკუთარი გზა ჰქონდა და არაფერი დაუკარგავს იმით, თუ არ გაუვლია კლასიციზმისა და სანტიმენტალიზმის ბატონობის ეტაპები.

ამ საკითხებზე მსჯელობისას ი. ჭავჭავაძემ თავისი მოსაზრება გამოთქვა ლიტერატურული ჟანრების სპეციფიკის შესახებაც, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს მისი ესთეტიკური კონცეფციის დასახასიათებლად.

ცხადია, ი. ჭავჭავაძე შორსაა იმ მცდარი შეხედულებისაგან, რომ თითქოს საჭირო იყოს ჟანრების დაყოფა დაბალ და მაღალ ჟანრებად,ანდა ჟანრებს შორის კლასიცისტური ზღვარის გავლება. ილიას გათვალისწინებული აქვს ყველა ჟანრის საჭიროება და განვითარების აუცილებლობა. მისი შეხედულებით, თითოეულ ჟანრს თავისი განსაკუთრებული სპეციფიკური ნიშნები და გამოსახვის გარკვეული შესაძლებლობა მოეპოვება. ამიტომ ლიტერატურის განვითარების ინტერესები მოითხოვენ ერთგვარი ჰარმონია არსებობდეს ჟანრთა განვითარებაში. თუ რომელიმე ჟანრი ჩამორჩა, ეს იმას ნიშნავს, რომ ლიტერატურამ სინამდვილის ასახვისათვის შესაძლებლობის გარკვეული ნაწილი დაკარგა, მკითხველმა საზოგადოებამ ცალმხრივი და უფრო ღარიბი სულიერი საზრდო მიიღო.

მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ჟანრთა განვითარების საკითხს ი. ჭავჭავაძე ისტორიული თვალსაზრისით უდგება. მისი თქმით, ლიტერატურის წინაშე მდგომი აქტუალური პრობლემები ხშირად იწვევენ ამა თუ იმ ჟანრის წინ წამოწევის აუცილებლობას. ილია აღნიშნავს იმ მიზეზებს, რომლებმაც განსაზღვრა ლირიკული ჟანრის წინა რიგზე წამოწევა ქა-

[52] ქს. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე. ილია ჭავჭავაძე და ხალხური შემოქმედება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 55, გვ. 329—330.

რთულ ლიტერატურაში მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან თითქმის მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებამდე.

„ძველ დროთაგან დაწყებული აქამომდე, — წერდა ი. ჭავჭავაძე 1862 წელს, — ჩვენ ლექსთ-თხზულებითს პოეზიაში შევნიშნეთ განვითარება მხოლოდ ლირიკულ პოეზიისა, რომელიც არის ერთი გვარი პოეზიისა და რომელსაც მუსიკის და პოეზიის შუა-ადგილი უჭირავს, ამისათვისაც ამგვარი ლექსი სულ მუდამ თითქმის უფრო სამღერალია; ასე გგონია — მთელი არ არისო, ასე გგონია — რაღაც აკლიაო, როცა არ დაიმღერება; მუსიკა აქ თითქოს ჰშველისო პოეზიასა, პოეზია—მუსიკასა. საგანი ამგვარ პოეზიისა თითონ პოეტის სულის მდგომარეობა სხვადასხვა შემთხვევებში და გარემოებაში; წუთის გრძნობის, წუთის აღბეჭდილების გამოთქმაა, ერთის სიტყვით თითონ პოეტი აქ მხოლოდ თავის გრძნობას ხატავს, თავის გულის მოძრაობას და აღბეჭდილებას. გარეგანი ბუნება მისთვის არ არსებობს, და თუ არსებობს, იმის ხელში ის წმინდა სანთელსავით ლბილია; გაათბობს თუ არა თავის გულის ცეცხლითა, იმას გამოსახავს ზედ, რაც თითონ უგრძვნია, და არა იმას, რაც თვით ბუნებაშია, რ ო გ ო რ ც ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი თ ვ ი ს ე ბ ა მ ი ს ი“[53] (დაყოფა ჩვენია — დ. გ.).

ი. ჭავჭავაძე უკმაყოფილოა იმით, რომ ქართული ლიტერატურის სარბიელი თითქმის მხოლოდ ლირიკულ პოეზიას დაუჭერია და ნიჭიერი თუ უნიჭო — ყველა ლექსსა წერს. ამ უკმაყოფილების მიზეზი კი, როგორც ვხედავთ, ისაა, რომ ლირიკული პოეზია უფრო მეტად თვით პოეტის შინაგან სამყაროს გვაცნობს და არა იმას, რაც ობიექტურ სინამდვილეში, ბუნებაშია, „როგორც აუცილებელი თვისება მისი“.

ი. ჭავჭავაძე იმ შეხედულებისაა, რომ რეალიზმის, კერძოდ, კრიტიკული რეალიზმის ამოცანები უფრო მეტად ეპიკური და დრამატული ჟანრების განვითარებასა და წინ წამოწევას მოითხოვენ.

„ლექსთ-თხზულებითს პოეზიაში“ ი. ჭავჭავაძე უპირატესობას პოემას ანიჭებს და არა ლირიკას. ამიტომაა, რომ გულნატკენი შენიშნავს: „ჩვენ მოლექსეთა შორის მარტო რუსთაველის გენიამ შეიძლო შექმნა ეპოპეისა, ასე რომ აქომამდე მის მეტი თითქმის არავინა ჩანს“[54].

აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ რა დიდად აფასებდა ი. ჭავჭავაძე პროზაულ ჟანრს. პროზა მას მიაჩნდა ლიტერატურის წამყვან ჟანრად, რომელიც ეპოქალური ტილოების შექმნის მეტ შესაძლებლობას აძლევს მწერალს.

კრიტიკული რეალიზმის ინტერესებიდან გამომდინარე ი. ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დრამატურგიას. ამასთან დრამატული ნა-

[53] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 458—459.

[54] იქვე, გვ. 459.

წარმეობის შექმნა, მისი შეხედულებით, უფრო მეტ ნიჭსა და ოსტატობას მოითხოვს, ვინემ ყველა სხვა ჟანრის თხზულებისა.

„... დრამის შექმნა, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — დიდად ძნელი რამ არის, იმიტომ რომ დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა, სულისა და გულის დიდს ძვრაზეა ასაგებელი და ასაშენებელი. მეტისმეტი მჭრელი, მეტის-მეტი მხილავი ნიჭი უნდა, მეტის-მეტი ნათელი გონება, რომ კაცი მისწვდეს, შუქი რომ მოჰფინოს იმ საოცარს, იმ უცნაურს საიდუმლოებას, რომელსაც ადამიანის სულისა და გულის ძვრა ჰქვიან, და რომელიც იმოდენად უფრო დიდ საიდუმლოებად გვევლინება, რამოდენადაც უფრო ახლო მიუვალთ. ამიტომაც დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელია"...[55]

როგორც ვხედავთ, ჟანრთა შეფასების საკითხშიც ი. ჭავჭავაძე ავითარებს იმ შეხედულებებს, რომლებიც თავის დროზე ბ. ბელინსკის მიერ იყო ჩამოყალიბებული. წერილში «Разделение поэзии на роды и виды» ბელინსკი წერდა: «Эпическая поэзия есть по преимуществу поэзия объективная, внешняя, как в отношении к самой себе, так и к поэту и его читателю. В эпической поэзии выражается созерцание мира и жизни, как сущих п о с е б е и пребывающих в совершенном равнодушии к самим себе и созерцающему их поэту или его читателю.

Лирическая поэзия есть, напротив, по преимуществу поэзия с у б ъ е к т и в н а я, внутренняя, выражение самого поэта... Эпическую поэзию можно сравнить с образовательными искусствами — архитектурою, ваянием и живописью; лиричекую поэзию можно сравнить только с музыкою. Есть даже такие лирические произведения, в которых почти уничтожаются границы, разделяющие поэзию от музыки...

Драматическая поэзия есть высшая ступень развития поэзии и венец искусства...»[56].

ცალკეულ ჟანრთა წინ წამოწევის საკითხს რომ ეხებოდა და მის შესაფერ მიზეზებს არკვევდა, ბ. ბელინსკი შენიშნავდა: «Роман и повесть стали теперь во главе всех других родов поэзии... Причины этого — в самой сущности романа и повести, как рода поэзии. В них лучше, удобнее, нежели в каком-нибудь другом роде поэзии, вымысел сливается с действительностью...»[57]

როდესაც ბ. ბელინსკი და ი. ჭავჭავაძე ცალკეულ ჟანრებსა და ხე-

---

[55] იქვე,გვ. 186.

[56] В. Г. Б е л и н с к и й. Собр. соч. в трех томах, т. II, 1948, с. 8 и 56.

[57] იქვე, გ. 802.

ლოვნების დარგებს შორის პარალელს ავლებენ, ისინი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ამ უკანასკნელთა ღირსებების შესახებაც ლაპარაკობენ. კერძოდ, აღნიშნავენ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც, მათი შეხედულებით, თითოეულ მათგანს მოეპოვება სინამდვილის მხატვრული ასახვისათვის.

ი. ჭავჭავაძეს არ მოუცია ხელოვნების ყოველი დარგის საგანგებო დახასიათება ამ თვალსაზრისით, მაგრამ მაინც ბევრი საინტერესო შეხედულება აქვს გამოთქმული მუსიკისა და თეატრის შესახებ.

ლირიკული პოეზია მუსიკას რომ შეადარა, ი. ჭავჭავაძემ ამით თავისი აზრი გამოთქვა მუსიკის შესახებაც. მაგრამ შეცდომას დავუშვებდით, თუ ამ შედარებას მექანიკურად გავიგებდით.

ი. ჭავჭავაძეს მუსიკა ადამიანის ცხოვრების განუშორებულ თანამგზავრად მიაჩნია. მუსიკით დატკბობის ნიჭი, ილიას აზრით, ადამიანთა საყოველთაო ნიჭია. მუსიკისადმი დიდი ინტერესი და სიყვარული სრულიად გამართლებულია, ვინაიდან მას აქვს განსაკუთრებული ზემოქმედების უნარი: იმორჩილებს როგორც მხიარულ, ასევე მწუხარე გულს.

ი. ჭავჭავაძე იზიარებს მუსიკის შესახებ ლესინგის „ლაოკოონში“ გამოთქმულ შეხედულებას, რომ „მუსიკა არის უტყვი პოეზია და პოეზია — მეტყველი მუსიკაო“. რაც შეეხება, კერძოდ, სიმღერას, რომელიც უფრო ახლოსაა უბრალო ხალხის სულიერ მოთხოვნილებასთან, ილიას თქმით, „სხვა არა არის-რა, გარდა ბედნიერად შექსოვილის პოეზიისა და მუსიკისა“.[58]

როგორც პოეზია, ასევე მუსიკა, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, თავისი ფორმით ეროვნულია: ყოველი ხალხი თავის მწუხარებასა და სიხარულს განსაკუთრებული და განსხვავებული მუსიკალური ბგერით გამოთქვამს, გამოთქმის სხვადასხვა ხერხებს მიმართავს. ილია ახასიათებს, კერძოდ, ქართულ სიმღერას და ასაბუთებს მის ღრმა ორიგინალურობას, მის თავისებურებას აზიურ და ევროპულ სიმღერებთან შედარებით. „იგი უტყვი პოეზია, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — რომელსაც ლესინგი მუსიკას ეძახის, იგივე ენაა, მხოლოდ ხორცთ-შეუსხმელი, სიტყვით არ-განსაზღვრული, სიტყვით არ-გამორკვეული, — იგი მარტო ხმაა, კვნესაა, ხარებაა, იგი ძახილია აღფრთოვანებულის სულისა. ეს კვნესა, ეს ძახილი ქართველისა. სულ სხვაა, სხვა ერისა — სულ სხვა, როგორც სხვადასხვაა ენამეტყველობა“[59].

ამიტომ გასაკვირი არაა, თუ ერთი ერის წარმომადგენელი ისე ვერ გაიგებს და ვერ მოიწონებს მეორე ერის მუსიკას, როგორც საკუთარს. ამის მიზეზი „მარტო გაუგებრობაა, არ-ცოდნაა, და არა გრძნობა-მოკლებულობა, გრძნობა-დახშულობა. სიმღერის, პოეზიის სიამოვნების

---

[58] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 145.
[59] იქვე, გვ. 147.

ნიჭი საყოველთაო კუთვნილებაა ადამიანისა. არ არის ქვეყანაზედ ადამიანი ამ ნიჭს მოკლებული, ყრუისა და მუნჯის მეტი"[60]...—დასძენს ილია.

მუსიკის მთავარ თვისებას, ი. ჭავჭავაძის აზრით, უშუალოდ გრძნობაზე მოქმედება შეადგენს, რაც განსაზღვრას მის ღირსებასაც და შეზღუდულობასაც. ამიტომ იყო, რომ ილია მოითხოვდა თეატრს ესარგებლა მუსიკით. მუსიკისა და სცენური წარმოდგენის შეხმატკბილება, მისი თქმით, მეტ სიამოვნებასა და შთაბეჭდილებას გამოიწვევს მაყურებელში. „ეს გაერთიანება ორის ერთ-გვარად სასურველ და სანატრელ სიამოვნებისა, — შენიშნავს იგი, — ერთსაც ახეირებს და მეორესაც, როცა ორივე... ერთად მოწვეულ იქნებიან ჩვენდა გასართობად"[61].

უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძე მეტად დიდ ყურადღებას უთმობდა თეატრისა და თეატრთმცოდნეობის საკითხებს. ეს გამოწვეული იყო იმ სპეციფიკური ვითარებითაც, რომელშიც ქართველი ხალხი იმყოფებოდა იმ დროს.

გარდა იმისა, რომ თეატრის საკითხებს წერილების მთელი სერია უძღვნა, ი. ჭავჭავაძე ქართული თეატრის შესახებ საგანგებოდ მსჯელობდა ხოლმე თავის „შინაურ მიმოხილვებში".

თეატრის დიდ ღირსებასა და მნიშვნელობას ი. ჭავჭავაძე იმაში ხედავს, რომ თეატრი „ცხოველი სურათებით" ძლიერ გავლენას ახდენს მაყურებლის გ რ ძ ნ ო ბ ა ს ა და გ ო ნ ე ბ ა ზ ე ე რ თ ს ა და ი მ ა ვ ე დ რ ო ს.

როცა თეატრის მნიშვნელობისა და საჭიროების შესახებ ლაპარაკობს, ი. ჭავჭავაძეს, ცხადია, მხედველობაში აქვს ჭეშმარიტად რეალისტური თეატრი. მისი თქმით, თეატრი საჯაროდ გამოტანილი სარკეა, სადაც უნდა გამოჩნდეს კარგი და ცუდი, კეთილი და ბოროტი, მისაბაძი და უარსაყოფი. მაგრამ როგორც ყველაფერს ყოველთვის, თეატრსაც ილია ეროვნული ინტერესების პოზიციებიდან აფასებს: თეატრს იგი უყურებს როგორც ეროვნული კულტურის ერთ-ერთ საიმედო კერას, რომელიც ერის ტკივილებისა და სიხარულის შეგრძნებაში დიდ სიფაქიზესა და გაბედულებას იჩენს.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, „დიდი რამ არის სცენა საზოგადოდ და ნამეტნავად ჩვენთვის... სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველი სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა, იგი ამ თავის თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედებს, ვიდრე სხვა რამე... სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანაც იმისთანა შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას

[60] იქვე, გვ. 148.
[61] იქვე, გვ. 151.

ფეხს ადგმევინებს, ფრთას აშლევინებს...

ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლს ვსთხოვთ. პირველი — რომ მართლა განმწმენდელი იყოს ჩვენი ცხოვრებისა, ჩვენის ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე—იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შვენებითა და სიმდიდრითა"[62].

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე სერიოზულ მოთხოვნებს უყენებდა თეატრს და დიდ იმედებსაც ამყარებდა მასზე. კერძოდ, ილია მოითხოვდა თეატრის ისეთ დონეზე დგომას, რომ მისი სცენიდან ერის სახე გამოჩენილიყო. თეატრი ხომ, მისი თქმით, „ეროვნების საჯარო ნიშანია".[63]

მაგრამ, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, თეატრმა რომ თავის მიზანს მიაღწიოს, მან უნდა მიიზიდოს მაყურებელთა ფართო წრე, ამას კი მხოლოდ მაშინ შეძლებს, როცა მის სცენაზე საზოგადო მნიშვნელობის მოვლენები განსახიერდება და თვით ეს განსახიერებაც მაღალ მხატვრულ დონეზე იქნება. „თეატრმა, — ამბობს ილია, — ხანგრძლივი მოქმედებით უნდა შეიჩვიოს ხალხი, აუცილებელ საჭიროებად უნდა შეექმნას ხალხს თეატრში დროს გატარება და გართობა. ამისათვის საჭიროა ჯერ ერთი ისა, რომ თეატრი მართლა თეატრი იყოს, ესე იგი — კერძო პირთა მასხარად ასაგდები კი არა, არამედ საზოგადო ჭირისა და ლხინის თვალწინ წამომაყენებელი. ამისათვის საჭიროა რიგიანი რეპერტუარი".[64]

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე თეატრის წინსვლის საქმეში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს რეპერტუარს ანიჭებს: რიგიანი რეპერტუარის გარეშე შეუძლებელია თეატრმა თავის მიზანს მიაღწიოსო. ამით ილია თეატრის წინაშე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა დრამატურგიას.

დრამატურგიისაგან ი. ჭავჭავაძე მოითხოვს სინამდვილის პირუთვნელ ასახვას, ენის სიწმინდის დაცვას, ადამიანის სულის ღრმა ცოდნასა და გმირის მოქმედებაში ჩვენების დიდ ოსტატობას. ილია საგანგებოდ აფრთხილებდა დრამატურგებსა და თეატრის მუშაკებს: „ყოვლის ღონისძიებით ერიდენით კერძო პირთა მასხარად აგდებას სცენაზედ. ეგ თეატრის უკადრისი ქცევაა და შეუნდობელი ცოდვა"[65].

აქედან აშკარაა, რომ ი. ჭავჭავაძე დრამატურგიისა და თეატრისაგან მოითხოვდა ტიპური სახეების ჩვენებას, ყურადღების გამახვილებას საზოგადო მნიშვნელობისა და არა შემთხვევითი ხასიათის მოვლენებზე, ე. ი. რეალიზმის პრინციპების წმინდად დაცვას.

---

[62] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზ., ტ. VI, 1927, გვ. 46—47.
[63] იქვე, გვ. 170.
[64] იქვე, გვ. 168—169.
[65] იქვე, გვ. 168—169

არა მარტო დრამატულ, არამედ საერთოდ მხატვრულ ნაწარმოებებს ი. ჭავჭავაძე, პირველ ყოვლისა, იმის მიხედვით აფასებდა, თუ რამდენად სწორად იყო მასში განხორციელებული ხასიათების ტიპურ გარემოში ჩვენების ამოცანა.

მაგრამ როგორ ესმის ი. ჭავჭავაძეს ტიპური? რას მიიჩნევს იგი ტიპის არსებით ნიშნებად?

ი. ჭავჭავაძე ლიტერატურულ ტიპად თელის ისეთ მხატვრულ სახეს, რომელიც თავის თავში აერთიანებს ამა თუ იმ ეპოქის დამახასიათებელ ადამიანთა ხასიათებს. ლიტერატურულმა ტიპმა, მისი შეხედულებით, თავისთავად უნდა მოგვაგონოს ნაცნობი ადამიანები, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც უნდა იგრძნობოდეს. ეს განსხვავება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ჩვენ ერთმანეთს ვადარებთ ნაცნობ პიროვნებას, ე..ი. კერძოს, კონკრეტულს, და მის მსგავს ადამიანთა ხასიათების გამაერთიანებელ სახეს, ე. ი. ზოგადს.

ი. ჭავჭავაძის შეხედულება ლიტერატურული ტიპის შესახებ ლოგიკურად გამომდინარეობს ბ. ბელინსკის სიტყვებიდან. «Каждый тип для читателя есть знакомый незнакомец»[66].

ამგვარად, ი. ჭავჭავაძეს სწორად აქვს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ტიპური რეალურ სინამდვილეში და ლიტერატურლი ტიპი ერთმანეთს არ თანაემთხვევიან, მაგრამ მათ შორის არის დიდი მსგავსებაც.

ტიპური სახეების გარეშე ი. ჭავჭავაძეს ვერ წარმოუდგენია საერთოდ ხელოვნება. როდესაც ილია ხელოვნების თავისებურებებზე ლაპარაკობს, არსებითად იგი ტიპისა და ტიპურის შესახებ მსჯელობს. ერთერთ დაუმთავრებელ წერილში ი. ჭავჭავაძე სვამს კითხვას, თუ „რა არის ხელოვნება?", და ასეთ განმარტებას აძლევს მკითხველს: „აი, ვსთქვათ მიდიხართ და ხედავთ ლუსკუმას (статуя), მარმარილოდამ გამოკვეთილს ადამიანის სახეს და აგებულებას. თუ ის ლუსკუმა მართლა-და წმინდა ხელოვნებაა, თანდათან უფრო მიგიზიდავთ, იმიტომ რომ იმ მარმარილოდამ თანდათან გამოსჭვივის შიგ-მდებარე აზრი, რომელიც თან სულსავით ჩაუყოლებია გამომკვეთსა... ვსთქვათ, ის აზრი, ვაჟკაცობის, თავგამოდების, დიდებულების აზრია. რაკი აზრს მიხვდით, მაშინვე იმას ჰგრძნობთ, რომ ამ მარმარილოს სახემ უსიტყვოდ, უთქმელად შეგატყობინათ გამომკვეთელის აზრი. ის აზრი სახეზედ და სახის ნაკვთებში იყო აღბეჭდილი, მერე ისე ცხადად, რომ თქვენ მაშინვე იცანით. საკვირველია, ქვამ, ქვიდამ გამოკვეთილმა, ისე ცნობიერად როგორ გითხრათ აზრი, რომელიც გამომკვეთსა ჰქონია და სახეზედ აუბეჭდია? საკვირველია, ისე როგორ გამოუყვანია სახე, რომ მარტო ვაჟკაცობას, თავგამოდებას, დიდებულებას ნიშნავს და

---

[66] В. Г. Белинский. Полн. собр. соч., под ред. С. А. Венгерова, т. II, გვ. 224.

სხვა არაფერს? საკვირველია და ამ საკვირველებაშია მთელი საიდუმლოება ხელოვნებისაცა (დაყოფა ჩვენია—დ. გ.). ვსთქვათ, თქვენს სიცოცხლეში გინახავთ ვაჟკაცი, დიდებული, თავგამოდებული ადამიანი. ვსთქვათ, ამ ლუსკუმის ყურებაზედ მოგაგონდათ იმ ადამიანის სახეც და შეხედულებაცა. ახლა გინდათ, რომ.., ლუსკუმა და იმ ადამიანის სახე, ერთმანეთს შეადაროთ. შეადარეთ, მაგრამ ნახავთ, რომ ეს ლუსკუმა ვაჟკაცობაში, დიდებულებაში, თავგამოდებაში ჰგავს იმ თქვენს ნაცნობსა და სხვაში სრულიად არა, — ერთის სიტყვით, ეს მარმარილოს სახე იმ კაცის სახე არ არის; ახლა სხვა ვაჟკაცის... სახე მოგაგონდათ, ახლა ისიც შეადარეთ, — ხედავთ ისევ იმას, რომ ეს ლუსკუმა ვაჟკაცობაში, დიდებულებაში, თავგამოდებაში ამასაცა ჰგავს, მაგრამ რომ სთქვათ, რომ ეს სახე იმის სახეა, არ არის იმის სახე; ახლა მესამე, ახლა მეოთხე, მთელი ქვეყნის ვაჟკაცების... სახეები ამ მარმარილოს სახეს რომ შეადაროთ, არც ერთი არც ეგვანება და ეგვანება კიდეც. გიკვირთ თქვენ, მაგრამ საკვირველი აქ არ არის-რა. ჰგავს იმიტომ, რომ რაც საზოგადო ნიშნები ჰქონიათ მთელ ქვეყნის ვაჟკაცებს, დიდებულებს, თავგამომდებლებს, ისინი სულ არიან გამოკვეთილნი ამ მარმარილოს სახეზედ და ამიტომ გვანან და ამიტომაც ადვილად მიუხვდით გამომკვეთელს აზრსა; და რაც კი კერძოობითი ნიშნები ჰქონიათ, რაც კი ერთსა ჰქონია და მეორეს კი არა, იმათთვის გული არ უთხოვებია გამომკვეთსა, ამიტომ, არა ჰგავს. რაც საზოგადო ჰქონიათ, ის მოუკრეფია გამომკვეთსა, და რაც კერძოობითი, მისთვის თავი დაუნებებია, ამიტომაც ისინი ჰგვანან კიდეც და არცა ჰგვანან. ამ საზოგადო ნიშნების ერთად, წყობილად შეკრეფითა იზომება სიბრძნე და გონიერება ხელოვანისა..."[67]

ამგვარად ი. ჭავჭავაძე ხელოვნების მთელ საიდუმლოებას ტიპური სახეების შექმნაში ხედავს. ამასთან გარკვეული აზრი აქვს შემუშავებული ტიპურში კერძოსა და ზოგადის ურთიერთობის შესახებაც.

ინდივიდუალურის, კერძოს გარეშე, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, არ არსებობს ზოგადი. ზოგადი თავის თავში აერთიანებს ინდივიდუალურ ნიშნებს, მაგრამ ყოველი ინდივიდუალური ნიშანი როდია მისთვის საინტერესო. ტიპში შერწყმულია მხოლოდ ისეთი ინდივიდუალური ნიშნები, რაც მეტ-ნაკლებად მაინც არის დამახასიათებელი იმ წრისათვის, რომლის წარმომადგენლადაც გამოყვანილია იგი. ეს გარემოება კი იწვევს როგორც მსგავსებას, ასევე განსხვავებას ლიტერატურულ ტიპსა და რეალურ სინამდვილეში არსებულ ტიპურს შორის.

თანახმად ტიპური სახის შექმნის ამ კანონზომიერებისა, ი. ჭავჭავაძე მწერლის დიდ მიღწევად თვლის ისეთი ტიპური სახის შექმნას, რომე-

[67] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 472—473.

ლშიც ყოველი ერის ადამიანი დაინახავს თავისი ხალხის სათანადო წრის წარმომადგენელს. „მსოფლიო გენიოსნი მწერალნი, — ამბობს ილია, — იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომელის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან. ადამიანი ყველგან ყოვლთ უწინარეს ადამიანია და ადამიანს ხომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოვება“[68].

მაგრამ ი. ჭავჭავაძეს მხედველობიდან არც ის რჩება, რომ ტიპი, მართალია, ზოგადი სახეა, მაგრამ ამასთანავე არის გარკვეული „მეც“, რომელიც პროდუქტია განსაზღვრული დროისა და ადგილისა; რომ ტიპი გამოხატავს საზოგადოებრივი ცხოვრების, კონკრეტულ-ისტორიული ვითარების ყველაზე არსებით ნიშნებს; რომ მას აშკარად ატყვია თავისი ეპოქის, თავისი ხალხისა და თავისი კლასის ბეჭედი. ერთი სიტყვით, ილიას გაგებით, ყოველი ლიტერატურული ტიპი არის გამომხატველი იმ სპეციფიკისა, რომლითაც ხასიათდება ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარების გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე.

ანდუყაფარ დიდებულიძე (გ. ერისთავის „გაყრა“) და ლუარსაბ თათქარიძე (ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“) მებატონეთა ტიპური სახეები არიან,მაგრამ ეს სახეები ქართველ მებატონეებს წარმოგვიდგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე. ასევე თათქარიძე („კაცია-ადამიანი?“) და ათანასე ივანეს ძე („ძველი დროის მებატონეები“) მებატონეები არიან, მაგრამ პირველი, უწინარეს ყოვლისა, ქართველი მებატონის ტიპურ სახეს გვიხატავს, ხოლო მეორე — რუსი მებატონისას.

ყოველ ტიპს, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, თავისი ეროვნულობის ბეჭედი ატყვია, მაგრამ ეს ბეჭედი, უმთავრესად, სახის გარეგან მხარეს ემჩნევა და არა მის შინაგან ბუნებას. ილია წერს: „ჩვენში ტყუილებისა და კვეხნა-ბაქიაობისა ასეთი ფალავნები არიან, რომ თითონ ფალსტაფი — ეგ ზოგადი ტიპი ცრუ და მკვეხარა კაცისა, — ტაშს დაუკრავს მოწონებისას და შეგირდად მიებარება. ნუთუ ეს გარემოება ნებას მისცემს ვისმეს სთქვას: შექსპირმა ფალსტაფით ქართველები გამოსახაო...

ფალსტაფი ისეთივე შვილია მთელის კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, ოტელო, ტარიელი, ავთანდილი და სხვანი ამისთანანი, დიდის შემოქმედობის ძალით შექმნილნი. რამოდენადაც მწერლის შემოქმედობის ძალა სწვდება ამ ზოგად — კაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა. თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისის სამკაულით აკაზმინებს, თავის საფერავით აფერვინებს პოეტს ყოველს ხატს, ყოველს ნამოქ-

[68] იქვე, გვ. 168.

მ ე დ ა რ ს შ ე მ ო ქ მ ე დ ო ბ ი ს ა ს (დაყოფა ჩვენია — დ. გ.), მაგრამ ეგ მარტო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო, და რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება"[69].

ნაწარმოების მხატვრულ და შემეცნებით ღირსებაზე, ი. ჭავჭავაძის აზრით, შესაძლებელია ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ რამდენად დასრულებული ტიპური სახის შექმნა მოახერხა მისმა ავტორმა. „ზოგადი სახე ადამიანისა, რამოდენადაც... უფრო წვრილზედ დახურდავებული იქნება.., იმოდენად შემოქმედება მწერლისა მაღლიდამ დაბლა ჩამოდის, იმოდენად მწერალი ნიჭნაკლებია და დაქვეითებული", — ამბობს ილია და დასძენს:

„... მწერალმა, თუ სხვა ვინმე ხელოვანმა, რაც უნდა ზედმიწევნით და მშვენივრად გამოხატოს ერთი რომელიმე ცალკედ სახელ-წოდებული კაცი — ივანე, თუ პეტრე, ყოველთვის უპირატესობა უნდა დაუთმოს იმას, ვინც ზოგადი გამოხატვის შემძლებელია. ამიტომაც პორტრეტების მხატვარი, დიდად სახელგანთქმულიც და გამოჩენილი, ყოველთვის უმდაბლესია, უმდარესია მასზედ, ვინც ზოგადის კაცის, ტიპის შემომქმედია... ამიტომაც თითონ პორტრეტების წერას, ესე იგი ცალკე კაცის ხატვას, მხატვრობაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს.., რადგანაც ეს უფრო ოსტატობაა, ვიდრე ხელოვნება"[70].

ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, რომ ი. ჭავჭავაძე თითქოს დროსა და ადგილს მოწყვეტილი ადამიანის სახის შექმნას მოითხოვს, მაგრამ ეს სწორი არაა. „ზოგადი კაცი" ი. ჭავჭავაძისათვის „ტიპის" სინონიმია და, როცა „ზოგადი სახის" „წვრილზედ დახურდავებას" ებრძვის, იგი ამით ტიპური სახეების შექმნას მოითხოვს, ხოლო ტიპი მას სრულიადაც არ ესმის როგორც კონკრეტულ-ისტორიულ გარემოსა და ეროვნულ-კლასობრივ თავისებურებას მოწყვეტილი რაღაც „ზოგადი სახე". მაგრამ ილია ტიპურად არ მიიჩნევს ისეთ სახეს, რომელიც მხოლოდ ქართველ, რუს, ინგლისელ ან ფრანგ მოქალაქეს წარმოგვიდგენს. ქართველი მწერლის მიერ დახატული მებრძოლი შესაძლოა უფრო მეტად ქართველი მებრძოლის სახეს გვიჩვენებდეს, მაგრამ, თუ იგი ტიპურ სიმაღლემდეა აყვანილი, შეუძლებელია მასში თავის თანამემამულეთა სახე არ დაინახოს სხვა ეროვნების წარმომადგენელმაცო, ამბობს ილია და დასძენს: „ვიწრო მოედანი მარტო პატარა ფალავნის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, როგორიც შექსპირია და თუნდა ჩვენი რუსთაველიცა. რუსთაველის ტიპებს იმ პაწია ჯუჯრუტანიდამ სინჯვა-კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელ-წოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ

[69] იქვე, გვ. 168—169.
[70] იქვე, გვ. 174—175.

უშველებელ სარკმლიდამ, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადევლებოდეს..."[71]

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, როცა მწერალი ლიტერატურულ ტიპს ქმნის, მაშინ იგი ხელმძღვანელობს, პირველ ყოვლისა, საკუთარი დაკვირვებით: განაზოგადებს იმას, რაც უნახავს, რაც უგრძვნია და გაუაზრებია. ამდენად, მის მიერ შექმნილი მხატვრული სახე შეუძლებელია არ იყოს სოციალურ-ისტორიულად კონკრეტული.

ი. ჭავჭავაძე, როგორც ვნახეთ, გარკვეულ თვალსაზრისს ავითარებს ტიპური სახის შექმნისა და ტიპურის მნიშვნელობის შესახებ ლიტერატურაში. მაგრამ კონკრეტულად არაფერი გვითქვამს იმაზე, თუ როგორ აქვს მას წარმოდგენილი ლიტერატურული ტიპის პროტოტიპთა საკითხი, ე. ი. რეალური სინამდვილის როგორ მოვლენებზე დაყრდნობით იქმნება, მისი ფიქრით, ტიპური სახეები.

ტიპი, ი, ჭავჭავაძის გაგებით, გამოხატავს იმას, რაც საზოგადო მოვლენაა, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს; შემთხვევითისა და გამონაკლისის აყვანა ტიპურ სიმაღლემდე შეუძლებელია და არც არის საჭირო; ტიპი მრავალ მსგავსთა გამაერთიანებელი სახეა და სწორედ ეს შეადგენს მის დიდ ზემოქმედებით ძალას.

ი. ჭავჭავაძის მიერ ტიპურის გაგება ემთხვევა ბ. ბელინსკის შეხედულებას ამავე საკითხზე. ბელინსკი წერს: «Что токое т и п в творчестве? — человек-люди, лицо-лица, т. е. такое изображение человека, которое замыкает в себе множество, целый отдел людей, выражающих ту же самую идею»[72]

ი. ჭავჭავაძის შეხედულების შესახებ ამ საგანზე ნათელ წარმოდგენას იძლევა „კაცია-ადამიანის" წინასიტყვაობის ვარიანტები, რომელთაგან ერთ-ერთს ავტორი ასე იწყებს:

..სახელი ღვთისა ვახსენე, ავიკიდე გუდა-ნაბადი და შევუდეგი მგზავრობასა.. ერთს კარგად მოზრდილს, ხავს-მოკიდებულს გუბეს ზედ-წავაწყდი. ამ გუბიდამ მეტად ცუდი ოხშივარი ამოდიოდა...

შიგ მეტად მრავალი ცხოველი მოჩანდა; მათ შორის ორფეხა ცხოველებიც იყვნენ, რომელთაც ჩვენში ადამიანებს ეძახიან. ამ ადამიანებში ნამდვილნი კაცებიც მოჩანდნენ, მაგრამ ძალიან ცოტა...

ვსთქვი ჩემ-თავად.

ამ გუბის ამბავი და ხსენება არსად არის: სჩანს მეტად საძაგელი წუმპე ყოფილა, არა-ღირსი ხსენებისა. ნეტავი მითხრას ვინმემ, რა უნდა ერქვას ამ საძაგელს, დამყაყებულს და ერთს ალაგს გაჩერებულს გუბესა?

ამ წუმპეს ქართველები სამასხარაოდ ცხოვრებას ეძახიან. რო-

---

[71] იქვე, გვ. 175

[72] В. Г. Белинский. Полн. собр. соч., изд. АН. СССР. т. III, გვ. 52.

გორც იმ ორფეხა ცხოველებს, რომელნიც შიგა ლპებიან, ადამიანებსა. ქართველი ხომ ოხუნჯია, აქაც კი უოხუნჯია, როგორც ხედავ,—ვიღაცამ წამჩურჩულა და ზედ დაატანა: — ახლო არ მიხვიდეო...

არამც თუ ახლო არ მივედი, შიგ იმ გუბეში შესვლაც კი მოვიწადინე... მინდოდა შემეტყო: ეს გუბე, თუ ცხოვრება, რა თვისებისაა?...

... ხელცარიელი კი არ მინდოდა რომ გამოვბრუნებულიყავი. ვსთქვი: ერთი ორიოდე ქვეშემძრომი მაინც დავიჭირო... ამ განზრახვით დავიწყე ნადირობა და ერთს ასეთს ტახს წავავლე ხელი, რომ უკეთესი აღარ უნდოდა. წავავლე მაშინვე ყურზედ ხელი და „ვა-ვაის“ და „მეტკინას“ ძახილით გამოვათრიე ნაპირზედ.

— ვინა ხართ? — ვკითხე მე,—რა სულიერი ხარ?

— კაცი ვარ ადამიანი, — მომიგო იმან.

— რომ არ გეთქო, ღმერთი, რჯული, ვერ მივხვდებოდი. მართლა კაცი ხარ?

— თავი არ მამიკვდება! კაცი ვარ.., ყმისა და მამულის პატრონი; ლუარსაბ თათქარიძეს მეძახიან.

— თუ ადამიანი ხარ, მაგ დამპალ გუბეში ბაყაყებთან... რა გინდა?

— ბიჭოს!.. მაშ სად უნდა ვიყო?

— კაცებთან, თუ კაცი ხარ.

— კაცები არ არიან, რომ იქ არიან? ათასია ჩემისთანა და ათასზედ მეტიც. ბრმა ყოფილხარ.

— ... მაგ გუბეში არიან ისინიცა?

— გუბეში რას ჰქვიან, გიჟი ხომ არა ხარ? ჩვენი ცხოვრებაა ეგა...

— კიდევაც იმიტომ მინდა ქვეყანას დაგანახვო, რომ ამოტლაპული ხარ გუბეში, რომელსაც შენ სამასხაროდ ცხოვრება დაგირქმევია: იქნება შეგრცხვეს ქვეყნისა და გაირეცხო.

— რაღა მე წამაველე, შე ულმერთოვ, ხელი, ათასია, სხვა ჩემისთანა.

— აბა უფრო მაგისათვის წაგავლე, რომ შენ ათასსა ჰგევხარ და ათასი შენა! რაც ბევრს ეგვანები, უფრო კარგია“.

„ლუარსაბის თანამოძმეები სთხოვენ თავი დაანებოს ლუარსაბს, რადგან ისინიც მას ჰგვანან, მაგრამ ეს კიდევ უფრო სიამოვნებს მწერალს: „მეც ეგ მიხარიან, რომ თქვენ ესა გგავთ და თქვენ მასა. იმისთვის მეძნელება ამის თავის დანებება, რომ კაი ნიმუშია“.

ეს გრძელი ამონაწერი იმისთვის მოვიყვანეთ, რომ უფრო ნათელი გაგვეხადა ი. ჭავჭავაძის არა მარტო როგორც თეორეტიკოსის, არამედ როგორც მხატვრის დამოკიდებულება ტიპურისადმი.

„რაც ბევრს ეგვანები, უფრო კარგია“,—მიმართავს მწერალი თავის მომავალ გმირს, რითაც ამჟღავნებს თავის შეხედულებას ტიპურის შესახებ. მაგრამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ი. ჭავჭავაძეს არც „ბევრი“ და არც „ცოტა“ მუდმივ კატეგორიებად არ მიაჩნია: ყველაფერი იცვლება, ვითარდება, ამიტომ იცვლება რიცხვიც იმისა, რაც დღეს ბევრი ან ცოტაა.

ი. ჭავჭავაძე, როგორც უკვე ვნახეთ, მწერლობისაგან მოითხოვდა არა მარტო თანადროული ცხოვრების პირუთვნელ და ღრმა ასახვას, არამედ იმ „მომავლის თესლის“ პერსპექტივაში ჩვენებასაც, რომელიც აწმყო ცხოვრების წიაღში იმალებოდა. ამიტომ მას ტიპურად მიაჩნდა არა მარტო ის, რაც ერთი თვალის გადავლებითაც კი ყველასათვის ადვილად შესამჩნევი იყო, არამედ ისიც, რაც არცთუ ისე ადვილად შეიმჩნეოდა, მაგრამ მომავალი მას ეკუთვნოდა—ყოველივე მის გამრავლებასა და ზრდაზე მეტყველებდა.

ი. ჭავჭავაძეს რეალისტური ხელოვნების ერთ-ერთ ნიშანდობლივ თვისებად „მომავლის თესლის“ შეცნობა და მისი განვითარებისათვის ხელშეწყობა მიაჩნდა. რეალიზმის ცნებაში იგი აერთიანებს პროგრესული რომანტიზმის საუკეთესო მხარეებსაც. ეს გარემოება თავს იჩენს მის მხატვრულ შემოქმედებაშიც. ამის მკაფიო მაჩვენებელია ილიას პოემები „აჩრდილი“ და „დედა და შვილი“, რომ არაფერი ვთქვათ ამ მხრივ მეტად საინტერესო მის ლირიკულ ლექსებზე.

პოემა „დედა და შვილი“ ი. ჭავჭავაძემ საგანგებოდ დაწერა მომავალი ცხოვრების სურათების საჩვენებლად. ამ ნაწარმოების სიუჟეტი პოეტის ილუზიურ ოცნებას კი არ ემყარება, არამედ იმ ისტორიულ კანონზომიერებას, რომლის მიხედვითაც ვითარდებოდა ავტორის თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრება. პოემაში დახატულ დედის სახეში ავტორის თანამედროვეთაგან მხოლოდ ერთეულები თუ იცნობდნენ საკუთარ თავს, მაგრამ ეს ის ერთეულები იყვნენ, რომლებიც ყოველდღიურად მრავლდებოდნენ. ამიტომ მწერალს ეს სახე მაინც ტიპურ სახედ მიაჩნდა.

ტიპურის ასეთი გაგება, საერთოდ, დამახასიათებელია „თერგდალეულებისათვის“, რასაც ხელს უწყობდა ისიც, რომ მათ ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს ეროვნული გმირის ძიება შეადგენდა; რომ მათი იდეალები მხოლოდ მომავალთან იყო დაკავშირებული.

ტიპური სახეების შექმნასა და, საერთოდ, სინამდვილის ასახვაში ი. ჭავჭავაძე მეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მწერლის ჯანსაღ ფანტაზიას, განზოგადებისა და შორს ხედვის უნარს. ილია საუსებით იზია-

რებდა თავისი მასწავლებლის ბ. ბელინსკის შეხედულებას, რომ «Поэт не может и не должен быть рабом истории, так же как он не может и не должен быть рабом действительной жизни, потому что в том и другом случае он был бы списчиком, копиистом, а не творцом»[73]

ი. ჭავჭავაძის თქმით, მწერალი დაჯილდოებული უნდა იყოს იმის უნარით, რომ „მოგონილი ამბით ცხადჰყოს მართალი:" „ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ავთანდილ, ფრიდონ, თინათინ, — წერს ილია, — არც თავისს-დღეში ყოფილან და არც არიან... მაგრამ აბა ჰნახეთ ჩვენი საკვირველი რუსთაველი როგორ სასწაულთმოქმედობს ადამიანზე, როცა იმათს ცხოვრებას გვიამბობს, მათის ცხოვრების მაჯისცემას გვატყობინებს!.. შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არაჭეშმარიტი ამბავი მართალი გვგონია. აი ეს საოცარი გარდაქმნა, ანუ უკეთ ვთქვათ, ქმნა არ-ყოფილისა ყოფილად, მარტო შემოქმედს შეუძლიან და ამიტომაც ამ ღვთიურს ძალღონეს ქმნისას შემოქმედობას ეძახიან"[74].

ასეთ შეხედულებას გამოთქვამს ი. ჭავჭავაძე ისტორიულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შესახებაც, რომელთათვის, მისი აზრით, მთავარია არა ისტორიული დეტალების ზუსტად გადმოცემა, არამედ ის, რომ გვიჩვენოს „სული და გული ეპოქისა".

თავის თანამედროვე დრამატურგთა ისტორიული დრამების სუსტი მხარეების დახასიათებას რომ იძლეოდა, ი. ჭავჭავაძე შენიშნავდა: „ჩვენ წუნად არა ვსდებთ ავტორებს, რომ დრამის ამბავი, არაკი (ფაბულა) მოგონილია მათ მიერ. დრამატურგი ისტორიკოსი ხომ არ არის, რომ ისტორია გვასწავლოს, ისტორიული ქრონიკა გვიწეროს. დეე თუნდ ამბავი, არაკი დრამისა თავის საკუთარის ფანტაზიით შეჰქმნას, ხოლო თუ სურს ისტორიული ღირსება მიანიჭოს თავის დრამას, უსათუოდ მოვალეა სული და გული ეპოქისა იმ ამბავში ჩანასკვოს, ჩაჰსახოს და დრამის სვლაში გადაგვიხსნას, გადაგვიშალოს საგრძნობელად და დასანახავად"[75].

მაგრამ როდის შეძლებს მწერალი მიაღწიოს ისტორიული წარსულის ამგვარ გადმოცემას? ანდა როდის შეძლებს სწორად წარმოადგინოს მომავალი ცხოვრების სურათები? მხოლოდ მაშინ, თუ მის მდიდარ ფანტაზიას მხარში უდგას მეცნიერება, რომელიც გზას გაუნათებს შორეული მოვლენების ახსნასა და გაგებაში; ეპოქალური ტიპებისა და მარად უკვდავი სახეების შექმნა ძალუძს მხოლოდ იმ კაცს, რომელიც პოეტური ფანტაზიით დაჯილდოებულ და მეცნიერულ

---

[73] იქვე, გვ. 233.

[74] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 408—409.

[75] იქვე, გვ. 186.

ჭეშმარიტებებს დაუფლებულ შემოქმედს ეკუთვნის,—ასეთია ილიას აზრი ამ საკითხზე.

ი. ჭავჭავაძე არ დაკმაყოფილებულა ლიტერატურათმცოდნეობისათვის საინტერესო თეორიული ხასიათის დებულებათა წამოყენებითა და ახსნა-განმარტებით. ქართული ლიტერატურის შემდგომი წინსვლისათვის მან საჭიროდ მიიჩნია ეჩვენებინა განვითარების ის პროცესი, რომელიც ჩვენმა მწერლობამ განვლო ისტორიულად, კერძოდ კი — მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან.

თავისი ისტორიულ—ლიტერატურული შეხედულებებით ი. ჭავჭავაძემ ჩვენს მწერლობას გაუადვილა დანახვა, ერთი მხრივ, იმ ჯანსაღი ლიტერატურული ტრადიციებისა, რომლებიც განვითარებასა და გაღრმავებას იმსახურებდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, შემჩნევა იმ უცხო და არაბუნებრივი ტენდენციებისა, რომლებიც ქართული ლიტერატურის თვითმყოფობას ჩირქსა სცხებდნენ და ხელს უშლიდნენ მას ეპრქის მოწინავე იდეების სიმაღლეზე მდგარიყო.

ბ. ბელინსკის ისტორიულ-ლიტერატურული კონცეფციის დახასიათებისას პროფ. ა. ლავრეცკი შენიშნავს; «Отношение литературы к народу — вот та громадной важности проблема историко-литературной концепции Белинского, которая является основой для другого продолжателя его дела — Н. А. Добролюбова»[76].

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ი. ჭავჭავაძის ისტორიულ-ლიტერატურული კონცეფციის ამოსავალ წერტილსაც წარმოადგენდა საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, ერის სასიცოცხლო ინტერესებთან ლიტერატურის ურთიერთობის გარკვევა. ქართული ლიტერატურის მიერ განვლილ გზას ილია აფასებდა იმის მიხედვით, თუ რამდენად წარმატებით ახერხებდა იგი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მხატვრული შემოქმედების ხალხურობისა და ეროვნულობის პრობლემის გადაჭრას.

ასეთი მიდგომა ლიტერატურის ისტორიისადმი, ცხადია, მართებული იყო, მეტადრე კრიტიკული რეალიზმის გაბატონებისათვის მებრძოლი შემოქმედისაგან.

ყოველი მწერლის დამსახურებისა და მხატვრული ნაწარმოების ღირსებათა შეფასებას ი. ჭავჭავაძე ისტორიული თვალსაზრისით უდგებოდა. ამ პრინციპით ახასიათებდა ილია ლიტერატურის ისტორიის ცალკეულ პერიოდებსაც.

ლიტერატურა ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, მაჩვენებელია ერის სულიერი და გონებრივი ზრდისა: იგი არის დიდებული საგანძური, სადაც თავმოყრილია ერის სულიერი კულტურის საუკეთესო ქმნილებანი. მართალია, მათგან ყველას ერთნაირი მნიშვნელობა აღარა აქვს თანამე-

[76] А. Лаврецкий. Историко-литературная концепция Белинского. См. Сборник статей «Белинский, — историк и теоретик литературы», 1949, გვ. 71.

დროვე საზოგადოებისათვის, მაგრამ ბევრი უკვე შევიდა მსოფლიო კულტურის საგანძურში როგორც ამა თუ იმ ხალხის სულიერი და გონებრივი სიდიადის გამომხატველი შედევრი.

გოგოლის „რევიზორის" პირველი წარმოდგენის ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სტატიაში (1886 წ.) ი. ჭავჭავაძე წერდა: „პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი და სხვანი ამგვარნი მოღვაწენი რუსეთის დიდებად, სახელად ცნობილ არიან უკეთესთა რუსთაგან. მათის წყალობით და მეოხებით ევროპამ დღეს სხვა თვალით შემოხედა რუსეთის სულიერს ძალ-ღონეს, რომლის გამომეტყველნიც იყვნენ ხსენებულნი დიდბუნებიანნი კაცნი რუსეთისანი. ამისთანა კაცნი მით არიან სახელოვანნი, რომ თუმცა სისხლით და ხორცით ერთს რომელსამე გვარტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თვისის ღვაწლით ამასთანავე გვაჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარტომი თანა მოზიარე მთელის კაცობრიობისა და რაგვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან, რა განძსა და საუნჯეს სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად რჯულისა, გვარტომობისა და დიდ-პატარაობისა"[77].

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე იმ აზრისაა, რომ დიდ ეროვნულ მწერალს ამაგი მიუძღვის არა მარტო თავისი ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის წინაშე. რადგან მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ხელოვნების იმ ტაძარში, რომელიც ყველა ხალხს ეკუთვნის.

მოთხოვნის ასეთი სიმაღლიდან ი. ჭავჭავაძე კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ძველი ქართული ლიტერატურის მშვენებამ შ. რუსთაველმა ლიტერატურის საკაცობრიო საგანძურში შეიტანა გენიალური „ვეფხისტყაოსანი" — „ეს უძირო მორევი, ზღვა აზრისა და გრძნობისა". რუსთაველმა, ამბობს ილია, ამას მიაღწია უკვდავი სახეების შექმნით, მაღალი, ჰუმანური იდეების ქადაგებით, ადამიანის გულის, ფსიქიკის ღრმა ცოდნითა და სრულყოფილი მხატვრული ოსტატობით; „ვეფხისტყაოსანში" აისახა ავტორის თანამედროვე მოწინავე ქართველი საზოგადოების ფიქრი და გრძნობა, მაგრამ ამასთანავე მასში აირეკლა იმ ეპოქის ხალხთა სულიერი სიდიადე და მაღალი ადამიანური გრძნობები საერთოდ.

შ. რუსთაველის შემდეგ ი. ჭავჭავაძის მოწონებას ყველაზე მეტად დ. გურამიშვილი იმსახურებს. გურამიშვილის პოეზია მას იტაცებს ფორმის სისადავითა და ჯანსაღი დიდაქტიზმით, რომელიც დამყარებულია ცხოვრების სინამდვილისა და ადამიანის შესაძლებლობის ღრმა ცოდ-

[77] ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 86—87.

ნაზე. დ. გურამიშვილის „დიდაქტიური პოეზია,—წერს იგი,—პირს არ შეირცხვენს, თუნდ ლუკრეციის, ვირგილის და ჰორაციოს დიდაქტიურ პოეზიას დაუყენეთ პირის-პირ“[78]... დ. გურამიშვილმა, ილიას აზრით, საგრძნობი გარდატეხა მოახდინა ქართული ლექსის მხატვრული ფორმის სფეროშიც. კერძოდ, მან „სცადა თითქმის პირველად... ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქმაში“[79].

ი. ჭავჭავაძეს, ბუნებრივია, დ. გურამიშვილში უნდა დაენახა საამაყო წინამორბედი. და ეს იმიტომ, რომ გურამიშვილი იყო დიდი ეროვნული პოეტი, რომელმაც პირუთვნელი შეფასება მისცა თავისი დროის ისტორიულ მოვლენებს, ჩვენს მწერლობას შემატა უბრალო ხალხის ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებნი და სალიტერატურო ენის გარკვეული დემოკრატიზაცია მოახდინა.

დ. გურამიშვილის შემოქმედება ი. ჭავჭავაძეს იტაცებდა, პირველ ყოვლისა, ცხოვრების სინამდვილის დამაჯერებელი ასახვით.

ი. ჭავჭავაძეს არ შეიძლებოდა გვერდი აევლო სულხან-საბა ორბელიანისა და მისი „სიბრძნე სიცრუის“ მნიშვნელობის ჩვენებისთვისაც. ეს ნიჭიერი მეიგავარაკე ღრმა აზრებითა და გადმოცემის დიდი ოსტატობით თავისი ეპოქის მოწინავე შემოქმედი იყო. ს. ორბელიანმა დ. გურამიშვილთან ერთად დიდი ამაგი დასდო ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას და ახალი შესაძლებლობანი შეუქმნა ჩვენში შედარებით ჩამორჩენილ პროზაულ ჟანრს.

„საბა ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დასწერა, სიბრძნე-სიცრუის წიგნი დაარქვა, — შენიშნავს ი. ჭავჭავაძე,—მე ხშირად ჩავფიქრებივარ ამ უცნაურს სახელს წიგნისას. მართლაც, სადაც სიბრძნეა, იქ სიცრუეს რა ხელი აქვს? სიბრძნესთან სიცრუე რა მოსატანია?.. საბა-ორბელიანი — ეს ბრძენი, დარბაისელი კაცი, რათ იკადრებდა სიბრძნეში გაერია სიცრუე?..

ზღაპარი მოგონილი ამბავია, არა-მართალი, მაშასადამე, სიცრუეა. ამ მხრით წიგნი საბა ორბელიანისა სიცრუეა...

საბა ორბელიანის სიცრუე—უჰ, რა ცუდი სიტყვაა! ნეტავი ეს სამი სიტყვა ერთმანეთზე გადასაბმელი არ იყოს!.. საბა ორბელიანის სიცრუე-მეთქი სულ სხვაა. საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაკია, იგავია. იგავი, არაკი, ზღაპარი ამისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს,ერთმანეთში გასარჩევად... ამ მხრით ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. სიცრუე თითონ ამბავია, სიბრძნე —

[78] იქვე, გვ. 153.
[79] იქვე, გვ. 457.

შიგ ჩასახული აზრია."[80]

ბრძნული აზრების მქადაგებელი და ეზოპეს ენით მეტყველი ს. ორბელიანი ი. ჭავჭავაძის ყურადღებას, ცხადია, თავისი შემოქმედების რეალისტური ტენდენციებით იმსახურებდა. ამავე საფუძვლით მას საგანგებო შესწავლის ღირსად მიაჩნდა ვახტანგ მეექვსისა და არჩილის პოეზია, რომელთაც, მისი თქმით, „ვერავინ ვერ დასწამებს სიმჩატეს აზრებისას და გრძნობისას"[81].

ამგვარად, თავი რომ დავანებოთ შ. რუსთაველს, ყველა დროისა და ყველა ხალხისათვის საინტერესო დიდ შემოქმედს, ი. ჭავჭავაძე ძველ ქართველ მწერალთაგან წინა რიგში აყენებს იმ მწერლებს, როლებმაც სრულიად ღირსეულად „მართლის მთქმელი პოეტების" სახელი დაიმსახურეს და რომლებიც თანადროულ საზოგადოებრივ ცხოვრებას სწავლობდნენ და აფასებდნენ შედარებით ფართო საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რითაც გზას წმენდნენ რეალიზმისათვის ქართულ ლიტერატურაში.

ი. ჭავჭავაძე არ ეკუთვნოდა იმ მოაზროვნეთა კატეგორიას, რომელთაც ისტორიაში მხოლოდ დადებითი მომენტების დანახვა და წინ წამოწევა ემარჯვებათ. მისაბაძი ლიტერატურული ტრადიციების გამომზეურებასთან ერთად ილია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმის გამომჟღავნებასაც, რასაც მხოლოდ ცუდი გავლენის მოხდენა შეეძლო ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე.

ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძემ თავის პირველ კრიტიკულ წერილებშივე მკაცრად გაილაშქრა წერის ჩახრუხაძისეული სტილის წინააღმდეგ და მთელი დამაჯერებლობით დაუპირისპირა მას რუსთველური ტრადიცია.

მეთორმეტე საუკუნის ქართული სახოტბო პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი — ჩახრუხაძე, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, უარყოფით გავლენას ახდენდა მწერლობაზე. მისი მიმბაძველები ყალბი პათეტიკური ტონით შეთხზულ ლექსებში გვერდს უვლიდნენ სინამდვილეს, ჩქმალავდნენ იმას, რაც გამოაშკარავებისა და უარყოფის ღირსი იყო; მათ შემოქმედებაში აზრს რიტორიკა ცვლიდა, გრძნობას—არაგულწრფელობა. მძიმედ და უვარგისად მიაჩნდა ი. ჭავჭავაძეს ჩახრუხაძის ლექსის მეტრიც—ოცმარცვლოვანი შაირი.

ასეთივე უარყოფითი შეხედულებისა იყო ი. ჭავჭავაძე რუსთაველის ეპიგონებზეც, რომლებიც უნიჭოდ ბაძავდნენ მას და თანაც მტრულად იყვნენ განწყობილნი იმათ მიმართ, ვინც ნოვატორულ გზას ირჩევდა. რუსთაველური ტრადიციების დაცვას ი. ჭავჭავაძე რუსთაველისადმი

[80] იქვე, გვ. 406—407.

[81] იქვე, გვ. 153.

ბრმა მიბაძვაში კი არ ხედავდა, არამედ ადამიანთა ხასიათების ისე ღრმა ცოდნასა და მოწინავე იდეების ისე ორიგინალურად გადმოცემაში, როგორც ეს თვით რუსთაველმა შეძლო. ილია იბრძოდა მწერლობაში „მოწაფის“ მოწაფური გაგების წინააღმდეგ.

ი. ჭავჭავაძე მრავალ კრიტიკულ შენიშვნას გამოთქვამს ძველი ქართული პოეზიის იდეისა და ფორმის შესახებაც. მას შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ ამ პოეზიის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი ლიტერატურაში უიმედობასა და ცრურწმენას ნერგავდა. მდურვა წუთისოფლისადმი, სევდა-მწუხარება ადამიანისა და ამქვეყნიური ცხოვრების ამაოების გამო, ნუგეშის თვალით ცქერა ღმერთისადმი და მისგან საუკუნო განსვენებისა და მართლმსაჯულების მოლოდინი—აი, რა იყო ზოგი მათგანისათვის დამახასიათებელი ილიას აზრით. მოძველებული და მეტად ნაძალადევი იყო მათი პოეზიის ფორმაცო, აცხადებს იგი. საერთოდ, ილიას სრულიად გაუმართლებლად მიაჩნდა გადაჭარბებული „ფიგურობა და ალლეგორია“[82].

XIX საუკუნის დამდეგიდან, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ქართული ლიტერატურა თანდათანობით თავისუფლდება ასეთი ტენდენციებისაგან და იწყება ე. წ. ევროპეიზმის გავრცელება ქართული ლექსის გამოთქმაში, რასაც დ. გურამიშვილმა დაუდო სათავე. დიდი წვლილი შეიტანეს ამ საქმეში შემდეგ ალ. ჭავჭავაძემ და გრ. ორბელიანმა, ხოლო ნ. ბარათაშვილი მოგვევლინა როგორც „ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა“[83]

„ევროპეიზმში“ ი. ჭავჭავაძე გულისხმობს, პირველ ყოვლისა, პოეზიის განთავისუფლებას ზედმეტი ფიგურალობისა და ალეგორიულობისაგან, რაც განსაკუთრებით აღმოსავლური ლიტერატურისათვის იყო დამახასიათებელი. ცხადია, ილია არ უარყოფდა ფიგურალური და ალეგორიული გამოთქმების საჭიროებას მხატვრულ ლიტერატურაში, მაგრამ იგი წინააღმდეგი იყო მათი გადაჭარბებულად გამოყენებისა და ამასთან მოითხოვდა ჰქონოდათ მათ მეტი ბუნებრიობა, ხელი შეეწყოთ მდიდარი შინაარსის გადმოცემაში და არ დარჩენილიყვნენ სიტყვათა უსაგნო, თვითმიზნურ თამაშად.

საყურადღებოა, რომ ქართველ რომანტიკოსთა წინამორბედად პოეტური მეტყველების მხრივ ი. ჭავჭავაძე დ. გურამიშვილს თვლიდა.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა და რადიკალურად შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკური ვითარება, ი. ჭავჭავაძის აზრით, აქ თითქმის სრულიად შეწყდა როგორც იდეური ცხოვრება, ისე პრაქტიკული საზოგადოებრივი მოღვაწეობა და ასეთმა

---

[82] იქვე, გვ. 457.

[83] იქვე.

მდგომარეობამ ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრამდე გასტანა. „მართალია,—ამბობს ილია, — ამ სვენების ხანაშიაც კიდევ დაჰნათოდა ჩვენს ცხოვრებას შუქი წინა-დღის ჩამავალის მზისა.., გულში დარჩენილნი ანდერძნი კიდევ ასულდგმარებდნენ საზოგადო მოღვაწესა, და თუმცა ამისთანა მოღვაწეებმა ერთად თავი მოიყარეს და იფეთქეს ამ ანდერძების სახელითა, მაგრამ დაჰმარცხდნენ... რაკი წარსულის მომხრენი დამარცხდნენ, მთლად დაუთმეს ცხოვრების მოედანი გამარჯვებულთა. მისწყდა ამ ანდერძთა რიხიანი ხმა და მაშინდელმა მოღვაწეებმა ზურგი შეაქციეს წარსულ ანდერძთა ღაღადებას... თუმცა კი გულისტკივილი მათი თესლად დარჩა ცხოვრების ხნულში“[84].

აღნიშნული ეპოქის ასეთი დახასიათებისას ი. ჭავჭავაძეს მხედველობაში აქვს 1832 წლის შეთქმულებისათვის მზადება და ის შედეგები, რაც ამ შეთქმულების დამარცხებას მოჰყვა. მაგრამ ეს დახასიათება საკმაოდ სრულად და ზუსტად ვერ წარმოადგენს იმდროინდელი იდეური ცხოვრების, კერძოდ კი მწერლობის, მდგომარეობას. ამის მიზეზი ისაა, რომ, როცა ილია ამ სტრიქონებს წერდა, ჯერ კიდევ არ იყო დაზუსტებული ქართველ რომანტიკოსთა ბევრი საყურადღებო მხატვრული ნაწარმოებები და, საერთოდ, ქართველ რომანტიკოსთა ჩვენთვის ცნობილი მხატვრული შემოქმედება შექმნილი იყო მხოლოდ ოცდაათიან წლებში და ამის შემდეგ.

თუმცა ი. ჭავჭავაძე იქვე შენიშნავს, რომ ჩვენდა სანუგეშოდ, ამისთანა უქმად ყოფნამ, როგორც აზრისამ, ისე საქმისამ, თავი დიდხანს ვერ შეინახა. ვერც შეინახავდა, იმიტომ რომ, რამოდენადაც ხანი მიდიოდა, იმოდენად ჩ ვ ე ნ ო ბ ა და უ ც ხ ო ო ბ ა (დაყოფა ჩვენია—**დ. გ.**) თუმცა ერთმანეთს იშენევდნენ, მაგრამ გულში-კი ერთმანეთთან ვერა ჰრიგდებოდნენ.

ამ ამბავს, რა თქმა უნდა, აზრი უნდა დაეძრა ასე თუ ისე სამოქმედოდ, და ის უპასუხოდ დარჩენილი საკითხი: „ვინა ვართ და რანი ვართ“ — ხელახლად უნდა გამოსულიყო მოედანზე“[85].

ეს „უქმად ყოფნის“ მდგომარეობა, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, მწერლობის წყალობით იქნა დაძლეული; და, საერთოდ, ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა მეცხრამეტე საუკუნეში მწერლობას შეაფარა თავი.

„... ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს აზრთა სვლას, ჩვენს ზრუნვას და ფიქრსა, მთელის ბუნებითად რთულის ცხოვრების ფართო მოედნიდამ, —

---

[84] იქვე, გვ. 203—204.

[85] იქვე, გვ. 205.

წერს ი. ჭავჭავაძე, — მცირე კუნჭული-ღა ჰქონდა დათმობილი ჟამთა ვითარებისაგან. მარტო ამ კუნჭულში-ღა გახდა შესაძლებელი ჩვენის ცხოვრებისათვის მოღვაწე კაცს თავი ეჩინა. ეგ იყო მწერლობა, რომელიც ჰხრდის და ინახავს ენასა, და რომელმაც ხელახლად ხმა ამოიღო ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში... ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ აქ შეიფარა თავი, და ამიტომაც მათის გამონასკვის, ზრდის და მატების ამბავი აქ უნდა ვეძიოთ, აქ გამოჩნდება — გუშინ რას ვსდევდით ახალნიცა და ძველნიცა...“[86]

ი. ჭავჭავაძის ეს სიტყვები აშკარად გვეუბნებიან, თუ როგორ აფასებდა იგი მწერლობის როლს ქართული საზოგადოებრივი აზრის წინმსვლელობაში, თუ რა მოთხოვნის სიმაღლიდან სწავლობდა ილია ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესს მეცხრამეტე საუკუნეში.

იმის გამო, რომ ქართული ჟურნალ-გაზეთები არ არსებობდა და ცალკე წიგნების გამოცემაც არ ხერხდებოდა, ქართველ რომანტიკოსთა პოეტური მოღვაწეობა ოცდაათიან წლებში, ი. ჭავჭავაძის თქმით, უფრო შინაური საქმე იყო, ვიდრე საყოველთაო; ერთი სიტყვით, მათ არ ჰყავდათ მკითხველთა ფართო წრე. ამასთან იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გავლენით ვითარდებოდა მხოლოდ ლირიკული პოეზია, რომელიც უფრო თითონ მწერლის გულთა წვა-დაგვას, ჭირსა და ლხინს გვიგალობს, ვიდრე მოაზრე ცხოვრების აზრთა სვლას და წარმატებას“[87].

ი. ჭავჭავაძე, ცხადია, არ უარყოფს ლირიკული პოეზიის საჭიროებასა და მნიშვნელობას, მაგრამ ცხოვრების სინამდვილის ობიექტური ასახვისათვის იგი მაინც ნაკლებ გამოსადეგად მიაჩნია. „ჩვენ ვერ ვიტყვით, — შენიშნავს ილია,—რომ ამისთანა... მწერლობა მეტი იყოს ადამიანის ერთობ მოწყენილ ცხოვრებისათვის: ქანც-გაწყვეტილი მუშაც კი საჭიროებას ჰხედავს დაიტკბოს სიმწარე თავისი ცხოვრებისა სიმღერით და გაიქარვოს თავისი ჭირ-ბოროტი,—და ერისათვის რატომ აღარ უნდა იყოს საჭირო, თვისთა მწერალთა ტკბილ გალობით ასე თუ ისე გაიქარვოს კაეშანი. ხოლო ამით იმის თქმა გვინდა, რომ რაკი საზოგადო ცხოვრება ჩვენს კაცს ხელიდამ გამოეცალა, რაკი კაცს ხელთ შერჩა მარტო თავის-თავიღა, სხვა რა ექმნა, რომ უსაგნო გარეშემოსაგან ლტოლვილი თვალი—თავის საკუთარს გულში არ ჩაეხედებინა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულთათქმისა. და ჭკუა-გონების ხედვისა“.[88]

ასეთი იყო ძირითადად, ილიას შეხედულებით, ალ. ჭავჭავაძის პოეზია, მაგრამ ამ „ტკბილ მთქმელსაც საყოველთაო უნუგეშ-ყოფამ მაშინდელის დროისამ წარმოათქმევინა... თვისი სამძიმარი. საცა ისმის ეგ-

[86] იქვე, გვ. 206.
[87] იქვე, გვ. 207.
[88] იქვე.

რეთ-წოდებული „მოქალაქური გულისტკივილი“ იმის გამო, რასაც გულში იმალავდა მაშინდელი ცხოვრება“[89]. ი. ჭავჭავაძე ამ შემთხვევაში გულისხმობდა ლექსს „ვაჰ სოფელსა ამას“, რომელშიც იგი ხედავდა „ნათელ სურათს მაშინდელის ყოფა-ცხოვრებისას“ და მოსწონდა, რომ მისი ავტორი ვერ ეგუებოდა არსებულ სინამდვილეს და წინასწარმეტყველებდა — „დრო მოვა და სხვა იქნებაო“.

როგორც თვითონაც შენიშნავს, ი. ჭავჭავაძეს თავის ისტორიულ-ლიტერატურულ წერილებში მიზნად ჰქონდა დასახული არა ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ყოველმხრივი შესწავლა და დახასიათება, არამედ „იმის გამორკვევა, თუ რამოდენად იზრდებოდა, მატულობდა ჩვენი აზრი, რამოდენად შორსა და შორს სცემდა ჩვენი თვალთა-ხედვის ისარი, რამოდენად დიდდებოდა ჩვენი მსოფლმხედველობა, და გუშინდელი რას სთესდა დღეისათვის და დღევანდელი დღე რას ითხოვს ხვალისათვის“[90]. ეს შეადგენდა ილიას ისტორიულ-ლიტერატურული კონცეფციის არსს.

ყველა წინამორბედ მწერალს ი. ჭავჭავაძე ახასიათებს იმის მიხედვით, თუ რა წვლილი აქვს შეტანილი „რეალური მიმართულების“ ზრდა-განვითარებაში. ამიტომაა, რომ ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში მას მოსწონს, პირველ ყოვლისა, „ვაჰ სოფელსა ამას“, რადგან მასში ხედავს იმ ნაკადის სათავეს, რომელიც სამოციან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაფართოვდა.

გრ. ორბელიანი, ამბობს ი. ჭავჭავაძე, აგრძელებდა ალ. ჭავჭავაძის პოეტურ გზას, მაგრამ იგი არ ყოფილა უბრალო გამგრძელებელი. მან ქართული პოეზია, თემატიკურად თუ მოტივებით, უფრო მრავალფეროვანი გახადა და წინ წასწია „როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც“. ილიამ დიდად შეაფასა გრ. ორბელიანის მუხამბაზები ცხოვრების რეალიზმის ჩვენებისა და მდაბიო ხალხის „გულის თქმის“ ოსტატური გადმოცემის გამო.

გრ. ორბელიანს, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ჰქონდა ეპოქის მაჯისცემის შეგრძნობის დიდი უნარი და ამიტომაც მოღვაწეობის ხანგრძლივ გზაზე მას მხედველობიდან არ რჩებოდა საინტერესო მოვლენები. ამ მხრივ ილიას სანიმუშოდ მიაჩნია გრ. ორბელიანის ლექსი „მუშა ბოქულაძე“. როდესაც სამოციან წლებში ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში მუშა გამოჩნდა, წერს ი. ჭავჭავაძე, „ფხიზელმა პოეტურმა ალღომ გრ. ორბელიანისამ არც აქ იმტყუვნა“. მაგრამ ილიას არც ის დარჩენია შეუნიშნავი, რომ გრ. ორბელიანმა მუშის სახეს „თავისებური შუქი მიაფინა. თავისებურს ვამბობთ იმიტომ,—წერდა იგი,—რომ მუშა, სამოციან

[89] იქვე, გვ. 207.
[90] იქვე, გვ. 210.

წლებში პირველ-წამოყენებული, უფრო ხორციელობის უნუგეშობას უჩივის, და გრ. ორბელიანის ბოქულაძე კი ჰკვნესის სულიერობის შეცივროებისათვის"[91].

ი. ჭავჭავაძე თავის წერილებში საგანგებოდ გახაზავდა გრ. ორბელიანის პოეზიის მნიშვნელობას ეროვნული გრძნობის წინ წამოწევისათვის. ამ მხრივ გრ. ორბელიანი მას სამოციანელთა საამაყო წინამორბედად და თანამებრძოლადაც კი მიაჩნია. „სიყვარულმა მამულისამ, სამშობლო მიწისამ... სულით და გულით მიიზიდა პოეზია გრ. ორბელიანისა,—წერს ილია,—და ამ სიყვარულის გასაღვიძებლად და დასანგრევად ახლებთან ერთად არა ერთი და ორი უთქვამს თავის მშვენიერის ლექსითა. მამულის-შვილობას გრ. ორბელიანმაც შთაპბერა იგი ღონიერი სული, რომელმაც, როგორც სამოციან წლებში, ისე მერმე, ჩვენს პოეზიას განსაკუთრებული მიმართულება დაუნიშნა"[92] (დაყოფა ჩვენია—დ. გ.).

გრ. ორბელიანმა თავისი პოეზიით გვიანდერძა, რომ „ხსოვნა არ დავკარგოთ წარსულისა",—დასძენს ი. ჭავჭავაძე. მაგრამ უფრო მეტად ილიას პატრიოტი პოეტის მაღალი ეროვნული იდეალი მოსწონდა, რომელიც გრ. ორბელიანმა გამოხატა ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში", სადაც ავტორი ნატრობდა—ივერია „აღსდგეს ძლიერი და დადგეს ერად სხვა ერთა შორის".

გრ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძესთან" დაკავშირებით ი. ჭავჭავაძე გამოთქვამს მეტად საინტერესო შეხედულებას თეთრი ლექსისა და ქართულ მეტყველებაში მახვილის არსებობის შესახებ. გრ. ორბელიანმა, შენიშნავს ილია, „დაგვანახვა პირველი, მაგრამ საუცხოო და შეუდარებელი მაგალითი ქართულის ურითმო ლექსისა, არა იამბიკოს მსგავსისა, და მით დაგვიმტკიცა, რომ ქართულს სიტყვასაც თავისი ასამაღლებელი ხმა ჰქონია, ეგრე საჭირო ლექსთა-წყობის ხმოვანებისა და მუსიკისათვის. მან ამით გვაჩვენა, რომ ქართულადაც შესაძლოა ურითმო ლექსი, ეგრეთ-წოდებული „თეთრი ლექსთ-წყობა..."[93]

მართალია, „მუშა ბოქულაძე" არ ყოფილა პირველი მაგალითი თეთრი ლექსისა (იგი ჯერ კიდევ ალ. ჭავჭავაძემ გამოიყენა თავის თარგმანებში), მაგრამ უდავოდ საუცხოო მაგალითია. მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თეთრი ლექსის საკითხს ი. ჭავჭავაძე უკავშირებს მახვილს ენაში.

ქართველ რომანტიკოსთა შორის ი. ჭავჭავაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაინც ნ. ბარათაშვილს ანიჭებდა. ნ. ბარათაშვილი, ამბობს ილია, უფაქიზესი გრძნობისა და ღრმა აზრების მქონე პოეტია, რომელ-

---

[91] იქვე, გვ. 230.
[92] იქვე, გვ. 228.
[93] იქვე, გვ. 231.

მაც თავისი ადგილი დაიჭირა უნიჭიერეს პოეტთა შორის.

ნ. ბარათაშვილიც წერდა სატრფიალო ლექსებს, მაგრამ ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანისაგან განსხვავებით, „იგი უფრო სულის მშვენიერებას ჰხდიდა ტრფიალების საგნად, ვიდრე ხორციასას...“ საერთოდ, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, „იგი მით იყო უფრო ძლიერი ლირიკაში, ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზედ, რომ მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა“[94].

ამგვარად, ნ. ბარათაშვილის ლირიკა, ი. ჭავჭავაძის თქმით, პირველ ყოვლისა, იმიტომაა შეუდარებლად მდიდარი და მარად უკვდავი, რომ მასში ასახულია ფართო საზოგადოებრივი ტკივილები და გულისთქმანი, „ჭირნი და მწუხარებანი“; რომ იგი ვერ თავსდება ვიწრო ჩარჩოებში, პირად განცდათა სფეროში.

ნ. ბარათაშვილი, როგორც ეს ჭეშმარიტ კლასიკოსს შეჰფერის, უაღრესად ეროვნული პოეტია. მის პოეზიაში დიდი ოსტატობითაა გადმოცემული თანადროული ქართული სინამდვილის კოლორიტი და საზოგადოებრივი აზრის მიმართულება. ეროვნული მოტივის გაშლისას იგი რეალიზმამდე მაღლდება; მებრძოლი რომანტიზმის ეს სახელოვანი წარმომადგენელი სხვა ხასიათის ნაწარმოებებშიც ხშირად გვევლინება რეალიზმის პრინციპების დამცველად. ამიტომაა, რომ ი. ჭავჭავაძეს ნ. ბარათაშვილი სრულიად სამართლიანად მიაჩნია ყველაზე დიდ ფიგურად ჩვენს მწერლობაში შ. რუსთაველის შემდეგ. ილიას თქმით, ნ. ბარათაშვილი „ერთად-ერთი მწერალია, რომელიც სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალ-გადუწვდენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჭირბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა.., საცა ღაღადებაა ყოველგვარ სულისკვეთებისა და ვნებათა ღელვისა“[95].

ალ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანსა და ნ. ბარათაშვილს ი. ჭავჭავაძე თითქმის არასოდეს იხსენიებს რომანტიკოსებად. მართალია, მათი პოეზიის დახასიათებისას ილიას ემჩნევა, რომ მათ პოეტურ ნიმუშებში რომანტიზმის აშკარა გამოხატულებას ხედავს, მაგრამ მას ეს არ მიაჩნია წამყვანი მნიშვნელობის მოვლენად. ამიტომაც წმინდა წყლის რომანტიკოსად იგი მხოლოდ ვახტანგ ორბელიანს თვლის. „... ვახტანგ ორბელიანი, — ამბობს ილია, — ნამდვილი ლირიკოსია რომანტიკულ სკოლისა,

[94] იქვე, გვ. 211.

[95] იქვე, გვ. 219.

ეგრედ-წოდებულ „რომანტიზმს“ იგი ჰყავს ჩვენში თითქმის ერთადერთი წარმომადგენელი. ერთად-ერთს ვამბობთ იმიტომ, რომ მისი პოეზია ამ მხრით თითქმის შეურევლია და აუჭრელებელი“[96] (დაყოფა ჩვენია — დ. გ.).

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე ვახტანგ ორბელიანს იმიტომ თვლის რომანტიზმის ერთადერთ წარმომადგენლად ქართულ ლიტერატურაში, რომ იგი მთლიანად პასიური რომანტიზმის პოზიციებზე იდგა და მისი პოეზიისათვის უცხო იყო აქტიური რომანტიზმისა და რეალიზმის ელემენტებიც კი. რაც შეეხება ალ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანსა და ნ. ბარათაშვილს, რომელთა შემოქმედებაში პასიური რომანტიზმისათვის დამახასიათებელ განწყობილებებს იშვიათად ვხვდებით და რეალიზმის ტენდენციებიც აშკარად შეიმჩნევა, ილია მათ რომანტიკოსებად არ იხსენიებს. ეს უმთავრესად იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ილია, როგორც ეტყობა, მეტად დიდ განსხვავებას ხედავდა აქტიურ, მებრძოლ რომანტიზმსა და პასიურ, რეაქციულ რომანტიზმს შორის. თუმცა ეს განსხვავება მის წერილებში შესაფერი ტერმინოლოგიით არაა დახასიათებული, სამაგიეროდ მის მსჯელობებს ობიექტურად სწორედ ასეთ დასკვნამდე მივყავართ.

ი. ჭავჭავაძემ უდავოდ მართებულად განსაზღვრა ვახტანგ ორბელიანის პოეზიის ძირითადი ტენდენცია, როცა აღნიშნა: „უმთავრესი ძარღვი თ. ვახტანგ ორბელიანის პოეზიისა ერთი გულსაკდომი, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის, თითო სიტყვა მის უკეთეს ლექსებისა თითო ცალკე მარგალიტია ცრემლისა, ღრმად ნატკენ გულისაგან წარმოდინებული“[97]. ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში, ი. ჭავჭავაძის თქმით, „სასოწარკვეთილება-ღა ჰღაღადებს მთელის თავის საშინელის ზარითა“[98].

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძე კარგი შეხედულებისა იყო ვახტანგ ორბელიანის პოეზიის მხატვრულ ღირსებებზე. კერძოდ, მისი „იმედის“ შესახებ წერდა, რომ ეს ლექსიო „ერთი უწარჩინებულესი მარგალიტია ქართულ პოეზიაში“[99].

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ი. ჭავჭავაძე თავის ისტორიულ-ლიტერატურულ წერილებში მეტ ყურადღებას უთმობს ძველი ქართული მწერლობისა და რომანტიზმის წარმომადგენელთა შეფასება-დახასიათებას, ვინემ ორმოცდაათიანი წლებისა და თავის თანამედროვე რეალისტთა შემოქმედებითი პრინციპების გარკვევას. ეს კი გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ რეალიზმის თეორიის საკითხებზე მსჯელობისას, პირდაპირ

[96] იქვე, გვ. 243.
[97] იქვე, გვ. 240.
[98] იქვე, გვ. 241.
[99] იქვე, გვ. 240.

თუ არაპირდაპირ, ილია ამათ შესახებაც ლაპარაკობდა.

მიუხედავად ამისა, ი. ჭავჭავაძეს მაინც საყურადღებო შეხედულებანი აქვს გამოთქმული გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვისა და რაფიელ ერისთავის შემოქმედებაზე.

გიორგი ერისთავის ღვაწლი ქართული კულტურისა და ლიტერატურის წინაშე, ი. ჭავჭავაძის დახასიათებით, მეტად დიდი და მრავალმხრივია. გ. ერისთავი იყო დამაარსებელი და რედაქტორი პირველი სალიტერატურო ჟურნალისა („ცისკარი"), რომელმაც „აკვნობა გაუწია იმ უმაწვილ მწერლებს, რომელთაც მერე, სამოციან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად, ისეთი ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დენასა"[100]. ამასთან გ. ერისთავმა „შეჰქმნა ქართული თეატრი და სათეატრო მწერლობის მამამთავრად მოგვეველინა".

გ. ერისთავი როგორც დრამატურგი, ამბობს ი. ჭავჭავაძე, იმით არის შესანიშნავი, რომ საფუძველი ჩაუყარა რეალიზმს ქართულ ლიტერატურაში, შეცვალა ჩვენი მწერლობის მიმართულება და „მარტო განლტოლვილ ფიქრებში წასული ჩვენი გონება ჩვენს შინა-ცხოვრებას დააკვირვა..."[101] შესამჩნევი სიახლით ხასიათდება გ. ერისთავის პოეზიაც, რამდენადაც მან „ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც სატირას ეძახიან..."[102].

ი. ჭავჭავაძე გ. ერისთავს ახასიათებს როგორც ახალი მიმართულებისა და საკუთარი სკოლის შემქმნელს ჩვენს ლიტერატურაში. ამ სკოლის ერთ-ერთმა ნიჭიერმა წარმომადგენელმა ზ. ანტონოვმა, მისი თქმით, შემდეგ კიდევაც გაუსწრო თავის მასწავლებელს, რამდენადაც მან „მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრება, ავ-კარგიანობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახვა"[103].

უდავოდ სწორი და ლრტერატურის ისტორიკოსისათვის სახელმძღვანელო შენიშვნები გააკეთა ი. ჭავჭავაძემ რაფიელ ერისთავის ადგილის შესახებ ქართულ ლიტერატურაში.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, რ. ერისთავი ორმოცდაათიანი წლების ქართველ რეალისტთა სკოლას ეკუთვნის. როგორც მხატვარი და მოაზროვნე იგი ამ პერიოდის რეალიზმის წარმომადგენელია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართულ პოეზიაში რეალისტური პრინციპების დამკვიდრებაში. მან როგორც ლირიკოსმა პირველი სიტყვა თქვა ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ და სოციალური უკუღმართობით განაწამები ხალხის დასაცავად.

სამწუხაროდ, რ. ერისთავს ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსებმა

---

[100] იქვე, გვ.221

[101] იქვე, გვ. 222.

[102] იქვე.

[103] იქვე.

მაინც ვერ მიუჩინეს თავისი ადგილი. ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა წერეთლის მიერ თავიანთ სახელოვან წინამორბედად აღიარებული პოეტი რ. ერისთავი უკანასკნელ დრომდე ისწავლება როგორც 80-იანი წლების მოღვაწე. ამის გასამართლებლად, ცხადია, ოდნავადაც ვერ გამოდგება ის, რომ რ. ერისთავი, იმ დროს უკვე ხანდაზმული მწერალი, 80-იან წლებშიც განაგრძობდა ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას.

60-იანი წლებისა და შემდგომი პერიოდის ქართული ლიტერატურის დახასიათებას ი. ჭავჭავაძე მხოლოდ ზოგადად იძლევა და არ ჩერდება ცალკეულ მწერალთა დამსახურების შეფასებაზე. ეს იმითაც უნდა იყოს გამოწვეული რომ აღნიშნული ეპოქა ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში ძირითადად თვითონ ილიას ეპოქა იყო. ნიშანდობლივია ისიც, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიაში 60-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე იგი არ ხედავდა ცალკეულ პერიოდებს.

ი. ჭავჭავაძის აზრით, ყველასათვის „თვალ-ნათლად დასანახია, რომ სამოციან წლებში ახალი ხანა დაწყებულ იქმნა“[104]. სამოციანი წლები და მისი მომდევნო პერიოდი ქართულ ლიტერატურაში, ილიას თქმით, ნაყოფიერი და მდიდარი ხანა იყო.

„სამოციან წლებში, — წერს ი. ჭავჭავაძე, — ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა... რაკი „მამულს“ ბინა დაედვა ქართველთა გულში, მისმა ცხოველ-მყოფელმა სითბომ და ნათელმა მთელი მრავალგვარობა ჩვენის ცხოვრებისა გაუთვალისწინა თვითეულს მოღვაწეს ცალკე და ყველას ერთად“[105].

ამგვარად, ამ პერიოდის ქართული შწერლობის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად ი. ჭავჭავაძეს მიაჩნდა ეროვნული საკითხის აღდგენა თავის უფლებებში. მართლაც, უდავოა, რომ თერგდალეულთა შემოქმედების მთავარ მოტივს ეროვნული მოტივი წარმოადგენს, რაც კანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს იმდროინდელი ჩვენი ლიტერატურისათვის.

ცხადია, ისიც, რომ ეროვნული თავისუფლების იდეას ქართველი სამოციანელები მჭიდროდ უკავშირებდნენ შრომის განთავისუფლების საკითხს და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას საერთოდ. ეს გარემოება აქვს მხედველობაში ი. ჭავჭავაძეს, როცა ამბობს, რომ 60-იან წლებში „არ დარჩა არც ერთი მცირეოდენი კუნჭული ეგრეთ-წოდებულ მოსაქმე ცხოვრებისა, რომ ან ერთს, ან მეორე მწერალს, ძველსა თუ ახალს, თვისი კალმის წვერი არ მიეწვდინა დ ა დ ი დ ი ხ ნ ი დ ა მ დ ა-

[104] იქვე, გვ. 224.

[105] იქვე, გვ. 225.

დუმებული ჩივილი დაჩაგრულ ადამიანობისა, მთა—ბარობა უსწორ-მასწორო ცხოვრებისა—არ გაეხადნა თვისის დაკვირვების და გულისთქმის საგნად და ყოველივე ეს ცალკე თავის კალმის წვერზე არ აეგო"[106](დაყოფა ჩვენია—დ. გ.).

პატრიოტული გრძნობის გაღვივებამ და გაძლიერებამ, ი. ჭავჭავაძის აზრით, გამოიწვია ის, რომ სამშობლო ქვეყნის „წარსული, მისი აწმყო და მერმისი, კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქმნა... ზოგი წარსულით გვინათებდა ამ საკითხს, ზოგი აწმყოს განკითხვითა, ზოგი მერმისის გამოსახვითა. პროზით თუ ლექსით, ყველა ჰღაღადებდა ადამიანობის დარღვეულ უფლების სახელითა და თვით მოსაქმე ცხოვრების განკარგების წყურვილითა. ამ ეგრეთ წოდებულ „რეალურმა მიმართულებამ" ჩვენის აზრიანობისამ ჩვენი გონება დააკვირვა ჩვენს მიწიერ ავკარგიანობას და სამოციან წლებიდამ დღევანდლამდე, ამ ოცდაათის წლის მანძილზე, ბევრი საყურადღებო ღვაწლი დასდო, ბევრი ნაყოფიერი თესლი დაჰყარა სამერმისოდ"[107].

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე 60-იან წლებს აფასებს როგორც ახალი ხანის დასაწყისს ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. ამასთან მას არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „ისტორიაში არც ერთი მაგალითი არ არის, რომ ახალი მიმართულება პირველ ხანშივე ადვილად იკაფავდეს გზას"[108]; რომ „აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერი ქვეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად"[109].

მიუხედავად ამისა, ი. ჭავჭავაძის სტატიათა სერიაში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე" ვხვდებით ისეთ ფრაზებს, რომლებშიც ავტორი თითქოს უარყოფს 60-იან წლებში გაჩაღებული იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის მკაცრ ხასიათსა და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ცხადია, ეს ერთგვარ გაუგებრობას ბადებს იმ მკითხველში, რომელიც კარგად იცნობს აღნიშნული ბრძოლის ისტორიას. მაშ რაშია საქმე, რატომ იქცევა ასე ი. ჭავჭავაძე? ამ კითხვას რომ სრული და დამაჯერებელი პასუხი გაეცეს, საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს სამი მომენტი:

1. სტატია, რომელშიც ასეთი აზრია გატარებული, გამოქვეყნებული არ ყოფილა და ი. ჭავჭავაძის თხზულებებში შევიდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ, ისიც შავი ვარიანტის საფუძველზე (სხვა არც შენახულა). ის ფაქტი, რომ ამ სტატიის გამოქვეყნება ი. ჭავჭავაძემ საჭიროდ

---

[106]იქვე, გვ. 225—226.
[107]იქვე, გვ. 226.
[108]იქვე, გვ. 418.
[109]ი. ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, 1927, გვ. 118—119.

არ შიიჩნია (მაშინ იგი „ივერიის“ რედაქტორი იყო), თავისთავად ბევრს ლაპარაკობს.

2. ი. ჭავჭავაძეს აღნიშნული სტატიები დაუწერია იმასთან დაკავშირებით, რომ 90-იან წლებში ძალიან გახშირდა „ძველ“ და „ახალ“ თაობებზე, „მამებსა“ და „შვილებზე“ ლაპარაკი და, რაც მთავარია, ყოველი ახალი თაობა, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიოდა, წინა თაობას „ძველს“ უწოდებდა და ხშირად ამ მარტივი საბუთით სურდა საკუთარი უპირატესობის დადასტურება. ამის გამო „ახალი თაობისა“ და „შვილების“ სახელით ცნობილ სამოციანელებსაც ამ დროისათვის უკვე „ძველი თაობის“ სახელით იხსენიებდნენ პრესის ფურცლებზე.

მათთან პოლემიკის პროცესში ი. ჭავჭავაძე, გასაგები მიზეზის გამო, არცთუ დიდ პოპულარიზაციას უწევდა თაობათა შორის ბრძოლის საკითხს საერთოდ და აქცენტს იმაზე აკეთებდა, რომ 60-იან წლებშიც ახალი თაობის წინააღმდეგ ძველი თაობის ყველა წარმომადგენელი როდი გამოსულა.

3. როდესაც ი. ჭავჭავაძე იმ აზრს გამოთქვამს, რომ „მამათა და შვილთა“ ბრძოლა არ ყოფილა ქართულ ლიტერატურაშიო, მას ეს გარემოება სრულიად სხვაგვარად ესმის, ვიდრე ამას ჩვენი ლიტერატურის ზოგიერთი ისტორიკოსი განმარტავს. პირველ ყოვლისა, ილია ამით 60-იან წლებში იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის ფაქტს კი არ უარყოფს, არამედ ამ ბრძოლის თავისებურ ხასიათზე მიუთითებს მხოლოდ. კერძოდ, იგი უარყოფს ქართულ ლიტერატურაში ისეთი ბრძოლის არსებობას, რომელიც რუსული ლიტერატურის სინამდვილეში ცნობილი იყო „მამათა და შვილთა“ ბრძოლის სახელით.

თუ როგორ აფასებდა ამ ბრძოლას ი. ჭავჭავაძე, ეს ნათლად ჩანს მისი შემდეგი სიტყვებიდან: „მინამ სახელოვანი Современник-ი თავში ედგა მას, რაც მერე „შვილების“ ბანაკად გადაიქცა, ძველის უარყოფას დამჯდარი ჭკუა და მეცნიერება წინ მიუძღოდა და ახლის მესვეურობა თავმინებებული არ იყო. ტურგენევმა რომ ყოველის უარმყოფელი ბაზაროვი გამოხატა, Современник-მა თავის მოძმედ არ მიიღო და ითაკილა... პისარევმა კი ბაზაროვი გულში ჩაიკრა და თავისიანად მიიჩნია. რათ მოხდა ესე? იმიტომ, რომ Современник-ის უარყოფა კარგისა და ავის გარჩევით იყო და პისარევისა... ბაზაროვსავით ავისა და კარგის გაურჩეველი“[110].

აქედან აშკარაა, თუ რატომ არის წინააღმდეგი ი. ჭავჭავაძე, რომ 60 — 70-იან წლებში გაშლილ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლას „მამათა და შვილთა“ ბრძოლა ეწოდოს და ეს ბრძოლა გაგებულ და შეფასებულ იქნეს ისე, როგორც ტურგენევის მიერ დახატული „მამათა და შვილთა“ ურთიერთობა.

---

[110] იქვე, გვ. 125.

ი. ჭავჭავაძე არც იმას უარყოფს, რომ ე. წ. ნიჰილიზმს ჩვენშიც გაუჩნდნენ ბრმად მიმბაძველნი. ამასთან იგი ამ მიმართულებასაც ისტორიული თვალსაზრისით უდგება და შენიშნავს: „არც იმის თქმა გვინდა, რომ უარმყოფელს მიმართულებას კარგი არა მოუტანია რა. ბულბულივით უაზრო გალობას პოეზიისას კრიჭა აუკრა და მადა წაართვა, ავტორიტეტებზედ ბრმად დანდობა საიქიოს გაისტუმრა, ისტორიას, დიდკაცების ცუღლუტობის მაგიერ, საგნად ერის ყოფაცხოვრება მისცა“[111].

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ჭეშმარიტი ქართველი მოღვაწეები თავიდანვე სწორ გზაზე იდგნენ. ისინი დააკვირდნენ სამშობლოს მდგომარეობას და დაინახეს, რომ „ჩვენ ქვეყანას სულ სხვა ტკივილი აქვს... სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს... და თუ აქაც ბედისწერას ისე არ გადავრჩებოდით, რომ „მამა-შვილობა“ არ გამართულიყო, ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო... ის „სხვა რამე“ იყო — ჩ ვ ე ნ ი დ ა ც ე მ ულ ი ს ვ ი ნ ა ო ბ ი ს ა დ დ გ ე ნ ა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან...

... მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრო მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა. — „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“ და ბოლოს „ივერია“ სულ მაგ მიმართულების ბუკსა და ნაღარას სცემდნენ. საუკეთესო წარმომადგენელნი ჩვენი პოეზიისა სულ მაგას გვამხელდნენ, მაგას გვიგალობდნენ დღეს-აქამომდე...

... ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მინამ ჩვენი ვინაობა ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი ერთად, ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენი ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება. სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ.

ყოველის ჩვენგანის მოქმედების საწყაო, საზოგადო საქმეებში, თუ ლიტერატურაში, მარტო ის უნდა იყოს, თუ ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის მიუცილებელს საგანსა და გზას. სხვა საწყაო ტყუილია და ამაო: სხვის ბაძი იქნება და არა ჩვენის თავის საჭიროებაზედ გამოჭრილი“[112].

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე არა მარტო ახასიათებს იმ მიმართულებას, რომლის მეთაურიც თვითონ იყო, არამედ თანადროული ქართული მწერლობის სამოქმედო პროგრამასაც იძლევა. იგი აცხადებს, რომ

[111] იქვე, გვ. 124.
[112] იქვე, გვ. 128—130.

ქართული ლიტერატურის წინაშე უმთავრეს საკითხად დგას ეროვნული თავისუფლებისათვის და ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა, და ეს ასე იქნება მანამ, სანამ ქართველი ხალხი თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი თვითონვე არ გახდებაო.

ი. ჭავჭავაძე შორსაა იმ აზრისაგან, რომ ქართული მწერლობა, ქართული კულტურა კარჩაკეტილად და იზოლირებულად ვითარდებოდეს, მაგრამ იგი მთელი პრინციპულობით იბრძვის მათი თვითმყოფობისა და ეროვნული ფორმის სრულყოფისათვის. „... ზედმიწევნით უნდა გავიცნოთ, — წერს ილია, — რუსული მწერლობა და აგრეთვე უნდა ვსცდილობდეთ, სხვა უცხო მწერლობაც შევისწავლოთ. ჩვენთვის ეს იმდენად აშკარა და ჭეშმარიტია, რომ მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის... ხოლო ჩვენი აზრი ის არის, რომ ყოველს სწავლასა და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს..."[113]

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე თავის ისტორიულ-ლიტერატურულ წერილებში მიზნად ისახავდა გამოეკვლიენებინა ქართული ლიტერატურის სიმდიდრე და მიეთითებინა იმ ტრადიციებზე, რომელთაც იგი უნდა დაყრდნობოდა განვითარების შემდგომ ეტაპზე ახალი პირობების გათვალისწინებით.

ი. ჭავჭავაძის ისტორიულ-ლიტერატურული კონცეფციის დახასიათების შემდეგ ადვილია იმის გათვალისწინებაც, თუ როგორი შეხედულებისა იყო იგი ლიტერატურული კრიტიკის შესახებ.

ლიტერატურული კრიტიკა გასული საუკუნის 60-იანი წლებისათვის ჩვენი მწერლობის ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენდა. ამ გარემოებას ი. ჭავჭავაძემ ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ თავის პირველ სტატიებში და გარკვეულად მიუთითა კრიტიკის როლსა და მნიშვნელობაზე.

„კრიტიკა", — წერდა ი. ჭავჭავაძე, — არის განხილვაც, განჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად. როცა რომელსამე საგანს ფასსა სდებს კაცი, ჯერ იმის ღირსებას იტყვის (თუ აქვს ღირსება) და დაამტკიცებს, მერე... შინჯავს შიგნიდამ და გარედამ საგანსა, ყოველს მის თვისებასა, არჩევს ცუდსა და კარგსა და მერე სწონავს მართალ სასწორზედ"[114].

ქართული ლიტერატურული კრიტიკა მაინც საგრძნობი დროის მანძილზე დარჩა ჩვენი მწერლობის სუსტ უბნად. ეს გარემოება, ცხადია, აღელვებდა ი. ჭავჭავაძეს, რომელსაც კარგად ესმოდა კრიტიკის მნიშვნელობა ლიტერატურისა და, საერთოდ, საზოგადოებრივი აზრის წინმსვლელობისათვის. როდესაც შესაძლებლობა ეძლეოდა, ილია თვითო-

---

[113] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 315.
[114] იქვე, გვ. 34.

ნაც სიამოვნებით წერდა კრიტიკულ სტატიებს, მაგრამ მას უნდოდა, რომ ლიტერატურათმცოდნეობის ამ საინტერესო დარგს თავისი ოსტატები გამოსჩენოდნენ.

80-იან წლებში ი. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა სტატია „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არ გვაქვს", სადაც დამაჯერებლად უარყო კრიტიკის ჩამორჩენილობის მიზეზის ის ზერელე და დაუსაბუთებელი ახსნა, რომელიც თავს იჩენდა იმ დროს. „კრიტიკის უქონლობა ჩვენში,—წერდა ილია, — არ უნდა მიეწეროს უშინაარსობას ჩვენის ლიტერატურისას საერთოდ და პოეზიისას საკუთრად. უშინაარსობა ჩვენის ლიტერატურისა აშკარა ტყუილია. ვინც ამ ბრალს სდებს, იგი უმართლოდ ექცევა ჩვენს ნაწარმოებს და ნაღვაწს გონებისას და გულისას, და ეს მოსდის ან უვიცობით, ან განგებ, რომ კრიტიკის უქონლობის სირცხვილი თავისთავს მოაშოროს და სხვას გადააბრალოს. ჩვენ, რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ სანატრელი არ იყოს ჩვენის ლიტერატურისათვის საზოგადოდ და პოეზიისათვის ცალკედ, მაგრამ ისიც, რაცა გვაქვს ჩვენ დღეს, ღირსშესანიშნავი განძია და მრავალგვარად გამოსაყენი და სახმარი ჭეშმარიტის კრიტიკისათვის. ამას ყველა გვიმოწმებს, ვისაც კი საკუთარის თვალით ჩაუხედნია ჩვენს ლიტერატურაში და არა სხვის შთაგონებით, სხვის ჩაძახვითა".

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ქართველი კრიტიკოსის წინაშე, თუ იგი ცდილობს მართლაცდა საფუძვლიანად განიხილოს ქართული ლიტერატურის მიღწევები და ნაკლოვანებები, უდავოდ მძიმე ამოცანა დგას. ეს სიმძიმე, პირველ ყოვლისა, იმითაა გამოწვეული, რომ კრიტიკას ჩვენში მეტად სუსტი ტრადიციები აქვს, ყველაფერი თავიდან და დამოუკიდებლადაა გასაკეთებელი.

„... ჩვენს ლიტერატურაზე, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — მზა-მზარეულს აზრს ვერ ამოიკითხავთ ვერც წიგნებში და ვერც გაზეთებში... ეს გარემოება იძულებულ ჰყოფს ყოველს ჩვენგანს, ვისაც-კი მოუწადინია ჩვენი ლიტერატურის კრიტიკა, თავისის საკუთარის ჭკუით საკუთარის ცოდნით, საკუთარის მსჯელობით შეუდგეს კრიტიკის რთულს და მძიმე საქმესა, რომ თავისი საკუთარი განაჩენი დაადგინოს".

ი. ჭავჭავაძე ირონიულად ლაპარაკობს იმ ინტელიგენტებზე, რომლებიც დილეტანტურად წერდნენ ევროპელ მწერალთა შესახებ, თავი მოჰქონდათ განათლებულ ადამიანებად, მაგრამ ქართველი მწერლის შემოქმედების რიგიანი განხილვა კი არ შეეძლოთ. „ჩვენნი „სწავლულნი, განათლებულნი", დარვინის თეორიას ზედმიწევნით გაცოდინებენ, ჰეგელის ესტეტიკას, ლესინგის და ტენის ფილოსოფიას ხელოვნებისას თავისის ხელის-გულისავით გადაგიშლიან; შექსპირზედ, გეტეზედ, ბაირონზედ და თუნდა ჰომიროსზედაც, რომელნიც, — ჩვენში-კი ითქვას, — ათასში ერთს არ წაუკითხავს, თუნდა მთელს უზარმაზარ წი-

გხებს დასწერენ, და იქნება ისეთი სასწაული მოხდეს, რომ წასაკითხად ღირსი წიგნებიც დასწერონ, და ერთს პაწია ლექსს-კი ჩვენის რომელისამე პოეტისას ვერ გაუძღვებიან, როგორც რიგია", — წერდა ილია.

ამის მიზეზი, ი. ჭავჭავაძის თქმით, ისაა, რომ ევროპელ მწერლებზე ბევრი თქმულა და ბევრი დაწერილა. მათ შესახებ წიგნის დასაწერად ისიც კმარა, რომ კაცი გაეცნოს სხვების მიერ გამოთქმულ შეხედულებებს. სულ სხვა ვითარებაა, როცა საქმე მიდგება ქართველ მწერლებზე: მათ შესახებ რომ საყურადღებო რამ დაწეროს კრიტიკოსმა, ამისათვის მას საერთო განათლებასთან ერთად „სხვა უნარიც" უნდა ჰქონდეს. ხოლო „ის სხვა უნარი" იგია, რასაც თვითმსაჯულობას, თავისით მოქმედებას, თავისით სვლას ეძახიან" და რაც არცთუ ხშირად აქვს ხოლმე ადამიანსო.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, როგორც მწერალი, ასევე კრიტიკოსი ბუნებრივი ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოებული, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დილეტანტიზმის ფარგლებს ვერ გასცდება. „შესაძლოა, — შენიშნავს ილია, — კაცს მრავალი ცოდნა ჰქონდეს, და ის უნარი-კი, რომელიც თავისით ჭრასა და კერვას მოასწავებს გონების საქმეში, არ გახსნოდეს, არ გაშლოდეს სამოქმედოდ. ამგვარის მშრალის და უქმის გონების კაცი სახელოვანმა გეტემ დაგვიხატა თავის „ფაუსტში". „ფაუსტში" რომ გამოყვანილია ვაგნერი, სწორედ ზედგამოჭრილი სახეა იმგვარის კაცებისა, რომელთაც ცოდნა აქვს და საკუთარის ჭკუით ტარების უნარი-კი ღმერთს, თუ ბედს, იმათთვის არ მიუმადლებია".

ი. ჭავჭავაძე იმ აზრისაა, რომ ნიჭიერი კრიტიკოსი და ნიჭიერი მწერალი ლიტერატურისათვის ერთნაირად საჭირონი არიან; რომ კრიტიკამ წინ უნდა წამოსწიოს ლიტერატურის ჭეშმარიტი მიღწევანი, ამასთან გამოამჟღავნოს ის მავნე ტენდენციები, რომლებიც სახელს უტეხენ და სწორი გზიდან აცდენენ მას. „ლიტერატურა თავისის ფართო მნიშვნელობით, ამბობს ილია, — გონების ნაჭირნახულევი ხვავია, საცა წმინდა ხორბალიც არის და ბალახ-ბულახის თესლიცა: რაც ცხავია ხვავისათვის, ისიც კრიტიკა — ლიტერატურისათვის".

ბ. ბელინსკის კრიტიკული კონცეფციის დახასიათებისას პროფ. ა. ცეიტლინი შენიშნავს: «В Росии XIX в. не было почвы для эстетической критики, которая пользовалась очень узкой популярностью, да и то в недолгие периоды общественной депресии. Передовая критика защищала дело народа, вела самоотверженную борьбу с самодержавием и крепостничеством, пламенную пропаганду принципов реалистического и народного искусства»[115]. ეს სიტყვები რამ-

[115] А. Ц е й т л и н. Белинский — мастер русской литературной критики. В сборнике статей «Белинский — историк и теоретик литературы», 1949, გვ. 168—169.

დენადმე შეიძლება იმდროინდელი საქართველოს მიმართაც გავიმეოროთ.

მართალია, გასულ საუკუნეში ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას არ ჰყოლია თავისი გამოჩენილი პროფესიონალი წარმომადგენლები, მაგრამ ჩვენი ცნობილი მწერლები და პუბლიცისტები ყურადღებას არ აკლებდნენ ლიტერატურის ამ მეტად მნიშვნელოვან უბანს და ნაწილობრივ მაინც ავსებდნენ ხოლმე აღნიშნულ ხარვეზს. მათი წყალობით ლიტერატურული კრიტიკა ჩვენში იმთავითვე სწორ პრინციპებს ემყარებოდა და თავისი წვლილი შეჰქონდა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში.

ი. ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა შეძლეს ისტორიული და ესთეტიკური კრიტიკის პრინციპთა ურთიერთდაახლოება და ერთი მთავარი მიზნის სამსახურში ჩაყენება. ეს მიზანი კი იყო ქართული ლიტერატურის გადაქცევა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის, სოციალური უკუღმართობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედით იარაღად.

საზოგადოება, ი. ჭავჭავაძის თქმით, სულ იმის ცდაშია, რომ სრულყოფილი და ბედნიერი გახადოს თავისი ცხოვრება, და „ეგეევე წმინდა მოვალეობა კისრად ადევს ლიტერატურასაც. ამის გარეთ ლიტერატურას ასპარეზი არ აქვს"[116], კრიტიკის უპირველესი ამოცანა კი ის არის, რომ დაეხმაროს ლიტერატურას ამ მოვალეობის პირნათლად შესრულებაში.

ი. ჭავჭავაძე კრიტიკოსისაგან მოითხოვდა მხატვრული ნაწარმოების როგორც შინაარსობრივი, ასევე მხატვრული ღირსების შეფასებას, მის დაკვირვებულ გასინჯვას „შიგნიდამ და გარედამ" და ამის შემდეგ საერთო დასკვნების გაკეთებას. ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის შესახებ კი მას თავისი შეხედულება ჰქონდა. მხატვრული ნაწარმოები, ილიას თქმით, მაშინ იქნება საინტერესო და მშვენიერი, როცა მისი ფორმა და შინაარსი ერთმანეთს შეესატყვისება. მაგრამ როგორც სინამდვილეში, ასევე ხელოვნებაშიც ფორმა ყოველთვის როდი ამართლებს შინაარსს და — პირიქით. „თუმცა უწინდელი ესთეტიკები,—წერს ილია, — მოგვახსენებდნენ, რომ მშვენიერ ტანში მშვენიერი სულიც არისო, მაგრამ ჩვენ ხშირად ვხედავთ წინააღმდეგსა... მარტო ფორმა, ყალიბი არ შეიქმს მშვენიერებას..." მშვენიერებასთან მაშინ გვაქვს საქმე, „როცა ის ყალიბი, და ის, რაც ამ ყალიბშია ჩამოსხმული, ურთიერთს ეთანხმებიან, ფორმა უნდა თანაშესწევდეს იდეასა და იდეა ფორმასა. კაცი რომ ჰგვანდეს მშვენიერ ცხენს, აქ მშვენიერება კი არ იქნება, იქნება სრული

[116] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ნაწერთა სრული კრებული, ტ. IX, 1928, გვ 39.

სიმახინჯე. იმიტომ რომ იდეია კაცისა არ შეჰფერის ცხენის ფორმასა"[117].

როგორც ყოველ საქმეში, მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპთა გაშუქებისა და დამკვიდრებისათვის ბრძოლაშიც ი. ჭავჭავაძეს მხარში ედგნენ ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვა გამოჩენილი მოწინავე მოაზროვნეები.

[117] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, S — 4996.

XI; ილია და აკაკი

იშვიათია სხვა ისეთი ქვეყანა, რომლის მწერლობას უფრო დიდი როლი შეესრულებინოს თავისი ხალხის წარსულის, აწმყოსა და მერმისის გარკვევაში, ვინემ ეს ქართულ მწერლობას ხვდა წილად. იშვიათია ისეთი მწერლებიც, რომლებსაც მშობელი ერისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვთ, ვინემ რუსთაველს, ილიას, აკაკის...

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ხალხებს ნაკლები საფუძველი ჰქონდეთ იამაყონ სიტყვის ნიჭიერი ოსტატებით. მაგრამ უდავოა ისიც, რომ ქვეყნის ისტორიულმა ავბედობამ ჩვენში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა მხატვრულ სიტყვას, მხატვრული სახეებით ღრმა სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებათა გადმოცემას.

ქართველმა მკითხველმა პოეტური ქმნილებანი იმთავითვე შეიყვარა არა მარტო ესთეტიკური ტკბობისათვის, არამედ იმისათვის, რომ მასში ცხოვრების პრაქტიკული ფილოსოფია ამოეკითხა, არსებობისა და მოქმედების ჭეშმარიტი დანიშნულება შეეტყო. ამ გარემოებას მისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან სხვა უფრო ეფექტურ და მისაწვდომ საშუალებას იგი მოკლებული იყო. ამას გრძნობდნენ, პირველ ყოვლისა, ჩვენი ნიჭიერი შემოქმედნი და თავიანთ მახვილ ხედვას თანამედროვეობის საჭირბოროტო კითხვებს მიაპყრობდნენ. წინდახედულ ისტორიკოსს ქართველი ხალხის ისტორიული გზის გათვალისწინება ლიტერატურული ძეგლებითაც კი შეეძლო, მოკლებული რომ ვყოფილიყავით იმ ძვირფას საისტორიო წყაროებს, რომლებიც, საბედნიეროდ, უხვად მოგვეპოვება.

სინამდვილესთან მჭიდრო კავშირი და მისი ცალკეული სურათების, დეტალების ნათლად ჩვენება ქართულ მწერლობას მაინც ვერ მიანიჭებდა იმ მნიშვნელობას, რომელიც მან ისტორიულად დაიმსახურა, რომ არ ჰქონოდა მეორე დიდი ღირსება — ემოციური ზემოქმედების უდიდესი ძალა ეროვნული პოტენციის სწორი დანიშნულებით წარსამართავად. წმინდა ესთეტიკურ ფაქტორებთან ერთად ამ გარემოებამ უზრუნველყო რუსთაველის მარადიული სიჭაბუკე, გურამიშვილისა და ბარათაშვილის სიწარმტაცე, ილიასა და აკაკის გულთამხილველობა.

ქართულ მწერლობას საამაყოდ ისიც ეყოფოდა, რომ ისტორიული მოვლენებით მდიდარ მეცხრამეტე საუკუნეში იგი იყო ყველაზე ძლიერი ძალა, რომელიც ერის ფიქრსა და მისწრაფებას აერთიანებდა და მიმართულებას აძლევდა; იგი იყო ის დიდი ტრიბუნა, საიდანაც ისმოდა რო-

გორც კენესა მრავალჭირნახული ხალხისა, ასევე მისი კანონიერი ინტერესების ჭეშმარიტი დამცველი ადამიანების მგზნებარე ხმაც. და თუ საუკუნის პირველ ნახევარში ამ კენესასა და ამ ხმას ჯერ კიდევ აკლდა შეწყობა-მთლიანობა, მეორე ნახევარში ვითარება არსებითად იცვლება. ეს სასურველი ცვლილება კი, რამაც ეპოქალური გარდატეხა და ძვრები გამოიწვია ქართულ საზოგადოებრივ აზრში, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია ილიასა და აკაკის ღვაწლთან.

ილია და აკაკი თავდადებით იბრძოდნენ ერთი დიდი საქმისათვის—ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის. ამიტომ იყო, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ ორი ღირსეული მედროშის სახელებს თანამედროვენი ერთმანეთს არ აცილებდნენ. ილია და აკაკი! აკაკი და ილია!—ასე იხსენიებდნენ მათ და ახლაც ასე ვიხსენებთ მადლიერი შთამომავალნი.

... ილია და აკაკი ერთმანეთს პირველად პეტერბურგში გაეცნენ. ადვილი წარმოსადგენია, მაღალი ოცნებებით გატაცებულმა ახალგაზრდებმა თუ რა დიდი ცნობისმოყვარეობით შეათვალიერეს ერთმანეთი!

ილია სამი წლით უფროსი იყო აკაკიზე. როდესაც აკაკი პეტერბურგში ჩავიდა, ილიას იქაურ ქართველ სტუდენტთა შორის უკვე ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული. „ჩემს თავგადასავალში“ აკაკი ილიასთან პირველი შეხვედრის შესახებ არაფერს ამბობს. ილიას დახასიათებას არ იძლევა იგი ამ ნაწარმოების მეორე ნაწილშიც, სადაც სხვა თანამედროვეთა პორტრეტებს ხატავს. ჩანს, რამდენიმე ფრაზით ილიას დახასიათება აკაკიმ მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

მიუხედავად ამისა, სავარაუდოა, რომ იმ პეტერბურგში ქართველ სტუდენტთა შორის, რომლებმაც გარკვეული როლი შეასრულეს აკაკის გადაწყვეტილების მიღებაში—უარი ეთქვა სამხედრო სასწავლებელზე და უნივერსიტეტში შესულიყო, ილიაც ერია.

„ჩემს თავგადასავალში“ აკაკი საგანგებოდ შენიშნავს: „მაშინდელი სტუდენტობა სულ სხვანაირი იყო საზოგადოდ და ქართველებსაც. მათთან ერთად, სხვა ფერი ედვა... მეც მათთან სტუმრობამ მალე გადამიგდო გულიდან სამხედრო სურვილები და ძალაუნებურად მათ წრეში ამოვყავი თავი“. ამასვე იმეორებს იგი თავის ერთ ლექსშიც:

მაგრამ რომ ჩაველ პეტერბურგს,
იქ სტუდენტობა დამიხვდა;
დამიჯდა მათი ნარჩევი...
წინა განზრახვა წამიხდა!
მაშინ დავდექი სხვა აზრზე,
გამომეცვალა მე გული,
მივხვდი, რომ მხოლოდ პოეტად
ვიყავი დაბადებული“...

აკაკი და ილია შორიდან ადრეც იცნობნენ ერთმანეთს. ჯერ კიდევ

„ცისკრის“ 1859 წლის მარტის ნომერი აკაკის ლექსით („პ. წ.“) იხსნება, რომელსაც მოსდევს ილიას ლექსი „მეც შავ თვალებს“. ამის შემდეგ შეუძლებელია მათ დავიწყებოდათ ერთმანეთი. ისიც უდავოა, რომ სხვებზე მეტი უფლება ილიას ჰქონდა აკაკისათვის შთაეგონებინა, რომ შენ მხოლოდ პოეტად ხარ დაბადებულიო.

მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ილია და აკაკი ერთად მოღვაწეობდნენ და მათი შემოქმედებითი გზები არ გაყოფილა. ისინი ყოველთვის დიდი სიყვარულით ადევნებდნენ თვალყურს ერთმანეთის საქმიანობას, დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ერთმანეთის ახალ ნაწარმოებებს. თუ საჭიროდ დაინახავდნენ, პაექრობასაც არ გაურბოდნენ, მაგრამ ერთმანეთის ღირსება და მნიშვნელობა არასოდეს დავიწყებიათ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მათ ურთიერთზე უკეთესი მკითხველი და დამფასებელი არა ჰყოლიათ.

ილიასა და აკაკის დამოკიდებულება მთელი ორმოდაათი წლის მანილზე მისაბაძი მაგალითია ერთი საერთო საქმისათვის თავდადებული ყველა მოღვაწისათვის. დიდი სიღრმითა და სიფაქიზით ხასიათდება მათი ურთიერთგაგება და პატივისცემა მოღვაწეობის ყველა უბანსა და ყველა ეტაპზე. ილია და აკაკი ბუმბერაზი თანამედროვენი იყვნენ, რომლებსაც არასოდეს უკადრებიათ ოდნავი მინიშნებაც კი საკუთარი თავის უფრო მაღლა დაყენებისა. მართალია, კრიტიკოსები ზოგჯერ სვამდნენ ხოლმე კითხვას, თუ რომელი მათგანი უფრო დიდი იყო, მაგრამ თვითონ ილია და აკაკი ამ კითხვას არასოდეს შეუწუხებია. ისინი ყველაზე კარგად იცნობდნენ ერთმანეთს და ჭეშმარიტადაც სწამდათ, რომ ვალად ედოთ შეცილება არა სახელში, არამედ სამშობლოს სიყვარულსა და მისი უკეთესი მერმისისათვის ზრუნვაში. ამიტომ იყო, რომ, ერთი შეხედვით, სხვადასხვა ხასიათისა და ბუნების ილიასა და აკაკის ერთხელაც არ არევიათ საერთო და პიროვნული, საზოგადო და კერძო.

უდიდესი სიამოვნება გეუფლებათ, როცა დაწვრილებით ეცნობით ამ ორი გამოჩენილი ქართველი მოღვაწის ურთიერთობას და თვალნათლივ ხედავთ, თუ რა ნამდვილი სიხარულით ხარობდნენ ერთმანეთის მიღწევებით და რა მტკივნეულად განიცდიდნენ ერთმანეთის ოდნავ წაბორძიკებასაც კი. საჭიროების შემთხვევაში დათმობაც კი იცოდნენ და შერკინებაც, მაგრამ ფარგლებს არასოდეს სცილდებოდნენ. კარგად გრძნობდნენ, რომ ეროვნული საქმის მათ სიყვარულსა და თავდადებას ჭუჭყი არ მიჰკარებია, მის ტოლფასოვან გრძნობად სხვა გრძნობა არ მიუჩნევიათ, კერძო ინტერესი საერთოზე მაღლა არ დაუყენებიათ. მშობელი ქვეყნის უანგარო მსახურთ სხვაგვარი ურთიერთობის უფლება არც ჰქონდათ და მათ დიდბუნებოვანებას ამ ვითარების სწორად გაგებაც მოწმობს.

1861 წელს ილია ტოვებს უნივერსიტეტს და სამშობლოში ბრუნ-

დება. მას აქ დიდი ბრძოლის გადახდა ელოდა. მისმა პირველმა სტატიამ („ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“), რომელიც პეტერბურგიდან გამოგზავნა, „ცისკრის“ მესვეურთა შორის დიდი რეაქცია გამოიწვია. „მამებმა“ გადაწყვიტეს მკაცრად დაესაჯათ ბელინსკის ტომებით შეიარაღებული „ურჩი შვილი“. ილიამაც ბრძოლა საქართველოში, „ცისკრის“ ფურცლებზევე გამართა. „მამებს“ თითქოს ერჩიენათ საკუთარ მოედანზე ეწარმოებინათ ბრძოლა ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა და ნაკლებად ცნობილი პოეტის წინააღმდეგ. თავდაპირველად მათ ეჭვი არ ეპარებოდათ თავიანთ ძალებსა და გამარჯვებაში. ილიაც გრძნობდა ამას და თითქოს გულში ეღიმებოდა... დინჯად უყრიდა თავს მათ მიერ დაუსაბუთებლად წამოყენებულ ბრალდებებს და ჭეშმარიტად უხაროდა, რაც უფრო მეტი საკითხის დასმისათვის ეძლეოდა საბაბი. როგორც თავისი „პასუხის“ შესავალში ამბობს, უნდოდა ერთი „კაი ზომიერი ლუკმა“ მაინც გამოსულიყო, რომ „ღირებულიყო ჩასაყლაპავად“.

ბრძოლა მკაცრი და რიცხობრივად უთანაბრო გამოდგა. „მამათა“ მთელი ბანაკი იბრძოდა ილიას წინააღმდეგ. მაგრამ ილია იმთავითვე ილია იყო: რკინისებური ლოგიკითა და ყველასათვის გასაგებად აბათილებდა იგი მოწინააღმდეგის ყოველ ცდას შეცდომაში შეეყვანა მკითხველი. ცისკრელებს სხვა გზა არ ჰქონდათ: უნდა შეეზღუდათ ილია და თანდათან მოესპოთ მისთვის „ცისკრის“ ფურცლებზე გამოსვლის საშუალება. ხედავდა ამას ილიაც და საკუთარი ჟურნალის გამოსაცემად ზრუნავდა. ეს კი სრულიად არ უნდოდა „ცისკარს“, რომელიც სიტყვით თითქოს სიხარულს განიცდიდა ახალი ჟურნალის მოლოდინში, ხოლო საქმით ყოველნაირად ცდილობდა, რათა ილიას თავის განზრახვაზე ხელი აეღო. ამ მიზნით „ცისკარში“ გამოქვეყნდა ისეთი სტატიები, რომელთა ავტორები ცუდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ ილიას ჟურნალს და, თითქოს ხალხის აზრს გამოთქვამდნენ, „ამტკიცებდნენ“, ხელისმომწერნი არ ეყოლებაო...

გავიდა სრული ერთი წელიწადი ამ ბრძოლის დაწყებიდან და „ცისკრის“ რედაქციამ ერთდროულად მიიღო სამი სტატია, რომლებიც პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებს ეკუთვნოდათ და მკაცრად ამხილებდნენ „მამების“ უვიცობასა და უტაქტობას. ორი სტატია „ცისკარმა“ მაშინვე გამოაქვეყნა და თანაც განაცხადა: „მესამე კიდევ იყო სტატია ამავე საგანზედ. იმას შემდგომ ნომერში დავბეჭდავთ“. ეს მესამე სტატია სწორედ აკაკის ეკუთვნოდა. მასში აკაკისათვის დამახასიათებელი იუმორითა და ოსტატობითაა გაკიცხული „მამების“ პოზიცია. აკაკი ამ დროისათვის საკმაოდ პოპულარული პოეტია. მისი პოეტური ნიჭის სიძლიერე თვით ცისკრელთა მიერაც იყო აღიარებული. ამიტომაც მისი სტატია შემდეგი ნომრისათვის გადადვეს როგორც ყველაზე უსიამოვნო

და საზიანო მათთვის.

ეს იყო აკაკის პირველი კრიტიკული სტატია („ახირებული ფურცელი"), საგულისხმოა, რომ ეს პირველი სტატია აკაკიმ ილიას შეხედულებებისა და პოზიციის დასაცავად დაწერა.

როგორც ცნობილია, „მამებთან" ბრძოლაში „შვილები" და მათი მედროშე ილია გამარჯვებული გამოვიდა. ილიამ მოიპოვა საკუთარი ჟურნალის („საქართველოს მოამბე") გამოცემის ნებართვაც. 1863 წლიდან ჟურნალმა გამოსვლა დაიწყო, მაგრამ „ცისკრელებმა" მოახერხეს აკაკის კვლავ „ცისკარში" განეგრძო მოღვაწეობა. ამით მათ სულ სხვა მიზანი ჰქონდათ—უნდოდათ ილია და აკაკი ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინათ, მაგრამ ამაოდ... ბოროტი ენების წყალობით აკაკი, მართალია, „ცისკარში" დარჩა, მაგრამ იგი აქ კვლავ ილიას დაწყებულ საქმეს ემსახურებოდა. მათ შორის პრინციპული უთანხმოების ჩამოგდება შეუძლებელი იყო. მათი გული ერთი საერთო ინტერესით ძგერდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ჯერ კიდევ „ცისკრის" 1860 წლის მეხუთე ნომერში გამოქვეყნებულ ლექსში „ამაო ძებნა" აკაკიმ ილიას „აჩრდილის" მეხუთე თავის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით („ცისკარი", 1859, № 10) ავტორი მშვენივრად წარმოადგინა მისივე ნაწარმოების ფონზე; მიახვედრა, რომ მასაც იგივე ტკივილები აწუხებდა. გრძნობათა და ფიქრთა ეს თანხვდენილობა აშკარად გამომჟღავნდა მაშინაც, როცა ერთი მათგანი „საქართველოს მოამბეში" აქვეყნებდა თავის ნაწერებს, მეორე კი—„ცისკარში".

„საქართველოს მოამბე" ერთი წლის თავზე დაიხურა, ხოლო ილია იძულებული შეიქნა თბილისიდან წასულიყო და მღელვარე ლიტერატურულ საქმიანობას რამდენიმე წლით ჩამოსცილებოდა. ამ გარემოებამ გაამხნევა და წააქეზა „ცისკარი". ილიას მიერ საკმაოდ მაგრად მიბეგვილმა პოლემისტებმა ძალ-ღონის მოკრება და ილიას დაწყებული საქმის დამცირება სცადეს. ისინი არ თაკილობდნენ იმასაც კი, რომ ამ მიზნით ილიას და აკაკის შედარებისათვის მიემართათ, ვითომდა ამ უკანასნელის უპირატესობის საჩვენებლად.

ცისკრელთა ასეთმა ქცევამ, როგორც ჩანს, აკაკის მხოლოდ ზიზღი აღუძრა. მან გადაწყვიტა ასეთი „პატივისმცემლებისათვის" თვითონ ეჩვენებინა ილიას ნამდვილი მნიშვნელობა და მისი უდიდესი მომავალი.

„ცისკრის" 1865 წლის მეცხრე ნომერში აკაკიმ გამოაქვეყნა სტატია „რამოდენიმე სიტყვა „ჩონგურის" შესახებ". ეს სტატია, როგორც სათაურიდან ჩანს, მიძღვნილი იყო კ. ლორთქიფანიძის მიერ პეტერბურგში გამოცემულ ქართველ პოეტთა ლექსების კრებულის გარჩევისადმი. აკაკიმ ისარგებლა ამ მშვენიერი საბაბით და, პირველმა ჩვენს კრიტიკაში, მეტად მაღალი და საფუძვლიანი შეფასება მისცა ილიას შემოქმედებას, მის დამსახურებას ქართული მწერლობის წინაშე.

აკაკიმ ილიას დამსახურება წარმოადგინა არა იზოლირებულად, არამედ წინა პერიოდის ქართული მწერლობის განვითარების ფონზე.

პირველი პოეტი, რომელიც ხალხის ინტერესებიდან გამოდიოდა და ხალხის მომავალზე ფიქრობდა, ა. წერეთლის შეხედულებით, ნ. ბარათაშვილი იყო. თავისმა პოეტურმა მოწოდებამ, ამბობს აკაკი, ნ. ბარათაშვილი ადრევე შთააგონა: „მარტო ბუნებას ნუ შესცქერი, შეხედე ხალხსაც, გამოიძიე რას შვრება, რა ეჭირვება კეთილდღეობისათვის". პოეტმაც თავისი თვალი ხალხს მიაპყრო, მაგრამ დაინახა „ხალხის დაბალი ცხოვრება და სხვა ვერაფერი", რამაც ააღელვა იგი და მარტოობას მიეცა („სული ობოლი"); მისი ახალგაზრდული გატაცება და რწმენა თითქოს მოისპო („სულო ბოროტო"). „მაგრამ, — შენიშნავს აკაკი, — ძნელია ისეთის დიდის ნიჭის დაცემა აღუდგენლად, როგორც ბარათაშვილი იყო, და ამისათვის ეს დაცემის გამომხატველი გრძნობა იყო მხოლოდ წამითი, მოკლე ხნის აღბორგების გამო"; მან ღრმა ანალიზი გაუკეთა ადამიანის რაობასა და დანიშნულებას, რის შემდეგ დარწმუნდა, რომ ადამიანის ვალია ხალხისათვის, ქვეყნისათვის ზრუნვა („ფიქრნი მტკვრის პირას") ბარათაშვილმა, მიაგნო რა ამ აზრს, „მოინდომა სოფლის რგება და მისი ხალხის ბედნიერება". მაგრამ, აწმყო ცხოვრების დაცემულობა რომ შეიგრძნო, „დაიწყო მიზეზის გამოძიება: რა არის ამის მიზეზი, რამ დასცა ასე ხალხიო. წარმოიდგინა ძველი დრო და ნახა, რომ ჩვენი წინაპრები უსაყვედუროდ რჩებიან თვის ცხოვრებაში და არა გვგვანან ჩვენ: მათ დროს საქართველო მოითხოვდა ქართველებისაგან მტერზედ გულის რისხვას და სისხლის თხევას და ეს მოთხოვნილება თავშეწირვით აღსრულდებოდა ხოლმე ჩვენი მამებისაგან. ჩვენი დრო მოითხოვს ჩვენგან ძმების სიყვარულს, ერთპირობას და პატიოსანს ოფლს და ამ მოთხოვნილებას ჩვენვე დავსცინით და ვსდევნით. ამას ხედავდა პოეტი და ამბობს: მიზეზი რა გვქონდა ასე დაცემისო? ჰფიქრობს, ხედავს და გვიჩვენებს ჩვენ მის „ქართლის ბედში", სადაც ამ უბედურების მიზეზს გვიხატავს მეფის ირაკლისა და სოლომონ მდივნის საუბარში".

მაგრამ არც ამ გზით შეეძლო ნ. ბარათაშვილს ამოეწურა თავისი დანიშნულება. მარტო წარსულსა და აწმყოზე დაკვირვებით იგი ვერ დააკმაყოფილებდა თავის პოეტურ მოწოდებას, რომელიც ჩასჩურჩულებდა: „მარტო წარსულზე და აწმყოზე ნუ სტრიალებ, იფიქრე მაგ ხალხის მომავალზედაც!.." ეს რჩევა სულით და გულით შეითვისა ბარათაშვილმა და ზეწამომდგარმა და ამაღლებულმა შეურყევლად თვისი მომავალი ცხოვრების და შრომის რჩევის დასკვნა დაგვიწერა „მერანში", მაგრამ ვაი რომ სიკვდილმა მოუსწრაფა დღეები და მისი სურვილი დარჩა შეუსრულებლად", — დასძენს აკაკი.

ნ. ბარათაშვილი, აკაკის თქმით, დიდხანს ელოდა ჭეშმარიტ მემკვი-

დრეს, გამგრძელებელს, მაგრამ არ ჩანდა... ბოლოს გამოჩნდა ი. ჭავჭავაძე, რომელმაც შესჩივლა ხალხს: „აი, რა უნდა ეთქვა თქვენთვის ბარათაშვილსაო“.

ი. ჭავჭავაძე არის ბარათაშვილი დღეს, — სამართლიანად ეუბნებოდა აკაკი.60-იანი წლების ქართველ საზოგადოებრიობას, — მისი საქმის გამგრძელებელი ახალი ეპოქის შესატყვისად: მათ შორის უდიდესი კავშირია და „ერთის უმეორესოთ გაგება ძნელია“.

ილიას ლექსს „ხმა სამარიდამ“ რომ არჩევს, აკაკი ამბობს: „როგორც ლექსი ძალიან სუსტია, მაგრამ ამის ერთ სტრიქონს, ფუთობით რომ მიბოძოთ, ჩვენი ბულბულების ნაწერში, რომელშიაც პოეზიაც იქნება, მარცვლებიც და რითმებიც, არ გავცვლი; და მიზეზიც ის არის, რომ ამ ლექსებში ოცნებას კი ვერა ვხედავთ, მაგრამ [ვხედავთ] ყოველდღიურს ჭეშმარიტებას, ჩვენს ნაკლულოვანებას და ჩვენს საჭიროებას და ამისათვის მოგვწონს პოეტი და ამაში მდგომარეობს მისი მაღალი ღირსებაც.. თუ ჭავჭავაძის ლექსებში მარტო ხელოვნებას მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ მის ლექსებს არ ექნება დიდი ღირსება, მაგრამ ჩვენ მარტო ხელოვნებას არ ვეძებთ (ხელოვნურად ნათქვამი სისულელე და ოცნება მაინც სისულელე და ოცნება იქნება), ჩვენ ვეძებთ ჭკვიან აზრებს და ამას კიდევაც ვპოულობთ ჭავჭავაძის ლექსებში“.

ა. წერეთელი კიდევ უფრო მაღალი შეხედულებისაა ი. ჭავჭავაძის პროზაზე, რომელიც მას თითქმის უნაკლოდ მიაჩნია. „ჩემის აზრით, — ამბობს აკაკი, — მისი „კაცია ადამიანი?! და „გლახის ნაამბობი“ ობოლ მარგალიტებად რჩებიან ჩვენს ლიტერატურაში“. და მართლაც, თუ ისინი ობლად აღარ დარჩნენ შემდგომ, ეს ისევ ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივისა“ და ა. წერეთლის „ბაში-აჩუკის“ წყალობით.

ამგვარად, სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ნ. ბარათაშვილისა და ი. ჭავჭავაძის ღვაწლისა და დამსახურების პირველი ჭეშმარიტი შემფასებელი არის ა. წერეთელი. იგი ყველაზე უფრო ღრმად და სრულად ჩასწვდა სახელოვანი წინამორბედისა და საამაყო თანამოკალმის შემოქმედების იდეურ და მხატვრულ ღირსებებს, ნათელყო მათი მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ი. ჭავჭავაძის დამსახურების საჩვენებლად ყველას მიერ აღიარებული ავტორიტეტის—ა. წერეთლის გამოსვლას „ცისკრის“ ფურცლებზე მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კრიტიკული რეალიზმის გაბატონებისათვის, მოწინავე სოციალურ-პოლიტიკური იდეების დასამკვიდრებლად მებრძოლ საზოგადოებრივ ძალთა პოზიციების განმტკიცებისათვის.

თვით ა. წერეთელი, რომელიც „ჩონგურის“ ფურცლებზე ი. ჭავჭავაძის გვერდით იყო წარმოდგენილი და რომლის პოეტური ღირსების დამცირება საერთოდ არავის უცდია, მისმა სტატიამ წარმოაჩინა როგორც

საერთო საქმისა და საზოგადოებრივი ინტერესების მაღლა დამყენებელი. აკაკი ილიას თვლიდა შეუცვლელ იდეურ წინამძღოლად და ნიჭიერ მწერლად, ხოლო ილია აკაკის—უანგარო პატრიოტად და უნიჭიერეს პოეტად.

და არა მარტო კრიტიკული სტატიით, არამედ თავისი ნაყოფიერი პოეტური და პუბლიცისტური მოღვაწეობით აკაკი ერთგულად და მთელი პრინციპულობით ემსახურებოდა იმ მიმართულებას, რომელსაც საფუძველი ილიამ ჩაუყარა. ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ილია, მართალია, მთელი ათი წელი ჩამოცილებული იყო ლიტერატურულ ცხოვრებას, მაგრამ ახალმა თაობამ ამ პერიოდში მაინც უდიდეს გამარჯვებას მიაღწია. და ეს მოხდა, პირველ ყოვლისა, აკაკის წყალობით. აკაკის ამ დროს განვითარების ახალ ეტაპზე აჰყავს ქართული პოეზია და პუბლიცისტიკა, იგი ქართული პრესის სული და გულია. „თამამად შეიძლება ვთქვათ, — წერდა „დროების“ რედაქტორი ს. მესხი, — რომ ყველა ახლანდელს ჩვენს მწერლებში აკაკი ყველაზე უფრო ნიჭიერია და ყველაზე უფრო გამოსადეგი გაზეთისათვის. ამისთანა ცოცხალი კალამი, მარჯვე, მკვირცხლი სიტყვა, ირონია და ადვილი წერის ნიჭი არც ერთ ჩვენ მწერალს არ აქვს. ამიტომ ძვირფასად მიმაჩნია ის გაზეთისათვის და საზოგადოდ ჩვენი ახალი ლიტერატურისათვის“.

აკაკის დიდ ბუნებრივ ნიჭს ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები ხშირად ზეადამიანურ მოთხოვნებს უყენებდნენ. ისინი ერთმანეთს ეცილებოდნენ პოეტისათვის ხელიდან გამოეტაცათ რაიმე. „სხვაგვარად შეუძლებელია, ამას საქმე მოითხოვს“, „სხვაგვარად გაზეთი ვერ გამოვა“,— უმტკიცებდნენ და შესთხოვდნენ აკაკის პრესის მუშაკები. აკაკიც იძულებული იყო ზოგჯერ ჭეშმარიტი პოეტური შთაგონების გარეშეც მოეკიდა ხელი კალმისათვის, რათა ყოველდღიური წვრილმანების შესახებ ეფიქრა და ეხარჯა თავისი მაღლიანი პოეტური შთაგონება. ამას გრძნობდა თვითონაც და არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მის ბევრ ნაწერს უკვე აღარ შეუძლია შესაფერი შთაბეჭდილება მოახდინოს მკითხველზე: მათ მხოლოდ გარკვეულ დროს ჰქონდათ მნიშვნელობა, რომლის გასათვალისწინებლად საჭიროა იმისი მოგონებაც, თუ რა შემთხვევამ და რა გარემოებამ აიძულა პოეტი დაეწერა ისინი.

თავის მხრივ, ჟურნალ-გაზეთებიც მართალი იყვნენ: აკაკის ე. წ. სუსტ ნაწარმოებს მაინც მეტი რეზონანსი ჰქონდა და მეტი შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლო, ვინემ სხვების ნათქვამს. ეს იცოდა თვითონ აკაკიმაც და საქმის სასარგებლოდ ზოგჯერ საკუთარ წმინდა პოეტურ ღირსებას ვნებდა. სამწუხაროდ, ზოგიერთი საქმეში ჩაუხედავი ლიტერატორი ხშირად ვერ ითვალისწინებს ამ გარემოებას და ანგარიშს არ უწევს იმ ვითარებას, რომელსაც თვით აკაკი ასერიგად აფასებდა. შემ-

თხვევითი ხომ არაა, რომ აკაკი თავის თავს „გარემოების საყვირს“ უწოდებს? აკაკის ასეთი მიმართულება კარგად ესმოდათ თანამედროვეთ და ჭეშმარიტი სიყვარულით უპასუხებდნენ პოეტის უანგარო სამსახურს. განა უდავო არაა, რომ აკაკი ყველაზე ახლოს იყო ხალხთან და ყველაზე მეტად უსმენდნენ მას? მან ხომ თავის სიცოცხლეშივე მოიხვეჭა ნამდვილი სახალხო პოეტის სახელი და საკუთარი თვალით ნახა ხალხის მიერ ამაგის დაფასების მთელი სიდიადე!

... როდესაც ი. ჭავჭავაძის „გამოცანები“ გავრცელდა და მის ავტორსა და მთელ ახალ თაობას გრ. ორბელიანის საპასუხო რისხვა დაატყდათ, გაზეთ „დროების“ რედაქტორს ს. მესხს ბევრი არ უფიქრია, თუ ვისთვის უნდა ეთხოვა საბრძოლო მოედანზე გამოსვლა: მისი არჩევანი იმთავითვე აკაკიზე შეჩერდა. და ეს ხომ პირველი შემთხვევა არ ყოფილა. როცა კი სასწრაფო ან მკაცრი პასუხის დაწერა იყო საჭირო, აკაკი შეუძლებელია ვინმეს დავიწყებოდა (მაგრამ განა მარტო ამ დროს? „განთიადის“, „სულიკოს“, „ციცინათელას“ ავტორი სხვა დროსაც პირველი აგონდებოდათ).

ს. მესხი არ შემცდარა. მალე მან ქუთაისიდან მიიღო აკაკის ფელეტონი „ახმედ-ფაშა კახაბერი“ („დროება“, 1872, № 29), რომელშიც შეტანილი იყო აკაკისავე მკაცრი პამფლეტი „ფარშავანგი“. მაშინ დაიწერა აგრეთვე აკაკის ცნობილი ლექსი „ხარაბუზა ღენერალს“, ხოლო ცოტა უფრო გვიან—„ძველი და ახალი წელი“, რომელშიც იგი ილიას იცავს და გრ. ორბელიანს უსაყვედურებს.

თვითონ ილია უაღრესად დიდად აფასებდა აკაკის სიტყვის ძალას, მის მადლიან მუზას, საყოველთაო ავტორიტეტსა და მისდამი ხალხის უსაზღვრო სიყვარულს. ილია მეტად კმაყოფილი იყო აკაკის როგორც ჭეშმარიტი სახალხო პოეტის პოპულარობით. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა აკაკის მოგზაურობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და მის უშუალო შეხვედრებს ხალხთან. ილიამ აღფრთოვანებული სტრიქონებიც[1] კი უძღვნა აკაკის ასეთ მოგზაურობებს 1882 წელს გორსა და თელავში. ილია კმაყოფილი იყო, ერთი მხრივ, იმ დიდი სიყვარულის გამო, რომელიც ხალხმა გამოავლინა აკაკისთან შეხვედრების დროს, ხოლო, მეორე მხრივ, აკაკის მეტად წინდახედული, კარგად გააზრებული და მგრძნობიარე სიტყვებით. „ჩვენდა სასიხარულოდ, — წერდა ილია, — ჩვენშიც თითქმის ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისთვის გარჯილ კაცისა, საჯაროდ მადლის გადახდა მისი, ვისაც ერისთვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდვია, სიტყვით თუ საქმით შესწევნია თავის მამულსა და თანამემამულესა. ამისი მაგალითი ბ-ნ აკაკი წერეთლის მოგზაურობაა ამას წინათ გორში და ამ ბოლოს ჟამს კახეთში. ერთგან და მეორეგანაც შესაბამის პატივით დახვედრია ქართველობა თავის პოეტსა და პირუთვნელის სიტყვით გა-

[1] ი. ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული, 1927, ტ. VI, გვ.352—353.

მოუცხადებია თავისი მადლობა და პატივისცემა მისთვის. ვინც ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ამ ოცდახუთ წელიწადში ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის. ამ სიყვარულის აღფრთოვანებაში ბ-ნ აკაკის გამოჩენილი ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში. ბედნიერია, ჩვენის ფიქრით, აკაკი, რომ იღვაწა და თავისის ღვაწლის ნაყოფი სიცოცხლეშივე თავისის საკუთარის თვალით ისახულა. ვამბობთ, ისახულა, იმიტომ რომ საქართველოს და ქართველის სიყვარულისაგან არის წარმოშობილი ის პატივისცემა, რა პატივისცემითაც დახვედრიან ჩვენს პოეტს გორსა და თელაყში, და ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თითონ აკაკი წერეთელს არაერთხელ დაუკვნესებია თავისი ტკბილი ქნარი. უმოქმედებია თავისი მიმხიდველი სიჭაბერება. თავისი ძარღვიანი სიტყვა. თავისი სიტურფით სავსე ქართული. საცა წაუციდა ბ-ნი აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთაასხმული და გაღონიერებული სიყვარული საქართველოს და ქართველისა, წინ დახვდა გულწრფელი პატივისცემითა და მადლიერებით აღსავსე გულითა. აგრეთ თვითონვე იგუმა ბ-ნმა აკაკიმ ნაყოფი თავის დანერგულისა და დათესილისა".

მართალი იყო ილია: აკაკიმ, რომელიც „ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ... ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის", სიცოცხლეშივე ნახა „თავისი ტკბილი ქნარის", „თავისი მარილიანი სიტყვის", „თავისი სიტურფით სავსე ქართულის" ნაყოფი.

ილია და აკაკი, პირველ ყოვლისა, დიდი ქართველები იყვნენ. მათი მოღვაწეობისათვის უცხო იყო კუთხური, ვიწრო ხედვა. ყვარლელ ილიასა და სხვიტორელ აკაკის ერთნაირად ესმოდათ ცნებები „საქართველო" და „ქართველი". და არა მარტო თვითონ ესმოდათ, არამედ ბევრი გააკეთეს იმისათვის, რომ სხვებსაც სწორად გაეგოთ. მეტად ფაქიზად ეპყრობოდნენ ისინი ჯანსაღი პატრიოტიზმის დანერგვას ხალხში და ხალხმაც ჯანსაღი სიყვარულით დააფასა მათი დიდი ქართველობა. აკაკის გამოჩენა ქართლ-კახეთში თუ ილიას მოგზაურობა სამეგრელოში მთელი ქართველი ხალხის ზეიმი იყო, მისი ჭეშმარიტი შვილების ღვაწლმოსილობით შემკული და დამშვენებული.

ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ ის დიდი წვეულება, რომელიც თელავის საზოგადოებრიობამ გამართა მათ თან სტუმრად ჩასულ აკაკის პატივსაცემად, და ის სიტყვა, რომელიც აქ წარმოთქვა „ჩანგურის" ავტორმა. „ისტორიული სიმართლე მალაპარაკებს და არა პატრიოტული გატაცება, — მიმართა აკაკიმ გმირ კახთა შთამომავლებს, — რომ ჩვენ, ქართველები, ვეკუთვნით რჩეულ ხალხს და ჩვენი წარსული გასაოცარია... ჩვენს სამშობლოში მისთანა ადგილზე ფეხს ვერ დაად-

გამთ, რომ ჩვენის წინაპრების ძვლებით არ იყოს გაპოხიერებული და მათი სისხლით დამბალი. ისე ლუკმაპურს ვერ ჩავიდებთ პირში, რომ ჩვენი მამა-პაპების ნაწილი არ ჩაგვყვეს, და წვეთ ღვინოს ვერ ჩავყლაპავთ ისე, რომ შიგ ჩვენი თავგანწირული გმირების სისხლიც არ ერიოს! ეს ლუკმა და წვეთი არიან ჩვენი წმინდათა-წმინდა".., რომელიც სიწმინდითა და სასოებით უნდა მივიღოთ ხოლმე და გვაგონებდეს წინაპართა ღვაწლსა და ჩვენც იმავე გზით მივემართებოდეთ, რა გზითაც მათ უვლიათ, მხოლოდ დროების შესაფერად კი...

... საზოგადოთ ბრძოლის დროს, როდესაც ჩვენი წინაპრები ქვეყანას აკვირვებდნენ, კახელები ყოველთვის მოწინავე რაზმში ყოფილან... ჩვენ დროსაც მეთაური და მოწინავე იყო თქვენივე შვილი ილია ჭავჭავაძე, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ყოველი თქვენგანი სიამოვნებითა და ამპარტავნობით იგონებს და რომლის სადღეგრძელოსაც მე ახლაც გიახლებით, იმედია თქვენივე თანხმობით"...

ილიამ საჯაროდ გამოთქვა თავისი აღფრთოვანება აკაკის მიერ თელავში წარმოთქმული სიტყვის გამო, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ის იყო ნამდვილად აკაკისებური: აკაკის სჩვეოდა ყოველი მომენტისა და შემთხვევის გამოყენება პატრიოტული გრძნობის გასაღვივებლად.

ამ სიტყვის გამო ილია წერდა: „ამაზე მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულ ენაზედ. კითხულობთ და გიკვირთ, გიკვირთ და კითხულობთ, არ იცით, რა რას დაამჯობინოთ, სიტყვა აზრს, თუ აზრი სიტყვას, — ისე შეზავებულია ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტურფე სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი ორატორის ხელოვნების დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს, და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც მთქმელს სურვებია.

„ღმერთმა ჰქნას, შენ და შენისთანები მომავალშიაც ბევრი გვყოლოდესო",—უთქვამთ ბ-ნ აკაკისათვის. „ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი სიტყვაო, — უპასუხნია აკაკის, — რასაც დღეს ვჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არის ხოლმეო"...

„ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასაო",—დაუგვირგვინებია თავისი სიტყვა ბ-ნ აკაკის...

ღმერთმა ადიდოს, ასახელოს, გაუმარჯოს იმ შვილს, რომელიც მამას დაემჯობინება ქვეყნის სამსახურში და რომელიც ეგრე ეჭირვება ჩვენს მშვენიერს მიწა-წყალს, ჩვენს საყვარელ საქართველოს! გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც, რომლის სამსახურს და ღვაწლს ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრად, და რომლის მშვენიერის ლექსებით დაიტკბობს ყურს და გრძნობას, და არა ერთხელ გულს მოიცემს მამულის-შვილობისათვის", — დასძენს ილია.

ასეთი შეხვედრები და გამოსვლები ხომ აკაკის ი შვიათად არ ჰქონია!

როცა ქართველი საზოგადოებრიობა ეროვნული მნიშვნელობის რაიმე საკითხს წყვეტდა, შეუძლებელი იყო ეს ილიასა და აკაკის გარეშე მომხდარიყო. ეს ბუმბერაზი ადამიანები თავიანთი ხალხის საკეთილდღეოდ არაფერს ზოგავდნენ. მათთვის ამ დროს უცხო იყო პატიოსმოყვარეობა, სხვადასხვა საბაბით განზე გადგომა და საქმის გვერდის ავლა. საკმარისი იყო მათ ერთმანეთისათვის ეთქვათ, ეს საქმე უშუნოდ არ იქნებაო, რომ მაშინვე კისრად ეღოთ და გულმოდგინედ შესდგომოდნენ. როგორც ცნობილია, აკაკი ადმინისტრაციულ სამუშაოს გაურბოდა. მას დევიზად ჰქონდა თავისი მადლიანი მუზა და მახვილი კალამი სხვა საქმეებით არ მოეცდინა. მაგრამ ამას ყოველთვის მაინც ვერ ახერხებდა. და ვერ ახერხებდა იმიტომ, რომ ზოგჯერ აუცილებლობა ითხოვდა ამ მხრივაც მსხვერპლი გაეღო. აკაკიც არაერთხელ ჩასდგომია სათავეში კარგ წამოწყებებს თუ ცუდად დაწყებული კარგი საქმეების მოგვარებას. ეს ითქმის თუნდაც იმ დიდ ამაგზე, რაც მან ქართულ თეატრს დასდო. ერთი ამგვარი შემთხვევის გამო თვითონ აკაკი იგონებს: „ერთხელ ილია შემოვიდა ჩემთან და მითხრა: დავიღუპეთო!.. თეატრი ხელიდან გამოგვაცალეს და ასე კარგად დაწყებული საქმე უნდა შევაჩეროთ ამ სეზონში და ეს ხომ დაღუპვაო! მეც ჩემი გულდაწყვეტა გამოვუცხადე. მერე მომიბრუნდა და მითხრა: მოდი, ერთი შენ მოჰკიდე ამ საქმეს ხელიო"...

აკაკიმ, მართლაც, იხსნა თეატრი ამ დაღუპვისაგან—სპექტაკლები რიგიანად იქნა წარმოდგენილი და მალე ქართული დრამატული საზოგადოებაც დაარსდა, რომელსაც სათავეში ილია და აკაკი ჩაუდგნენ. რამდენი სიკეთე და სარგებლობა მოუტანა აკაკიმ ქართულ თეატრს, რამდენ მომავალ მსახიობს და რეჟისორს შენიშნა მან საამისო ნიჭი და რამდენი დააყენა სწორ გზაზე!

ილიამ როგორც რედაქტორმაც კარგად იცოდა აკაკის თანამშრომლობის ფასი, ისევე როგორც აკაკიმ—ილიას პრინციპულობისა და პირდაპირობის მნიშვნელობა. როდესაც ჟურნალ „ივერიის" ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთება გადაწყდა, ილიამ თავის სასურველ თანამშრომლებს სპეციალურად დაბეჭდილი მიმართვა დაუგზავნა და თავისი გადაწყვეტილება და გაზეთის პროგრამა შეატყობინა. ილიას ასეთი მიმართვა აკაკისათვის არ გაუგზავნია, რადგან აკაკისათვის სტანდარტული ფორმის მიმართვის გაგზავნა კადნიერებად მიუჩნევია. ამასთან მისი მონაწილეობის გარეშე ილიას გაზეთის გამოცემაც არ სურდა, ამიტომ მას 1886 წლის 5 იანვარს საგანგებო ბარათი მიუწერია აკაკისათვის: „ძმაო აკაკი!—წერს ილია აკაკის, — მე შენ ვერ გაგიკადნიერდი და ვერ მოგართვი ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გაუგზავნე. სხვები სხვანი არიან და შენ ერთად ერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემი საკუთარი წადილისა, მოვალეობამ მამულის-შვილობისამ მაიძულა ჩვენის ქვეყნის რჩეულისათვის რჩეული, განსაკუთრებითი წერილი მიმერ-

თმია და მეთხოვა გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენის ნიჭის ნაშუქითა. თუ აქამდე ეს წერილი დავაგვიანე, მაგას ნურც ჩემს განთქმულს ზარმაცობას მიაწერ, ნურც რომელსამე ავგუნებიან მოძრაობას ჩემის გულისას, რომელსაც შენ ყოველთვის სასიქადულოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეობარი, ჩვენის ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული. მიზეზი ის იყო, რომ არ ვიცოდი სად იმყოფებოდი. ჯერ აქ მეგონე, ახალი წლის წინა ღამეს მოგიწვიე და პასუხად მომიტანეს,— ქალაქში აღარ არისო. დღეს შევიტყვე, რომ ჩამოსულხარ და გწერ კიდევაც· გწერ და არ ვიცი, რა გთხოვო, და როგორ გთხოვო...

... გულითადი წადილი მაქვს, რომ შენმა სახელმა დაამშვენოს ჩვენი გაზეთი, გული მერჩის გთხოვო შემწეობა და გულის ხმად აღებული საბუთი კი მაფრთხობს: ვაი თუ ეს თხოვნა ზნეობრივი ძალდატანება იყოს და იმ კაცს ჰოს თქმაც გავუძნელო და არასიცა-მეთქი.

მე ჩემი სათქმელი გულახდილად გითხარი, გულახდილადვე ზედ ვუმატებ, რომ უშენობა ჩემის გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება. ეხლა შენ იცი. მაინც და მაინც გთხოვ დარწმუნებული იყო, რომ შემეწევი თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათაშორის, მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენის 25 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები“.

აკაკიმ სიამოვნებით მიიღო თავისი მეგობრის თავაზიანი მიწვევა და ამის შემდეგ არაერთხელ დაუმშვენებია „ივერიის“ ფურცლები.

ილია და აკაკი ყველგან და ყოველთვის ერთ დიდ საქმეს — სამშობლო ქვეყნის აღორძინებისა და ქართული მწერლობის აყვავების საქმეს ემსახურებოდნენ. ილია ზოგჯერ იძულებული ხდებოდა ნაკლები დრო დაეთმო წმინდა ლიტერატურული მუშაობისათვის და ისეთ საქმეებში ჩაფლულიყო, რომლებიც, ერთი შეხედვით, მას არც უნდა ეკეთებინა. ცნობილია, მაგალითად, თუ რა დიდი დრო და ენერგია მოახმარა ილიამ ბანკის საქმეებს. მაგრამ ილია ვარაუდობდა, რომ ბანკს ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ვითარებაში არა მარტო დიდი სამეურნეო მნიშვნელობა ექნებოდა. ბანკის საკითხის მოგვარების შემდეგ ილიამ საფუძველი ჩაუყარა მეორე დიდ დაწესებულებას — „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“. როცა ამ საზოგადოების დანიშნულებასა და საქმიანობას ვეცნობით, აშკარა ხდება, რომ ილია მას სახალხო განათლების ხელმძღვანელი ორგანოს ზოგიერთ ფუნქციას ასრულებინებდა. აღნიშნული საზოგადოების არსებობა კი ბევრად იყო დამოკიდებული ბანკზე. აქედან ცხადია, თუ რატომ არ ზოგავდა ილია დროს ბანკის საქმისათვის. ეს გარემოება საკითხის უფრო სწორ გარკვევას ითხოვს, ვინემ ამას ჩვეულებრივ ვხვდებით ხოლმე ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში.

აკაკის ვერაფრად ესიამოვნა ქართველ მოღვაწეთა მიერ ბანკის თაო-

ბაზე დაწყებული მკაცრი პოლემიკა, რასაც მან „ბანკობია“ უწოდა, მაგრამ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების შემდეგ მან კარგად გაუგო ილიას და ამ საზოგადოების ერთ-ერთი ბურჯიც გახდა. ილიასთან ერთად იგი ასევე დიდი სიყვარულით ემსახურებოდა „ქართული წიგნის გამომცემელთა ამხანაგობასა„ და იმ სხვადასხვა კომისიებს, რომელთა ამოცანა იყო ქართული კულტურის ცალკეული საკითხების შესწავლა და გადაწყვეტა.

საერთოდ, აკაკის სწორად ჰქონდა გათვალისწინებული მოღვაწეობის რომელი უბნიდან მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო თავისი ქვეყნისათვის და მკაცრად გაურბოდა ისეთ საქმეს, რომელიც მისი ნიჭის შეუფერებელი იყო. მას პრეტენზია არ ჰქონია, მაგალითად, ილიაობა ეკისრა ბანკის საქმეში. ამიტომაც 1889 წელს, როცა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის საერთო კრებამ აკაკის ბანკის თავმჯდომარეობა სთხოვა, აკაკიმ მათ მადლობა მოახსენა და განუცხადა, რომ ეს მხოლოდ ბორკილი იქნებოდა მისი პოეტური მოღვაწეობის გზაზე. აკაკი უდავოდ სწორად მოიქცა. ისიც რომ ბანკის საქმეებით დაკავებულიყო, ლიტერატურის ასპარეზი გაღარიბდებოდა. 90-იანი წლებიდან, როცა ილია ლიტერატურულ-შემოქმედებით მუშაობას ჩამოსცილდა, აკაკის ნაყოფიერ პოეტურ მოღვაწეობას კიდევ მეტი მნიშვნელობა ეძლეოდა ქართული ლიტერატურის შემდგომი აღმავლობისათვის. მართალია, ამ დროს ქართველ მწერალთა რიგებს უკვე ამშვენებდნენ მომდევნო თაობის ნიჭიერი წარმომადგენლები, მაგრამ ილიასა და აკაკის ავტორიტეტი მაინც სხვა იყო: მათში ერი ხედავდა იმედსა და მომავალს, უსმენდა და სჯეროდა მათი. ვფიქრობ, სადავო არაა, რომ 1905 წლის რევოლუციის მზადების პერიოდში არც ერთ ქართველ პოეტს ისეთი დიდი გავლენა არ მოუხდენია მასებზე თავისი პროგრესული იდეებით, როგორიც მოახდინა აკაკიმ თავისი მებრძოლი პოეზიით.

900-იანი წლები ერთ-ერთი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი პერიოდი იყო ქართველ მწერალთა მოღვაწეობაში. რთული ისტორიული პირობები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხის სამსახურში ნაცადი პოეტების სიტყვას, მათ ბრძოლას რეაქციის მძიმე შედეგების წინააღმდეგ ცხოვრებასა და ლიტერატურაში.

ამ დროსაც ერთმანეთს ავსებდნენ და ამაგრებდნენ ილია და აკაკი! და განა ყოფილა ოდესმე ისეთი მომენტი, როცა მათ თავიანთი საქმიანობით ერთმანეთისათვის და საზოგადო საქმისათვის ევნოთ? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ არა.

... ამ პატარა წერილში ჩვენ შევჩერდით მხოლოდ რამდენიმე მომენტზე ილიასა და აკაკის ურთიერთდამოკიდებულების ისტორიიდან, რათა ერთხელ კიდევ მოგვეგონებინა მკითხველისათვის ორი დიდი თანამედროვის მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა საერთო საქმისათვის

ბრძოლაში. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიზნით არანაკლებ საინტერესოდ გვეჩვენება ის მიმდინარე და კეთილმოსურნე პოლემიკა ილიასა და აკაკის შორის, რომელიც იშვიათი რელიეფურობით აჭლენს ორი დიდი მოაზროვნის, ორი დიდი მგზნებარე გულის სიახლოვესა და თავდადებას ერთი დიდი საქმისათვის.

ცხადია, ბევრს აღარაფერს ვამბობთ იმაზე, თუ რარიგ უდგნენ მხარში ერთმანეთს ილია და აკაკი როგორც მხატვრები. ეს გარემოება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. როგორც მწერლები, როგორც სიტყვის ოსტატები ილია და აკაკი ყოველთვის ერთ დიდ მიზანს ემსახურებოდნენ, მათ ყოველთვის ერთნაირად ესმოდათ მწერლისა და მწერლობის დანიშნულება.

ახალი ქართული ლიტერატურის ამ ბუმბერაზმა ფუძემდებლებმა 50 წლის მანძილზე მთელი დიდი ეპოქა შექმნეს ქართული ლიტერატურისა და, საერთოდ, ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. მათ სახელებთანაა, პირველ ყოვლისა, დაკავშირებული კრიტიკული რეალიზმის გაბატონება და მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დამკვიდრება ქართულ ლიტერატურაში, ქართული ყოფისა და ხასიათების გამომხატველ ჭეშმარიტად სამაგიდო, მარად უკვდავ ნაწარმოებთა შექმნა, ქართული სალიტერატურო ენის დახვეწა-დამუშავება, სალიტერატურო კრიტიკისა და პუბლიცისტიკის მეცნიერულ ნიადაგზე დაყენება, ქართული თეატრისა და სხვა კულტურული უჯრედების წმინდა ეროვნულ საფუძველზე აღორძინება და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ. ყოველივე, რაც მოწინავე, პროგრესული და სასახელო გაკეთდა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, პირველ ყოვლისა, ილიასა და აკაკის სახელებთანაა დაკავშირებული.

ცხადია, ისინი მარტონი არ იყვნენ. ამაშია მათი ძალა და დამსახურებაც. მათ თავიანთ გარშემო დარაზმეს საუკეთესო თანამებრძოლები: ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ს. მესხი, ი. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი და სხვები. მათ მიერ საფუძველჩაყრილ საქმეს გამოუჩნდნენ ისეთი სახელმოხვეჭილი მოწაფეები, როგორიც იყვნენ: ვაჟა-ფშაველა და ა. ყაზბეგი, ნ. ლომოური და ბაჩანა, ს. მგალობლიშვილი და თ. რაზიკაშვილი, ა. ცაგარელი და ე. ნინოშვილი, შ. არაგვისპირელი და ირ. ევდოშვილი... და განა მარტო მწერლობაში? მოღვაწეობისა და აზროვნების ყოველ სფეროში შექმნეს მათ საიმედო დასაყრდენი სამერმისოდაც.

ამის შემდეგ გასაგებია, რომ ღვაწლმოსილი ილია და აკაკი თავიანთ ქვეყანაში თავს ისე გრძნობდნენ, როგორც ბედნიერი მამები, რომლებიც მოესწრნენ შვილების დავაჟკაცებას. და ხალხიც ისე შესცქეროდა მათ, როგორც მადლიერი შვილები საამაყო მშობლებს.

შემთხვევითი ხომ არ იყო, რომ ჭაღარა აკაკიმ 1905 წელს საჯაროდ განაცხადა:

„ასრულდა თითქმის, რასაც ვნატრობდით
ჩვენ ამ ნახევარ საუკუნეში
და, როგორც სვიმონ მოხუცებულსა,
მეც მომეცინა, მოხუცს, ნუგეში.
გამოილვიძა ხალხმა ძძინარმა,
რომ მოიპოვოს თავისუფლება
სიტყვის, მწერლობის, კრება-ერთობის
და აასრულოს საერთო ნება!..
ახლა-კი სწორედ შემიძლია ვთქვა:
თუმცა გაყლიე ცხოვრების გზანი,
მაგრამ ნუგეშად მიმყვება მე თან
დიდი იმედი, კარგი ნიშანი“

აკაკი და ილია უკვე ხედავდნენ თავიანთი შრომის ნაყოფს, ხედავდნენ, რომ ხალხი აღდგა თავისუფლებისათვის. მათი ოცნება ფრთებს ისხამდა.

ამიტომ იყო, რომ ილიას მოულოდნელმა და მუხანათურმა მკვლელობამ ასეთ დროს განსაკუთრებული მწუხარება მოჰგვარა მთელ საქართველოს. „ილია მოკლეს!“ — იმეორებდა გაკვირვებული და ბოღმამორეული ხალხი! „ილია მოკლეს!“ — აუწყებდა მკითხველს შავი არშიებით დასერილი გაზეთები. მთელი ქვეყანა გლოვამ მოიცვა!

ილიას მკვლელობის ამბავმა ავადმყოფ აკაკიმდეც მალე მიაღწია. ძნელი იყო მისთვის ამ საშინელი ამბის დაჯერება: ილიაში ის ხომ საკუთარ თავსაც, ერის სინდისსა და სიმტკიცეს ხედავდა. ანდა როგორ უნდა დაეჯერებინა, რომ ხალხის სამსახურში გაჭაღარავებულ დიდებულ მწერალს, ნახევარი საუკუნის მანძილზე ერის სადარაჯოზე მდგომ შეუცვლელ გუშაგს ტყვია ესროლეს!

გულგამგმირავად აკვნესდა მოხუცი აკაკი:

„ნუ მიწაძლავთ მოხუცს გრძნობას
და ნუ ამბობთ, რაც არ მჯერა.
ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა
საქართველოს ბედისწერა?“

აკაკის მწუხარებას ისიც აორკეცებდა, რომ ამ ამბავს იგი ლოგინში მწოლარე შეხვდა... არ შეეძლო შესაფერისი მონაწილეობა მიეღო საამაყო მეგობრის ვერაგული მკვლელობით გამოწვეულ სახალხო გლოვაში.

1907 წლის 21 სექტემბერი იდგა, ილიას დაკრძალვის დღე. სამგლოვიარო პროცესია მთაწმინდისაკენ გაემართა... აი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შენობას გაუსწორდა იგი. თვალცრემლიანმა ხალხმა, ისე როგორც ერთმა კაცმა, შენობის აივანს მიაპყრო თვალი: იქ ილიას ყველაზე ღირსეული თანამებრძოლი და თანამოკალმე ეგულებოდათ. მოლოდინი საფუძვლიანი იყო... როგორადაც უნდა ყოფილიყო აკაკი, იგი უნდა გამომშვიდობებოდა სა-

ქართველოს დიდ მოამაგეს, რომელსაც დაჭრილი გულით მაინც ფაქიზად მიჰქონდა მშობლიური ქვეყნის სიყვარული და მდუმარე ბაგეებით თითქო იმეორებდა:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!...“

რამდენიმე კაცის დახმარებით აკაკი აივანზე გადმოდგა... ეს იყო, ალბათ, ყველაზე მძიმე წუთები აკაკის ცხოვრებაში, და მანაც გულსაკლავად ამოიგმინა:

„ეს რას ვხედავ? რად მიღალატე, ძმაო: ერთ უღელში ვებით, ჭაპანს ერთად ვეწეოდით, ახლა უღლიდან თავი გამოგიშვია, მარტო დაგიგდივარ... ახლა ცალი-ღა რის მაქნისი ვარ, რატომ თან არ წამიყვანე? რად გამეყარე?..“

შემდეგ აკაკიმ ხალხს მიმართა:

„ახალი მოძრაობის წინამორბედი... დღეს უკუღმართად მოკლული, ძევს კუბოში ჩვენ წინ და თითქოს გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო“. გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია-რა! და მეც, როგორც ქართველს, მწუხარების გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ვეღარას ვამბობ და გადავდივარ საპირადოზე. მშვიდობით, ძმაო!—გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით. ეხლა ჩემი მარტო დარჩენა, დაობლება, საძნელოა...

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი მოიხადე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას, შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად იღაღადებენ... თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები, და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინგაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და, აჰა, საქართველოს ყოველ კუთხიდან თავმოყრილი გეხვევიან გარს... და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს“.

როგორც ამბობენ ხოლმე, აკაკის ეს სიტყვები კომენტარს არ საჭიროებენ. მათში ნათლადაა წარმოდგენილი ორი ბუმბერაზი მწერლისა და მოღვაწის ურთიერთდამოკიდებულებისა და შემოქმედებითი თანამეგობრობის სიღრმე და კეთილშობილება.

... ილიას გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ ქართველმა ხალხმა ფართოდ აღნიშნა აკაკის სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავი. ეს არნახული ზეიმი ეკუთვნოდა ილიასაც, რომელიც ისე გარდაიცვალა, რომ იუბილე არ ღირსებია. აკაკის მოღვაწეობის 50 წლისთავი — ეს ხომ დიდი საქმის გამარჯვების დემონსტრაცია

იყო, რომელსაც ასე უანგაროდ ემსახურებოდნენ ილია და აკაკი! ამიტომ იყო, რომ თბილისსა თუ პარიზში, ქუთაისსა თუ პეტერბურგში, ბაქოსა თუ მოსკოვში, რაჭა-ლეჩხუმსა თუ ქართლ-კახეთში ყველა ქართველი და ქართველთა ჭეშმარიტი მეგობრები უსაზღვრო სიხარულით ზეიმობდნენ აკაკის იუბილეს, თავს ხრიდნენ ამაგდარი პატრიოტისა და ბუმბერაზი პოეტის წინაშე. რუსი და უცხოელი თვითმხილველნი უმაგალითოს უწოდებენ იმ ზეიმს, რაც ხალხმა საყვარელ იუბილარს გაუმართა. ერთი ფრანგი ჟურნალისტის თქმით, მსგავსი პატივისცემის მოწმე სხვა მწერალთაგან, გარდ ჰიუგოსი, საეჭვოა ვინმე ყოფილიყო.

აკაკი არასოდეს ივიწყებდა ილიას. ყოველს თავის სიტყვასა და გამოსვლაში ხაზს უსვამდა მის უდიდეს დამსახურებას და მოუწოდებდა ახალგაზრდა თანამემამულეებს ესწავლათ მისგან, მიებაძათ მისთვის. ამასთან აკაკი მკაცრად ამხილებდა იმ ბობოლა მოხელეებს, რომლებმაც მალე დაივიწყეს სამშობლოსათვის თავდადებული ილია. სამაგიეროდ აკაკი მუდამ კმაყოფილი იყო მშრომელი ხალხისა, ვინც ალალი გულით ატარებდა საყვარელი პოეტის ხსოვნას, ამ აზრითაა გამსჭვალული 1910 წელს ილიას ხსოვნის საღამოზე, 1913 წელს ილიას ძეგლის გახსნაზე აკაკის მიერ წარმოთქმული სიტყვები.

ბევრი სხვა ფაქტის მოყვანა შეიძლებოდა ამ ორი ბუმბერაზი მოღვაწის მჭიდრო ურთიერთობის საჩვენებლად, მაგრამ მთელი მათი შემოქმედება და მოღვაწეობა თავისთავად ხომ ამაზე მეტყველებს. ამასვე მოწმობს ისიც, რომ უდიდესი სიყვარულისა და სიახლოვის ნიშნად ქართველი ხალხი მათ ყოველთვის ერთად იხსენიებს:

ი ლ ი ა! ა კ ა კ ი!—ა კ ა კ ი! ი ლ ი ა!

მათ უახლოეს მეგობრობასა და მათი საქმის ერთობაზე მეტყველებს რუსთაველის პროსპექტზე აღმართული ის ქანდაკებაც, რომელიც მადლიერმა შთამომავლობამ უძღვნა ილიასა და აკაკის უკვდავ ხსოვნას.

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი[1]

აბაშიძე ს. 82–86, 105, 136
ანტონ კათალიკოსი 62, 83, 85
ანტონოვი ზ. 5, 7, 8, 290
ანდრონიკაშვილი რ. 230, 231
არაგვისპირელი შ. 314
აფხაზი კ. 13–16, 42, 43
არდაზიანი ლ. 8, 61, 87–89, 96, 125, 158, 159, 161, 162

ბარათაშვილი ნ. 5–7, 10–16, 35, 53, 57, 93, 94, 96, 103, 107, 116, 120–122, 136, 140, 143, 144, 146, 167, 288, 305
ბარათაშვილი გ. 59, 61, 62, 63, 70, 72, 73, 80, 155, 170
ბარათაშვილი ს. 104, 108, 116, 195, 196
ბაზაროვი 293
ბაირონი ჯ. 39, 40, 48
ბასტია 104, 195, 199, 200, 201
ბაქრაძე დიმ. 61, 163, 198
ბეკარიო 181
ბელინსკი ბ. 38, 40, 49, 50, 51, 63–66, 70, 72, 74, 77, 157, 169, 171, 172, 175, 246–248, 251, 253, 261, 267, 271, 275, 278, 297
ბერიევი დიმ. 56, 62
ბერიძე ივანე 104
ბერძენოვი (ბერძენიშვილი) ნ. 88
ბუტკოვი ვ. 100

გაგოიძე ვ. 199, 204
გამეზარდაშვილი დ. 17, 65, 97, 113–115
განძაკეცი კ. 104
გარიბალდი 33, 34, 203
გაჩეჩილაძე ა. 74, 88, 89
გერცენი ა. ი. 40, 44, 171
გორისელი 82, 83
გოგოლი ნ. 40, 51, 74, 280
გოგებაშვილი ი. 4, 314

[1] საძიებელი შეადგინა მ. ჩ ხ ა ი ძ ე მ

გოეთე ი. ვ. 34, 40
გრიბოედოვი ა. ს. 40, 147, 248
გურამიშვილი დ. 281, 283
გუგუშვილი პ. 100, 178, 189, 192, 201

დადიანი-ჭავჭავაძე ეკ. 14, 16
დიდებულიძე ძ. 147
დობროლიუბოვი ნ. ა. 38—40, 104, 117, 175—176, 178, 188, 213, 279

ევდოშვილი ირ. 314
ელბაქიძე ალექსი 162
ერისთავი რ. 46, 83
ერისთავი გ. 5—8, 16, 103, 104, 136, 146, 148, 158, 196, 290
ეზოპე 282
ექვთიმე 83

ვაჟა-ფშაველა 314
ვენგეროვი ს. ა. 66, 248, 271

ზაიცევი 147
ზალცმანი კ. გ. 104, 195, 199

თარხნიშვილი ი. დ. 231
თუმანიშვილი გ. 105, 230, 231
თულაშვილი ვ. 104, 105, 116, 167, 182—186, 196, 209

ინაშვილი ნ. 218
ინგოროყვა პ. 15, 82
იოსელიანი პ. 231

კალანდაძე ალ. 103, 146, 206
კარამზინი 47, 51, 63, 71, 74
კატკოვი მ. 215
კენჭოშვილი ა. 189
კერესელიძე ი. 4, 57, 60, 151, 155, 157, 159, 164, 167, 168, 170
კიფერი 199
კოზლოვი ი. 47—50, 54, 56, 59, 61, 63, 247

ლავრეცკი ა. 279
ლენინი ვ. ი. 25, 36, 37
ლერმონტოვი მ. ი. 40, 51, 103, 104, 147, 174, 280
ლესინგი 157
ლომოური ნ. 314
ლორთქიფანიძე კ. 4, 81, 82–85, 95–97, 104, 105, 130, 149, 159–163, 175, 176, 178, 304, 314

მამაცაშვილი ი. 170
მახარაძე აპ. 14
მაღალაშვილი ე. 182, 186, 187, 189, 209
მაჭავარიანი თომა 87
მგალობლიშვილი ს. 314
მელიქიშვილი ლ. 231
ლორის-მელიქოვი მ. ტ. 231, 232
მესხი ს. 4, 209, 237, 314
ალექსი-მესხიშვილი ს. 52, 62, 72–75, 87
მეუნარგია ი. 205, 206
მიტჩელი 199
მიცკევიჩი ა. 48
მონტესკიო 181
მურიე 197
მუხრანსკი გ. 238
მუხრან-ბატონი ი. კ. 231
მუხრან-ბატონი გ. კ. 231, 232

ნაკაშიძე პ. 104, 105, 149, 179, 180, 216
ნეკრასოვი 40
ნინოშვილი ე. 314
ნიკოლაძე ნ. 4, 36, 39, 40,42, 82, 83, 124, 201, 214–216, 220, 230 237, 245, 299, 314

ოგარიოვი ნ. 214
ორბელიანი ალ. 78, 79, 123, 172, 173
ორბელიანი სულხან-საბა 281
ორბელიანი გ. 103, 143, 146
ორბელიანი ვ. 289
ორბელიანი გრ. 7, 13, 53, 57, 93, 94, 99, 103, 143–145, 158, 215, 226, 230–232, 234–236, 247, 286, 287
ოქრომჭედლიშვილი ი. 104, 105, 195, 198, 199, 209

პავლოვი 146
პეზორინი 147
პისარევი 293
პოლონოვი 83
პრუდონი 20, 104, 195, 199, 200, 201
პუშკინი ა. ს. 40, 48, 51, 280

რაზიკაშვილი თ. 314
რატიანი პ. 217
რატიშვილი გ. 104, 194
რიუკერტი 40
რუსო ჟან-ჟაკ 199
რუსთაველი შ. 53, 55, 62, 67, 94, 280, 288
რჩეულიშვილი გ. 155

სერებრიაკოვი ი. 101, 209
სიხარულიძე ქს. 264, 265
ვალტერ სკოტი 39
სტოუ ბიჩერი 176
სულხანიშვილი გ. 80, 104, 209

ტოლსტოი ლ. ნ. 40, 280
ტურგენევი ი. ს. 40, 280

უმიკაშვილი პ. 4, 102, 206, 209, 219, 237, 314

ფურცელაძე ა. 4, 105, 158, 164, 168, 186, 189, 196

ქიქოძე მ. 219
ქუთელია ა. 246

ღოღობერიძე ბ. 230—232
ღოღობერიძე ნ. 101, 209
ღაღანიძე მაქს. 104

ყაზბეგი ალ. 314
ყიფიანი დიმ. 16, 96, 194–196, 198,199, 209, 231
ყიფიანი ნ. 217
ყიფიანი დ. 87, 101, 104, 105, 149, 188–191, 197
ყიფიანი მიხ. 104, 105, 169, 171, 172, 173,175

შადური ვ. 196
შევიროვი 63
შექსპირი ვ. 40, 54, 158
შენიე ა. 40, 48, 148
შილერი ი. ფ. 39, 40
შჩედრინი 124

ჩახრუხაძე 54, 55, 63, 74, 83, 85, 282
ჩერნიაკი ი. 214
ჩერნიშევსკი ნ. გ. 38–41, 171, 188, 213, 215, 244, 252
ჩიკვაიძე მიხ. 148
ჩოქოვანი გ. 104, 147, 167
ჩხიკვაძე მიხ. 209

ცაგარელი ა. 314

წერეთელი ა. 4, 5, 35, 81–83, 86, 87, 89, 158, 208, 230, 237, 245, 291, 299–302, 305, 306, 309, 311–313, 315–317
წერეთელი გ. 4, 81–83, 104, 105, 149, 151–159, 168, 172, 206, 209, 234, 237, 245, 291, 299, 314
წერეთელი ე. 79, 80, 83–87

ჭავჭავაძე ილია 3–116
ჭავჭავაძე იასე 231
ჭავჭავაძე ალ. 5–7, 9, 13–16, 53, 93, 94, 103, 143, 144, 286, 288
ჭავჭავაძე ეკ. 14–16
ჭონქაძე დ. 8, 125, 158

ხუნდაძე ს. 81

ჯანდიერი ლ. 199
ჯიმშერაძე მ. 107
ჯორჯაძე ბ. 59–61, 63, 65, 66, 68, 69, 70, 71, 76, 77, 78, 85, 87–90, 170.
ჯორჯაძე დიმ. 230–232

ჰაინე ჰ. 40
ჰეგელი გ. ვ. ფ. 157
ჰიუგო ვ. 104, 147, 148, 165, 180, 181

შ ი ნ ა ა რ ს ი

I. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. პეტერბურგის უნივერსიტეტში. კვლავ სამშობლოში 3

II. ი. ჭავჭავაძე და იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე 49

III. ი. .ჭავჭავაძე — ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ რედაქტორი. იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის გაგრძელება 98

IV. ი. ჭავჭავაძე და იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა 70-იან წლებში 222

V. ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული შეხედულებები რეალიზმის თეორიის შუქზე. .242

VI. ილია და აკაკი .300

Гамезардашвили Давид Минаевич

ИЛЬЯ ЧАВЧАВАДЗЕ
ВЕЛИКИЙ ГРУЗИНСКИЙ ШЕСТИДЕСЯТНИК
(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1989

გამომცემლობის რედაქტორი აზა კაჭარავა-კერესელიძე
მხატვარი ოთარ ვარვარიძე
სამხატვრო რედაქტორი იზა ჩიქვინიძე
ტექნიკური რედაქტორი ივანე ხუციშვილი
კორექტორი ელენე გონჯილაშვილი
სბ 1251
ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.08.88
უე 07944. საბეჭდი ქაღალდი № 60×90¹/₁₆ პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 20,25 საღრ.-საგამომც. თაბახი19,28
ტირაჟი 2000 შეკვეთის № 4039
ფასი 1 მან. 90 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.

Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

Типография АН Груз. ССР, Тбилиси 380060, ул. Кутузова, 19
საქ., სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ.,